# სვეტი

1–2

2005

# საუნჯე

(127)

იანვარი

პარილი


ეროვნული ბიბლიოთეკა


მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელოგითი ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2005, № 1-2


## შინაარსი

### პროზა და პოეზია


**პაულო კოელიო.** მეხუთე მთა. რომანი. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა** . 3

**ამერიკული პოეზია.** ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ** . . 136

**ანცი მინი.** წითელი იელი. თარგმნა **ლილი მჭედლიშვილმა** . . . . 149

**რაინერ მარია რილკე.** ლექსები. გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა** 238

**სომხური პოეზია.** ედიშე ჩარენცი. სომხურიდან თარგმნა **გივი მაჰნაზარმა** 244

**სტანისლავ აიდინიანი.** ყურმოკრული ფაუსტი. ესსე თარგმნა **ლულუ დადიანმა** . . . . . 246

**იური მამლეევი.** სტანისლავ აიდინიანის „ყურმოკრული ფაუსტი“. თარგმანი მისივე . . . . . 255


### წერილები


**პოლ ვალერი.** ვიიონი და ვერლენი. ფრანგულიდან თარგმნა **დავით კახაბერმა** . . . . . 259

**მიშელ მიუტორი.** მოთამაშე. ფრანგულიდან თარგმნა **ილია გასვიანმა** . 273

**იანუშ კორჩაკი.** როგორ უნდა გავუვის სიყვარული. თარგმნა **ზაურ კილაძემ** . . . . . 283

**ნანა ახოგაძე-ღვინჯილია.** უხმაურო შემოქმედის პორტრეტი . . . 319

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მთავარი რედაქტორი

**ნანა დარჩია-გოლქვაძე**

სარედაქციო საბჭო:

**ელზა ახვლედიანი**
**ნანა ახოგაძე**
**მანანა ამისულაშვილი**
**ჯემალ აჯიაშვილი**
**ნანა გართაია**
**გურამ გოგიაშვილი**
**ნანა გოგოლაშვილი**
**თამარ ერისთავი**
**რუსუდან ქეგულაძე**
**დალი ფანჯიკიძე**
**ეთერ ყურაშვილი**
**გივი შავნაზარი**
**ვაჟა ჩორდელი**
პ/მგ მდივანი

ჟურნალი დაისტამბა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

---

გარეკანის პირველ გვერდზე — **„ბარაკონი“**, მე-4-ზე — **„ნარიყალა“**.
ფოტოგრაფია **თამაზ ქიქავასი.**

---

**ჩვენი მისამართია:** თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

---

გადაეცა წარმოებას 7. 12. 2004 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 04. 2005 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 529.

---

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

# პროზა და პოეზია

## პაულო კოელიო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მეხუთე მთა

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

ეძღვნება ა. მ.-ს, სინათლის
მხედარს და მაურო სალეშს.

### ავტორის წინათქმა

ჩემი წიგნის „ალქიმიკოსის“ მთავარი აზრი იმ წინადადებაშია, მწყემს სანტიაგოს რომ ეუბნება მეფე მელქისედეკი: „როცა მართლა ძალზე ძლიერად გწადს რამე, მთელი ქვეყნიერება ხელს გიმართავს, რა არი გულის საწადელი აისრულო“.

მე ნამდვილად მჯერა, რომ ეს ასეა. მაგრამ ცხოვრებაში შენს ბედს რომ ეწიო, მრავალი საფეხური უნდა განვლო, რაც ხშირად მაინცდამაინც კარგად არა გვაქვს შეცნობილი. ყველა ამ საფეხურის მიზანი ის არის, კვლავ და კვლავ ჩვენი ბედ-ილბლის გზაზე შეგვაყენოს, გაკვეთილად გვექცეს და ამქვეყნიური დანიშნულების ხორცშესხმა გაგვიადვილოს. ვფიქრობ, უფრო თვალადსაჩენს გავხდი ზემორე სიტყვებს, თუ ჩემი ცხოვრების ერთ ამბავს გიამბობთ.

1979 წლის 12 აგვისტოს დასაძინებლად რომ დავწექი, ერთი რამ ზუსტად ვიცოდი: ოცდაათი წლისამ ჩემი კარიერის მწვერვალს მივაღწიე. ბრაზილიაში ერთ-ერთი ამერიკული ხმის ჩამწერი სტუდიის (CBS) სამხატვრო ხელმძღვანელად ვმუშაობდი. იმხანად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმიწვიეს ჩვენი ხმის ჩამწერი კომპანიის მფლობელებთან შეხვედრაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზემდგომნი არ შემზღუდავდნენ და რა გეგმებიც მქონდა, განმახორციელებინებდნენ. რასაკვირველია, მწერლად გახდომის ჩემი სანუკვარი ოცნება განზე რჩებოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ბოლოს და ბოლოს რეალური ცხოვრება სრულებითაც არა ჰგავს იმ სინამდვილეს, როგორადაც მე მქონდა წარმოდგენილი. ბრაზილიაში მარტო მწერლობით თავს ვერ ირჩენ.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ ღამეს საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ხელი ამელო ჩემს ოცნებაზე, ასე თუ ისე, უნდა შევგუებოდი, შევწყობოდი ცხოვრების ფერხულს. თუ მწერლობის ჭია არ მომასვენებდა, საეშმაკოდ უკვე მომართული ვიყავი: დროდადრო მუსიკისთვის სიტყვებს დავწერდი, ანდა რომელიმე გაზეთს პატარა-პატარა წერილებს მივაწვდიდი ურიო სიტყვით, ვირწმუნე, მართალია, ჩემი ცხოვრება სხვა კალაპოტში ჩავარდა, მაგრამ, მგონი, ურიგო გზას არ დავადექი-მეთქი. ისიც მჯეროდა, რომ მუსიკის სამყაროში ბრწყინვალე მომავალი მიღიმოდა.

გავიღვიძე თუ არა, ტელეფონის წკრიალი გაისმა. კომპანიის პრეზიდენტი რეკავდა. ბევრი ახსნა-განმარტება არ დაუწყია. მივხვდი, რომ დათხოვნილი ვიყავი. მომდევნო ორი წელიწადი ხან რომელ კარზე ვაკაკუნებდი, ხან — რომელზე, მაგრამ ვერას გავხდი, ამ დარგში სამუშაო ვერ ვიშოვე.

„მეხუთე მთაზე" მუშაობას რომ ვამთავრებდი, ეს შემთხვევაც მომაგონდა და ჩემი ცხოვრების სხვა გარდუვალი გამოვლინებანიც: ყოველთვის, როცა კი მეგონა, მწვერვალს მივაღწიე-მეთქი, რაღაც ხდებოდა — და ძირს მივგორავდი. რა მომდის, რა მემართება? ვფიქრობდი, ნუთუ სანუკვარ მიზნამდის ბოლომდე მისვლა არ მიწერია? ნუთუ ღმერთი ისე მკაცრია, რომ მირაჟს — ოაზისს ჰორიზონტზე — მხოლოდ იმიტომ მიგზავნის, რათა შუა უდაბნოში წყურვილმა მომკლას-მეთქი?

ნამდვილად ბევრი დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ეს ასე არ იყო. ზოგი ამბავი იმიტომ ხდება ჩვენს ცხოვრებაში, რომ ბედ-იღბლის ჭეშმარიტ გზაზე დაგვაბრუნოს. ზოგიც იმისთვის არის საჭირო, რომ ცხოვრებაში ჩვენი ცოდნა-გამოცდილება მოვივარგოთ. ხოლო ზოგიერთიც ჭკუის ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ა.

„მლოცველობად" სახელდებულ ჩემს წიგნში იმის ჩვენება მინდოდა, რომ კაცის თავს გადანახადი ყოველთვის ტკივილთან და ტანჯვასთან არ არის შერწყმული. ოღონდ ჩვენგან დაფიქრებას და ყურადღებას კი მოითხოვს. ამის შეგნება ჭეშმარიტ ლოცვა-კურთხევად მექცა ჩემი წუთისოფლის გზაზე. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩავხვდი ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ზოგიერთი ამბის აზრს, თუმცაღა არც გულისყური მაკლდა და არც გულხმიერება.

შემთხვევა, რომელიც ზემოთ აღვწერე, ერთ-ერთ ასეთ მაგალითად გამოდგება. დავიფიცებ, ჩემი საქმისთვის არასოდეს მიღალატია, როგორც ნამდვილი პროფესიონალი, სამუშაოში მუდამ სულსა და გულს ვაქსოვდი. მაგრამ გარდუვალი სწორედ მაშინ მოხდა, როცა აინუნშიც არ ვიყავი და თავდაჯერებულს არცრა მაფიქრებდა. ვგონებ, მსგავსი რამ ბევრს განუცდია. გარდუვალი, ყველას შეხებია დედამიწის ზურგზე. ზოგთ გაუძლიათ, ზოგნი წაბორძიკებულან, მაგრამ თავისი წილი ჭაპანწყვეტა არცვის დაჰკლებია.

მერედა, რატომ? რათა ჩემივე თავისთვის მეპასუხა ამ კითხვაზე, ილიასთან ერთად აქბარს გავემართე.

პაულო კოელიო.

„და თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ არც ერთი წინასწარმეტყველი არ შეუწყნარებიათ თავის მამულში. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ. ბევრი ქვრივი იყო ილიას დროს ისრაელში, როცა სამ წელიწადსა და ექვს თვეს დაიხშო ცა, და იყო დიდი სიყმილი სრულიად ქვეყანაში.

მაგრამ არავის მოვლინებია ილია, გარდა ერთი ქვრივი ქალისა სიდონის სარეპტასა შინა“.

ლუკა, 4: 24-26.

## პროლოგი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 870 წლის დამდეგისთვის ფინიკიის სახელმწიფო — ისრაელნი ლიბანს ეძახდნენ — უკვე სამასწლიანი მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. ფინიკიას არავითარი განსაკუთრებული პოლიტიკური გავლენა არა ჰქონდა არავისზე, და გაუთავებელი ომებით შერყეული დედამიწის მკვიდრად რომ დარჩენილიყო, ფინიკიელთ აღებმიცემობას მიჰყვეს ხელი, რაშიაც გარკვეულწილად წარემატნენ კიდეც. და აკი თავსაც იწონებდნენ, ბევრ ჩვენს საქმეში ლარი გავიტანეთო. ისრაელის მეფესთან სოლომონთან კავშირმა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1000 წელს შეკრეს, ფინიკიელთ კიდევ უფრო თანადროული ხომალდიონი შეაქმნევინა და აღებმიცემობაც სულ მეტად გააშლევინა. იმ დროიდან მოკიდებული, ფინიკია წინმავალ ქვეყნად იქცა.

ფინიკიელ ზღვის კაცთ მაშინ ესპანეთისა და ატლანტიკის ოკეანის ნაპირებს მიაღწიეს. ის კი არა, ზოგ თეორიას თუ დავუჯერებთ, მეცნიერებისგან ჯერეთ დაუდასტურებულს, ფინიკიელნი ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთსაც ხშირად სწვევიან. ხომალდებით მინას, კედრის მერქანს, იარაღს, რკინასა და სპილოს ძვალს ეზიდებოდნენ. ისეთი მოზრდილი ქალაქების მსახლობელთ, როგორიც სიდონი, ტვიროსი და ბიბლოსი იყო, კარგად უწყოდნენ რიცხვნი, ასტრონომია, მელვინეობა და არცა კიდევ საწერ ასო-ნიშანთა ხმარება ეშლებოდათ, რომელ ასო-ნიშანთაც ბერძნები „ალფაბეტს“ უწოდებდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 870 წლის დამდეგს შორეულ ქალაქ ნინევეში სამხედრო საბჭო შეიკრიბა. ასურელმა ჯართუფროსებმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ქვეყნების დასაპყრობად თავიანთი მხედრობის გაგზავნა გადაწყვიტეს. პირველი ქვეყანა, რომელიც ომით შესასვლად აირჩიეს, ფინიკია იყო.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 870 წელს ისრაელის ქალაქ გალაადში თავლას თავშეფარებული ორი კაცი წუთი წუთზე სიკვდილს ელოდებოდა.

## ნაწილი პირველი

### 1.

— მე ღმერთს ვმსახურებდი, ის კი აწ მტერთა ჩემთა ხელში მტოვებს, — წართქვა ილიამ.

— ღმერთი ღმერთია, — უპასუხა ლევიელმა, — მან მოსეს ის კი არ უთხრა, კეთილი ვარო ან კეთილი არა ვარო, ოდენ მიუთხრო: „მე ვარ“. ესე იგი, ის ყველაფერი, რაც რამ მზის ქვეშაა — მეხიცა და მედგარიც, სახლისა დამაქცევარი, და კაცისა მარჯვენაც, იმ დაქცეული სახლისა ხელახლა ამშენებელი.

საუბარი შიშის დაფრთხობის ერთადერთი საშუალება იყო; ჯარისკაცები ჯერ თითქოს არ ჩანდნენ, მაგრამ ალბათ სულ მალე შემოცვივდებოდნენ თავლაში, სადაც ისინი იმალებოდნენ, თავს წაადგებოდნენ და არჩევნის წინაშე დააყენებდნენ: ან თაყვანი ეცათ ბაალისთვის, ფინიკიელთა ღმერთისთვის, ანდა კუნძზე დაედოთ თავი. ჯარისკაცნი თიოოეულ სახლსა ჩხრეკდნენ, წინასწარმეტყველთ რწმენას აცვლევინებდნენ, ხოლო ვისაც ვერ მოაქცევდნენ, ხოცავდნენ.

ლევიელი იქნებ გადარჯულებულიყო კიდეც და სიკვდილიც აეცდინა, მაგრამ ილიას არჩევანი არ დარჩენოდა — ყველაფერი სულ იმისი ბრალი იყო და იზებელი მძვინვარებდა, ილიას თავს ითხოვდა, თანაც ახლავეო.

— უფლისა ანგელოზმა მანებებინა, რომ მივსულიყავი მეფე აქაბთან და გამეფრთხილებინა, მანამ არ გაავდარდება, სანამ ისრაელში ბაალსა თაყვანსა სცემენ-მეთქი, — ისეთი ხმით წართქვა მან, თითქოს თავს იმართლებდა, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, თუ ანგელოზმა ხმა გამაგონაო! — მაგრამ უფალმა აუჩქარებლად უწყის თვისთა საქმეთა ქმნა. იმ დროისთვის, როცა გვალვა თავისას იზამს, დედოფალი იზებელი ყველას მოსპობს, ვისაც კი უფლისა ერთგულება შერჩენია. ლევიელს არაფერი უპასუხია, თავისას ფიქრობდა: თაყვანი ეცა ბაალისთვის თუ უფლისა სახელით მომკვდარიყო.

— ვინ არის ღმერთი? — განაგრძობდა ილია, — განა ის არ აშველებს ხელსა იმ ჯარისკაცის მახვილს, რომელი ჯარისკაციც სიცოცხლეს უსწრაფებს ყველას, ვინც კი ჩვენთა მამათა რწმენასა არ ღალატობს? განა იმან არ დაგვიბრძანა ტახტზე გარმიანელი, სხვაქვეყნელი დედოფალი, რათა მთელი ეს უბედურება დაგვტეხოდა თავს? განა ღმერთი არა ხოცავს თავის ერთგულთ და ალალმართალთ, მოსეს სჯულისა მიმდევართ?

ლევიელმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ სიკვდილი ერჩივნა. და გადაიხარხარა, რამეთუ სიკვდილზე ფიქრი უკვე აღარ აშინებდა. მერე ჭაბუკ წინასწარმეტყველს მიუბრუნდა და დამშვიდება დაუწყო:

— მიდი, თვითონ ღმერთსა ჰკითხე, რახან ეჭვი გეპარება, სწორედ სჯის თუ არა, — მე უკვე შევეგუე ჩემს ხვედრსა.

— არა, ღმერთი არ ინებებს ჩვენს დახოცვას, აგრე უწყალოდ არ გაგვიმეტებს! — იმედიანობდა ილია.

— ღმერთს ყველაფერი ძალუძს. ის ოდენ იმას რომ ქმნიდეს, რასაც ჩვენ სიკეთეს ვუწოდებთ, ყოვლისშემძლედ ველარ მოვიხსენიებდით. მაშინ მთლიანად ქვეყნიერებაზე კი არა, მხოლოდ ერთ რომელსამე მხარეში იმეუფებდა, ხოლო ვინმე სხვა, უფრორე მეტისა შემძლებელი და ძლიერი, ვიდრე ეგ არის, მაგის ყოველ საქმეს თვალყურს მიადევნებდა და განსჯიდა. ეჭვიც არ მეპარება მე იმის მხარეს დავდგებოდი, ვინც უფრო ძლიერი იქნებოდა.

— უკეთუ ყველაფერი ძალუძს, მაშ, რატომ არ განარიდებს ათას უბედურებას იმ ხალხსა, ვისაც ეგ უყვარს? რატომ არის, რომ ჩვენ არა გვშველის, თავის მტრებს კი არც ძალაუფლებას აკლებს, არც სახელდიდებას?

— ვერ გეტყვი, — უპასუხა ლევიელმა, — მაგრამ რაღაც მიზეზი უეჭველად არის და ალბათ მალე გავიგებთ.

— როდის გავიგებთ?

— არ ვიცი.

ორივენი დადუმდნენ, ილია გრძნობდა, როგორ უწურწურებდა ცივი ოფლი ბეჭებზე.

— შენ ძაან შეშინებული ხარ, მე კი უკვე შევეგუე, რაც მომივა, მომივა, — წართქვა ლევიელმა, — უნდა გავიდე, მეტი აღარ შემიძლია. გარედან წივილ-კივილი რომ მესმის, ეგ უფრო მაგიჟებს. იმ ხალხის ადგილას მაშინვე ჩემს თავს წარმოვიდგენ ხოლმე. რაც აქა ვსხედვართ, ერთი ოთხჯერ მაინც მოვკვდი, გარეთ ერთხელ მოვკვდებოდი და დამთავრდებოდა. თუკი სიკვდილი მიწერია, ბარემ მალე მოხდეს, მირჩევნია.

ლევიელი მართალი იყო, ილიასაც ესმოდა იგივე წივილ-კივილი და გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინი უკვე აუტანელი გახდა.

— მეც წამოვალ. აღარ შემიძლია. დავიღალე. რამდენიმე საათი გინდ მიცოცხლია, გინდ არა. აზრი არა აქვს.

ილია წამოდგა, კარი გამოაღო და თავლაში მზე შემოახედა, რომელმაც იქ დამალულ ორ კაცს ნასხივარი შუქი მიაყენა.

●

**ლევიელმა** ხელი ჩასჭიდა ილიას, და ორივენი გზას დაემწყემსნენ. ქალაქში წივილ-კივილი რომ არ ყოფილიყო, ეს დღეც იქნებ ჩვეულებრივი ქალაქის ჩვეულებრივ დღედ მოსჩვენებოდათ — მზე მაინცდამაინც არ აცხუნებდა, შორეული ოკეანიდან სასიამოვნო ნიავი უბერავდა, შუკებსა და ბზენარევი თიხის სახლებს სულ ერთნაირად ედო მტვერი.

— სულში სიკვდილი ჩაგვცქერის, დღე კი ასეთი მშვენიერია, — წართქვა ლევიელმა, — რამდენჯერ ყოფილა, როცა ღმერთიცა და სოფელ-ქვეყანაც მესიამტკბილებოდა, უამური ამინდი მდგარა. უდაბნოდან წამობერილ ქვიშას დაუვსია თვალები და ორ ნაბიჯზე გზა ვერ გამიგნია. ღმერთის ჩანაფიქრი ყოველთვის არ ეთანხმება იმას, რასაც ჩვენ ვგრძნობთ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ყველაფრისთვის თავისი მიზეზი აქვს.

— დიდია შენი რწმენა?

ლევიელმა ცას ახედა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა, მერმე ილიას მიუბრუნდა:

— არა, გაკვირვება და გაოცება არ ღირს, მე საკუთარ თავს ვედავე და ვეკამათე, რომ ღმერთი არსებობს.

— შენ აკი წინასწარმეტყველი ხარ? — სიტყვა გაუტეხა ილიამ, — ჩემი არ იყოს, შენც ათასგვარი რამ ხმა ჩაგესმის, რომ ამ სოფელ-ქვეყნის გარდა სხვაც არის!

— ეგ იქნებ სულაც ოდენ ჩემი წარმოდგენის ამბავია.

— შენ აკი რამდენჯერმე ინიშნე ღმერთი, — თავისაზე იდგა ილია, რომელიც უკვე საგონებელში ჩაეგდო თანამყოლის სიტყვებს.

— ეგ იქნებ სულაც ოდენ ჩემი წარმოდგენის ამბავია, — გაიმეორა ლევიელმა, — რასაც ჩემს თავს ვედავები და ვეკამათები, სინამდვილეში ხელთ ესა მაქვს. ჩემს თავს მევე ვარწმუნებ, ყველაფერი ზენაარსისგან, ყოვლად უზენაესისგან მოდის-მეთქი.

●

**ქალაქში** ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ქალაქელნი შინ ისხდნენ და ელოდნენ, როდის გაასრულებდნენ აქაბის ჯარისკაცნი გარმიანელი ღედოფლისგან მინდობილ საქმეს: ისრაელის წინასწარმეტყველთა სიკვდილით დასჯას. ილია გვერდით მისდევდა ლევიელს და გრძნობდა, რომ ყველა სარკმლიდან, ყველა კარიდან ვილაცა უთვალთვალებდა და ადანაშაულებდა — სულ შენი ბრალია, რაც რამ ჩვენს თავსა ხდებაო.

— წინასწარმეტყველობა არ მითხოვია. ჩანს, მართლა ჩემი წარმოდგენის ამბავია, — სჯიდა ილია.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც სადურგლოში მოხდა, იცოდა, რომ ეს ასე არ იყო.

●

**ილიას** ჯერ კიდევ ბავშვობიდან ჩაესმოდა ნაირ-ნაირი ხმები და ანგელოზნიც ელაპარაკებოდნენ. უეჭველად მღვდელს უნდა ვაჩვენოთ, სწორედ მაშინ გადაწყვიტეს ილიას მშობლებმა. მღვდელმა უამრავი რამ ჰკითხა ბიჭს და დაასკვნა, ნამდვილად წინასწარმეტყველიაო, „ნაბიაო“, „სულისმიერიო“, „ღვთის რჩეულიო“.

ბიჭთან კარგა ხნის საუბრის შემდეგ მღვდელმა გვერდზე გაიხმო მშობლები და უთხრა, ყველაფერს გულისყური მიაპყარით, რასაც თქვენი შვილი წარიტყვისო.

მღვდლისგან გამობრუნებული მშობლები დოგა-დოგა დაადგნენ ილიას თავზე, რომ აღარასოდეს და აღარავის უამბობდა, რასაც ხედავდა და რაც ჩაესმოდა ხოლმე. წინასწარმეტყველთ მბრძანებელნი და ხელისუფალნი ეტანებიან. ეს კი მუდამ საშიში რამ არის.

ასე იყო თუ ისე, ილიას უკვე აღარ ჩაესმოდა ისეთი რამ, მღვდელთან მეფეთ რომ დააგულისყურებდა. ის ახლა მხოლოდღა თავის მფარველ ანგელოზთ ელაპარაკებოდა და ყველაფერს გულის ფიცარზე იწერდა, რაც რამეს ცხოვრებისეულად ყურადსაღებს ურჩევდნენ. დროდადრო

ყმაწვილს ისეთი ჩვენებები ეძალებოდნენ, რომელთაც ვერა და ვერ ისიგრძეგანებდა, — ხან შორეული ოკეანეები ამოუტივტივდებოდნენ თვალწინ, ხან უცნაური რამ არსებებით დახუნძლული მთები, ხანაც თვალებგამობმული და ფრთებშესხმული ფრეები, მრგვლად მოვლინებული ხაზები და ოდრიკალები უტრიალებდნენ. როცა ყველაფერი ჩამწყნარდებოდა ხოლმე, დედ-მამის მორჩილი ბიჭი მოჩვენებანი—რაც ეძალებოდა ბალე დავიწყებას ცდილობდა.

ამიტომ ხმებიცა და მოჩვენებანიც სულ უფრო და უფრო გაუიშვიათდნენ. მშობლები კმაყოფილი იყვნენ და ამა ამბისა გამოისად აღარ ელაპარაკებოდნენ. ილიამ უკვე იმ ასაკს მიაღწია, როცა თავისი თავი თვითონ უნდა ერჩინა, და მშობლებმა ცოტაოდენი ფული მოუძიეს, რა არი სადმე ერთი პატარა სადურგლო ჩაედგმევინებინათ.

●

**ილია** ყოველთვის მოწიწებით უმზერდა სხვა წინასწარმეტყველთ, გალაადის ქუჩა-შუკებში მავალთ, ბეწვეულის სამოსელში გამოწყობილთ, ზედ ტყავის ზოსტერები რომ ერტყათ. ისინი ყველას იმას ეუბნებოდნენ, თვითონ უფალმა გ ა მ ო გ ვ ა რ ჩ ი ა, რათა რჩეულ ხალხს გავუძღვეთო. ეს ხვედრი, რასაკვირველია, ილიას თავისად არ ეჩვენებოდა. სხვა „რჩეულთა“ დარად, რათა წმინდა გულის ფანცქალი გამოეწვია მაცქერალ ხალხში, ის ცოცხალი თავით არც დაროკდებოდა და არც თავს იგვემდა, — ტკივილისა ეშინოდა. არაფრის გულისთვის არ მოედებოდა გალაადს, შუკა-შუკა არ ივლიდა და გვემული არ დაენახვებოდა ყველა გამვლელ-გამოვლელს, — ნამეტანი მორცხვი და მორიდებული იყო.

ილიას ჩვეულებრივ კაცად მიაჩნდა თავი და მართლაც ჩვეულებრივი კაცი იყო. ჩაცმით, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, ისიც ისე იცვამდა და სხვა ჩვეულებრივ სიკვდილისშვილთა დარად იმასაც ხან რა შიში და ხან რა ცდუნება ულრღნიდა სულს. თავისი ხელობის სულ უფრო უკეთ და უკეთ დაუფლებისდა კვალად ხმებმაც იკლეს, იშვიათადღა ჩაესმოდა; ბოლოს ყველა ხმა თითქოს ერთად გაქრა — ხელობამ ისე გაიტაცა, თავისი საქმის გარდა უკვე არცრა ახსოვდა. მშობლები დიდად ემადლიერებოდნენ შვილს, და ცხოვრება მშვიდობიანად, უშფოთველად მდინარებდა.

მღვდლის საუბარი პატარა ბიჭთან მერე და მერე ძველ მოგონებად იქცა. ილიას ვერ დაეჯერებინა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს ხალხთან ლაპარაკი იმიტომ სჭირდებოდა, რათა ადამიანებს საღვთო კანონებისთვის პატივი ეცათ. ის ოდესღაც მომხდარი ამბები კი, და თავად ბავშვობაც, კუდნავარდა ბიჭის ოდენ ფანტაზიალა იყო. გალაადში, ილიას მშობლიურ ქალაქში, ბევრი ისეთი ვინმე ცხოვრობდა, ვისაც ექაურნი გიჟად მიიჩნევდნენ. ისინი, გიჟებად შერაცხილნი, ორ სიტყვას ერთმანეთს ვერ აბამდნენ, არათუ ხმა ღვთისა გონმიხდილის ბოდვისგან განერჩიათ. მთელი ცხოვრება ფოლორც-ფოლორც დამათხოვრობდნენ, ქვეყნიერების დასასრულს წინასწარმეტყველებდნენ და მოწყალების

იმედად იყვნენ. თუმცა არც ერთ მღვდელს არც ერთი იმათგანი „ღვთის რჩეულად“ არ მიაჩნდა.

თანდათან ილია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მღვდლებს თავად არა სწამდათ თავიანთი ნათქვამი. „ღვთის რჩეულნი“ იმიტომ ჩნდებოდნენ, რომ ქვეყანა თავის გზას იყო აცდენილი, შინაომები ლუკმახელუკმა აქუცმაცებდნენ, და მბრძანებელთ ხომ ნუღა იტყვით, ერთი აჯდა კისერზე, ხან მეორე. ერთი სიტყვით, ცხოვრება ისე იყო არეული, წინასწარმეტყველთ სულელთაგან ველარ არჩევდნენ.

ილიამ რომ გაიგო, მეფე აქაბმა და ტვიროსელმა დედოფალმა იზებელმა იქორწინესო, ამ ამბისთვის განსაკუთრებული რამ მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. ისრაელის სხვა მეფენიც აგრევე იქცეოდნენ, და ამის შედეგად, აშკარა იყო, ქვეყანაში მშვიდობიანობა მრავალჟამიერობდა, ლიბანთან ვაჭრობა ხომ წარემატებოდა და წარემატებოდა. ილიას მაინცდამაინც ძალიან არ აწუხებდა, რომ მეზობელი ქვეყნის მცხოვრებნი არარსებულ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ, ანდა არაერთ უცნაურ რელიგიურ მსახურებას აღიარებდნენ — ცხოველებსა და მთებს ალმერთებდნენ. ილიასთვის ყველაზე მთავარი იყო პატიოსანი ვაჭრობა, აღებმიცემობა.

როგორც ადრე, ილია ლიბანიდან ჩამოტანილ კედრის მერქანს ყიდულობდა და თავის სადურგლოში დამზადებულ ნივთებს ყიდიდა. თუმცალა ამ ქვეყნის მცხოვრებნი რამდენადმე ქეზმოდებულნი იყვნენ, გაამაყებულნი და უყვარდათ თავიანთი თავის „ფინიკიელებად“ მოხსენიება — კანის განსაკუთრებული ფერისა გამო, — მაგრამ არც ერთ ლიბანელ ვაჭარს არ უცდია, რომ ისრაელში გამეფებული არეულობის ხარჯზე გამდიდრებულიყო. ისინი პატიოსნად ყიდულობდნენ და ყიდიდნენ საქონელს, პატიოსნად იხდიდნენ, რაც გადასახდელი იყო და ისრაელის არც შინა ბრძოლებში ერეოდნენ, არც პოლიტიკურ საქმეებში.

●

**როგორც** კი ტახტზე ავიდა, იზებელმა უმალ მოითხოვა, რომ აქაბს ერთიანი ღმერთის კულტი ლიბანის ღმერთების კულტით შეეცვალა.

მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. ილია თუმცა აღშფოთებული კი იყო აქაბის თანხმობით, მაგრამ ისევ და ისევ ისრაელის ღმერთს ეთაყვანებოდა და ძველებურად აღასრულებდა მოსეს რჯულს. „გაივლის, — ფიქრობდა ილია, — იზებელმა აქაბი კი აცდუნა, მაგრამ ხალხს ვერ შეუცვლის რწმენას“.

იზებელი ფრიად განსაკუთრებული ქალი იყო, სწამდა, ღმერთმა ბაალმა იმისთვის მომავლინა, რათა ხალხებიც და ქვეყნებიც ჩემს რწმენაზე მოვაქციო. ეშმაკს ლოდინიც ეშმაკური შეეძლო, აუჩქარებლად ირჯებოდა, ვინც ერთიან ღმერთს განუდგებოდა, ყველას უხვად ასაჩუქრებდა. აქაბმა სამარიაში ბაალისთვის ბომონი ააგებინა, შიგან კი საზორავი, დასაწველი გაამართვინა. ხალხმა სალოცავად დაიწყო სიარული და ყველგან ლიბანის ღმერთების კულტი იკიდებდა ფეხს.

„გაივლის. ერთ თაობას ალბათ დათმენა მოუწევს, მაგრამ გაივლის“, — კვლავინდებურად ფიქრობდა ილია.

●

**და** აი, ის მოხდა, რასაც არ ელოდა. ერთხელ, საღამო ხანს, როცა ილია ის იყო მორჩა სატაბლე ფიცრის გაშალაშინებას, სახელოსნოში უეცრად ჩამობნელდა, და გარშემო აურაცხელი თეთრი ვარსკვლავი აკაშკაშდა. მან უჩვეულო თავის ტკივილი იგრძნო. ჩამოჯდა მოინდომა, მაგრამ ველარც ხელს ანძრევდა, ველარც ფეხს [illegible]

„მოვკვდი და ეგ არი, — წამისყოფით გაუელვა აზრმა ილიას, — ისიც ცხადია, სად გვაგზავნის უფალი. სიკვდილისა შემდგომ — შუაგულ ცამრგვალსა შინა".

ერთ-ერთი ვარსკვლავი სხვათა მეტად გაკრთა, და უცებ თითქოს ერთდროულად ყოველი მხრიდან ხმა გაისმა.

და გამოეცხადა უფლისა სიტყვა ილიას: უთხარი აქაბს, ცოცხალია-თქო უფალი ღმერთი ისრაელისა, რომლისა წინაშე დგახარ, ისიც უთხარი, რომ არ იქნება ამ წლებში ცვარი და წვიმა, თუ არა ჩემს სიტყვაზე.

ამის გაგონება იყო და ყველაფერი წელანდელებრ აღუდგა — სახელოსნოს კედლები, საღამო ხანის მიმწუხრი, გარეთ მოთამაშე ბავშვების ჟრიამული.

●

**იმ** ღამეს ილიას ძილი გაუფრთხა. მრავალი წლის შემდეგ პირველად იგრძნო ისევ ბავშვობის დროინდელი მოუსვენრობა, მაგრამ აწ უკვე თავისი მფარველი ანგელოზი კი აღარ ელაპარაკებოდა, არამედ ვიღაც უფრორე ძალუმი, ძლიერი. ილიას შეეშინდა, ვაჭრობა დამიფოლდება, ხელი არ მომემართება, უკეთუ შეგონებულს არ აღვასრულებო.

გათენდა თუ არა, გადაწყვიტა, რომ საქმნელი აღარ გადაედო. ბოლოს და ბოლოს, თავად მხოლოდ იმის მოციქულია, ვინც თვალით არ უნახავს; როგორც კი თავის აღსასრულებელს აღასრულებს, ხმებიც აღარ შეაწუხებენ.

მეფე აქაბთან შეხვედრა არ გასძნელებია. მრავალი წლის წინათ, როგორც კი ტახტზე სოლომონ მეფე ავიდა, წინასწარმეტყველთ განსაკუთრებული წონა მოიპოვეს ქვეყნის ვაჭრობასა და მართვაში. იმათ ცოლის მოყვანაც შეეძლოთ, შვილების ყოლაც, მაგრამ მუდამ თავიანთი მეუფის, თავიანთი უფლის განკარგულებაში უნდა ყოფილიყვნენ, რათა ქვეყნის ხელისუფალნი სწორ გზას არ ასცდენოდნენ. ტრადიციით მიჩნეული იყო, რომ სწორედ „ღვთის რჩეულთა" წყალობით იმარჯვებდნენ მომხდურ მტერსა ზედა. და ისრაელიც მხოლოდ იმად იყო ცოცხალი, რაკი ქვეყნის განმგებელთ გვერდში ედგნენ წინასწარმეტყველნი, რომელნიც უმალ მართალ გზაზე აბრუნებდნენ, უკეთუ რომელიმე იმათგანს ფეხი ავად გადაუცდებოდა.

ილია მივიდა სასახლეში და გვალვის თაობაზე გააფრთხილა მეფე, სანამ ფინიკიურ ღმერთებს არ განვდევნით, ისრაელის მიწას უწვიმრობით გამოფიტვა ემუქრებაო.

მეფე-ბატონს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია გაგონილისთვის, იზებელმა კი, აქაბის გვერდით რომ იჯდა და ყურადღებით ისმენდა ყველაფერს, დაწვრილებით დაუწყო ილიას გამოკითხ-

ვა. ილიამაც გულდაგულ უამბო მოჩვენების ამბავი, როგორ ასტკივდა თავი, როგორ იგრძნო დროის გაჩერება, როცა ანგელოზისა ხმა ჩასმოდა. თავის თავგადასახადს რომ უამბობდა, ილია თან თვალს არ აშორებდა დედოფალს, რომელზედაც ბევრი რამ სმენოდა. დედოფალი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხატკეთილი ქალბატონი იყო, რომელიც კი ოდესმე ენახა. გრძელი შავი თმა წელამდე სცემდა ტანი საროდ ჩამოჰქნოდა, შავგვრემან სახეზე მოციაგე მწვანე თვალებს ილიას თვალებს არ აშორებდა. ილია ვერ ჩამხვდარიყო, რას ეუბნებოდნენ ის თვალები, და მით უმეტეს ვერ გაეგო, რა ზეგავლენას ახდენდა თავისი ნაუბრით.

სასახლიდან ის დარწმუნებული წამოვიდა, ჩემი ვალი მოვიხადეო, და აწ გულდამშვიდებულს შეეძლო თავის სახელოსნოში სამუშაოდ დაბრუნება. აქეთობისას თითქოს თან აედევნა იზებელი, თითქოს სულში უძვრებოდა და თავს ანდომებდა, ცეცხლს უკიდებდა ოცდასამი წლის ყმაწვილკაცს, და ისიც შეევედრა ღმერთს, თუ შეხვედრაა, ლიბანელი ქალი შემახვედრე, ამასავით შავგვრემანი, ასეთივე იდუმალებით სავსე მწვანე თვალები რომ ექნებაო.

●

**სახელოსნოში** ილია გვიან საღამომდე მუშაობდა და ღამე მშვიდად ეძინა. გარიჟრაჟზე ლევიელმა გააღვიძა. იზებელს მეფე დაერწმუნებინა, წინასწარმეტყველნი საშიშნი არიან ისრაელის შემდგომი აყვავებისთვისო. აქაბს ჯარისკაცთათვის სიკვდილით დასჯა ებრძანებინა ყველასი, ვინც უარს არ იტყოდა ღმერთისთვის მიცემულ წმინდა აღთქმაზე.

მაგრამ ილიას არჩევნის უფლება არა ჰქონდა. ის უნდა მომკვდარიყო.

ილია და ლევიელი ორი დღე იმალებოდნენ გალაადის სამხრეთით, თავლაში. ამ დროის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს ოთხას ორმოცდაათი წინასწარმეტყველი, ხოლო იმ წინასწარმეტყველთა უმრავლესობა, რომლებიც ადრე შუკა-შუკა ვლიდნენ თავგვემულნი და ხალხს სოფელ-ქვეყნის დასასრულს უჭაშნიკებდნენ, აწ ახალ რწმენაზე მოსაქცევად თანახმანი იყვნენ.

ჯერეთ მკვეთრი სტვენა გაისმა, მერმე რაღაცამ ზღართანი მოიღო, და ილიას ფიქრის ძაფი გაუწყდა. დაფეთებული თანამყოლს მიუბრუნდა:

— რა იყო!

პასუხი არ გაუგონია. პირდაპირ გულში ისარგაყრილი ლევიელის ხხეული იქვე ძირს ეგდო.

ილიას წინ ჯარისკაცი იდგა და მშვილდი კვლავ დაჭიმული ეჭირა. ილიამ გარშემო მიმოიხედა: ყველა სახლის კარ-სარკმელი დაგულული იყო, ცაზე ცხრათვალა მზე ენთო, ოკეანიდან მსუბუქი ნიავი უბერავდა. ოკეანეზე ბევრი რამ გაეგონა, ნახვით კი, ჩანს, უკვე ველარ ნახავს. გაქცევა დააპირა, მაგრამ იცოდა, ისარი უფრო ადრე განგმირავდა, ვიდრე ის უახლოეს მოსახვევს მიეფარებოდა.

„უკეთუ ისრით სიკვდილი მიწერია, ჯანდაბას, ოლონდ ზურგს ნუ გამიგმირავს“, — გაიფიქრა ილიამ.

ჯარისკაცმა კვლავ მოისანთა მშვილდი. თავისდა გასაკვირად, ილია არაფერს გრძნობდა: არც შიშს, არც სიცოცხლის წყურვილს. თითქოს ყველაფერი დიდი ხნის წინათ იყო განსაზღვრული, და ორივენი — ჯარისკაციცა და თვითონ ისიც — ვილაცა სხვის მიერ დანერილ პიესაში როლებს თამაშობდნენ. ილიას თავისი ბავშვობა წამოუტივტივდა თავში, გაახსენდა გალაადში გატარებული დღეები და ღამეები, მერე ახლა ის დაუმთავრებელი სამუშაო დაუდგა თვალწინ, სახელოსნოში რომ რჩებოდა. ფიქრში დედ-მამასაც გადასწვდა, რომელთაც არ უნდოდათ, რომ შვილი წინასწარმეტყველი გამოსვლოდათ. ბოლოს იზებელის თვალები და მეფე აქაბის ღიმილიც წამოაგონდა.

„მართლაც დიდი სისულელეა ოცდასამი წლის ასაკში სიკვდილი, ჯერ ქალის სიყვარული რომ არც გიგემნია“, — ფიქრობდა ილია.

ხელმა დაჭიმა ლამბი, ისარმა ჰაერი გააპო, ილიას მარჯვენა ყურთან გაიწუილა და ძირს დუნედ დაეცა.

ჯარისკაცმა ახალი ისარი დაადო ლამბს და დამიზნება დაიწყო. მაგრამ ისრის გასროლის მაგივრად, ილიას თვალი თვალში გაუსწორა.

— ჩემზე უკეთესი ჩუბინი არცვინ ჰყავს აქაბს, — წართქვა ჯარისკაცმა, — შვიდი წლის განმავლობაში ერთხელაც არ ამიცდენია.

ილია მიბრუნდა და ლევიელის სხეულს დახედა.

— ეგ ისარი შენთვის იყო განკუთვნილი.

ჯარისკაცს მშვილდი დაზიდული ეჭირა, მაგრამ ხელები უკანკალებდა.

— ერთადერთი წინასწარმეტყველი, ვინც უნდა მომკვდარიყო, — ილიაა. სხვებს შეეძლოთ ბაალისა რწმენის არჩევა.

— მაშ, რალას უდგეხარ, ჰქმენ საქმნელი.

ილიას საკუთარი სიმშვიდე აკვირვებდა. თავლაში ღამღამობით რამდენჯერ წარმოიდგინა სიკვდილი, შავად რომ ათენებინებდა, ახლა კი ხვდებოდა, რომ არ ღირდა ეგოდენი ტანჯვა. კიდევ ორიოდე წამიც, და უკვე გაღმა სოფელში იქნება.

— არ შემიძლია, — წართქვა ჯარისკაცმა. მშვილდს აკანკალებულ ხელებში ველარ იჩერებდა, — წადი, დამეკარგე თვალთაგან. ჩანს, ღმერთმა უცვალა ჩემს ისართ გეზი, და ნამდვილად დამსჯის, თუ ჩემი ხელით მოკვდი.

ილიას, რაც უფრო ნათლად ხვდებოდა, რომ იქნებ არ მომკვდარიყო, გადარჩენილიყო, მით უფრო მეტად, ეუფლებოდა სიკვდილის შიში, თითქოს ჯერ სულ მთლად არ გაჰქრობოდა იმის იმედი, რომ ოკეანეს ნახავდა, ქალს შეირთავდა, ოჯახს მოეკიდებოდა და სახელოსნოში მიტოვებულ სამუშაოსაც დაამთავრებდა.

— მოძკალი, თუ მკლავ, — წართქვა ილიამ, — დიდხანს ნუღა მაწვალებ.

ჯარისკაცმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, ხომ არავინ მიყურებსო. მერმე მშვილდი დაუშვა, ისარი კაპარჭში ჩააბრუნა და მოსახვევს მიეფარა.

ილია გრძნობდა, როგორ ერთმეოდა ფეხები. სიკვდილის შიში ახალი ძალით რევდა ძილს. მალე, რაც შეიძლება მალე უნდა გაქცეულიყო, გალაადიდან უნდა გადაკარგულიყო, აღარასოდეს აღარსად არ უნდა გადაჰყროდა მშვილდმოზიდულ ჯარისკაცს. არა, თავისი ბედი თავად არ აურჩევია და არც იმიტომ წასულა აქაბთან, რა ერეკ-მეზობლებში ემკვეხარა, მიყურეთ, თვითონ მეფესაც კი ველაპარაკებოდ-ერთ სულაც იმისი ბრალი არ ყოფილა, თუ წინასწარმეტყველნი დახოცეს, მით უმეტეს, ის რა დამნაშავეა, თუ სასწაული მოიხილა, ოდეს დრო გაჩერდა, სახელოსნო კი მოციალე ვარსკვლავებმა გააცისკროვნეს.

ილიამაც აქეთ-იქით მიმოიხედა — კაციშვილი არსად ჭაჭანებდა. წამიერ ლევიელს დახედა, იქნებ როგორმე გადავარჩინოო, მაგრამ ამის გაფიქრება იყო, და კვლავ შემოუტია შიშმა, ახლა კი ბევრი აღარ უფიქრია, სანამ ვინმე გამოჩნდებოდა, ეგრევე მოსხლტა ადგილიდან და დაიტიშა.

## 2.

**ბევრი** იარა თუ ცოტა იარა, მრავალი უვალი ბილიკ-წავარნა დალახა და, ბოლოს, ქერითად წოდებულ ერთ პატარა ხევს მიადგა. სირცხვილით კი რცხვენოდა თავისი სილაჩრისა, მაგრამ გულში უხაროდა, რომ ცოცხალი გადარჩა.

წყალი დალია, იქვე მიწაზე დაჯდა და ახლაღა მიხვდა, რაც ელოდა: ხვალ ჭამა ხომ უნდა, უდაბნოში კი საჭმლის შოვნა ამაო საქმეა.

ისევ თავისი სახელოსნო გაახსენდა, იქ მიტოვებული სამუშაო. მეზობლობაში თითო-ოროლა მეგობარიც ჰყავდა, მაგრამ იმედი არავისი ჰქონდა. გაიქცაო, ალბათ უკვე მთელ ქალაქს დაღდალანი გაჰქონდა და კრულავდნენ, თვითონ თავს უშველა, ჭეშმარიტი მორწმუნენი კი სატანჯველად გაწირაო.

რასაც მიაღწია, ყველაფერს ბოლო მოეღო და მხოლოდ იმიტომ, რომ უფლისა ნების აღსრულება იზრახა. ხვალაც და ზეგაც, არა ერთი დღე, კვირა თუ თვე კარს შეუწუხებენ ლიბანელი ვაჭრები და ვილაც აუცილებლად ეტყვის, მაგ სახელოსნოს პატრონი გაიქცაო, სულ იმის კისერზეა, რაც კი უდანაშაულოდ სისხლი დაიღვარაო... ალბათ, იმასაც იუბნებენ, მიწისა და ცის მფარველი ღმერთებისა მოსპობა უნდოდაო. მალე ამ ამბავს ისრაელის საზღვრებს გარეთაც შეიტყობენ, და, კარგად მეყოლე, სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს იმ ქალის ცოლობაზე ოცნებას, სილამაზით ლიბანელ ქალებს რომ არ ჩამოუვარდებოდა.

●

„**სადღაც** ხომალდებია."

როგორ არა, სადღაც რა გამოლევს ხომალდებს. დამნაშავენი, სამხედრო ტყვეები, ლტოლვილნი, ჩვეულებრივ, ზღვის მოარულებად, ანუ მეზღვაურებად აჰყავდათ — ზღვის მოარულობა ჯარისკაცობაზე მეტად საშიში საქმეა. ჯარისკაცი იქნებ გადარჩეს კიდეც ომში, ზღვას კი

ვერცრას გაუგებ, პირწავარდნილი ურჩხულია. ღელვაგვემული ხომალდი როს ინთქმება, ცოცხალი ალარავინ რჩება.

ხომალდები მართლაც არიან, მაგრამ ისინი ფინიკიელი ვაჭრებისაა. ილია არც დამნაშავე იყო, არც ტყვე და არც ლტოლვილი, ილია ის კაცი იყო, ვინც გაუხმამაღლდა ღმერთ ბაალს. ამას როგორც კი გაიგებენ, ფინიკიელნი ეგრევე ანდერძს აუგებენ ილიას და ზღვაში გადაუძახებენ, რამეთუ მეზღვაურთ სჯერათ, ბაალი თავის ღმერთებთან ერთად ქარაშოტებსა და ქარიშხლებს მფარველებსო.

ვერა, ოკეანეს ვერ მიეახლოება დევნილი ილია. ვერც ჩრდილოეთს მიაშურებს, იქ ლიბანია. არც კიდევ აღმოსავლეთისკენ წაესვლება, იქ რომელიღაც ისრაელურ ტომებს უკვე ორი თაობის მანძილზე ომი აქვთ ერთმანეთში.

ილიას ის სიმშვიდე წამოაგონდა, ჯარისკაცის პირისპირ დგომისას რომ შეიგრძნო. ბოლოს და ბოლოს, რა არის სიკვდილი? რა არის და, ოდენ ერთი თვალის დახამხამება, ერთი წამსყოფა. ის კი არა, ტკივილს თუ გრძნობ, ისიც უმალ გაივლის, და უფალი თავის წიაღსა შინა დაგავანებს.

ილია მიწაზე დაეშვა და დიდხანს უცქირა ცას. ლევიელისა არ იყოს, საკუთარ თავთან დავა და კამათი სცადა. ეს იყო დავა და კამათი არა ღმერთის არსებობაზე — ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა — არამედ ცხოვრების აზრზე.

მერმედ მთებს ხედავდა და მიწას, რომელსაც სულ მალე ხანიერი გვალვა გამოფიტავდა და დაშაშრავდა ავად, გაადიხაშხოებდა, ხოლო ჯერხნობით კიდევ შერჩენოდა ძველი ხშირწვიმობის სინესტე. ხედავდა ქერითის ხევს, რომელიც მალე დაშრებოდა, გაბერწდებოდა. წრფელად და მხურვალედ გამოეთხოვა ილია სოფელ-ქვეყანას და უფალს წაყვანა შესთხოვა, როგორც კი ჟამი დამიდგება, ნუღა დამიტევებო.

დიდხანს იფიქრა მან თავისი არსებობის აზრზე და პასუხი არსით ჩანდა.

იმაზეც იფიქრა, საით წავიდე, რომელ მხარესაო, და მიხვდა, გზა არსაით ჰქონდა.

სხვა რა ჩარაა, ხვალვე მივა და ჩაბარდება, თუმცა როგორც ეს გაიფიქრა, კვლავ სიკვდილის შიშმა შეიპყრო.

თავს იმითლა იმშვიდებდა, რომ კიდევ რამდენიმე საათი უნდა ეცოცხლა. მაგრამ ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო, ასე იყო აწ ილიას საქმე. და ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ცხოვრებაში თითქმის არ არის ისეთი დღე, ადამიანს თავისი თავისთვის განაჩენის გამოტანის უფლება რომ ჰქონდეს.

## 3.

**მეორე** დილით, გამოეღვიძა თუ არა, ილიამ ისევ ქერითის ხევს შეავლო თვალი.

ხვალ ან ერთ წელიწადში ამ ღელე-ხევისგან მხოლოდღა გზა დარჩება, ქვიშითა და ქვა-ღორღით მოფენილი. აქაურნი ამ ადგილს ძველებურად კვლავ ქერითად მოიხსენიებენ და ვისთვისაც გზის მისწავლება

ენდომებათ, ეტყვიან, იქით წადი, სადაც ადრე ქერითის ღელე-ხევი ჩამოდიოდაო. მოგზაურნი ქვიშასა და ქვა-ღორღს რომ შესდგებიან, თავისთვის იფიქრებენ, ჩანს, აქ ოდესღაც ღელე ყოფილაო, მაგრამ წყალი, რაც ღელე-ხევს ღელე-ხევად ხდის და სულდგმულს წყურვილს უკლავს, აქ უკვე აღარ იქნება.

როგორც მდინარეებს და მცენარეებს, წვიმა ადამიანებსულსაც სჭირდება. ოღონდ თავისებური წვიმა — იმედი, რწმენა, სიცოცხლის აზრი. წვიმა თუ არ არის, სულში ყველაფერი კვდება, თუმცა გვამი ჯერ ისევ ცოცხალია. ასეთ დროს იტყვიან: ამ გვამში ოდესღაც ადამიანი ცხოვრობდაო.

ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის. ილიამ კვლავ გაიხსენა ლევიელთან მანამდელი საუბარი, სანამ თავლიდან წამოვიდოდნენ. რა საჭიროა ამდენჯერ სიკვდილი, თუკი ერთი სიკვდილიც საკმარისია? ერთადერთი, რაც ახლა ყველაზე ძალიან სწადს, იზებელის ჯარისკაცთა მოღოდინებაა. ისინი მივლენ, აუცილებლად მივლენ, გალაადიდან გასაქცევი და საოტებელი გზა არც ისე ბევრია. ბრალეულნი და პირბნელნი ეოველთვის უდაბნოში გარბოდნენ, სადაც გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ, ანდა ქერითის ღელე-ხევს მიაშურებდნენ ხოლმე, სადაც სულ ადვილად იჭერდნენ.

სადაც არის მანდატურნი მოვლენ, ხელჯოხიანთაც მოიყოლებენ. თქარათქური უკვე ისმის. იმათი დანახვა და ილიას სიხარული ერთი იქნება.

●

**ღელე-ხევის** ანკარა წყალი ეგემრიელა. პირზეც შეისხა და ჩრდილში მიჯდა, მდევარს დაელოდა. ადამიანს არ ძალუძს თავის ბედთან ბრძოლა. ეს კაცი შეებრძოლა და წააგო.

თუმცა მღვდლები წინასწარმეტყველად აღიარებდნენ, მან მაინც სადურგლოში მუშაობა არჩია. მაგრამ უფალმა კვლავ ჭეშმარიტ გზას დაუბრუნა.

ის ერთადერთი არ იყო, ვინც დედამიწის ზურგზე თითოეული ადამიანისშვილისთვის ღმერთის მიერ განმზადებულ ბედ-ილბლისგან განდგომა სცადა. რა დაავიწყებს, მეგობარი ჰყავდა, იმის ხმას ვილა არ შენატროდა, მაგრამ მშობლებმა მომღერლობა არ დაანებეს, ოჯახს შეგვირცხვენო. ერთ დობილ გოგოს კი ბავშვობაში ცეკვისთვის სძვრებოდა სული, თავისი ჭკუით მოცეკვავე უნდა გამოსულიყო. ოჯახი ცივ უარზე დადგა, დაუშალა, ვაითუ, მოცეკვავე მერე მეფეს მოეწონოს და სასახლეში წაიყვანოსო, ხოლო მეფე ტახტზე როდემდე იჯდება, არავინ იცისო. თანაც კიდევ მიჩვეული იყო, რომ სასახლეში უზნეობა სუფევდა, რაც მოცეკვავე ყმაწვილქალს კარგად გათხოვებაში შეუშლიდა ხელს.

„ადამიანი დაბადების დღიდან ცდილობს თავისი ბედის მოტყუებას".

ღმერთი ჩვენთა სულთა წინაშე ასახსნელად ოდენ ძალზე ძნელ გამოცანებს ახვავებს.

„რატომ?“

რატომ და, ალბათ, ძველ წესსა და რიგს იცავს, ტრადიციად სახელდებულს.

ვერაფერი პასუხია.

„ლიბანელთ უკან იმიტომაც ჩამოგვიტოვეს, რაკი ზეგაოსანთა ტრადიციებზე დაუარება შეძლეს. როცა მთელი მსოფლიო მოძველებული ხომალდებით დაცურავდა, ლიბანელთ რაღაც ახლის აგება გადაწყვიტეს. ზოგს ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ სამაგიეროდ ნახეთ, რა ხომალდები აქვთ. ახლა ვაჭრობას მთელ მსოფლიოში ეგენი მართავენ. მერე რა ვუყოთ, თუ ეს საქმე კარგა ძვირი დაუჯდათ“.

ადამიანი ბედს ალბათ იმიტომ ატყუებს, რომ ღმერთი ძალიან ეშორება. ღმერთმა ადამიანის სული ისეთ დროებებზე ოცნებებით აავსო, როცა ყველაფა შესაძლებელი იქნება, თვითონ კი სხვა საქმეებს ჩაუჯდა. ქვეყანა გამოიცვალა, ცხოვრება უფრო გაძნელდა, უფალი კი მაინც არ მოდის, რათა ადამიანს ოცნებები შეუცვალოს.

უფალი შორს არის. მაგრამ ძველებურად რახან ისევ გზავნის ანგელოზებს, რათა ისინი თავის წინასწარმეტყველთ დაალაპარაკოს, ჩანს, დედამიწაზე ჯერ კიდევ ბევრი საქმეა. მაშ, აბა, როგორი იქნება პასუხი?

„ჩვენს მშობლებს ალბათ ეშინიათ, რომ იმათი შეცდომები არ გავიმეოროთ. ან იქნებ ისინი სულაც არ ცდებოდნენ და ამიტომ არც შეუძლიათ გასაჭირის ჟამს ჩვენი შეწევნა“.

ცოტაც და, რაღაცას მივხვდებიო, ჰგონებდა.

იქვე სულ ახლოს მიჩუხჩუხებდა დაღარებული ღელე, ცაში ყორნები ბოინობდნენ, დაღალი, ანუ უნაყოფო ქვიშნარიდან ჯიუტად აღმოცენებულიყო ათასგვარი ბალახბულახი. უკეთუ ეს ღელე-ხევი, ეს ყორნები და ეს ბალახბულახი ყურს მიუგდებდნენ თავიანთ წინაპართა ხმას, რას გაიგონებდნენ, რას ეტყოდნენ ის წინაპარნი?

„ხევო და ღელეო, თავს უშველეთ, ეგ თქვენი ანკარა წყალი სხვა კალაპოტში გადააგდეთ, სადაც ბარჩხალა მზე უფრო მხიარულად ააჩუხჩუხებს, თუ არადა, მალე უდაბნო დააშრობს“, — ეტყოდა წყლის ღმერთი, უკეთუ ღმერთები არსებობენ.

„ყორნებო, მეტ საზრდოს ტყეში უფრო იპოვით, ვიდრე ამ კლდეებსა და ქვიშნარში“, — ეტყოდა ფრინველთა ღმერთი.

„ბალახბულახს, აქედან შორს სადმე ჩათესლდი, ქვეყანაზე მიწა ნაყოფიერიც ბევრია და ტენიანიც“, — ეტყოდა ბალახების ღმერთი.

მაგრამ ვერც ქერითის ღელე-ხევს, ვერც ბალახბულახსა და ვერც ყორანთ — ერთ-ერთი იქვე ტოტზე ჩამოჯდა — ვერ გაებედათ იმის ქმნა, რაც სხვა ღელე-ხევებს, სხვა ფრინველებს და სხვა ბალახბულახს არ შეეძლოთ.

ილიამ ყურადღებით შეათვალიერა ყორანი.

— მგონი, რაღაცას ვხვდები, — უთხრა მან ფრინველს, — მაგრამ რაღა დროსია, უკვე სიკვდილმისჯილი ვარ.

— ყველაფერი ძალიან ადვილია, — ვითომ ახლა ყორანმა უთხრა, — გაბედული უნდა იყვე.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიამ გაიცინა, ხუმრობა ხომ არ არის, ყორანი ავამეტყველეო. თავს ირთობდა, მოსწონდა ესეგვარი შექცევა, რომელიც ერთი პურისა მცხობელი დედაკაცისგან ესწავლა. შემკითხველიც თვითონ იყო და მოპასუსეც, როგორც ნამდვილმა ბრძენკაცებმა იციან.

ამასობაში ყორანი ცად აიჭრა. ილია კვლავ იზებელის ჯარისკაცთა ბოლოდინს მიეცა — ერთი სიკვდილი სუყველას უნდა.

ისე დაღამდა, ახალი არცრა მომხდარა. ნუთუ გალაადში დაავიწყდათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ბაალად წოდებული ღმერთის მთავარი მტერი? რატომ არ დაადევნა მდევარი იზებელმა, მით უმეტეს, იცის, სადაც ის იმალება?

„იმას იმისთანა თვალები აქვს, ნამდვილად ბრძენი ქალია, — უთხრა თავის თავს ილიამ, — თუ მოვკვდი, ღვთის წამებულად შევირაცხები. ხოლო თუ ოტებულის სახელი მერქმევა, ყველას ლაჩრად ვემახსოვრები, რომელ ლაჩარსაც თავად არ სჯეროდა, რასაც სხვათა გასაგონად უბნობდა".

დიახამც ესეგვარი ჩანაფიქრი ჰქონდა დედოფალს.

●

**შეღამებამდე** ცოტა ხნით ადრე ისევ მოფრინდა ყორანი — ნუთუ იგივე? — და იმ ტოტზე ჩამოჯდა, სადაც ილიამ უკვე მოიხილა დილით, ყორანს ნისკარტით ხორცის პატარა ნაჭერი ეჭირა. უცებ ძირს დააგდო, ვითომ გაუვარდა, ისე.

ილიამ ეს ამბავი სასწაულად შეიცხადა. ეგრევე მიიჭრა ხესთან აიტაცა ხორცის ნაჭერი და შეჭამა. არც უფიქრია, ჩემთვის უნდოდა ყორანს თუ შეჭმა ველარ მოასწროო, მთავარი იყო, რომ ცოტა დანაყრდა.

ყორანი არ გაფრენილა, რაც უცნაურად ჩანდა.

„ამ ფრინველმა იცის, რომ აქ შიმშილმა უნდა მომკლას, — გაიფიქრა ილიამ, — თავის მსხვერპლსა მკვებავს, რა არის მერმე ინადიმოს".

იზებელიც ეგრეა — ბაალის რწმენას ილიას გაქცევის ამბით კვებავს.

რაღაცა დროის განმავლობაში ორივენი — კაცი და ფრინველი — გაშტერებულნი უცქერდნენ ერთმანეთს. ილიამ ისევ გაიხსენა დილანდელი თამაში.

— დალაპარაკება მინდოდა შენთან, ყორანო. დღეს დილით იმაზე ვფიქრობდი, რომ კვება და საზრდოობა სულისთვისაც აუცილებელია. თუ ჩემი სული შიმშილისგან ჯერეთ არ მომკვდარა, რაღაცა სათქმელიცა აქვს.

ფრინველი არ განძრეულა.

— რაღაცა სათქმელი თუკი აქვს, მაშ, უნდა მოვუსმინო. მე შენ გეტყვი, სხვაცა მყავს დამლაპარაკებელი, — განაგრძობდა ილია.

რაც კი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, უხმო და თავი ყორნად გადაიქცია.

— რას ელოდება შენგან ღმერთი? — ვითომ ყორანი იყო, ისე ჰკითხა თავის თავს.

— რას ელოდება და, ჩემს წინასწარმეტყველებას.

— აგრე თქვეს მღვდლებმა. ეგების უფალს ეგ სულაც არ უნდა.

— არა, სწორედ ეგ უნდა. ამიტომაც მომივლინა სახელოსნოში ანგელოზი და აქაბთან ლაპარაკი მანებებინა. ხმები, რომლებიც ბავშვობაში ჩამესმოდა...

— ... რომლებიც ბავშვობაში ყველას ჩაესმის, — გააწყვეტინა ყორანმა.

— მაგრამ ანგელოზებს ყველა ვერა ხედავს, — წართქვა ილიამ.

ამჯერად ყორანს აღარაფერი უპასუხნია. ცოტა ხანში ფრინველმა, ანდა, უფრო სწორად, ილიას სულმა, მზისგან და სიმარტოვისგან ბოძებულმა, დუმილი დაარღვია.

— გახსოვს ის ქალი, პურისა მცხობელი? — ჰკითხა მან საკუთარ თავს.

●

**ახსოვდა,** როგორ არ ახსოვდა. რამდენიმე ხონჩა და სიფლი, ანუ მოგრძო ტაბაკი შეუკვეთა. სანამ ილია შეკვეთილ ხონჩა-ტაბაკს უმზადებდა, პურისა მცხობელმა ქალმა გული გადაუშალა, ჩემი მთავარი საშრომელი ის არის, როგორმე მოვახერხო და გამოვხატო ღმერთისა ჩვენთან ყოფნაო.

— შენს შრომას რომ ვუყურებ, ვხედავ, შენც ამასვე გრძნობ, — განაგრძობდა პურისა მცხობელი ქალი, — სწორედ ამის ნიშანია, მუშაობისას რომ ილიმები.

ის ქალი ადამიანებს ორად ყოფდა, ერთნი შეჰხარიან ცხოვრებას, მეორენი სულ წუწუნებენო. ეს უკანასკნელნი ჰგონებენ, აზრი ცხოვრებისა იმ კრულვაშია, ღმერთმა ადამს რომ დაარისხა: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე იმისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე". ამ ადამიანთ თავიანთი შრომა სიხარულს არ ჰგვრით და მოწყენილნი არიან წმინდა დღეებში, ოდეს უნდა განისვენებდნენ. ისინი უფლისა სიტყვებს იმეორებენ, როგორც თავიანთი უაზრო ცხოვრების გამართლებას, და გულმავიწყობენ, რომ მან აგრეთვე ისიც უთხრა მოსეს: „და მოგცემს უფალი ქვეყანასა ზედა სავსებას, რომლისა შენთვის მოცემაც მან ფიცით აღთქვა მამა-პაპათა შენთა".

— როგორ არა, თვალწინ მიდგას ის ქალი, მართალს მეუბნებოდა. ნამდვილად მიყვარდა ჩემს სახელოსნოში ტრიალი. სუყოველი ტაბლა, სუყოველი სკამი, რომელსაც კი ჩემი ხელით ვაკეთებდი, ცხოვრების გაგებაშიაც მშველოდა და ცხოვრებისავე სიყვარულშიაც. მერე რა ალალად გამენდო, პურს რომ ვაცხობ, თან ველაპარაკები კიდევაცო, მეც აკი, ჩემდა გასაკვირად, მაშინ აღმოვაჩინე, რომ ჩემს ტაბლა-სკამთაც შეეძლოთ გამოლაპარაკება, რახან სულსა და გულს ვაქსოვდი, სანაცვლოდ სიბრძნეს მომაგებდნენ.

— შენ რომ ვინმე დურგალი ყოფილიყავი, ხურო, ვერაფერში სულსა და გულს ვერ ჩააქსოვდი, ვერც მოლაპარაკე ყორნად გადაიქცევდი თავს და ვერც იმას მიხვდებოდი, რომ იმაზე უფრო უკეთესი და ჭკუადახედული ხარ, ვიდრე თავად გგონია, — ცხადად გაიგონა ვასუხი, — სწორედაც სახელოსნოში შეიგნე: ყველაფერი კურთხეული და დალოცვილია, რაც რამ შენ გარშემოა.

— მე ყოველთვის მომწონდა იმის წარმოდგენა, რომ ჩემი ხელითვე ნაოსტატარ ტაბლებსა და სელ-სკამებს ველაპარაკებოდი, სხვა არცრა მიგრძნია. ის დედაკაცი მართალს მეუბნებოდა. როცა კი იმ ჩემს ნახელავთ დავლაპარაკებივარ, ჩემთვისვე ჩვეულებრივ ისეთი რამ აღმომიჩენია, რაც ადრე თავში არც მომსვლია. ხოლო მერმე, როცა უკვე მივხვდი, რომ ჩემი შრომით ღმერთის სამსახური შემეძლო, ანგელოზი გამომეცხადა, და რაღა გითხრა... ყველაყა თავად უწყი, რა როგორ დამთავრდა.

— ანგელოზი იმიტომ გამოგეცხადა, რაკი მზად იყავი, — მიუგო ყორანმა.

— მე კარგი ხურო ვიყავი, ხელგამომავალი.

— ეგ შენი გაკვეთილისა ოდენ ნაწილია. როცა კაცი თავისი ბედილბლის გზით მიდის, არაერთხელ უწევს მიმართულების შეცვლა. ხანისად გარეშე რამ ვითარება თუ გარემოება ისეთი ძლიერია, კაცს რაღაცრალაცის დათმობა უწევს. ეს ყველაფერი ნაწილია გაკვეთილისა.

ილია ყურადღებით უსმენდა, რას ეუბნებოდა თავისი სული.

— მაგრამ შენი ოცნების დავიწყება არ შეიძლება. თუნდაც ხან დარწმუნებულიც იყვე, რომ ვილაც სხვა და გინდ მთელი ქვეყანა შენზე უფრო მეტად ძლიერია. აქ ერთი მუღამია: არ უნდა დანებდე.

— წინასწარმეტყველება არცროდის მიფიქრია, — წართქვა ილიამ.

— გიფიქრია. ოღონდ შეუძლებლად მიგაჩნდა, ხანაც საშიშრად. ანდა წარმოუდგენლად.

ილია წამოდგა.

— რატომ მელაპარაკები იმას, რის გაგონებაც არ მინდა? — წამოიყვირა მან.

ყვირილმა დააფრთხო ყორანი, და აფრინდა.

●

**დ**ილით ყორანი კვლავ მოფრინდა. იმის მაგივრად, რომ დალაპარაკებოდა, ილიამ დაკვლევა დაუწყო: ფრინველი მუდმივ ახერხებდა თავისთვის რაღაცა საზრდოს შოვნას და ნარჩენები ილიასთვის მოჰქონდა.

კაცსა და ფრინველს შორის თავისებური მეგობრობა გაიბა. ილია ფრინველისგან სწავლობდა. ყორნის ზვერვა-თვალთვალში გულისხმაში ჩავარდა, რარიგ შეიძლებოდა უდაბნოში საზრდელისა მოპოვება, და მიხვდა, რომ კიდევ რამდენიმე დღე შეეძლო თავის გატანა, უკეთუ ისევე მოიქცეოდა, როგორაც ყორანი. როცა ყორანი ცაში კამარასა კრავდა, ილიამ უკვე იცოდა, რომ მსხვერპლს დასტრიალებდა, და იქით გაიქცეოდა ხოლმე, რა არი ის მსხვერპლი პირველს ჩაეგდო ხელში.

თავიდან მცირე ნადირნი უსხლტებოდნენ, თავს არ აჭერინებდნენ, მაგრამ თანდათან გაიწაფა და ველარ გაურბოდნენ. ხის ტოტს ისე მოივარგებდა, როგორც მახვილსა რასმე, თხრიდა ორმო-ხაფანგებს და ზემოდან ფიჩხს აფარებდა, თხლად ქვიშაწაყრილს. მსხვერპლი მახეში რომ ვაებმებოდა, ილია ნადავლის ნაწილს ყორანს უყოფდა, ნაწილს კი სატყუარად ინახავდა.

მაგრამ მარტოობას ველარ უძალიანდებოდა, და კვლავ წარმოიდგინა, რომ ფრინველს ელაპარაკებოდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ყორანმა.

— ვინ ვარ და, კაცი ვარ, ვინაც სიმშვიდე მოვიპოვე, — უპასუხა ილიამ. — მე შემიძლია უდაბნოში ცხოვრება, საკუთარი არსებობისთვის ზრუნვა და ღმერთისგან შექმნილი მარადიული სილამაზის ჭვრეტა. მე შევიტყვე, რომ უფრო უკეთესი სული მიდგას, ვინემ მეგონა.

ისინი კიდევ მთელი ერთი თვე განაგრძობდნენ ნადირობას და ერთხელაც, როცა ილიას დაღამებულზე ნაღველი შემოაწვა, კვლავ დაეკითხა თავის თავს:

— ვინა ხარ?

— არ ვიცი.

●

**კიდევ** ერთი მთვარე მიიცვალა და კვალად ახალი იშვა ცაზე. ილია გრძნობდა, რომ ჯანი მოუმაგრდა, გონება კი გაუნათდა. იმ ღამეს მან ისევ მიმართა ყორანს, რომელიც, როგორც ყოველთვის, თავის ტოტზე ჩამომჯდარიყო და იმდღევანდელ კითხვაზე უპასუხა:

— მე წინასწარმეტყველი ვარ, სახელოსნოში ვმუშაობდი, ანგელოზი რომ მეჩვენა, და მთელი ქვეყნიერებაც თუ გადამიდგება და მეტყვის, ეგრე არ არისო, მაინც ჩემს აზრზე დავრჩები, უკვე კარგად ვიცი, რისი თავიცა მაქვს. ჩემს ქვეყანაში წინასწარმეტყველნი ჩემი გულისთვის ამოხოცეს, რაკი მეფისა გულის მურაზს წინ აღვუდექი. აწ უდაბნოში ვარ, ადრე კი სახელოსნოში ვიყავი. რამეთუ სული ჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, კაცმა ათასი რამ განსაცდელი უნდა გაიაროს, სანამ თავის დანიშნულებას აღასრულებდესო.

— ეგრეა, აწ უკვე იცი, ვინცა ხარ, — მიუგო ყორანმა.

იმ ღამით, ნადირობიდან რომ დაბრუნდა, ილია წყალზე ჩავიდა დასალევად და დაინახა, რომ ქერითის ხევი დამშრალიყო. დაქანცულს თითქოს წყურვილმაც გადაუარა და დასაძინებლად დაწოლა ამჯობინა.

ძილში მფარველი ანგელოზი გამოეცხადა, რომელიც ილიას უკვე დიდი ხანი არ ენახა.

— უფლისა ანგელოზი ელაპარაკა სულსა შენსა, — უთხრა მფარველმა ანგელოზმა, — და უბრძანა:

„წადი აქედან და აღმოსავლეთისკენ იარე, მიიმალე ქერითის ხევში, იორდანეს გასწვრივ რომ არის.

იმ ხევიდან სვი წყალი, ყორნებს კი ვუბრძანებ, რომ იქაც გასაზრდოონ“.

— გაიგონა ჩემმა სულმა, — წართქვა ილიამ ძილში.

— მაშ, გაილვიძე, რამეთუ უფლისა ანგელოზი წასვლას მიბრძანებს და თავად უნდა შენთან ლაპარაკი.

ილია შეშინებული წამოვარდა. რა მოხდა?

ღამე იყო, მაგრამ გარშემო ყველაფერი ჩახჩახებდა და გამოჩნდა უფლისა ანგელოზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ რამ მოგიყვანა? — ჰკითხა ანგელოზმა.

— შენ მომიყვანე.

— არა, იზებელმა და იმისმა მეომრებმა გაოტეს. ამას ნურასოდეს იგულმავიწყებ, რამეთუ შენი დანიშნულებაა ღმერთისა შენისა დაცვა.

— მე წინასწარმეტყველი ვარ... გხედავ, წინ მიდგეხარ და შენი სმაც მესმის, — უთხრა ილიამ, — ბევრჯერ გადავუსვიე გზიდან, რაც სხვათაც უქნიათ, მაგრამ აწ მზადა ვარ, სამარიაში წასასვლელად და იზებელის შესამუსრავად.

— გზა შენი გიპოვნია, გარნა ვერცრისა დაქცევასა შეიძლებ, სანამ ხელახლად აშენებასა არ ისწავლი. მიბრძანებია:

„ადექი და წადი სიდონისა სარეპტაში და იქ იცხოვრე.

ნაბრძანები მაქვს, იქ ერთი ქვრივი ქალისთვის, რომ გასვას და გაჭამოს“.

მეორე დილით ილიამ ძებნა დაუწყო ყორანს, რათა დამშვიდობებოდა. იმ დღის მერე, რაც ის ქერითის ღელე-ხევს შეეხიზნა, პირველად არ მოფრინდა ყორანი.

●

**ილიამ** რამდენიმე დღე კეცა გზა, სანამ ერთ ტაშირს არ მიადგა, სადაც იყო ქალაქი სარეპტა, იქაურთაგან აქბარად სახელდებული. სად იყო, სად არა, უკვე ილაჯგაწყვეტილმა და ღონემიხდილმა მავან შავოსან ქალს მოჰკრა თვალი; ქალი ფიჩხს აგროვებდა, ტაშირი ჯაგნარიანი იყო და იმ მხარეში, ეტყობა, ფიჩხიც შეშობდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ილიამ.

ქალმა ერთი ახედა უცხო ქვეყნის კაცს და უცებ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა.

— იქნება ერთი დოქი წყალი სადმე გამიჩინო, — უთხრა ილიამ, — კარგს იზამ, ცოტა პურსაც თუ მოაყოლებ.

ქალს სმა არ გაუცია, ფიჩხის გუდურა ძირს დადო.

— ნუ გეშინია, — განაგრძობდა ილია, — მარტოკაცი ვარ, მშიერ-მწყურვალი. რომც მინდოდეს, წყენინების თავიც არა მაქვს.

— აქაური არა ჩანხარ, — ენა გამოაგო ბოლოს ქალმა, — ისეთი ლაპარაკი გაქვს, ისრაელის სამეფოდან უნდა იყვე. რომ მიცნობდე, ვინცა ვარ, ცარიელ-ტარიელ ქალს თხოვნას არ დამიწყებდი.

— როგორც უფალმა მამცნო, ქვრივი ხარ. შენზე ცარიელ-ტარიელი მე ვარ. თუ ცოტა პური და წყალი არ მომაშველე, სული ამომივა.

ქალი შიშმა შეიპყრო: რა იცის ამ უცხო ქვეყნის კაცმა, მე ვინა ვარო?

— კაცი ხარ, უნდა გცხვენოდეს, მაჭამეო, ქალსა მთხოვ, — უთხრა გონზე მოსულმა ქალმა.

— მოისხი მადლი, გაიგონე, რასაცა გთხოვ, — მუდარა დაუწყო უკვე გადასაქცევად აბარბაცებულმა ილიამ, — როგორც კი კარგად გავხდები, შენთვის გავირჯები.

ქალს გაეცინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წელან რალაც მართლისებური მითხარი: მართლა ქვრივი ვარ, ქმარი დამელუპა. გემს გაჰყვა საზღვაოსნოდ და აღარ დაბრუნებულა. ოკეანე ჩემს დღეში თვალით არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ისიც ის არის, რაც უდაბნოა, — ვინც წინ აღუდგება, ყველას სიცოცხლეს უსწრაფებს.

და განაგრძო:

— აწ კი მართლისებურსაც აღარ უბნობ. ღმერთსა ბაალსა ვფიცავ, მეხუთე მთასა ზედა მსახლობელსა, თუ პურის ნატამალი მედოს. ფოხალში ერთი მუჭა ფქვილიღა მიყრია და ლიტრაშიც ცოტაოდენი ზეთიღა მიდგას, სულ ეს არის ჩემი სარჩო-საბადებელი.

ილიას თვალწინ ყველაფერი აჭრელდა, მიხვდა, გონებას კარგავდა, როგორც იყო, შერჩენილი ძალ-ღონე მოიკრიბა და ამოილუღლუღა:

— არ ვიცი, სიზმრებისა გჯერა თუ არა და არც ის ვიცი,მე მჯერა თუ არა, მაგრამ უფალმა თავად მითხრა, რომ აქ მოვიდოდი და შენ შეგხვდებოდი. ჩემს ცხოვრებაში მომხდარ ზოგიერთ ამბავს უფლისა სიბრძნეში კი დავუეჭვებივარ, მაგრამ უფლისა არსებობაში არა. თავად ისრაელის ღმერთმა მიბრძანა, ქალსა, რომელსაც სარეპტაში შეხვდები, აგრე უთხარიო:

„... ფოხალში ფქვილი არ გამოილევა და ლიტრაში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მოიყვანს ამქვეყნად“.

ილიამ ვეღარ მოასწრო ახსნა, როგორ შეიძლებოდა ასეთი სასწაულის მოხდენა, ერთი წატორტმანდა და უგრძნობლად დაეცა.

ქალი შემცბარი დასცქეროდა ფერხთით დაცემულ მამაკაცს. მან იცოდა, რომ ისრაელის ღმერთი ოდენ ლეგენდა იყო, სიძლიერით ფინიკიურ ღმერთებთან ვერ მოვიდოდა. სწორედ თავისმა ღმერთებმა გადააქციეს ფინიკია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად. მაგრამ ქალს ერთი სულ სხვა რამ სიამოვნებდა: მოწყალებას ჩვეულებრივ ის სხვათაგან ითხოვდა, დღეს კი, კარგა ხნის მანძილზე პირველად — სხვას დასჭირდა მისი დახმარება. ამან, ცოტა არ იყოს, გააამაყა ქვრივი: ესე იგი, ქვეყნად ჩემზე გაჭირვებული ხალხიც ყოფილაო.

„უკეთუ ჩემგან ხელისა აპყრობას ითხოვენ, მაშ, აბა, ჯერეთ კიდევ საჭირო ვყოფილვარ ამქვეყნად, — ფიქრობდა ქალი. — რა ვქნა, რალაც უნდა ვიღონო, იქნებ ცოტა მაინც შევუმსუბუქო სატანჯველი. შიმშილით მე ვინ გამაკვირვებს, ვიცი, სულს რასაც უშვრება“.

ქალი წავიდა შინ და მალევე მობრუნდა, ერთი ნატეხი პური და ლიტრით წყალი მოიტანა. წამერთ მუხლებზე დაეშვა და უცხოქვეყნელს წყლით დაუსველა ბაგენი. კაცი ერთ-ორ წამში მოსულიერდა.

ქალმა პური მიაწოდა, და ილიამ ხმაამოუღებლივ შელოღნა, თან თვალს არ აშორებდა ტაშირს, ხეობას და მთებს, ცისა მდუმარებაში

აზიდულთ. ხედავდა სარეპტას წითელ კედლებს, ტაშირზე გამავალ გზას თავს რომ გადმოსდგომოდნენ.

— შემიკედლე, ჩემი ქვეყნიდან გამოძევებული ვაცი ვარ, — წაუმუდარა ილიამ.

— ეგეთი რა ავკაცობა ჩაიდინე? — ჰკითხა ქალმა.

— მე უფლისა წინასწარმეტყველი ვარ. იზებელმა ყველას დახოცვა გრძანა, ვინაც ფინიკიური ღმერთების თაყვანისცემასა უარობს.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდასამისა, — მიუგო ილიამ.

ქალმა სიბრალულით შეხედა თავის წინ მდგომ ჭაბუკს, რომელსაც გრძელი დაუბანელი თმა და თხელი წვერი ჰქონდა, თითქოს უნდოდა, რომ თავის წლებზე მეტად უფროსი გამოჩენილიყო. ნეტავ რის თავი აქვს ამ უბედურს, რამ აამხედრა ქვეყნად ყველაზე უფრო ძლიერი დედოფლის წინააღმდეგ.

— შენ თუ იზებელის მტერი ხარ, ჩემი მტერიცა ხარ. სიდონელი მეფის ასულია. მაგას შუბლზე ეწერა, რომ თქვენს მეფეს ცოლად უნდა გაჰყოლოდა და თქვენი ხალხი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია. ვინც კი იცნობს, სუყველა აგრე ლაპარაკობს.

ქალმა ილია ერთ-ერთი მთის მწვერვალისკენ გაახედა, რომელი მთებიც თითქოს შემოჩარჩოებოდნენ ტაშირს.

— ჩვენი ღმერთები უკვე კარგა ხნის ბინადარნი არიან აიმ მეხუთე მთის მწვერვალისა და კარგად უწყიან, რარიგ უნდა დაიცვან მშვიდობიანობა ჩვენს ქვეყანაში. ისრაელი კი ომებსა და ათას უბედურებას არის გადაყოლილი. მაინც რამ გარწმუნებინათ ამდენ ხანს ერთიანი ღმერთი? დააცადეთ იზებელს თავისი საქმნელისა ქმნა და ნახავთ, რომ თქვენს ქალაქებშიც ჩამოვარდება მშვიდობიანობა.

— მე თავად ღმერთმა გამაგონა თავისი ხმა, — უთხრა ილიამ, — თქვენ კი არცროდის ასულხართ მაგ მეხუთე მთისა მწვერვალზე და არ იცით, მანდ რა არის.

— ვინც ამ მთაზე ავა, ციური ცეცხლისგან დაიწვის. ღმერთებს უცხონი არ უყვართ.

ქალი გაჩუმდა. მოაგონდა, რომ წუხელ ძილში ბდღვრიალა შუქი ეზმანა. საიდანღაც შუქის ნიაღვრიდან ხმა მოისმოდა: „შ ე ი კ ე დ ლ ე უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ლ ი, ვ ი ნ ც ა ძ ე ბ ნ ა ს დ ა გ ი წ ყ ე ბ ს“.

— შემიკედლე, თუ ქალი ხარ, სად გავათენო, არ ვიცი, — კვლავ შესთხოვა ილიამ.

— აკი გითხარი, უქონელი ვარ-მეთქი. მე და ჩემს ბიჭსაც ძლივს გაგვაქვს თავი.

— უფალმა ინება, რომ შენს ჭერქვეშ გემყოფებინე. უფალს ვინც უყვარს, თავსა არცროდის ანებებს. შემივრდომე, ისმინე ჩემი თხოვნა. შენი მსახური გავხდები. ხურო კაცი ვარ, კედრისა დამუშავება ვიცი, საქმე არ მომაკლდება. უფალი ისე მომავარგებინებს ხელებს, დაპირებულს არ გადავა:

„... ფ ო ხ ა ლ შ ი ფ ქ ვ ი ლ ი ა რ გ ა მ ო ი ლ ე ვ ა, — დ ა ლ ი ტ რ ა შ ი ზ ე თ ი ა რ დ ა ი კ ლ ე ბ ს, ვ ი დ რ ე უ ფ ა ლ ი წ ვ ი მ ა ს ა რ მ ო ი ყ ვ ა ნ ს ა მ ქ ვ ე ყ ნ ა დ“.

— ბევრიც რომ მინდოდეს, ვერც ვერაფერს გადაგიხდი.

— ეგ ნუ განაღვლებს. უფალი მოგვცემს.

მართალია, უცხოქვეყნელი სიდონელი მეფისა ასულის მტერი იყო, მაგრამ წუხანდელი სიზმრისგან აფორიაქებულმა ქვრივმა მაინც დაყოლიება ამჯობინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მთელ** იმ არემარეს უმალ მოედო ილიას ამბავი. ხალხს დაღდალანი გაჰქონდა, ქვრივი კბილქვეშ მოიქციეს, ვიღაც უცხოქვეყნელი ჩაისახლაო, ხსოვნა შეურცხვინა გმირ ქმარსაო, რომელიც თავისი ქვეყნისთვის ახალი სავაჭრო გზების ძიებაში დაიღუპაო.

ავმა მითქმა-მოთქმამ ქვრივის ყურამდეც მიაღწია, და ისიც გავიდა სამეზობლოში, ყველას ცალ-ცალკე უხსნიდა, ეგაო, ისრაელელი წინასწარმეტყველიაო, მშიერ-მწყურვალი იყო, უკვე სიკვდილს ებრძოდაო. ხალხმა იხუა, რომ ქალაქში ისრაელელი წინასწარმეტყველი იმალებოდა, იზებელისგან ოტებული, ვიღაც-ვიღაცები შეიკრიბნენ და უმაღლეს ქურუმს მიადგნენ.

— აქ მომიყვანეთ ის კაცი, — ბრძანა მან.

თქმა და ქმნა ერთი იყო. იმავე დღეს ილია იმ კაცის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ნაცვალთან და მხედართუფროსთან ერთად ყველა საქმეს განაგებდა აქბარში.

— რაღა მაინცდამაინც ჩვენი მიწა-წყალი აირჩიე? — დაეკითხა ქურუმი, — ნუთუ იმდენი არ გესმის, რომ მტერი ხარ ჩვენი ქვეყნისა.

— მე ლიბანთან ძველი ურთიერთობა მაქვს. აქაურ ხალხსაც ვაფასებ და სუყოველ წეს-ჩვეულებასაც. აქ იმიტომ ვარ, რომ ისრაელში მდევნიდნენ.

— მაგ დევნის მიზეზიც ვიცი, — უთხრა ქურუმმა, — ქალს გამოექეცი, არა?

— ის ქალი ყველაზე უმშვენიერესი არსებაა, რომელიც კი ოდესმე მინახავს სიცოცხლეში, მაგრამ გული ქვისა აქვს, მწვანედ თვალების უფსკრულში კი მტერი უზის, რომელ მტერსაც ჩემი ქვეყნის დაქცევა სწადს. მე არ გამოვქცეულვარ, შესაფერის დროს ვუცდი, რომ დავბრუნდე.

ქურუმს გაეცინა:

— მაშ, აბა, დარჩენილი სიცოცხლე აქბარში გაგიტარებია და ეგ არის. ჩვენ არ ვეომებით შენს ქვეყანას; ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მშვიდობიანად განვავრცელოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება მთელ ქვეყანაზე. ჩვენ არ გვინდა იმ სიმხეცის განმეორება, რაც თქვენ ქანაანში შეჭრილთ ჩაიდინეთ.

— განა წინასწარმეტყველთა ამოხოცვა მშვიდობიანი გზაა?

— თავმოკვეთილი ურჩხული კვდება. ცოტანი კი დაიხოცებიან, მაგრამ სამაგიეროდ სარწმუნოებისთვის არცროდის აღარავინ იომებს. როგორც ვაჭრებმა მიამბეს, ვინმე წინასწარმეტყველი ყოფილა, სახელად ილია, ყველაფერი იმას დაუწყია და ოტებულა.

სანამ საუბარს განაგრძობდა, ქურუმმა თვალები მიაშტერა ილიას:

— შენისთანა ვინმე იქნებოდა.

— ჩემისთანა კი არა, მე ვარ, — მიახალა ილიამ.

— ძალიანაც კარგი. კეთილი იყოს შენი ფეხი აქბარში! როცა იზებელისგან დაგვჭირდება რამე, საფასურად შენს თავს მივართმევთ, უკეთეს ძღვენსა ვერც მოვიგონებდით. ჯერჯერობით კი საქმეს მიხედე, ხელი თუ არ გაანძრიე, ისე არავინ გაჭმევს, აქ წინასწარმეტყველთ გასავალი არა აქვთ.

ილია უკვე მზად იყო წასასვლელად, რომ ქურუმი კვლავ აძახდა:

— ჩანს, სიდონელი ყმაწვილქალი უფრო ძლიერი გამოდგა, ვინემ შენი ერთიანი ღმერთი. მან ბაალისთვის სამსხვერპლო ააგებინა, საზორავი, და იუდეველნი მღვდელნი აწ ფეხთ ეგებიან.

— ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ღმერთს უნდა, — მიუგო წინასწარმეტყველმა, — ჩვენს ცხოვრებაში ბევრი უბედურება ხდება, რომელთა არიდება არცვის ძალგვიძს, მაგრამ ყველაფერი რაღაც მიზეზისა გამო ხდება.

— მაინც რა მიზეზისა გამო?

— მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა არცვის ძალუძს, არც უბედურებისა მოხდენამდე და არც მომხდარი უბედურებისა დროს. როცა თავს დატეხილ უბედურებასა და ვაი-ვაგლახს გადავიტანთ ხოლმე, მერელა ვხვდებით, რა რისთვის ყოფილა თურმე საჭირო.

●

**ილია** წავიდა თუ არა, ქურუმმა იმ მოქალაქეთა მოყვანა ბრძანა, იმ დილით იქ რომ იყვნენ.

— არ იჯავროთ, — უთხრა ქურუმმა, — ჩვენი წესისა და რიგის თანახმად, უცხოქვეყნელს ჭერს ვერ დავუჭერთ. გარდა ამისა, სულ თვალქვეშ გვეყოლება, უჩვენოდ ფეხს ვერ გალაადგამს. მტრისა გამოცნობა თუ გინდა, უნდა დაუმეგობრდე, ამის უკეთესი ხერხი ჯერ არ მოუგონიათ, როცა საჭირო დრო დადგება, ავდგებით და იზებელს გავუგზავნით, რის სანაცვლოდ ჩვენი ქალაქი ოქროსაც მოინაგრებს და ათას სხვა წყალობისა სიგელსაც. მანამდე კი უნდა გავიგოთ, როგორ ჩავუშალოთ ჩანაფიქრი. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, თვითონ როგორ მოვსპოთ.

თუმცალა ილია ერთიან ღმერთსა ეთაყვანებოდა და ამიტომ მეფის ასულის მტერი იყო, მაგრამ უმაღლესმა ქურუმმა მაინც სტუმართმოყვარეობის წესის დაცვა მოითხოვა, რამეთუ ძველი ხალხისგან იცოდნენ: ვინცა მგზავრსა არ შეიფარებდა, ოდესმე იგივე ამბავი ელოდა იმის რომელსამე შემდგომად ნათესავსა. იმხანად სადღა არ ნახავდით დედამიწისა ზურგზე ფინიკიელთა დიდ სავაჭრო ხომალდიონის მიერ მიმოფანტულ აქბარელ მოქალაქეთა შვილებს, ამიტომაც ძველი წესისა და ჩვეულების დარღვევას აგრე ადვილად ვერავინ ბედავდა.

გარდა ამისა, შორს არ იყო ის დღე, როცა იუდეველი წინასწარმეტყველის თავს კარგა მოზრდილ ოქროს ზოდებში გაცვლიდნენ.

იმ საღამოს ილიამ ქვრივთან და იმის ბიჭთან ერთად ივახშმა. რამდენადაც ამიერიდან ისრაელელი წინასწარმეტყველი ძვირად ღირებულ საქონლად თუ მონაგარ ნივთად იქცა, ზოგ-ზოგ ვაჭრებმა ისინი საწოვაგე გამოუგზავნეს, ოჯახს მთელი ერთი კვირა ეყოფოდა.

— ჩანს, ისრაელის ღმერთი ასრულებს თავის სიტყვას, — თქვა ქვრივმა, — ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ ჩვენი ჭაბალი ცარიელდის ყოფილა ასერიგად უხვი, როგორც დღესა.

4.

**ილია** ნელ-ნელა ეჩვეოდა სარეპტაში ცხოვრებას. სხვა მცხოვრებივით, ისიც აქბარს ეძახდა ქალაქს. მან უფრო ახლოს გაიცნო ნაცვალი, მხედართუფროსი, უმაღლესი ქურუმი და მთელ ქვეყანაში სახელგავარდნილი მეშუშე ოსტატნი. როცა ვინმე ეკითხებოდა, აქ რას აკეთებო, ის მართალს ეუბნებოდა: იზებელი ისრაელში წინასწარმეტყველთ მუსრს ავლებსო.

— შენ მოღალატე ხარ შენი ქვეყნისა, და ფინიკიის მტერი ხარ, — ეუბნებოდნენ აქბარელნი, — მაგრამ ჩვენ ვაჭარი ხალხი ვართ და ვიცით, რაც უფრო საშიშია კაცი, მით უფრო ძვირად ფასობს იმისი თავი.

ასე გაიარა რამდენიმე თვემ.

5.

**ტაშირის** მისავალთან ასირიელთა რამდენიმე რაზმმა ბანაკი დასცა. როგორც ჩანდა, გარკვეული დროით იქ გაჩერებას ეპირებოდნენ. ეს იყო მეომართა პატარა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მხედართუფროსმა მაინც სთხოვა ნაცვალს, ილონე რამეო.

— ჯერ ცუდი არაფერი უქნიათ, — მიუგო ნაცვალმა, — აქ ალბათ სავაჭრო საქმეებისთვის არიან, როგორაც ჩანს, უფრო მოსახერხებელ გზებს ეძებენ თავიანთი საქონლისთვის. თუ ჩვენი გზების გამოყენებას იზრახვენ, გადასახადს გადაიხდიან, და კიდევ უფრო გავმდიდრდებით. რის გულისთვის უნდა ვეჩხუბოთ?

და უცაბედად, ისე, რომ არავითარი ხილული მიზეზი არა ჩანდა, ქვრივის ბიჭი შეუძლოდ შეიქნა. სულ მაგ უცხოქვეყნელის შემოკედლების ბრალიაო, ჭორხაბარობდა ხალხი, და ქვრივმა წასვლა სთხოვა ილიას, მაგრამ ილია არ წასულა, რამეთუ უფალს ჯერ არ ეხმო. მაგანაო მეხუთე მთის ღმერთები განარისხაო, დაირხა ხმები.

ნაცვალი ჯერჯერობით როგორლაც ახერხებდა ჯარის შეკავებას და ხალხის დაშოშმინებას. — ყველას ეგონა, სადაც არის, ასირიელნი შემოგვეჭრებიანო. მაგრამ რაც ქვრივის ბიჭი ავად გახდა, ნაცვალს სულ უფრო უჭირდა იმათი დაშოშმინება, ვინც ილიაზე აღრეენილი იყო.

**რამდენიმე** აქბარელმა თავი მოიყარა და მივიდა ნაცვალთან.

— მაგ ისრაელელს სულაც ქალაქის კედლებს გარეთ ავუშენებთ სახლს, — თქვეს აქბარელებმა, — არცალა სტუმარმასპინძლობის წესს დავარღვევთ და ღმერთების რისხვასაც ავიცილებთ. ღმერთებს არ სიამოვნებთ მაგ კაცის აქ ყოფნა.

— დაუტევეთ, სადაც არის, — უთხრა ნაცვალმა, — ისრაელთან ურთიერთობას ნუ გამაფუჭებინებთ.

— ეგ როგორ? — დაეკითხნენ აქბარელები, — იზებელი ხომ სდევნის და ელეტს იმ წინასწარმეტყველთ, ვინც ერთიან ღმერთს ეთაყვანება.

— ჩვენი მეფის ასული გაბედული ქალია და ერთგულია მეხუთე მთის ღმერთებისა, მაგრამ ამჟამ რა ძლიერიც არ უნდა იყოს, ისრაელელი მაინც არ არის. ვინ იცის, ხვალ იქნებ შერისხონ კიდეც და მეზობელთაგან სიავეს ველარ გადავურჩებით. უკეთუ დაინახავენ, ჩვენს წინასწარმეტყველს კარგად ექცევიანო, მოწყალე თვალით შემოგვხედავენ.

მოსახლენი უკმაყოფილონი წავიდნენ, ჩანს, ტყუილად გვპირდებოდა, მალე ოქროსა და სხვა რამ წყალობაზე გავცვლითო. ნაცვალი მართლაც ატყუებდა, მაინც ვერაფერს უზამდნენ. ჩვეულება მოითხოვდა, ნაცვალი თავის ოჯახიანად პატივში ჰყოლოდათ.

## 6.

**ასირიელთა** ბანაკში სულ ახალი და ახალი კარვები ჩნდებოდა. მხედართუფროსი შეშფოთებული იყო, მაგრამ ქურუმისა და ნაცვლისგან მხარდაჭერას ვერა პოულობდა. მეომრებს სულ მზადყოფნაზე ეჩიჩინებოდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ გამოუცდელობისა გამო არა მხოლოდ ისინი, არამედ იმათი მამა-პაპანიც ვერაფერი მებრძოლები იყვნენ. ომები აქბარს უკვე ძველისძველ მოგონებადღა შემორჩენოდა, უცხო ქვეყნებს ახალი იარაღიც უკეთესი ჰქონდათ და ახალი ტექნიკაც, მხედართუფროსი მარტო სამხედრო ხერხებითა თუ სიბრძნით, ცხადია, ვერას გახდებოდა.

— აქბარს სამშვიდობო მორიგება არცროდის უჭირდა, — ეუბნებოდა ნაცვალი, — არც ამჯერად დაგვესხმის ვინმე. სხვა სახელმწიფოებმა იომონ, რამდენიც უნდათ, ებრძოლონ ერთმანეთს. ჩვენ უფრო ყოვლისშემძლე იარაღი გვივის — ფული. როცა ისინი ბოლოსა და ბოლოს ერთურთს შემუსრავენ, ჩვენ შევალთ იმათ ქალაქებში და ვივაჭრებთ, მე შენ გეტყვი, საქონელი არა გვაქვს.

ნაცვალმა მოახერხა ასირიელთა გამოისად აჩოჩქოლებული ხალხის დამშვიდება. მაგრამ ხმა დადიოდა, მაგ ისრაელელმა დაატეხა აქბარს ღმერთების რისხვაო. ილია სულ უფრო და უფრო არასასურველი ლტოლვილი ხდებოდა.

ერთ დღესაც ქვრივის ბიჭი გადადებული გახდა. ველარც ფეხზე დგებოდა და ველარც მნახველებსა სცნობდა. მზის დახდომის წინ ილია და ქვრივი მუხლებზე დაეცნენ ბიჭის საბან-გობანთან.

— ღმერთო ყოვლადძლიერო, შენ განმარიდე ჯარისკაცის ისარსა და შენვე მომიყვანე ამ ქვეყანაში. იხსენი ეს ცოდვისაშვილი! ცუდი არცრა უქნია, არცა ჩემსა ცოდვაში ურევია და არცა ეძებენ თავის დედმამისაში, იხსენი, ნუ გაწირავ!

ბიჭი თითქმის არც განძრეულა, ტუჩები გასთეთრებოდა, თვალები ჩაჰქროობოდა.

— შეევედრე შენს ერთიანს ღმერთსა! — შესთხოვა ქალმა, — მარტო დედამ იცის, როდის ეყრება შვილის სხეულსა სული.

ილიას უნდოდა ქალისთვის ხელის ჩაჭიდება და თქმა, მარტო არა ხარ, ყოვლადძლიერი ღმერთი აუცილებლად შეისმენს შენს მუდარასო. წინასწარმეტყველია, დაეჯერება, თავის ხვედრსა ჯერეთ კიდევ ქერითის ღელე-ხევთან დაემორჩილა და ახლა გვერდით ანგელოზები ედგნენ.

— ცრემლი გამიშრა, — განაგრძობდა ქალი, — თუ სიბრალული არ იცის, თუ ვილაცის სიცოცხლეს თხოულობს, უთხარი, მე წამიყვანოს იმ დალოცვილმა, ოღონდ ჩემს შვილს ნუ მოუშლის ჩვენი ტაშირის ხილვასა და აქბარის შუკა-ქუჩებში სიარულს.

ილია ცდილობდა, მთელი გულისყური ლოცვაზე გადაეტანა, მაგრამ მწუხარება დედისა ისე უზღვრო იყო, თითქოს ოთახში აღარ ეტეოდა და კედლებს გარეთაც აღწევდა.

მერმე ბავშვის სხეულს შეეხო: სიცხე არა ჰქონდა, რაც ავად ენიშნა.

●

**იმ** დილით ქურუმი კვლავ მოვიდა და ბიჭს მკერდზე რაღაც ბალახბულახი მტლად დაადო. ის უკვე მთელი ორი კვირა ნახულობდა ავადმყოფ ბავშვს. აქბარელ ქალებს ყოველდღე მოჰქონდათ ძველთაგან ათასგვარი რამ წამლეულობა, ცნობილი, რომელთა სამკურნალო ძალასაც მრავალნი მოერჩინა. ისინი ცისმარე დღე იკრიბებოდნენ მეხუთე მთის ძირას და შესაწირავი მიჰქონდათ, რათა სული ბიჭისა სხეულს არ გაჰყროდა.

ერთმა ეგვიპტელმა ვაჭარმა, რომელსაც ცოტა ხნით შეევლო აქბარში და ბავშვის ავადმყოფობა მძიმედ განეცადა, სრულიად უნაცვალგებოდ გაუგზავნა ძალიან ძვირად ღირებული წითელი ფხვნილი რამ წამალი, რომელიც ავადმყოფის საჭმელში უნდა არეულიყო. გადმოცემით, ამ ფხვნილის დამზადების წესი თვითონ ღმერთებს ესწავლებინათ ეგვიპტელ მკურნალთათვის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ილია უსუსტრად ლოცულობდა. მაგრამ ბიჭს არა შველოდა რა.

●

— **მე** ვიცი, რატომაც დაგარჩინეს აქა, — კვლავ აძრახდა ქალი. უძილო ღამეების შემდეგ ხმა მისუსტებოდა. — ვიცი, შენი თავისთვის

წყალობა გველის: ოდესმე ისრაელს გაგაგზავნიან, სანაცვლოდ კი ოქროს მოგვანაგრებენ. უკეთუ შვილს გადამირჩენ, ბაალსა და მეხუთე მთის ღმერთებსა ვფიცავ, შენი დამჭერი ქვეყანაზე არცვინ იქნება. აქ-ბარიდან ისე გაგაპარებ, ადამიანისშვილი თვალს ვერ მოგვრავს. სუყ-ველა ვიცი, სად რომელი ძველი, დავიწყებული გზა გადის.

ილიას ხმა არ ამოუღია.

— ევედრე შენს ერთიან ღმერთსა! — უბრძანასავით ქალმა, — უკეთუ შვილს გადამირჩენს, ვფიცავ, ბაალს განვუდგები და მეც ერთიან ღმერთსა ვირწმენ. უთხარი შენს ღმერთსა, რომ ჭერის მძებნელი შე-გივრდომე. ყველაფა ისე ვქმენ, როგორც თავად ენებებოდა.

ილიამ კვლავ აღავლინა ლოცვა და სულის ხმა ამოაყოლა ღმერ-თის მიმართ ვედრებასა, და ბიჭი უცებ გაიხმრა.

— აქ აღარ მინდა, — ამოილუღლუღა მან სუსტი ხმით.

დედას თვალები გაუბრწყინდა, სიხარულისგან ატირდა.

— სადაც შენ გინდა, იქ წავიდეთ, ჩემო ბიჭო, როგორც შენ გინ-და, ისე ვქნათ.

მოვიქცეთ ან...

ილიამ ატატება დაუპირა ბიჭს, მაგრამ მან ხელი აუკრა.

— მე მარტოს მინდა წასვლა, — წართქვა მან.

ნელა წამოდგა და გვერდით ტიხრულისკენ წავიდა. ორიოდ ნა-ბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ძირს ზღართანი მოიღო, თითქოს მეხმა და მედგარმა განგმირაო.

ილია და ქვრივი მისცვივდნენ: ბიჭი უსულოდ ეგდო. ერთ-ორ წამს არც ერთს ხმა არ ამოუღია. ერთბაშად ქალი აქვითინდა:

— წყეულიმც იყვნენ ღმერთები, კრულვა იმათ, ვინც ჩემი ბიჭის სული წამართვა! კრულვა ამ კაცსა, ვინცა გამიუბედურა ოჯახი! ო, ჩემო დედისერთა ბიჭო! — მოსთქვამდა ქალი, — იმის გულისთვის, რომ ცათა ნება აღვასრულე და უცხოქვეყნელი შევიფარე, შვილი მო-მიკვდა!

მეზობლები უმწეოდ შესცქეროდნენ მგოდვარე ქვრივს, ძირს გა-შხლართულ შვილს რომ დასტიროდა. ქვრივი ხელებს თავში იშენდა, ხანაც წივილ-კივილით მივარდებოდა ისრაელელ წინასწარმეტყველს და გამწარებული ურტყამდა. წინასწარმეტყველი გაშეშებული იდგა და თავის დაცვას არა ცდილობდა. სანამ მეზობელი ქალები ნუგეშინსა სცე-მდნენ საცოდავ დედას, კაცებმა ილიას ხელი სტაცეს და ნაცვალს მიჰ-გვარეს.

— ამ კაცმა მასპინძლის გულუხვობას სიძულვილი მიაგო. ქვრივის სახლი მსახვრელ ძალას დააპყრობინა და შვილი მოუკლა. ღმერთების-გან დაწყევლილი კაცი შეგვიფარებია და ეგ არის.

ისრაელელი ტიროდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა:

— რატომ იზრახე, უფალო, იმ ქვრივის დასჯა, ვინც ეგოდენი სი-კეთე მიყო? რახან შვილი მოუკალი, მაშ, აბა, მე ვერ გისრულებ ნაბრ-ძანებსა და სიკვდილის ღირსი ვარ.

იმავე დღეს მოიწვიეს ქალაქ აქბარის საბჭო ნაცვლისა და ქურუ-მის მეთაურობით. ილია განსასჯელად მიიყვანეს.

— სიყვარული შენ სიძულვილით აანაზღაურე. ამიტომ სიკვდილს ვისჯი, — უგანაჩენა ნაცვალმა.

— **მართალია,** ამისი თავი ერთი ტომარა ოქრო ღირს, მაგრამ მეხუთე მთის ღმერთების რისხვას ნუ გავალვიძებთ, — აძრახა ქურუმი, — და კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ველარავითარი ოქრო ველარ დააბრუნებს სიმშვიდეს ამ ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიამ თავი ჩაღუნა. აწ ყოვლის უფრო საშინელი ტანჯვის ღირსია, როგორიც კი შესაძლოა, რამეთუ უფალმა დაუტევა იგი.

— შენ ახვალ მეხუთე მთაზე, — უთხრა ქურუმმა, — შენდობასა სთხოვ განრისხებულ ღმერთებს. ისინი ცათა ცეცხლს გარდმოავლენენ, რათა მოგკლან შენ. უკეთუ ისინი ამას არ იზამენ, მაშ, აბა, უნდათ, რომ ჩვენთა ხელთაგან აღსრულდეს მართლმსაჯულება. ჩვენ მთის ფერდობზე დაგელოდებით და ხვალვე სიკვდილით დაგსჯით, როგორც ჩვენი წესია.

ილიას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი საღვთო სასჯელი: მკერდიდან გულსა ამოაცლიდნენ და თავსა მოჰკუეთდნენ. თქმულებისდა თანახმად, უგულო კაცი სამოთხეში ვერ შევა.

— მე რატომ ამირჩიე, უფალო? — ღაღადებდა გახმამყივარებული ილია, თუმცაღა იცოდა, რომ გარშემო მყოფი ხალხი ვერ გაუგებდა, უფლისა რა არჩევაზე უბნობდა განწირული. — განა ვერა ხედავ, რომ შენი ნების აღსრულების ძალა არ შემწევს?

პასუხი არ გაუგონია.

7.

**აქბარელი** კაცები და ქალები ფეხდაფეხ ასდევნებოდნენ ჯარისკაცებს, რომლებსაც მეხუთე მთისკენ მიჰყავდათ ისრაელელი წინასწარმეტყველი. ზოგნი ხმამაღლა იგინებოდნენ, ზოგნიც ქვებს ესროდნენ. ჯარისკაცები ძლივს აოკებდნენ ბრბოს მძვინვარებას. ნახევარ საათში უკვე წმინდა მთის ძირას იყვნენ.

ჯარისკაცები ქვის საზორავებთან შეჩერდნენ, სადაც ხალხს ჩვეულებრივ შესაწირავი მიჰქონდა და შეთქმული საკლავი მიჰყავდა, სადაც თხოვნა და ლოცვა ერთმანეთში ირეოდა. ყველას გულში ჰქონდა ჩავარდნილი ბუმბერაზების ანდრეზი, რომელი ბუმბერაზებიცა ამ მხარეში ცხოვრობდნენ, და აქბარელთ ისინიც კარგად ახსოვდათ, ვინცა რჯულსა გადასულიყო და ციურსა ცეცხლსა დაებუგა. მგზავრნი, რომელთაც ღამით გაევლოთ ტაშირი, ირწმუნებოდნენ, მთის წვერზე მონადირე ღმერთებისა და ქალღმერთების ხორხოცი გვეყურებოდაო.

ღმერთებისთვის ვიწრო ღარიბი თვალით შეხედვა ვერცვის გაებედა, გინდაც ძალიანაც თუ არ სჯეროდა არცრა თქმულება და ანდრეზი.

— იარე, — დაუტატანა ჯარისკაცმა ილიას და შუბის ბურნუკი წაჰკრა, — ბავშვის მკვლელი ისე უნდა დაისაჯოს, როგორაც არცვინ დასჯილა.

●

**ილია** აკრძალულ ადგილს დააცდა ფეხი და მერმე უკვე მთის ალმართს შეუდგა. ცოტა ხანში, აქბარელთა დრტვინვა რომ მინელდა და ყურთ აღარ სწვდებოდა, ილია ქვაზე ჩამოჯდა და ატირდა. იმ დღიდან მოკიდებული, როცა სახელოსნო მოციაგე ვარსკვლავებმა გაუცისკროვნეს, სხვათათვის ის ოდენ უბედურების მომტანი გახდა.

ისრაელში ერთიან ღმერთსა მეტს აღარ ეთაყვანებოდნენ, ამიტომ ფინიკიური ღმერთების კულტი აწ უნდა მომაგრებულიყო. ილიამ ქერითის ღელე-ხევთან პირველსავე ღამეს ამოიჭრა გულში, რომ ღმერთმა ის წამებულად, მარტვილად აირჩია, როგორაც ბევრი სხვა წინასწარმეტყველი.

დასტურად ამისა უფალმა ყორანი გამოუგზავნა, რომელიც მანამ აპურებდა, სანამ ქერითის ღელე-ხევი დაშრებოდა. რატომ გამოუგზავნა მაინცდამაინც ყორანი, უბედურების მაუწყებელი, და არა მტრედი ანდა ანგელოზი? ნუთუ ეს ოდენ ბოდვა იმ კაცისა, რომელსაც თავისი შიშის დამალვა უნდა, ანდა რომელმაც დიდხანს იდგომილა მზეზე? ილიას აწ აღარცრა სჯეროდა: ალბათ ბოროტებამ იპოვა თავისი იარაღი — და ეს იარაღი ის იყო. რატომ მოანებებინა ღმერთმა აქბარში წამოსვლა, იმის მაგივრად, რომ უკან მიბრუნებულიყო და სამაგიერო მიეზღო დედოფლისთვის, რომელმაც ესოდენი ბოროტება მოუტანა ისრაელის ხალხს?

თავს ლაჩრად გრძნობდა, მაგრამ რაც ნაბრძანები ჰქონდა, იმას იქმოდა. ცდილობდა, რომ შეჰგუებოდა და შესჩვეოდა ცხოვრების გზაზე შეხვედრილ უცნობ, თუმცა თავისი გულითადობით ნამდვილად საცნაურ ხალხს, რომლის ასავალ-დასავალსაც თავის წარმოდგენებში ადგილს ვერ უძებნიდა. როცა მიხვდა, ჩემს დანიშნულებას ვასრულებო, ქვრივის ბიჭი სწორედ მაშინ მოკვდა.

— რატომ მაინცდამაინც მე ვისჯები?

●

**ავიდა,** აისიმაღლა, ცოტაც გაიარა და მალე მთის წვერს მოდებულ ნისლში შევიდა. თუკი მოინდომებდა, თავის მდევართაგან გაქცევაც შეეძლო, გარშემო არავინ იყო, არავინ ჩანდა, მაგრამ გაქცევას რა აზრი ჰქონდა? თანაც ფეხებს ველარ იმორჩილებდა, ან სად უნდა გაქცეულიყო, როცა თავის ადგილს მაინც ვერ იპოვიდა ამ უბარაქო წუთისოფელში. გაიქცეოდა და სადაც მივიდოდა, ყველგან თანამდევ უბედურებას მიიტანდა, რასაც კვალად წყევლა და კრულვა მოჰყვებოდა. არა, სანამ ცოცხალია, სანამ პირში სული უდგას, არა და არ მოასვენებს გალმა სოფელში გარდასულთა აჩრდილი. ისევ ის ურჩევნია, რაც მალე ამოჰგლეჯენ მკერდიდან გულს და ეგრევე თავსაც წარკვეთენ.

კვლავ ჩამოჯდა, ამჯერად შედედებულ ნისლში მოექცა. ცოტა მოცდა გადაწყვიტა, რა არი ქვევით დარჩენილთ ეფიქრათ, ვითომ მწვერვალზე იყო ასული. მერმე, ხვალ იქნება თუ ზეგ, ჩავა აქბარში და მდევართ დანებდება.

„ციური ცეცხლი“. ბევრი დაეწვა და დაებუგა ამ ცეცხლს, თუმცა ილია ეჭვობდა, რომ ღმერთი აგზავნიდა ქვეყნად. უმთვარო ღამეებში ანაზდეულად ნაელვარი ალი ბურჯღალ-ბურჯღალ ედება ცის ტატნობს და უეცრად აკიაფებს. შესაძლოა, ეს ნაელვარი ადამიანსაც წვავს, ანდა იქნებ სულაც ერთბაშად კლავს უწვალებლად და უტანჯველად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

**დაღამეგისთანავე** ნისლი გაიფანტა. ქვევით ტაშირის დანახვაც შეიძლებოდა, მოციმციმე აქბარისაც და ასირიელთა ბანაკის კოცონებისაც. ილიას ძაღლის ყეფა და ასირიელების სიმღერა შემოესმა.

— მე მზად ვარ, — უთხრა მან თავის თავს. მე მეგონა, რომ წინასწარმეტყველი ვიყავი და ყველაფერი ვქმენ, რაც კი შემეძლო... მაგრამ არა გამომივიდა რა... და აწ ღმერთსა სხვა ვინმე სჭირდება.

ამის გაფიქრება იყო, და ილიას სხივი რამ დაეცა.

— ციური ცეცხლი!

მაგრამ სხივი არა წვავდა, მხოლოდ დაჰნათოდა. და ხმამ წაროქვა:

— მე უფლისა ანგელოზი ვარ!

ილია მუხლებზე დაეცა და შუბლი მიწას შეახო.

— მე უკვე არაერთჯერ მოგიხილე და გმორჩილებდი კიდეც, — თვალებაუწევლად უპასუხა ილიამ, — შენის ნებით მე ყველგან უბედურება მიმაქვს, სადაც კი ფეხს ვადგამ.

გარნა ანგელოზი განაგრძობდა:

— ქალაქში რომ ჩახვალ, სამჯერ შესთხოვე, რომ ბიჭი კვალად სიცოცხლეს დაუბრუნდეს, უფალი მესამედ თქმულსა შეისმენს.

— რის გულისთვის ვქმნა მე ეგ?

— ღმერთის სიდიადის გულისთვის.

— თუნდაც ყველაფერი ეგრე მოხდეს, მერე ვითომ რა? მე, უკვე დაეჭვებული საკუთარ თავში, ჩემი დანიშნულების ღირსი აღარა ვარ, — მიუგო ილიამ.

— კაცადკაცადსა აქვს თავის დანიშნულებაში დაეჭვების უფლება და დროდადრო გვერდზე გადახვევისაც. ერთადერთი, რისი ქმნაც არა ეგების, ის არის, რომ არ უნდა იგულმავიწყო შენი დანიშნულება. ვისაც საკუთარ თავში ეჭვი არ ეპარება, არაღირსეულია, რამეთუ ბრმად ენდობა თავისთავს და ცუდმედიდობას ეცოდვიანება. საქებარ არს, ვინც შფოთვისა და ბორგვის წუთებს განიცდის.

— წელან თავად ხედავდი, ისიც არ მეჯერებოდა, უფლისა მოციქული თუ ხარ.

— წადი და ქმენ, რაც გითხარი.

## 8.

●

**ქარგა** ხანი გავიდა, სანამ ილია მთიდან ჩამოვიდოდა. იმ ადგილას, სადაც საზორავები იყო, დარაჯებად დაყენებული ჯარისკაცებიღა ელოდნენ, ხალხის ბრბო კი აქბარს მიბრუნებულიყო.

— სასიკვდილოდ მზად ვარ, — წართქვა ილიამ, — მე მეხუთე მთის ღმერთებსა ვთხოვე შენდობა, და ღმერთებმა, სანამ სული და ხორცი შენი გაიყრებოდნენო, იმ შენს შემფარებელ ქვრივთან მიდი და შენი სულის შეწყალება შეევედრეო, მითხრეს.

ჯარისკაცთ ილია უკან ქალაქში მიიყვანეს და ქურუმს [illegible] ჩაბარეს. თან სიტყვასიტყვით ჩაუწიგნეს, ასე და ასე, ღმერთებმა [illegible] ბიანო.

— ისე იყოს, როგორც შენ გინდა, — უთხრა ქურუმმა ტყვეს, — რახან შენდობა ღმერთებისთვის გითხოვია, მაშ, ქვრივსაც უნდა სთხოვო. ოთხი იარალიანი ჯარისკაცი გამოგყვება, გაქცევაზე არც იფიქრო. ოღონდ იცოდე, ვერც დაარწმუნებ და არც მოგიტევებს. მზე აღმოხდება თუ არა, შენც სული აღმოგხდება, ზედ შუა მოედანზე დაგსჯით.

ქურუმს ერთი სული ჰქონდა, იქნებ ვკითხო, რა ნახა მთის მწვერვალზეო. მაგრამ გარს ჯარისკაცები ეხვივნენ, და ხმა აღარ ამოუღია, პასუხმა ემანდ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაგდოსო. მაგრამ გულში უხაროდა, რომ ილია სახალხოდ მოითხოვდა მიტევებას. დღეისა წალმართ აღარცვინ დაეჭვდება მეხუთე მთის ღმერთების ძლიერებაში.

ილია და ჯარისკაცები მალევე მიადგნენ იმ უბადრუკ შუკას, სადაც მან რამდენიმე თვე იცხოვრა. ქვრივის სახლი დაღიავებული იყო, კარ-ფანჯარა ყურ-ყუნწამდის ვანეხვნათ, რა არი, ძველი თქმულებისდა თანახმად, ბიჭისა სულსა მიეტოვებინა იქაურობა და ღმერთებთან ერთად დაევანებინა. ბიჭის ცხედარი სახლაკისა შუაში ესვენა, გარეშემო მეზობლები ეხვივნენ.

ისრაელელის დანახვაზე კაცებმაცა და ქალებმაც თავი გაიგიჟეს.

— ახლავე წაიყვათ აქედან! — შეუძახეს ჯარისკაცებს, — თქვენ რა, გეცოტავებათ ის ბოროტება, რაც მაგან უკვე მოგვიტანა? ეგ ისეთი გველია, მეხუთე მთის ღმერთებმა მაგის სისხლში ხელების გასვრაც არ ინდომეს.

— ეგ ჩვენი ხელით უნდა მოკვდეს! — დაიძახა ვილაცა სხვამ, — ახლავ დავუბნელებთ მზესა, მოედანზე დასჯას არ დავუცდით!

ზოგი სახეში ურტყამდა, ზოგიც თავში, საშველი თითქოს არა ჩანდა, მაგრამ ილიამ მაინც მოახერხა და კუთხეში მიმჯდარ მწუხარე ქვრივს მუხლებში ჩაუვარდა.

— ისევ გაგიცოცხლებ, სულეთიდან გამოვაბრუნებ, ოღონდაც მარტო ხელი შემახებინე ბიჭისთვის, — ემუდარებოდა ილია, — სულ ერთი წუთით.

ქვრივმა თავიც კი არ წამოსწია.

— ხელს ნუ მკრავ, — განაგრძობდა მუდარას ილია, — უკანასკნელი თხოვნა შემისრულე სიცოცხლეში, შენი გულუხვობისთვის მადლიერებისდა ნიშნად მეც მადლი მაქნევინე შენთვის.

რამდენიმე კაცმა სახლაკიდან გათრევა სცადა ილიასი. მაგრამ ილია არ ეპუებოდა, რაც შეეძლო, უძალიანდებოდა და თან შესთხოვდა, ცხედრისთვის ხელი მახლებინეთო.

ილია თუმცა ახალგაზრდაც იყო და არც გაბედულება აკლდა, ბოლოს და ბოლოს მაინც აყუდეს კართან.

— უფლისა ანგელოზი, სადა ხარ?! — ილრიალა მან, ზეცისკენ ხელებგაწვდილმა.

ყველანი დადუმდნენ. ქალი წამოდგა, მივიდა ილიასთან, ხელი ჩასჭიდა და შვილის ცხედართან მიიყვანა.

— აი ჩემი სისხლი სისხლთაგანი, — წართქვა მან და ცხედარს სუდარა გადახადა, — ჭირიმც შეჰყრია უკურნებელი მთელ შენს მოდგმასაც, უკეთუ დაპირებულს არ აღასრულებ.

ილია მიეახლოვა ცხედარს, რათა ხელი შეეხო ბიჭისთვის.

— დაიცა, — უთხრა ქვრივმა, — ჯერ შენს ღმერთსა ძესთხოვე, რომ ჩემს წყევლა-კრულვას გააჭრევინოს.

ილიას გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მაგრამ სწამდა, რაც ანგელოზმა გააგონა.

— ამ პატარა ბიჭის სნებასამც გაუტანია დედ-მამაც ჩემი და ძმანიც ჩემნი თავიანთ დედაწულიანად, უკეთუ არ აღვასრულებ დაპირებულსა ჩემსა, ეჭვებით, ბრალის გრძნობითა და შიშით აღვსილმა...

... გამოართვა დედასა ბავშვი და ზემო სადგომში აიყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა. და შეჰღაღადა უფალსა და უთხრა:

უფალო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ამ ქვრივ ქალსაც, რომელთანაც მდგმურადა ვარ, უზამ ბოროტსა და შვილსა მოუკლავ?

მერმე სამგზის გადაემხო ბავშვსა და უფალსა შეჰღაღადა: უფალო, ღმერთო ჩემო! ჩააბრუნებინე სული თავის თავში ყრმასა ამას!

რამდენიმე წამს არცრა მომხდარა. ილია კვლავ გალაადში აღმოჩნდა, იმ ჯარისკაცის წინაშე იდგა, რომელმაც გულის განგმირვა დაუპირა; ილიას ესმოდა, რომ კაცისა ბედს არავითარი რამ საერთო არა აქვს იმასთან, რაც ამ კაცსა სწამს, ანდა რისაც ეშინია. ახლაც ისევე იყო გულდამშვიდებული და თავის თავში დარწმუნებული, როგორც მაშინ, იმ დღეს, ჯარისკაცის წინაშე მდგარი, და იცოდა, რომ ყოველ მომხდარ ამბავში, შედეგისგან დამოუკიდებლად, რაღაც აზრია. მეხუთე მთის მწვერვალისა ზედა ანგელოზმა ამ აზრს „ღმერთისა სიდიადე" უწოდა. ილია იმედნეულობდა, ოდესმე, ალბათ, ჩავხვდები, გამჩენსა რად ეჭირვება თვისთა გაჩენილთა შეწევნა თავისი დიდებისა გამოსაჩენადო.

და ზედდატანებით ბიჭმა თვალები გაახილა.

— სად არის დედაჩემი? — იკითხა ბიჭმა.

— ქვევით გიცდის, — მიუგო ღიმილმოგვრილმა ილიამ.

— უცნაური რამ მესიზმრა, ბნელ ქვესკნელში მე უფრო სწრაფად მივრბოდი, ვიდრე ყველაზე ფეხმალი აქბარული ბედაური. უცებ ვიღაც კაცი დავინახე და მივხვდი, რომ მამაჩემი იყო, თუმც ადრე არცროდის მინახავს. მერე ისეთ ლამაზ ადგილას მოვხვდი, წამოსვლა ალარ მინდოდა. მაგრამ სხვა კაცმა — არ ვიცი, ვინ იყო, თუმცა ძალიან გულადი და კეთილი მეჩვენა — დამიყვავა და მითხრა, წამოდიო. მე კიდევ შორს მინდოდა წასვლა, მაგრამ შენ გამაღვიძე.

ბიჭი შეწუხებული ჩანდა: ის ადგილი, სადაც კინალამ არ დარჩა, ეტყობა, მშვენიერი რამ იყო.

— მარტო არ დამტოვო. მარტო არც იქ ვიყავი, საიდანაც წამომიყვანე.

— წავიდეთ, — უთხრა ილიამ, — დედაშენი ქვემოთ გიცდის. ენატრები.

ბიჭმა წამოდგომა სცადა, მაგრამ არც წამოდგომის თავი ჰქონდა, არც სიარულისა, ილიამ ხელში აიყვანა და ისე ჩავიდა ქვემოთ.

ოთახში თავმოყრილ მეზობლებს ბიჭის დანახვაზე ელდა ეცათ.

— რატომ არი აქ ბევრი ხალხი? — იკითხა ბიჭმა.

სანამ ილია პასუხის თქმას მოასწრებდა, აქვითინებულმა ქვრივმა გულში ჩაიკრა შვილი და გაფოთებულმა დაუწყო კოცნა.

— რა იყო, დედა? რადა ხარ შეწუხებული?

— არა, შვილო, შეწუხებული კი არა, არცროდის ვყოფილვარ ასეთი გახარებული, — უთხრა ქალმა, თან ცრემლს იწმენდდა.

ამის თქმა იყო, და ქვრივი მუხლებზე დაეცა, ხელები აღაპყრო და შეჰყვირა:

— ვხედავ, მართლა ღვთისკაცი ყოფილხარ! შენსა სიტყვებში უფლის სიმართლეა!

ილიამ ხელები მოჰხვია ქალს და, წამოდექით, სთხოვა.

— გაუშვით, ხელი აღარ ახლოთ! ამან ჩემს ოჯახში დაბუდებული ბოროტება დაამარცხა!

იქ შეკრებილი ხალხი თვალებს არ უჯერებდა. ერთმა ოცდაოდ წლის ყმაწვილქალმა იქვე, ქვრივის გვერდით მოიყარა მუხლი. ნელ-ნელა ყველანი მუხლებზე დადგნენ, თვითონ ჯარისკაცებიც, რომელთაც სიკვდილით დასასჯელად უნდა წაეყვანათ წინასწარმეტყველი.

— წამოდექით, — სთხოვა ილიამ, — და თაყვანი ეცით უფალსა. მე ერთ-ერთი მსახური ვარ უფლისა, არც ყოვლისა უკეთესი.

მაგრამ არცვინ განძრეულა, ისევ მუხლებზე იდგნენ თავდახრილნი.

— შენ მეხუთე მთაზე ღმერთებს ეუბნე, — მოესმა ილიას ვიღაცის ხმა, — აწ შენთვის სასწაულის ქმნა სულ ადვილია.

— იქ არ არიან ღმერთები. მე უფლის ანგელოზი მოვიხილე, რომელმაც მომანებებინა ეს ყოველივე.

— შენთან იყვნენ ბაალი და ძმანი მისნი, — თქვა ახლა ვიღაც სხვამ.

ილიამ მისწი-მოსწია მუხლებზე დაცემული ხალხი და გარეთ გავარდა. ჯერეთ კიდევ ისე იყო აფორიაქებული და აწრიალებული, თითქოს ანგელოზისგან ბრძანებული ვერ შეესრულებინა.

„რა აზრი აქვს მკვდრის გაცოცხლებას, უკეთუ არცვისა სჯერა, რომ ესევითარი ძალა ღმერთისგან მოდის?“ ანგელოზმა უბრძანა, უფალსა სამჯერ მოუწოდეო, მაგრამ ის აღარ უთქვამს, როგორ აეხსნა დუნდგო ხალხისთვის სასწაული ესე „ნუთუ, ძველთა წინასწარმეტყველთა არ იყოს, თუ რამ მნდომებია, ყველაფერი ჩემი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მინდოდა?“ — ეკითხებოდა იგი თავის თავს.

და უცებ ხმა გააგონა თავისმა მფარველმა ანგელოზმა, რომელსაც ბავშვობიდან ელაპარაკებოდა ხოლმე.

— დღეს შენთან იყო უფლისა ანგელოზი.

— დიახ, — მიუგო ილიამ, — მაგრამ უფლისა ანგელოზები ადამიანებს კი არ ელაპარაკებიან, მხოლოდ ზეციერის ბრძანებულს გადასცემენ.

— ოდენ შენი საკუთრი ძალა მოიკარგე, — უფხრა მეფარველმა ანგელოზმა.

ილია ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ანგელოზის თქმული.

— მე არცრა ისეთი ძალა შემწევს, უფლისგან რომ არ მოდიოდეს, — მიუგო მან.

— ყველა შენს დღეშია. ძალა ყველას ღმერთისგან შესწევს, მაგრამ არცვინ იმ ძალას არ იყენებს.

და კიდევ უთხრა ანგელოზმა:

— დღეისა წალმართ და მანამდე, სანამ შენგან დატეეებულ მიწა-წყალს დაუბრუნდებოდე, შენგან რამე სასწაულისა ქმნა არ ეგების.

— ეგ ჩემი დაბრუნება როდისლა მოხდება?

— უფალსა შენ ეჭირვები, რათა აგალორძინებინოს ისრაელი, — მიუთხრო ანგელოზმა, — შენ კვალად მაშინ დაადგამ შენსა მიწა-წყალს ფეხსა, როცა ხელახალად აშენებას ისწავლი.

სხვა მეტი ანგელოზს სიტყვა არ დასცდენია.

## ნაწილი მეორე

### 1.

**ქურუმმა** ამომავალ მზეს ლოცვა აღუვლინა, მერმე ღმერთებს ჭექა-ქუხილი შესთხოვა, ხოლო პირუტყვთა ქალღმერთს — სულელთა მიმართ სიბრალული. იმ დილით ქურუმისთვის ვიღაცას ეამბნა, იმ ისრაელელმა სულეთის ქვეყნიდან ბიჭი გამოაბრუნაო.

ქალაქი შიშსა და მღელვარებას შეეპყრო. ყველას სჯეროდა, რომ ისრაელელმა ძალა მეხუთე მთაზე ღმერთებისგან მოიცა, და აწ აგრე ადვილად ველარ მოაყოვნებდნენ, მიწასთან ველარ გაასწორებდნენ. „მაგრამ მაგისი დროც მოვა“, — ჩაილაპარაკა ქურუმმა.

ღმერთები ისე არ დაუტეეებენ აქბარელთ, რომ მაგ ჩამოხენცილი კაცისთვის კისერი არ მოაგრეხინოს. ღვთის რისხვა კი, ეტყობა, სხვა მიზეზს გამოეწვია, და ტაშირში ასირიელთა გამოჩენა რაღაცის ნიშანი იყო. მაინც რად ელებოდა ბოლო დასტურ გასაუკუნოებულ მშვიდობიან ცხოვრებას? ქურუმი ყველაფერს ბიბლოსურ გამოგონებას აბრალებდა. იქ, ფინიკიაში, ისეთნაირი რამ დამწერლობა შეიქმნა, ყველასთვის მისაწვდომი იყო, ხელადსახმარი, და წინასწარ შეუმზადებელნიც კი სულიოლად იყენებდნენ. ასათვისებლად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, დროც ცოტა უნდოდა, კნინი, რაც ცივილიზაციის დასასრულს ნიშნავდა.

ქურუმმა იცოდა, რომ ათასგვარ დამაქცევარ იარაღთაგან, რომელთა გამოგონებაც ადამიანისშვილსა ძალუძს, ყოვლის უფრო საშინელი და ყოვლის უფრო ძლიერი არის სიტყვა. სატევრები და ოროლები სი-

სხლის კვალსა ტოვებენ, ისარ-ბოძალს დამანძილებულსაც ხედავ. სამსალას თუ დროულად შეამჩნევ, გადარჩები.

სიტყვამ კი შეუმჩნევლად იცის ნგრევა. უკეთუ ადამიანები საღმრთო წეს-ჩვეულებებს შეიტყობდნენ, ზოგ-ზოგთ ისინი იქნებ სოფელ-ქვეყნისა შესაცვლელადაც გამოეყენებინათ, რაც ღმერთებმა რისხვას გამოიწვევდა. დღეს — აქამომდის ერთი მხოლოდ ქურუმთა ბოლგბ მიაგებდა პატივს წინაპართა ხსოვნას და ფიცითა ჰქონდა აღთქმული საიდუმლოდ შენახვა იმ ცოდნისა, თაობიდან თაობას ზეპირ რომ გადაეცემოდა. ეგვიპტურ იეროგლიფებში გასარკვევად არა ერთი და ორი წელიწადი უნდა გესწავლა და ამოგელამებინა თვალები. ამგვარად, მხოლოდ კარგად მომზადებულ კაცთ — გადამწერლებსა და ქურუმთ — თუ შეეძლოთ ცოდნის გაცვლა-გამოცვლა.

სხვა ხალხებს თავიანთი პრიმიტიული დამწერლობანი ჰქონდათ, მაგრამ იმდენად რთული, რომ არცვინ უცხოქვეყნელი არა ჩანდა, ვინც ფრიად იკლიკანტურ ასო-ნიშანთა შესწავლას გულს გააწყალებინებდა. ბიბლოსურ გამოგონებაში სულ სხვა იდუმალი რამ ამფეთქებელი ძალა იმალებოდა: ის ყველა ქვეყანაში ერთნაირად გამოდგებოდა, სულ ერთი იყო, იქ რა ენაზე მეტყველებდნენ. ბერძნებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ ყველაფერს ეუარებოდნენ, რაც იმათი გამოგონებული არ იყო, საგაჭრო გარიგებებში უკვე იყენებდნენ ფინიკიური წერის ხელოვნებას. ყოველივე ახლის მიჩემება და მითვისება, იცოცხლე, კარგად იცოდნენ და არც ახლა დაყოვნებულან: ბიბლოსურ გამოგონებასაც ბერძნული სიტყვა — ა ლ ფ ა ბ ე ტ ი დაარქვეს.

აშკარა იყო საფრთხე, რომ ხალხი გაიგებდა საუკუნეთა მანძილზე დაფარულსა და დამალულს. ყველაფერ ამასთან შედარებით სულ უმნიშვნელო რამ ამბად ჩანდა მკრეხელობა ილიასი, რომელსაც სულეთის ქვეყნიდან ადამიანი გამოებრუნებინა, რაც ეგვიპტელთაც ეხერხებოდათ.

„ჩვენ დასჯილნი ვართ იმის გულისთვის, არცრას რომ არ ვუფრთხილდებოდით, რაც წმინდაა, — გაიფიქრა ქურუმმა. — ასირიელნი უკვე ზედ არიან მომდგარნი, გადმოვლენ ტაშირსა და იავარყოფენ ჩვენთა წინაპართა კულტურას".

და დამწერლობასაც ბოლოს მოუღებენ. ქურუმმა იცოდა, რომ მტერი შემთხვევას ასმე არ იყო მოყოლილი.

რა ლარი და ხაზი უნდა, სამაგიეროა, ღმერთებს ყველაყა კარგად აუწონ-დაუწონიათ, რა არი არცვის გაეგო, რომ ყველაფერში თვითონ მიუძღვით ბრალი, ხელისუფლებას სათავეში ისეთი ნაცვალი ჩაუყენეს, რომელსაც საგაჭრო საქმეები უფრო აფიქრებდა, ვიდრე ჯარი; ასირიელთ სიხარბე გაულვიძეს, დედამიწას წვიმა მოანატრეს; და ბოლოს, ბიწიერი კაცი შემოუგზავნეს, რათა ქალაქში მტრობა დაეთესათ. მალე უკანასკნელი ბრძოლა გაიმართება.

2.

**აქბარი** ამის წალმართაც იცოცხლებს, როგორაც ადრე უცოცხლია, მაგრამ ბიბლოსური წერის ხელოვნება სამუდამოდ გაქრება პირისაგან მიწისა. ქურუმმა მალალი ბალავრისქვა ფრთხილად გადაწმინდა, რომე-

ლიც ნიშნად იქ იყო ჩასმული, სადაც უხსოვარ დროს სალოცავად მავალ ვინმე უცხოტომელ მწირს ცისგან მონიშნული ადგილი ეპოვა და დაეფუძნებინა ქალაქი. „რა ლამაზი ქვაა“, — გაიფიქრა მან, ქვა ღმერთის ხატებაა: მაგარი, სალი, ამტანი, ყველანაირ ვითარებას უძლებს და არცა კიდევ იმის ახსნა სჭირდება, ამიტომ და ამიტომ ვარ აქაო, თქმულებისდა თანახმად: თურმე დედამიწისა შუაგულში ნიშნად ქვა დევს. ბავშვობაში მან ბევრჯერ დააპირა იმ ქვის სამებნელად წასვლა, ის კი არა, წლევანდლამდე არც გადაუფიქრებია, მაგრამ რაც ტაშირს ასირიელნი მოედვნენ, მიხვდა, რომ თავის ძველ ოცნებას ვერ აისრულებდა.

„არა უშავს რა, ღმერთების განრისხებისთვის ჩემს თაობას მსხვერპლად შეწირვა მოუწევს. ამქვეყნად ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც გარდაუვალია, და უნდა შეეგუოთ“.

ქურუმი თავის თავს შეჰპირდა, ღმერთებს დავუჯერებ, ომის თავიდან არიდებას არ ვეცდებიო.

„ეტყობა, დროთა საზღვარსა მივადექით. უბედურებათაგან გაქცევა არ იქნების, მით უმეტეს, ესოდენ გახშირდა სიავე“.

ქურუმმა კვერთხი აიღო და საყდრიდან გავიდა. აქბარის მხედართუფროსს უნდა შეხვედროდა.

●

**ის** უკვე ქალაქის სამხრეთ კედელ-გალავანთან იყო მისული, რომ ილია შემოხვდა.

— უფალმა აღადგინა მკვდრეთით ბიჭი, — წართქვა ილიამ, — ქალაქში კი ჰგონიათ, მე გავაცოცხლე.

— ეტყობა, ბიჭი არც იყო მკვდარი, — მიუგო ქურუმმა, — ამისთანა რამ ბევრჯერ მომხდარა: გული ჩერდება და მალე ისევ აძგერდება ხოლმე. მართალი ხარ, ქალაქში დღეს ბევრსა ლაპარაკობენ მაგ ამბავზე, მაგრამ ხვალ მოაგონდებათ, რომ ღმერთები ახლოს არიან და ყველაფრის გაგონება შეუძლიათ, რასაც ეგენი ტიტინებენ. ნახავ, კრინტსაც აღარცვინ დაძრავს. კარგი, წავალ. ალბათ, შენც იცი, ასირიელნი ავად გვეყელყელავებიან. ბრძოლას ეპირებიან.

— ყური მიგდე, რა უნდა გითხრა: გუშინ საღამოს მომხდარი სასწაულის მერმე ქალაქგარეთ გავედი, ცოტას დავწყნარდები და დავისვენებ-მეთქი. იქ ისევ გამომეცხადა ის ანგელოზი, მეხუთე მთისა მწვერვალზე რომ ვიხილე. პირდაპირ მითხრა: ომი დააქცევს აქბარსაო.

— ქალაქების დაქცევა არ იქნების, — მიუგო ქურუმმა, — ას ორმოცჯერაც რომ გახდეს აუცილებელი, მაინც ისევ ააშენებენ, ღმერთებმა იციან, სადაც დააფუძნეს ისინი, და სადმე სხვაგან კი არა, სწორედ იქ სჭირდებათ.

●

**ლაპარაკში** გართულ ქურუმსა და ილიას, სად იყო, სად არა, ნაცვალი დაადგათ თავის სეფეკაცთა ამალიანად და ჰკითხა:

— რას გვიბრძანებდი?

— მშვიდობას უნდა ესწრაფოთ, — კვლავ წართქვა ილიამ.

— უკეთუ შიშნეულობ, საიდანაც მოსულხარ, ისევ იქ წადი, — ხმაში ბოლმა გაირია ქურუმმა.

— იზებელი და შენი მეფე ოტებელ წინასწარმეტყველთ ელოდებიან, რათა ყველას თავისი მიუზღონ, — მიუთხრო ნაცვალმა, — კარგსა იზამდი, თუ მიამბობდი, როგორ ახვედი მეხუთე მთასა ზედა და ციური ცეცხლისგან ვითარ არ დაიწვი.

ქურუმმა საჭიროდ დაინახა ამ საუბარში ჩარევა. იცოდა, რაკი ნაცვალი ასირიელებთან მოლაპარაკებაზე ფიქრობდა, წინასწრმეტყველის თავისი მიზნებისთვის გამოყენება შეეძლო.

— ამას ყურს ნუ უგდებთ, — თქვა მან, — გუშინ განსასჯელად რომ მომიყვანეს, შიშისგან ტიროდა და ვიშვიშებდა.

— შიში კი არა, მე ის ათასი რამ უბედურება მატირებდა, ჩემი ბრალით რომ მოხდა. რამეთუ მე ოდენ ღმერთისა და ჩემივე თავისა მეშინის. მე ისრაელიდან არ გამოვქცეულვარ და მზადა ვარ უკანვე დასაბრუნებლად, როგორც კი უფალი მომანებებინებს. იმ თქვენს მშვენიერ მეფისა ასულს ტახტიდან ჩამოვაგდებ, და ჩემს მიწა-წყალსა ზედა კვალად აღმობრწყინდება ისრაელური სარწმუნოება.

— უგრძნობელი კაცი უნდა იყვე, არ დამორჩილდე იზებელის ხიბლსა, — გესლიანად ჩაურთო ქურუმმა, — მაგრამ ეგრეც რომ მოხდეს, ჩვენ სხვას გამოვგზავნით, კიდევ უფრო მეტად ლამაზ ქალსა, როგორც იზებელემდეც უკვე არაერთხელ მომხდარა.

ქურუმი მართალს ამბობდა. ორასი წლის წინათ სიდონელმა მეფის ასულმა თავი მოახიბლინა ისრაელის ყველაზე უფრო ბრძენ მეფეს, რომელსაც კი იქ ოდესმე ემეფა — სოლომონს. დედოფალმა მეფეს ქალღმერთ ასტარტესთვის საზორავის აგება მოსთხოვა, და სოლომონიც თანახმა გაუხდა. ამ მკრეხელობის გულისთვის უფალმა მეზობლების ჯარები შეუსია ისრაელს, და სოლომონი ტახტიდან ჩამოაგდეს.

„იგივე მოუვა აქაბსაც, იზებელის ქმარს", — გაიფიქრა ილიამ. ეჭვი არც ეპარებოდა, რომ დადგებოდა ჟამი, და უფალი მოუწოდებდა. მაგრამ, რა უნდა არწმუნოს თავის წინარე მდგომ ხალხს? ეს ხალხიც იგივეა, იგივე ადამიანები არიან, წუხელ ქვრივის სახლში მუხლმოყრილნი მეხუთე მთის ღმერთებს რომ განადიდებდნენ. წეს-ჩვეულება აროდეს არცვის სხვანაირად არ აფიქრებინებს.

●

— **სამწუხაროა,** რომ სტუმართმოყვარეობის წესისა დაცვა გვიხდება, — წართქვა ნაცვალმა, რომელსაც, ეტყობა, აღარც ახსოვდა მშვიდობაზე თქმული ილიას წელანდელი სიტყვები, — თორემ ნამდვილად ვუხვაიშნებდით, შევეწევოდით იზებელს, რომ წინასწარმეტყველთ გასწორებოდა.

— სულაც მაგის გულისთვის არ მინარჩუნებთ სიცოცხლეს. თქვენ კარგად იცით, ძვირად ღირებული საქონელი ვარ, და გინდათ, რომ იზებელს ასიამოვნოთ — თავისი ხელით შეამუსვრინოთ ჩემი თავი. მაგრამ გუშინდლიდან ხალხმა იწამა ჩემი სასწაულმოქმედი ძალა. ყველას ჯერა, რომ მეხუთე მთასა ზედა ღმერთებს შევხვდი. თქვენ არცრად გიღირთ ღმერთების განრისხება, მაგრამ აქაბელთა გაბრაზება არ გინდათ.

ნაცვალმა და ქურუმმა ილია მარტო დაუტოვეს, თვითონ ქალაქის კედელ-გალავნისკენ წავიდნენ. იმწამს ქურუმმა ავად იზრახა, რომ პირველსავე შესაძლებლობისთანავე მზეს დაუბნელებდა ისრაელელ წინასწარმეტყველს. რაც ადრე ოდენ საქონელი იყო, უკვე გვირგვინ საშიშროებად ქცეულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**როგორც** კი ისინი წავიდნენ, ილია სასოწარკვეთილებამ მოიცვა. რა ქნას, რა იღონოს, რათა მსახურებდეს ღმერთსა? ილია მოედნის შუაში დადგა და ხალხს გასძახა:

— აქბარელო ხალხო! გუშინ საღამოს მე მეხუთე მთასა ზედა ავედი და იქ ბინადარ ღმერთებსა ვეუბნე. იქიდან დაბრუნებულმა პატარა ბიჭი გავაცოცხლე, სულეთისა ქვეყნიდან გამოვაბრუნე!

ხალხი უცებ მოგროვდა; მთელმა ქალაქმა უკვე იცოდა, რაც მომხდარიყო. ნაცვალი და ქურუმი შუა გზაზე შედგნენ და უკან გამობრუნდნენ, ვნახოთ, რა ხდებაო. ისრაელელი წინასწარმეტყველი ხალხს ეუბნებოდა, მეხუთე მთასა ზედა ღმერთები მოვიხილე, თუმცაღა მე თავად ერთიან ღმერთსა ვეთაყვანებიო.

— ნამდვილად მოვაკვლევინებ, — თქვა ქურუმმა.

— ხალხი აგვიჯანყდება, — მიუგო ნაცვალმა. ეტყობოდა, რომ უცხოქვეყნელის ნაუბარი აგულისყურებდა. — დაცდა აჯობებს, სანამ რამე შეეშლებოდეს.

— ვინემ მთიდან დავეშვებოდი, ღმერთები გამენდვნენ, რარიგ უნდა აღვუპყრო ხელი ასირიელთა გადამკიდე ნაცვალს, — განაგრძობდა ილია, — ვიცი, ღირსეული კაცია და ჩემი მოსმენაც უნდა, მაგრამ იმისთანებიც არიან, ვისაც ომი სჭირდება. ისინი არ მიშვებენ მაგასთან.

— ეს ისრაელელი წმინდა კაცია, — უთხრა ვილაც ბერიკაცმა ნაცვალს, — ისეთი არცვინ არის, წმინდა მთაზე ავიდეს და ციური ცეცხლისგან არ დაიღუპოს. ამ კაცმა კი ასვლაც შეიძლო და აწ მიცვალებულთაც აცოცხლებს.

— ტვიროსი, სიდონი და სხვა ფინიკიური ქალაქები დიდი ხანია მშვიდობიანობენ, — თქვა მეორე ბერიკაცმა, — სხვა უფრო უარესი უბედურებაც ბევრი გვინახავს და გადაგვიტანია.

ხან აქ, ხან იქ ბრბოს მოარღვევდნენ სნეულნი და ხეიბარნი, ახლოს მოდიოდნენ ილიასთან, სამოსელზე ეხებოდნენ და განკურნებას შესთხოვდნენ.

— სანამ ნაცვალსა რასმე ურჩევდე, ჯერეთ სნეულნი განკურნე, — უთხრა ქურუმმა, — მაშინ დაგიჯერებთ, რომ ღმერთები მართლა გშველიან.

ილიას ანგელოზის წუხანდელი ნათქვამი მოაგონდა: შენ ოდენ ადამიანურ ძალას უნდა მოივარგებდე, შენსა საკუთარსაო.

— სნეულნი შეწევნასა გთხოვენ, — აშკარად ჩააცივდა ქურუმი, — გელოდებით.

— თავდაპირველად ომი უნდა ავირიდოთ როგორმე, თორემ სნეულნიც კიდევ უფრო მომრავლდებიან და ხეიბარნიც.

ლაბარაკში ნაცვალი ჩაერია:

— ილია ჩვენთან ერთად წამოვა. ზედვე ეტყობა, ღვთაებრივი შთაგონება ალაპარაკებს.

ნაცვალს სულაც არ ეჯერებოდა მეხუთე მთაზე ღმერთების ყოფნა, მოკავშირე სჭირდებოდა, ვინმე ყურცემული, ანუ მორჩილი მოყვასი, რომელიც ხალხს დაარწმუნებინებდა, რომ ერთადერთი გამოსავალი ასირიელებთან მშვიდობიანი შეთანხმება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

**მხედართუფროსთან** შესახვედრად რომ მიდიოდა, ქურუმმა გზაში უთხრა ილიას:

— შენ თავად არა გჯერა შენივე ნათქვამი.

— მჯერა, რომ მშვიდობა ერთადერთი რამ არის, რაც დაგვრჩენია. მაგრამ არა მჯერა, რომ ემაგ მთისა მწვერვალზედ ღმერთები ცხოვრობენ. მე ვიყავი იქ და ვიცი.

— მაინც რა ნახე?

— უფლისა ანგელოზი. მე ერთხელ უკვე მყავდა ხილული იმ ადგილას, სადაც ჩემი გზა გადიოდა, — მიუგო ილიამ, — ღმერთი ოდენ ერთია.

ქურუმს გაეცინა:

— ესე იგი, შენის ჭკუით, რომელმა ღმერთმაც ჭექა-ქუხილსა დაუდო სათავე, იმანვე შექმნა ხორბალიც, თუმცაღა ეს სრულიად ორი სხვადასხვა რამ არის.

— ხედავ მეხუთე მთასა? — დაეკითხა ილია. — საიდანაც არ უნდა შეხედო, ყოველი მხრიდან სულ სხვადასხვანაირი ჩანს, თუმცაღა ერთი და იგივე მთაა. აგრეა ყველაფერიც, რაც რამ ჩვენ გარშემოა: ერთი და იგივე ღმერთის ნაირ-ნაირ სახეებს ვხედავთ.

●

**ისინი** აქბარის ქვის კედელ-გალავანზე ავიდნენ. იქიდან, თითქოს ხელისგულზეაო, ისე ისილვებოდა მტრის ბანაკი: შორს თეთრად ქათქათებდნენ ასირიელთა კარვები.

ჯერეთ კიდევ ადრე, როცა ებგურთ ტაშირში ასირიელნი დალანდეს, მსტოვართ ამბავი მოიტანეს: ეგენი ჩვენი ძალების დასაზვერად არიან მოსულნიო. მხედართუფროსმა, ახლავ დავატყვევოთ და მონებად გავყიდოთო, ნაცვალმა კი სხვა სტრატეგია აირჩია: ხელს ნუ ვახლებთო. ვინაიდან ეგონა, თუ ასირიელებთან ფარსაგ ურთიერთობას გააბამდნენ, იქ ახალ ბაზარს გამართავდა, სადაც აქბარში მინისგან დამზადებულ ათასგვარ საციქველს გაიტანდნენ გასასყიდად. ამას გარდა, უკეთუ ასიერიელნი ომს მართლა ეპირებიან, ისიც უნდა იცოდნენ, რომ პატარა ქალაქები მუდამ მძლეველთა მხარეს იჭერენ. ამიტომ ასირიელ წინამძღოლთ უწინარესად ამ ქალაქების წინააღმდეგობის გაუწევლად გავლა მოუწევთ, რამეთუ სხვანაირად ვერ მიაღწევენ ტვიროსსა და სიდონს, სადაც გადანახული იყო ფინიკიელთა სიმდიდრე და ცოდნა.

ასირიელთა რაზმი ტაშირის სიღრმეში იდგა ბანაკად, ნელ-ნელა მაშველი ჯარიც მოდიოდა. ქურუმი მჯილს ირტყამდა გულზე, ვიცი რამაც მოიყვანა ეგენიო, უდაბნოში რამდენიმე დღის სავალზე ერთად-

ერთი ჭა მხოლოდ ჩვენს ქალაქშიაო, ასირიელთ დიახაც ეს წყალი უნდათ, რათა თავიანთი ჯარი დაარწყულონო, ტვიროსსა და სიდონზეც ამად უჭირავთ თვალიო.

პირველი თვის ბოლოს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასირიელთა განდევნა. მეორე თვის ბოლოს აქბარს სულ ადვილად შეეძლო გამარჯვების მოპოვება და ასირიელთა ჯარის გაყვანა.

აწ კი უკვე თავდასხმას ელოდნენ, მაგრამ ასირიელნი [illegible] ესხმოდნენ. მეხუთე თვის ბოლოს კიდევ შეიძლებოდა ბრძოლა-საგრობის მოგება. „მალე დაგვესხმებიან, ალბათ უკვე წყურვილი ჰკლავთ", — ფიქრობდა ნაცვალი. მან მოითხოვა, რომ მხედართუფროსს თავდაცვის თადარიგი დაეჭირა და ჯარი ევარჯიშებინა: მტერს არა სძინავს, რა იცი, როდის დაგვესხმისო.

მაგრამ თვითონ საქმის მხოლოდ მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობდა.

●

**გავიდა** ნახევარი წელიწადი, ასირიელთა ჯარი კი ადგილიდან არ იძვროდა. მღელვარება, რომელმაც აქბარი მტრის გამოჩენის პირველ ხანებში მოიცვა, ჩაცხრა, ხალხი ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდა: ზოგი მინდვრად ფუსფუსებდა, ზოგი ვენახში ტრიალებდა, მეღვინეობას მისდევდა, ზოგიც მინით საქმიანობდა, ანდა საპონსა ხარშავდა, იყო ერთი ვაჭრობა, აღებმიცემობა. რაკი ყველას ეგონა, სამშვიდობო მოლაპარაკებას წინ არაფერი უდგასო, ამითვე ხსნიდნენ იმ ამბავსაც, თუ რატომ არ ესხმოდა მტერს თვითონ აქბარი. ყველამ იცოდა, რომ ნაცვალი ღმერთებისგან იყო არჩეული და ყოველთვის ყველაფერს სწორად წყვეტდა.

ილია ქალაქში რომ გამოჩნდა, ნაცვალმა ყველგან თავისი ხალხი დაგზავნა და იმ სიავესა და ბოროტებაზე ხმების დაყრა უბრძანა, ვითომ უცხოქვეყნელს თან რომ სდევდა. უკეთუ ომისა საშიშროება გარდუვალი გახდებოდა, ამ უბედურების მთავარ დამნაშავედ ის სწორედ უცხოქვეყნელს გამოიყვანდა, აქაბელნი კი იფიქრებდნენ, რომ ისრაელელის სიკვდილი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა. მაშინ ნაცვალი აუხსნიდა, უკვე გვიან არის აქბარიდან ასირიელთა წასვლის მოთხოვნაო: მერმე უკვე ილიას მოაკვლევინებს და ხალხს ეტყვის, ასლა დასტურ დაზავება აჯობებდაო. ნაცვლისა აზრით, ვაჭარნი, რომელთაც აგრეთვე ხელს აძლევდა მშვიდობიანობა, სხვასაც დაარწმუნებდნენ და დაათანხმებდნენ ამ გადაწყვეტილებას.

მთელი ეს თვეები ის სულ იმას ცდილობდა ხალხის თვალში როგორმე გაებიაბრუებინა ქურუმი და მხედართუფროსი, ვერა და ვერ აეტანა, რომ ერთსაც და მეორესაც პირზე ეკერათ მტერზე დაუყოვნებლივ დავდასხმის მოთხოვნა, მაგრამ მეხუთე მთის ღმერთები არცროდის ანებებდნენ თავს, წამისწამ თავიანთ ხმას აგონებდნენ: აწლა, წუხელ მომხდარი მკვდრეთით აღდგომის სასწაულის შემდეგ, ილიას სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანი გამხდარიყო, ვიდრე სიკვდილით დასჯა.

●

— **რა** უნდა, რას გადაგეკიდათ ეგ უცხოქვეყნელი? — ჰკითხა მხედართუფროსმა.

— მაგას ღმერთები ალაპარაკებენ, — მიუგო ნაცვალმა, — ყველაფერს სწორად გადაგვაწყვეტინებს. — და უცებ სიტყვა ბანზე აუგდო: — ეტყობა, მტრისა ბანაკს დღეს მაშველი ჯარი მოუვიდა.

— ხვალ კიდევ უფრო მეტი მოუვა, — თქვა მხედართუფროსმა, — სანამ ერთი რაზმი იყო, მაშინ უნდა დავსხმოდით, და ვერცრას გახდებოდნენ. ფეხს ამოიკვეთდნენ.

— გემლება, ვიღაც მაინც გადარჩებოდა, და ეგენი მეორეს საძიებლად მობრუნდებოდნენ.

— როცა მოსავალს დროულ არ აბინავებენ, ლპება, — ჟინიანობდა მხედართუფროსი, — ხოლო საქმეს მუდამ სახვალიოდ ვდებთ, საქმესა საქმე ემატება და ბევრდება.

ნაცვალმა სიტყვა გაუტრიზავა, ფინიკიაში თითქმის სამასი წელიწადია მშვიდობიანობაა და ხალხს ეს ამბავი ძალიან ეამაყებაო. რას იტყვის შენზე შთამომავლობა, უკეთუ ამ ჟამკეთილობას დაურღვევო.

— მოციქული ვინმე გაუგზავნეთ, მოელაპარაკოს, — წართქვა ილიამ, — ყოვლის უკეთესი შეომარი ის არის, ვინც მტერს მოყვრად გაიხდის.

— ჩვენ ზუსტად ისიც არ ვიცით, მაგათ რა უნდათ. იქნებ ჩვენი ქალაქის დაპყრობას სულაც არ ეპირებიან. რა მორიგებაზე უნდა ველაპარაკოთ?

— ომის საშიშროება გარდაუვალია. ჯარი სხვის მიწა-წყალზე საწვრთნელად დროს არ დაკარგავს.

მეომარნი ყოველდღე ემატებოდათ, და ნაცვალი გულში ფიქრობდა, ამათ რა წყალი ეყოფაო. სულ მალე ქალაქი მტრის წინაშე ალბათ უმწეო აღმოჩნდებოდა.

— ჯერ კიდევ შეგვიძლია აქვე შეტევა? — დაეკითხა ქურუმი მხედართუფროსს.

— შევძლებთ. ბევრ ხალხს კი დავკარგავთ, მაგრამ ქალაქს ვიხსნით. საშური საქმეა.

— ნუ იზამთ მაგას, უფალო ნაცვალო. მეხუთე მთის ღმერთებმა მითხრეს, დასაზავებლად დრო ჯერეთ კიდევ გაქვთო, — მიმართა ილიამ.

ნაცვალმა ისე დაიჭირა თავი, ვითომ ეთანხმებოდა, თუმცა ამ წუთსაც ყურში ჩაესმოდა ისრაელელთან ქურუმის ლაპარაკი. იმისთვის სულ ერთი იყო, ვინ იმთავრებდა სიდონსა და ტვიროსში: ფინიკიელნი, ქანაანელნი თუ ასირიელნი. მთავარია, ქალაქმა ძველებურად ივაჭროსო, ფიქრობდა ნაცვალი.

— დრო აღარ ითმენს, შევუტიოთ, — თავისაზე იდგა ქურუმი.

— კიდევ ერთი დღეც მოვითმინოთ, — ითხოვდა ნაცვალი, — იქნებ მოგვარდეს მოსაგვარებელი.

ნაცვალს დრო სჭირდებოდა სწორი გადაწყვეტილების საპოვნელად. წამსვე დააგდო ციხის კედელ-გალავანი და სასახლეს მიაშურა, ისრაელელი უკან მომყვესო, ბრძანა.

კედელ-გალავნიდან ნაცვალი თვალს ადევნებდა, როგორ მიერეკებოდნენ მწყემსნი ცხვარს მთაში; ხედავდა მინდვრად გასულ გლეხკაცთ, ავად გამოგვალულ მიწას რომ შესჭიდებოდნენ, იქნებ მცირე რამ მოსავალი მაინც გავამეტებინოთო, რათა თავიც ერჩინათ და ოჯახიც.

იქიდან მეომრებიც იხილვებოდნენ, თავსა შუბ-იარაღის ხმარებაში იწვავდნენ, ვაჭართ კი თავიანთი საქონელი გამოეტანათ მოედანზე, რაც დაუჯერებელი ჩანდა, მაგრამ ასირიელელებს ტაშირზე გამავალი გზა არ გადაეჭრათ და საქონლით დატვირთულნი ვაჭარნიც კვლავინდებურად გადი-გამოდიოდნენ ტაშირს და გზის ბაჟსაც უხდიდნენ ქალაქს.

— ვითომ რად არ კეტავენ გზას ასირიელნი, აწ მაინც [illegible]ესოდენ მოიმძლავრეს თავი? — დაგულისყურდა ილია.

— იმად არ კეტავენ, საქონელი სჭირდებათ, სიდონისა და ტვიროსის ნავსადგურებში რომ შემოდის, — მიუგო ნაცვალმა, — ომის საშიშროება თუ გაჩნდა, ვაჭრები აღარ ივაჭრებენ, აღებმიცემობა შეჩერდება. ეს კი ომში დამარცხებაზე უარესი იქნება. უნდა ვიღონოთ რამე, რათა როგორმე ავირიდოთ ომი.

— მართალია, — წარმოთქვა ილიამ, — მაგათ თუ წყალი უნდათ, მივყიდოთ.

ნაცვალს აღარაფერი უთქვამს. მაგრამ მიხვდა, რომ ისრაელელის იარაღად მოივარგებდა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ომი მოსწადდებოდა. ილია მეხუთე მთის მწვერვალზე ავიდა და ღმერთები ბრძოლაში გამოიწვია. უკეთუ ქურუმი მაინცდამაინც ასირიელებთან ჩხუბს დაიყენებს, ერთადერთი კაცი, ვისაც გაძალიანებისა და დაპირისპირების თავი აქვს, ილიაა. ნაცვალმა ილიას ქალაქში გასვლა და ხალხთან გამოლაპარაკება შესთავაზა...

3.

**ქურუმი** კვლავინდებურად ციხის კედელ-გალავანზე იდგა და ასირიელთ ადევნებდა თვალყურს.

— ღმერთებს რა, არ შეუძლიათ მტრის შეჩერება? — დაეკითხა მხედართუფროსი.

— მე უკვე ვიყავი მეხუთე მთის ძირას საზორავში და მსხვერპლიც შევწირე ღმერთებს. ეგების უფრო გაბედული ვინმე მთავარი მოგვივლინოს.

— ჩვენც იზებელივით უნდა მოვქცეულიყავით: უნდა გაგვეწყვიტა ეგ წინასწარმეტყველნი. ნაცვალი მაგ ისრაელელს არის აყოლილი და ხალხს არწმუნებს, ნუ ვიომებთო.

მხედართუფროსმა მეხუთე მთას შეავლო თვალი.

— სულაც ავდგეთ და მოვაკვლევინოთ, — მიუგო ქურუმმა, — ნაცვალთან ვერცრას გავხდებით. მაგისი მამა-პაპა, ვინ უწყის, უკვე რაერთი საუკუნე მთავრობს. ჯერ პაპა იყო ჩვენი მთავარი, იმან ღმერთებისგან ბოძებული ძალაუფლება თავის შვილს გადასცა, იმისგან კი ის ძალაუფლება ჩვენს ნაცვალსა ხვდა.

— რატომ გვიკრძალავს ზნე-ჩვეულება ქვეყნის სათავეში უფრო გაბედული კაცის დაყენებას?

— ზნე-ჩვეულება იმიტომ მოუგონია ღმერთსა, რათა ქვეყნად სრული წესრიგი სუფევდეს. ჩვენ თუ ჩავერევით და გადავაადგილ-გადმოვაადგილებთ, ცხოვრება ცხოვრება აღარ იქნება.

ქურუმმა გარშემო მიმოიხედა, ეს ცა და დედამიწა, ეს მთები და ტაშირი მხოლოდ იმას შეისაქმებენ, რაც წინასწარ აქვთ დასახული. დედამიწა ხან ირყევა, ხანაც, როგორც ამჟამად, უწვიმრობისგან სულსა ღაფავს, დიხაშხოვდება. მაგრამ ვარსკვლავნი კვალვინდებურად ანათებენ ცაზე და არც მზე ეცემათ ადამიანებს თავზე. [illegible] ყველაფერი აგრერიგად იმიტომ ხდება, რაკი წარღვნისა [illegible] ადამიანისშვილთ იციან, რომ შეუძლებელი რამ არის სოფელ-ქვეყნის შესაქმის შეცვლა.

უხსოვარ დროს მხოლოდ ერთი მეხუთე მთა იყო. ადამიანები და ღმერთები ერთად ცხოვრობდნენ. სამოთხეში ფანჩატურქვეშ დასეირნობდნენ, ბაასობდნენ და კისკისებდნენ. მაგრამ ადამიანებმა შესცოდეს, და ღმერთებმა იქ აღარ დააყენეს, გამოაძევეს. ვინაიდან ადამიანების დასასახლებლად სხვა არცრა ადგილი იყო, ღმერთებმა მთის გარშემო მიწა შექმნეს, რათა ისინი იქ დაებინადრებინათ, თან თვალყური ედევნებინათ და ნიადაგ წამოეგონებინებინათ, რომ ისინი მეხუთე მთის მსახლობლებთან შედარებით უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ.

მაგრამ ღმერთებმა იმაზედაც იზრუნეს, რათა სამოთხეში დასაბრუნებელი კარი ღია დაეტოვებინათ. უკეთუ კაცობრიობა სწორი გზით ივლის, ბოლოს და ბოლოს ისევ შეიძლებს მთის მწვერვალზე ასვლას. და რათა ადამიანებმა ეს არცროდის იგულმავიწყოს, ღმერთებმა ქურუმებსა და ხელისუფალ-მბრძანებელთ დააფალეს, ადამიანისშვილთ მიწყივ უამბობდეთ სოფელ-ქვეყნისა შესაქმისა ამბავსაო.

სუყველას ერთნაირად სწამდა და ეგონა, თუ ღმერთებისგან არჩეულ სახლობას, ანუ სახლეულს, ოჯახს, ძალაუფლებას ჩამოართმევდნენ, ამას შედეგად ძალიან მძიმე ამბავი მოჰყვებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ისინი ღმერთებს ენათესავებოდნენ! აქბარი თავისი არსებობის არა ერთსა და ორ საუკუნეს ითვლიდა, და მუდამ აწინდელი ნაცვლის წინაპარნი მართავდნენ. დაპყრობით ბევრჯერ დაეპყროთ აქბარი, ბევრი მჩაგვრელი და ბარბაროსი ენახა, მაგრამ მტერი ყოველთვის ან თავისით მიდიოდა ანდა კუდს ამოაძუებინებდნენ ხოლმე. და კვლავ ძველი წესი და რიგი მყარდებოდა, ადამიანები ისევ თავიანთ ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ.

ქურუმთ ამ წესისა და რიგის შემონახვა ევალებოდათ: სოფელ-ქვეყანაში ყველაფერს თავისი დანიშნულება ჰქონდა, სოფელ-ქვეყანას კანონები მართავდნენ. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ადამიანი გაგებას ცდილობდა ღმერთებისას, აწ დადგა ჟამი ღმერთებისთვის პატივის მიგებისა და ყოველივე იმის ქმნისა, რასაც ისინი ითხოვდნენ. ღმერთები ჭირვეულები იყვნენ და სულ ოლად მოსდიოდათ გული.

თუ მოსავლის აღების წეს-ჩვეულება არ სრულდებოდა, მიწა ბერწდებოდა, აღარ ნაყოფიერდებოდა. თუ რომელსამე შესაწირავს იგულმავიწყებდნენ, ქალაქს ათასი რამ უკურნებელი სენი შემოესეოდა. თუ კვლავ და კვლავ მოუწოდებდნენ ტაროსის ღმერთსა, თავშეწყენილი ისე იზამდა, აღარც ადამიანები და აღარც ჯეჯილი ტანს აღარ იყრიდნენ.

— გახედეთ მეხუთე მთასა, — უთხრა ქურუმმა მხედართუფროსს, — ღმერთები იქიდან ტაშირსაც მართავენ და ჩვენც გვიცავენ. მაგაო

თავიანთი გეგმა აქვთ აქბარისა — როდის რა უნდა მოეწიოს. ეგ უცხოქვეყნელი ან მოკვდება ან თავის ქვეყანაში წავა. ნაცვალი ერთხელაც გაქრება, ხოლო მაგის შვილი მამაზე უფრო ბრძენი იქნება. რასაც ახლა განვიცდით, ყველაკა გარდამავალია.

— ჩვენ ახალი თავკაცი გვჭირდება, ახალი მთავარი, — თქვა მხედართუფროსმა, — თუ ამ ნაცვლისა ხელში დავრჩით, [illegible] და გაგვაცამტვერებს.

ქურუმმა იცოდა, რომ სწორედ ეს ეწადათ ღმერთებსაც, რათა ბოლო მოღებოდა ბიბლოსის საშიშროებას. მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ერთხელ კიდევ გაახარა იმ ამბავმა, რომ მთავარნი, ნებით თუ უნებლიეთ, იმას იქმან, რისა ქმნაც ქვეყნად გარდაუვალია.

●

**ქალაქში** გავლა-გამოვლისას ილიამ წვლილად ჩაუწიგნა ნაცვალს თავისი შეხედულებანი ასირიელებთან მშვიდობიანი ურთიერთობისა აუცილებლობაზე, რის გამოისადაც ნაცვალმა თავის მრჩევლად დანიშნა. მოედანზე რომ გავიდნენ, ტანჯულ-ნაგალი ხალხი აედევნათ, მაგრამ ილიამ განუცხადა, მეხუთე მთის ღმერთებმა სნეულთა განკურნება ამიკრძალესო. დღის ბოლოს მან ქვრივის სახლს მიაკითხა. ბიჭი შუკაში თამაშობდა, და ილიამ მადლი შესწირა ზეცას, რაკილა უფალმა ის აირჩია ამ სასწაულის მოსახდენად.

ქვრივი ვახშმად ელოდა. ტაბლაზე საღვინე იდგა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა ილია.

— ხალხმა ძღვენი მოგართვა მადლიერებისა ნიშნად, — უთხრა ქალმა, — მე კი ბოდიში უნდა მოგიხადო, ნამდვილად, უსამართლოდ მოგექეცი.

— უსამართლოდ? — გაიკვირვა ილიამ. — ნუთუ ვერა ხედავ, რომ ეს ყველაფერი უფლის განგებულებისა ნაწილია.

ქვრივმა გაიცინა, თვალები გაუბრწყინდა, და ილიამ შეამჩნია, რომ ქალად სანდომიანი იყო, მოხდენილი... სულ ცოტა, ათი წლით მაინც იქნებოდა უფროსი, მაგრამ ილია უცხო რამ გრძნობით განიმსჭვალა, რაც ადრე არცროდის განეცადა, და შეშინდა. იზებელის თვალები მოაგონდა და ისიც გაახსენდა, რაც მაშინ ღმერთსა სთხოვა, აქაბის სასახლიდან რომ გამოდიოდა: ცოლად ლიბანელი ქალი შემახვედრეო.

— რა ვუყოთ, თუ უმიზნოდ ვიცხოვრე, სამაგიეროდ ბიჭი მყავს. შენ კი სულ ეხსომები ხალხს, ადამიანი სულეთის ქვეყნიდან გამოაბრუნა, — თქვა ქალმა.

— უმიზნოდ სულაც არ გიცხოვრია. მე აქბარში ღმერთისა ნებით მოვედი და შენ შემიფარე. თუ ოდესმე შენს შვილს მოიგონებენ, აუცილებლად მოგიგონებენ შენც.

ქალმა ორი სასმისი შეავსო ღვინით, და ორივემ ბოლომდე გამოცალა, ამასთანავე, გულსავსედ შეასხეს ქება მზესა და ციურ მნათობთ.

— შენ შორეული ქვეყნიდან მოხვედი, ჩემთვის უცნობი ღმერთის ნიშანთ ადევნებული, რომელი ღმერთიც აწ ჩემიც გახდა. ჩემი შვილიც შორი მხრიდან დაბრუნდა, და მერმე თავის შვილიშვილებს უამბობს,

რა საოცრებაც გარდახდა. ქურუმნი კი სიტყვა-სიტყვით დაიხსომებენ და მომდევნო თაობებს გადასცემენ.

სწორედ ქურუმთა მასსოვრობისდა წყალობით იცოდნენ აქაბელთ თავიანთი წარსული, თავიანთი მონაპოვარი, თავიანთი ძველი ღმერთები, თავიანთი მიწა-წყლისთვის დაცემული მოდა[illegible]ნი, დღემოუშმელნი, სიცოცხლით გაუმაძღარნი. თუმცა [illegible]ერის სხვა ხერხებიც გაჩნდა, მაგრამ აქაბელნი მხოლოდ ქურუმთა მეხსიერებას ენდობოდნენ, წმინდად ეწამათ მხოლოდ ქურუმთა ნასიტყვი. დაწერით, ვისაც რა უნდა, იმას დაწერს, დახსომებით კი, რაც არ ყოფილა და არ არსებულა ვერცრას დაიხსომებ.

— მე რის მოყოლა შემიძლია? — განაგრძობდა ქალი და თან სასმისს უვსებდა ილიას. — მე ვერც ნებისყოფის ძალას დავიკვეხნი და ვერც კიდევ იზეგელისა სილამაზეს. ჩემი ცხოვრება ძალიან ჰგავს სხვათა ცხოვრებას: ქორწილი მეც მშობლებმა გადამიხადეს, ჯერ სულ პატარა გოგო ვიყავი, მერმე ახლა ოჯახი დამაწვა, უკვე მოჯოხებული ქალი კი მეთქმოდა, მაგრამ არც საქმე მაკლდა, ეს ბედნიერი დღეო, ეს სტუმარიო, პურად მოსულიო. ჩემს ქმარს სულ საქმე ჰქონდა. სანამ ცოცხალი იყო, სალაპარაკოდაც არ გვეცალა. ის გარეთ მუშაობდა, მე შინ ვტრიალებდი, ასე გავატარეთ ჩვენი ცხოვრების კარგი წლები... იმის სიკვდილის შემდეგ, ერთადერთი რაც დამრჩა, ეს ჩემი ღარიბი ოჯახი და აღსაზრდელი შვილია. ამ შვილსაც თავისი გზა აქვს, გაიზრდება და წავა, ზღვაოსნობას დაიწყებს, მე კი უკვე აღარავის ვენდომები. ჩემში არც სიძულვილია, და არც წყენა რამ მალაპარაკებს, გულსა ის მიკლავს, უსარგებლო და ზედმეტი რომ ვარ ამ ქვეყანაზე.

ილიამ კიდევ შეავსო სასმისები. გული უცნაურად აუჩქარდა. გრძნობდა, რომ სიამოვნებდა ამ ქალის გვერდით ყოფნა. სიყვარული იქნებ უფრო ძნელიც იყო, ვიდრე აქ არის ჯარისკაცის პირისპირ დგომა, რომელსაც დოსტოლრივ გულში დაუმიზნებია შენთვის ისარი, თუ ის ისარი მოგხვდა, მოკვდები და ღმერთის იმედილა უნდა გქონდეს. ხოლო სიყვარულმა თუ დაგიტანა, დანარჩენი თავად შენზე ჰკიდია.

„როგორ მინდოდა, რომ მეც ვისმე ვყვარებოდი", — გაიფიქრა ილიამ.

მაგრამ ახლა, როცა ის იქვე გვერდით იყო — ნამდვილად ის იყო, და გაქცევაზე აღარც უნდა ეფიქრა, — ილიას მაინც ამ ქალისგან გაკიდეგანება და ამ ქალის დავიწყება უნდოდა.

ეცებ ის დღე დაუდგა თვალწინ, როცა ქერითის ღელე-ხევთან კარგა ხნის მარტოობის შემდეგ აქბარს მოვიდა. წყურვილისგან გათანგულ-გატანჯული და დამაშვრალი ძლივს მოეგო გონს და დაინახა, რომ ეს ქალი აღგა თავზე და წყლის წვეთებით ტუჩებს უსველებდა. ადრე არცროდის არ ყოფილა ასე ახლოს ქალთან, პირველად მაშინ შეამჩნია, რომ ამასაც იზეგელივით მწვანე თვალები ჰქონდა, ოღონდ სულ სხვანაირად უბრწყინავდნენ: შიგ თითქოს კედრის ხეები არეკლილიყვნენ, შიგ თითქოს ოკეანეც არეკლილიყო, რომელზედაც ამდენი უოცნებია, მაგრამ ჯერეთ მაინც ვერ მოეხილა, ის კი არა, დაჯერებაც უჭირდა, შიგ თავის არეკლილ სულსაც შეავლო თვალი.

„ნეტავი ამ წუთას მაინც მათქმევინა ეს ამბავი“, — გაიფიქრა ილიამ.

იმ დღიდან, რაც ისრაელელი შეიჭრა ამ ქვრივი ქალის ცხოვრებაში, ყველაფერი გამოიცვალა. სიღარიბეც კი ადვილი ასატანი გახდა, რამეთუ მან, შორი გზიდან მოსულმა კაცმა, ისეთი გრძნობა გაუღვიძა, რაც წინათ არცროდის ჰქონია — ქალს სიყვარულის გრძნობა დაუფლებოდა. ბავშვი ავად რომ გაუხდა, მან ძლივს დააშოშმინა აღრეხილი მეზობლები, რათა ილია თავისთან დაეტოვებინა.

მან იცოდა, რომ უცხოქვეყნელისთვის ღმერთი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა. ისიც ესმოდა, რომ არ უნდა ეოცნება ამ კაცზე, რომელსაც შეეძლო, ყოველ წუთს აეღო თავი და წასულიყო, იზებელის სისხლი დაელვარა და აღარასოდეს დაბრუნებულიყო, რათა არ ჩამოეტანა იქ მომხდარი ამბავი.

რა ვუყოთ, რაც არის, არის, მაინც ეყვარება, რადგან სიცოცხლეში პირველად მიხვდა, რომ თავისუფლებას ეზიარა. არა, მაგან, მაგ შორი გზიდან მოსულმა კაცმა, სულაც რომ ვერ გაიგოს, რა სიყვარულის ცეცხლიც წაუკიდა, მაინც ეყვარება, მაინც მოინატრებს ხოლმე, მაინც მაგაზე იფიქრებს და დარდიც გაუჩნდება, ხომ არა დაუშავდა რაო. არა, სამაგიეროს არც ითხოვს, უყვარს, მორჩა და გათავდა.

თავისუფლებაც აკი ეს არის: შენ შენი გულის ხმას აჰყოლიხარ და არცრად აგდებ, სხვები რას ამბობენ, უცხოქვეყნელის გამო ქალი ხშირად შესდავებია მეზობლებსა და ახლობლებს, ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ შეურჩენია, მაგრამ თავის თავთან გაძალიანება არ დასჭირვებია.

ილიამ კიდევ ცოტა დალია, მოიბოდიშა და სადგომში ავიდა. ქალმა ბავშვს გააკითხა გარეთ, რომელიც იქვე შუკაში თამაშობდა. ქალი ისეთ ხასიათზე იყო, ქალაქში გავლა მოუნდა.

ის კი არ მიაბიჯებდა, თითქოს დაფრინავდა, ვინაიდან სიყვარული არა მარტო ათავისუფლებს ადამიანს, ფრთებსაც ასხამს.

●

**ილია** დიდხანს იჯდა თავის სადგომში და კედელს შესცქეროდა. ბოლოს ისევ თავისი ანგელოზის გამოხმობა იზრახა.

— ჩემი სული საფრთხეშია, — წამოთქვა მან.

ანგელოზი დუმდა. ილია შეყოყმანდა, კიდევ ვუთხრა თუ არა რამე, მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო: ანგელოზის უმიზეზოდ გამოხმობა არ ეგების.

— როცა კი ამ ქალის გვერდით ვარ, თავს უხერხულად ვგრძნობ.

— პირიქით, — მიუგო ანგელოზმა, — შენ სწორედ ეგ გაწუხებს, ვაითუ, შემიყვარდაო.

ილიას შერცხვა, ანგელოზს არ ესწავლებოდა წინასწარმეტყველის სულისა ამბავი.

— სიყვარული საშიშია, — წართქვა ილიამ.

— ძალიანაც, — მიუგო ანგელოზმა, — მერე რა ვუყოთ.

ამის თქმა იყო, და გაქრა.

ანგელოზმა კარგად უწყოდა, რა ცეცხლიც ეკიდა ჭაბუკის გულს. ილიამ იცოდა, რაც არის სიყვარული. მან თავისი თვალით იხილა, როგორ განუდგა ისრაელის მეფე ღმერთს სიდონელი მეფისა ასულის, იზებელის, გულისთვის. თქმულებისდა თანახმად, მეფე სოლომონმა ტახტი უცხოელ ქალს ანაცვალა. სამსონი ფილისტიმელთ რომ ხელთ იგდეს და თვალები დასთხარეს, სულ დალილას ბრალი იყო.

როგორ შეიძლება, ილიას არ სცოდნოდა, რა მოსდევს სიყვარულს? ისტორია სავსეა ამ თემაზე ტრაგიკული მაგალითებით. მაგრამ წმინდა ტექსტები რომც არ სცოდნოდა, ათასი მაგალითი ედგა თვალწინ თავისი მეგობრებისა და ამ მეგობრების მეგობრებისა, მრავალი ღამე თეთრად რომ გაეტარებინათ და იმედსლა ებღაუჭებოდნენ. ისრაელში შეყვარებული თუ ეყოლებოდა, ვერც ილია დაუტევებდა აგრე ადვილად თავის ქალაქს, როცა ეს უფალმა მოსთხოვა, და ახლა, ცხადია, ცოცხლებში აღარ ეწერებოდა.

„სულ ტყუილად ვიბრძვი, — გაიფიქრა მან, — სიყვარული მაინც მძლევს, და მე სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება ეს ქალი. უფალო, მიმაბრუნე უკან ისრაელში, რათა ვერცროდის გადავუშალო გული ამ ქალს. ვიცი, არ ვუყვარვარ და მოურიდებლად მეტყვის, ჩემი გული ჩემს ქმართან ერთად მარხიაო“.

## 4.

**მეორე** დღეს ილია კვლავ შეხვდა მხედართუფროსს. მან შეიტყო, ასირიელთა ბანაკს ახალი ძალა შეემატაო.

— როგორია ახლა ძალთა თანაფარდობა? — ჰკითხა მხედართუფროსს.

— იზებელის მტერთან არცრა საქმე მაქვს.

— მე ნაცვლის მრჩეველი ვარ, — უთხრა ილიამ, — გუშინ თავის შემწედ დამნიშნა, აქამდე უნდა შეეტყობინებინათ. უნდა მიპასუხო, ვალდებული ხარ.

მხედართუფროსს უცხოქვეყნელის მოკვლის ყინი მოერია.

— ორ ასირიელზე ჩვენი ერთი მეომარი მოდის, — უნდომანდოდ გაეპასუხა მხედართუფროსი.

ილიამ იცოდა, რომ მოწინააღმდეგეს კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი ეჭირვებოდა.

— ახლა ყველაზე შესაფერისი დროა სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად, — თქვა მან, — მიხვდებიან, რომ სულგრძელობას ვიჩენთ, და უკეთეს პირობებს გამოვრჩებით. ყველა ჯართუფროსმა იცის, რომ ქალაქის დასაპყრობად ერთ დამცველზე ხუთი მეომარია საჭირო.

— მალე მაგ რიცხვსაც მიაღწევენ, დაუყოვნებლივ თუ არ შევუტევთ.

— იქნებ საჭმელი საკმარისიც აქვთ, მაგრამ წყალი არ ეყოფათ, ბევრნი არიან. თუ წყლის გასაჭირი შეეტყოთ, მოციქულნი უნდა ვაფრინოთ.

— ეგ როდის?

— დავიცადოთ, სანამ ასირიელ მეომართა რიცხვი ცოტა კიდევ მოიმატებდეს, წყურვილს რომ ველარ გაუძლებენ, ადგებიან და გაიძულებულნი დაესხმიან აქბარს, მაგრამ ისიც იციან, რომ მოვერევით, უკეთუ მაგათი სამი ან ოთხი მეომარი დაუპირისპირდება ჩვენს ერთ მეომარს. მაშინ ჩვენი მოციქულები მივლენ და მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოელაპარაკებიან, დაატოვებინებენ ქალაქს და წყალსაც შეასყიდიებენ. ასეთია ნაცვლის ჩანაფიქრი.

მხედართუფროსს არცრა უთქვამს, უცხოქვეყნელის წასვლას უცდიდა. ილია რომც მოკვდეს, ნაცვალი ამ თავის ჩანაფიქრს მაინც არ გადავა. მხედართუფროსმა გულში დაიფიცა, თუ ასე მოხდებოდა, ნაცვალსაც მოკლავდა და მერმე თავსაც მოიკლავდა, აღარ დაიცდიდა, სანამ ღმერთების რისხვა დაატყდებოდა.

მაგრამ თავისი ხალხისთვის არცვის აღალატებინებს ფულის გულისთვის.

●

**„უფალო,** დამაბრუნე უკან ისრაელის მიწაზე, — ივედრებოდა ტაშირზე გასული ილია ყოველდღე, — ნუ ამყოფებ ჩემს გულსა ტყვეობაში“.

როცა კი ქვრივი წამოაგონდებოდა და საფიქრალს აუშლიდა, ჯერ კიდევ ბავშვობიდან ნაცნობ წინასწარმეტყველთა ჩვეულებისდა თანახმად, იღებდა შოლტს და თავს იგვემდა. მთელი ზურგი დაუწყლულდა და დაუიარავდა ორი დღე ციებცხელებიანი ბოდავდა კიდეც. თვალი რომ აახილა, პირველი, რაც დაინახა, ქვრივის სახე იყო. ქალი თავს დასტრიალებდა, იარებზე მალამოსა და ზეითუნის ზეთს მტლედ ადებდა. ძირს ჩასვლა კი არა, წამოდგომაც არ შეეძლო, და საჭმელიც ქვრივს აჰქონდა.

●

**მომჯობინდა** თუ არა, კვლავ ტაშირს მიაშურა.

„დამაბრუნე უკან ისრაელის მიწაზე, უფალო! — კვალად ივედრებოდა ილია, — რა ვქნა, დარჩეს ჩემი გული აქბარში, სხეულმა თავისი გზა განაგრძოს“.

და გამოეცხადა ანგელოზი. ოღონდ ის კი არა, მთის მწვერვალზე რომ მოიხილა, არამედ თავისი მფარველი ანგელოზი, რომლის ხმასაც მიჩვეული იყო.

— უფალსა იმათი ლოცვა ესმის, ვინცა სთხოვს, სიძულვილი დამავიწყებინეო. ხოლო ყრუა იმათ მიმართ, ვისაც სიყვარულისგან გაქცევა უნდა.

●

**ილია,** ქვრივი და ბიჭი ყოველ საღამოს ერთად ვახშმობდნენ. როგორაც დაპირებული იყო უფალი, ფოხალში ფქვილი არ ილეოდა და ლიტრაში ზეთი არ კლებულობდა.

ჭამის დროს იშვიათად თუ დაილაპარაკებდნენ. მაგრამ ერთხელაც ბიჭმა იკითხა:

— ვინ არის წინასწარმეტყველი?

— ვინ არის და, ის არის, ვისაც იგივე ხმები ესმის, ბავშვობაში რომ ესმოდა და ისევ ენდობა იმ ხმებს. სწორედ. ამ [illegible] ენაზე ბიბლიოთეკა
იგებს, რასაც ანგელოზები ფიქრობენ.

— ვიცი, ვიცი, რასაც ამბობ, — უთხრა ბიჭმა, — მე მეგობრები მყვანან, რომლებსაც ვერცვერავინ ხედავს.

— არცროდის დაივიწყო ისინი, უფროსებმა რომც გითხრან, ეგ სისულელეაო. ეგრე მუდამ გეცოდინება, რაც ღმერთს უნდა.

— როგორც ბაბილონელ გულთმისნებს, ისე შემიძლია მომავლის გამოცნობა.

— წინასწარმეტყველთ არცრა იციან მომავალზე. ისინი მხოლოდ იმას წარმოთქვამენ, რასაც უფალი იმწუთას ჩააგონებს. ამიტომ არის, რომ აქა ვარ, და არ ვიცი, როდის დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში. უფალი იმას დანიშნულ ვადაზე ადრე არ მეტყვის.

ქალს ნაღველი ჩაუდგა თვალებში. წავა, ერთხელაც იქნება, წავა.

●

**ილია** აღარ უხმობდა ხოლმე ღმერთს. გადაწყვეტილი ჰქონდა აქბარიდან წასვლის ჟამი რომ დადგებოდა, ქვრივსაც თან წაიყვანდა შვილიანად. მანამ კი, სანამ ის ჟამი არ დადგებოდა, წასვლაზე სიტყვას არ ჩამოაგდებდა.

ან იქნებ ქვრივმა სულაც არ ინდომოს წაყოლა. იქნებ არც იცის, ილიას რომ უყვარს, აკი თვითონაც გვიან მიხვდა ამას. ასე თუ მოხდა, უკეთესიც იქნება — ადგება და მთელ თავის სიცოცხლეს იზებელის განდევნასა და ისრაელის აღორძინებას მოანდომებს. სიყვარულზე ფიქრის დრო აღარც ექნება.

„უფალი მწყემსია ჩემი, — გაახსენდა ილიას მეფე დავითის ლოცვა, — სულს დამიწყნარებს და წყნარ წყლებზე წარმიძღვება“.

„და არ დამიმალავს ჩემი ცხოვრების აზრს“, — დაასკვნა მან თავისი სიტყვებით.

●

**ერთხელ** ის ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ და დაინახა, რომ ქვრივი სახლის ზღურბლზე ჩამომჯდარიყო.

— რას აკეთებ?

— ვუსაქმურობ, — მიუგო ქალმა.

— ჩაუჯექი და ისწავლე რამე. ჩვენს დროში ცხოვრების ყადრი დაკარგა ხალხმა. ადამიანებმა აღარც მოწყენა იციან, აღარც ტირიან, მარტო იმას უცდიან, როდის გავა დრო. ყველამ უარი თქვა ბრძოლაზე, ცხოვრებამ კი თვითონ ადამიანებზე თქვა უარი. ეს ამბავი შენც გე-

მუქრება. ქმენ რამე, გაბედულად იარე წინ, ცხოვრებაზე ხელი არ ჩაიქნიო.

— ჩემმა ცხოვრებამ ხელახლა შეიძინა აზრი, — თქვა ქალმა და თვალები დახარა. — რაც შენ მოხვედი, იმის მერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

**მან** წამიერად იგრძნო, რომ ამ ქალის გულისთვის მზად იყო ყველაფრის დასატევებლად, მაგრამ თანაც ის ეფიქრებოდა, ვაითუ, სულ სხვა რამეზე მელაპარაკებაო.

— ისწავლე რამე, — ისევ წელანდელს დაუბრუნდა ილია. — მაშინ დრო შენი მოკავშირე იქნება და არა მტერი.

— რის სწავლა შემიძლია?

ილია ჩაფიქრდა.

— სულაც ბიბლოსური ანბანი ისწავლე, გამოგადგება, თუ სადმე შორს წასვლა მოგიწევს.

ქალს წყურვილივით გაუჩნდა ბიბლოსის შესწავლის სურვილი. აქბარიდან წასვლაზე არცროდის უფიქრია, მაგრამ იმის მიხედვით თუ განსჯიდა, რაც ილიამ თქვა, ის იმის წაყვანასაც აპირებდა.

მან თავი კვლავ თავისუფლად იგრძნო. მეორე დღეს რიჟრაჟზე ადგა და ქალაქს წავიდა. შუკა-შუკა მიდიოდა და სახეზე ნათელივით ეფინა ღიმილი.

## 5.

— **ილია** ჯერ კიდევ ცოცხალია, — უთხრა მხედართუფროსმა ქურუმს, — ვერ მოკალი.

— მთელ აქბარში ძნელია კაცის პოვნა, ვინც მაგას იზამდა. ისრაელელი ნუგეშინსა სცემს ტანჯულთ, პატიმართ ნახულობს, მშიერთ აპურებს. როცა ვინმე მეზობელს ეჩხუბება, საქმისა გასარკვევად მაგას ეძახიან და რასაც ეგ გადაწყვეტს, ყველანი თანახმანი უხდებიან, რადგან სამართალსა სწორად წონის. ნაცვალს ეგ თავისი გავლენის გასამყარებლად სჭირდება, მაგრამ ამის გაგება არცვის უნდა.

— ვაჭრებს არ ეპრიანებათ ომი. ნაცვლის გავლენა თუ გაძლიერდება და ეგ ხალხს მშვიდობიანობის უპირატესობაში დაარწმუნებს, მაშინ ვერც ვერასოდეს გაგვიყრია ასირიელნი ჩვენი მიწა-წყლიდან. ეგ ახლავე უნდა მოიკლას.

ქურუმმა ხელი მეხუთე მთისკენ გაიშვირა, რომლის მწვერვალსაც მუდამ ღრუბელი ეხვია.

— ღმერთები არ იზამენ, რომ უცხოქვეყნელთ დაამცირონ ჩვენი ქვეყანა. ისინი გვიხვაიშნებენ: რაღაც აუცილებლად მოხდება და მაშინვე უნდა ვისარგებლოთ.

— მაინც რა უნდა მოხდეს?

— არ ვიცი. მაგრამ ყველა ნიშანს ყურადღებით გავადევნებ თვალ-ყურს. მეტს ნურცვის ეტყვი ასირიელთა ჯარისა ზუსტ რიცხვს. როცა კი შეგეკითხონ, ყველას უთხარი, ასირიელი მეომრები ჯერ მხოლოდ ოთხჯერ მეტნი არიან ჩვენებზე-თქო. და განაგრძე ომისთვის შენი მზადება.

— ეგ რატომ უნდა ვქნა? ეგენი თუ თანაფარდობას ხუთს ერთზე მიაღწევენ, დავიღუპებით.

— არა, თანაბრად ვიქნებით. შენ შედარებით ძლიერ მტერთან მოგიწევს ბრძოლა და ლაჩარს ველარ დაგიძახებენ, რომელიც სუსტებს ესხმის. შენს ხელში აქბარის ჯარი თავს არ შეირცხვენს, შენს ყოველის უფრო საუკეთესო სტრატეგიას მტერი ვერ გაუძლებს და დამარცხებას იწვნევს.

მხედართუფროსმა პატივმოყვარეობის ცდუნებას ვერ გაუძლო და დაეთანხმა, ეგრე იყოსო. იმ დღიდან ჯარების რიცხოვნობას ნაცვალსაც უმალავდა და ილიასაც.

## 6.

**გამოხდა** კიდევ ორი თვე. ასირიელთა ჯარის თანაფარდობამ აქბარის ერთ დამცველზე ხუთი მეომარი შეადგინა. ასირიელთ ყოველ წუთს შეეძლოთ თავდასხმა და შეტევაზე გადმოსვლა.

ბოლო ხანს ილია დაეჭვდა, რომ მხედართუფროსი მოწინააღმდეგის ძალთა შესახებ სიმართლეს უმალავდა, რაც იქნებ უკეთესიც იყო: როცა ორივე მხარის ძალების თანაფარდობა კრიტიკულ წერტილს მიაღწევს, ძნელი აღარ იქნება ხალხის დარწმუნება, რომ ერთადერთი გამოსავალი მშვიდობაა.

ამას მოედნისკენ მიმავალი ფიქრობდა, რომელ მოედანზეც თავშეყრილ ხალხს კვირაში ერთხელ სადავო და საცილობელ ამბებს აწყვეტინებდა. ჩვეულებრივ ეს სულ უბრალო საქმეები იყო: ან მეზობლები ერთმანეთში ჩხუბობდნენ, ან მოხუცთ გადასახადების გადახდა არ უნდოდათ, მახტისა თუ ღალისა. ანდა, ვაჭრები ჩიოდნენ, ვაჭრობაში ვილაც ხელს გვიშლისო.

ნაცვალი უკვე იქ იყო. ჩვეულებად ჰქცეოდა ხანდახან მოედანზე მისვლა, რათა წინასწარმეტყველს შეხვედროდა. ილიას ნაცვალის დანახვაზე არავითარი უსიამო გრძნობა აღარ იპყრობდა. მიხვდა, რომ არც სიჭკვიანე აკლდა, არც სიფრთხილე, თუმცა სულიერი ცხოვრება არა სწამდა და მეტისმეტად ეშინოდა სიკვდილისა. ასეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ნაცვალს თავისი ძალაუფლება იმისთვის გამოუყენებია, რომ ილიას სიტყვებისთვის კანონის ძალა მიენიჭებინა. ილია არც დასთანხმებია ქვეყნის მეთაურის გადაწყვეტილებას, მაგრამ მერმე მიხვედრილა, რომ ნაცვალი მართალი იყო.

აქბარი სწორედ ამ ნაცვლის ხელში გადაიქცა სანიმუშო ფინიკიურ ქალაქად. მან გამოსაღების უფრო სამართლიანი წესი და რიგი შემოიღო, შუკა იყო, ფორი თუ ფოლორცი, კეთილმოაწყობდა, საქონლის გადასახადებიდან შემოსულ ფულს გონივრულად განაგებდა. ერ-

თხელაც ილიამ მოითხოვა, რომ ნაცვალს მოქალაქეთათვის ღვინისა და ლუდის სმა აეკრძალა. საქმე ის არის, რომ ყველა ჩხუბსა და დავიდარაბას, რომელთა მოგვარებაც ილიას უწევდა, უმეტესად მთვრალი და ნასვამი ხალხი სჩადიოდა. ნაცვალი დაეუარა, დიდ ქალაქში სხვანაირად არც შეიძლებაო. ზნე-ჩვეულებისდა თანახმად, ყველასაც უხარიათ, როცა ხალხი სამუშაო კვირის ბოლოს ილხენსო, ამიტომაც იცავენ **მთვრალთა და ღლეულთაო.** მთვრალი კაცი კარგი კაციაო.

თანაც კიდევ ფინიკიურ ღვინოს მსოფლიოში ვერც ერთი ღვინო ვერ შეედრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცხოქვეყნელნი ნამდვილად ცუდს რასმე იფიქრებდნენ, უკეთუ აქბარელნი ღვინის სმას შეეშვებოდნენ. რახან კარგ ღვინოს აყენებდნენ, რასაკვირველია, თვითონაც უნდა დაელიათ. ილიას ჭკუაში დაუჯდა ნაცვლის აზრი და ბოლოს და ბოლოს დაეთანხმა, რომ მხიარული ხალხი შრომითაც უკეთესად შრომობს.

— ეგრე ძალიან ნუ იმცდელებ, — უთხრა იმ დღეს ნაცვალმა, როგორც კი ილია თავის საქმეს შეუდგა, — მრჩეველი იმის მრჩეველია, თავისი აზრი გამოთქვას.

— მე ჩემი მიწა-წყალი მენატრება და წასვლა მინდა. საქმეში თუ ვარ გართული, საჭირო კაცად მიმაჩნია თავი და მავიწყდება, რომ უცხოქვეყნელი ვარ, — უპასუხა ილიამ.

„და სიყვარულსაც უფრო ადვილად ვერევი", — ჩაილაპარაკა მან თავისთვის.

●

**საჯარო** სასამართლო ხალხის ბრბოს წარმოადგენდა, რომელიც გარს შემორტყმოდა წინასწარმეტყველს და ყურადღებით უსმენდა. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა: ბევრი ბერიკაციც ერია, რომელთაც მინდვრად მუშაობის თავი არა ჰქონდათ და აქ მოდიოდნენ, რათა ან მოეწონებინათ, ან დაეგმოთ ილიას განჩინებანი. ზოგიც იმიტომ მოდიოდა, იქნებ ვისმე გამოვრჩე რასმეო, ანდა თავად იყო დაზარალებული. ბევრნი იყვნენ ქალებიცა და ბავშვებიც. ისინი უსაქმურობას მოჰყავდა აქ.

ილია დილის საქმეებს შეუდგა. პირველი წამოდგა წინ მწყემსი ვინმე, რომელსაც ეგვიპტის პირამიდების შორიახლო დამარხული განძი ეოცნებებოდა. ფული სჭირდებოდა, რათა იმ ადგილამდე მიეღწია. ილია ეგვიპტეში არცროდის ნამყოფი არ იყო, მაგრამ იცოდა, რომ იქ წამსვლელს ცხრა მთა უნდა გადაევლო, და უთხრა, აქედან ძალიან შორს არის, ამხელა გზის ფულის შოვნა გაგიჭირდებაო. მაგრამ მწყემსი ცხვრის ფარას თუ შეელეოდა, ფულად აქცევდა და თავის ოცნების საფასურს გადაიხდიდა, აუცილებლად იპოვიდა, რასაც ეძებდა.

მერმე ახლა წინ მავანი და მავანი ქალი წამოდგა, ისრაელში რაც რამ ჯადო-თილისმა იციან, ყოველივესი სწავლა მომსურვებიაო, ილიამ უთხრა, მე მასწავლებელი არა ვარ, წინასწარმეტყველი ვარო.

როცა ის იყო მშვიდობიანად უწყვეტდა საქმეს ერთ გლეხკაცს, მეზობლის ცოლისთვის ცილი რომ დაეწამებინა, ბრბოს ვიღაც მეომარი გამოეყო და ნაცვლისკენ აიღო გეზი.

— ჩვენებმა მსტოვარი დაიჭირეს, — ძლივს ლაპარაკობდა ოფლად გალვრილი მეომარი, — აქეთ მოჰყავთ.

ბრბო წამერთ აღელდა: იქ შეგროვილნი პირველად დაესწრებოდნენ მსგავს სამსჯავროს.

— სიკვდილი! — დაიყვირა ვიღაცამ, — სიკვდილი მტერს!

ამ შეძახილს მთელი მოედანი აჰყვა. ახალი ამბავი თვალის დახამხამებაში მოედო მთელ ქალაქს, და მოედანზე შეგროვილთ ზღვა ხალხი შემოემატა, ტევა აღარ იყო. ილია ძლივსღა ახერხებდა ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტას, სიტყვას არ ამთავრებინებდნენ, დაჭერილი გადამთიელის მოყვანას ითხოვდნენ.

— მე ვერ გავასამართლებ იმ კაცს, — ამბობდა ილია, — იმის გასამართლება აქბარის მესვეურთა საქმეა.

— რა უნდათ აქ ასირიელებს? — იკითხა ვიღაცამ, — განა რა, ვერა ხედავენ, რომ ძველთაგან მშვიდობიანად ვცხოვრობთ?

მტრის იქ ყოფნაზე თვეობით ხმა არცვის ამოუღია. თუმცაღა ყველანი კარგად ხედავდნენ ტაშირის შუაგულში დაცემულ ასირიელთა ბანაკს, რომელსაც გამუდმებით სულ ახალი და ახალი ხალხი ემატებოდა, თუმცაღა ვაჭრები ერთბაშად მოითხოვდნენ, რაც შეიძლება მალე დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებაო, აქბარელთ მაინც ვერა და ვერ დაეჯერებინათ თავდასხმის საშიშროება. თუ რომელიმე უბადრუკი ტომის მოულოდნელ თარეშს არ ჩავთვლით, რაც უმალ იოლად მოუგერებიათ, ომი და უბედურება მხოლოდ ქურუმთა მახსოვრობასღა შემორჩენოდა. ისინი ათას რასმე ჰყვებოდნენ ეგვიპტის ქვეყანაზე, ცხენებშებმულ საბრძოლო ეტლებზე, პირუტყვთა შესახედაობის ღმერთებზე. მაგრამ ეგვიპტე, ვინ უწყის, როდიდან აღარ არის ძლიერი სახელმწიფო და გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე მუქკანიანი მეომრებიც ძალიან დიდი ხნის წინათ დაბრუნებიან თავიანთ მიწა-წყალს. ამჟამად ტვიროსისა და სიდონის მკვიდრნი ბატონობდნენ ზღვაზე და მთელი სამზეო ხელში უჭირავთ. ამათ, ყველანაირ სამამაცო საქმეში დახელოვნებულთ, ბრძოლის ახალ ხერხს მიაგნეს — აღებმიცემობას.

— ხალხი რატომ ღელავს? — ჰკითხა ნაცვალმა ილიას.

— ხალხს ესმის, რომ რაღაც შეიცვალა. ჩვენც ვიცით, მე და თქვენ, რომ დღეიდან ასირიელთ ყოველ წუთს შეუძლიათ თავზე დაგვესხან. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მხედართუფროსი ცრუობდა, როცა მტრის ჯარის რიცხოვნობას გვაუწყებდა.

— მერე სულელი ხომ არ არის, ვინმესთვის ეთქვა მაგ რიცხოვნობის ამბავი. მთელ ქალაქს დააელდიანებდა.

— საშიშროებას ყველა გრძნობს. ეგ ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევა, წინ-წინ რაღაცას გრძნობს. საკუთარი თავის მოტყუება უნდა, ვინაიდან შეფიქრიანებულია, ვაითუ ბრძოლას ვერ გაუძლოს. დღემდის ხალხიც სხვა აზრზე იყო, ისიც თავს იტყუებდა, მაგრამ დადგა დრო, როცა სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ.

ამ ლაპარაკში ქურუმი მიუახლოვდათ.

— სასახლეში წავიდეთ. აქბარის უხუცესთა საბჭოა მოსაწვევი, მხედართუფროსი უკვე გზაშია.

— ეგ არ ქნა! — ხმადაბლა უთხრა ილიამ ნაცვალს, — შენ რომ გინდა, ისე არ გადაგაწყვეტინებენ.

— წავიდეთ, — ჟინიანად გაუმეორა ქურუმმა, — მსტოვარი ხელთა გვყავს, უნდა გადავწყვიტოთ რაში.

— აქვე განასჯევინე, მოედანზე, ხალხის თვალწინ, — წასჩურჩულა ილიამ, — ხალხი შენ დაგიჭერს მხარს, ომს კი ითხოვენ — მაგრამ მშვიდობა უნდათ.

— მოიყვანეთ აქ ის კაცი! — მოითხოვა ნაცვალმა. — ხალხში სიხარულის შეძახილები გაისმა. — ხალხი პირველად დაესწრება ქალაქის საბჭოს.

— მაგას ვერ ვიზამთ! — თქვა ქურუმმა, — ეს ფაქიზი საქმეა, აურზაურში ვერ გადაწყდება.

ხალხმა სტვენით გამოხატა უკმაყოფილება.

— აქ მოიყვანეთ-მეთქი! — გაიმეორა ნაცვალმა, — ამ მოედანზე განვსჯით, ხალხის თვალწინ. ჩვენ ხალხთან ერთად ვშრომობდით, რათა აქბარი აყვავებული ქალაქი გამხდარიყო, და განსჯითაც ერთად განვსჯით, რაც საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის.

ამ გადაწყვეტილებას მქუხარე ტაშისცემა მოჰყვა. გამოჩნდა რამდენიმე აქბარელი მეომარი. ისინი ნასევრად შიშველ გასისხლიანებულ კაცს მოათრევდნენ. ჩანდა, ჯოჯოხეთი გამოეტარებინათ, სანამ აქ მოიყვანდნენ.

ხმაური შეწყდა. მოედანზე მძიმე დუმილი ჩამოწვა. მოედნის მეორე ბოლოდან ღორების ტრუსუნი და ბავშვების ჟრიამული აღწევდა.

— ეს რა დღეში ჩაგიგდიათ ტყვე? — იყვირა ნაცვალმა.

— გვეწინააღმდეგებოდა, — უთხრა ერთ-ერთმა მცველმა, — მსტოვარი არა ვარო. დასალაპარაკებლად მოვედიო.

ნაცვალმა თავისი სასახლიდან სამი საკარძლის მოტანა ბრძანა. მსახურებმა სირლა მოართვეს, რომელსაც ყოველთვის მაშინ იცვამდა, როცა აქბარის საბჭოს მოწვევა ხდებოდა საჭირო.

●

**ნაცვალი** და მღვდელი საკარძელში ჩასხდნენ. მესამე საკარძელი მხედართუფროსისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ის ჯერ არ ჩანდა.

— საზეიმოდ ვაცხადებ ქალაქ აქბარის სამსჯავროს დაწყებას! უხუცესნი წინ გამობრძანდნენ!

რამდენიმე ბერიკაცი ქურუმსა და ნაცვალს მიეახლოვა, და საკარძლების უკან ნახევარი წრე გაჩნდა. ეს იყო უხუცესთა საბჭო. წინა დროს, ადრე, უხუცესნი რასაც გადაწყვეტდნენ, პატივსა მიაგებდნენ და სრულდებოდა კიდეც. აწ კი ისინი გინდ ყოფილიყვნენ, გინდ არა, სულერთი იყო. ახლა პირწმინდად ცერემონიული როლი ეკისრებოდათ, — მხოლოდღა იმისთვის იყვნენ საჭირონი, რომ ნაცვლის ყველა გადაწყვეტილებაზე ჰოობა ეთქვათ და თანხმობის ნიშნად თავი ექნიათ.

ნაცვალმა აუცილებელი წესი და რიგი შეასრულა: მეხუთე მთისა ღმერთებს ლოცვა აღუვლინა, გარდასულ გმირთა სახელები მოიხსენია. მერმე ტყვევნილს მიუბრუნდა:

— რას გვიბრძანებ?

მან არ უპასუხა რა. რაღაც უცნაურად უცქერდნენ ნაცვალს სახეში, როგორც ტოლი ტოლს.

— რა გინდა-მეთქი? — ბრაზიანად გაუმეორა ნაცვალმა.

ქურუმმა ხელი შეახო ნაცვალს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოენე გვინდა. ჩვენი ენა არ იცის.

გაიცა ბრძანება. ერთ-ერთი ჯარისკაცი ისეთი ვაჭრის საძებნელად წავიდა, რომელიც მოენედ გამოდგებოდა. ვაჭრები არცროდის ესწრებოდნენ იმ შეკრებილობას, ილია რომ მართავდა ხოლმე. ისინი მუდამ თავიანთი საქმეებით იყვნენ გართული და თავიანთი შემოსავლის თვლა-ანგარიშის მეტი არცრა ახსოვდათ.

სანამ მოენეს მოიყვანდნენ, ქურუმმა ჩურჩულით გადაულაპარაკა ნაცვალს:

— ეგ ტყვევნილი შეშინებული ხალხის ნაცემია. მე განმასჯევინე, შენ ნურცრას იტყვი: უეცარი რამ შიში ხალხს აგიყებს, ყველაფერი ჩვენს ხელთ უნდა ავიღოთ, თორემ მერე გვიან იქნება, მდგომარეობას ველარ მოვერევით.

ნაცვალი არ გაპასუხებია, თავს არც ის გრძნობდა უშიშრად. ილიას ძებნა დაუწყო თვალებით, მაგრამ სადაც იჯდა, იმ ადგილიდან ვერ დაინახა.

ჯარისკაცმა ვაჭარი მოიყვანა. ის უკმაყოფილო იყო და ჩხუბობდა, სად მცალია მე თქვენი სამსჯავროსთვის, ქვეყნის საქმე მაქვსო. მაგრამ ქურუმმა თვალები გადაუბრიალა და მოსთხოვა, დამშვიდდი და ჩვენი ლაპარაკი თარგმნეო.

— აქ რამ მოგიყვანა? — ჰკითხა ნაცვალმა.

— მე მსტოვარი არა ვარ, — მიუგო ტყვევნილმა, — მე ერთი წინამძღოლთაგანი ვარ და თქვენთან დასალაპარაკებლად მოვედი.

როგორც კი პირველივე წინადადება ითარგმნა, აქამდე გაყუჩებული ხალხი უცებ აყაყანდა, ცრუობს ეგ მამაძაღლი, ახლავ სიკვდილით უნდა დაისაჯოსო.

ქურუმმა ხალხს ანიშნა, დაწყნარდითო, და ტყვევნილს მიუბრუნდა:

— რა დალაპარაკება გინდა, რა უნდა გვითხრა?

— ჩვენამდეც მოვიდა ხმა, რომ ნაცვალი ბრძენი კაცია, — თქვა ასირიელმა, — ჩვენ ამ ქალაქის დანგრევა და დაქცევა არ გვინდა, ჩვენ ტვიროსი და სიდონი გვეხიაზება. მაგრამ აქბარი ზედ შუა გზაზეა და ტაშირსაც ეგ მართავს. აქ ახლა ბრძოლა რომ დავიწყოთ, ხალხსაც დავკარგავთ და დროსაც. ამიტომ გასარიგებლად მოვედი.

„მართალს ამბობს, — გაიფიქრა ილიამ და შეამჩნია, რომ გარშემო ჯარისკაცები ისე ეხვივნენ, ნაცვალს ეფარებოდნენ, — ჩვენსავით ფიქრობს. უფალმა სასწაული მოახდინა და ნამდვილად გვიხსნის".

ქურუმი წამოდგა და ხალხის დუნდგოს გასძახა:

— ხედავთ? უბრძოლველად უნდათ ჩვენი დაქცევა.

— განაგრძე, — უთხრა ნაცვალმა.

ქურუმი ისევ ჩაერია:

— ჩვენი ნაცვალი ღირსეული კაცია, სიხსლის დაღვრა არ უნდა. მაგრამ ქალაქი ალყაშია, და ეს კაცი, თქვენ წინ რომ დგას, მტერია!

— მართალს ამბობს! — ბრბოდან იყვირა ვილაცამ.

ილია მიხვდა, რომ შეცდა. ქურუმი სწორედ იმ დროს აზარფიანებდა ხალხს, როცა ნაცვალს მართლმსაჯულება უნდა აღესრულებინა. მან ნაცვალთან ახლოს მისვლა მოინდომა, მაგრამ ხელი ჭრილობიდან ჩაებლაუჭა კიდეც.

— აქ იყავი. გეყო, რაც თავს მოაბეზეე.

ილია შემოტრიალდა: ხელთ მოღიმარი მხედართუფროსი შერჩა.

— ჩვენ ვერავითარ წინადადებებს ვერ მოვისმენთ, — განაგრძობდა ქურუმი და ხელებს ისე იქნევდა, ისე მღელვარებდა, აშკარად ჩანდა, რა აზრითაც იყო შეპყრობილი, — რა მოლაპარაკება, რის მოლაპარაკება, მაშინვე იმას იტყვიან, შევაშინეთო. აქბარელი ხალხი მამაცი ხალხია და ყველა შემოსევას გაუძლებს.

— ამ კაცს მშვიდობა ალაპარაკებს, ხალხო, კარგ საქმეზეა მოსული, — მიმართა ბრბოს ნაცვალმა.

იმწამს ვილაცის ხმა გაისმა:

— ვაჭრებს მშვიდობა ხელს აძლევს. ქურუმნიც მშვიდობის მოწადინენი არიან. ნაცვალთაც მშვიდობიანი ქალაქების მართვა უნდათ. მარტო ერთი ჯარია, ვისაც სულ ომი ელანდება!

— განა უომრად არ მოვდრიკეთ ისრაელური სარწმუნოება? — შეიძახა ნაცვალმა. — არც ჯარი გაგვიგზავნია, არც ხომალდიონი, იზეზელი გავგზავნეთ. ისრაელელნი უკვე ბაალს ეთაყვანებიან, და არც ერთი ჯარისკაცი იქ არ გველუპება.

— ასირიელთ ლამაზი ქალი კი არ გამოგვიგზავნეს, მეომრები მოგვიგზავნეს, — კიდევ უფრო იხმამაღლა ქურუმმა.

ხალხი ასირიელის სიკვდილს ითხოვდა. ნაცვალმა ხელი წაავლო, ქურუმს, ძალით დასმა მოუნდომა.

— დაჯექი, — უთხრა. — ძალიან შორს შეტოპე.

— ეს საჯარო სამსჯავრო შენი მოწყობილია. უფრო სწორად, ამ ისრაელელი მოღალატის ნაკარნახევია, რომელსაც აქბარის მთავარი თავის ჭკუაზე დაჰყავს.

— ეგ მერე გავარკვიოთ. ჯერ ის გავიგოთ, რა უნდა ასირიელს. რაც სოფელ-ქვეყანა გაჩენილა, სულ აგრეა: ადამიანები მუდამ ძალით ახვევდნენ ერთმანეთს თავიანთ ნებას, რაც მოეპრიანებოდათ, იმას იქმოდნენ, და სხვა რას ფიქრობდა, ფეხებზე ეკიდათ. რომელი სამეფოც დანგრეულა, ამ ამბავს დაუნგრევია. ჩვენი ხალხი იმიტომ გაძლიერდა, ერთმა მეორის მოსმენა რომ ისწავლა. აგრე განვავითარეთ ვაჭრობაც — ყურს ვუგდებდით სხვათა სურვილს და რაც შეგვეძლო, ვაკმაყოფილებდით. შედეგად აკი წარვემატეთ კიდეც ამ საქმეში.

ქურუმმა თავი გადააქნ-გადმოაქნია:

— შენი ნათქვამი ბრძნული ჩანს, და ყველაზე დიდი საშიშროებაც ეგ არის. შენ თუ სისულელეს ილაპარაკებდი, იოლი დასამტკიცებელი იქნებოდა, რომ ცდები. მაგრამ რაც ახლა თქვი, მაგას მახეში შევყავართ.

ვინც წინ იდგა, ყველა ამ კინკლაობის მოწმე გახდა. აქამდე ნაცვალი ყოველთვის ცდილობდა საბჭოს რჩევისთვის ყურისგდებას, და აქბარს უზადო აბრუ ეამაყებოდა. ტვიროსი და სიდონი თავიანთ მოციქულთ აგზავნიდნენ, რათა ამბავი წაელოთ, თუ როგორ მართავდა ნაცვალი ქალაქს. აქბარელი ნაცვლის სახელი თვით იმპერატორის ყურამდეც მივიდა, და ბედი თუნდაც ცოტას თუ უპრიანებდა, იქნებ მრჩეველიც გამხდარიყო იმპერატორის კარზე.

მაგრამ დღეს საჯაროდ ულირსად მოექცნენ. გამბედაობას თუ არ გამოიჩენს, ხალხის პატივისცემას დაკარგავს და ველარც მნიშვნელოვან რასმე გადაწყვეტს, ვინაიდან აღარცვინ დაემორჩილება.

— განაგრძე, — უთხრა მან ტყვევნილს, ყურადღება არც მიუქცევია ქურუმის მძვინვარე გამოხედვისთვის და ვაჭარს ანიშნა, თარგმნეო.

— მე გასარიგებლად ვარ მოსული, — წართქვა ასირიელმა, — გაგვითავისუფლეთ გზა, რათა ტვიროსისკენ და სიდონისკენ დავიძრათ. როცა იმ ქალაქებს დავიპყრობთ და ჩვენად გავხდით — წინააღმდეგობას არცვინ გაგვიწევს, ვინც უნდა იცავდეს, ყველანი სავაჭრო გემებით ზღვაში არიან გასული, — აქბარს ამისთვის წყალობას არ მოვაკლებთ. ნაცვალსაც თავის ძალაუფლებას შევუნარჩუნებთ.

— ხედავთ? — ისევ წამოდგა ქურუმი, — ამათ ჰგონიათ, ჩვენი ნაცვალი თავისი ძალაუფლების გულისთვის აქბარის ღირსებას მსხვერპლად გაიღებს.

ბრბო აფეთქდა, შეკრებილთ მძვინვარების ტალღამ გადაუარა. ამ ნახევრად შიშველ დაჭრილ ტყვევნილს უნდა, რომ თავის ჭკუაზე ათამაშოს აქბარელნი! დამარცხებული ქალაქს დანებებას სთავაზობს!

რამდენიმე კაცი წინაც კი გამოიჭრა, რათა ცხვირ-პირი ამოემტვრიათ ტყვევნილისთვის. დაცვამ რის ვაივაგლახით შეაჩერა ისინი.

— თავი დაიჭირეთ, ხალხო! — იხმამაღლა ნაცვალმა, რა არი ბრბოსთვის გაეგონებინა თავისი ნათქვამი, — ჩვენ წინაშე უმწეო კაცია, რომელსაც ჩვენი შეშინების თავი არა აქვს. ყველამ იცით, ჩვენს ჯარს არც წვრთნა აკლია და არც სიმამაცე. ეგენი ჩვენთან ვერ მოვლენ. ჩვენ არავისთვის არაფრის დამტკიცება არ გვინდა. თუ ბრძოლა გადავწყვიტეთ, გავიმარჯვებთ კიდეც, მაგრამ დაკარგვით ბევრ ხალხს დავკარგავთ.

ილიამ თვალები დახუჭა, გულში ილოცვიდა, ეეედრებოდა ძალთაძალს, ნაცვალს ხალხი დაარწმუნებინეო.

— ჩვენი წინაპრები ეგვიპტის სამეფოს ამბებს რომ გვიყვებოდნენ, ის დრო წავიდა, — განაგრძობდა ნაცვალი, — ჩვენ ახლა ოქროს საუკუნეში ვბრუნდებით, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მამა-პაპანი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ჩვენ რატომ უნდა ვუღალატოთ ამ წესსა და რიგს? დღეს ომები სავაჭრო საქმეებშია და არა ბრძოლის ველზე.

ბრბო თანდათან შოშმინდებოდა. ნაცვალი ძალავდა!

ხმაური რომ ჩადგა, მან ასირიელს მიმართა:

— რასაც შენ გვთავაზობ, ცოტაა. გამოსაღები უნდა გაიღოთ, რასაც ვაჭრები იხდიან ჩვენს მიწა-წყალზე გავლისას.

— დამიჯერე, ნაცვალო, ჩვენ ასარჩევად არა გვაქვს საქმე. ჩვენ საკმარისი ხალხი გვყავს, რომ ეს ქალაქიც მიწასთან გავასწოროთ და არც ცოცხალი გავუშვათ ვინმე. თქვენ დიდი ხანი მშვიდობიანად ცხოვრობთ და დავიწყებული გაქვთ, როგორ უნდა ბრძოლა, ჩვენ კი მთელ მსოფლიოს ვიპყრობთ.

ბრბო კვლავ ახმაურდა. ილია ფიქრობდა: „ნაცვალი [illegible] გუბედაობით სულ დალუპავს საქმეს“, მაგრამ ახლა დავა ასირიელ მეომართან, რომელიც ტყვექმნილიც არ იშლიდა და თავს თავის პირობებს ახვევდა, ადვილი არ იყო. ხალხი მოედანზე სულ მატულობდა და მატულობდა. ის კი არა, ილიამ ბრბოში ვაჭრებსაც მოჰკრა თვალი, რომელთაც, შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულთ, თავიანთი საქმეებისთვის მიენებებინათ თავი. სამსჯავრო სახიფათო გზაზე შედგა. ჭოჭმანი აღარ ეგებოდა, გარიგება იქნებოდა თუ სიკვდილი, სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

●

**ხალხი** გაიყო: ერთნი მშვიდობის მხარეს იყვნენ, მეორენი მოითხოვდნენ, აქბარმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოსო. ნაცვალმა ჩურჩულით გადაულაპარაკა ქურუმს:

— ამ კაცმა ხალხის თვალწინ დამამცირა. მაგრამ არც შენ მოქცეულხარ უკეთესად.

ქურუმი შემოუბრუნდა. და, ჩემი ლაპარაკი სხვამ არ გაიგონოსო, ისე უთხრა, ბრძანებაგარეულ კილოზე, ასირიელს ახლავ სიკვდილი მიუსაჯეო.

— კი არა გთხოვ, მოვითხოვ. შენ ძალაუფლებას ჩემი წყალობით ინარჩუნებ, და როცა მინდა, მაშინ ჩამოგაბრძანებ სავარძლიდან, გაიგე? თუ იძულებულნი გავხდით და მმართველი დინასტიის შეცვლა განვიზრახეთ, ისიც ვიცით, ღმერთების რისხვა როგორ შევარბილოთ. ეს პირველი შემთხვევა არ იქნება: ეგვიპტეშიც კი, რომელმა სამეფომაც ათასი წელიწადი იარსება, მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა დინასტიები იცვლებოდნენ. მაგრამ ქვეყნიერება არ დანგრეულა, ცა არ დაგვმხობია თავზე.

ნაცვალი გაფითრდა.

— მხედართუფროსი ხალხში დგას რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად. თუ ასირიელებთან შეთანხმებას დაიჟინებ, ყველას ვეტყვი, რომ ღმერთებმა დაგიტევეს, ხელი აიღეს შენზე. და ეგრევე დაემშვიდობები მაგ შენს ძალაუფლებას. ხალხი არ დაგითმობს. განაგრძე სამსჯავრო. რასაც მე გიბრძანებ, მხოლოდ იმას იზამ.

ილია რომ იქვე ახლოს ყოფილიყო, ნაცვალს თუნდაც ერთი შესაძლებლობა კიდევ ექნებოდა: ისრაელელ წინასწარმეტყველს აამბობინებდა, ვითარ მოიხილა მეხუთე მთისა თხემზე ანგელოზი. მერმე ის იმასაც შეახსენებდა ხალხს, ქვრივის ბიჭი მკვდრეთით რომ აღადგინა. და მოედანზე შეკრებილნი თავიანთი საკუთარი თვალით დაინახავდნენ სასწაულების მომხდენ წინასწარმეტყველს იმ კაცის გვერდით, ვისაც ჯედის მუცლიდან არავითარი ბებუნებრივი ძალა არ დაჰყოლოდა.

მაგრამ ილია იქ არ იყო, და ნაცვალს სხვა არჩევანი არ დარჩენოდა, თანაც კიდევ ერთი უბრალო ტყვექმნილი კაცია, არც ერთი ჯარი დედამიწის ზურგზე ერთი უბრალო ჯარისკაცის დალუპვის გულისთვის ომს არ იწყებს.

— მაჯობე, — უთხრა მან ქურუმს. მაგრამ ისე არ დაუცქერ, რომ ოდესმე მაინც არ გაუსწორდეს.

ქურუმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. და გაისმა ვერდიქტი.

— აქბარს ვერცვინ დაიპყრობს, — წართქვა ნაცვალმა, — და ვერცვინ ფეხს ვერ შემოდგამს ჩვენ ქალაქში, თუ აქბარელებმა არ ინდომეს. შენ სწორედ ნებადაურთველად სცადე ფეხის შემოდგმა, და ამიტომ სიკვდილს გისჯი.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე, ილიამ თვალები დახუჭა. მხედართუფროსი ილიმოდა.

## 7.

**ხალხით** გარშემორტყმული ტყვევნილი ქალაქის კედელ-გალავანთან სიკვდილით დასჯის ადგილას მიიყვანეს. რაც ტანზე სამოსი შერჩენოდა, ისიც გახადეს და მთლად ტიტველი დატოვეს, ტანტარა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ხელი ჰკრა და კედელ-გალავნის გვერდით გათხრილ ორმოში გადაუძახა, ხნარცვში. ორმოს ირგვლივ უმალ ხალხი შეგროვდა. ყველას ახლოს მისვლა უნდოდა, რათა კარგად დაენახათ, რა ხდებოდა.

— მეომარს ეამაყება თავისი ამჯარ-აბგარი და მტერს არ ემალვის, რადგან მამაცია, ქშუტი და მხტოვარი ქალურად იცვამს, რადგან ლაჩარია, — იხმამაღლა ნაცვალმა, რათა ყველას გაეგონა, — ამიტომ სიკვდილს ვუსჯი, სამარცხვინოდ უნდა მოკვდეს.

ხალხმა სტვენით აიკლო ტყვევნილი და ნაცვალს კი საქციელი მოუწონეს.

ტყვევნილი რაღაცას ამბობდა, მაგრამ მოენე ახლომახლო ალარ ჩანდა, და არცვის ესმოდა, რას ლაპარაკობდა. ილია, როგორც იქნა, წინ წადგა და ახლოს მივიდა ნაცვალთან, მაგრამ უკვე გვიან იყო. როცა ხირლაზე შეეხო, ნაცვალმა უხეშად აუკრა ხელი.

— სულ შენი ბრალია. საჯარო სამსჯავროს გამართვა შენი მოწადინება იყო.

— არა, ჩემი კი არა, შენი ბრალია, — მიუგო ილიამ, — აქბარის საბჭო საიდუმლოდაც რომ მოგეწვია, მხედართუფროსი და ქურუმი მაინც იმასვე იზამდნენ, რის ქმნაც უნდოდათ. სანამ შენ მართლმსაჯულებდი, მე ჯარისკაცებს ალყაში ვყავდი. ყველაფერი კარგად მოუფიქრებიათ.

წესჩვეულებისამებრ, სიკვდილით დასჯის ხანგრძლივობას ქურუმი ირჩევდა. ის დაიხარა, ქვა აიღო და ნაცვალს გაუწოდა. ქვა არც ისე დიდი იყო, რომ დასასჯელი მაშინვე მოეკლა, და არც ისე პატარა, რომ ტანჯვა გაეხანგრძლივებინა.

— შენ პირველი ხარ.

— სხვა რა ჩარაა, — მარტო ქურუმის გასაგონად წაუსმადაბლა ნაცვალმა, — მაგრამ ვიცი, რომ არასწორია.

— მთელი ეს წლები შენ მაიძულებდი, რაც შეიძლება მკაცრი ვყოფილიყავი, თავად კი მარტო იმას იქმოდი, რაც ხალხს ესიამოვნებოდა, — სმადაბლავე მიუგო ქურუმმა, — სულ ეჭვები მეზრავდნენ და დანაშაულის გრძნობას ვერ ვიშორებდი თავიდან, ეძინელ ადამიანებიც ბევრი მახსოვს და, თუ მართლა რამე ცოდვაში ჩამიდგამს ფეხი, როცა დამძინებია, ის ცოდვა უმალ მაჯლაჯუნად დამწოლია. მაგრამ იმის წყალობით, რომ არ ვილაჩრე, დღეს მთელი ქვეყანა აქბარს შურისთვალით უცქერის.

ხალხმა შესაფერისი ზომის ქვებს დაუწყო ძებნა. რამდენიმე ხანს მხოლოდ ქვების რახარუხი ისმოდა. ქურუმმა განაგრძო:

— იქნებ იმაში ვცდები, ამ კაცს სასიკვდილოდ რომ ვიმეტებ, მაგრამ არა იმ საქმეში, რაც ჩვენი ქალაქის ღირსებას ეხება. ჩვენ მოღალატენი არა ვართ.

●

**ნაცვალმა** ალმართა ხელი და პირველი ქვა ისროლა. ტყვევნილმა ქვა აიცდინა. სროლა ეგრეთი არ უნდოდა, იხუვლა ხალხმა და უთვალავმა ხელმა ტყვევნილს ჩაქოლვა დაუწყო.

ასირიელი სახეს იცავდა, ხელებს იფარებდა და ქვები ხან მკერდში ხვდებოდა, ხან ზურგში, ხან მუცელში. ნაცვალს წასვლა უნდოდა იქიდან, უფრო სწორად, გაცლა. ადრეც ბევრჯერ შესწრებოდა სხვათა და სხვათა ჩაქოლვას, იცოდა, რომ სიკვდილი იქნებოდა ნელი და მტანჯველი, რომ სახე გადაექცეოდა ძვლების, თმისა და სისხლის დომხლად და რომ ადამიანები მაშინაც კი არ დააკლებდნენ ქვებს, როცა სიცოცხლე გაეყრებოდა ამ უბედურის სხეულს.

კიდევ ცოტა და ტყვევნილი შეეშვება თავის დაცვას და ხელებს დაუშვებს. თუ ეგ კაცად ვარგოდა, ღმერთები ერთ რომელსამე ქვას კეფაში მოახვედრებენ და გონებას დააკარგვინებენ. ხოლო თუ ბევრი ბოროტება აქვს ჩადენილი, ტყუილია, ბოლო წუთამდე გონებას არ დაკარგავს.

ბრბო ღრიალებდა და სულ უფრო და უფრო მძვინვარედ აქვავებდა. მსჯავრდადებული, რაც შეეძლო, თავს იცავდა, მაგრამ ანაზდეულად ხელები გაშალა და ყველასთვის გასაგებ ენაზე ალაპარაკდა. ამ ამბავმა ხალხი ერთბაშად გააშეშა.

— მრავალჟამიერ ასურეთს! — შეჰყვირა მან, — ამწუთას მე თვალწინ მიდგას ჩემი ხალხი. და ბედნიერი ვკვდები. ვკვდები, როგორც წინამძღოლი, რომელსაც თავისი მეომრების სიცოცხლის ხსნა უნდოდა. ღმერთებს გახარებული მივეახლები, რამეთუ ვიცი, რომ ამ მიწა-წყალს დავიპყრობთ!

— ხედავ? — თქვა ქურუმმა, — ყველაფერი გაუგონია, რასაც ჩვენ განსჯისა ჟამს ვლაპარაკობდით.

ნაცვალმა თავი დაუქნია. ასირიელი იმათ ენაზე ლაპარაკობდა და უკვე იცოდა, რომ აქბარის უხუცესთა საბჭოში განხეთქილება სუფევდა.

— მე ჯოჯოხეთში არა ვარ, რამეთუ ჩემი სამშობლოს ხატები ძალასა და ღირსებას მანიჭებს. ჩემი სამშობლოს ხატები გულს სიხარულით მივსებს. დიდება ასურეთს! — კვლავ შეჰყვირა მან.

განცვიფრებისგან გამოფხიზლებულმა ბრბომ ისევ ქვების სროლა აატეხა. ტყვევნილი ხელებგაშლილი იდგა და თავს ვერ იცავდა. დასტურ მამაცი მეომარი იყო. სულ რამდენიმე წამში ღმერთებმა მოწყალება მოიღეს: ერთ-ერთი ქვა ტყვევნილს შიგ შუბლში მოხვდა, და იგი უგონოდ დაეცა.

— აწ ჩვენი წასვლის დროა, — თქვა ქურუმმა, — აქბარელებმა უჩვენოდაც იციან, როგორ უნდა მიიყვანონ საქმე ბოლომდე.

●

ილია ქვრივის სახლში არ დაბრუნებულა. წავიდა, იქით გაიჭრა, სადაც ყველაზე უდაბური ადგილი ეგულებოდა, ტაშირ-ტაშირ სახეტიალოდ. თუმცა არც იცოდა რისთვის მიდიოდა.

„უფალს თითი არ გაუნძრევია, — ელაპარაკებოდა იგი მცენარეებსა და ქვებს, — არადა, ყველაფრის შეცვლა შეეძლო“.

გზა-გზა თავის განაზრახს ინანიებდა და კიდევ ერთი კაცის სიკვდილში იდანაშაულებდა თავს. ნაცვალს რომ დასთანხმებოდა აქბარის უხუცესთა საბჭოს საიდუმლოდ მოწვევაში, მაშინ ნაცვალს ესეც თან ეყოლებოდა. მაშინ უკვე ორნი იქნებოდნენ ქურუმისა და მხედართუფროსის წინააღმდეგ. იქნებ ვერც გაემარჯვათ, მაგრამ ცოტა მეტს მაინც მიაღწევდნენ, ვიდრე საჯარო სამსჯავროს დროს.

კიდევ უარესი ის იყო, რომ ილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქურუმის ხალხთან დალაპარაკების უნარმა. მართალია, ქურუმის მიერ გამოთქმულ არც ერთ აზრს არ ეთანხმებოდა, მაგრამ ხალხს რომ ჩინებულად მართავდა, იმის უარყოფა არ შეეძლო. ილია იმ აზრზე იყო, რომ საგულდაგულოდ დაემახსოვრებინა ნახულ-სმენილის ყველა წვრილმანი, ვინაიდან ერთხელაც, ალბათ, ისრაელში მეფე აქაბთან და ტვიროსელ მეფისა ასულთან შეხვედრა მოუწევდა.

ახლა კი მიდიოდა გულდამძიმებული, კარგად არც იცოდა, საით ედო გზა, და გასცქეროდა მთებს, ქალაქს და შორს გაშლილ ასირიელთა ბანაკს. სხვა არცრა, ოდენ ქვიშის ნამცეცი იყო ამ მთებს შორის მოჭცეულ, ტაშირად წოდებულ ტრიალ, დუზან ველზე. და გარშემო უზარმაზარი ქვეყნიერება ეკრა, ისეთი თვალუწვდენელი და უნაპირო, მთელი სიცოცხლეც რომ ევლო და ეხეტიალა, იქ მაინც ვერ მივიდოდა, საიდანაც გზას გაუყვა და დაემწყემსა. ილიას მეგობრებსაც და მტრებსაც, ალბათ, უკვეთ ესმოდათ, სად, რომელ სოფელ-ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ისინი არცრას იკლებდნენ, ან რად დაიკლებდნენ, როცა შეეძლოთ, რომ მოეხილათ შორეული ქვეყნები, გადაესერ-გადმოესერათ უცნობი ზღვები, ჰყვარებოდათ ქალები და არც კიდევ თავიანთი ცოდვიანობით დატანჯულიყვნენ. იმათგან აღარცვის ავონებდნენ თავიანთ ხმას ყრმობის დროინდელი ანგელოზები და აღარცვინ ფიქრობდა უფლისა გულისთვის თავის გამოდებას. ისინი აწინდელთან შეთანხმებულად ცხოვრობდნენ და თავსაც ბედნიერად გრძნობდნენ.

ის ისეთივეა, როგორც ყველა ადამიანისშვილია, და აგერ ახლა, უგზოუკვლოდ გაჭრილს, ერთი სურვილი გასჩენოდა: აღარცროდის გაეგონა თვითონ ღმერთისა და წინაშე ღვთისა მდგომელი ანგელოზების ხმა.

მაგრამ ცხოვრება არა სურვილთაგან, არამედ თითოეული ადამიანის ზნე-ქცევათაგან არის მოქსოვილი. ილიას მოაგონდა, რომ უკვე ბევრჯერ სცადა თავის დანიშნულებაზე უარის თქმა, მაგრამ ახლა აქ არის, ამ ტაშირს მოდებული, რამეთუ ასე მოანებებინა უფალმა.

„უფალო, სულაც მარტოოდენ ხუროც რომ ვყოფილიყავი, მაინც გამოგადგებოდი შენ!“

მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც იმას ასრულებს, რაც ებრძანა, და ტვირთად აწევს კარს მომდგარი ომი, მეფისგან და იზებელისგან წინასწარმეტყველთა ამოწყვეტა, ასირიელი წინამძღოლის ჩაქვავება და აქბარელი ქალის მიმართ სიყვარულის შიში. უფალმა საჩუქარი მოუმზადა, ამან კი არ იცის, რა მოუხერხოს.

ტაშირის შუაგულიდან ანაზდად სინათლის სხივი ამოისვეტა. არა, ეს მფარველი ანგელოზი არ იყო, რომელსაც ხშირად უსმენდა, მაგრამ იშვიათად მოიხილავდა. ეს უფლისა ანგელოზი იყო, რომელიც სანუგეშებლად გამოსცხადებოდა.

— მე მეტი აღარცრის თავი მაქვს, — უთხრა ილიამ, — როდისღა უნდა დავბრუნდე ისრაელში?

— როცა ხელახლად შენებას ისწავლი, — მიუგო ანგელოზმა, — ოღონდ გახსოვდეს, რა დაუდო მცნებად ღმერთმა მოსეს ბრძოლის წინ. თითოეულ წუთს უნდა მოივარგებდე, რათა მერმე სანანებელი არ გაგიხდეს, ახალგაზრდობა ხელიდან გამისხლტა, გამომეპარაო. უფალი ყოველ ასაკში სცდის ადამიანს.

8.

**და** უთხრა უფალმა მოსეს: „ნუ შეშინდებით, ნუ დაგიძაბუნდებათ გული ბრძოლისა წინ, ნუ შეძრწუნდებით წინაშე მტერთა თქვენთა. და ვინცა ვენახი ჩაყარა და ჯერეთ არ მოუსთვლია, წავიდეს და დაბრუნდეს შინ, რათა ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ მოისთვლას მოსათვლელი. და ვინცა ქალი დანიშნა და ჯერეთ არ მოუყვანია, წავიდეს და დაბრუნდეს შინ, რათა ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ წაიყვანოს ის ქალი“.

9.

**ილია** კიდევ ერთ ხანს დაეხეტებოდა ტაშირ-ტაშირ და ამ სიტყვების ჩახვედრას ცდილობდა. ის იყო აქბარში მიბრუნება დააპირა, რომ ქალს მოჰკრა თვალი, რომელსაც აგრერიგად ეგრძნობიერებოდა. ქალი მეხუთე მთის ძირას ქვაზე ჩამომჯდარიყო, იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც ახლა ილია იდგა.

„მანდ რას აკეთებს ნეტავ? ნუთუ იცის, რაც სამსჯავროზე მოხდა? ნუთუ სასიკვდილო განაჩენის ამბავიც შეუტყვია და ის საშიშროებაც, ჩვენ რომ მოგველის?“

ახლავ უნდა მივიდეს და გააფრთხილოს და აღარც დაუყოვნებია, მივიდა.

ქალმა შეამჩნია და თავი დაუქნია. ეტყობა, ციხის გულიდან გადავარდა ანგელოზისგან თქმული, წამს ისევ წელანდელმა ურწმუნოებამ შეგოჭა. ვერა და ვერ დაეჯერებინა თავისი თავი ორმხრივ სიყვარულში. ისე იქცეოდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ ქალაქის ბედისგან იყო თავზარდაცემული, რა არი ქალს ვერ შეემჩნია, როგორ უშფოთავდა გულიც და გონებაც.

— აქ რას აკეთებ? — დაეკითხა ქალს.

— რა ვიცი, მოვედი, იქნებ ცოტა რამ შთაგონებას ვეწიო. დაწერილობამ, რომელსაც ჩავუჯექი, ამ ველ-მინდვრების, ამ მთების ქალაქ აქბარის შემოქმედზე ჩამაფიქრა. ვაჭრებმა ყველა ფერის საღებავები მომიტანეს, რათა დავუწერო ხოლმე თუ რამ დასაწერი ექნებათ. თან იქნებ ეს სოფელ-ქვეყანაც აღვწერო, სადაც ვცხოვრობ. მაგრამ ვიცი, ძნელი საქმეა. მაინც ვერას გავხდები, ცისარტყელის შვიდივე ფერიც რომ მოვივარგო. მარტო უფალსა ძალუძს აგრე სასწაულებრივ ფერების შერევა.

ქალი თვალს არ აცილებდა მეხუთე მთას. ის ახლა სულ აღარ ჰგავდა იმ ქალს, რომელიც ფიჩხს აგროვებდა ქალაქის კარიბჭესთან, სადაც ილია რამდენიმე თვის წინათ გადაეყარა. ქალის მარტოობამ აქ, უდაბურ ადგილას, ნდობისა და პატივისცემის გრძნობა აღძრა სულ-აფორიაქებულ კაცში.

— რატომ არის, რომ ყველა მთას თავისი სახელი აქვს, მეხუთე მთას კი მარტო რიცხვით მოიხსენიებენ? — ჰკითხა ილიამ.

— რათა ღმერთებს შორის ჩხუბი არ ჩამოვარდეს, — უპასუხა ქალმა, — ჯერ კიდევ ძველ ხალხს უთქვამს: თუ ადამიანი ამ მთას ერთი რომელიმე ღმერთისა სახელს დაარქმევს, სხვები გაჯავრდებიან და დაანგრევენ დედამიწას. ამიტომ მეხუთე ჰქვია, რაკი რიგ-რიგად თუ დავთვლით, ერთმანეთისა მიყოლებით, მეხუთეა იმ მთებს შორის, ქალაქისა კედელ-გალავანს გარეთ რომ ჩანან. ამრიგად, არცვის ვაჯავრებთ და ცხოვრებაც თავის კალაპოტშია.

ერთხანს ორივე დუმდა. ბოლოს ქალმა დაარღვია დუმილი:

— მე არა მარტო ნაირ-ნაირ ფერებზე, არამედ ბიბლოსური დაწერილობის საშიშროებაზეც ვფიქრობ. ამას ფინიკიური ღმერთების განრისხვებაც შეუძლია და ჩვენი უფლისაც.

— ღმერთი ოდენ ერთია, — გააწყვეტინა ილიამ, — თავისი დამწერლობა კი ყველა წინწასულ ხალხსა აქვს.

— ეს სხვადასხვა ამბავია. პატარაობაში ბევრჯერ მინახავს მოედანზე გაპარულს, ვინმე მსატვარი ვაჭრებისთვის როგორ ამზადებდა წარწერებს. წერაში ეგვიპტურ იეროგლიფებს იყენებდა, რაც ცოდნის გარდა, სიმარჯვესაც მოითხოვდა. ძველი და ძლიერი ეგვიპტე ამჟამად ის-აღარ არის, დაეცა, იქაური ენა აღარცვის ახსოვს. ტვიროსელი და

სიდონელი ზღვისა კაცნი მთელ დედამიწის ზურგზე ბიბლოსურ დამწერლობას ავრცელებენ. თიხის ფირფიტებზე სიტყვების გამოსახვაც შეიძლება და წმინდა წეს-ჩვეულებებისაც, მერე სადაც გინდა წაიღე, ერთი ქვეყნიდან მეორეში. მერედა, რა ხეირი დაეყრება ქვეყნიერებას, უკეთუ ადამიანები ადვილად აითვისებენ წმინდა წეს-ჩვეულებებს და ცამყარის სუყველა საიდუმლოებას ჩასვდებიან?

ილიას ესმოდა, რის თქმაც უნდოდა ქალს. ბიბლოსურ დამწერლობას ძალიან უბრალო, ლიტონი რამ წესი ედო საფუძვლად: საკმარისი იყო, რომ ეგვიპტური ნიშნები ბგერებად ექციათ, მერე კი თითოეული ბგერა ასოთი აღენიშნათ. თუ ამ ასოებს რიგ-რიგად, ერთმანეთის მიყოლებით დაალაგებდნენ, ბგერათა ყველანაირ შეხამებას შექმნიდნენ და, რაც სამყაროში რამეა, რაც არსებობს, ყველაფერს აღწერდნენ.

ამ ბგერათაგან ზოგიერთი ძალიან ძნელი წარმოსათქმელი იყო. ყველა ეს სიძნელე ბერძნებმა გადალახეს. ბიბლოსის ოცდახუთ ასოს ხუთი ასოც დაუმატეს, რომელთაც „ხ მ ო ვ ნ ე ბ ი“ უწოდეს. რაც გამოვიდა, იმას „ა ლ ფ ა ბ ე ტ ი“ დასდეს სახელად.

ალფაბეტმა შესამჩნევად გაადვილა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობა. ეგვიპტური ნიშნებით აზრის გადმოსაცემად საჭირო იყო საკმაო სივრცე, სიმარჯვე, სანთიანობა, აგრეთვე ღრმა ცოდნა. ამ დამწერლობას დაპყრობილ ქვეყნებში ნერგავდნენ, მაგრამ ეგვიპტის სამეფოს დაცემასთან ერთად მან დაკარგა თავისი დანიშნულება. ამ დროს ბიბლოსური დამწერლობა სულ უფრო ვრცელდებოდა დედამიწის ზურგზე და ხალხი ყველგან კარგად იღებდა ფინიკიის გავლენისგან დამოუკიდებლად.

ბერძენთაგან შევსებული ბიბლოსური დამწერლობის ხერხი მრავალი ქვეყნის ვაჭართ ეჭაშნიკათ. როგორაც ძველ დროშიც, ახლაც ვაჭრებზე იყო დამოკიდებული, რა დარჩებოდა ისტორიაში და რა გაქრებოდა ამა თუ იმ მეფის სიკვდილთან ერთად. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს გამოგონება მეტ ხანს იცოცხლებდა, ვიდრე ფინიკიელნი ზღვის კაცნი, მეფენი და იმათი გულის მომნადირებელი დედოფალნი, მელვინენი და მინის ოსტატნი, და სავაჭრო საქმეში ურთიერთობის მთავარი საშუალება გახდებოდა.

— ესე იგი, ღმერთი სიტყვებში აღარ იცოცხლებს? — იკითხა ქალმა.

— როგორ არა, სიტყვებში დარჩება, — მიუგო ილიამ, — მაგრამ ვინც რას დაწერს, ყველაფრისთვის ღმერთის წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

ქალმა კაბის სახელოდან თიხის ფირფიტა გამოიღო, რომელზედაც რაღაც ეწერა.

— ეგ რას ნიშნავს? — დაეკითხა ილია.

— ეს სიტყვა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ნიშნავს.

ილიამ გამოართვა ფირფიტა, მაგრამ კითხვა ვეღარ გაუბედა, მე რატომ მომეცით. თიხის ნაჭერზე გამოსახული რამდენიმე კაუჭი პასუხი იყო იმ კითხვაზე, თუ რატომ ანათებენ ვარსკვლავები ცაზე და რატომ დადიან ადამიანები დედამიწაზე.

უკან დავუბრუნებო, იფიქრა ილიამ და მიაწოდა ფირფიტა, მაგრამ ქალმა არ გამოართვა.

— ეგ შენთვის დავწერე. მე ვიცი, რაც არის შენი დანიშნულება. ვიცი, რომ ერთხელაც წასვლა მოგიწევს, და ჩემი ქვეყნის მტერი გახდები, რადგან იზებელის მოსპობა გინდა. დღეს მე შენ [illegible] ვიდგები და ყველაფერს ვიღონებ, რათა შენი დანიშნულება [illegible], ხოლო ხვალ იქნებ გებრძოლო კიდეც, ვინაიდან იზებელის სისხლი ჩემი სამშობლოს სისხლიც არის. სიტყვა, რომელიც ახლა ხელთ გიჭირავს, სავსეა იდუმალებით. არავინ იცის, რას აღვიძებს ეგ ქალის გულში, არავინ, თვით წინასწარმეტყველთაც კი, რომელნიც ღმერთს ელაპარაკებიან.

— ჩემთვის ნაცნობი სიტყვაა ეს შენი დაწერილი სიტყვა, — უთხრა ილიამ და ფირფიტა ძირს დაუშვა. — მე დღედაღამ ვებრძვი ამ სიტყვას, რადგან, მართალია, არ ვიცი, რას აღვიძებს ქალის გულში, ოღონდ ის კი ვიცი, კაცს რა დღეშიც აგდებს. მე იმდენი ვაჟკაცობა შემწევს, ისრაელის მეფესაც ვებრძოლო, სიდონელ მეფის ასულსაც, აქბარის საბჭოსაც, მაგრამ ეს ერთი სიტყვა — „სიყვარული“ უმალ გულს მიფანცქალებს. სანამ შენ ამ სიტყვას ფირფიტაზე დაწერდი, შენმა თვალებმა ჩემს გულს ეგ უკვე უთხრეს.

ორივენი დუმილში ჩაიძირნენ. იყო ასირიელის სიკვდილი, იყო მღელვარებანი ქალაქში, იყო მოლოდინი, თუ რას ბრძანებდა ღმერთი. მაგრამ სიტყვა, რომელიც ამ ქალს დაეწერა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ილიამ ხელი ჩასჭიდა ქალს. ასე ხელიხელჩაკიდებულნი ერთად ისხდნენ მანამ, სანამ მზე მეხუთე მთის უკან არ დახდა.

— მადლი მითქვამს, — უთხრა ქალმა აქეთობისას, — სულ ვნატრობდი, რომ ერთი საღამო მაინც გამეტარებინა შენთან ერთად.

შინ რომ მივიდნენ, ილიას ნაცვლის გამოგზავნილი კაცი ელოდა. მან ილიას სასწრაფოდ სასახლეში წაყოლა უბრძანა.

●

— **ჩემი** მხარდაჭერა სილაჩრით გადამიხადე, — უთხრა ნაცვალმა, — რა უნდა გიყოს კაცმა?

— მე წუთსაც არ ვიცოცხლებ იმაზე მეტს, რაც ღმერთს უნდა, — მიუგო ილიამ, — მაგრამ ეს ოდენ ღმერთის გადასაწყვეტია.

ნაცვალი გააოგნა ილიას გაბედულებამ:

— თუ მოვინდომებ, ახლავ მოვაკვეთინებ შენთვის თავს. ან ვებრძანებ და სულ შუკა-შუკა გათრევენ, თან ყურებს გამოუჭედავენ ხალხს, რომ შენ შეაჩვენე და დაკრულე ჩვენი ქალაქი, — თქვა მან, — და ვერცრას გახდება შენი ერთიანი ღმერთი.

— გარდაუვალი უნდა მოხდეს. მაგრამ მაინც გეტყვი, რომ არ დავმალულვარ, იცოდე. მხედართუფროსის ჯარისკაცებმა გზა გადამიღობეს. მხედართუფროსს ომი უნდა და ყველაფერს იზამს ომის დასაწყებად.

დრო რომ არ დაეკარგა უსარგებლო ლაპარაკში, ნაცვალმა ისრაელელი წინასწარმეტყველისთვის თავისი გეგმის ახსნა იზრახა.

— ომს სულაც მხედართუფროსი არ ესწრაფვის. როგორც სამხედრო საქმეში გამოცდილი კაცს კარგად ესმის, რომ მაგისი ჯარი რიცხობრივადაც და გამოცდილებითაც ტოლს ვერ უდებს მტრისას, და კუდით ქვას ასროლინებენ. როგორც ღირსებიანმა კაცმა, ისიც იცის, რომ ამ თავისი საქციელით შთამომავლობასაც შეარცხვენს. მაგრამ ამბარტავნობისგან და პატივმოყვარეობისგან გული აქვს გასაგიჟებული. მაგას ჰგონია, მტერი დამფრთხალიაო. ის კი არ იცის, რომ ასირიელები მეომარნი კარგად არიან გაწვრთნილნი. ეგენი როგორც კი სამხედრო სამსახურს იწყებენ, უწინარესად ხესა რგავენ. მერმე ყოველდღიურად ზედ ახტებიან, გადაახტებიან და გადმოახტებიან ხოლმე. ნერგი იზრდება, შიმელავდება, ეგენი მაინც ახტებიან. ნერგი ერთხელაც ხედ იქცევა, ეგენი მაინც არ იშლიან ხტომას. ეს ამბავი სულაც არ ბეზრდებათ, დროის ფუჭ კარგვად არ მიაჩნიათ. თანდათან ხე ტანს იყრის და მაგათაც უფრო მაღალზე უწევთ ხტომა, ეგენი გულდაგულ და მოთმინებით ემზადებიან დაბრკოლებებისთვის.

ეგენი ჩვეულებრივ კარგად იცნობენ მოწინააღმდეგეს. ჩვენ უკვე არა ერთი და ორი თვე გვადევნებენ თვალყურს.

ილიამ სიტყვა შეაწყვეტინა ნაცვალს.

— მერედა, ვის ეხელსაყრელება ომი?

— ვისა და, ქურუმს. ასირიელ ტყვევნილს რომ ვასამართლებდით, მაშინ მივხვდი.

— რისთვის უნდა სჭირდებოდეს?

— არ ვიცი. მაგრამ ძალიან მარჯვედ კი დაარწმუნა მხედართუფროსიც და ხალხიც, ომია საჭიროო. მთელი ქალაქი ახლა მაგის მხარეზეა და ამ რთული მდგომარეობიდან მხოლოდ ერთ გამოსავალსა ვხედავ.

ნაცვალი კარგა ხანს დადუმდა და უცებ თვალებში ჩახედა ისრაელელს:

— ის გამოსავალი შენა ხარ.

ნაცვალი წინ და უკან სიარულს მოჰყვა. თან სწრაფად ლაპარაკობდა და ხმაში მღელვარება ეტყობოდა.

— ვაჭრებიც ესწრაფიან მშვიდობას, მაგრამ მაგათ არცრა შეუძლიათ. თანაც უკვე საკმარისად გამდიდრებულები არიან და სულაც სხვა ქალაქში გადასახლდებიან ან არადა, დაიცდიან, სანამ დამპყრობლები მაგათი საქონლის შეძენას დაიწყებენ. დანარჩენს ჭკუა აქვთ დაკარგული და მოითხოვენ, რომ მტრის გაცილებით მრავალრიცხოვან ჯარს შევუტიოთ. მაგათი გადარწმუნება მხოლოდ სასწაულს ძალუძს.

ილიამ ყურები ცქვიტა.

— სასწაულს?

— შენ მკვდრეთით აღადგინე ბიჭი, რომელიც უკვე სულეთს იყო. შენ ამ ხალხს თავისი გზა აპოვნინე და, თუმცაღა უცხოქვეყნელი ხარ, ყველას უყვარხარ.

— ამ დილამდე მართლაც ეგრე იყო, — უთხრა ილიამ, — მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, ვინც კი მშვიდობას ითხოვს, სუყველას მოღალატედ შერაცხავენ.

— მშვიდობა მოითხოვე-მეთქი, არ გეუბნები. მე მინდა, რომ შენ დიდი რამ სასწაული მოახდინო, ისეთი, როგორიც ბიჭის გაცოცხლება იყო. მაშინ ხალხს თამამად ეტყვი, ერთადერთი, რაც დაგრჩენიათ, მშვიდობაა, და ისინიც გაგიგონებენ. ქურუმი კი მთლიანად დაკარგავს თავის ძალაუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხანს ორივე გაჩუმდა. ნაცვალმა განაგრძო:

— უნდა მოგელაპარაკო. თუ იმას იზამ, რისი მთხოვნელიც ვარ, ქვეყანაში ერთიანი ღმერთის რწმენა დამკვიდრდება. შენ იმისთვის სასურველ საქმეს აღასრულებ, ვისაც მსახურებ, მე კი სამშვიდო პირობებზე მოლაპარაკებას შევძლებ.

●

**შინ** რომ მივიდა, ილიამ თავის სადგომს მიაშურა. თუ რამ მოსახდენი სასწაულია, ამხელად ის უნდა მოახდინოს, რაც არც ერთი წინასწარმეტყველისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა — ფინიკიური ქალაქი ისრაელურ სარწმუნოებაზე უნდა მოაქციოს. მერმე ნახოს იზებელმა, რა მესი და მედგარიც დაეცემა, ეს იქნება ყველა იმ ბოროტების საზღაური, რაც იმას ილიას ქვეყნისთვის ექნა.

ნაცვლის წინადადებამ მოსვენება დაუკარგა ილიას. ის იყო უნდა გაელვიძებინა ქვრივი, რომელსაც ქვემოთ ეძინა, მაგრამ გადაიფიქრა, ვინ უწყის, იქნებ სულაც ის ტკბილი საღამო ესიზმრებოდა, ერთად რომ გაატარეს.

ილიამ უხმო თავის ანგელოზს და ისიც გამოეცხადა.

— ნაცვლის წინადადებას გაიგონებდი, — უთხრა ილიამ, — ეგ ერთადერთი საშუალებაა.

— ქვეყნად არცრაა, რომ ერთადერთი საშუალება იყოს, — მიუგო ანგელოზმა, — უფალი ადამიანისშვილთ მრავალ საშუალებას რასმე მიუბოძებს. თვინიერ ამისა, გახსოვდეს, რაც იყო თქმული: შენ მანამ ვერ შეიძლებ ახალ სასწაულთა მოხდენას, სანამ მშობლიური მიწა-წყლის წიაღს არ დაუბრუნდები.

ილიამ თავი ჩაქინდრა. იმწამს გაჩნდა უფლისა ანგელოზი, და მფარველი ანგელოზი გაფრინდა. და წართქვა უფლისა ანგელოზმა:

„ა ი შ ე ნ ი შ ე მ დ გ ო მ ი ს ა ს წ ა უ ლ ი.

მ თ ე ლ ხ ა ლ ხ ს მ თ ი ს ა ძ ი რ ა ს შ ე კ რ ე ბ. მ თ ი ს ა ერ თ მ ხ ა რ ე ს ბ ა ა ლ ი ს თ ვ ი ს ს ა ზ ო რ ვ ე ლ ს ა ა ა გ ე ბ ი ნ ე ბ, მ ი ა ყ ვ ა ნ ი ნ ე ბ ზ ო რ ვ ა დ ზ ვ ა რ ა კ ს დ ა დ ა ა ზ ო რ ვ ი ნ ე ბ. მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე ს ა შ ე ნ თ ა ვ ა დ ა ა ვ ე ბ ს ა მ ს ხ ვ ე რ პ ლ ო ს ა. შ ე ნ ი უ ფ ა ლ ი ღ მ ე რ თ ი ს ა გ უ ლ ი ს თ ვ ი ს დ ა შ ე ს წ ი რ ა ვ ა გ რ ე თ ვ ე ზ ვ ა რ ა კ ს ა.

დ ა ე ტ ყ ვ ი ბ ა ა ლ ი ს წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ თ: უ ხ მ ე ო ღ მ ე რ თ ს ა თ ქ ვ ე ნ ს ა, მ ე კ ი ჩ ე მ ს ა უ ფ ა ლ ს ა ღ მ ე რ თ ს ა ვ უ ხ მ ო ბ თ ქ ო. ჯ ე რ ე თ ი მ ა თ ა ხ ო ბ ი ნ ე თ ა ვ ი ა ნ თ ი ღ მ ე რ თ ი ს თ ვ ი ს, დ ი ა მ ც ი ლ ო ც ო ნ დ ა დ ი ლ ი დ ა ნ შ უ ა დ ღ ე მ დ ი ს მ ო უ წ ო დ ე ბ დ ნ ე ნ ბ ა ა ლ ს, რ ა თ ა დ ა ე შ ვ ა ს დ ა შ ე ი წ ი რ ო ს ძ ღ ვ ე ნ ი.

ისინი ბევრსა იხმამყივარებენ, თავსა შუბებით დაიჩხვლეტენ და ბევრსაც იმუდარებენ, რათა ღმერთმა შეუწიროს ზვარაკი, მაგრამ არცრა მოხდება.

დაიქანცებიან, ოთხი ტაგან წყალსა ტანდა ზვარაკსა გადაასხამ. მერმე კიდევ გაჩეებ და იმასვე იზამ მესამედაც. და ეტყვი უფალსა ღმერთსა აბრამისა, ისააკისა და ისრაელისა, რათა ყოველთა კაცთ მოუვლინოს მან ძალა თვისი.

იმწამს ცით გაჩნდება ცეცხლი უფლისა და მთანთქამ საკვერთხსა, ანუ მრგვალად დასაწველ შესაწირავსა".

ილია მუხლებზე დაეცა და ქება აღუვლინა უფალს.

— ოღონდ ეს სასწაული სიცოცხლეში ოდენ ერთხელ შეიძლება რომ მოხდეს — განაგრძობდა ანგელოზი, — აირჩიე, სად გინდა, რომ მოახდინო, აქ, აქბარში, რათა ამ ქალაქს ომი აარიდო თავიდან, თუ იქ, შენს მიწა-წყალზე, რათა იზებელისგან იხსნა შენი ხალხი.

●

**ჟვრივმა** ადრე გაიღვიძა და დაინახა, რომ ილია სახლის ზღურბლზე იჯდა. თვალები ჩალამებოდა, თითქოს მთელი ღამის უძინარიაო.

ქალმა კითხვა დააპირა, ხომ არაფერი მომხდარა წუხელო, მაგრამ პასუხის გაგონება აშინებდა. იქნებ ნაცვალთან ლაპარაკი და ომის საშიშროება ექცა უძილო ღამის მიზეზად, ან იქნებ სულაც ის თიხის ფირფიტაა მიზეზი, გუშინ რომ აჩუქა. თუ ასეა, მაშინ ადვილშესაძლოა, რომ პასუხად მოესმას: ქალის სიყვარული ღვთიურ ჩანაფიქრს ვერ ეწყობაო.

— ცოტა შეჭამე რამე, — ერთადერთი ეს იყო, რის თქმაც ქალმა მოახერხა.

ამასობაში ბიჭმაც გაიღვიძა. ტაბლას სამივენი მიუსხდნენ და წაიხემსეს.

— გუშინ მინდოდა შენთან დარჩენა, მაგრამ ნაცვალმა ჩემთან ლაპარაკი მოინდომა, — უთხრა ილიამ.

— ნაცვალი ნუ გაფიქრებს, — თქვა ქალმა და იგრძნო, რომ გულზე რაღაც მოეშვა, — მაგათი გვარი უკვე საუკუნეობით მართავს აქბარს და უნდა იცოდეს, რაც უნდა ქმნას საშიშროების ჟამს.

— ანგელოზს კიდევ ველაპარაკე. ძალზე ძნელი საქმის ქმნა მოითხოვა ჩემგან.

— არ იღელვო მაგ ანგელოზების გულისთვის. იქნებ სულაც გვერწმუნა, რომ ჟამითი ჟამად ღმერთები ერთმანეთსა ცვლიან. ჩემი წინაპრები ეგვიპტურ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ, რომელნიც პირუტყვთა შესახედაობისანი იყვნენ. ის ღმერთები წავიდნენ და სანამ შენ არ გამოჩნდი, სხვებივით მეც იშთარს, ილოსს, ბაალს და მეხუთე მთისა სხვა ბინადართ ვუზორავდი. აწ უფალი შევიცანი, მაგრამ ოდესმე ეგებ ამანაც დაგვიტეოს, ახალი ღმერთნი კი იქნებ აგრე მკაცრნიც არ იყვნენ.

ბიჭს წყალი მოსწყურდა, მაგრამ შინ წყალი არ ედგათ.

— წავალ, მოვიტან, — თქვა ილიამ.

— მეც წამოგვყვები, რა, — ყელგამოწევით შეეხვეწა ბიჭი.

ორივენი ჭაზე წავიდნენ. გზად იმ ადგილას გაიარეს, სადაც მხედართუფროსი დილიდანვე თავის მეომართ წვრთნიდა.

— ცოტა ხანს ვუყუროთ, რა, — უთხრა ბიჭმა [illegible] ბრძოლ[illegible]ზრდ[illegible]ბი, მეც მეომარი უნდა გამოვიდე.

ილია დაჰყვა ბიჭის თხოვნას.

— ჩვენ შორის ყველაზე უკეთესად მახვილს ვინა ხმარობს? — კითხულობდა ერთ-ერთი მეომარი.

— იქ წადი, სადაც გუშინ მსტოვარი ჩააქვავეს, — უთხრა მხედართუფროსმა, — ერთი კარგი მოზრდილი ქვა იპოვე და შეურაცხყვე, შელახე ქვა?

— ეგ რა საკადრისია? ქვას საპასუხო არცრა ძალუძს.

— მე სხვა რამ ვიკითხე. მე იმის გაგება მწადს, ყველაზე უკეთესად მახვილს ვინა ხმარობს?

— ვინა და, ვინც ქვასავით მაგარია, — მიუგო მხედართუფროსმა, — ქვასავით მაგარი მახვილის გაუშიშვლებლადაც დაამტკიცებს, რომ იმისი მომრევი არავინ არის.

„ნაცვალი მართალია: მხედართუფროსი ჭკვიანი კაცია, — გაიფიქრა ილიამ, — ოღონდ საცა პატივმოყვარეობა ელავს, იქ სიბრძნე ჩრდილშია“.

●

**ისინი** კვლავ გზას გაუყვნენ. ბიჭმა ჰკითხა, მეომარნი აგრე გულდაგულ რატომ იწვრთნიან თავსაო.

— მარტო მეომარნი კი არ იწვრთნიან, დედაშენიც იწვრთნის, მეც და ყველანი იწვრთნიან, ვისაც თავისი გულისხმა ეყურება. ცხოვრებაში ყველაფრის მუყაითად სწავლა აუცილებელია.

— თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარმეტყველი გამოსვიდე?

— თუნდაც იმიტომ, რომ ანგელოზებს უგებდე. ჩვენ იმათ ისე ველაპარაკებით, იმათი სიტყვები არ გვესმის. ყურის დაგდება ადვილი არ არის. ჩვენს ლოცვებში მუდამ ჩვენი შეცდომების მონანიება გვინდა, რალაცის თხოვნა გვინდა... მაგრამ უფალმა ყველაფერი უწყის და ჟამჟამად უბრალოდ გვასმენინებს, რას მეტყველებს სოფელ-ქუეყანა. და მოთმინებას გვავალებს.

ბიჭი გაოგნებული შესცქეროდა. ის ალბათ ვერცრას იგებდა, მაგრამ ილია გრძნობდა, რომ მაინც უნდა განეგრძო საუბარი. იქნებ მერმე, როცა გაიზრდებოდა, ერთ-ერთი აწ თქმული სიტყვა ოდესმე წასდგომოდა კიდეც.

— ბრძოლა ცხოვორებაში იმისთვის არის საჭირო, რომ რამე გვასწავლოს. გინდაც ხან წავაგოთ და დავმარცხდეთ. როცა დიდი გასდები, მიხვდები, რომ ცრუ იდეებს იცავდი, თავს იტყუებდი, ანდა რალაც ჩალად საღირალისა გულისთვის იტანჯებოდი. თუ კარგი მეომარი გამოხვალ, ამ შეცდომებს შენს თავს არ დააბრალებ და საკვლაოდ იმარჯ-

ვებ, ყველა ღონეს იღონებ, რათა არც ერთი ის შეცდომა არ განმეორდეს.

ორივენი გაჩუმდნენ. ბავშვისთვის ძალიან ძნელია ასეთი სიტყვების გაგება, და არც გაეგება. ისინი ნელა მიდიოდნენ. ილია სრამოვნებდა აქ, ამ ვიწრო შუკებში სიარული და გულში ემადლიერებოდა ქალაქს, რომელმაც ოდესღაც შეიფარა, ქალაქს, რომელიც [illegible] აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, თუ ის სწორად არ გადაწყვეტდა თავის გადასაწყვეტს.

აქბარი ჩვეულებრივზე უფრო მეტ მყუდროებას მოეცვა. მთავარ მოედანზე ადამიანები ისე ეფუჩუნებოდნენ ერთმანეთს, თითქოს შიშობდნენ, ჭარმა ჩვენი სიტყვები ემანდ ასირიელთა ბანაკში არ მიიტანოსო. ბერიკაცნი ირწმუნებოდნენ არც არაფერი მოხდებაო, ყმაწვილნი მომავალ საგრობას აელელვებინა, ვაჭრები და ხელოსნები ტვიროსსა და სიდონში გადასვლას ეპირებოდნენ, სანამ აქ მდგომარეობა არ ჩაწყნარდებოდა. პირდაპირ ლაპარაკობდნენ, არც მალავდნენ.

„მაგათ რა უჭირთ, ადგებიან და წავლენ, — გაიფიქრა ილიამ, — ვაჭრებს დედამიწის ზურგზე სადაც უნდათ, იქ გადაიტანენ თავიანთ ავლადიდებას. ხელოსნებსაც არსად გაუჭირდებათ, იქაც კარგად იმუშავებენ, სადაც ხალხი სხვა ენაზე ლაპარაკობს. მე კი უფლისა დასტური მინდა".

●

**ისინი** ჭასთან მივიდნენ და ორი ტაგანი აავსეს წყლით. აქ ჩვეულებრივ ყოველთვის ბევრი ხალხი ირეოდა ხოლმე. ქალებს სარეცხი მოჰქონდათ, ნაირ-ნაირ ქსოვილს ნაირ-ნაირადვე ღებავდნენ და რაც ქალაქში ამბები ხდებოდა, პირზე ეკერათ. ქალაქის ყველა საიდუმლოს ამ ჭასთან ეხდებოდა ფარდა. თუ რამ საქმე იყო, აქ არჩევდნენ, აქ აფასებდნენ, გმობდნენ ან იწონებდნენ — არ გამორჩებოდათ არც აღებ-მიცემობის ამბები, არც ვისიმე ცოლქმრული ღალატი, არც მეზობლების ჩხუბი, არც ქვეყნის მესვეურთა პირადი ცხოვრება. იმ თვეებშიც კი, როცა მტრის ძალა უსუსტრად მატულობდა და მატულობდა, ყველასთვის სასურველ სალაპარაკოდ ისევ იზებელი რჩებოდა, სიდონელი მეფისა ასული, რომელსაც ისრაელის მეფის გული დაეპყრო. აქბარელნი ერთხმივ უქებდნენ მეფისა ასულს სიმამაცეს, სიყოჩაღეს და დარწმუნებულნი იყვნენ, თუ ქალაქს რამე დაემართებოდა, ის აუცილებლად დაბრუნდებოდა, რათა შური ეგო.

მაგრამ იმ დილით ჭასთან თითქმის არავინ იყო. იქვე შორიახლო სულ რამდენიმე ქალი ჩანდა. ჭირნახულზე ლაპარაკობდნენ, მინდორში არ დაგვრჩეს, უნდა დავაბინაოთ, თორემ მალე ასირიელნი ქალაქში შემოსასვლელ გზასაც ჩაგვიკეტავენ და გასასვლელსაცაო. ორი ქალი მეხუთე მთისკენ წასვლას ეპირებოდა, ღმერთებისთვის შესაწირავი მიჰქონდათ, რათა ბრძოლაში შვილები არ დაჰხოცოდათ.

— ქურუმმა თქვა, ალყას რამდენიმე თვე გავუძლებთო, — უთხრა იმ ორთაგან ერთ-ერთმა ქალმა ილიას, — თუ სუყველა თავს გამოიდებს აქბარის ღირსების დასაცავად, ღმერთებიც შეგვეწევიან.

ბიჭი შეშინდა.

— მტერი რა, დაგვესხმის? — იკითხა მან.

ილიამ არა უპასუხა რა, ვინაიდან მტერი დაესხმებოდეთ თუ არა, იმაზე იყო დამოკიდებული, ქურუმი რა გადაწყვეტილებას აირჩევდა.

— შეშინია, — დროდადრო იმეორებდა ბიჭი.

— იმიტომ გეშინია, რომ სიცოცხლე გიყვარს. [illegible] შიშის განცდა ბუნებრივი ამბავია.

**ჯერ** კიდევ შუადღე არც იყო, ილია და ბიჭი შინ რომ დაბრუნდნენ. ქალს ფეხი მოერთხა და გარშემო ფერად-ფერადი საღებავებით სავსე ქილუნები შემოეწყო.

— სამუშაო მაქვს, — თქვა ქალმა, თან ასოებსა და დაუმთავრებელ წინადადებებს დასცქეროდა, — ამ ოხერი გვალვისა გამო ქალაქი სულ მტვერშია... ფუნჯი ხელად ჭუჭყიანდება, საღებავს მტვერი ერევა, და მუშაობა ჭირს.

ილია კვლავინდებურად დუმდა, არ უნდოდა ქალისთვის თავისი მღელვარების გაზიარება. იქვე ოთახის კუთხეში მიჯდა და ფიქრებს თავი მისცა. ბიჭი გარეთ გავიდა ამხანაგებთან სათამაშოდ.

„ამას სიწყნარე უნდა", — თქვა ქალმა თავისთვის და საქნარს მიჰყო ხელი

მთელი დილა რამდენიმე ასოს გამოყვანას მოუნდა, თუმცა უფრო ადრეც შეეძლო მოთავება, ქალი თავს დამნაშავედ გრძნობდა, რაკილა უგვიანდებოდა სამუშაო, რომელსაც ელოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში პირველად მიეცა ოჯახის რჩენის საშუალება.

აწ უკვე თავის საქმეზე იდგა. ეს პაპირუსი, რომელზედაც ახლა ასოები გამოჰყავდა, ერთმა ვაჭარმა ეგვიპტიდან ჩამოუტანა და დამასკოში გასაგზავნი რამდენიმე უსტარის დაწერა სთხოვა. ქალალდი კარგი ხარისხისა ვერ იყო, საღებავი უსწორმასწოროდ ედებოდა. „მაგრამ რა შედარებაა, სად ეს და სად თიხაზე წერა".

მეზობელ ქვეყნებში მიღებული იყო, რომ გასაგზავნ უსტარს ან თიხის ფირფიტაზე წერდნენ ან პერგამენტის, იგივე ეტრატის ნაჭერზე. თუმცაღა ეგვიპტე დაცემის გზაზე კი იდგა, მაგრამ იქაურ კაცს ფრიად მოსახერხებელი და იოლი რამ საშუალება მოიღონისძიეს, რაც საადვილოს ხდიდა სავაჭრო საქმეებისა და ისტორიული ამბების აღწერას. მცენარეს, რომელიც ნილოსის ნაპირებიდან მოჰქონდათ, ღეროებს აცლიდნენ და ანაკუწებდნენ, მერმე ამ ნაკუწებს წებოში ავლებდნენ და ფენა-ფენა ერთმანეთს აწნეხდნენ, რის შედეგადაც მოყვითალო ფერის ქსოვილის ნაჭერი გამოდიოდა. აქბარელი ვაჭრები პაპირუსს ეგვიპტიდან ეზიდებოდნენ, ვინაიდან ის საპაპირუსე ჭილი აქ, ტაშირის მიწაზე, არა ხარობდა, პაპირუსი არც იაფი უჯდებოდათ, მაგრამ ვაჭრები იმის ჩამოტანას რჩებოდნენ, რადგან, თიხის ფირფიტისა და ტყავისგან განსხვავებით, პაპირუსს ჯიბეშიც ადვილად დამალავდა კაცი.

„რასაკვირველია, პაპირუსზე წერა იოლიც არის და მოსახერხებელიც", — გაიფიქრა ქალმა, — ოლონდ, სამწუხაროა, რომ პაპირუსზე წერა მხოლოდ მესვეურთა რწმუნებით შეიძლება. ძველი კანონის თა-

ნახმად, ქალაქში თუ რამ იწერებოდა, ჯერხანოშით ისევ აქბარის საბჭოში მოწმდებოდა.

მოათავა თუ არა, ქალმა ნამუშაკევი ილიას უჩვენა. მაგალი ამ ხნის განმავლობაში ის ხმაამოუღებლივ იჯდა და ერთს წერტილს მისჩერებოდა.

— მოგწონს? — ჰკითხა ქალმა.

ილია თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვა.

— ჰო, ლამაზია, — უთხრა მან, უაზროდ უთხრა, თავის ნათქვამს არც დაჰკვირვებია.

ეტყობა, ღმერთს ელაპარაკებოდა. არა, ხელს არ შეუშლის. ქალი ქურუმის მოსაყვანად წავიდა.

როცა ის დაბრუნდა, ილია ისევ იმ ადგილას იჯდა. ქურუმმა და ილიამ ყურადღებით შეათვალიერეს ერთმანეთი. დუმილი ჩამოვარდა.

პირველი ქურუმი ალაპარაკდა:

— შენ წინასწარმეტყველი ხარ, ანგელოზთ ეზრახები. მე ოდენ სჯულ-კანონთ განვმარტავ, წეს-ჩვეულებებს აღვასრულებ და ვცდილობ, რომ შეცდომათაგან დავიცვა ჩემი ხალხი. მე ვიცი, ადამიანები არ ებრძვიან ერთმანეთს, ეს ღმერთების ბრძოლაა, და მე იმათი სარგებლისთვის ხელის შეშლის უფლება არა მაქვს.

— ძლიერია შენი სარწმუნოება, თუმცაღა არარსებულ ღმერთებსა სცემ თაყვანს, — უპასუხა ილიამ, — უკეთუ ეს ღმერთების ბრძოლაა, მაშ, უფალი მე ამირჩევს თავის იარაღად ბაალისა და მეხუთე მთის სხვა ბინადართა დასამხობად. შენ ადრევე უნდა მოგეკალი.

— მაგაზე მიფიქრია. მაგრამ მაგის აუცილებლობა არ ყოფილა. საჭირო ჟამს ღმერთებმა მოწყალების თვალი მომაპყრეს.

ილიას არ უპასუხნია, ქურუმი შებრუნდა და პაპირუსი აიღო, რომელზეც ქვრივმა ის იყო დაამთავრა თავისი საწერი.

— კარგი ნამუშაკევია, — წარმოთქვა მან. მერმე ყურადღებით წაიკითხა დაწერილი, თითიდან ბეჭედი წამოიძრო, ერთ-ერთ პატარა სალებავიან ქილაში გაალავლავა და უსტარს მარცხენა კუთხეში დაასვა. თუ პაპირუსს, რომელიც ვინმეს თან წარეტანა, ქურუმის ბეჭედი არ ესვა, მაშინ იმ კაცს შემოწმებისას იჭერდნენ და იქნებ სიკვდილითაც დაესაჯათ.

— ამას რა ბეჭედი უნდოდა? — დაეკითხა ქალი.

— ეს პაპირუსები იდეებს შეიცავენ, — მიუგო ქურუმმა, — იდეებს კი ძალაუფლება უპყრიათ.

— მაგრამ ეს ოდენ საავაჭრო გარიგებებია.

— ვინ იცის, იქნებ სულაც ბრძოლის გეგმაა. ან იქნებ ვინმე ვინმეს ატყობინებს, რა სიმდიდრეც გვაბადია. ანდა იქნებ ჩვენი საიდუმლო ლოცვებია დღეს, როცა ალფაბეტიც არის და პაპირუსიც, სულ ადვილია, ხალხს თავისი კულტურული ავლადიდება წარსტაცო. თიხის ფირფიტებსა და პერგამენტს ეგრე იოლად ვერ დამალავ. მაგრამ პაპირუსისა და ალფაბეტის შეუღლებას რომელიც გინდა, იმ ხალხის კულტურის მოსპობაც ძალუძს და ქვეყნიერების დაქცევაც.

ანაზდეულად სახლში ვიღაც ქალი შემოიჭრა.

— ქურუმო, ქურუმო! ნახე ერთი, რა ხდება!

იმათ ილია და ქვრივიც გაპყვნენ. დუნდგო ხალხი ნიაღვრად მისდევდა შუკას: უთვალავი ფეხისგან ადენილი მტვრის კორიანტელში სუნთქვა ჭირდა. წინ ჟივილ-ხივილით მირბოდნენ ბავშვები, უკან გაჩქარებული მოზრდილნი მიაბიჯებდნენ.

ისინი ქალაქის სამხრეთ კარიბჭესთან მივიდნენ, სადაც ვილაცვილაცები შეჯგუფებულიყვნენ. ქურუმმა ძლივს გააღწია წინ და ზედ წაადგა კაცს, რომელიც ამ არეულ-დარეულობის მიზეზი გამხდარიყო.

აქბარის გუშაგი მუხლებზე იდგა ხელებგაშლილი. ორივ ხელის მტევანი ზურგს უკან აყუდებულ ფიცარზე ჰქონდა შემსჭვალული. ტანსაცმელი შემოეხიათ, მარცხენა თვალი ხის შუბით დაებუშტათ.

მკერდზე გუშაგს ხანჯლით ამოკვეთილი რამდენიმე ასო ეკითხებოდა. ქურუმი ეგვიპტურ დამწერლობაში ერკვეოდა, მაგრამ ასირიული ენა არ იცოდა. დასახმარებლად ვაჭარს მიმართა, იქვე გვერდით რომ ედგა.

— „ო მ ი  გ ა მ ო გ ვ ი ც ხ ა დ ე ბ ი ა“, აწერია, — გადმოაენა ვაჭარმა.

ბრბოდან კრინტი არცვის დაუძრავს. ილია ხედავდა, რომ ადამიანებს მკვდრისფერი დაედოთ.

— მომე ეგ შენი მახვილი, — უთხრა ქურუმმა გვერდით მდგომ მეომარს.

მეომარი დაემორჩილა... ქურუმმა, მომხდარი ამბავი ნაცვალსა და მხედართუფროსს შეატყობინეთო, ბრძანა. მერმე ეგრევე გულში ჩასცხო გუშაგს მახვილის წვერი.

გუშაგმა ერთი ამოიხრიალა და გადავარდა, წამერთ დალია სული და ტკივილსაც განერიდა და სირცხვილსაც.

— ხვალ საღვთო მსხვერპლით მივალ მეხუთე მთასთან, — უთხრა ნაცვალმა გლახ ზარხდომილ ხალხს, — და ღმერთებს ისევ მოვაგონდებით.

სანამ წავიდოდა, ჯერ ილიას მიუბრუნდა:

— საკუთარი თვალებით ხედავ, ზენაარსი კვლავინდებურად გვიმართავს ხელს.

— მარტო ერთს რასმე შეგეკითხები, — უთხრა ილიამ, — რად გინდა, რომ შენი ქვეყნის ხალხსა სწირავ მსხვერპლად?

— რად მინდა და, იდეა უნდა მოისპოს.

ილიამ თავისი ყურით მოისმინა, რასაც ის დილით ეუბნებოდა ქვრივს, და უკვე იცოდა, რომ ეს იდეა ა ლ ფ ა ბ ე ტ ი იყო.

— ძალიან გვიანია. ბიბლოსი უკვე მთელ ქვეყანასაა მოდებული, ასირიელთ კი სრულიად დედამიწის დაპყრობა არ ძალუძთ.

— ვინ მოგახსენა, რომ არ ძალუძთ? ბოლოსა და ბოლოს, მაგათი ჯარის გვერდით მეხუთე მთის ღმერთები არიან.

●

**ილიამ** კარგა ხანს იბორიალა ტაშირ-ტაშირ. იცოდა, წინ ერთი მშვიდობიანი დღე და ღამე კიდევ იყო. სიბნელეში არავინ ომობს, რადგან ვერცვინ არჩევს, ვინ თავისიანია და ვინ მტერი. მან ისიც იცოდა, იმ ღამეს უფალი შესაძლებლობას რასმე მიუბოძებდა, რა არი შე-

ეცვლევინებინა ბედი ქალაქისა, რომელსაც ის თავის ჭერქვეშ შეეფარებინა.

— სოლომონი ამხელად არ დაფიქრდებოდა, რა უნდა ექნაო, — მიუთხრო მან თავის ანგელოზს. — არ დაფიქრდებოდა არც დავითი, არც მოსე და არც ისააკი. ისინი მტკიცე სარწმუნოებაზე მდგარი ღვთისკაცნი იყვნენ, მე კი ერთი მერყევი, საგონებელში ჩავარდნილი მსახური ვარ. უფალი ისეთი არჩევნის ღირსადა მხდის, რომელიც ოდენ თავის გამგებლობაშია.

— ჩანს, შენთა წინაპართა მატიანეში ძალზე ბევრნი არიან საჭირო კაცნი საჭირო ადგილას, — მიუთხრო ანგელოზმა, — არ დაიჯერო, უფალი კაცთაგან მხოლოდ იმას მოითხოვს, რაც თითოეულის შესაძლებლობების ფარგლებშია.

— მაშინ შემცდარა ჩემში.

— რაც რამ ურვა და მწუხარება ჟამიერად ეწვევა ხოლმე კაცის გულსა, ოდესმე დროს მოაქვს. ეგრედვე მოსდით ქვეყნებსაც, რომელთა ყველა ძლევაც და უბედურებაც ჟამთაგან ინთქმება.

— მაგ შენსა თქმულს ვერ დავივიწყებ. მაგრამ უბედურებანი გრძელჟამიერად აჩნევენ კვალს, ხოლო ძლევა-გამარჯვებათა შემდგომ ოდენ უსარგებლო მოგონებანიღა რჩება.

ანგელოზს არცრა უპასუხნია.

— რატომ არის, რომ აქბარში მცხოვრებ კაცს სამშვიდობო საქმეში თანამზრახველნი წამლად ვერ მიპოვია? ვის უნდა მარტოხელა წინასწარმეტყველი?

— ვის უნდა მზე, ცაზე უთანმავლოდ რომ ვლის? ვის უნდა მთა, ტაშირის საშუალ რომ აღმართულა? ვის უნდა ჭა, აგრე შორს რომ არის? სწორედაც ეგენი არიან გზის მაჩვენებელნი, რომელ გზასაც ქარავანი უნდა დაადგეს.

— სული ლამის კაეშანმა დამიღრღნას, — წართქვა ილიამ, — თან მუხლებზე დაეშვა და ხელები ცისკენ გაიწოდა, — ნეტავი აქ მომკლა და არ ეაჩვენა ჩემი ხელები არც საკუთარი და არც სხვა ხალხის სისხლით გაბასრული. გაიხედე უკან: რასა ხედავ?

— შენ ხომ იცი, ბრმა ვარ, — წართქვა ანგელოზმა, — ჩემი თვალები ჯერეთ კიდევ ინახავენ ღვთის დიდების ნათელს. უჩინო ვერცრასა ვხედავ. რის გაგებაც შემიძლია, ის საშიშროებაა, შენ რომ გემუქრება, მაგრამ არ ვიცი, შენს ზურგს უკან რა არის...

— მაშინ მე გეტყვი: იქ აქბარია. დღის ამ დროს, როცა საღამოს მზე ასხივოსნებს, ულამაზესი რამ არის. მე შევეჩვიე ამ ქალაქის ყველა შუკასა და ყველა კედელს, აქაურ ხალხს, გულუხვსა და გულითადს. რა ვუყოთ, თუ ამ ხალხის ცხოვრება დღესაქამომდე გადაჯაჭვულია ვაჭრობასა და ამაო მორწმუნეობას თან, სამაგიეროდ ისეთი წმინდა გული აქვთ, როგორიც დედამიწის ზურგზე სხვას არცვის ექნება. ამათგან ბევრი რამ ვისწავლე, ადრე რის გაგებაშიც არ ვიყავი. სანაცვლოდ, თუ ვინმე რამე საჩივრით მოსულა, არცვინ უკან არ გამიბრუნებია და, ღვთისგან შთაგონებულს, პატიოსნად გადამიწყვეტია, რაც რამ სადავო ყოფილა. ბევრჯერ განსაცდელშიც ჩავვარდნილვარ და მუდამ ვიღაცას

ალუპყრია ხელი. რატომ უნდა გავიხადო ასარჩევად ამ ქალაქის ხსნასა და ჩემი ხალხის განთავისუფლებას შორის ერთ-ერთი?

— იმიტომ რომ კაცი არჩევანს უნდა ახდენდეს, — მიუგო ანგელოზმა, — სწორედ ეს არის ადამიანის ძალა, ამ გადაწყვეტილების სიმტკიცე.

— ეგ ძნელი არჩევანია. ეგ ითხოვს, ერთი ხალხი უნდა მაკვდეს, რათა მეორე გადარჩესო.

— კიდევ უფრო ძნელი საქმეა საკუთარი გზის განსაზღვრა, ვინც არჩევანს არ ახდენს, ის ღმერთის თვალში კვდება, თუმცა კვლავინდებურად ცოცხლობს და შუკა-შუკა ვლის.

— და კიდევ, — განაგრძობდა ანგელოზი, — არცვინ კვდება. საუკუნეობა სუყველა სულდგმულს გულში იკრავს, და თითოეული სული განაგრძობს თავის გზას. რაც კი რამ და ვინც კი სამზეოს მოვლენია, რაღაცისთვის არის საჭირო.

ილიამ კვლავ გაიწვდინა ხელები ცისკენ და ხმა გაისაფა:

— ჩემი ხალხი მსახვრალი ქალის გულისთვის განუდგა ღმერთს. ქურუმს ჰგონია, ფინიკიას თუ დაღუპავა უწერია, იმიტომ დაიღუპება, რომ დამწერლობა ღმერთებს განარისხებს. მაცოდინე, რად ირჩევს შემოქმედი თავისი ცხოვრების წიგნისთვის ტრაგედიას?!

ილიას ანარეკლმა ხმამ, უპუმ, მთელი ტაძარი შემოიარა.

— შენ არ იცი, რას ლაპარაკობ, — მიუთხრო ანგელოზმა, — ტრაგედია რა სათქმელია, არის ოდენ გარდაუვალი. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი აზრი აქვს, შენ მხოლოდ გარჩევა უნდა ისწავლო, რა არის წარმავალი და რა მარადიული.

— რა არის წარმავალი? — დაეკითხა ილია.

— გარდაუვალი.

— მარადიული რაღაა?

— გარდაუვალის გაკვეთილები.

ამის თქმა და ანგელოზის გაქრობა ერთი იყო.

იმ სალამოს, ტაბლას რომ მიუსხდნენ, ილიამ ქვრივსა და ბიჭს უთხრა:

— შეკარით ბარგი-ბარხანა, ყოველ წუთს მზად უნდა ვიყვნეთ ქალაქიდან გასასვლელად.

— უკვე ორი დღე არა გძინებია, — უთხრა ქვრივმა, — დღეს ნაცვლის კაცი იყო, სასახლეში დაუბარებიხარ. ტაძირზეა, ღამის თევით წავიდა-მეთქი, ვუთხარი.

— კარგად გითქვამს, — უთხრა ილიამ, — მერმე თავის სადგომში ავიდა, დაწვა და მაშინვე ჩაეძინა, გულის ძილმა წაიღო.

## 10.

**დილით** ის დაფდაფების ხმამ გამოაღვიძა. ძირს რომ ჩავიდა, გავიგო რა ამბავია, რა ხდებაო, ბიჭი კარებში იდგა.

— ნახე! — იძახდა ალტაცებისგან თვალებგაბრწყინებული ბიჭი. — ომია!

სამხრეთ კარიბჭის მხარეს აბჯარ-აბგართა წკრიალ-წკარუნითა და დოლ-დაფდაფთა ბრაგუნ-ბრახუნით მეომართა რაზმი მწყობრად მიდიოდა.

— რა ვიცი, გუშინ კი გეშინოდა, — უთხრა ილიამ ბიჭს.

— არ ვიცოდი, თუ ამდენი მეომარი გვყავდა. ჩვენი მეომრები ყველაზე მაგრები არიან!

ილია გარეთ გავიდა. ნაცვალი აუცილებლად უნდა ეპოვა სადმე. სხვა ქალაქელთაც გაღვიძებოდათ სამხედრო სიმღერების ხმაზე და შეცბუნებულიყვნენ. სიცოცხლეში პირველად ხედავდნენ მწყობრად მიმავალ ჯარს. მზის პირველ სხივებს იალკიალი გაჰქონდა მეომართა შუბებსა და ფარებზე. მხედართუფროსს ქალაქისგან მალულად გამოეწყო ჯარი. ახლა კი ნამდვილად შეეძლო აქბარელთა დარწმუნება, რომ ეს ჯარი დაამარცხებდა ასირიელთ. ილიას სწორედ ამისი ეშინოდა.

ილია როგორც იყო, გაძვრა-გამოძვრა მეომართა მწკრივებს შუა და მწყობრს თავში მოექცა. ნაცვალი და მხედართუფროსი ცხენებზე ამხედრებულნი მიუძღოდნენ ჯარს.

— ჩვენ აკი შეთანხმებული ვიყავით, — თქვა ნაცვალთან ახლოს მისულმა ილიამ, — სასწაულს აქვე მოვახდენ!

ნაცვალს ხმაც არ ამოუღია. ჯარმა კარიბჭე გაიარა და ტაშირზე გავიდა.

— შენც კარგად იცი, რომ ეს ჯარი თავის მოტყუებაა! — თავისას არ იშლიდა ილია, — ასირიელნი ხუთჯერ მეტნი არიან, საბრძოლო გამოცდილებაც მეტი აქვთ. ნუ დაანგრევინებ აქბარს!

— რას გადამეკიდე? — ცხენგაუჩერებლად გადმოსძახა ნაცვალმა, — გუშინ საღამოს კაცი გამოგიგზავნე, უნდა მოგლაპარაკებოდი, ქალაქში არ არისო, მითხრეს. მეტი რა უნდა მექნა?

— ასირიელებთან გაშლილ ტაშირზე შებმა იგივ თვითმკვლელობაა! თქვენ ჩემზე კარგად იცით!

მხედართუფროსი ჩუმად უგდებდა ყურს ამ საუბარს. ის ყველაფერზე მოლაპარაკებული იყო ნაცვალთან. მალე გაოცდება, მალე სახტად დარჩება ისრაელელი წინასწარმეტყველი.

ილია გვერდზე სირბილით მისდევდა მხედართ, მაგრამ კარგად არც ესმოდა, რის ქმნას აპირებდა. მეომართა მწყობრმა ქალაქი დააგდო და ტაშირის სილრმისკენ წავიდა.

— უფალო მიოხე რამ, — ფიქრობდა ილია, — შეაჩერე დრო, როგორაც შეაჩერე მზე, რათა ესაიას შეშველებოდი ბრძოლისა ჟამს. როგორმე გამაგებინებინე ნაცვლისთვის თავისი შეცდომილება.

როგორც კი მან ეს გაიფიქრა, მხედართუფროსმა შეჰყვირა:

— ვჩერდებით!

— იქნებ ეს ნიშანიც არის, — ჩაილაპარაკა ილიამ, — რაღაც უნდა ვიღონო.

მეომარნი ორ მწკრივად დაეწყვნენ, თითქოს ორი კედელი აღმართეს. ფარები ძირს დაალაგეს, იარაღიც, ოღონდ უფრო წინ.

— დარწმუნდი — შენ წინ აქბარელნი მეომარნი არიან, — უთხრა ნაცვალმა ილიას.

— ჩემ წინ ყმაწვილკაცთ ვხედავ, რომელნიც სიკვდილს უყურებენ თვალებში, — მიუგო ილიამ.

— უნდა იცოდე, რომ აქ მხოლოდ ერთი რაზმია ჩვენი მეომრების დიდი ნაწილი ქალაქშია, ისინი ციხე-სიმაგრის კედლებზე დგანან. ერთი და ორი კი არა, ვინ იცის რამდენი ვეება ქვაბია მზად, მდუღარე ზეთით სავსე, რათა თავზე გადავასხათ ყველას, ვინც კედლებზე ასვლას ეცდება. ხალხს საჭმელ-სასმელის დიდი მარაგი დავურიგეთ, გარეთ გამოსვლა არ დაეჭირვებათ და ცეცხლწაკიდებულ ისართაც აერიდებიან. მხედართუფროსის ანგარიშით, სულ ცოტა, ორი თვე მაინც დავიცავთ ქალაქს. როგორც ასირიელნი ემზადებოდნენ ომისთვის, ჩვენც ისევე ვემზადებოდით, ამხანობაში კარგა მაგარი ჯარი გამოვაწყეთ.

— შენ ეგ არცროდის გითქვამს ჩემთვის, — უთხრა ილიამ.

— დაიხსომე, თუმცა რაღაცას კი დახმარებიხარ აქბარელთ, მაგრამ მაინც უწინდებურად უცხოქვეყნელი ხარ, გარმიანელი, ის კი არა, ჩვენმა მეომრებმა სულაც მსტოვრად არ შეგრაცხონ.

— აკი მშვიდობა მინდაო, ამბობდი!

— მშვიდობა კვლავინდებურად შესაძლებელია, როცა შეებმებით, მაშინაც. როგორც თანასწორნი, ისე მოვილაპარაკებთ.

ნაცვალმა ისიც უთხრა, ტვიროსსა და სიდონში მაცნენი დაგზავნეთო, მოსალოდნელი საშიშროება შეატყობინეთო. ჩემთვის ადვილი არ იყო დახმარების თხოვნაო, გულს უშლიდა ნაცვალი, ტვიროსელნი და სიდონელნი იფიქრებენ, რომ თავად ვერ გავუმკლავდი მტერსა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არისო...

მხედართუფროსს ეშმაკური გეგმა შეემუშავებინა. როგორც კი ბრძოლა დაიწყებოდა, ის ქალაქში მობრუნდებოდა და წინააღმდეგობის საქმეს გამოაწყობდა, ჯარი, რომელიც ამჟამად ბრძოლის ველზე იყო, რაც შეიძლება მეტ მტერს შეიწირავდა და მერმე უკვე მთებს მიაშურებდა. აქბარელნი ტაშირს უფრო უკეთ იცნობდნენ, ვიდრე სხვა ვინმე, და მცირე-მცირე ჯგუფებით არ მოასვენებდნენ ასირიელთ, საალყო მოქმედებას შეუსუსტებდნენ. მალე მაშველი ჯარიც გამოჩნდებოდა და ასირიელთ კუდით ქვას ასროლინებდნენ.

— ჩვენ ორი თვეც არ დაგვჭირდება მოსაგერიებლად, — დაუსკვნასავით ნაცვალმა ილიას.

— ხალხი ბევრი გაწყდება.

— ჩვენ ყველანი სიკვდილის პირისპირ ვდგავართ, და აღარცვის ეშინია; მეც კი.

ნაცვალს თავიდანვე არ ეჯერებოდა თავისი ვაჟკაცობა. ბრძოლა რა იყო, არ იცოდა, ბრძოლის ველი მარტო გაეგონა და პირველად ქალაქიდან გაქცევაც კი დააპირა. იმ დილას თავის ყველაზე ერთგულ მი-

ნაკაცებთან ერთად მტოლვარების გეგმაც მოხაზა. ტვიროსსა და სიდონში ვერ გაიქცეოდა, იმწუთს მოღალატედ მიიჩნევდნენ. საბაგიეროდ იზებელი დიდის სიამოვნებით მიიღებდა როგორც კიდეე ერთ ერთგულ ქვეშევრდომს.

მაგრამ, ბრძოლის ველზე რომ მოხვდა, მეომართა [illegible] ისეთი სიხარული დაინახა, თითქოს მთელი სიცოცხლე რაღაც დიდი მიზნისთვის ემზადებინოთ და ბოლოს ეს წუთიც დამდგარიყოს.

— შიში მანამ ცოცხლობს ჩვენში, სანამ გარდაუვალი მოხდებოდეს, — უთხრა ნაცვალმა ილიას, — მერმე გინდ ყოფილა, გინდა არა, ანგარიშის გასაწევად არა ღირს.

ილია შეცბა. ისიც ამასვე გრძნობდა, მაგრამ გამოტყდომისა სცხვენოდა. უცებ ბიჭი მოაგონდა, ჯარის დანახვაზე რომ გაიხარა.

— წადი აქედან, — უთხრა ნაცვალმა, — შენ უცხოქვეყნელი კაცი ხარ, უიარაღო, რაც არა გჯერა და არა გწამს, იმისთვის ვერც იბრძოლებ.

ილია არ განძრეულა.

— ისინი მოვლენ, — თქვა მხედართუფროსმა, — გხედავ, გაცბუნებული ხარ, მაგრამ როგორც საჭირო იყო, ჩვენ ისე მოვემზადენით.

ილია ფეხს არ იცვლიდა.

ნაცვალმა და მხედართუფროსმა ცის დასალიერისკენ გაიხედეს: მტვრის კორიანტელი არ ჩანდა, ასირიელთა ჯარი ადგილიდან არ იძვროდა.

წინა რიგის მეომართ შუბები მაგრად ჩაებღუჯათ, აშკარად ბრძოლის მოლოდინში იყვნენ. მოისართაც მშვილდნი ლარდაჭიმულნი ეჭირათ და მხედართუფროსის ბრძანებასღა ელოდნენ. ზოგ-ზოგნი ყმაწვილკაცნი კი ჰაერში იქნევდნენ მახვილს.

— ყველაფერი მზად არის, — გაიმეორა მხედართუფროსმა, — ცოტაც და, ისინი შემოგვიტევენ.

ილიამ მხედართუფროსის ხმაში აღტყინება იგრძნო. ეტყობა, ერთი სული აქვს, სანამ ბრძოლა დაიწყებოდეს, სიმამაცის გამოჩენის სურვილს ვერ მალავს, ბრძოლის სურათიც უკვე თვალწინ უდგას: ასირიელთ თავი აქვთ გადადებული, ხმლებს ჯახაჯუხი გააქვთ, ყველაფერი ერთმანეთშია არეული, ყურთასმენა არ არის. ისიც უკვე წარმოუდგენია, როგორ დარჩება ფინიკიელ ქურუმთა თქმულებებში თავისი უბადლო ვაჟკაცობითა და შემართებით.

— ისინი ადგილიდან არ იძვრიან, — უთხრა ნაცვალმა ფიქრებში წასულ ილიას.

და ილიას წამოაგონდა, როგორ ევედრებოდა ღმერთს, რომ ცაზე მზე გაეჩერებინა, როგორც ოდესღაც ესაიასთვის გააჩერა. მან ანგელოზთან დალაპარაკება დააპირა, მაგრამ ანგელოზმა ხმა არ გააგონა.

დრო გადიოდა. მეომართ შუბები დაუშვეს, მშვილდები მხრებზე კიდეს, ხმლები ქარქაშებში ჩააბრუნეს. შუადღის მზე ისეთნაირად აჭ-

ერდა, ზოგ-ზოგთ ვერც გაუძლეს, უგრძნობლად დაეცნენ. მაგრამ ჯარი დღის ბოლომდის მაინც მზად იყო საბრძოლველად.

მზე რომ დახდა, ცის დასალიერს რომ მიეფარა, მეომარნი აქბარს დაბრუნდნენ, ყველანი გულდაწყვეტილნი იყვნენ, რომ კიდევ ერთი დღე იცოცხლეს.

ერთი მარტო ილიალა შერჩა ტაშირს. მან დიდხანს [illegible] ხან აღმა, ხან დაღმა, და უცებ ნათელი აესვეტა. თვალწინ უფლისა ანგელოზი დაუდგა:

— უფალმა ისმინა შენი ვედრება, — მიუთხრო ანგელოზმა, — და შენი სულისა ტანჯვაც მოიხილა.

ილიამ ხელები ცად აღაპყრო და მადლი შესწირა ღმერთს.

— უფალი წყაროა ძალისა და დიდებისა. მან შეაჩერა ასიელთა ჯარი.

— არა, — მიუგო ანგელოზმა, — შენ, აკი თქვი, არჩევანი ღმერთმა უნდა მოახდინოსო, და იმანაც მოახდინა, ოღონდ შენ მაგიერად.



— **წასვლის** დროა, — უთხრა ქვრივმა შვილს.

— მე არ მინდა წამოსვლა, — უპასუხა ბიჭმა, — მე აქბარელნი მეომარნი მეამაყებიან.

დედამ, ხაბაკხუბაკი შეკარიო:

— რის ტარებასაც შეიძლებ, მარტო ის წამოიღე.

ილია თავის სადგომში ავიდა, თვალი მოავლო იქაურობას, თითქოს პირველად და უკანასკნელად ხედავდა. მერმე, დაბლა რომ ჩამოვიდა, ქვრივს დაუწყო ცქერა, რომელიც საღებავებს აგროვებდა.

— მადლობელი ვარ შენი, თან რომ მიგყავარ, — უთხრა ქვრივმა, — რომ გავთხოვდი, ჯერეთ სულ თხუთმეტი წლისა ვიყავი და ცხოვრებისა არა გამეგებოდა რა. ჩვენი ოჯახები წინასწარ ყველაფერზე ბოლაპარაკებულნი იყვნენ. მე ბავშვობიდანვე მამზადებდნენ ამ ცოლქმრობისთვის და ყველანაირ ვითარებაში ქმრის მხარში დგომას მასწავლიდნენ.

— გიყვარდა?

— მივეჩვიე. სხვა არჩევანი არა მქონდა, და თავი დავირწმუნე, აგრე უკეთესია-მეთქი. ქმარი რომ დამეღუპა, ცხოვრების ულიმლამობას შევეგუე: მეხუთე მთის ღმერთებს ვეხვეწებოდი (მაშინ ჯერეთ ისევ მწამდნენ ისინი), ჩემი ბიჭი რომ წამოიზრდება და მარტო ცხოვრებას შეიძლებს, თქვენთან წამიყვანეთ-მეთქი.

სწორედ მაშინ გამოჩნდი შენც. ერთხელ უკვე გითხარი და ახლა კიდევ გაგიმეორებ: იმ დღიდან სულ სხვა თვალით დავინახე ტაშირი, ეს ცად აზიდული თალხი მთები, მთვარე, რომელიც სულ იმიტომ იცვლება, რომ ჯეჯილი იზარდოს და ყანა გახდეს. ღამღამობით, სანამ შენ გძინებია, ხშირად მოვდებივარ აქბარს, გათენებამდე მივლია, ხან ახალდაბადებულთა ტირილი ჩამსმენია, ხან მოქეიფეთა სიმღერა, ხანაც ამ ჩვენი ციხე-სიმაგრის ებგურთა ფეხის ხმა. ადრეც ბევრჯერ მოძიხილავს ეს ყველაფერი, მაგრამ ღამაზი იყო თუ არა, არც შემიმჩნევია! ადრე არც ცას დავკვირვებივარ, აგრე უძირო იყო თუ არა! ვინ უწყის, რამდენჯერ შევსწრებივარ აქბარის ღამეულ ხმაურს, მაგრამ არცროდის მიგრძნია, ჩემი ცხოვრების ნაწილი თუ იყო!

მე კვალად სიცოცხლის დიდმა წყურვილმა შემიპყრო. ბიბლოსის ანბანი ისწავლეო, მითხარი, და ვისწავლე, არ დავაყოვნე. მე მხოლოდ სიამოვნებაზე ვფიქრობდი, მაგრამ თან იმასაც ვცდილობდი, ღრმად გავრკვეულიყავი, რას ვაკეთებდი, და მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება ყოველთვის ისეთი იყო, როგორის ხილვაც მინდოდა.

ილია ქალს თმაზე შეეხო და ნაზად გადაუსვა ხელი, რაც პირველად მოხდა.

— ადრე აგრე რატომ არ იყო? — იკითხა ქალმა.

— იმიტომ არ იყო, რომ გეშინოდა. დღეს, ბრძოლის მოლოდინში, ნაცვალს ვუსმენდი და შენზე ვფიქრობდი. შიში იქ მთავრდება, სადაც გარდაუვალი იწყება. იმ წუთიდან შიში აზრსა კარგავს და ხელთ რაც გვრჩება, იმის იმედია, რომ გადასაჭრელს სწორად გადავჭრით.

— მე მზადა ვარ, — თქვა ქალმა.

— ჩვენ ისრაელში დავბრუნდებით, უფალმა უკვე მითხრა, რაც უნდა ვქმნა. მეც ისე მოვიქცევი, და იზებელი ძალაუფლებას დაკარგავს, გაუტახდოვდება.

ქალს არაფერი უთქვამს. როგორც ყველა ფინიკიელი ქალი, ისიც ამაყობდა თავისი მეფისა ასულით. როცა ისრაელში ჩავლენ, ქვრივი უველაფერს ილონებს, რომ ილიას აზრი შეაცვლევინოს.

— სანამ უფლისა ნებას არ აღვასრულებ, წინ გრძელი და მძიმე გზა გვიძევს, — თქვა ილიამ, თითქოს ქალის ნაფიქრი გამოიცნოო, — მაგრამ შენი სიყვარული ჩემი დასაყრდენი იქნება და, როცა კი ღმერთისთვის ბრძოლაში დავიღლები, ყოველთვის შენ გვერდით მოვითქვამ სულს.

ბიჭს ზურგზე გუდა მოეგდო. ილიამ თავის გუდას დაავლო ხელი და ქვრივს უთხრა:

— წასვლის დროა. ქალაქში რომ გავალთ, სანამ დავაგდებდეთ, დაიხსომე თითოეული სახლი, თითოეული ჩქამი ჩაირჩინე ყურში. მორჩა, შენ აქბარს ვეღარცროდის ნახავ.

— მე აქბარში დავიბადე, და ეს ქალაქი სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში, — მიუგო ქალმა.

დედის სიტყვების გაგონებაზე ბიჭმა გულში დაიფიცა, რომ არცროდის დაივიწყებდა არც ერთს და არც მეორეს. ხოლო ოდესმე თუ დაბრუნდებოდა უკან და კვლავ მოიხილავდა ქალაქს, ქალაქის სახე დედის სახეს მოაგონებდა.

●

**უკვე** ბნელოდა, როცა ქურუმი მეხუთე მთის ძირას მიგიდა. მარჯვენა ხელში კვერთხი ეჭირა, მარცხენაში აბგა.

მან აბგიდან ხეთიანი შუშის ჭიჭლა ამოიღო [illegible] ბლსა და მაჯებზე წაიცხო. მერმე ქვიშაზე კვერთხით ხარ[illegible] დახატა, ჭექა-ქუხილის ღმერთისა და დიდი ქალღმერთის სიმბოლოები, საწესჩვეულებო ლოცვა აღავლინა და, ბოლოს, ცად ხელები აღაპყრო, რათა ღვთაებრივ ზეშთაგონებას ზიარებოდა.

ღმერთები მეტს აღარ ელაპარაკებოდნენ ადამიანებს. რაც სათქმელი იყო, უკვე ყველაფერი ეთქვათ, და აწ ოდენ წეს-ჩვეულებათა აღსრულებას მოითხოვდნენ. წინასწარმეტყველნი დედამიწის ზურგზე აღარსად იყვნენ, გარდა ისრაელისა, ჩამორჩენილი, ამაო სარწმუნოების ქვეყნისა, სადაც ადამიანებს ჯერეთ კიდევ სჯეროდათ, ვითომ ცამყარის შემოქმედთან ურთიერთობდნენ.

ქურუმმა გაიხსენა, რომ ორასი წლის წინათ ტვიროსი და სიდონი აღებმიცემობდნენ სოლომონად სახელდებულ იერუსალიმის მეფესთან, რომელსაც თურმე უდიდესი ტაძრის აგება და იმ ტაძრის მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ხეტყის მასალით მოპერანგება ნდომია. სამასალე კედრის ხეო, უბრძანებია სოლომონს, ფინიკიაში იყიდეთო, ისრაელელნი ლიბანს რომ ეძახდნენ. ტვიროსის მეფეს ის სამასალე კედრის ხეტყე ფასგაუღებლად გაუგზავნია, სოლომონს კი სანაცვლოდ გალილეაში ოცი ქალაქი მიუბოძებია. მაგრამ ტვიროსელ მეფეს არც ერთი ის ქალაქი არ მოსწონებია. მაშინ სოლომონს ფინიკიისთვის ხელი აღუპყრია და პირველი ხომალდი აუგებინებია, ახლა კი ფინიკიას მსოფლიოში ყველაზე დიდი ხომალდიანი უვლია.

იმხანად ისრაელი ჯერ კიდევ დიდი ქვეყანა იყო, თუმცა იქაურნი მხოლოდ ერთ ღმერთს ეთაყვანებოდნენ, რომლის სახელიც კი არ იცოდნენ. უბრალოდ „უფალს“ ეძახდნენ. სიდონელმა მეფისა ასულმა იმდენი ქნა, რომ სოლომონი კვალად ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია, და იმანაც საზორველი აუგო მეხუთე მთის ღმერთებს. ისრაელელთ მიაჩნდათ, რომ „უფალმა“ დაუსაჯათ თავიანთ მეფეთაგან უბრძნესი მეფე, რამეთუ მრავალი ომი დაატეხა ისრაელის ქვეყანას, რისა გამოც დაკარგა სოლომონმა ტახტი.

მაგრამ ძე სოლომონისა რობოამი თანდათან განამტკიცებდა მამისგან აღიარებულ სარწმუნოებას, მან ორი ოქროს ზვარაკი ჩამოასხმევინა, და ისრაელის ხალხი ეთაყვანებოდა ამ ოქროს ზვარაკთ. ზედდატანებით გამოჩნდნენ წინასწარმეტყველნიც, რომელთაც გაუთავებელი ომი წამოიწყეს ქვეყნის წინააღმდეგ.

იზებელი მართალი იყო. ჭეშმარიტი სარწმუნოების შესანარჩუნებლად ოდენ ერთი ხერხია — წინასწარმეტყველთ უნდა გაუსწორდე. თუმცა, შემწყნარებლობისა და ომის წინაშე შიშის სულისკვეთებით აღზრდილ დედოფალს ისიც ესმოდა, რომ ხან ძალადობის გარდა, სხვა გამოსავალი არ არის. ღმერთები, რომელთაც მსახურებდა, მიუტევებდნენ, უკეთუ ხელებს სისხლით წითლად გაიბასრავდა.

— მალე ჩემს ხელებსაც სისხლი გაბასრავს, — უთხრა ქურუმმა მდუმარე მთას. — ისევე, როგორც წინასწარმეტყველთ გაბასრეს და შეაჩვენეს ისრაელი, როგორც დამწერლობამ გაბასრა და შეაჩვენა ფინიკია. წინასწარმეტყველთაც და დამწერლობასაც გამოუსწორებელი ვნება მოაქვთ. უნდა შევაჩეროთ, სანამ გვიან არ არის. იღბლის ღმერთამ ხელად ვერ დაუტეევებს ფინიკიას.

ქურუმს დილას მომხდარი ამბავი აწუხებდა: მტრის ჯარმა არა და არ შემოუტიათ. ადრე იღბლის ღმერთმა ერთხელ უკვე დაუტევა ფინიკია, რამეთუ ფინიკიელებზე მრისხანებდა. დაუტევა, და ყველა ბაზმაკში ალი ჩაქრა, ცხვრებმა და ძროხებმა ძუძუ აღარ აწოვეს თავიანთ ნაშიერთ, აღარც ხორბალი ამოდიოდა, აღარც ქერი. მზისა ღმერთმა თავის ეტიკად დადგენილი არწივი და ჭექა-ქუხილის ღმერთი გამოგზავნა, რათა იღბლის ღმერთი ეპოვათ, მაგრამ იმის მპოვნელი არცვინ ჩანდა. ბოლოს დიდმა ქალღმერთმა ფუტკარი გამოგზავნა. მან იღბლის ღმერთი ტყეში იპოვა მძინარე და დანესტრა. იღბლის ღმერთმა გამძვინვარებულმა გამოიღვიძა და სულ მილეწ-მოლეწა იქაურობა. სხვა გზა არ იყო, კარგა მაგრად დაშარტეს და სულიდან რისხვა ამოაშვებინეს.

უკეთუ იგი კვლავ დაუტევებს ფინიკიას, ბრძოლა აღარ მოხდება. ასირიელნი ტაშირიდან ფეხს არ მოიცვლიან, სამუდამოდ აქ დარჩებიან. ქალაქი კი კვლავინდებურად განაგრძობს ცხოვრებას.

— გაბედულება ლოცვით გამოხატული შიშია, — დუდუნებდა ქურუმი, — ამიტომაც ვარ აქ მოსული. ბრძოლაში მე გაუბედაობის უფლება არა მაქვს. აქბარელ მეომართ მე უნდა ვუჩვენო, რის გულისთვის უნდა ვიცავდეთ ქალაქს, სულაც არა ჭის, ბაზრისა და ნაცვლის სასახლისა გულისთვის. ჩვენ ასირიელთა ჯარს უნდა შევებათ, რათა სამომავლო მაგალითი ვუჩვენოთ.

ასირიელთა გამარჯვება საბოლოოდ მოსპობს ალფაბეტის საშიშროებას. დამპყრობელნი თავიანთ ენასა და წეს-ჩვეულებებს დანერგავენ, მაგრამ აქბარელნი კვლავაც მეხუთე მთის იმავე ღმერთებს ათაყვანებენ თავს. მნიშვნელოვანი დიახაც ეს არის.

მომავალში ჩვენი ზღვის კაცნი ფინიკიელთა გმირობის ამბავთ სხვა ქვეყნებში მიიტანენ. ქურუმნი ვაიხსენებენ გმირთა სახელებსა და იმ დღეს, როცა აქბარი ასირიელთა ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. ფერმწერალნი პაპირუსზე ეგვიპტურ ასოებს გამოიყვანენ, ბიბლოსის გადამწერნი კი ამოწყდებიან. ვინც წმინდა დანუსხვილ დედანთა შესასწავლად დაბადებულა, იმ დედნებზე მხოლოდ იმათ მიუწვდებათ ხელი. ჩვენი მომდევნო თაობები იმის აღდგენას შეეცდებიან, რაც რამ ჩვენ გვიკეთებია, და უკეთეს ქვეყანას ააშენებენ. მაგრამ ახლა, — განაგრძობდა ქურუმი, — ჩვენ ეს ბრძოლა უნდა წავაგოთ: მამაცურად კი ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩვენი ჯარი ბევრად ჩამოუვარდება მტრისას, და როგორც გმირთ შეეფერებათ, ისე დავიღუპებით.

ამწუთას ქურუმს ღამის სუნთქვა მოესმა და მიხვდა, რომ მართალი იყო. ჩამოვარდნილი მყუდროება მძიმე ბრძოლის დაწყებას მოასწავებდა, მაგრამ აქბარის მცხოვრებთ ეს არ უგრძვნიათ. იარაღი გვერდზე

გადაედოთ და მხიარულობდნენ, როცა საგუშაგოდ უნდა მდგარიყვნენ. პირუტყვთ არცრა ყურადღებას აქცევდნენ — ისინი საფრთხის მოახლოებაა სულ ერთიანად გაერინდებინა.

— დიამც აღსრულებულა განგებულება ღმერთებისა! ნუმც ჩამოქცეულან ცანი, რამეთუ რაც საქმნელი იყო, [illegible] და დავემორჩილეთ ზნე-ჩვეულებებს, — დაასრულა [illegible]

## 12.

●

**ილია,** ქვრივი და ბიჭი დასავლეთისკენ გაუდგნენ გზას, ისრაელის მხარეს. უფრო სამხრეთით განლაგებული ასირიელთა ბანაკი შორს დარჩა. მგზავრთ სავალს სავსე მთვარე უნათებდათ, მაგრამ ამასთანავე, ირგვლივ უცნაური და ავად დაგრძელებული ლანდები დაბორიალობდნენ. ზოგი ქვის ჩრდილი იყო, ზოგიც კლდისა.

და სად იყო, სად არა, უფლისა ანგელოზი გამოეცხადა.

— საით გაგიწევია? — ჰკითხა ანგელოზმა.

— ისრაელს მივდივარ, — მიუგო ილიამ.

— მერედა, უფალმა გიხმო?

— მე ვიცი, რა სასწაულსაც ელოდება ჩემგან უფალი. აწ უკვე ნესმის, სად უნდა მოვახდინო ის სასწაული.

— მერედა, უფალმა გიხმო? — განუმეორა ანგელოზმა.

ილიას არ უპასუხნია.

— მერედა, უფალმა გიხმო-მეთქი? — მესამედ მოუწოდა ანგელოზმა.

— არა.

— მაშინ თუ ეგრეა, ისევ იქ მიბრუნდი, საიდანაც წამოსულხარ, რამეთუ ჯერეთ არ აღგისრულებია შენი დანიშნულება. უფალსა ჯერეთ არ უხმია შენთვის.

— ეს ქვრივი მაინც გაუშვი, წავიდეს თავის ბიჭიანად. აქ აღარ დაედგომებათ, — შეევედრა ილია.

მაგრამ ანგელოზი უკვე გამქრალიყო. ილიამ ძირს დადო თავისი აბგა, შუა გზაზე დაჯდა და გული ამოისკვნა.

— რა მოხდა? — ჰკითხეს ქვრივმა და ბიჭმა, რომელთაც არცრა დაუნახავთ.

— უკან ვბრუნდებით, — თქვა ილიამ, — უფალმა აგრე ინება.

●

**ილიას** ერთბაშად არ ჩასძინებია. შუაღამისას რომ გამოეღვიძა, ჰაერს მოდებული შფოთი იგრძნო. ქალაქში ავი ქარი ქროდა, შიშისა და უიმედობის მთესველი.

„ქალის სიყვარულში ყოველივე არსებულის მიმართ მოვიხილე სიყვარული.

— ლოცულობდა იგი ღამის მყუდროებაში. — სიყვარული ძალიან მჭირდება. ვიცი, უფალი არ დამივიწყებს თავის ერთ-ერთ მსახურს, იქნებ ყოვლისა უფრო სუსტს თავისივე რჩეულთაგან. უფალო, მიოსე, რამეთუ ამდენ ბრძოლაში სიმშვიდე მეჭირვება".

მან ნაცვლის სიტყვები გაიხსენა, შიში უსარგებლო [illegible] ერისო. თუმცა თვალი მაინც ვერ მოეხუჭა. „მე ძალ-ღონე დაკარგული [illegible] მჭირდება. დამაძინე, სანამ ეს შესაძლებელია".

ანგელოზს ვუსმობო, იზრახა, მაგრამ მიხვდა, იქნებ სულაც ისეთი რამ მითხრას, არც მესიამოვნოსო, და გადაიფიქრა. მერმე ადგა და ძირს ჩავიდა, ეგების ცოტა დავწყნარდეო. ჯერ ისევ გაუხსნელი ეწყო გზიდან უკან მოტანილი ბარგი-ბარხანა, ქვრივს საგულდაგულოდ რომ შეეკრა: როგორც კი ილიამ, ქვრივთან შეევალო, გადაწყვიტა, უფლის სიტყვები გაახსენდა, მოსეს რომ უთხრა ბრძოლის წინ: „და ვინცა ქალი დანიშნა და ჯერეთ არ მოუყვანია, წავიდეს და დაბრუნდეს შინ, რათა ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ წაიყვანოს ის ქალი".

ისინი ჯერ არ ჩანდნენ. მაგრამ ეს ღამე ძალიან მძიმე გამოდგა, და დრო შესაფერისი არ იყო.

ილიამ ბარგი-ბარხანის გახსნა გადაწყვიტა, ყველაფერს ისევ თავის ადგილას დავაწყობო. ქვრივის ფუთაში მცირე რამ ტანსაცმლის გარდა, ბიბლოსის ასოების დასანუსხავი ხელსაწყოებიც ეწყო.

მან დანა მოიკარგა, პატარა თიხის ფირფიტა წყლით დაასველა და ასოების გამოყვანა დაიწყო, ქვრივს მუშაობისას თვალყურს რომ ადევნებდა ხოლმე, წერა მაშინ ჰქონდა ნასწავლი.

„რა უბრალო რამ არის და რა საკვირველი!" — გაიფიქრა მან, თან გულის გადაყოლებას ცდილობდა. წყლის მოსატანად ჭაზე წასულს ბევრჯერ გაეგონა ქალების ნათქვამი: „ბერძნებმა ძალზე მნიშვნელოვანი რამ გამოგონება მოგვპარესო". ილიამ იცოდა, რომ ეს ასე არ იყო. ხმოვანთა დამატებით ბერძნებმა ძირფესვიანად შეცვალეს ალფაბეტი და ყველა ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახადეს. გარდა ამისა, პერგამენტის კრებულს „ბიბლიები" უწოდეს იმ ქალაქის პატივსაცემად, სადაც ალფაბეტი მოეგონებინათ.

ბერძნული ბიბლიები პერგამენტებზე ანუ „ტყავის ქაღალდზე", განსაკუთრებული წესით გამოყვანილ ხბოს ტყავზე იწერებოდა. ილიას აზრით, ეს ძალზე მყიფე მასალა იყო. ტყავი არც ისე მაგარია, როგორც თიხის ფირფიტა, და დაკარგვაც უფრო ადვილად შეიძლებოდა. პაპირუსი ხელად იხეოდა, ვინაიდან ხშირად ეხებოდა ადამიანის ხელი, და წყალიც აფუჭებდა. „ბიბლიები და პაპირუსები უხანოა, დროს ვერ უძლებენ. ფირფიტები გამძლეა, გადარჩებიან", — ფიქრობდა ილია.

თუკი აქბარი არ დაანგრიეს, აუცილებლად ეტყვის ნაცვალს, რომ ქვეყნის თავგადასავალი აღიწეროს და თიხის ფირფიტები გადაუნახონ მომავალ თაობებს. მაშინ, ასირიელთ რომც დახოცონ ფინიკიელნი ქურუმნი, რომელნიც მეხსიერებაში ინახავენ თავიანთი ხალხის მატიანეს, მეომრებისა და პოეტების ღვაწლი დავიწყებული არ იქნება.

ილია დიდხანს იქცევდა თავს, ერთსა და იმავე ასოებს ხან ასე ამწკრივებდა, ხან ისე. როცა რამე სიტყვა გამოდიოდა, გულწრფელად

უკვირდა. ასერიგად თავშექცეული ცოტა დაწყნარდა და ისევ დასაძინებლად დაწვა.

●

**მალე** გრახუნმა გამოალვიძა. სადგომის კარი ჩამოეგდოთ და ძირს გადაეძახებინათ.

„ეს არც სიზმარია და არც ღვთისა მხედრობა“.

ყველა კუთხე-კუნჭულიდან ლანდები გამორბოდნენ და რაღაცას ყვიროდნენ ილიასთვის გაუგებარ ენაზე.

„ასირიელები“.

გარშემო ყველაფერი იქცეოდა და ინგრეოდა. მოედნიდან მტრის ღრიალი და ვილაც-ვილაცების კვნესა-გოდება აღწევდა. ილიამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ერთ-ერთმა ლანდმა ძირს დასცა. ქვემოთ რაღაცამ ყრუდ გაიღრჭიალა.

„ხანძარია, — გაუელვა ილიას თავში, — სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ“.

— ეს შენა ხარ? — გაიგონა მან ვილაცის მიერ ფინიკიურად ნათქვამი სიტყვები, — მთავარი შენა ხარ. ლაჩარივით დამალულხარ ქალის სახლში.

ილიამ სახეში შეხედა ამის მთქმელს. ცეცხლს გაეჩირაღდნებინა ოთახი, მან გრძელწვერა აბჯრიანი კაცი დაინახა. ნამდვილად ასირიელები იყვნენ.

— ღამე დაგვესხით? — ჰკითხა შემცბარმა ილიამ.

მაგრამ კაცს ხმა არ გაუცია. ილიამ თვალი შეასწრო, როგორ გაიელვა ჰაერში ხმალმა. ერთ-ერთმა მარჯვენა ხელი გადაუსერა.

ილიამ თვალები დახუჭა. წამისყოფით მთელმა ცხოვრებამ გაურბინა თვალწინ. ის კვლავ თავის მშობლიურ ქალაქში იყო, შუკა-შუკა დარბოდა, ტოლებთან თამაშობდა, პირველად მიაშურა იერუსალიმს, თავის სადურგლოში გახერხილი ხის სუნი ეცა, კვლავ გაიტაცა შორეულ ზღვებზე ოცნებამ, კვლავ ეტორღიალებოდა იმ უცნაურად ჩაცმულ ზღვის კაცებს, მარტო ნავსადგურებში რომ დადიან. დაეხეტებოდა აღთქმული მიწის მთებსა და ველებზე, აგონდებოდა, როგორ შეხვდა პირველად იზებელს. ის სულ პატარა გოგო ჩანდა და თავბრუს ახვევდა ყველას. კვლავ შეესწრო წინასწარმეტყველთა ელეტას, კვლავ ესმოდა ღმერთისა ხმა, უდაბნოში წასასვლელად რომ მოუწოდებდა. კვლავ მოიხილა იმ ქალის თვალები, სარეპტას კარიბჭესთან რომ ელოდა (ხალხი ქალაქს „აქბარს“ ეძახდა), და მიხვდა, რომ მაშინვე შეუყვარდა. კიდევ ერთხელ ავიდა მეხუთე მთასა ზედა, მკვდრეთით აღადგინა ბავშვი და ხალხმაც მსაჯულად და ბრძენკაცად აღიარა. თავაწეული თვალს არ აშორებდა ცას, სადაც ერთი თანავარსკვლავედი იჩქითად ცვლიდა მეორეს, და უკვირდა, როგორ წამერთ გაიარა მთვარემ ოთხივე ფაზა, სიცივეც იგრძნო და პაპანებაც, შემოდგომაც დადგა და გაზაფხულიც, ხან წვიმაში მოხვდა, ხანაც ელვა-ჭექაში. მაჯლაჯუნა ღრუბლები წამისწამ იცვლიდნენ სახეს. მდინარეები ისევ და ისევ თავიანთ ძველ კალაპოტს მისდევდნენ. მერმე ის დღეც ამოტივტივდა, როცა პირველი

ასირიული კარვები შეამჩნია. მოიხილა ანგელოზები, ცეცხლოვანი მახვილი ისრაელისკენ მიმავალ გზაზე, ფირფიტებზე გამოყვანილი ასოები, გადაიტანა უძილობა, და...

... კვლავ აწმყოში აღმოჩნდა, ფიქრობდა, ქვეყვით რა ხდებაო. რადაც არ უნდა დაუჯდეს, ქვრივი და ბიჭი უნდა გადაარჩინოს.

— ხანძარია! — დაუყვირა მან ასირიელ მეომარს. სასლი იწვის!

შიშს არა გრძნობდა, მხოლოდ ქვრივისა და ბიჭის დარდი აწუხებდა... ვიღაცამ ხელი ჰკრა, ის დაეცა და პირში მიწის გემო დაუდგა. ძალიან მიყვარხარო, უთხრა მიწას და ემთხვია. და კიდევ ისიც უთხრა, რომ ყველა ღონე იღონა, რათა ომი არ დაწყებულიყო. მერმე თავის წამოწევა სცადა, მაგრამ ვიღაცამ კისერზე მაგრად დააჭირა ფეხი.

„ის ალბათ გაიქცა, — გაიფიქრა მან ქვრივზე, — არა მგონია, დაეჭირათ უმწეო ქალი".

უნაპირო სიმშვიდე დაუფლებოდა ილიას გულს. იქნებ უფალი მიხვდა, რომ ეს ის არ იყო, ვინც სჭირდებოდა, და სხვა წინასწარმეტყველი იპოვა, რათა ისრაელის ცოდვა გამოისყიდოს. და აი თავს უკვე სიკვდილი დაადგა, მტანჯველი სიკვდილი, როგორსაც ელოდა... ილია ბედს შეურიგდა და სასიკვდილო დარტყმას დაუწყო ლოდინი.

გამოხდა რამდენიმე წამი. კვლავინდებურად ისმოდა წივილ-კივილი, დაჭრილი ხელიდან სისხლი მოსჩქეფდა, ის სასიკვდილო დარტყმა კი იგვიანებდა.

— უთხარი მაგათ, მალე მომკლან! — დაიყვირა ილიამ, დარწმუნებულმა, ალბათ ერთ-ერთ ვინმე ასირიელს მაინც ესმის ჩემი ენაო.

არცვის ყურადღება არ მიუქცევია, რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. მერმე ისევ ფეხებით შესდგნენ, და ილიამ, თავისდა სავალალოდ, იგრძნო, რომ სიცოცხლის წყურვილი უბრუნდებოდა.

„ტყუილადღა ვებღაუჭები სიცოცხლეს, — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა: ამ ცეცხლწაკიდებული სახლიდან ვერც გავაღწევ".

და, ეჩვენებოდა, რომ ქვეყნიერება სამუდამოდ ჩაძირულიყო ქაოსში, გნიასსა და მტვრის კორიანტელში. იქნებ უფალმა იგივე ქნა, რაც ესაიასთვის მოახდინა, და ახლაც ყელისჭრა ბრძოლისა ჟამს გააჩერა დრო?

უეცრად ქალის კივილი შემოესმა. როგორც იყო, თავს აჯობა, ერთ-ერთ მეომარს სძლია და წამოდგა კიდეც, მაგრამ იმწამსვე ძირს დასცეს. ასირიელმა ფეხი შიგ თავში ჩასცხო, და მან გონება დაკარგა.

●

**რამდენიმე** წუთში ცნობას მოეგო. ასირიელთ სახლიდან გამოათრიეს და პირდაპირ შუა გზაზე დააგდეს.

ძლივს წამოსწია თავი. სახლებს მთელ იმ არემარეში ბრიალი გაჰქონდათ.

— იმ სახლში ერთი ალალმართალი და უმწეო ქალია! უშველეთ!

კაცი ვერ გაარჩევდა, ვინ მირბოდა, ვინ მორბოდა, ვინ ვის უყვიროდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ წააქცია.

„უფალო, შენ რასაც ინებებ, მე ის მიყავი, რამეთუ მე შენთვის მომიძღვნია ჩემი სიცოცხლეცა და სიკვდილიც, — ილოცვიდა ილია, — ოღონდაც ის იხსენი, ვინც მე შემიფარა!“

ვილაცამ ამ დროს ხელში ხელი წაავლო და წამოაყენა.

— შედი, ნახე, — უთხრა ასირიელმა წინამძღოლმა თანაც ილიასავე ენაზე, — შენ ეს დამსახურებული გაქვს.

ორმა ჯარისკაცმა ხელი სტაცა და კარს მიაწყვიტა. სახლი გიზგიზებდა, იქაურობა განათებული იყო. ყოველი მხრიდან წივილ-კივილი ისმოდა: ბავშვი ტიროდა, მოხუცნი შველას ითხოვდნენ, სასოწარკვეთილი ქალები შვილებს უხმობდნენ. მაგრამ ილიას მარტო იმ ქალის ხმა ესმოდა, რომელმაც შეიფარა დევნილი...

— რას სჩადიხართ? იქ ქალი და ბავშვია!

— მაგას აქბარის ნაცვლის დამალვა უნდოდა.

— მე აქბარის ნაცვალი არა ვარ! გეშლებათ.

ასირიელმა ზედ კარებზე მიაგდო ილია. ცეცხლწაკიდებული სახლის სახურავი ჩამოიქცა და შიგ დაიტანა ქვრივი. ილია მხოლოდ მთრთოლვარე ხელსღა ხედავდა ქალისას, რომელიც, ცოცხლად ნუ დამწვავთო, იხვეწებოდა.

— მე რატომ დამინდეთ და ეგ არა? — ვედრებაგარეული ხმით შეეკითხა ილია.

— ნუ ჩქარობ, არც შენ დაგინდობთ. ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება დიდხანს იტანჯო. ჩვენი მთავარი წინამძღოლი სამარცხვინოდ ჩააქვავეთ ქალაქის გალავანთან. ის სამშვიდობოდ მოვიდა, თქვენ კი სიკვდილით დასაჯეთ. აწ იგივე მოგელის შენც.

ილია შეუპოვრობდა, იქნებ როგორმე დავუსხლტე ხელიდანო, მაგრამ ჯარისკაცებმა მაინც წაიყვანეს. აქბარი საკირეს ჰგავდა, სულ ერთიანად გიზგიზებდა და ვარვარებდა. მეომრები ოფლად იღვრებოდნენ. ზოგიერთს ეტყობოდა, რომ შეძრწუნებულიც იყო, ეს რა ხდებაო. ილია არ ეპუებოდა ჯარისკაცებს, რაც შეეძლო, უძალიანდებოდა და ცას შეჰღაღადებდა, მაგრამ ასირიელებიცა და უფალიც დუმდნენ.

როგორც იყო, მოედანს მიაღწიეს. გარშემო მხოლოდ ცეცხლი ჩანდა, რომლის ტკაცატკუციც გოდებასა და ქვითინში ირეოდა.

„კიდევ კარგი, რომ ქვეყნად სიკვდილია“.

ვინ იცის, რამდენჯერ უფიქრია ამაზე თავლაში გატარებული იმ ღლის შემდეგ!

მიწაზე აქბარელი მეომრების გვამები ეყარა, რომელთაც თითქმის არცვის ბექთარი არ უჩანდა, ილიამ დაინახა, როგორ უაზროდ და უთავბოლოდ დარბოდა ხალხი. სად გარბოდნენ და რას ეძებდნენ, თვითონაც არ უწყოდნენ. აშკარა იყო, რომ სიკვდილის შიში დაარბენინებდათ.

„რას სჩადიან? — ფიქრობდა ილია. — ნუთუ ვერ მიმხვდარან, რომ ქალაქი მტრის ხელშია და გასაქცევი გზა მოჭრილია?“ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ასირიელებმა ისარგებლეს უზარმაზარი რიცხობრივი უპირატესობით და სამხედრო ძალა გადაირჩინეს. აქბარის დამცველნი თითქმის უბრძოლველად ნადგურყვეს.

ისინი შუა მოედანზე შედგნენ. ილია მუხლებზე დააყენეს და ხელები შეუკრეს. აქ უკვე აღარ ესმოდა ქვრივის კივილი. იქნებ უცებაც

დალია სული და ცოცხლად დაწვის ნელ წამებასაც გადაურჩა. ის ახლა უკვე ღმერთს ეკუთვნოდა და ბავშვი მკერდზე ჰყავდა მირქმული.

ასირიელი მეომრები ვიღაც ტყვეს მიათრევდნენ, ცემისგან საშინლად სახედამახინჯებულს. მაგრამ ილიამ მაინც იცნო მხედართუფროსი.

— დიდება აქბარს! — ყვიროდა იგი. — დიდება ფინიკიას და იმის მეომრებს, რომლებიც დღისით, მზისით ებრძვიან მტერს! სიკვდილი ლაჩრებს, რომელთაც ღამის სიბნელეში ურჩევნიათ თავდასხმა!

როგორც კი მან ბოლო სიტყვა გაასრულა, ასირიელი მეომრის ხმალმაც იელვა და მხედართუფროსის თავი მიწაზე გაგორდა.

„აწ ჩემი ჯერია, — ჩაილაპარაკა ილიამ. — ჩვენ ისევ შევხვდებით უკვე სამოთხეში და ხელჩაკიდებულნი ვივლით“.

●

ამ დროს ასირიელებთან ვიღაც კაცი მივიდა და ლაპარაკი გაუბა. ეს აქბარის მცხოვრები იყო, რომელიც არცთუ იშვიათად ესწრებოდა ხოლმე მოედანზე გამართულ შეკრებილობებს. ილიას ახსოვდა, რომ ოდესღაც მეზობლებთან ფრიად მნიშვნელოვანი ჩხუბის ამბავი გადაუწყვიტა.

ასირიელები დავობდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ილიასკენ იშვერდნენ ხელებს. ის კაცი მუხლებზე დაეცა, ერთ-ერთ ასირიელს ფეხები დაუკოცნა, ხელები მეხუთე მთისკენ გაიწოდა და ბავშვივით აზლუქუნდა. ასირიელთა მრისხანება ცოტა ჩაცხრა.

ლაპარაკის დამთავრებას პირი არ უჩანდა. ის კაცი კვლავაც ზლუქუნებდა და ივედრებოდა, თანაც ხან ილიაზე უთითებდა, ხანაც იმ სახლზე, სადაც ნაცვალი ცხოვრობდა. მეომრებს ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს უსიამოდ გაეკვირვებინა ბავშვივით მოზლუქუნე კაცის ნათქვამს.

ბოლოს ილიასთან წინამძღოლი მივიდა, რომელიც ფინიკიურად მეტყველებდა.

— ეს ჩვენი მსტოვარი გვარწმუნებს, — თქვა მან და ხელი იმ კაცისკენ გაიშვირა, — რომ ჩვენ შევცდით. ქალაქის გეგმა ამან მოგვცა, დაეჯერება. შენ ის არა ყოფილხარ, ვისი მოკვლაც გვინდოდა.

მან წიხლი ჩააზილა ილიას და წააქცია.

— შენ რა, ისრაელში გინდა წასვლა, რათა სიდონელი მეფისა ასული დაამხო, რომელმაც ტახტი წარგტაცათ? მართალია?

ილიას ხმა არ ამოუღია.

— მითხარი, მართალია თუ არა, — ჩააცივდა წინამძღოლი, — თუ მეტყვი, გაგიშვებ და იქნებ ის ქალი თავის ბიჭიანად გადაარჩინო.

— მართალია, — მიუგო ილიამ. შესაძლოა, უფალმა უსმინა და ეგება ქვრივისა და ბიჭის გადარჩენაშიც ხელი აღუპყროს.

— სულაც ტყვედ წაგიყვანდით, — განაგრძობდა ასირიელი, — მაგრამ წინ კიდევ ბევრი ბრძოლა მოგველის, და ზედმეტ ბარგად დაგვაწვები ზურგზე. ანდა შენს გამოსასყიდს მოვითხოვდით, სახსარს, მაგრამ ვისგან მოვითხოვოთ? შენ შენს საკუთარ მიწა-წყალზეც კი უცხო ხარ.

წინამძღოლმა სახეზე ფეხი დაადგა ილიას.

— შენგან არცრა ხეირია. შენ არც მტერს უნდიხარ, არც მეგობარს. ამ ქალაქივითა ხარ: აქ ჩვენი ჯარის ერთი პატარა ნაწილის დატოვებაც არ ღირს, რათა ძალაუფლება შევინარჩუნოთ. მთელ სანაპირის რომ დავიპყრობთ, აქბარი, ასე იქნება თუ ისე, ჩვენს ხელთ აღმოჩნდება.

— ერთი რამ უნდა გკითხო, — უთხრა ილიამ, — მხოლოდ ერთი რამ.

ასირიელმა უნდობლად დახედა.

— ღამით რატომ დაესხით აქბარს? განა არ იცით, რომ ყველა ომი დღის შუქზე ხდება?

— ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. ეგეთი წესი, ღამით ომის დაწყებას რომ კრძალავდეს, არცვის დაუდგენია, — უპასუხა მეთაურმა, — საკმარისი დრო გვქონდა, რომ თქვენი ქალაქი დაგვეკავლია. თქვენ კი თქვენს წეს-ჩვეულებებზე ფიქრობდით და დაგავიწყდათ, რომ ყველაფერი იცვლება.

ასირიელებს სიტყვა აღარ დაუძრავთ, ისე გაეცალნენ იქაურობას. მსტოვარი იმწუთს მივარდა ილიას და ხელები შეუხსნა.

— აკი შეგპირდი, ოდესმე სიკეთითვე რომ გადაგიხდიდი შენი სიკეთისთვის, და გადაგიხადე კიდეც. ასირიელები სასახლეში რომ შევიდნენ, ერთმა მოწმემ უთხრა, თქვენ ვისაც ეძებთ, ქვრივის სახლში იმალებაო. სანამ ესენი თქვენს სახლამდე მოვიდოდნენ, ნაცვალმა გაქცევა მოასწრო.

ამას ილიასთვის ახლა უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. გარშემო ყველგან ცეცხლის ტკაცატკუცი ისმოდა, რომელსაც ყოველი მხრიდან განწირულთა წივილ-კივილი ერწყმოდა.

მთელ ამ ქაოსში მაინც გამოირჩეოდნენ ადამიანები, რომელთაც წესრიგის დასაცავად გამოედოთ თავი. თავიანთი წინამძღოლის ბრძანების მორჩილნი ასირიელნი გაჩქარებულნი გადიოდ ~ ქალაქიდან.

ბრძოლა აქბარში გასრულდა.

●

**„ნამდვილად** დაიღუპა, — თავის თავს ელაპარაკებოდა ილია, — რილასთვის უნდა მივიდე, ცოცხალი მაინც აღარ იქნება. თუ სასწაული მოხდა და გადარჩა, აუცილებლად ვიპოვით ერთმანეთს“.

მაგრამ გული ეუბნებოდა, ადექი და წადი იმ სახლში, სადაც ისინი არიანო. ილია თავს ებრძოდა. ის ამ დროს მარტო ქალის მიმართ თავის სიყვარულზე კი არ ფიქრობდა, არამედ საერთოდ ცხოვრებაზე, ღვთის განგებულებაზე, მშობლიური ქალაქიდან მლტოლვარებაზე, თავის დანიშნულებაზე და კიდევ იმაზე, შეიძლება თუ არა ამ დანიშნულების აღსრულება...

მერმე გარშემო მიმოიხედა, სადმე მახვილი ხომ არა გდია რაო, რათა სული და ხორცი ერთმანეთისგან გაეყარა, მაგრამ ასირიელთ თავიანთი იარაღი სრულად წარეტანათ აქბარიდან, ახლა იქვე ცეცხლ-

წაკიდებულ სახლში შევარდნა დააპირა, ბარემ დავიწვა და დავიბუგოო, მაგრამ სალმობის შიშმა შეაჩერა.

რამდენიმე ხანს გაუნძრევლად იწვა და, რა ხდებაო იქნებ თანდათან გაეერკვეო, თავს ძალას ატანდა. ქვრივს თავის ბიჭთან ერთად ალბათ უკვე გალმა სოფელში გაებიჯებინა, სხვა რა უნდა ქნას, როგორც წესი და რიგია, ისე დამარხავს. ერთადერთ დასაყრდენ ლიბოდ უფლის გულისთვის ღვაწლის დადებაღა რჩებოდა. თავის საღვთო ვალს უცილოდ ალასრულებს და მხოლოდ ეჭვსა და ტკივილს დაიტოვებს თავისად.

მაგრამ გულს ჯერ კიდევ უთბობდა იმის იმედი, იქნებ ცოცხლები არიანო. უმოქმედობა არ ეგებოდა.

„რალად მინდა იმათი დამწვარი და დაგონჯებული სახეების ხილვა? იმათი სულები უკვე ზეცაში არიან“.

●

**ილია** სახლისკენ წავიდა, გზაზე ბოლი იდგა და სულს უხუთავდა, თანდათან ხვდებოდა, რაც ხდებოდა ქალაქში. თუმცა ასირიელნი აქბარში ალარ იყვნენ, ელდა სულ უფრო და უფრო იპყრობდა ადამიანებს. ისინი კვლავინდებურად უმიზნოდ დაბორიალობდნენ ქალაქში, ტიროდნენ და ღმერთებს უხმობდნენ.

მიმოიხედა, იქნებ ვინმე მომეშველოს მიხვაიშნოსო. ახლომახლო მხოლოდ ერთი მავანი კაცი ჩანდა. ისიც ისე იყო რეტდასხმული და გაშეთებული, არცრის გაგება არ შეეძლო.

„პირდაპირ უნდა ვიარო, ვინმესგან ხელის აპყრობის იმედი ტყუილადა მაქვს“. აქბარს თავისი მშობლიური ქალაქივით იცნობდა, და გზა მალე იპოვა, თუმცა ძველ ადგილებს ველარა ცნობდა. გარშემო ჯერ კიდევ ისმოდა წივილი და კივილი, მაგრამ გადატანილი უბედურების შემდეგ ხალხი ნელ-ნელა გონს მოდიოდა და ხვდებოდა, რომ რაღაცის ქმნა იყო საჭირო.

— აქ დაჭრილია! — ამბობდა ერთი.

— წყალი გვინდა კიდევ! ისე ამ ცეცხლთან ვერას გავხდებით! — ყვიროდა მეორე.

ილია, როგორც იყო, მიადგა იმ სახლს, სადაც თვეების წინათ მოყვასივით მიიღეს. შუა შუკაში, თითქმის სახლის გვერდით, დედაბერი ვინმე იჯდა. მთლად ტიტველი იყო. ილიამ, მივეშველებიო, დააპირა, მაგრამ დედაბერმა ხელი ჰკრა.

— კვდება ის უბედური! — დაიხავლა დედაბერმა, — მიდი, მიეშველე, გამოათრიე კედლის ქვეშიდან.

მერმე გიჟური კივილი ატეხა. ილიამ ხელი სტაცა და გვერდზე მიაგდო, იმის კივილში ქვრივის ხმა ალარც ესმოდა. სახლი ისე იყო მინგრეულ-მონგრეული, ილიამ ველარც გაიხსენა, ბოლოს სად ნახა ქვრივი. ცეცხლი მინელებულიყო, მაგრამ აუტანელი სიცხე იდგა. მან ძლივს გაიარა ჩახერგილი კარაპანი და იქით წავიდა, სადაც ადრე ქალის ოთახი იყო.

გარედან შემოსულ ხმაურში მაინც გაარჩია ქალის ხმა... ეცნო, იმისი ხმა იყო.

ილიამ თავისდა უნებურად ტანსაცმლიდან მტვერი ისე ჩამოიბერტყა, თითქოს უნდოდა, კოხტად გამოჩენილიყო. გაჩქარდა და ყური მიუგდო. მეზობელი სახლებიდან ცეცხლის ტკაცატკუცი და ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების კვნესა ისმოდა. ერთი დაყვირება კინაღამ დაუყვირა, გაჩუმდითო, ჩემი ქვრივი და ბიჭი მაპატიეთ, კარგა დრო გავიდა, სანამ ისევ ჩქამს რასმე გაიგონებდა. ... ფეხის ფეხურის ჭრაჭუნი მოესმა, იქვე ფეხებქვეშიდან.

ილია მუხლებზე დაეცა და გიჟივით დაიწყო ფხოჭნა, ხელს ხან მიწა მოსდევდა, ხანაც ქვები და ხის ნაფოტები და ბოლოს, რაღაც თბილს შეეხო. ეს სისხლი იყო.

— სიკვდილი არც იფიქრო, — მუდარაგარეული ხმით უთხრა ილიამ.

— მე გამანებე თავი, მეყაროს, რაც მაყრია, — გაიგონა ქალის ხმა, — არ მინდა, სახე დამინახო. წადი, ჩემს ბიჭს უშველე რამე.

მან კვლავ განაგრძო ჩიჩქნა, და ხმამ გაიმეორა:

— იქნებ სადმე იპოვო ჩემი შვილის გვამი. შემისრულე, რასაცა გთხოვ.

ილიამ თავი ჩაქინდრა და აზლუქუნდა.

— სად ვიპოვო, არც ვიცი, სად არის ჩამარხული, — ჩასძახა მან, — ნუ წახვალ, გემუდარები. დარჩი ჩემთან, არ მიმატოვო. შენ სიყვარული უნდა მასწავლო. ჩემი გული უკვე მზად არის სიყვარულისთვის.

— სანამ შენ გამოჩნდებოდი აქბარში, მე დიდხანს ვეძახე სიკვდილს. ჩანს, მისმინა და მომაკითხა.

ქალი აკვნესდა, ილიამ კბილს კბილი დააჭირა, ვილაც შეეხო მხარზე.

შეშინებული შემოტრიალდა და ხელთ ბიჭი შერჩა.

— დედაჩემი სად არის? — იკითხა მან.

— აქა ვარ, შვილო, — მოისმა ხმა ნანგრევებიდან, — დაჭრილი ხარ?

ბიჭი ატირდა, და ილიამ გულში ჩაიკრა იგი.

— არ იტირო, შვილო, — თქვა მისუსტებულმა ხმამ, — ტირილი არ გინდა. დედაშენმა ძლივს გაიგო, რომ სიცოცხლეს აზრი ჰქონია. მგონი, ეს შენც გასწავლე. რა ღლეშია შენი ქალაქი, სადაც დაიბადე?

ილია და ბიჭი ერთმანეთს მიეხუტნენ და გაჩუმდნენ.

— ყველაფერი კარგად არის, — იცრუა ილიამ.

— ბევრი მეომარი კი დავკარგეთ, მაგრამ ასირიელნი ქალაქიდან წავიდნენ. ისინი ნაცვალს ეძებდნენ, რათა შური ეგოთ ერთ-ერთ თავიანთი წინამძღოლის სიკვდილისთვის.

კვლავ მდუმარება ჩამოვარდა. კვლავ გაისმა თანდათან სულ უფრო მისუსტებული ხმა:

— მითხარი, შენი ქალაქი არ დაღუპულა-თქო.

ილიამ იგრძნო, ქალი კვდებოდა.

— არც ქალაქი დანგრეულა და შენი შვილიც საღსალამათია.

— შენ?

— მეც გადავრჩი.

ილიამ იცოდა, რომ ეს სიტყვები სულს დაუმშვიდებდა ქალს და შვებას აგრძნობინებდა.

— უთხარი ჩემს ბიჭს, მუხლებზე დადგეს, — ამოიხვნეშა ცოტა ხნის შემდეგ ქვრივმა, — და კიდევ ის მინდა, რომ შენი უფალი ღმერთის სახელით შემომფიცო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორც გინდა. რასაც ისურვებ.

— ერთხელ შენ მითხარი, უფალი ყველგან მყოფიაო, და დაგიჯერე. მერმე ისიც მითხარი, სულები მეხუთე მთის თხემსა ზედა არ მაღლდებიანო, და კვლავ დაგიჯერე. მაგრამ ის აღარ გითქვამს, სხვაგან სად მაღლდებიან.

ახლა ფიცისას გეტყვით. მე არ მიტირებთ, მხოლოდ ერთმანეთზე იზრუნებთ მანამ, სანამ უფალი თითოეულ თქვენგანს თქვენ-თქვენ გზაზე სიარულის უფლებას მოგცემდეთ. ამიერიდან ჩემი სული შეერწყმის იმ ყოველივეს, რაც რამ ამქვეყნად მიცვნია. მე ტაშირიცა ვარ და ის მთებიც, გარშემო რომ აღმართულან, მე ქალაქიცა ვარ და ამ ქალაქის შუკა-შუკა მოარული ადამიანებიც. მე ის დაჭრილნიცა ვარ და ის ღარიბ-ღატაკნიც, მეომარნიც, ქურუმნიც, ვაჭარნიც და დიდკაცნიც. მე ის მიწა-წყალიცა ვარ, რომელზედაც შენ დააბიჯებ, და ის ჭის წყალიცა ვარ, წყურვილს რომ უკლავს წყურვეულთ.

ნუ მიტირებთ, რამეთუ სანაღვლელისა მიზეზს ვერა ვხედავ. ამიერიდან მე აქბარი ვარ, და ჩემი ქალაქი ულამაზესია.

სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა, ქარიც კი ჩადგა. ილიას აღარც წივილ-კივილი ესმოდა და აღარც ცეცხლის ტკაცატკუცი მეზობელი სახლებიდან. ილიას ოდენ მდუმარების ხმა ესმოდა და იმზომ შესაჩმნეველი იყო ეს მდუმარება, რომ ხელის შეხებაც კი შეეძლო.

ილია გვერდზე მიდგა, ტანთ სამოსელი შემოიხია, ზეცისკენ ხელები აღაპყრო და მთელი ხმით ღაღადყო:

— უფალო ღმერთო ჩემო! შენი გულისთვის დავუტევე ისრაელი, მაგრამ ისრაელელი წინასწარმეტყველებივით სისხლი ვერ დაველვარე. ჩემთა მეგობართ ლაჩარი მიწოდეს, ხოლო მტერთ — მოღალატე!

შენი გულისთვის ოდენ იმით ვირჩენდით თავს, რაც ყორანს ჩემთვის მოჰქონდა, განვვლე უდაბნო სარეპტამდე, რომელსაც აქბარს უხმობენ. შენგან რონინებული ქვრივს გადავეყარე, და გულმა ჩემმა შეიცნო სიყვარული. მაგრამ არცროდის დამვიწყნია ჩემი ჭეშმარიტი დანიშნულება. აქ ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველდღე მზად ვიყავი ისრაელში დასაბრუნებლად.

დღეს მშვენიერი ქალაქის ადგილას ნანგრევებია. ამ ნანგრევების ქვეშ განისვენებს ქალი, რომელსაც სწამდა ჩემი. რა შევცოდე, უფალო? როდის ავცდი გზასა ჩემსა? უკეთუ გულნაკლული იყავი ჩემგან, რატომ არ წამიყვანე ამ ქვეყნიდან? ნაცვლად ამისა, შენ გამინაწყენე ისინი, ვინც მიოხებდა და ვისაც ვუყვარდი.

მე ვერ გამიგია შენი განგებულება. ვერ დამინახავს სამართლიანობა შენთა საქმეთა შინა. მე უძლური ვარ იმ ტანჯვისთვის, რისთვისაც შენ გაგიწირივარ. განვედ ჩემი ცხოვრებიდან, რამეთუ მე თავად ვარ ნანგრევიც, ცეცხლიც და მტვერიც.

ცეცხლსა და ქაოსში ილიამ ნათელი მოიხილა. უფლისა ანგელოზი გამოეცხადა.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ილიამ, — გინდა ვერ ხედავ, რომ ძალზე გვიან არის?

— რისთვის და, უნდა გითხრა, რომ უფალმა ადრევ შეისმინა შენი ლოცვა. რასაც ითხოვ, მოგეცემა. შენ მეტად ვეღარ ეკამათებ შენი ანგელოზისა ხმას, მე კი მანამ აღარ გამოვჩნდები შენ წინაშე, სანამ შენი განსაცდელი არ გასრულდება.

ილიამ ხელი ჩასჭიდა ბიჭს, და წავიდნენ, მაგრამ არც გზა იცოდნენ იქით და არც კვალი, საითაც მიდიოდნენ. ქარმა ისევ ბოლით აავსო ქალაქი.

„ეს სიზმარსა ჰგავს, — გაიფიქრა მან, — საშინელ სიზმარს“.

— შენ ტყუილი უთხარი დედაჩემს, — უთხრა ბიჭმა, — მთელი ქალაქი დანგრეულია.

— მართალი ხარ, მოვატყუე. სამაგიეროდ სიკვდილის წინ ცოტა დამშვიდდა. კიდევ კარგი, რომ ვერ გაიგო, რა დღეშიც ქალაქია.

— იმან კი დაგიჯერა და, აქბარი ვარო, გითხრა.

ილიამ თიხისა და მინის ნატეხებს ფეხი დაადგა და გაიჭრა. ტკივილმა მოაგონა, რომ ეს სიზმარი კი არა, მაჯლაჯუნური სინამდვილე იყო. მალე მოედანზე გავიდნენ, სადაც სულ ახლახან ის ხალხს აგროვებდა ხოლმე და ათასგვარ დავიდარაბის გადაწყვეტაში შველოდა. ხანძრის ბურბური მეწამულისფრად ღებავდა ცას.

— არ მინდა, დედაჩემი იმასა ჰგავდეს, რასაც ვუყურებ, — შეუპოვრობდა ბიჭი, — შენ ტყუილი უთხარი.

ბიჭი დედის სახელზე გულში დაფიცებულს არ ღალატობდა. ილიამ ცრემლის ნასახიც ვერ შეამჩნია სახეზე. „რას ჩავდივარ?“ — გაიფიქრა ილიამ. ფეხიდან სისხლი სდიოდა, და ტკივილის გარდა არც რაზე ვიფიქრებო, გადაწყვიტა, ტკივილი სასოწარკვეთილებას დაავიწყებინებს.

ილიამ ასირიელის ნახმლევი ჭრილობა გაისინჯა. არც ისე ღრმა იყო, როგორ ეგონა. ბიჭთან ერთად იმ ადგილთან მივიდა, სადაც სულ ახლახან ხელებშეკრული მუხლებზე იდგა და მსტოვარმა იხსნა. შეამჩნია, ადამიანები აღარ ბორგავდნენ. თითქოს ცოცხალი გვამები არიანო, ისე დაბორიალობდნენ კვამლში, მტვერსა და ნანგრევებში. ღმერთისგან დავიწყებულ სულებსა ჰგავდნენ, დედამიწის ზურგზე მოწყივ სახეტიალოდ განწირულთ. სიცოცხლეს აზრი აღარა ჰქონდა.

მხოლოდ ზოგიერთსღა ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი, ილიას კვლავინდებურად მოესმოდა ქალების ძახილი და მეომართა გაუბედავი ბრძანებანი. თუმცაღა მეომარნი ცოტანიღა იყვნენ და აღარცვინ ემორჩილებოდა.

ქურუმმა ერთხელ როგორღაც თქვა, ეს ქვეყანა ღმერთების საზიარო სიზმარიაო. მერედა, იქნებ მართალიც არის? ქურუმს რა, ვითომ შეუძლია, ღმერთებს თავი გამოაღვიძებინოს ამ სულის შემხუთავი სიზმრისგან და უფრო წყნარი ძილით დააძინოს? როცა კი ილიას ღამით რამე ესიზმრებოდა, ყოველთვის ელვიძებოდა და მერმე ისევ ჩაეძი-

ნებოდა ხოლმე. ნეტავ რატომ იგივე არ მოსდით ამ სოფელ-ქვეყნის შემქმნელთაც?

ილია ხან ვის გვამს წამოჰკრავდა ფეხს და ხან ვისას. იმათგან უკვე აღარცვის აწუხებდა აღარცრა გამოსალები, აღარც ტაშირზე დაცემული ასირიელთა ბანაკი, აღარც რამე წეს-ჩვეულება და აღარც ცხოვრება მოხეტიალე წინასწარმეტყველისა, რომელსაც ოდესაც ღვთის სიტყვა ექადაგა იმათთვის...

„ჩემი აქ დიდხანს დარჩენა აღარ ეგების. მან ეს ბიჭი მემკვიდრეობად დამიტოვა და თუკი ამის მოვლა შევძელი, ესეც მეყოფა, სხვა რომც ვეღარაფერი მოვასწრო".

ილია ძლივს წამოდგა, ბიჭს ხელი ჩაავლო, და ორივენი კვლავ გზას გაუდგნენ. დაქცეულ ფარდულებსა და სახლებში მარბიელნი ტრიალებდნენ. ილიამ თავის სიცოცხლეში პირველად სცადა ჩარევა ამგვარ საქმეში, ახლავ შეწყვიტეთო თარეში, დაუტატანა.

მაგრამ მარბიელთ არად ჩააგდეს:

— ჩვენ რა, ის ნარჩენებიღა მიგვაქვს, რაც ნაცვალს გადარჩა. ხელს ნუ გვიშლი.

ილიას დავისა და ჯალადირის თავი აღარა ჰქონდა. ბიჭი ქალაქიდან გაიყვანა და ტაშირისკენ წავიდნენ. იქ აღარც ანგელოზებს მოიხილავენ და აღარც ცეცხლოვან მახვილთ.

„დღეს მთვარის მოვანებაა".

როცა ბოლიანი და მტვრიანი ქალაქი უკან მოიტოვეს, ილიამ დაინახა, როგორ ანათებდა ბადრი მთვარე მთელ იმ არემარეს. სულ რამდენიმე საათის წინ, ამ ქალაქიდან გაქცევა რომ დააპირა და იერუსალიმისკენ გაემართა, გზის გაგნება არც გასჭირვებია. იგივე მთვარე ხელს უმართავდა ასირიელთაც.

ბიჭმა ვილაცის სხეულს წამოჰკრა ფეხი და შეჰყვირა. ეს ქურუმი იყო. ხელებიცა და ფეხებიც მოჭრილი ჰქონდა, მაგრამ სული ჯერ კიდევ ედგა. თვალები მეხუთე მთის მწვერვალისთვის მიეშტერებინა.

— როგორც ხედავ, ფინიკიელმა ღმერთებმა ციურ ბრძოლაში გაიმარჯვეს, — ძლივს ლულლულებდა სიკვდილად მიწურული, და პირიდან სისხლი სდიოდა.

— თუ ნებას დამრთავ, დაგხსნი მაგ სატანჯველს, — უთხრა ილიამ.

— ვერა ტკივილი ვერ შეედრება იმ სიხარულს, რასაც განვიცდი, რახან ჩემი მოვალეობა აღვასრულე.

— შენს მოვალეობად რა, ის მიგაჩნდა, რომ მშვენიერი ქალაქი ნანგრევებად გექცია?

— ქალაქი არ დაიღუპება, დაიღუპებიან მხოლოდ ამ ქალაქის მცხოვრებნი თავიანთ აზრებიანად. ოდესმე აქბარში სულ სხვა ადამიანები მოვლენ, ისინი აქაური ჭების წყალს დალევენ, ახალი ქურუმები მამაპაპურად გაუფრთხილდებიან და ხელს არ მოაკლებენ ქალაქის მესაძირკვლისგან დადებულ ბალავრის ქვას. გამეცალე. ჩემი ტკივილი მალე გაივლის, შენი სასოწარკვეთილება კი სიცოცხლის ბოლომდე გაგყვება.

ქურუმი ძლივსღა სუნთქავდა, და ილია შეეშვა, გაანება თავი. მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერც მოასწრო, დუნდგო ხალხი შემოეხვია.

— სულ შენი ბრალია! — ყვიროდნენ ისინი, — შენ შენი ქვეყანაც შეარცხვინე და ჩვენს ქალაქსაც უბედურება დაატეხე.

— ღმერთები მაღლიდან იყურებიან! ღმერთებმა განსაჯონ, ვინ არის დამნაშავე.

კაცები ეჯაჯგურებოდნენ, მხრებში ჩაბღაუჭებოდნენ და აჯანჯყარებდნენ. ბიჭი ხელიდან დაუსხლტა და გაიქცა. ილიას ცემა-ტყეპა არად უჩანდა, თავს არც იცავდა, მარტოოდენ ბიჭი ადარდებდა, რომელსაც ამაოდ ეძახდა, გაჩერდი, ნუ გარბიხარო.

ცემით ცოტა ხანს სცემდნენ, ეტყობა, ძალადობისგან უკვე დაღლილნი იყვნენ. ილია წაიქცა.

— მოშორდი აქედან! — დაჰყვირა ვილაცამ, — ჩვენს სტუმარმასპინძლობას შენ სიძულვილი მიაგე!

დუნდგო წავიდა. ილია ისე იყო ძალაგამოცლილი, ვერც წამოდგა. როცა ცნობას მოვიდა, სულ სხვა ადამიანად იგრძნო თავი. აღარც სიკვდილი უნდოდა, აღარც სიცოცხლე, გულში არ დარჩენოდა არც სიყვარული, არც სიძულვილი, არც რწმენა.

●

**ვილაცა** სახეზე რომ შეეხო, მაშინ გამოეღვიძა. დაღამებულიყო, მაგრამ ცაზე მთვარე არა ჩანდა.

— დედაჩემს კი შევპირდი შენზე, მოვუვლი-მეთქი, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა, — უთხრა ბიჭმა.

— ქალაქში დაბრუნდი. კეთილი ხალხი ბევრია, ვინმე შეგიფარებს.

— დაჭრილი ხარ, უნდა მოგარჩინო. იქნებ ანგელოზიც გამოჩნდეს და მითხრას, რა უნდა ვქნა.

— შენ სრულებით არ გესმის, რა ხდება! — დაუყვირა ილიამ, — ანგელოზები აღარ მოვლენ, ჩვენ ჩვეულებრივი, შეურაცხი ადამიანები ვართ, ადამიანები კი უმწეონი არიან ტანჯვის წინაშე. ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები თავიანთი თავის იმედით უნდა იყვნენ.

მან ღრმად ამოისუნთქა და დამშვიდება სცადა. დავას აზრი არა ჰქონდა.

— აქ როგორღა გაჩნდი?

— არც წავსულვარ.

— ესე იგი, დამინახე, რა დღეშიც ჩამაგდეს. აწ უკვე იცი, რომ აქბარში არცრა მესაქმება.

— შენ აკი მითხარი, სუყველა ბრძოლა საჭიროაო, ისინიც კი, რომელთაც წავაგებთ ხოლმეო.

ილიას მოაგონდა, გუშინ დილით ჭაზე რომ მიდიოდნენ. თითქოს ერთი დღე კი არა, წლები გასულიყო. დააპირა, ვეტყვი, რომ სიტყვები არაფერს ნიშნავს, როცა უბედურება დაგიტანსო, მაგრამ გადაიფიქრა, გული არ ვატკინო ბიჭსაო.

— ხანძარს მაინც როგორ გადაურჩი?

ბიჭმა თავი ჩაქინდრა.

— არ მეძინა. შენ გიცდიდი, მოხვიდოდი თუ არა დედაჩემთან. ჩემი თვალით დავინახე, როგორ შემოვიდნენ პირველი მეომრები ქალაქში

ილია წამოდგა და წავიდა. მეხუთე მთის ძირას იმ ქვასთან მოუნდა მისვლა, საიდანაც ერთხელ საღამო ქამს ქვრივთან ერთად — ქცქეროდა ჩამავალ მზეს.

„იქ ჩემი მისვლა არ ივარგებს, — ფიქრობდა ილია, — გული უფრო დამიმძიმდება".

მაგრამ რაღაცა ეწეოდა იქით. მივიდა თუ არა მეხუთე მთის ძირას, გული ამოუჯდა, როგორაც ის ბალავრის ქვა სიმბოლო იყო ქალაქისა, ეს ქვაც იმ ადგილის სიმბოლოდ დაჰგულებოდა, რომელიც ესოდენ ბევრს ნიშნავდა ამ მხარეში გადმოხვეწილი კაცისთვის. როგორაც მომავალ ქალაქის მაცხოვრებელთათვის ის ბალავრის ქვა აღარ იქნება სიამაყის საგანი, ისე აღარც ამ ქვას შეეხება მოწიწებით მავანი და მავანი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, სიყვარულის აზრს შესაცნობად დაწაფებული.

მან ბიჭი გულში ჩაიკრა და მიიძინა.

## 13.

— **მშია** კიდეც და მწყურია კიდეც, — თქვა გამოღვიძებულმა ბიჭმა.

— წავიდეთ, მწყემსების ბინას მივადგეთ. აქვე სულ ახლოს დგანან. მწყემსებთან რა ხელი ჰქონდათ, ეგენი აქბარელნი არ არიან.

— აქბარი უნდა ავაღორძინოთ. დედაჩემმა აკი თქვა, მე აქბარი ვარო.

რაო? რომელი ქალაქი? აღარ იყო აღარც სასახლე, აღარც ბაზარი, აღარც კედელ-გალავანი. პატიოსანი ხალხი მარბიელად ქცეულიყო, ახალგაზრდა მეომარნი დახოცილიყვნენ. აღარც ანგელოზები დაბრუნდებოდნენ ოდესმე, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად აღელვებდა ილიას.

— შენ რა, ჰგონებ, რამე აზრი ჰქონდა ამ ნადგურს, ამ ტკივილსა და სიკვდილს? შენ რა, ჰგონებ რაკი ამდენი ხალხი ჩაიხოცა, ადამიანი რამეს ისწავლის?

ბიჭი გაოგნებული შესცქეროდა ილიას.

— დაივიწყე, რაც რამ გითხარი, — ენაზე იკბინა ილიამ, — წავედით მწყემსების საძებნელად.

— ქალაქი მაინც უნდა ავაღორძინოთ, — თავისაზე იდგა ბიჭი.

ილიას არაფერი უთქვამს. იცოდა, ადამიანები აღარ დაუჯერებდნენ უბედურების მომტანად შერაცხილს. ნაცვალი გაიქცა, მხედართუფროსი მოკლულია. ტვიროსი და სიდონი ვეღარ გაუძლებენ გარმიანელთა იერიშს და მალე დაეცემიან. ქვრივი უთუოდ მართალი იყო: ღმერთები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, და ამჯერად უფალიც წავიდა.

— აქბარში როდის დაებრუნდებით? — კვლავ ჰკითხა ბიჭმა.

ილიამ მხრებში ჩაავლო ბიჭს ხელები და შეაჯანჯღარა.

— გაიხედე უკან! შენ ხომ ბრმა ანგელოზი არა ხარ, შენ ის ბიჭი ხარ, ვინც დედის მოვლას აპირებდი. რასა ხედავ? ვერ ამჩნევ, მთელ ქალაქს ბოლი რომ ასდის? იცი ეგ რასა ნიშნავს?

— გამიშვი, მტკივა! უნდა წავიდე, აქ აღარ მინდა!

ილია შეჩერდა, საკუთარი თავისა შეეშინდა, [illegible] ადრე არცროდის მოსვლია, ბიჭი გაუსხლტა და ქალაქისკენ გაქანდა, ილია დაეწია და მუხლებზე დაუჩოქა.

ბიჭი ზლუქუნებდა, მაგრამ სახეზე ერთი კურცხალიც არ ჩამოვარდნია. ილია გვერდით მიუჯდა და დაელოდა, როდის დამშვიდდებოდა.

— ნუ წახვალ, შესთხოვა ილიამ, — დედაშენი რომ კვდებოდა, პირობა მივეცი, მანამ არ გაგანებებდი თავს, სანამ ცხოვრებაში შენს გზას არ გაპოვნინებდი.

— შენ ისიც უთხარი, ქალაქს არცრა დაშავებიაო, და იმან გითხრა...

— ნული იმეორებ. დაბნეული ვარ და ჩემი დანაშაულიც მეყოფა. დამაცადე, ცოტა გონს მოვალ. უნდა მაპატიო, მე შენთვის გულის ტკენა არ მინდოდა.

ბიჭი მოეხვია. მაგრამ ცრემლი არ ჩამოვარდნია.

ისინი ტაძრის შუაგულში მიადგნენ ბინას. კარებში ქალი იდგა. იქვე გვერდით ორი პატარა ბავშვი თამაშობდა. ცხვარი ბაკში შეერეკათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მწყემსი იმ დილით მთაში არ იყო წასული.

ქალი შეშინებული გასცქეროდა ბინისკენ მიმავალ კაცსა და ბიჭს. თავის ნება რომ ყოფილიყო, სულაც გაპყრიდა იქიდან, მაგრამ ზნეჩვეულება და ღმერთები მოითხოვდნენ, სტუმარ-მასპინძლობის წესი დაეცვა. უკეთუ უცხოს არ შეიფარებდა და არ დააპურებდა, მერმე ოდესმე იგივე ამბავი იმის შვილებს გადახდებოდათ.

— ფული არ მომეპოვება, — უთხრა ქალმა, — მაგრამ გაჭმევთ და წყალსაც დაგალევინებთ.

ისინი ჩალით დახურულ კარაპანში დასხდნენ. ქალმა ლეღვის ჩირი და წყლით სავსე დოქი მოიტანა. სტუმრებმა ჩირი ხელად გააქრეს, წყალიც მიაყოლეს და კვლავ იგრძნეს ჩვეულებრივი ცხოვრების სიხარული. უცხო ხალხის დანახვით შეშინებული ბავშვები ბინაში დამალულიყვნენ.

ტრაპეზს რომ მორჩნენ, ილიამ იკითხა, მასპინძელი სად არისო.

— მალე მოვა, — მიუგო ქალმა, — ქალაქის მხრიდან რაღაც საშინელი გნიასი ისმოდა, დღეს დილას კი ვილაც მოვიდა და გვითხრა, აქბარი დაქცეულაო. ჩემი ქმარი გასაგებად წავიდა, შევიტყობ, რა ამბავიაო.

ამ დროს ბავშვებმა დაუძახეს, და ქალი შინ შევიდა.

„რამდენიც არ უნდა ვეცადო", ბიჭის დარწმუნება უაზრობაა, — გაიფიქრა ილიამ, — ეგ მანამ არ მომასვენებს, სანამ იმას არ ვიზამ, რასაც ჩემგან ითხოვს. უნდა როგორმე ავუხსნა, უნდა გავაგებინო, რომ ეს შეუძლებელია, მაშინ თვითონაც დაიჯერებს და დარწმუნდება".

ლელვის ჩირმა და წყალმა სასწაული მოახდინა. მან კვლავ ამ სოფელ-ქვეყნის ნაწილად იგრძნო თავი.

ილიას ათასგვარი რამ აზრი უტრიალებდა ელვისებურად, ოღონდ ეს უფრო გადაწყვეტილებათა ძიება იყო, ვიდრე ერთბაშად წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემისა ძებნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

**დიდხანს** არც გაუვლია, მწყემსიც გამოჩნდა. ცოტა არ იყოს, შიშის თვალი შეავლო კაცსა და ბიჭს ოჯახის ამბავი ადარდებდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ტყუილად შეეშინდა.

— თქვენ ალბათ აქბარს გამოერიდეთ, — უთხრა მწყემსმა, — სწორედ იქიდან მოვდივარ.

— რა ხდება? — ჰკითხა ბიჭმა.

— ქალაქი დაქცეულია. ნაცვალი გაქცეულია. ღმერთებს სოფელ-ქვეყნის წესი და რიგი დაურღვევიათ.

— რაც რამ გვებადა, ყველაფერი დავკარგეთ, — უთხრა ილიამ — კარგს იზამ, თუ შეგვიფარებ.

— ჩემს ცოლს, მგონი, უკვე შეუფარებიხართ და დაუპურებიხართ კიდეც. აწლა უნდა წახვიდეთ და შეურიგდეთ გარდაუვალს.

— ბიჭს რა ვუყო, არ ვიცი. დახმარება მჭირდება.

— იცი, როგორ არ იცი, ჭკვიანი ყმაწვილი ჩანს, არც სუსტია. გეტყობა, ნავალი კაცი ხარ, ხელს წააშველებ და მაგასაც დაზმნი, კაცად აქცევ.

მწყემსმა ილიას ჭრილობა გაუსინჯა მკლავზე, საშიში არ არისო, თქვა და შინ შევიდა. მალე რაღაც ბალახბულახი და პატარა ქსოვილის ნაჭერი გამოიტანა. ჭრილობას რომ ახვევდა, ბიჭმა წახმარება სცადა. როცა მწყემსმა უთხრა, დახმარება არ მინდა, მე თვითონ შევუხვევო, ბიჭმა უპასუხა, ამ კაცზე ზრუნვას დედაჩემსა ვარ დაპირებულიო.

მწყემსს გაეცინა.

— შენი შვილი სიტყვის კაცი ყოფილა.

— მე ამის შვილი არა ვარ, ოღონდ ესეც სიტყვის კაცია. ეს ქალაქის აღორძინებას აპირებს, მერმე კი დედაჩემსაც გააცოცხლებს, როგორც მე გამაცოცხლა.

ილია უცებ მიხვდა, აგრერიგად რატომ განიცდიდა ბიჭი ქალაქის აღორძინების ამბავს, მაგრამ, სანამ რამის თქმას მოასწრებდა, მწყემსმა ცოლს დაუძახა.

— ცხოვრების აღორძინება აჯობებს, — თქვა მწყემსმა, — დიდი დრო დასჭირდება, სანამ წყალი ნაწყლევში ჩავარდებოდეს.

— ეგრე არცროდის იქნება.

— შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, მაგრამ ბრძენსა ჰგავხარ და რაც ჩემთვის მიუწვდომელია, ისიც გაგეგება. თუმცა მეც ბევრი რამ მისწავლია ბუნებისგან და ბუნებამვე მასწავლა, რომ კაცის საქმე ამინდსა და წელიწადის დროზე ჰკიდია. სხვანაირად მწყემსი კაცი გარდაუვალს ვერც გადაიტანდა. ფარას მოვლა უნდა, თითოეულ ცხვარსა უნდა სდიო,

ჯერ მარტო დოლის დაძვრა თქვი, ბატკანი ყველა ბლავის, ძუძუც ყველასა შია. ნურც კიდევ ფარის დარწყულებას ეხუმრები. მაგრამ ფათერაკი მაინც ფათერაკია. რაც არ უნდა იღონო, ბატკანი თუ გადაარჩინე, ცხვარი მაინც დაგელუპება. იქ გველი გამოვარდება და უკბენს, იქ ნადირი გაჰკრავს კბილსა, ანდა სულაც კლდეზე გადმოხტება, მიზეზს რა გამოლევს. რას იზამ, გარდაუვალს ვერსად გაექცევი.

ილიამ აქბარის მხარეს გაიხედა და ანგელოზთან უბნობა მოაგონდა. გარდაუვალს მართლაც ვერ წაუხვალ.

— გარდაუვალს რომ გაუძლო და გადაიტანო, მოთმინება გინდა, თადარიგი უნდა იცოდე, — თქვა მწყემსმა.

— და კიდევ იმედი გინდა, გინცი. როცა სასო წარკვეთილი გაქვს, გარდაუვალს ტყუილად შეეჭიდები.

— საქმე მომავლის იმედი კი არ არის, საქმე შენი წარსულის შეცვლაა.

მწყემსი აღარ აჩქარებდა თავის სტუმრებს. სიბრალულის გრძნობას შეეპყრო ამ ადამიანების მიმართ და, ხელსაც თუ გაუმართავდა, მადლს მიაგებდა ღმერთებს, რომელთაც ომის უბედურებას გადაურჩინეს ოჯახი. თანაც კიდევ გაგონილი ჰქონდა, მავანი და მავანი ისრაელელი წინასწარმეტყველი მეხუთე მთასა ზედა ავიდაო და ციურმა ცეცხლმა არ განგმირაო. გული უთქვამდა, ნამდვილად ეს კაცია ის წინასწარმეტყველიო.

— თუ ისურვებთ, კიდევ ერთი დღე შეგიძლიათ ჩემთან დარჩენა.

— მე მთლად კარგად ვერ გავიგე, რის თქმა გინდოდა წელან, — უთხრა ილიამ, — არ მესმის, როგორ უნდა შეცვალოს ადამიანმა თავისი წარსული.

— რაც თავი მახსოვს, ჩემი სახლის წინ სულ ხალხი დადის. ბევრმა, უკეთეს ცხოვრებას ვეწევითო, ტვიროსსა და სიდონს მიაშურა. ჩიოდნენ, აქბარში ვერას გავხდითო.

დროთა განმავლობაში ის ხალხი ისევ უკან ბრუნდებოდა, რადგან ვერ ეპოვათ, რასაც ეძებდნენ. უბედურება ის არის, რომ თავის ბარგიბარხანასთან ერთად იმ ხალხს აქბარიდან თავისი წარუმართებლობისა და ხელმოცარულობის ბარგიც მიჰქონდა. ცოტა ვინმე თუ ახერხებდა სამუშაოს შოვნას და თავისი ცოლ-შვილისთვის უკეთესი ცხოვრების მონაგრებას. ადრე აქბარში ცხოვრებას ისინი მორიდებულნი და გაუბედავნი გაეხადა.

მაგრამ იყვნენ სხვანაირნიც, ისინი ტვიროსსა და სიდონში იმედგაღვიძებულნი, იმედსავსენი მიდიოდნენ. ჯერ კიდევ აქბარში აზრიანად ცხოვრობდნენ. რახან უკეთესი ცხოვრების საძებნელად წასვლაზე ოცნებობდნენ, იდგნენ და, როგორც იტყვიან, თავქებაზედ შრომობდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ თავიანთი ოცნების ასახდენად. ამნაირთ ცხოვრებაში არც სიხარული აკლიათ, არც გამარჯვება, და აგრე იქნებიან მუდამჟამს.

და როცა ისინი ისევ აქბარში ბრუნდებოდნენ, ბევრს რასმე ისეთს ყვებოდნენ, ხალხს პირი ღია რჩებოდა. რაც მისაღწევი იყო, ისინი იმიტომ აღწევდნენ, რაკიღა წარსულის წარუმართებლობა ხელს არ უშლიდათ.

**მწყემსის** სიტყვები გულს უწიწკნიდნენ ილიას.

„ცხოვრების შეცვლა ძნელი არ არის, როგორც აქბარის ხანგრ ... ვებიდან აღდგენა, — განაგრძობდა მწყემსი. — ოღონდ კაცმა ისევე თავ-ვქებაზედ უნდა იშრომოს, როგორც ადრე ირჯებოდა, ... თ. ... ვისი ეამთკეთილობისთვის უნდა გამოიყენოს“.

მწყემსმა ყურადღებით შეათვალიერა ილია.

— თუ წინანდელი ცხოვრება გულზე დარდად გაწევს, რაც მალე დაივიწყებ, მით უკეთესი იქნება, — თქვა მწყემსმა, — მოიგონე შეეი ცხოვრების ახალი რამ ზღაპარი და ირწმუნე. გახსენებით მხოლოდ კარგი და კარგი ამბები გაიხსენე, როცა კი ხელი არც გაგდგომია და არც მოგცარვია, უმალ შვებას იგრძნობ და რაც გენიაზება, შეისრულებ.

„ოდესღაც ხუროობა მინდოდა, მერმე წინასწარმეტყველება მოვინდომე ისრაელის გადასარჩენად, — ფიქრს მისცა თავი ილიამ, — ცით ეშვებოდნენ ანგელოზნი, და უფალი მეძრახებოდა. აგრე იყო მანამდე, სანამ არ დავინახე, რომ იგი უსამართლოა, ხოლო განგებულება მისი სამუდამო გამოცანაა ჩემთვის“.

მწყემსმა ცოლს გასძახა, აღარ მივდივარ, შინა ვრჩებიო. პატარა საქმე ხომ არ იყო აქბარში ფეხით წასვლა-წამოსვლა, და აწ კიდევ სადმე წასვლის სურვილი აღარა ჰქონდა.

— მადლი გვითქვამს, რომ შეგვირდომე — უთხრა ილიამ.

— სტუმარი ღვთისაა.

ლაპარაკში ბიჭი ჩაერია:

— ჩვენ აქბარში დაბრუნება გვინდა.

— ხვალამდე მოიცადეთ. ქალაქში ისეთი ძარცვა-გლეჯაა, ღამის გასათევ ადგილს ვერც იპოვით.

ბიჭი ტუჩებს იკვნეტდა და დაბლა დაიცქირებოდა. რაც შეეძლო, თავს იჭერდა, არ ავტირდეო. მწყემსმა შინ შეიყვანა ორივენი. ცოლ-შვილი დაამშვიდა, ნუ გეშინიათო. მთელი საღამო მწყემსი ამინდზე სჯიდა, რა არის ილიასა და ბიჭისთვის ცოტა გული გადაეყოლებინებინა.

## 14.

**მეორე** დღეს ილია და ბიჭი ადრიანად ადგნენ, მწყემსის ცოლმა ცოტა წაახემსა, და წასვლა დააპირეს.

— თავად დიდხანს იცოცხლე, იმრავალჟამიერე, ფარა კი გაგმრავლებოდეს! — თქვა ბინის კართან ილიამ, — რაც ჩემს გვამს ეჭირვებოდა, აქ ის ლუკმა ვიგემე, სულმა კი ის შეიცნო, რაც არ ვიცოდი. ღმერთი არცროდის დაგივიწყებთ ჩვენთვის გაწეულ სიკეთეს, თქვენს შვილებს ჭერის პოვნას არ გაუძნელებს უცხო მხარეში.

— მე არ ვიცი, ვინ არის ღმერთი. მეხუთე მთაზე ღმერთნი ბევრნი არიან, — ცოტა არ იყოს, მკვახედ უთხრა მწყემსმა და სიტყვა გადააბრუნა — რაც რამ კეთილი საქმე გიქმნია, გახსოვდეს. ვაჟკაცობას შეგმატებს.

— ძალიან ცოტა მიქმნია. ისიც სხვისი შეწევნით.

— ჩემგან იცოდე, კიდევ ბევრი კეთილი საქმის ქმნა მოგელის.

— სულ იმას ვფიქრობ, იქნებ შემეძლო ასირიელთა შემოსევის არიდება-მეთქი.

მწყემსს გაეცინა.

— აქბარის ნაცვალიც რომ ყოფილიყავი, იმას ... შეაჩერებდი, რაც გარდაუვალია.

— ნაცვალს მაშინ უნდა გაეგზავნა ჯარი და თავს დასხმოდა ასირიელთ, როცა ისინი ცოტანი იყვნენ. ან არადა, მანამ უნდა დაზავებოდა, სანამ ომი ატყდებოდა.

— რის მოხდენაც შეიძლებოდა, მაგრამ არ მოხდა, ყველაფერი ქარს მიაქვს და უკვალოდ ქრება, — თქვა მწყემსმა. — ცხოვრება ჩვენი აზრებისგან არის მოქსოვილი. ზოგიერთი რამ ამბის გადატანა უბრალოდ საჭიროა, რადგან ღმერთებს აგრე უნდათ. არცვინ იცის, ღმერთებს ის რისთვის ეჭირვებათ, და აზრი არცა აქვს ჩვენს მცდელობას, რომ ამ ამბებს ჩვენთვის გვერდი ავავლევინოთ.

— ვითომ რატომ?

— ეგ იმ ისრაელელ წინასწარმეტყველსა ჰკითხე, აქბარში რომ ყოფილა.

მწყემსმა ცხვრის ბაკოვანს მიაშურა.

— ფარა საძოვარზე უნდა გავიყვანო, — თქვა მან, — გუშინ გარეთ არა მყოლია და ბალახზე იწევს, დაიმშა.

მერმე ილიასა და ბიჭს დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია და გარიალებულ ცხვარს უკან აედევნა.

## 15.

**ბიჭი** და ილია ტაშირს მიჰყვებოდნენ.

— რა ნელა მოდიხარ, — ეუბნებოდა ბიჭი, — შენ იმის გეშინია, რაც იქნებ უნდა შეგემთხვეს.

— მე მარტო ჩემი თავისა მეშინია, — მიუგო ილიამ, — ვერცვინ ვერაფერს მიზამს, რადგან ჩემი გული მკვდარია.

— ღმერთი, რომელმაც სულეთის ქვეყნიდან გამომაბრუნა, ცოცხალია. იმას დედაჩემის გაცოცხლებაც შეუძლია, შენ თუ ქალაქს ააღორძინებ.

— დაივიწყე ეგ ღმერთი. ჩვენგან ძალიან შორს არის და იმ სასწაულებს აღარ ახდენს, ჩვენ რომ ველოდებით.

მწყემსი მართალი იყო. დღეის წალმართ თავისი წარსული უნდა შეცვალოს. უნდა დაივიწყოს, რომ ოდესღაც თავი წინასწარმეტყველად მიაჩნდა, რომელ წინასწარმეტყველსაც ისრაელის განთავისუფლება მართებდა და რომელმაც ერთი ქალაქიც ვერ იხსნა.

ამაზე რომ ფიქრობდა, ილია საოცარ სიხარულს განიცდიდა. სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ თავისუფალი იყო და შეეძლო,

როგორც თვითონ უნდოდა, ისე განეგო თავისი ცხოვრება. მართალია, ანგელოზთა ხმას ველარ გაიგონებს, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალია და სულ ფრენა-ფრენით წავა ისრაელში, ისევ იხუროებს, მერმე საბერძნეთსაც მოინახულებს, სადაც, იქაურ ბრძენკაცთა დარად, აზროვნებას ისწავლის, ანდა სულაც ფინიკიელ ზღვის კაცთ გაჰყვება შორეულ ნაოსნობაში.

ოდესღაც ღმერთი შურისგებად მოუწოდებდა. თავისი უმსუბუქკაცობის საუკეთესო წლები მან გულგრილ ღმერთს შესძღვნა, რომელი ღმერთიც ოდენ მბრძანებლობდა და რასაც როგორ მოინებებდა, ისე იქმოდა, ილია მორჩილებას მიეჩვია, ზენაარსის ნებას მონებდა და ზენაარსისავე განგებულებას პატივს მიაგებდა.

მაგრამ ღმერთმა ერთგულებისა და თავდადების პასუხად დაუტევა, მიატოვა ილია, ხოლო ერთადერთი ქალი, ვინც უყვარდა, მოუკლა.

— შენ მეუფებ ცამრგვალსა და ვარსკვლავთა ზედა, — წართქვა ილიამ თავის მშობლიურ ენაზე, რათა ბიჭს ვერ გაეგო, რასაც ის უბნოდა, — შენთვის ისევე ადვილია ქვეყნისა თუ ქალაქის დაქცევა, როგორაც ჩვენთვის მუმლის გასრესა. მაშ, გარდმოავლინე ციური ცეცხლი და მომკალ აწვე, თორემ აგიმბოხდები, თუ ახლა მაინც არ შეისმენ ჩემს ვედრებას.

შორს აქბარი გამოჩნდა. ილიამ ბიჭს ხელში ხელი ჩაავლო და მაგრად მოუჭირა.

— ამ წუთიდან და მანამ, სანამ ქალაქის კარიბჭეში არ შევალთ, თვალებდახუჭული ვივლი. შენ უნდა მატარო, მე აგრე მინდა, — უთხრა ილიამ ბიჭს, — თუ გზაში მოგიკვდი, მაშინ შენ იზამ იმას, რასაც მე მთხოვდი: ააღორძინებ აქბარს, თუნდაც ამისთვის თავიდან მოგიხდეს გაზრდა, მერმე კი ხუროობისა და ქვაზე კვეთის სწავლა.

ბიჭს აღაფერი უთქვამს. ილიამ თვალები დახუჭა, ხელჩაჭიდებული ბიჭი წინ გაიძღოლა და აედევნა. ყურებში ქარის ხმაური და ქვიშაზე გადადგმული თავისი ნაბიჯების ხმა ჩაესმოდა.

და გაახსენდა მოსე, რომელმაც იხსნა რჩეული ხალხი, მრავალ ვაი-ვაგლახსა სძლია და გამოატარა უდაბნო. ამის შემდგომ ღმერთმა აუკრძალა ქანაანში შესვლა. მაშინ მოსემ უთხრა:

— „გადამიშვი, რათა ვიხილო ის კარგი ქვეყანა, რომელიც იორდანეს გაღმაა".

მაგრამ უფალი განრისხდა მოსეზე ამ თხოვნისა გამო. და უთხრა:

„კმარა, ამიერიდან ნულარ დამელაპარაკები ამ საქმეზე... გაიხედე დასავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ და დაინახე შენი თვალით; რამეთუ ვერ გადახვალ ამა იორდანეს გაღმა".

აგრე გადაუხადა უფალმა მოსეს სამაგიერო ხანგრძელი და მძიმე მომწირნეობისა, ანუ მრავალგარჯილობისთვის — ფეხი არ დაადგმევინა აღთქმულ მიწაზე. ნეტავი, მეტი რა უნდა მომხდარიყო, უკეთუ მოსე არად ჩააგდებდა და არ დაუჯერებდა ღმერთს?

ილია კვლავ თავის ფიქრში ამაღლდა ცად:

— უფალო, ეს ბრძოლა ასირიელთა და ფინიკიელთა შორის კი არა, ჩვენ შორის მოხდა, მე და შენ შორის. ომი ისე დამიწყე, არ გაგიფრთხილებივარ და, როგორც ყოველთვის, მძლეე. მე კი ამ დროს შენს ნებას ვასრულებდი. შენ წამგვარე ქალი, რომელიც მიყვარდა, და დამინგრიე ქალაქი, რომელმაც მაშინ დამახურა [illegible], როცა ესოდენ შორს ვიყავი ჩემი სახლისგან.

ქარი სახეზე გაეტლაშუნა. ილია შეკრთა, მაგრამ განაგრძო.

— მე აღარც ქვრივის გაცოცხლება შემიძლია და აღარც შენი დამაქცევარი განგებულებისა შეცვლა. მოსემ დაგითმო და მდინარესა არა წიაღხდა. მე კი წინ წავალ, აწვე აქავე მომკალ, თორემ კარიბჭემდე თუ მიმიყვანე, კვალად აღვადგენ ქალაქს, რომლის მიწასთან გასწორებაც შენ გინდოდა, და შენი ნების წინააღმდეგ ვივლი.

მეტი არცრა უთქვამს. უკვე აღარც არაფერზე ფიქრობდა და სიკვდილს დაუწყო ლოდინი. გზა უსაშველოდ გაგრძელდა, მარტო ქვიშაზე გადადგმული თავისი ნაბიჯების ხმაღა ესმოდა. აღარც ანგელოზთა ხმის გაგონება უნდოდა და, მით უფრო აღარც ღვთის მკაცრი ხმისა. გული უცნაურად გალაღებოდა, აღარცრის შიში არა ჰქონდა. მაგრამ სულის სიღრმეში მაინც ეჭვის ჭია უფუთფუთებდა, მგონი, რაღაც მნიშვნელოვანი გულიდან გადამვარდაო.

კარგა ხანი გამოხდა, სანამ ბიჭი გაჩერდა და, მოვედითო, ხელი მოსწია ილიას.

ილიამ თვალები გაახილა. ციურ ცეცხლს ჯერ კიდევ არ განეგმირა. ზედ აქბარის დანგრეული კედელ-გალავნის წინ იდგნენ.

## 16.

**ბიჭს** ისე მაგრად ეჭირა ილია, თითქოს ეშინოდა, არ გამექცესო. ნუთუ უყვარს ამ პატარა ბიჭს? ეს კი არ იცოდა. მაგრამ ამაზე მერმეც შეიძლება ფიქრი, ახლა კი თავის სიცოცხლეში პირველად იზრახა იმის ქმნა, რის საქმნელადაც უფალს არცროდის მოუწოდებია.

ჰაერში ტრუსის სუნი იდგა, ნატისუსალი. ცას მტაცებელნი ფრინველნი შესეოდნენ და მოლოდინში იყვნენ, როდის უნდა დასცემოდნენ გვამებს, მზეზე რომ ეყარნენ და იხრწნებოდნენ. ილია ერთ-ერთ გულაღმა გადავარდნილ, მკვდარ მეომართან მივიდა, და ქამრიდან მახვილი ამოაძრო. ალიაქოთსა და სიჩქარეში ასირიელთ გალავანს გარეი იარაღის აგროვება დავიწყებოდათ.

— რად გინდა? — ჰკითხა ბიჭმა.

— თავის დასაცავად.

— მერედა, იქ ასირიელნი ხომ აღარ არიან.

— იარაღი მაინც საჭიროა, გამოგვადგება. მზად უნდა ვიყვნეთ.

ილიას ხმა უკანკალებდა... რა იცი, რა ხდება, ამ ნახევრად ჩამონგრეულ გალავანს რომ გადავლენ. ერთი კია, არცვის არ დაინდობს, ვინც წინ გადაუდგება და გააჩერებს.

— მეც ამ ქალაქივით დაქცეული ვარ, — უთხრა მან ბიჭს, — მაგრამ, როგორც ამ ქალაქს, ჯერ არც მე მიმიყვანია ჩემი საქმე ბოლომდე.

ბიჭმა გაიღიმა.

— უწინდებურად ლაპარაკობ, — უთხრა მან.

— სიტყვები ნუ შეგაშფოთებენ. ადრე ერთი სული მქონდა, სანამ იზებელს ტახტიდან ჩამოვაგდებდი და ისრაელს ღმერთს დავუბრუნებდი. მაგრამ თუ ღმერთმა თვითონ დაგვივიწყა, სხვა რა გზაა, ჩვენც უნდა დავივიწყოთ. მიზნად იმის ქმნა დამისახავს, რასაც შენა მთხოვ.

ბიჭმა უნდობლად შეხედა.

— თუ ღმერთი არ არის, ვერც დედაჩემი დაბრუნდება სულეთის ქვეყნიდან.

ილიამ თავზე გადაუსვა ხელი.

— იმ სოფლად მარტო გვამია დედაშენისა. თვითონ ჩვენთან არის. აკი გვითხრა, მე აქბარი ვარო. ხელი უნდა აღვუპყროთ, რომ ძველი სილამაზე აღიდგინოს.

●

**ქალაქი** მისიკვდილებული იყო. აქა-იქ მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები ჩანდნენ. ამან ილიას ასირიელთა შემოსევის ღამე მოაგონა. მაშინდელი სურათი დაუდგა თვალწინ. თუმცა ადამიანებს მაინცდამაინც არც ახლა ეტყობოდათ სიცოცხლის ნიშანწყალი. ისე დაბორიალობდნენ, თითქოს არ იციან, საიდან მოვიდნენ და სად მიდიანო.

როცა კი გვერდზე ვინმე ჩაუვლიდათ, ბიჭი თვალს მოატანდა ხოლმე, ილია მახვილის ვადას მაგრად უჭერდა ხელს. თუმცა იმათ ყურადღებას არცვინ აქცევდა. ზოგნი სცნობდნენ კიდეც ისრაელელ წინასწარმეტყველს, არც მიმშვიდობებას ამადლიდნენ, მაგრამ რად გინდა, ვერც ერთის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი, თვით სიძულვილსაც.

„სიძულვილის თავიც კი აღარა აქვთ," — გაიფიქრა ილიამ და ღრუბლებში გახვეულ მეხუთე მთის წვერს შეავლო თვალი. იმწამს სრულიად უცაბედად უფლის სიტყვები გაახსენდა:

„და დავყრი თქვენს მძორებს თქვენს დანგრეულ კერპებზე და შეგიძულებთ ჩემი სული. უდაბურვყოფ თქვენს მიწა-წყალს, თქვენს ქალაქებს გარდავაქცევ უდაბნოებად.

თქვენთაგან დარჩენილთა გულებში შთავნერგავ სიმხდალეს, და შერხეული ფოთლისა შრიალზეც დაფრთხებიან ისინი.

და დაეცემიან, როცა არცვინ დაედევნება მდევარი".

„აი, რა ქმენ შენ, უფალო: ალსრულდა სიტყვა შენი, დედამიწაზე ჯერეთ კიდევ ვლიან ცოცხალი მკვდრები. შენ იმათ თავშესაფრად გაუხადე აქბარი".

ილია და ბიჭი მთავარ მოედანზე მივიდნენ, ნანგრევებს შორის დასხდნენ და გარშემო მიმოიხედეს. ქალაქი კიდევ უფრო უარესად იყო დაქცეული, ვიდრე ილიას ეგონა. თითქმის არც ერთ სახლს სახურავი

აღარ ედგა. იქაურობა სიბინძურეს წაელეკა, არემარე ბუზს დაეპყრო, ჰაერი მთლად ჩაეშავებინა.

— გვამები უნდა გავიტანოთ, — თქვა ილიამ, — თორემ ქალაქის კარიბჭეში მალე შავი ჭირი შემოვა.

ბიჭი თავჩაქინდრული იჯდა.

— თავი მაღლა! — შეუძახა ილიამ, — მეტი შემართება გვმართებს, მეტი გარჯა, რათა დედაშენს გულს არ დააკლდეს.

მაგრამ ბიჭი თითქოს ყურს არც უგდებდა. ის მხოლოდ ერთ აზრს განემსჭვალა: სადაც იქ, ნანგრევებში იმ ქალის გვამიც იყო, რომელსაც მისთვის სიცოცხლე მიენიჭებინა, ახლა კი აღარცრა განარჩევდა ამ უცრემლო გვამთაგან.

ილია არ ჩასციებია. წამოდგა, ზურგზე გვამი მოიგდო და შუა მოედანზე მიიტანა, გვამების ზიდვაში ერთხელაც არ გახსენებია უფლისა რჩევა-დარიგება მიცვალებულთა დამარხვის თაობაზე. იმისთვის, რომ ქალაქში შავი ჭირი არ შემოეშვა, ერთი გამოსავალი იყო — გვამები უნდა დაეწვათ.

მთელი დილა არ ჩაუმუხლავს. ზიდა, რაც შეეძლო. ბიჭი ადგილიდან არ განძრეულა, თვალები არ აუწევია, მაგრამ დედისთვის მიცემული სიტყვა ძირს არ დაუშვია: ერთი ცრემლი რომ ერთი ცრემლია, აქბარის მიწისთვის ის ერთი ცრემლი არ დაუღვრია.

მერმე ვილაც ქალი შემოესწროთ. უყურებდა, როგორ ირჯებოდა ილია.

— კაცი, რომელიც ცოცხლებს საქმეებს უწყვეტდა, ახლა მკვდრებს ეზიდება, — თქვა ქალმა.

— სად არიან აქბარელი კაცები? — შეეკითხა ილია.

— სად არიან და წავიდნენ. თან წარიტანეს თუ რამ გადარჩათ. ქალაქში აღარცრა საქმეა. აქ ოდენ სუსტებიღა დარჩნენ: მოხუცები, ქვრივები და ობლები.

— აქ ძველ მოქალაქეთა მთელი თაობები ცხოვრობდნენ. აგრე ადვილად წარსულზე ხელის აღება არამც და არამც არ ეგების.

— აბა, სცადე და ეგ იმას აუხსენი, ვისაც თითზე გადასახვევიც არა გადარჩა რა.

— ხელი წამახმარე, — უთხრა ილიამ ქალს და კიდევ ერთი გვამი მიამატა გვამების ხორას, — აწვე უნდა დავწვათ, რათა შავი ჭირის ღმერთი არ მოგვადგეს. ის ღმერთი დამწვარი ხორცის სუნს ვერ იტანს.

— მოგვადგეს და მოგვადგეს, — თქვა ქალმა, — რაც მალე წაგვიყვანს, მით უკეთესი იქნება.

ილია ისევ თავის საქმეს შეუდგა, ქალი ბიჭის გვერდით ჩამოჯდა და ისევ ილიას დაუწყო ცქერა, როგორ ირჯებოდა. ცოტა ხანში წამოდგა და კვლავ ილიასთან მივიდა.

— ვითომ რად გინდა იმ ქალაქის გადარჩენა, რომელიც განწირულია.

— თუ გავჩერდი და მაგაზე ვიფიქრე, რაც მინდა, იმის ქმნას ვეღარ შევძლებ.

მწყემსმა მართალი უთხრა: ერთადერთი ისღა დარჩენოდა, რომ დაევიწყებინა გარდასული და ახალი ჟამთააღწერისთვის მიეყო ხელი. ის წინანდელი წინასწარმეტყველი ქვრივთან ერთად მოკვდა ცეცხლწაკიდებულ სახლში. აწ ურწმუნო კაცია, ღმერთი აღარა სწამს, ეჭვები კი, იცოცხლე, ღრღნიან. მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ცოცხალია, თუმცა ბრძოლაში თავად ღმერთი გამოიწვია, რომლისგანაც მოსალოდნელი [illegible]ულვა და შეჩვენებაც არად ჩააგდო. უკეთუ კვლავაც თბილ[illegible]სიარული სწადს, ისე უნდა მოიქცეს, როგორც განუზრახავს.

ქალმა ცოტა მსუბუქი გვამი შეარჩია, ფეხში წაავლო ხელი და ილიას შეგროვილ ხორასთან მიათრია.

— იმიტომ კი არ წაგეშველე, რომ შავი ჭირის ღმერთისა მეშინია, — უთხრა ქალმა, — არც კიდევ აქბარის გულისთვის გეშველები, აზრი არა აქვს, ასირიელნი ისევ მალე მოვლენ. ამ პატარა ბიჭის გულისთვის ვირჯები, თავჩაქინდრული რომ ზის. ეს უნდა მიხვდეს, რომ მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინა აქვს.

— მადლი მითქვამს, — უთხრა ილიამ.

— რა დროს მადლის გადახდაა. ამ ნანგრევებში იქნებ ჩემი შვილის გვამიც მაპოვნინოთ. ამდენისავე იქნებოდა, რამდენისაც ეს ბიჭია.

ქალმა სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდა. ილია ოდნავ შეეხო ხელზე.

— ტკივილი, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ, არცროდის გაგვივლის, მაგრამ ჯაფა გადაგვატანინებს. ტანჯვა დამაშვრალ კაცს ვერ ერევა.

მთელი დღე ფრიად სამჭმუნვარო საქმეს მოუნდნენ. გვამებს აგროვებდნენ და ერთ ხორად აწყობდნენ. დაღუპულნი უმეტესად ჭაბუკნი იყვნენ, რომლებიც ასირიელთ აქბარის დამცველი მეომარნი ჰგონებოდათ. ილიამ ბევრი თავისი მოყვასი ყმაწვილკაცი ამოიცნო მკვდრებში. გული ყელში ებჯინებოდა, ლამის ატირებულიყო, მაგრამ საქმეზე ხელს არ იღებდა.

●

**დღის** ბოლოს თავი აღარაფრისა ჰქონდათ. ყველაფერი მაინც ვერ მოასწრეს. აქბარელთაგან არცვინ წახმარებიათ.

სადაც ბიჭი იჯდა, იქ მივიდნენ. მთელი ეს ხანი ბიჭმა პირველად ასწია თავი.

— მშია, — თქვა მან.

— წავალ, იქნებ ცოტა რამ მოვიძიო, — უთხრა ქალმა, — ბევრს ხელუხლებელი დარჩა სასმელ-საჭმელი, ხალხს ხანგრძლივი ალყის თადარიგი ეჭირა.

— საჭმელიცა და სასმელიც შენთვის და ჩემთვის წამოიღე, ქალაქის აღსადგენად ჩვენ ვმუშაობთ და დანაყრება ჯერ ჩვენ გვეკუთვნის, — თქვა ილიამ, — ამ ბიჭს თუ შია, თავისი საჭმლისთვის თვითონ იზრუნოს.

ქალი მიხვდა, საითაც უკაკუნებდა ილია. თავის ბიჭსაც ის სწორედ აგრე ექცეოდა. ქალმა იქით გასწია, სადაც მისი სახლი იდგა. მარბიელთ ავირფასეულობის ძებნაში სულ ყირამალა დაეყენებინათ მთელი სახლი.

იატაკი მიწის ნამსხვრევებით იყო მოფენილი, წლების მანძილზე ნაგროვები, ძვირფასად ნაოსტატარი მაშრაფები სულ ნამსხვრევებად ექციათ. ქალმა ადრე გადანახულ ცოდაოდენ ფქვილსა და ჩირს მიაგნო.

რაც მოიტანა, მარტო ილიას გაუყო. ბიჭს კრიტი არ დაუძრავს.

ამ დროს ვინმე ბერიკაცი წამოადგათ.

— ვხედავდი, მთელი დღე გვამებს რომ აგროვებდით, თქვა ბერიკაცმა, — დროს ტყუილად კარგავთ. თქვენ რა, არ იცით, რომ, როგორც კი ტვიროსსა და სიდონს დაიპყრობენ, ასირიელნი ისევ აქ დაბრუნდებიან? უკეთესი იქნება, თუ შავი ჭირის ღმერთი მართლა მოვა და სულ ერთიანად გაჟუჟავს მაგათ.

— ჩვენ არც იმათთვის ვირჯებით და არც ჩვენთვის. — მიუგო ილიამ, — ეს იმის გულისთვის ჯაფობს, რათა ბავშვს დაანახვოს, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ წინა აქვს. მე კი იმისთვის ვწვალობ, რათა დავანახვო, რომ წარსული მოკვდა, აღარ არის.

— წინასწარმეტყველი აღარ ემუქრება დიდ ტვიროსელ მეფისა ასულს: რა სასწაულია! იზებელი სიცოცხლის ბოლომდე ისრაელის დედოფალი იქნება. თუ ასირიელნი დამარცხებულთა მიმართ სულგრძელობას არ გამოიჩენენ, ჩვენთვის იქ გამოიძებნება თავშესაფარი.

ილიას არაფერი უთქვამს. სახელი, რომელიც ადრე ესოდენ მძულვარებას აღძრავდა ამ კაცში, ახლა როგორღაც შორეულად ჟღერდა.

— ასე იქნება თუ ისე, აქბარი მაინც აღსდგება, — ჯიუტად ამტკიცებდა ბერიკაცი, — ქალაქის დასაფუძნებელ ადგილს ღმერთები ირჩევენ, და ისინი არ დაივიწყებენ აქბარს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, რომ ეს საქმე მომდევნო თაობებს გადავულოცოთ.

— ბატონი ბრძანდები, შეგვიძლია. მაგრამ არ გადავულოცავთ.

ილიამ უზურგა ბერიკაცს, შენთან ლაპარაკს მოვრჩი.

ქალმა, ილიამ და ბიჭმა ღია ცის ქვეშ გაათენეს ის ღამე. ქალმა გულში ჩაიკრა ბიჭი და გაიგონა, როგორ უბუყბუყებდა მუცელი შიმშილისგან. ცოტას რასმე ვაჭმევო, დააპირა, მაგრამ წამსვე გადაიფიქრა. ნამდვილია, ხორციელი დაღლილობა მართლა ანელებს სულიერ ტკივილს, და ამ პატარა ბიჭმა, რომელსაც, ეტყობა, წისქვილის ქვა დასტრიალებია თავზე, უთუოდ რაღაც საქმე უნდა გამოიჩინოს. იქნებ სულაც შიმშილმა გაანძრევინოს ხელი.

## 18.

●

**მეორე** დღეს ილიამ და ქალმა კვალად საქმეს მოჰყვეს ხელი. გუშინ საღამოს რომ ბერიკაცი წამოადგათ, დღესაც მოვიდა.

— საქმე არცრა მაქვს, — თქვა მან, — დაგეხმარებოდით, მაგრამ ძალზე სუსტადა ვარ, გვამების ზიდვა გამიჭირდება.

— თუ ეგრეა, აგურები და ნაფოტები აგროვე. ნაცარი გახვეტე.

რაც უთხრეს, ბერიკაცს უარი არ უთქვამს. როგორც შეეძლო, ისე დატრიალდა.

●

**მზე** ცას შუაში რომ მოექცა, ძალაგამოცლილმა ილიამ მიწაზე მოირთხა ფეხი. მან იცოდა, რომ ანგელოზი კვლავინდებურად გვერდით ედგა, მაგრამ ხმას აღარასოდეს გააგონებდა. „ან რალად მინდა, რომ გამაგონოს? როცა დახმარება მინდოდა, მაშინ არ მიხვაიშა, სრულიპაერო ხელი, აწ სულაც აღარ მინდა იმისი რჩევა-დარიგებანი. მთავარია, ქალაქს მივხედო, ისევ ქალაქს დავამგვანო და ღმერთს დავანახვო, რომ კრიჭაში ვუდგავარ. მერმე საითაც მინდა, იქით გავუყვები.

იერუსალიმი არც ისე შორს იყო — ფეხით სულ შვიდი დღის სავალზე. არც გზა ეძნელებოდა, მაგრამ იმას რას უზამს, სამშობლოში მოღალატედ რომ მიაჩნიათ. იქნებ დამასკოში წასვლამ აჯობოს ანდა რომელსამე ბერძნულ ქალაქში გადამწერად მოეწყოს სადმე?

უცებ ვილაცის ხელის შეხება იგრძნო, მოიხედა და ბიჭი დაინახა, რომელსაც პატარა დოქი ეჭირა.

— ერთ სახლში ვიპოვე, — უთხრა ბიჭმა და დოქი გაუწოდა.

დოქი წყლით იყო სავსე. ილიამ ერთ მოყუდებაზე დაცალა.

— შეჭამე რამე, — უთხრა ბიჭმა, — ამდენს შრომობ, ჯილდო გეკუთვნის.

ასირიელნი აქბარს რომ დაეცნენ, იმ ღამეს მერმე ბიჭის ტუჩებზე პირველად გაჩნდა ღიმილი. და თვალის დახამხამებაში იმ ადგილას დაერჭო, სადაც ქალი ფქვილსა და წყალს ინახავდა.

ილია თავის საქმეს მიუბრუნდა. ხან რომელ დანგრეულ სახლში შედიოდა, ხან რომელში, ნანგრევებიდან ცხედრები გამოჰქონდა და შუა მოედანზე ხორა-ხორად აწყობდა. მწყემსმა რომ ხელი შეუხვია, ის ქსოვილის ნაჭერი მოსძვრა, მაგრამ ილიას ამ ამბისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. უწინრესად ახლა თავისი თავისთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ ძალა შესწევდა ღირსების კვლავ მოსაპოვებლად.

ბერიკაცი, რომელიც მოედანზე ნაგავს ჰგვიდა, მართალი იყო. ჰტერი მალე მობრუნდებოდა, რათა მოსავალი მოემკო ოღონდ, არა თავისი დათესილი. ილია იმათი გულისთვის იდენდა ცხრაპირ ოფლს, ვინც საყვარელი ქალი მოუკლა. მან იცოდა, რომ ასირიელნი ამაოდ მორწმუნენი იყვნენ და რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მაინც აღადგენდნენ ქალაქს. ძველი თქმულებისდა თანახმად, ღმერთები იმად აშენებდნენ ქალაქებს, რათა ისინი შეხმატკბილებულად შესწყვილებოდნენ ველ-მინდვრებს, ცხოველებს, მდინარეებსა და ზღვებს. ყოველ ქალაქში ღმერთები მიწას წმინდა რამ ნაკვეთს ინახავდნენ, რა არი დედამიწის ზურგზე ხანიერად მიმოსვლის შემდეგ იქ ჩაემუხლებინათ და შეეარაქათებინათ. ამიტომ, თუ რომელიმე ქალაქს აოხრებდნენ და ატიალებდნენ, ღმერთები მიწაზე ცის ჩამოქცევით იმუქრებოდნენ.

როგორც ანდრეზი გვაუწყებს, მრავალი საუკუნის წინათ ამ მიწა-წყალზე ჩრდილოეთიდან აქბარის დამსაძირკვლებელს გამოუვლია, რომელსაც ღამის გათევა აქ გადაუწყვეტია და თავისი არგანი მიწაში ჩაურჭვია, რათა ის ადგილი მოენიშნა, სადაც გუდა-ნაბადი მიყარა. მეორე დილით ბევრი უწვალია, მაგრამ არგანი მიწიდან ველარ ამოუძვრია და მიმხვდარა, რომ ასეთი იყო ცამრგვალის ნება იმ ადგილას, სადაც

სასწაული მოხდა, მოგზაურ კაცს ბალავრის ქვა დაუდვია, იქვე ახლოისად კი წყარო უპოვია. დროთა განმავლობაში იმ ქვისა და ბინულის გარშემო ხან რომელი ტომი დასახლებულა, ხან რომელი. აგრე და ამგვარად გაჩენილა ქალაქი აქბარი.

ოდესღაც ნაცვალმა ისიც უთხრა ილიას, რომ ფიქრთა ხვეული ფინიკური თქმულებით, ყოველი ქალაქი მესამე წელტილი, შემართებული რგოლი იყო ზეცის ნებასა და დედამიწის ნებას შორის. ცამყარი ხელს უწყობდა, რომ თესლი მცენარედ ქცეულიყო, რომელ მცენარესაც მიწა ახარებდა, ხოლო ადამიანი მოიწევდა მიწის ნაყოფს და ქალაქში მიჰქონდა, სადაც აკურთხებდნენ ღმერთებისათვის განკუთვნილ ძღვნად. მერმე ეს ძღვენი წმინდა მთებზე უნდა აეტანათ და იქ დაეტოვებინათ... ილია დიდად ნავალი კაცი არ იყო, მაგრამ იცოდა, რომ ეს ამბავი მსოფლიოში ბევრ ხალხსა სწამდა.

ასირიელნი შიშნეულობდნენ, მეხუთე მთის ღმერთები ემანდ უჯეროდ არ დაგვრჩნენო. სოფელ-ქვეყანაში წონასწორობის დარღვევას ერიდებოდნენ.

„ამას რას ვჩივი ან რა ჩემი საფიქრალია, უკეთუ ბრძოლაა ჩემს ნებასა და უფლისა ნებას შორის, რომელმა უფალმაც მჭმუნვარებაში დამიტოვა?“

ფიქრთაგან დახრულ ილიას კვლავ წინა დღის გრძნობა გაუჩნდა. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი დავიწყებოდა და ვერ მოეგონებინა, თუმცაღა რაც შეეძლო ძალას ატანდა, ძაბავდა მეხსიერებას.

## 19.

**გამოხდა** კიდევ ერთი დღე. როცა თითქმის სუყველა გვამი ერთად შეყარეს, მოედანზე კიდევ ერთი ქალი გამოჩნდა.

— ერთი ლუკმა მაინც მიწილადეთ, კუჭი მიხმება, — უთხრა ქალმა.

— ჩვენც მაგ დღეში ვართ, — მოუგო ილიამ, — გუშინა და დღეს სამად გავყავით, რაც ერთის წილი იყო. ნახე, თუ სადმე რამე საჭმელია და მეც მითხარი.

— მე სად უნდა ვნახო?

— ბავშვებს ჰკითხე. მაგათ ყველაფერი იციან.

რაც ბიჭმა ის წყლით სავსე დოქი მოუტანა, ილიას ეჩვენებოდა, რომ კვლავ იგრძნო ცხოვრების გემო. ბიჭი ბერიკაცს კი მიახმარა, — ისინი ერთად აგროვებდნენ ნაგავსა და ნაფოტს, — მაგრამ საქმისთვის გულს დიდხანს მაინც ვერ ადებინებდა. აგერ ახლაც უკვე გავარდნილიყო და მოედანზე სხვა ბავშვებთან ერთად რიკტაფელაობდა.

„ითამაშოს. როცა გაიზრდება, მუშაობა მერმეც ეყოფა“. მაგრამ ილია არა ნანობდა, მთელი ღამე რომ აშიმშილა, აქაოდა, ჭამას მუშაობა უნდაო. როგორც საწყალ ობოლს, ასირიელ მეომართა სისასტიკისგან წახდენილსა და თავგზააბნეულს, ისე რომ მოჰქცეოდა, ბიჭი ნამდვილად ვერ გადაიტანდა დედის დაღუპვის დარდსა და ნაღველს, აგრერიგად რომ განუახლდა დაქცეულ ქალაქში დაბრუნებულს. ახლა ილიას უნ-

დოდა, რამდენიმე დღე თავის ნებაზე მიეშვა, რათა ბიჭს თავადვე გაერკვია მომხდარი ამბის აზრი.

— ბავშვებმა საიდან უნდა იცოდნენ? — არ ეშვებოდა ის ქალი, ერთი ლუკმა მაინც მიწილადეთო, რომ სთხოვა.

— მიდი და გაიგებ.

ქალი მართლაც ხელად ბავშვებთან გაჩნდა, რომლებიც ახლო შუკაში თამაშობდნენ. ბავშვებმა რაღაცა უთხრეს. ქალს სახეზე ღიმილი გაუკრთა, სწრაფად შეტრიალდა და მოსახვევს მიეფარა.

— როგორ გამოიცანი, რომ ბავშვებმა იცოდნენ, სადაც უნდა ეძებნა მაგ ქალს საჭმელი? — ჰკითხა ბერიკაცმა ილიას.

— ოდესღაც მეც ვიყავი ბავშვი და ვიცი, რომ ბავშვებს წარსული არა აქვთ, — მიუგო მან და კვლავ წამოაგონდა მწყემსთან საუბარი. — იმ ღამეს ასირიელთა თავდასხმამ ძალიან შეაშინა ეგენი, მაგრამ ახლა უკვე დაავიწყდათ ეს საშინელება. ქალაქი ერთ დიდ უშველებელ და შემოღობილ მოედნად იქცა, სადაც ბავშვებს არცვინ უშლის სირბილს. ამ თამაშ-თამაშობაში სადღაც საჭმლის მარაგსაც მიაგნეს. ქალაქის მცხოვრებთ გადანახული ჰქონდათ. ეგონათ, აქბარის ალყას გადავიტანთო.

ბალღს რის სწავლებაც შეუძლია დიდისთვის, სამი რამ არის: სრულიად უმიზეზო სიხარული, სულ ერთთავად ჩხირკედელაობა და თავისნათქვამობა. აქბარს დიახაც ამ ბიჭის გულისთვის დავბრუნდი.

●

**იმ** საღამოს კიდევ რამდენიმე ქალი და ბერიკაცი შეუერთდათ გვამების შემგროვებელთ. ბავშვები მოძალებულ მტაცებელ ფრინველთ აფრთხობდნენ და ზოგს კიდევ ძონძმანები მოჰქონდა, ზოგსაც ჩინჩხვარი და ნაფოტი. კარგად რომ შემოღამდა, ილიამ ცეცხლი დაანთო და გვამების უზარმაზარი ხორა აბრიალებულ ალში გაეხვა.

ცოცხლად გადარჩენილნი მდუმარედ ადევნებდნენ თვალს ცისკენ ბოლქვ-ბოლქვად წასულ ბოლს.

საქმეს რომ ბოლო მოუღო, ილია თვითონაც უკვე ბოლომოღებული იყო, აღარაფრის თავი არა ჰქონდა გათანგულს, და იქვე მიწვა. სანამ ჩაეძინებოდა, კვლავ ის დილანდელი გრძნობა მოერია. რაღაცას ფრიად მნიშვნელოვანს იგონებდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა. ამ აგრერიგად მოსაგონებელს არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმასთან, რაც აქბარში ესწავლა. რის მოსაგონებლადაც თავს იმტვრევდა, ის ძალიან ძველი, ძველთაძველი ამბავი იყო, რომელსაც, როგორც ჩანს, სრულად უნდა აეხსნა ყველაფერი, რაც რამ აწ ხდებოდა.

●

**ი მ ღ ა მ ე ს ი ა კ ო ბ ი მ ა რ ტ ო დ ა რ ჩ ა. დ ა ი ბ რ ძ ო დ ა ე რ თ ი კ ა ც ი ვ ი ნ მ ე გ ა ნ თ ი ა დ ა მ დ ე. დ ა რ ო ცა დ ა ი ნ ახ ა, რ ო მ ვ ე რ ე რ ე ო დ ა, კ ა ც მ ა მ ა ნ უ თ ხ რ ა: „გ ა მ ი შ ვ ი“.**

და უთხრა იაკობმა: „არ გაგიშვებ, ვიდრე არ მაკურთხებ“.

და უთხრა მან: „რა გქვია შენ?“ მან უპასუხა: „იაკობი“.

და მან უთხრა: „ამიერიდან გერქმევა შენ არა იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ებრძოდი ღმერთს, და ადამიანებს სძლევ.

## 20.

**ილიას** იმწამსვე გამოელვიძა და ცას ახედა. აი თურმე რა ვერ მოეგონებინა?

ძველისძველად, ადამპაპის დროს, მამამთავარი იაკობი ღამის კარავში ათევდა, შევიდა ერთი კაცი ვინმე კარავში და განთიადამდე ებრძოდა იაკობს. ბრძოლით იაკობიც ებრძოდა, თუმცა კი იცოდა, რომ მეტოქედ ღმერთი ჰყავდა. მზე აღმოხდა, მაგრამ ღმერთმა ჯერ კიდევ ვერ სძლია იაკობს. იაკობმა მხოლოდ მაშინ აიღო ხელი ბრძოლაზე, როცა ღმერთი თანახმა გაუხდა, კარგი, გაკურთხებო.

ეს ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რათა არცვის ეგულმავიწყა: ხანდახან საჭიროა ღმერთთან ბრძოლა, უბედურება ყველა კაცის თავს მოსავალია: გინდ ქალაქის დაღუპვა თქვი, გინდ შვილის სიკვდილი, გინდ უსამართლოდ ბრალის დადება ან უკურნებელი რამ სენი. ამ დროს ღმერთი ადამიანს სცდის, რათა აპასუხებინოს თავის კითხვაზე: „ეგრე ვითომ რად ებღაუჭები სიცოცხლეს, რომელიც ეგოდენ ხანმოკლეა და სატანჯველად გაგხდომია? განა რამე აზრი აქვს მაგ შენს ბრძოლას?“

ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ძალუძს, თავის ბედს ეგუება, ხოლო ვინც სიცოცხლის აზრს ეძიებს, ის ღმერთის საქციელს უსამართლოდ მიიჩნევს. ასეთი კაცი თავის ბედს უმხედრდება. და იმწამს ცით უცხო რამ ზეგარდმო ცეცხლი გარდმოვლინდა, ოღონდ ის კი არა, რომ კლავს, არამედ ის ცეცხლი, რომელიც ძველ კედლებს ანგრევს და თითოეულს თავის ჭეშმარიტ ნიჭს აპოვებინებს. ვინც ლაჩარი და ჯაბანია, ამ ცეცხლს ახლოს არ იკარებს და გულს არ ანთებინებს. ან რად აანთებინებს, როცა ლაჩრები და ჯაბნები მხოლოდ იმის მონიაზენი არიან, თუ რამე ახალია, რაც შეიძლება მალე ცხოვრებაში ჩვეულებრივ ამბად იქცეს, რათა ისევე იცხოვრონ და ისევე იფიქრონ, როგორაც ადრე უცხოვრიათ და უფიქრიათ. მამაცნი კი ყველაფერს ცეცხლში ყრიან, რაც ძველია და, იქნებ დიდი სულიერი ტანჯვის ფასადაც, უკან იტოვებენ ბევრს რასმე, ღმერთსაც კი, და წინ მიდიან.

„მამაცები მუდამ ჯიუტები არიან“.

უფალი ცით ჩამოიყურება და სიხარულისგან იღიმის, რამეთუ სწორედ ეს უნდა, რომ თითოეული ადამიანისშვილი თვითონ აგებდეს თავისი ცხოვრებისთვის პასუხს. აკი ამიტომაც უხვად დააჯილდოვა უფალმა თავის შვილებად მოვლენილნი ძეხორციელნი იმ უნარით, რომ ისინი თავადვე ახდენდნენ არჩევანს და თავადვე წყვეტდნენ გადასაწყვეტს.

ღმერთს მხოლოდ ისინი უბედავენ ბრძოლას, ვისაც გულში წმინდა ცეცხლი უნთია. და მხოლოდ იმათვე უწყიან ღმერთის სიყვარულის-

კენ უკან დასაბრუნებელი გზა, რამეთუ ბოლოსა და ბოლოს ხვდებიან, რომ უბედურება გამოცდაა და არა სასჯელი.

ილიამ მეხსიერებაში თითოეული თავისი ნაბიჯი აღიდგინა. რაც სადურგლო დაუტევა, მას შემდეგ უყოყმანოდ შეურიგდა თავის ბედს. და თუ მართლა სწორედ ეს დაჰყოლოდა თავის ჭეშმარიტ დანიშნულებად (რაც სწამდა კიდეც), ერთხელაც არ მისცემია იმის საშუალებისაძ-ლებლობა, რა ელოდა იმ გზებზე, რომელი გზებიც უარეყო. არადა, სულ შიშის კანკალი ჰქონდა, რა არი არ დაჰკარგვოდა თავისი სარწმუ-ნოება, თავდადება და ნება. ისე ცხოვრებას, როგორც ყველანი ცხოვრო-ბდნენ, საშიშრად მიიჩნევდა, ვაითუ, რაც ჩემ გარშემოა, მივეჩვიო და შემიყვარდესო. ილიას არ ესმოდა, რომ თვითონაც ისევე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, თუმცა კი ანგელოზები ხმას აგონებდნენ და ღმერთის ნაკარნახევ გზას მისდევდა. ის იმდენად იყო დარწმუნებული თავისი გზის სისწორეში, რომ მხოლოდ და მხო-ლოდ იმ ადამიანებივით იქცეოდა, რომელთაც ცხოვრებაში ერთხელაც არ გადაეწყვიტათ მნიშვნელოვანი რამ გადასაწყვეტი.

მუდამ გაურბოდა ეჭვებს. წარუმართებლობას. გაუბედაობას. მაგ-რამ უფალი სულგრძელია და გარდაუვალის წინაშე დააყენა, რათა და-ენახვებინა რომ ადამიანი უნდა ირჩევდეს თავის ბედს და არა ბედისმწერლისგან ძალით იხვევდეს თავს.

მრავალი და მრავალი წლის წინათ ასეთივე ღამე იყო, როგორიც ახლაა. იმ ღამეს იაკობმა მანამ არ გაუშვა ღმერთი, სანამ თავი არ აკურ-თხებინა. და მაშინღა ჰკითხა უფალმა: „რა გქვია შენ!“

საქმე სახელია. როცა იაკობმა უპასუხა, რაც ერქვა, ღმერთმა ის ისრაელად სახელყო. სახელს ყოველ ადამიანს დაბადებისთანავე არქმევენ, მაგრამ მთავარი ის არის, ადამიანმა თავისი ცხოვრების სა-ხელად ისეთი სიტყვის პოვნა მოახერხოს, რომელი სიტყვაც ამ ცხო-ვრებას აზრს შესძენს.

„მე აქბარი ვარ“, — თქვა ქვრივმა.

რათა ილია მიმხვდარიყო, რომ სახელი სჭირდებოდა, საჭირო გა-ხდა ქალაქის დალუპვა და საყვარელი ქალის სიკვდილი. იმწუთასვე მან თავის ცხოვრებას განთავისუფლება დაარქვა.

●

**ილია** წამოდგა. მოედანზე ჯერ ისევ ბოლქვ-ბოლქვად ასდიოდა ბოლი დანახშირებულ გვამებს, რომელთა დაწვითაც მან თავისი ქვეყ-ნის ძველი წესი და რიგი დაარღვია, ის წესი და რიგი კი დაურვებულ-გაპატიოსნებული მკვდრის დაკრძალვას მოითხოვდა. გვამების დაწვა რომ გადაწყვიტა, მან ბრძოლა გაუმართა ძველ წეს-ჩვეულებებსაც და ღმერთსაც. მაგრამ გრძნობდა, რომ ცოდვას არ სჩადიოდა, რამეთუ ახ-ალ პირობებში ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. ღმერთი უსაზღვროდ მწყალობელია, მაგრამ შეუბრალებლად მკაცრია იმათ მიმართ, ვისაც შემართება აკლია.

მან კვლავ გახედა მოედანს. ხალხს ჯერ კიდევ არ ეძინა. გაშეშე-ბული ადამიანები თვალს არ აცილებდნენ ცეცხლის მოლაპლაპე ალს,

თითქოსდა ის ალი უნთქავდა და სამუდამოდ უსპობდა მოგონებებს, წარსულს, ორასწლიან მშვიდობიანობასა და უნიათობას. დასრულდა შიშისა და იმედის ჟამი, ახლა ან უნდა აღორძინებულიყვნენ, ან არადა, ისინიც უნდა დახოცილიყვნენ.

ილიასი არ იყოს, ამ ადამიანებსაც შეეძლოთ თავიანთი სახელების არჩევა. შ ე რ ი გ ე ბ ა, ს ი ბ რ ძ ნ ე, მ ო ს ი ყ ვ ა რ ულ ე, მ ლ ო ც ვ ე ლ ი — სახელებს თვლა არა აქვთ, როგორც ვარსკვლავებს ცაში.

ილია წამოდგა და ლოცვა დაიწყო:

„უფალო, მე გებრძოდი შენ და სულაც არ მერცხვინება ამისა. მე მივხვდი, რომ ჩემი გზით მივდიოდი, რადგან ასე მსურდა. და არა იმიტომ, რომ მაიძულეს ჩემმა მშობლებმა, ჩემი მიწა-წყლის წეს-ჩვეულებებმა ანდა შენ თავად დამატანე ძალა.

ამწამსვე დაგიბრუნდებოდი შენ, უფალო, ამწამსვე მოვიდოდი შენთან, რათა მთელი გულით ქება შემესხა შენთვის და არ დავმგვანებოდი იმ მხდალ კაცს, რომელსაც სხვა გზა ვერ აურჩევია. მაგრამ იმისთვის, რათა გამანდო შენი მაღალი განგებულება, მანამ განვაგრძობ შენთან ბრძოლას, სანამ არ მაკურთხებ“.

აქბარის აღორძინება. რაც ილიას ღმერთთან ბრძოლად მიაჩნდა, სინამდვილეში ღმერთთანვე ახალ შეხვედრად ქცეულიყო.



**მეორე** დილით ისევ მოვიდა ის ქალი, ერთი ლუკმა მაინც მიწილადეთო რომ თხოულობდა. თან სხვა ქალებიც მოიყოლა.

— საჭმლის ბელელს მივაგენით, — თქვა იმ ქალმა, — საჭმელი მთელი წელიწადი გვეყოფა. ქალაქში ხალხი აღარც არის. ბევრი დაიღუპა, ბევრიც ნაცვალთან ერთად გაიქცა.

— ეგ სანოვაგე ბერიკაცს გაანაწილებინეთ, — უთხრა ილიამ, — მაგათ კარგი თადარიგის დაჭერა იციან.

— ბებრებს სიცოცხლე აღარ უნდათ.

— უნდათ თუ არ უნდათ, მაინც დაუძახეთ.

ქალმა უკვე წასვლა დააპირა, მაგრამ ილიამ შეაჩერა.

— ასოებით წერა შეგიძლია?

— არა.

— მე ვისწავლე და, თუ გინდა, შენც გასწავლი. დაგჭირდება, რათა ქალაქის მართვაში დამეხმარო.

— ასირიელთ რაღას უშვრები, რომ დაბრუნდებიან?

— ისინი რომ მოვლენ, ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, უჩვენოდ ქალაქის მართვა გაუჭირდებათ.

— მტერს ვითომ რად უნდა დავეხმაროთ?

— იმიტომ უნდა დავეხმაროთ, რათა თითოეულმა ადამიანმა თავისი ცხოვრებისთვის სახელის დარქმევა შეიძლოს. მტერი მხოლოდ საბაბია, რომ ჩვენი ძალა გამოვცადოთ.

**როგორც** ილია ჰგონებდა, ბერიკაცნი მოვიდნენ.

— აქბარს თქვენი შეწევნა სჭირდება, — უთხრა ილიამ, — ახლა ისეთი დროა, ჩვენს თავს ბებრობით ფუფუნების უფლებას ვერ მივცემთ. ჩვენ სიახალგაზრდავე გვჭირდება, ოდესღაც [illegible] გვყოლია.

— ჩვენ არ ვიცით, როგორ უნდა სიახალგაზრდავის დაბრუნება, — უთხრა ერთ-ერთმა ბერიკაცმა, — სიახალგაზრდავე ნაოჭებს და გულგატეხილობაში მიგვემალა.

— ეგრე არ არის, გეტყობათ, ჯერ თქვენ გაუტეხეთ გული თქვენს ახალგაზრდობას და ისიც გაგეპარათ. ახლა ისეთი დრო დადგა, ისევ უნდა იპოვოთ, პატარა საქმე ხომ არ არის — აქბარი გვაქვს ასაღორძინებელი.

— ვითომ შეუძლებლის ქმნას შევძლებთ?

— შეძლებთ, თუ იმედს დაიბრუნებთ.

სევდითა და ჭმუნვით სავსე თვალები უმალ აციმციმდნენ. არა, ქალაქისთვის უკვე გამოუსადეგარი მცხოვრებნი ალარ არიან, სალამო ხანს სალაყბოზე რომ იკრიბებოდნენ ხოლმე. აწ დიდი საქმე დაეკისრებათ — საჭირონი გახდნენ.

ყველაზე კერკეტი ბერიკაცნი ახალგაზრდობას იხსენებდნენ და ქოჩორზე დატრიალდნენ. თუ სადმე ნანგრევებში გამოსადეგი რამე ეგდო, ყველაფერს აგროვებდნენ სახლების აღსადგენად. ყველაზე დაჯანდაგებული მოხუცნი კი მინდვრად გასულიყვნენ და ხალხს დამწვარი გვამების ფერფლის გაფანტვაში შველოდნენ, რათა, მოსავლის აღების დრო რომ დადგებოდა, შენდობა ეთქვათ ყველასთვის, ვინც დაიღუპა და ახალ მოსავალს ვერ მოესწრო. სხვანი ქალაქში გადანახულ ხორბალს აგროვებდნენ, ან პურს აცხობდნენ, ანდა ჭიდან წყალს ეზიდებოდნენ.

## 22.

**გამოხდა** ორი დღე. ილიამ მთელი ქალაქის მცხოვრებნი აწ უკვე ნანგრევებისგან გასუფთავებულ მოედანზე შეყარა. დაანთეს კერეონები, და ილიამ პირქარი გაშალა.

— სხვა გზა არა გვაქვს, — თქვან მან, — ჩვენი თავში საცემი ჩვენვე უნდა ვიცეთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ჩვენი საქმე სწორედ ასეა. ასირიელთ კი დაგვაქციეს და დაგვანელეს, მაგრამ თანვე იძულებული გაგვხადეს, ძირისძირომდის შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება. ხელიდან ნუ გავუშვებთ ამ ერთადერთ შესაძლებლობას, ჩვენსავე უბედურებას საჩვენოდ რომ მოჰყვა.

ჩვენი დაღუპული მეომრების ფერფლი, გუშინ და გუშინწინ მინდვრად მიმოფანტული, გაზაფხულზე ჯეჯილად ამოვა. თქვენი შვილები, რომლებიც შემოსევის ღამეს დაკარგეთ, ამ პატარებში იცოცხლებენ, აგერ ახლა დამწვარ სახლებში რომ დარბიან და დახტიან... ჩვენი უბედურება ჯერჯერობით მარტო ბავშვებმა გადაიტანეს, რადგან ბავშვებს წარსული არა აქვთ. ესენი მხოლოდ და მხოლოდ ამწამიერი სი-

ნამდვილით ცხოვრობენ. ჩვენც ავდგეთ და ამათსავით ვიცხოვროთ.

— განა გულმკვდარი ადამიანის ტკივილს რამე გააყუჩებს? — ეკითხა ერთმა ქალმა.

— არა, მაგრამ ნუგეშს მაინც იპოვის საქმეში.

ილია მოტრიალდა და ხელი მეხუთე მთის წვერისკენ გაიშვირა, რომელიც ღრუბლებში ძლივს მოჩანდა. ახლა, როცა ქიბარეს კედელ-გალავანი დანგრეული იყო, მთა კიდევ უფრო კარგად მოიხილებოდა მოედნიდან.

— მე ერთიანი ღმერთი მწამს, თქვენ კი ფიქრობთ, რომ ღმერთები ღრუბლებში ცხოვრობენ, რომელი ღრუბლებიც მეხუთე მთის წვერს ახვევია. მე ახლა აქ იმის ლაპარაკს არ დავიწყებ, ჩემი ღმერთი უფრო ძლიერი და ყოვლისშემძლეა-მეთქი. რა გვანსხვავებს, იმაზე კი არ მინდა სიტყვის ჩამოგდება, რაც საერთო გვაქვს, ის უნდა გითხრათ. უბედურებამ უკლებლივ ყველას ერთი გრძნობა განგვაცდევინა — სასოწარკვეთილება. რატომ მოხდა ეს? რატომ მოხდა და, ყველას გვეგონა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი და გარკვეული გვქონდა და ვერცრა ცვლილების მოხდენას ვერ ვეგუებოდით.

ჩვენ ყველანი მოვაჭრე ხალხს ვეკუთვნით, მაგრამ არც მეომრობა გვეშლება, — განაგრძობდა იგი. — მეომარმა კი ყოველთვის იცის, ბრძოლა რისთვისაც ღირს. თუ კი არ ეხება, მეომარი ისეთ ბრძოლაში არც ჩაერევა, და არცროდის დროს არ კარგავს თავისი თავის სიბრალულზე.

თუ დამარცხდა, მეომარი აღიარებს, დავმარცხდიო. ის გულგრილად არ აღიქვამს მარცხს და არც ამ მარცხის გამარჯვებად გადაქცევას ცდილობს. მეომარს გულს უკლავს ყოველი დაღუპული ამხანაგი, ვერავის გულგრილობას ვერ იტანს და მარტოობა სასოწარკვეთილებაში აგდებს. მერმე, როცა ყველაფერ ამას გადაიტანს და უკან მოიტოვებს, ჭრილობებსაც მოიშუშებს და ყველაფერს ისევ თავიდან იწყებს. მეომარმა იცის, რომ ომი მრავალი ბრძოლისგან შედგება და წინ მიდის.

უბედურებას ვერსად გავექცევით. მიზეზსაც ვიპოვით, არც ვინმესთვის დაბრალება გაგვიჭირდება, იმასაც წარმოვიდგენთ, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ეს უბედურება რომ არ დაგვტყდომოდა. მაგრამ ყველაფერ ამას მნიშვნელობა აღარა აქვს: უბედურება უკვე მომხდარია. ამ წუთიდანვე გულიდან უნდა გადავიგდოთ ის შიში, რომელსაც თავს დატეხილი უბედურება იწვევდა ჩვენს სულში. და ასაღორძინებლად უნდა გამოვიღოთ ხელი.

ადექით და ამიერიდან ყველა თქვენგანმა ახალი სახელი დაირქვით, წმინდა სახელი, ის თქვენი ახალი წმინდა სახელი ერთ სიტყვაში სრულად ასახავს ყველაფერს, რის გულისთვისაც კი გიბრძოლიათ. მე სახელად „გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“ დავირქვი.

წამიერ მოედანი გაჩქურდა. მერმე წინ წამოდგა ის მანდილოსანი ქალი, ილიას სულ პირველი რომ ეშველებოდა.

— ჩემი სახელია გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, — თქვა მან.

— ჩემი სახელია ს ი ბ რ ძ ნ ე, — ხმა ამოიღო ბერიკაცმაც.

ქვრივის ბიჭმა, რომელიც აგრერიგად უყვარდა ილიას, შეჰყვირა:

— ჩემი სახელია ა ლ ფ ა ბ ე ტ ი.

მოედანზე შეყრილი ხალხი უცებ ახარხარდა. დარცხვენილი ბიჭი ისევ თავის ადგილას დაეშვა.

— ალფაბეტი რა სახელია? — იყვირა ვიღაც სხვა ბიჭუკელამ.

ილიამ ჩარევა დააპირა, მაგრამ იფიქრა, ბიჭმა [illegible] თავის დაცვა თავადვე უნდა შეძლო.

ბიბლიოთეკა

— ეგ დედაჩემს საქმედ ჰქონდა, — თქვა ბიჭმა, — ასოებს რომ ვუყურებ, სულ ის მაგონდება.

ამჯერად აღარცვის გაუცინია. ერთი მეორის მიყოლებით წარმოთქვამდნენ თავიანთ სახელებს აქბარელი ობლები, ქვრივები და მოხუცები. სუყველამ რომ დაირქვა სახელი, ილიამ ხალხს სთხოვა, ამაღამ ცოტა ადრე დავიძინოთო. ხვალ დილაადრიან ისევ საქმეს უნდა შესდგომოდნენ.

ილიამ ბიჭს ხელი ჩასჭიდა, და ორივენი იქითკენ წავიდნენ, სადაც ფლასის ჩარდახი იყო გამართული.

იმ დღიდან ილიამ ბიჭს ბიბლოსის ანბანის სწავლება დაუწყო.

## 23.

**დღე** დღეს მისდევდა, კვირა კვირას და აქბარს ნელ-ნელა ეცვლებოდა სახე, ბიჭმა სწრაფად ისწავლა ასოები და უკვე სიტყვებსაც ადგენდა. ილიამ თიხის ფირფიტებზე ქალაქის აღდგენის ამბის ჩაწერა დაავალა.

თიხის ფირფიტები ჯერ ღუმელში უნდა გამოეწვათ, მერმე კერამიკად აქცევდნენ და ერთი ხნიერი ცოლ-ქმრის ოჯახში საგულდაგულოდ ინახავდნენ. ყოველი დღის ბოლოს ქალაქის მცხოვრებნი მოედანზე გროვდებოდნენ. ილია ხანდაზმულთ თავიანთ ცხოვრების ამბებს აყოლინებდა და იმათ ნაამბობს თიხის ფირფიტებზე იწერდა.

— აქბარის ხსოვნას ამ ფირფიტებზე შემოვინახავთ, გამომწვარ თიხას ცეცხლი ვერ ერევა, — უხსნიდა ილია, — ოდესმე ჩვენი შვილები და შვილიშვილები შეიტყობენ, რომ დამარცხებას არ შევურიგდით და გარდაუვალი გადავიტანეთ. ამას ისინი მაგალითად მოიყვანენ.

ყოველ საღამოს, ბიჭის მეცადინეობის შემდეგ, ილია უკაცრიელ ქალაქში დაბორიალობდა, მივიდოდა იმ კარიბჭესთან, საიდანაც იერუსალიმის გზა იწყებოდა, ცოტა ხანს ასე იდგა ხოლმე ჩაფიქრებული, მაგრამ წასვლა მაინც ვერ გაებედა.

მძიმე საქმე მხოლოდ აწინდელ დროზე ფიქრს აიძულებდა. მან იცოდა, რომ აქბარელნი იმედის თვალით შესცქეროდნენ, არც უმალავდნენ, ქალაქი შენ უნდა აღგვიდგინოო, პირდაპირ ეუბნებოდნენ. ერთხელ მან უკვე გაუცრუა იმედი აქბარელთ, როცა ასირიელი მსტოვრის სიკვდილს ხელი ვერ შეუშალა და აქბარს ომი ვერ აარიდა. მაგრამ უფალი თავის სულიერ შვილებს ყოველთვის მეორე შესაძლებლობასაც აძლევს, და ილიამ ახლა მაინც არ უნდა გაუშვას ხელიდან ეს შესაძლებლობა. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო ეგრძნობიერებოდა ბიჭს და ცდილობდა, რომ მარტო ბიბლისის ასოები კი არა, ღმერთის სიყვარულიც და ძველ კაცთა სიბრძნეც ესწავლებინა.

და ილიას მაინც არ ავიწყდებოდა, რომ სადაც შობილიყო და გაზრდილიყო, სადაც პირველი ისარი გაესროლა, იმ ქვეყანას კვლავინდებურად უცხოქვეყნელი დედოფალი და უცხოქვეყნელივე ღმერთი განაგებდნენ. თავს უკვე აღარ დასტრიალებდნენ ცეცხლოვანმახვილიანი ანგელოზები და როცა უნდოდა, მაშინ წავიდოდა, რის ქმნაც უნდოდა, იმას იზამდა, ვერცვინ დაუშლიდა.

დაღამდებოდა თუ არა, ილია ამ ქალაქიდან წასვლაზე ფიქრობდა, ყოველღამ ცად აღაპყრობდა ხელებს და ილოცვიდა:

„იაკობი მთელი ღამე გებრძოდა, და მხოლოდ განთიადისას მოიოლოდინა შენი კურთხევა. მე კი უკვე არაერთი დღე და თვე გებრძვი, მაგრამ ჩემი ხმის გაგონება არ გინდა. მიმოიხედე! ირწმუნე ჩემი გამარჯვება: აქბარი ნანგრევებიდან დგება, მე ვაღორძინებ ქალაქს, რომელიც შენ და ასირიელთა მახვილთ ნაცარტუტად აქციეთ.

მე მანამ გებრძოლები, სანამ მეც არ მაკურთხებ და ჩემს ნამუშაკევსაც. ოდესმე, ვუწყი, მიპასუხებ“.

●

**ᲥᲐᲚᲔᲑᲡᲐ** და ბავშვებს მინდორში წყალი დაჰქონდათ და გვალვას ებრძოდნენ, უწვიმობას თითქოს ბოლო არ უჩანდა, ერთხელაც, როს მზე შეუბრალებლად აჭერდა და ვარვარებდა, ილიას ვილაცის ხმა შემოესმა:

— ჩვენ მუხლჩაუხრელად ვშრომობთ და აღარც ვიგონებთ იმღამინდელ ჯოჯოხეთს. სულაც აღარ გვახსოვს, რომ ასირიელნი ისევ მოუბრუნდებიან აქბარს, როგორც კი დაარბევენ ტვიროსს, ხიდონს, ბიბლოსს და სრულიად ფინიკიას. თუ რამ გვშველის, მომწირნეობა გვშველის, მრავალგარჯილობა. მართალია, მთელი ეს დღეები ჩვენი ქალაქის აღორძინების ცდაში ვართ, მაგრამ მაინც არაფერი იცვლება. ჩვენი ჯაფის ნაყოფს ვერ ვხედავთ.

ილია კარგა ხანს სჯიდა ამ სიტყვებს. მერმე ხალხს მოუწოდა, დღის ბოლოს მეხუთე მთის ძირას შევიკრიბოთ და დაისს, მზის დახდომას, ერთად ვუცქიროთო.

ადამიანები ჩვეულებრივ ისე იქანცებოდნენ, ერთმანეთსაც კი ველარ ელაპარაკებოდნენ ხოლმე. მაგრამ ყველას ესმოდა, რაოდენ აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო მტანჯველ აზრთაგან და ყოველდღიურ ფაცია კალოსგან ხანჟამიერად განრიდება. გული უმალ უხალვათდებოდათ, უნებლიე შიშისგან უთავისუფლდებოდათ და მეორე დღისთვის ძალ-ღონეს მოკრებასაც ახერხებდნენ და სახადელზე მოსვლასაც.

## 24.

**ᲘᲛ** დღეს ილიამ, როგორც კი გაიღვიძა, ხალხს უთხრა, ამჯერად უჩემოდ მოგიწევთ მუშაობაო.

— დღეს ჩემს ქვეყანაში მონანიების დღეა.

— შენ ცოდვაში არცროდის ჩაგიდგამს ფეხი, — უთხრა ერთმა ქალმა, — კეთილი საქმე კი მრავლად ჩაგიდენია.

— წეს-ჩვეულებას დაცვა უნდა. ვერც მე დავარღვევ.

ქალებმა ისევ წყალი წაიღეს მინდვრად, ბერიკაცნი თავიანთ საქმეებს დაუბრუნდნენ: ზოგთ კედლები ამოჰყავდათ, ზოგნიც საკარ-ფანჯრების მასალას ამუშავებდნენ. ბავშვები უფროსებს პატარა თიხის აგურების დაყალიბებაში შველოდნენ, რომელი აგურებიც დაყალიბების შემდეგ ცეცხლზე უნდა გამოეწვათ. ილია უცქეროდა [illegible] ზედაფრენა შესდგომოდა. მერე ქალაქიდან გავიდა და ტაშირს გაუყვა.

უგზო-უკვლოდ მიაბიჯებდა და ბავშვობაში ნასწავლ ლოცვებს დუდუნებდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, ტაშირს კი მეხუთე მთის უშველებელი ჩრდილი გადასწოლოდა. ილიას საშინელი წინათგრძნობა გაუჩნდა: ბრძოლა ისრაელის ღმერთსა და ფინიკიურ ღმერთებს შორის კიდევ ფრიად გრძელჟამიერ გაგრძელდება, იქნებ ათას წელიწადსაც კი.

●

**მოაგონდა,** როგორ ავიდა ერთხელ ღამით მეხუთე მთის თხემზე და როგორ გაეძრახა ანგელოზს, თუმცა მას მერმე, რაც აქბარი დაიქცა, ცით ანგელოზის ხმა აღარ ჩამოესმოდა.

— უფალო, დღეს მ ო ნ ა ნ ი ე ბ ი ს დ ღ ე ა. მე ბევრი რამ შევცოდე შენ წინაშე, — თქვა მან და იერუსალიმის მხარეს ქნა პირი, — მე სუსტი ვიყავ, რადგან არ მახსოვდა საკუთარი ძალა. გულჩვილი ვიყავ, როცა მტკიცე უნდა ვყოფილიყავი. იმის შიშით, ვაითუ, არასწორად გადავწყვიტო-მეთქი, არჩევანს ვერ ვახდენდი. მე ძალიან ადრე განგიდექი და შეგაჩვენე კიდეც, იმის მაგივრად, რომ მადლიერი გაგხდომოდი.

მაგრამ შენც შესცოდე ჩემ წინაშე. ღმერთმა უღმერთოდ დამტანჯე, ამ სოფლიდან ის არსება წამგვარე, ვინც მიყვარდა, ის ქალაქი დამიქციე, რომელმაც შემივრდომა, ბევრჯერაც გზას ამაცდინე. შენმა სისასტიკემ ლამის დამავიწყებინა შენი სიყვარული. მთელი ეს დრო შენთან ბრძოლას მოვანდომე, შენ კი არ გწადს, რომ ბრძოლაზე ბრძოლითვე მიპასუხო.

უკეთუ ჩვენს ცოდვებს ერთმანეთს შევადრიდით, უთუოდ ვალში დარჩებოდი ჩემ წინაშე. რადგანაც დღეს მ ო ნ ა ნ ი ე ბ ი ს დ ღ ე ა, შემინდე და ჩემგანაც შენდობილს გყოფ, რათა დღეის წაღმართ ერთად ვიაროთ წინ.

იმწამს ქარმა დაჰქროლა, და მან იგრძნო, თავისი ანგელოზი ეძრახებოდა.

— შენ სწორად მოიქეცი, ილია. ღმერთი ბრძოლაზე ბრძოლით გიპასუხებს.

ილიას თვალთაგან მდუღარება წასკდა. მუხლებზე დაეცა და ტაშირის დიხაშხოს — ავად გამოგვალულ მიწას ემთხვია.

— მადლი მითქვამს მობრძანებისთვის, რამეთუ ეჭვი მღრღნის: ცოდვის ჩადენას ხომ არ უდრის ჩემი საქციელი?

ანგელოზმა ხმა გააგონა:

— ვითომ მეომარი გულსა სტკენს თავის მოძღვარს, როცა ებრძოლება?

— არა, ეგ შებრძოლება ბრძოლის სწავლის ერთადერთი ხერხია.

— განაგრძე ეგრე ბრძოლა მანამ, სანამ უფალი ისრაელში წასასვლელად მოგიწოდებდეს, — უთხრა ანგელოზმა. — წამოდექი! დასტურყავი, რომ შენი ბრძოლა საჭირო ბრძოლაა, რამეთუ შენი ხომალდი გარდაუვალის დინებას ალმა მიჰყვება. ბევრნი ამ დინებას ალმა მისდევენ და თავს იუბედურებენ. ზოგსაც ეს დინება სულ სხვა მიწაწყალზე ამოაყოფინებს ხოლმე თავს. შენ პირქარი არ გაშინებს, სწორად მიდიხარ და კარგად იქცევი, რომ ტკივილს მოქმედებად აქცევ.

— რა ცუდია, რომ ბრმა ხარ, — უთხრა ილიამ, — თორემ მოიხილავდი, როგორ ააღორძინეს ქალაქი ობლებმა, ქვრივებმა და ხანმრავალმა ხალხმა. მალე ისეთივე გახდება, როგორიც ადრე იყო.

— ვიმედოვნებ, რომ ვერ გ ა ხ დ ე ბ ა, — თქვა ანგელოზმა, — მაგათ ძალიან ძვირი დაუჯდათ თავიანთი ცხოვრების შეცვლა.

ილიას გაელიმა. ანგელოზი მართალი იყო.

— ვიმედოვნებ, შენც ისევე იზამ, როგორც ისინი იქცევიან, ვისაც კიდევ ერთი შესაძლებლობა აქვს: იგივე შეცდომა ორჯერ არ მოგივა. ნურცროდის იგულმავიწყებ შენი ცხოვრების აზრს.

— არამც და არამც, არ ვიგულმავიწყებ, — უპასუხა ილიამ, გახარებულმა, რომ ანგელოზი ისევ ეწვია.

## 25.

**ᲭᲐᲠᲐᲕᲜᲔᲑᲘ** გზად აღარ გადიოდნენ ტაშირს. ჩანს, ასირიელთ ძველი გზები დაანგრიეს და ახალი მიმართულების სავაჭრო შარა-სავალი დაქნეს. ბავშვები ყოველდღე ქალაქის კედელ-გალავნის ერთადერთ გადარჩენილ კოშკზე ეძჭვიტნენ. თვალყურის დევნება ჰქონდათ დავალებული, რომ ასირიელთა ჯარის გამოჩენა არ გამოჰპარვოდათ. ილია ქალაქის დამაქცევართა ღირსეულ შეხვედრას ეპირებოდა, რათა ძალაუფლება გადაეცა.

მას უკან გუდა-ნაბადს აიკრავს და წავა აქბარიდან.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო გრძნობდა, რომ აქბარი გულზე ეხორცებოდა, გულის ნაწილი უხდებოდა. იქნებ თავისი დანიშნულება სულაც ის კი არ არის, რომ იზეელი დაემხოს, არამედ აქ ამ ადამიანებთან დარჩენაა სიცოცხლის ბოლომდის. იქნებ ასირიელთა ბედკრულ მონად გახდომა უწერია. თუკი აგრეა, სხვა რა ჩარაა, არც მონობაში შეირცხვენს თავს. როგორც კი ძველი სავაჭრო გზების აღდგენას დაიწყებენ, გვერდში დაუდგება, ენასაც ისწავლის მტრისას, ხოლო დროს თუ დაიცემს, მოცალეობის ჟამს წიგნთსაცავს, ანუ საწიგნე სახლს მიხედავს, რომელსაც დღენიადაგ სულ ახალი და ახალი ფირფიტები ემატება.

იმ ღამით, ქალაქის დაქცევა რომ მოიხილა, ყველაფერი დაღუპულად ეჩვენა. აწ სხვანაირად ფიქრობდა: უბედურება, პირიქით, ხელს შეუწყობს და გარდააქმნევინებს ქალაქს, უფრო გაალამაზებინებს. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გზებს გააფართოვებდნენ, სახლებს ახალ, უფრო მკვიდრ სასურავებს დაადგამდნენ, ხოლო წყალს ჭებიდან უკვე

მიწაში ჩაყრილი სოლინარებით მიაწვდიდნენ ქალაქის ყველაზე შორეულ კუთხე-კუნჭულთ. ქალაქთან ერთად თითქოს სულიც ულორძინდებოდა. ყოველდღე რაღაც ახალს და ახალს იგებდა ხანმრავალ კაცთაგან, მანდილოსან ქალთაგან და ყმაწვილთაგან. ესენიც აშკარად შეცვლილიყვნენ. თავის დროზე აქბარი უმწეობისა გამო ვერ დაადგეს, ახლა კი თავიც ელონიერებათ და ისიც უწყიან, რაც უნდა ქნან.

„ნაცვალს ოდნავი წარმოდგენაც რომ ჰქონოდა, რის შეძლენიც არიან ესენი, ქალაქის დაცვის საქმეს სულ სხვაგვარად გამოაწყობდა, და აქბარიც არ დაინგრეოდა".

ცოტა იფიქრა თუ ბევრი, ილია მიხვდა, რომ ცდებოდა. აქბარი აუცილებლად უნდა დანგრეულიყო, რათა ხალხში მთვლემარე ძალას გამოელვიძა.

●

**გამოხდა** რამდენიმე თვე, ასირიელნი კი მაინც არ გამოჩენილან. აქბარი თითქმის მთლიანად აღსდგა, და ილიას აწ უკვე შეეძლო მომავალზე ფიქრი. ქალები, ზოგი სად და ზოგი სად, გადარჩენილ ფართალს რასმე პოულობდნენ და ახალ კაბებს იკერავდნენ. ბერიკაცნი ყოფას ადევნებდნენ თვალყურს, აგრეთვე ქალაქის წესრიგსა და სისუფთავეს, ბავშვები, თუ რამეს ავალებდნენ, ხელს ახმარდნენ, თუ არადა, აგლიუგლის მართავდნენ, თამაშობდნენ ან ჩხირკედელაობდნენ, ჩიჩმაგურაობდნენ.

ილია და ბიჭი პატარა ქვის სახლში იდგნენ. სანამ ამ სახლს აშენებდნენ, იმ ადგილას ადრე ქალაქის ბელლის შენობა ყოფილიყო. აქბარის მცხოვრებნი ყოველ ღამეს მთავარ მოედანზე კოცონის გარშემო ქუჩდებოდნენ და თავიანთი ცხოვრების ამბებს ყვებოდნენ. ილია და ბიჭი იდგნენ და ყველაფერს სიტყვასიტყვით იწერდნენ, მეორე დღეს, როგორც წესი და რიგი იყო, ისე გამოწვავდნენ ფირფიტებს და საწიგნე სახლს უმატებდნენ და უმატებდნენ.

ბიბლოსის ანბანს შვილმკვდარი დედაც დაეწაფა. როცა ილიამ დაინახა, რომ ასო-ნიშნებისგან ქალი უკვე სიტყვებსაც აწყობდა და წინადადებასაც აგებდა, სთხოვა, რომ ანბანი ახლა სხვებისთვისაც ესწავლებინა. ასირიელნი რომ დაბრუნდებოდნენ, აქბარელთ მთარგმნელებადაც შეეძლოთ მუშაობა და მასწავლებლებადაც.

— სწორედ ეს არ უნდოდა ქურუმს და ამას უშლიდა ხელს, — თქვა ერთხელ ბერიკაცმა, რომელსაც სახელად ო კ ი ა ნ ე აერჩია, რათა ოკეანესავით უნაპირო სული ჰქონოდა. — არ უნდოდა, რომ ბიბლოსის დამწერლობა შემორჩენილიყო და მეხუთე მთის ღმერთები განერისხებინა.

— განა შეუძლია ვისმე გარდაუვალის არიდება? — წარმოთქვა ილიამ.

დღისით აქბარელნი საქმეს არ ღალატობდნენ, საღამო ხანს იკრიბებოდნენ და ერთად უცქერდნენ მზის დახდომას, თვალს უსწორებდნენ ჩამავალ მნათობთა მნათობს. მერმე უკვე ღამდებოდა კიდეც და ისევ თავიანთი ამბების მოყოლაში იყვნენ.

ქალაქის თანდათან აღორძინების შემყურე ილიას სიამაყის გრძნობა ეუფლებოდა და სულ უფრო ეთავისებოდა ახალი აქბარი.

კოშკის კიბეები ერთ მუქარაზე ჩამოირბინა პატარა ბიჭმა, აქბარის მზირად რომ იდგა.

— ცის დასალიერზე მტვრის კორიანტელი დავინახეთ — თქვა შიშითა თუ მღელვარებით გულამოვარდნილმა ბიჭმა. მტერი უკან ბრუნდება.

ილია კოშკზე ავიდა და დარწმუნდა, რომ ბიჭი მართალს ამბობდა. ხვალ უკვე აქბარის კარიბჭესთან იქნებიანო, ივარაუდა ილიამ.

იმავე დღეს მან აქბარელთ სთხოვა, მეხუთე მთასთან ნუ მიხვალთ, მოედანზე შევიკრიბოთო. როცა ხალხი შეეყარა, ილიამ შეამჩნია, რომ ხალხი შიშს შეეპყრო.

— დღეს ნურცრას წარსულზე ვილაპარაკებთ და ნურცრას აქბარის მომავალზე, — თქვა მან, — დღეს ჩვენს თავზე ვილაპარაკოთ.

კრინტი არცვის დაუძრავს.

— იმ დღეს, როცა ცაზე ბადრი მთვარე ენთო, რასაც ყველა ვგრძნობდით, ის ამბავი მოხდა, მაგრამ ვერ შევგუებოდით: აქბარი იავარყვეს. ასირიელთა ჯარმა ქალაქი რომ დააგდო, დავინახეთ, რომ ჩვენი საუკეთესო მეომრები დახოცილები ეყარნენ. ვინც გადარჩა და წასვლა შეეძლო, წავიდა თავისი ბედისკვერის საძებნელად, თავს უშველა, რადგან დაინახა, რომ აქ დარჩენას აზრი არა ჰქონდა. ვერ წავიდნენ მარტო ბებრები, ქვრივები და ობლები, ვინც არცვის უნდა.

გაიხედ-გამოიხედეთ. ეს მოედანი უფრო ლამაზი გახდა, ვიდრე ადრე იყო. სახლებიც უფრო მკვიდრად ავაშენეთ. რაც რამ სასმელ-საჭმლის მარაგი დავაგროვეთ, ყველაზე თანაბრად გავანაწილეთ. აქბარელნი დიდიან-პატარიანად ბიბლოსში შექმნილ დამწერლობას სწავლობენ. ქალაქში გადანახულია ფირფიტები, რომლებზედაც ჩვენი დრო და ჟამია აღწერილი. მომდევნო თაობები ყველაფერს შეიტყობენ, ვინც ვიყავით და რაც გვიქმნია.

დღეს ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ქალაქში აღარც ბებრები არიან, აღარც ობლები და აღარც ქვრივები. დღეს ჩვენს ქალაქში ყველანი ახალგაზრდები არიან, იმედებით სავსენი, რომელთა ცხოვრებამ სახელიც შეიძინა და აზრიც.

ქალაქს რომ ვაღორძინებდით, ისიც ვიცოდით, რომ ასირიელნი დაბრუნდებოდნენ. ვიცოდით, რომ ოდესმე ჩვენს ქალაქს ჩვენივე ხელით გადავცემდით და თან მივაყოლებდით ჩვენსავე მძიმე შრომასა და იმის შეგნების სიხარულს, რომ ჩვენი ქალაქი უფრო ლამაზი გახდა, ვიდრე ადრე იყო.

კოცონის ალმა სახეები გაუნათა ადამიანთ: ბევრნი იმდუღრებოდნენ. ბავშვებიც კი, რომლებიც საღამოს თავყრილობების ჟამს თავს იქცევდნენ ხოლმე, ყურებდაცქვეტილნი უსმენდნენ, რასაც ილია უბნობდა:

— მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ პირნათელნი ვართ ღმერთის წინაშე, რამეთუ რაც ცისგან გვევალა, ღირსეულად აღვასრულეთ. იმ საშინელ ღამემდე ის ყოველჟამს გვეუბნებოდა: ი ა რ ე თ წ ი ნ! ჩვენ კი ყურს არ ვუგდებდით. რატომ?

რატომ და, ყოველ ჩვენგანს განსაზღვრული გვქონდა ჩვენ-ჩვენი მომავალი. მე იზებელის ტახტიდან ჩამოგდება მეოცნებებოდა; იმ ქალს, ვისაც აწ გაერთიანება ჰქვია, თავისი შვილის მეზღვაურად გახდომა უნდოდა; ვინც სახელად სიბრძნე დაირქვა, დარჩენილი ცხოვრების ღვინოში ჩაკვლას ეპირებოდა. ცხოვრების წმინდა საიდუმლოს შევეჩვიეთ და მნიშვნელობას აღარ ვანიჭებდით.

და უფალმა უთხრა თავის თავს: ამათ რა, წინსვლა არ უნდათ, მაშინ, აბა, დიდხანს მოუწევთ ერთ ადგილას დგომა!

მხოლოდ ახლაღა ჩავხვდით ამ სიტყვების აზრს. მსწრაფლ მკვეთელმა ფოლადმა მრავალი ახალგაზრდა სიცოცხლე წაგვართვა, ხოლო შიშმა ასევე მრავალი გაგვიქცია ქალაქიდან. სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც ერთ ადგილას დგანან, რადგან ღმერთისგან დაკრულვას შერიგებულნი არიან.

ჩვენ კი ღმერთს ვებრძოდით. ისევე როგორც ვებრძოდით იმათ, ვინც ცხოვრებაში გვყვარებია, რამეთუ ბრძოლა ესე გვწმენდს. კურთხეულსა და უფრო ბრძენს გვხდის. უბედურება გაკვეთილად გვექცა, რაც ვალი გვქონდა ღმერთის წინაშე, მოვიხადეთ და თანაც დავუმტკიცეთ, რომ არცროდის გადავალთ ზეციერის სიტყვას და ვივლით წინ. ჩვენ ყველაზე მძიმე ჟამსაც კი წინ ვიდოდით.

ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი დრო და ჟამი, როცა ღმერთი ჩვენგან მორჩილებას ითხოვს. მაგრამ ხანაც ბრძოლისკენ მოგვიწოდებს, რათა ნება გამოგვიცადოს. და ამითვე გვაგრძნობინებს თავის სიყვარულს. ჩვენ მაშინღა ჩავხვდით ძალთაძალის განგებულებას, როცა აქბარის კედლები ჩამოიქცა: იმ ჩამოქცევამ შორს გადასწია ჩვენი ოვალსაწიერი და თითოეულმა დავინახეთ, რის თავიცა გვქონდა. ჩვენ გულისგულამდე ჩავუფიქრდით ცხოვრებას და გადავწყვიტეთ, რომ კიდევ უნდა გვეცხოვრა.

და ბევრ რამესაც მივაღწიეთ.

ილიამ შეამჩნია, კვლავ როგორ გაუბრწყინდა ხალხს თვალები. ხალხმა გაუგო, რასაც ელაპარაკებოდა.

— ხვალ უბრძოლველად ჩავაბარებ აქბარს. მე თავისუფალი კაცი ვარ და წასვლას ვერავინ დამიშლის, თუ მინდა, წავალ კიდეც, რამეთუ ყველაფერი აღვასრულე, რასაც ღმერთი ჩემგან ითხოვდა. ოღონდ ჩემი შრომა, ჩემი სისხლი და ჩემი ერთადერთი სიყვარული ამ ქალაქის მიწაწყალზე დარჩება. მაგრამ არსადაც არ მივდივარ. გადავწყვიტე, რომ ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე აქ დავრჩე და არვის დავანებო ქალაქის კვლავ დაქცევა. თითოეული თქვენგანიც თავისუფალია თავის არჩევანში, ვისაც როგორ გინდათ, ისე გადაწყვიტეთ, ოღონდ ნურცროდის დაივიწყებთ: თქვენ ბევრად უკეთესნი ხართ, ვიდრე ადრე გეჩვენებოდათ საკუთარი თავი.

თქვენ ხელიდან არ გაუშვით და მოივარგეთ ის შესაძლებლობა, რომელიც უბედურებას მოჰყვა.

ილია წამოდგა და გამოაცხადა, ჩვენი შეკრებილობა გასრულებულიაო. ბიჭი გააფრთხილა, მე გვიან მოვალ, ნუ დამელოდები, დაწექი და დაიძინეო.

●

**თავად** ბომონს მიაშურა, შემოსევის დროს ერთადერთ გადარჩენილ ნაგებობას. ბომონის აღდგენა აღარ დასჭირვებიათ, თუმცა ასირიელთ ღმერთების აღალმები მოენგრიათ. ილია გულის ფანცქალით შეეხო ბალავრის ქვას, რომელიც, ანდრეზის თანახმად, ადგილას იდგა, სადაც დაღლილ მგზავრს ოდესღაც თავისი არგანი მიწაში დაესო და მეორე დილით ველარ ამოეძრო.

ილია ფიქრმა ისრაელში გადაიყვანა, სადაც იზებელმა ასეთივე ბომონები ააგებინა, და აწ ისრაელელთა ნაწილი ბაალსა და ბაალისავე ღვთაებებს ეთაყვანებოდა. და ილიას კვლავ ამასწინანდელმა წინათგრძნობამ შეუშფოთა სული. ომი ისრაელის ღმერთსა და ფინიკიელთა ღმერთს შორის ჯერეთ კიდევ ძალიან დიდხანს გაგრძელდებოდა, უფრო დიდხანს, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. თითქოს სიზმარშიაო, ილიამ ვარსკვლავები მოიხილა, რომლებიც მზეს კვეთდნენ და დედამიწაზე ნგრევასა და სიკვდილს წარმოავლენდნენ. გაუგებარ ენაზე მეტყველი ხალხი ფოლადის ნადირთ კაზმავდა და ღრუბლებში ებრძოდა ერთმანეთს.

— მაგას ახლა არ უნდა ხედავდე, რამეთუ მაგის დრო ჯერეთ არ დამდგარა. — გაიგონა მან ანგელოზის ხმა, — გარშემო მიმოიხედე.

თქმა და ქმნა ერთი იყო. გამოღვიძებულმა ილიამ სავსე მთვარე მოიხილა, რომელიც აქბარის სახლებსა და შუკებს დაჰნათოდა. თუმცალა კი გვიანი იყო, მაინც მოესმოდა საუბარი და სიცილი. აქბარელნი კვალად შეჰხაროდნენ სიცოცხლეს და ბედის ახალი შემობრუნებისთვისაც მზად იყვნენ. მერე რა ვუყოთ, თუ მალე ქალაქში ასირიელნი შემოვიდოდნენ!

უცაბედად ვილაც ქალის ლანდს მოჰკრა თვალი. მან იცოდა, რომ ვილაცა კი არა, ის იყო, ვინც აგრერიგად უყვარდა. აწ კვლავ ამაყად დააბიჯებდა ქალაქში. მან გაუღიმა და იგრძნო, რომ იმანაც ფრთხილად შეახო სახეზე ხელი.

— მეამაყები, — უთხრა ლანდმა, — ვხედავ, აქბარი ისეთივე ლამაზია, როგორიც ადრე იყო.

ილიამ იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ მაშინვე ბიჭი მოაგონდა, რომელსაც ერთი კურცხალიც არ გადმოვარდნია, და თავი შეიკავა. მეხსიერებაში ელვასავით გაუკრთა ქვრივთან შეხვედრის ერთმანეთზე უფრო უმშვენიერესი ყველა წუთი: ქალაქის კარიბჭესთან შეხვედრიდან იმ წუთამდე, როცა ქალმა თიხის ფირფიტაზე დაუწერა სიტყვა „სიყვარული". მან კვლავ თვალი შეავლო კაბაზეც, თმაზეც, სახის მოხდენილ ნაკვთებზეც.

— შენ მითხარი, აქბარი ვარო. ამიტომაც ვზრუნავდი შენზე, გიშუშებდი იარებს და ახლა სიცოცხლეს გიბრუნებ. ძალიან მინდა, ბედკეთილი გამოდგე.

და კიდევ იმის თქმა მინდა შენთვის: მეც აქბარი ვყოფილვარ, მაგრამ არ ვიცოდი.

ილია გრძნობდა, რომ ქალი იღიმოდა.

— უდაბნოს ქარმა როდისხანია წაშალა ქვიშაზე აღბეჭდილი ჩვენი ნაკვალევი. მაგრამ მე მთელი სიცოცხლე მემახსოვრება ჩვენი შეხვედრა, და როგორც ადრე, კვლავაც იცოცხლებ ჩემს სიზმრებში და ცხადლივაც. მადლიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში შემოხვედი.

აღარსად წასულა, იქვე ბომონში გაითია ღამე, და ძილში ვრძნობდა, რა ნაზად უსვამდა ის ქალი თმაზე ხელს.

## 26.

**ვაჭართა** კრებული აქბარის გზას ადგა. წინამძღოლმა დაინახა, რომ შესახვედრად აბრანძული და აჩლაჩული ხალხი მოდიოდა. იფიქრა, დასტურ ყაჩაღები არიანო, და თანამყოლთ იარაღის მოვარგება უბრძანა.

— ვინა ხართ? — ჰკითხა მან.

— აქბაქრელნი ვართ, — მიუგო წვერიანმა კაცმა, რომელსაც თვალები უელავდნენ და კილოკავი უცხოქვეყნელს უგავდა.

— აქბარი დაქცეულია. ტვიროსისა და სიონის მესვეურთაგან ჭის მოძიება გვაქვს დავალებული, რათა ამ ტაშირზე კვლავაც იარონ ქარავნებმა. ეს სავაჭრო გზა არ უნდა გაუქმდეს.

— აქბარი ცოცხალია, — განაგრძო წვერიანმა კაცმა, — ასირიელები სადღა არიან?

— პაპაჩემის პაპასთან, — გაეცინა ვაჭართა წინამძღოლს. — სად არიან და, ჩვენს მიწას ანოყიერებენ. კარგა ხანია ჩვენს ფრინველ-ნადირს ეჭმევინებიან.

— რა ვიცი, მაგარი ჯარი კი ჰყავდათ და.

— ჯარი მაგარი ვერ იქნება, თუკი იცი, როდის უნდა დაგესხას თავს. აქბარმა იფრინდები აფრინა და შეგვატყობინა, ასირიელნი გიახლოვდებიანო. ტვიროსმა და სიდონმა ველსა სადმე წინ-წინ მახე დაუგეს. ვინც ბრძოლას გადაურჩა, ჩვენთა მეზღვაურთ ისინი მონებად დაიყიდეს.

აბრანძულ-აჩლაჩულნი ტირილ-სიცილით ერთმანეთს გულში იკრავდნენ და ულოცავდნენ ამ ახალ ამბავს.

— თქვენ ვილა ხართ? — არ ეშვებოდა ვაჭარი, — შენ გეუბნები, ვინა ხარ? — ჰკითხა მან წვერიან კაცს.

— ვინა ვართ და, აქბარის დღემოუჭმელნი მეომარნი ვართ, —მიუგო წვერიანმა.

●

**მესამე** მოსავლის აღების დროც დადგა. აქბარის ნაცვალი ჯერ ისევ ილია იყო. პირველ ხანებში ამ ამბავს ძალიან ვერ ეგუებოდა წინანდელი ნაცვალი, რომელსაც აქბარში დაბრუნება და, ადათისამებრ, თავისი ადგილის დაკავება უნდოდა. მაგრამ ქალაქის მცხოვრებთ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. მაგის ძალაუფლებას ჩვენ აღარა ვცნობთო, ის კი არა, იმუქრებოდნენ, ისევ ეგ თუ გამოგვიგზავნეს, ჭაში წყალს მოვწამლავთო. გაიძულებულნი ფინიკიის თავკაცნი დაპყვნენ

აქბარელთა მოთხოვნას. ბოლოსა და ბოლოს მთავარი თვითონ ქალაქი კი არა, წყალი იყო, რითაც ის მოგზაურთა უზრუნველყოფდა. ფინიკიელ თავკაცთ ახსოვდათ, რომ ისრაელს იმათი მეფისა ეშინოდა, განაგებდა, და თუ ძალაუფლებას ისრაელელს მიუბოძებდნენ, ამით, როგორც იმედოვნებდნენ, ისრაელთან სავაჭრო კავშირს განამტკიცებდნენ.

ილიას ნაცვლობის ამბავი სავაჭრო ქარავნებმა მთელ ქვეყანას მოსდეს. ისრაელში ცოტა ვისმესლა თუ მიაჩნდა ილია უკანასკნელ მოღალატედ, ნელ-ნელა იზებელი იმათაც ჩააჩუმებს, და ორსავე ქვეყანაში კვალად მშვიდობიანობა ჩამოვარდება. დედოფალი გულსავსედ იყო, რაკი ერთ-ერთი უბოროტესი მტერი საუკეთესო მოკავშირე გაუხდა.

●

**როცა** ქალაქში ასირიელთა ახალ შემოსევაზე ალაპარაკდნენ. ილიამ მაშინ ციხე-გალავნის კედლები ხელახლად ამოაშენებინა. თავდაცვის საქმეც სხვანაირად გამოაწყეს: აქბარსა და ტვიროსს შორის შემოსასვლელ გზას ახლა სამხედრო რაზმები და მზირები იცავდნენ. ამრიგად, თუ ვინიცობაა ერთი ქალაქი ალყაში მოექცეოდა, მეორეს ხმელეთით ჯარის მიშველება შეეძლო, ხოლო ზღვით საზრდო-სარჩენის მარაგს მიაწვდიდა.

აქბარი ყვაოდა. ახალი ისრაელელი ნაცვალი დამწერლობას გამოსალების აკრეფის მკაცრი შემოწმებებისთვის იყენებდა. უხუცესნი ფრიად ყოჩაღობდნენ ქალაქის მართვის საქმეში, ყველა გარიგება-მორიგებასა და პირობის შეკვრას ისინი ადევნებდნენ თვალყურს, ხოლო თუ რამ ჩხუბი და დავიდარაბა ატყდებოდა, დინჯად დარბაისლურად წყვეტდნენ.

ქალები მიწათმოქმედებდნენ და ფეიქრობდნენ. ჯერ კიდევ ადრე, როცა აქბარი მოწყვეტილი იყო გარე სოფელ-ქვეყანას, აქბარელმა ქალებმა ახალი რამ ქარგვის წესი მოიგონეს და საქარგავად ქალაქში რაღაც სასწაულად შემორჩენილ მცირეოდენ ქსოვილს იყენებდნენ. ბოლოსა და ბოლოს ქალაქში ვაჭრები რომ გამოჩნდნენ, ისინი ძალიან მოიხიბლნენ იქაური მქარგველების ოსტატობით, და მალიმალ სამუშაოს უკვეთდნენ.

ბავშვები ბიბლოსის წერის ხელოვნებას სწავლობდნენ. ილია დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე აუცილებლად გამოადგებოდათ.

იმ დღეს, როგორც მუდამ მოსავლის აღების წინადღით, ილია მინდვრად გავიდა და მადლი აღუვლინა ღმერთს იმ უხვი წყალობისთვის, რაც მან ბოლო ხანებში ქალაქს უყო. ილიამ შორიახლო თვალი ჰკიდა სამკლად გასულ აქბარელთ, რომელთაც ჭირნახულით პირთამდე დაევსოთ გოდრები; იქვე ბავშვები დახტოდნენ. ახალმა ნაცვალმა ხელი დაუქნია სამკვდილიან მომკელთ, ისინიც მხიარულად შეეხმაურნენ.

ზედაფრენაშემდგარმა ილიამ ახლა იმ ქვას მიაშურა, სადაც ქვრივმა ოდესლაც თიხის ფირფიტა აჩუქა, რომელზეც სიტყვა „სიყვარული" იყო გამოყვანილი. მან წესად დაიდო და ყოველდღე მიდიოდა იქ, რათა ჩამავალი მზისთვის შეეხედა და მეხსიერებაში აღედგინა საყვარელ არსებასთან გატარებული ყოველი წამი.

27.

და მესამე წელს უფალმა სიტყვა გაუგონა ილიას:

წადი, ეჩვენე აქაბს, და მე მიწასა ზედა მოვიყვან წვიმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28.

**ქვაზე** ჩამომჯდარმა ილიამ დაინახა, როგორ შეირყა და შეტორტმანდა გარშემო ყველაფერი. ცა ჩაშავდა, მაგრამ წამში კვლავ გამობრწყინდა მზე.

მან ნათელი მოიხილა. თვალწინ უფლისა ანგელოზი ედგა.

— ეს რა იყო? — ჰკითხა ზარხდომილმა ილიამ, — ნუთუ ღმერთმა შეუნდო ისრაელს?

— არა, — მიუგო ანგელოზმა, — ღმერთს უნდა, რომ შენ დაბრუნდე და იხსნა შენი ხალხი. შენი ბრძოლა ყოველთა დამბადებელთან გასრულდა, და ამწუთს მან გაკურთხა შენ. წადიო, გიბრძანა, და შენი შრომა იქ, შენს მიწა-წყალზე განაგრძეო.

ილია თავზარდაცემული იყო.

— რატომ მაინცდამაინც ახლა, როცა ჩემმა გულმა კვლავ მოიპოვა სიმშვიდე?

— გაიხსენე გაკვეთილი, რომელიც შენ მიიღე, — უთხრა ანგელოზმა, — და ისიც გაიხსენე, რა უთხრა უფალმა მოსეს:

„და გახსოვდეს მთელი გზა, რომლითაც გატარა უფალმა,
შენმა ღმერთმა,
რათა მოეთვინიერებინე და გამოეცადე,
რათა შეეტყო,
თუ რა გიდევს გულში.
როცა ჭამ და გაძღები,
და აიშენებ კარგ სახლებს და შიგ
იცხოვრებ;
და როს გაგიმრავლდება მსხვილფეხა
და წვრილფეხა საქონელი,
არ გადიდგულდე,
და არ დაივიწყო უფალი, ღმერთი შენი“.

ილიამ ანგელოზს შეხედა:

— აქბარს რაღა ვუყო?

— უშენოდაც კარგად იქნება, რამეთუ მემკვიდრეს უტოვებ. აქბარი მრავალჟამიერ იცოცხლებს.

და უფლისა ანგელოზი გაქრა.

29.

**ილია** და ბიჭი მეხუთე მთის ძირს მიუახლოვდნენ. საზორავ ქვებს შუა ბუწკნარი ამოზრდილიყო. რაც ქურუმი მოკვდა, [illegible] მერე ბაალის-

თვის და სხვა ღვთაებათათვის შესაწირავი მსხვერპლით აქ არცვინ მოსულა.

— წამო, ავიდეთ მთაზე, — უთხრა ილიამ.

— იქ ასვლა აკრძალულია.

— მართალი სარ, აკრძალულია. მაგრამ ვინა თქვა, რომ საშიშია?

მან ბიჭს ხელი ჩაავლო და ორივენი ალმართს შეუდგნენ. დროდადრო ჩერდებოდნენ და ქვევით ტაშირისკენ იყურებოდნენ. გვალვას ისე გამოეცვალა იქაურობა, თვალი ვეღარც სცნობდა. აქბარის გვერდით დამუშავებული მიწების გარდა, მთელი შემოგარენი ეგვიპტის მკაცრ უდაბნოს დამგვანებოდა.

— ჩვენმა ბიჭებმა მითხრეს, ასირიელნი ისევ მოვლენო, — თქვა ბიჭმა.

— შესაძლოა, მაგრამ ჩვენ ამაოდ არ გავრჯილვართ. ეს გზა ღმერთმა აგვარჩევინა, რათა რამე ესწავლებინა ჩვენთვის.

— არა მგონია. ღმერთს საჩვენოდ სადა სცალია, — თქვა ბიჭმა, — რა იყო, აგრე მკაცრად რატომ შოგვექცა!

— იქნებ ღმერთმა ბევრიც გვიკაკუნა, მაგრამ ვერა გაგვაგონა რა. ან რას გაგვაგონებდა, როცა ყურს არც ვუგდებდით. ჩვენ ჩვენ ცხოვრებას მივსდევდით და ის რასაც გვანიშნებდა, იმ ნიშნებს არა ვკითხულობდით.

— მერედა, სად უნდა წაგვეკითხა?

— ყველგან. რაც ჩვენ გადაგვხდა, გულისყურს თუ მივადევნებთ, ცხადი გახდება, სად არის დაფარული ღმრთისა სიტყვაც და განგებულებაც. მუდამ იმის აღსრულება ეცადე, რასაც ის ითხოვს ჩვენგან: სწორედ ეს არის ქვეყნად შენი ცხოვრების აზრი.

— თუ ეგ გავიგე, სულ თიხის ფირფიტებზე დავწერ.

— დაწერე. მაგრამ მთავარია უფლის სიტყვების გულში ჩაწერა. იქ ვერც ვერავინ წაგიშლის და ვერც ამოგწვავს, და სადაც წახვალ, ყველგან თან წარიტან.

გზა ზევით და ზევით განაგრძეს. ღრუბლებს უკვე ხელის გაწვდენაზე ხედავდნენ.

— იქით აღარ მინდა, — თქვა ბიჭმა და ღრუბლებისკენ გაიშვირა სელი.

— ეგენი ცუდს არცრას გიზამენ, ცარიელმა ღრუბლებმა რა უნდა გიყონ. გამომყევი.

მან ბიჭს ხელი ჩაავლო, და ერთ მუქარაზე აიაღმართეს. ნაბიჯ-ნაბიჯ ხშირ ნისლში შედიოდნენ. ბიჭი ზედ მიეკრა ილიას და სიტყვას არა ძრავდა, თუმცა ილია დროდადრო ეხმიანებოდა. ცოტაც და, ერთ-ორ ფრიალოსაც აივლიდნენ თუ არა, უკვე მთის წვერზე მოექცეოდნენ.

— უკან წავიდეთ, — შეეხვეწა ბიჭი.

ილია არ გასჯიუტებია. ამ პატარა ბიჭმა თავის ხანმოკლე წუთისოფელში ბევრი შიში და მწუხარება ნახა. რახან არ უნდა, არ უნდა. ილია უმალ დაჰყვა ბიჭის ნებას. მალე ნისლიდან გამოვიდნენ და ქვევით ისევ ტაშირი გადაეშალათ.

— აქბარის საწიგნე სახლში ოდესმე ერთ წიგნს ნახავ, რომელიც შენთვის დავწერე. სახელად „რჩევა-დარიგება სინათლის მხედარს“ დავარქვი.

— მე ვარ სინათლის მხედარი? — ჰკითხა ბიჭმა.

— შენ თუ იცი, მე რა მქვია? — ახლა ილია შეეკითხა.

— განთავისუფლება.

— აქ ჩამომიჯექი, — უთხრა ილიამ და რომელ ქვაზეც ჯდა, ცოტა გვერდით გაიწია. — მე არ უნდა დამავიწყდეს ჩემი სახელი, შენთან დარჩენა კი ძალიან მინდა, მაგრამ ჩემი გზა მაინც უნდა განვაგრძო. სწორედ ამიტომ აღდგა აქბარი, რომ ჩვენთვის წინსვლა ესწავლებინა, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს გასავლელი გზა.

— შენ წახვალ, ვიცი.

— საიდან იცი? — გაიკვირვა ილიამ.

— ეს წუხელ თიხის ფირფიტაზე დავწერე. რაღაცამ მიკარნახა, იქნებ დედაჩემიც იყო, ან იქნებ სულაც — ანგელოზი. მაგრამ მე უკვე ვგრძნობდი ამას ჩემს გულში.

ილიამ თავზე ხელი გადაუსვა.

— შენ უფლისა ნება შეგიტყვია, — გაიხარა მან, — ესე იგი, შენ აღარაფრის ახსნა აღარ გინდა.

— მე ნაღველი ამოვიკითხე შენს თვალებში. სულაც არ გამჭირვებია. ჩვენმა ბიჭებმაც შეგატყვეს.

— ნაღველი, რომელიც თქვენ ჩემს თვალებში ამოიკითხეთ, ჩემი ცხოვრების მხოლოდ ნაწილია, მაგრამ სულ რამდენიმე დღე გაგრძელდება. ხვალ, როგორც კი იერუსალიმის გზას დავადგები, უკვე ცოტა გულს მომეშვება, და ნაღველიც თანდათან გაივლის. ეგრეა, დარდი თავს მალე გვანებებს, როცა ჩვენი ოცნების შესახვედრად მივდივართ.

— ნუთუ სულ მუდამ წასვლაა საჭირო?

— მთავარი იმის დროულად მიხვედრაა, რომ შენი ცხოვრების ერთი ნაკვეთი უკვე განვლე. თუკი შენთვის განკუთვნილ ვადაზე მეტად დაყოვნებას მოინდომებ, ცხოვრების სიხარულსაც დაკარგავ და აზრსაც. და იქნებ უფლისგანაც დაისაჯო.

— უფალი მკაცრია.

— მხოლოდ რჩეულთათვის.

●

**ილია** ზემოდან გადმოხედა აქბარს, ნამდვილია, ხანჯამიერად უფალი მართლაც ძალიან მკაცრია, მაგრამ არა იმდენად, რომ ადამიანმა ვერ გაუძლოს იმის რისხვას. ბიჭმა არ იცოდა, რომ სადაც ისხდნენ, ილიას სწორედ იმ ადგილას გამოსცხადებოდა უფლისა ანგელოზი და იქ ესწავლებინა, როგორ უნდა გამოებრუნებინა ბავშვი სულეთის ქვეყნიდან.

— ჩემს წასვლას ინალვლებ? — ჰკითხა ილიამ.

— შენ აკი მითხარი, დარდი მალე გადის, თუ წინ მივდივართთ, — მიუგო ბიჭმა, — ჯერ სად არის, აქბარს კიდევ ბევრი რამ უნდა, ისეთი

ლამაზი რომ გახდეს, როგორც დედაჩემს ეკადრება. სულ ქალაქში ვხედავ, თავს არ ანებებს.

— აქ ამოდი ხოლმე, როცა რამეში დაგჭირდე. პირით იერუსალიმისკენ მიბრუნდი: გახსოვდეს, რომ იქ ვიქნები და იმდენს ვიღონებ, ერთხელაც გავამართლებ ჩემი სახელის აზრს — გაანთავისუფლებას, ჩვენი გულები საბოლოოდ გადაბმულიყოს.

— მაგისთვის ამომიყვანე მეხუთე მთის მწვერვალზე, ისრაელი რომ დამენახა?

— ამოგიყვანე, რათა დაგენახა ტაშირი, ქალაქი, სხვა მთები, კლდეები და ღრუბლები. უფალი ჯერ კიდევ ადამპაპის დროიდან ავალებს თავის წინასწარმეტყველთ მაღალ მთებზე ასვლას, რათა სალაპარაკოდ ახლოს იყოლიოს ისინი. მე ყოველთვის ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ღმერთს ეს რისთვის სჭირდება-მეთქი, ახლა კი უკვე ვიცი პასუხი: მთის წვერიდან უკეთესად მოჩანს, რა უმნიშვნელოა ყოველივე, რაც ქვევით არის.

ჩვენი არც ერთი გამარჯვება და არც ერთი გადატანილი დარდი უკვე ისე მნიშვნელოვანად აღარ გვიჩანს. თუ რამისთვის მიგვიღწევია ან თუ რამ დაგვიკარგავს, იქ არის, ქვევით. მთის წვერიდან კარგად ხედავ, რა უკიდეგანოა ქვეყნიერება და რა ფართოა თვალსაწიერი.

ბიჭმა გარშემო მიმოიხედა. შორს, ტვიროსის სანაპიროს ზღვა რომ ეკვროდა, იმ ზღვის სუნი ეცა და ეგვიპტის უდაბნოდ წამოსული ქარის ქროლაც იგრძნო.

— ოდესმე აქბარს მე ვმართავ, — უთხრა მან ილიას, — ვიცი, ქვეყანა დიდია, მაგრამ ამ ქალაქში ჩემთვის ყველა კუთხე-კუნჭული ნაცნობია. ისიც ვიცი, რა არის აქბარში შესაცვლელი.

— იცი და შეცვალე. ნურცრას დატოვებ შეუცვლელს.

— ნუთუ ღმერთს არ შეეძლო სხვა გზაზე ჩვენი შეყენება? იყო დრო, როცა ღმერთს მკაცრად მივიჩნევდი.

ილია გაჩუმდა. სად იყო, სად არა, იმ ლევიელ წინასწარმეტყველთან ლაპარაკი წამოაგონდა, რომელთანაც ერთად მრავალი წლის წინათ თავლაში იჯდა, და შიშისგან გათანგულნი წუთი წუთზე ელოდნენ, როდის შეუცვივდებოდნენ იზებელის მეომარნი და როდის ჩახოცავდნენ.

— განა ღმერთს ბოროტობა, ბოროტად ყოფნა შეუძლია?

— ღმერთი ყოვლისშემძლეა, — მიუგო ილიამ, — ღმერთს ყველაფერი შეუძლია, იმისთვის არცრა აკრძალული არ არის. სხვანაირად, უფრო ძლიერი და უფრო მძლავრი ვინმე იარსებებდა, ვინც ღმერთს ძალაუფლებას შეუზღუდავდა. მაშინ მე ვამჯობინებდი, რომ თაყვანი მეცა და პატივი მიმეგო იმ უფრო ძლიერი და უფრო მძლავრი ვინმესთვის.

მან რამდენიმე წამს შეიცადა, ბიჭი ჩემი ნათქვამის აზრს კარგად ჩახვდესო, და განაგრძო:

— მაგრამ ღმერთმა, ესოდენ უსაზღვრო ძალაუფლების მქონემ, მხოლოდ კეთილის ქმნა იზრახა. ცხოვრებაში რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვიძენთ, მით უკეთესად გვესმის და უკეთესად ვხვდებით, რომ

კეთილი არცთუ იშვიათად სიბოროტის საფარველქვეშ იმალავს თავს, მაგრამ ამის გამოისად თავის კეთილობას სულაც არა კარგავს. კეთილი უფლის განგებულების ოდენ ნაწილია ადამიანებთან ურთიერთობაში.

ილიასა და ბიჭს გზაში ხმა ალარ ამოუღიათ, ისე [illegible] აქბარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

**იმ** ღამეს ბიჭი დასაძინებლად ილიასთან დაწვა და მაგრად ჩაესუტა.

ირიჟრაჟა თუ არა, ილიამ ფრთხილად გაითავისუფლა თავი ბავშვის მკლავებისგან, არ უნდოდა, გაღვიძებოდა.

მერმე თავისი ერთადერთი საცმელი მოიცვა და სახლიდან გავიდა. გზაში ჯოხს რასმე შეავლო თვალი, არგნად გამომადგებაო, დაიხარა და აიღო. ერთი ფიქრით ისიც კი იფიქრა, არცროდის გადავაგდებო. ამ მიწა-წყალზე ბედად ნაპოვნი არგანი უთუოდ გაახსენებდა ხოლმე, როგორ ებრძოდა ღმერთს, როგორ დაიქცა და როგორ აღორძინდა აქბარი.

უკან ალარ მოუხედავს, ისე გაჩქარდა ილია ისრაელისკენ.

## 30.

**ხუთი** წლის შემდეგ ასირია ისევ დაესხა თავს ფინიკიას. ამჯერად ასირიელთა ჯარი უკეთესად იყო გაწვრთნილი, ხოლო წინამძღოლნი — ფრიად გამოცდილნი, დამზნილნი. უცხოქვეყნელ დამპყრობელთა ხელქვეითი აღმოჩნდა სრულიად ფინიკია, გარდა ტვიროსისა და სარეპტისა, რომელსაც მცხოვრებნი აქბარად იცნობდნენ.

ბიჭი გაიზარდა და ქალაქის თავკაცი გახდა. თანადროელთ ბრძენად მიაჩნდათ. სიცოცხლით ძალიან ბევრი იცოცხლა და თავის ახლობელთა ხელში მოკვდა. სიკვდილის წინ სულ იმას იმეორებდა, ქალაქს სილამაზე და ძალა უნდა შევუნარჩუნოთო, რადგან დედაჩემი დღესაქამომდე აქ ტრიალებსო. თავდაცვის ერთობლივი თადარიგის წყალობით ტვიროსი და სარეპტა გრძელჟამიერად ეწინააღმდეგებოდნენ მომხდურთ. მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 701 წელს, ამ წიგნში აღწერილი ამბებიდან თითქმის 160 წლის მერმე, ისინი ასურეთის მეფემ სენახერებმა დაიპყრო.

იმ დროიდან მოკიდებული ფინიკიურმა ქალაქებმა ველარ აღიდგინეს თავიანთი გარდასული სახელ-დიდება. მრავალი განსაცდელი და თავდაცემა გადაიტანეს: ახალბაბილონური, სპარსული, მაკედონური, სელევკიდური და, ბოლოს, რომაული. და მაინც, ეს ქალაქები ჩვენს დრომდე შემორჩნენ, რამეთუ ძველი თქმულებისდა თანახმად, ღმერთი

ალალბედზე არ ირჩევს ადგილებს, თუ იქ ადამის ტომის დასახლებას ეპირება. ტვიროსი, სიდონი და ბიბლოსი დღესაც ლიბანს ეკუთვნიან, რომელიც ჯერ ისევ ბრძოლის ველად რჩება.

ქართული ბიბლიოთეკა

## 31.

**ილია** დაბრუნდა ისრაელში და წინასწარმეტყველნი ქარმელის მთაზე შეკრიბა. ისინი იქ ორად გაყო, ერთნი იყვნენ, ვინც მაალს ეთაყვანება, ხოლო მეორენი, ვისაც უფალი სწამს. ანგელოზის რჩევისდა კვალად, მან ბოლოს წინასწარმეტყველთ ზვარაკი მიჰგვარა და უთხრა, შესთხოვეთ ცას, რომ ძღვენი შეგიწიროთო. ბიბლიაში თქმულია:

„შუადღისას დაუწყო ილიამ იმათ დაცინვა და უთხრა: იხმამაღლეთ და ისე დაუყვირეთ, რადგან იგი ღმერთია; იქნებ ჩაფიქრებულია ან რამე უჭირს, ანდა გზაშია, ან იქნებ სძინავს.

და აყვირდნენ ისინი, ხმა გაიმყივარეს, და, თავიანთი ჩვეულებისამებრ, სატევრებითა და შუბებით ტანს ისერავდნენ, მაგრამ არც ხმა ისმოდა, არც პასუხი, არც ჩქამი.

და ახლა ილიამ შესწირა მსხვერპლად თავისი ზვარაკი, როგორც უფლისა ანგელოზმა ასწავლა. იმწუთას წარმოვლინდა ცეცხლი უფლისა და შთანთქა საკვერთხი, მრგვალად დასაწველი შესაწირავი, აგრეთვე შეშა და ქვები". ცოტა ხანში კი კარგად ძლიერი წვიმა წამოვიდა და ბოლო მოუღო გვალვას.

ამის შემდეგ ერთბაშად ისრაელში სამოქალაქო ომი ატყდა. ილიამ ყველა იმ წინასწარმეტყველის სიკვდილით დასჯა მოინება, ვისაც კი უფლისთვის ეღალატა. მაშინ იზებელმა ილიას მოძებნა და მოკვლა უბრძანა. ის კი მეხუთე მთის იმ მხარეს იმალებოდა, ისრაელისკენ რომ იყო მიქცეული.

სირიელთ დაიპყრეს ქვეყანა და მოკლეს მეფე აქაბი, ტვიროსელი მეფისა ასულის ქმარი. აქაბი ვიღაცისგან ალალბედზე ნასროლმა ისარმა დაჭრა, ჯაჭვის პერანგის ნაწიბურში გავლილმა. იზებელი თავის სასახლეში იმალებოდა. ხალხი ღელავდა, ხან სად იფეთქა აჯანყებამ, ხან სად. მთავარიც ხან ერთი ხდებოდა, ხან მეორე, და ერთ-ერთი გადატრიალებისას იზებელს მიაგნეს. მაგრამ მან ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია და სასახლის ზედა სართულის სარკმლიდან გადმოვარდა.

ილია მთაზე დარჩა თავისი სიცოცხლის ბოლომდე. ბიბლია გვაუწყებს, რომ ერთხელ, როცა ის ელისეს ელაპარაკებოდა, თავის მემკვიდრედ გამორჩეულ წინასწარმეტყველს, — გამოჩნდა ცეცხლოვანი ეტლი, რომელშიც ცეცხლოვანივე რაშები ებნენ, ერთმანეთს გაჰყარა ისინი, და ცად ავიდა ილია ქარბორბალათი.

თითქმის რვაასი წლის შემდეგ, მაღალ მთაზე ერთად ავიდეთო, იესომ თავისთან მიიხმო პეტრე, იაკობი და იოანე. მათეს სახარება გვაუწყებს, რომ იესომ „იმათ თვალწინ ფერი იცვალა; სახე მზესავით გაუბრწყინდა, ხოლო სამოსელი ნათელივით გაუსპეტაკდა. და, აჰა, მოეცხადნენ მოსე და ილია და საუბარი გაუბეს იესოს".

იესომ მოციქულთ სთხოვა, ამ ხილვას ნურვის გაუმხელთ, სანამ ძე კაცისა მკვდრეთით არ აღსდგებაო, იმათ კი მიუგეს, ეგ მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ილია დაბრუნდებაო.

ამ ამბის დასასრული ასეა გადმოცემული შემდეგ (მათე, 17:10-13):

და ჰკითხეს მოწაფეებმა და უთხრეს: „რატომ ამბობენ მწიგნობარნი, პირველად ილია უნდა მოვიდესო?“ ხოლო მან პასუხად მიუგო და უთხრა: „ილია პირველად მოვა და შეამზადებს ყოველს, მაგრამ, გეუბნებათ, რომ ილია უკვე იყო მოსული და ვერ იცნეს იგი. თანაც კიდევ შავი დღე აყარეს“.

მოწაფენი მაშინ მიხვდნენ, რომ იესო იოანე ნათლისმცემელზე ელაპარაკებოდა.

## 32.

ყოვლადწმინდაო ქალწულო, რომელმან უბიწოდ მუცლად იღე, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სასოებამან შენმა არ გვარცხვინოს ჩვენ.

ინგლისურიდან

თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ**

## ედგარ ლი მასტერზი

### დუმილი

ვიცნობ ზღვისა და ვარსკვლავების შორეულ დუმილს,
ქალაქის გაყუჩებაც მიგრძვნია, რაღაც პაუზისმაგვარი,
ჭაბუკის გამოლენჩებაც, ქალიშვილის გარინდებაც;
ისეთი სიჩუმეც განმიცდია, მარტო მუსიკა რომ წვდება,
თუნდაც ხეების გაფაციცება გავიხსენოთ,
    გაზაფხულის ქარებს რომ ელოდებიან.

სულ სხვაა სიჩუმე კუტი კაცისა,
ოთახში რომ თვალებით დადის.
მაშინ
რა სიღრმეების გამოსახატავად არსებობს ენა?
— ბოკვერი რომ მოუკვდება,
მხეცი ერთი-ორჯერ თუ ამოიგმინავს.
და რამდენ რამეს ჩვენც უხმოდ ვიტანთ,
სიტყვასაც ვერ ვძრავთ.

ცნობისმოყვარე ბიჭი
საბაყლოს წინ ჩამომჯდარ ჯარისკაცს ეკითხება —
სად დაჰკარგეთო ფეხი?
გაოგნებულია ბერიკაცი —
მისი ფიქრები სადღაც მიჰქრიან,
გეტისბერგს ასე უცებ ვერ გაიხსენებს.
წუთის მერე — დათვმა მომაგლიჯაო,
გაიხუმრებს.
ბიჭს უკვირს,
ხოლო ბერიკაცის თვალწინ
ელიმღამოდ და ზერელედ ჩაივლის ომის სურათები —
ოოფებისა და ზარბაზნების გრიალ-ზრიალი,
მომაკვდავთა კვნესა.

აი, თვითონაც დაეცა...
მერე ჰოსპიტალი,
ქირურგები, ლაპლაპა ლანცეტები
და საწოლში გატარებული გრძელი დღეები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას რომ ყველაფრის დახატვა შესძლებოდა,
მხატვარი იქნებოდა.
მაგრამ მხატვარი რომ ყოფილიყო,
სულში ისეთი ღრმა ჭრილობები გაეხსნებოდა,
ხელსაც ვერ გაანძრევდა.

დიდი სიძულვილის სიჩუმეც არსებობს
და უსასრულო სიყვარულის დუმილიც გასლავთ.
სულის სიმშვიდეც მახსოვს ბევრი, თოვლივით წმინდა
და მეგობრის ღალატით გამოწვეული უთქმელობაც.
უიმედობის დამთრგუნველ სიჩუმეზე რას იტყვით —
მთელი გულმოდგინებით ვიღაცისაგან შეურაცხყოფილს
როცა გამოუთქმელი ხილვები გნუსხავს
და ამაღლებული ცხოვრების სიცივეს განიცდი?
ღმერთების დიდი მდუმარებაც არსებობს სადღაც —
მათ ხომ ერთმანეთს მხოლოდ უხმოდ უნდა გაუგონ!
ცნობილია დამარცხებულის უსიტყვო მორჩილება
და უდანაშაულოდ დასჯილის დასამარება.
სიკვდილის წინ კაცი თურმე გაინაბება
და მახლობელს ხელს ხელზე უჭერს,
რომ იმ დიდმნიშვნელოვანი
წუთის სიმშვიდე არ დაურღვიონ.
ღრმა დუმილია მამასა და შვილს შორის ხშირად.

ცხოვრობენ, მაგრამ ნახევარჯერ სდუმან ცოლ-ქმარნი.
სდუმს უიღბლო და ხელმოცარულიც.
თავდავიწყება დანთქავს ხოლმე დანგრეულ ერებს.
გაძევებული ბელადები პირში წყალს იგუბებენ.
ულატაკესი სიყრმიდან გამოყოლილ დუმილს
მერეც ხშირად გაურინდებია აბრაჰამ ლინკოლნი.
ვატერლოს შემდეგ ნაპოლეონი გაოგნებული იყო.
დუმილს უდრიდა მოგიზგიზე კოცონზე
ჟანა დარკისაგან თქმული „წმინდაო იესო!“ —
ამ ორ სიტყვაში მთელი მისი ტანჯვა და იმედი უნდა
მიეუჩებულიყო.

სიწყნარე მოსდევს ხანსა და ასაკს —
იმ სავსე სიბრძნეს ენა ვერ იტყვის —
და მის ძუნწ სიტყვებს ვერ იგებენ უასაკონი.
ბოლოს და ბოლოს მიცვალებულის მდუმარებაც
არსებობს.

თუკი ჩვენ, ცოცხლები,
ცხოვრების ყველაზე ღრმა და ვიწრო ლაბირინთებზე
ვერაფერს ვამბობთ,
რაღად გვაკვირვებს მკვდართა დუმილი?
იმათ დუმილსაც გავიგებთ ბოლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რობერტ ფროსტი

### შესვენება ტყეში ზამთრის ღამეს

ვიცი, ვისია ეს ტყე ულრანი —
შორსაა მისი ეზო-ბუხარი
და არც კი იცის, რომ ჩუმად, მარტო
ვუყურებ მის ტყეს და გულს უხარის.

ცხენი კი უნდოდ მიყურებს
პატრონს,
რაკი ჭკვიანურს ვერაფერს
მატყობს —
აქ ქოხიც არ დგას და მხოლოდ
ბნელი
ტყეა და შორით ტბა მოჩანს ფართო.

შეაჟღარუნებს ეჟვანს და ელის,
კვლავ იცნოს ჩემში მხედარი ძველი,
მაგრამ პასუხად ათასი თრთოლვით
ტყეს ახმოვანებს ფიფქები სველი.

კარგია ტყეც და ფიფქების ბროლიც,
მაგრამ სიტყვასაც ვერ გავტეხ,
მგონი,
და წინ სავალი გზა მიდევს შორი,
წინ ხომ სავალი გზა მიდევს შორი.

### საძოვარი

დღეს ჩვენი წყაროს სათავეს
ვწმენდავ —
ქვიშას დავაყრი, ხოლო სადაც კი
ხმელ ფოთოლს ვნახავ, უცებ
გავაცლი
და მალე მოვალ. — წამოდი ჩემთან.

ხბოს წამოვიყვან — სუსტსა და
ფერმკრთალს,
ჩანს არ უხდება დედის ალერსიც.
ავირბენ ეგერ იმ ნალვარევში
და მალე მოვალ. — წამოდი ჩემთან.

### თოვლი

სულ სამნი იყვნენ. წამით შედგნენ, მიაყურადეს
ქარს, კარ-ფანჯრებს რომ მიენარცხა, მოხვეტა თოვლი,
გადაყლაპა და უცებ ისევ გაუჩინარდა.
ცოლ-ქმარი იყო მათგან ორი, გვარად კოლები,
თბილ ლოგინიდან წამოჰყარა ღამის სტუმარმა.
ვეება ქურქში ჩია კაცი ჩანდა მეზერვი.

მას, როგორც სტუმარს, უნდა ეთქვა პირველი სიტყვაც,
ჩიბუხის ტარი გაიშვირა კარისკენ უკან
და თქვა: „აქედან, რა თქმა უნდა, თქვენც კარგად ხედავთ
ცისკენ ქათქათა ეტრატივით გაშლილ სახურავს,
ოდითგან ჩვენი სახელები რომ აწერია. —
მოდი, მეუღლეს დავურეკავ თქვენი ნებართვით,
ვეტყვი, რომ შორს ვარ და შინ ვინძლო გვიან მივიდე.
არ შევაწუხებ, ჭკუა თუ აქვს და ლოგინში წევს,
არც მიპასუხებს“, — და ნომერი დინჯად აკრიფა.
„რაო, ლეთ, ნუთუ ჯერ არ გძინავს, მე კოლებთან ვარ
და გვიან მოვალ. დავრეკე, რომ ძილი ნებისა
მესურვებინა, ვიდრე დილით მანდ გეტყვი სალამს,
მოვალე ვიყავ როგორც ქმარი — დიახ, ლეთ, გესმის.
მაგრამ, მე მგონი, სულ ერთია. ასეთი რამე
აღარ მოხდება მომავალში. ცოტაც მაცალე,
ერთი საათიც შემომწირე, სამი საათი,
თავდება-მეთქი უსაშველო სიმძიმე, აწი
დასვენების და ლხინის დროა — შორს გულგრილობა, —
თავი გადადეს და ორთავე იმ სიხარულის
წუთს ინაწილებს, ორივენი ბედელში სხედან.
მეც მალე მოვალ, საყვარელო... სხვა რაღა გითხრა?“
და ის იმ სიტყვას დაელოდა, რომელსაც ცოლი,
კარგად იცოდა, არ ეტყოდა, თქვა — ნახვამდისო
და ჩამოჰკიდა ტელეფონის ყურმილი უცებ.
მაგიდას უსხდნენ სამივენი, თავჩაქინდრულნი,
ბოლოს მეზერვმა თქვა: „წავალ და ცხენებს დავხედავ“.
„წადით“, — ცოლ-ქმარმა თითქმის ერთხმად მიუგო
სტუმარს.
მერე კი ქალმა დაუმატა — „ფრედ კოლ, აქ დარჩი,
ჰო, ძმაო მეზერვ, დამიტოვეთ, საქმე მაქვს ფრედთან,
ჯიხურისაკენ გზა, მე მგონი, არ აგერევათ?!“
„იმედი გქონდეთ, სულ ადვილად მივაგნებ, კარზე
ჩემი სახელიც აწერია. ჩემს ბავშვობაში
თითქმის ყოველდღე ვთამაშობდი...“
„მიხედეთ ცხენებს
და მალე მოდით. — ფრედ, იოლად დაგიყოლია,
შენ ყველაფერზე თანახმა ხარ!“
„აბა, რა ვიცი.
შენ რას აპირებ?“
„რა ვქნა, უკვე ძმა დავუძახე.
ეგების, შევცდი, დავიბენი?“
„არა მგონია.
აქ ამ კაცს ყველა დიდ-პატარა ასე მიმართავს,
მისი ნათლობის სახელი ხომ არავინ იცის!“
„რა უგავს მაგას ქრისტიანის? თან, ვერ შეხედე,
როგორ იშნო და შეიფერა! მართალი გითხრა,

არც მიფიქრია ამით მისი გულის მოგება,
ღმერთია მოწმე! ეგ კი არა, თუ დამიჯერებ,
გულს მირევს მისი უწლოვანი ათივე შვილი,
მე მძულს მაგათი უდღეური და მყრალი სექტაც,
თურმე სულ რაღაც ორიოდე კაცი ჰყავს მრევლად,
ასეც უქნიათ, ამომწყდარან! — ერთი შეხედე,
თორმეტი ხდება! — ჩვენი სოფლის მაღაზიიდან,
ხომ გახსოვს, ზუსტად ცხრა საათზე გამოვედიო —
თითო საათში მხოლოდ თითო მილი უვლია,
ან ცოტა მეტი. გაგიჟდება კაცი, ღმერთმანი —
ეგ უბედური კი არ დადის, დაბობღავს თურმე.
ფრედ, შენი აზრით, მთელი ეს დრო რას აკეთებდა?
წინ კიდევ სამი მილი უდევს".
„დილამდე დარჩეს.
ნუ მოეშვები, იქნებ, მართლაც რამე დასტყუო.
ეგეთი კაცი ქვეყანაზე არაფერს მალავს,
სულ ჩაგიკაკლავს ერთ საათში, თუ რამე იცის,
არც ის ადარდებს, მერე ხალხი რას იტყვის მასზე.
მანამდე რამეს მოვიფიქრებ. იქნებ, შენც სცადო".
„რა დაჰკარგვია ამ ღამეში, რას დაყიალობს,
შინ რად არ დარჩა?"
„სადმე იყო, იქნებ, ქადაგად".
„ამ ყიამეთში?"
„მოწრიპული კაცია, მაგრამ
კაჟივითაა, რას დააკლებს შენი ქარბუქი!"
„ცუდი თამბაქოს სუნითაც ყარს".
„ეგ არაფერი".
„შენ ის მითხარი, ახლომახლო თუ გეგულება
მეორე სახლი, სადაც მაგას მიესვლებოდეს?
მოდი, მე მის ცოლს დავურეკავ".
„ქმარს დავაცალოთ.
მაინტერესებს ცოლი კვლავ თუ გაახსენდება,
მაგრამ ის მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, მე მგონი,
და სულ ერთია მისთვის, ალბათ, სხვა ყველაფერი".
„აი, ნახე, თუ შინ დაბრუნდეს!" „ახლა ღამეა".
„ის მაინც ვიცი, რომ ეგ ცოლთან ღმერთს არ ახსენებს".
„რადგან ღვთაების წილხვედრილად არც მიაჩნია".
„შენც ასე ფიქრობ? მას ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ,
აი, ამ წუთშიც იგი რაღაც სასწაულს სჩადის,
მხოლოდ უჩუმრად, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ მართლა
მოიმოქმედა ზეკაცური, ქვეყანას შეჰყრის
და ქვად იქცევა, თუ დამარცხდა. ხმას არ გაიღებს.
უსიტყვოდ ჩავა სამარეშიც. ოჰ, აი დარდი!
იმის უფლება მაინც ხომ მაქვს, არად მიმაჩნდეს
მაგის ცხოვრებაც და სიკვდილიც, ანდა რა მცვნია
ვილაც თაღლითის აღზევება ცრუწმინდანური!"

„არ მჯერა შენი. ვიცი, გინდა დიდხანს იცოცხლოს“.
„შენ უფრო გულზე გახატია“. „შენ? შენ არ მოგწონს?“
„მე „ზეკაცობა“ მეზიზღება მისი, რისთვისაც
შენ პატივს სცემ, ეთაყვანები“. „მაშ, გეზიზღება?!
ჰელენ, რა კარგი ხუმარა ხარ! ქალები მუდამ
მაგ თვალთმაქცობით აწონებენ თავს მამაკაცებს;
ისე შეგვარცხვენთ, ალარ ძალგვიძს ბრძოლას შორიდან
ვადევნოთ თვალი, რომ ბოლოს ჩვენც არ ჩავერიოთ.
მაგან იკითხოს, ახლა სწორედ მაგის ჯერია.
მოდის. მთლიანად გითმობ, ჰელენ, ეცადე იხსნა
და ჭკუაზედაც მოიყვანო. — მობრძანდით, მეზერვ.
აგერ დაბრძანდით. ხომ არ უჭირთ რამე თქვენს
ცხენებს?“
„არა, გეთაყვა“. „ამალამვე აპირებთ წასვლას? —
სხვა აზრისაა ჩემი ცოლი — დარჩესო ჩვენთან“.
„ღამე აქ უნდა გაათიოთ, ნუ მაწყენინებთ!
თუ გინდათ ცოლმა გადაწყვიტოს — რა გიპასუხათ,
როცა ამას წინ დაურეკეთ?“
სახეზე ნერვიც
არ აუტოკდა ბატონ მეზერვს. ხმა არ გაიღო,
თვალი მოჭუტა — ლამფის შუქმა თუ შეაწუხა.
საჩვენებელ თითს კაკვავდა და შლიდა, თითქოსდა
თავის საკუთარ დამჭნარ ხელზე მიანიშნებდა,
რომელიც მუხლზე ედო მშიერ ობობასავით.
„გადაშლილ წიგნში ფურცელს ვხედავ! — მაშინ შეინძრა
და აიყალყა, ამ ოჯახში რომ შემოვედი,
არც გადახრილა იმის შემდეგ. თქვენც კარგად ხედავთ,
არც იქით მიდის, ალარც აქეთ. მე ისლა მრჩება,
ახლა აქედან რაღაც აზრი გამოვიტანო:
ფურცელი წინ თუ გადიხარა, განგების ძალა
თითქოს გავალებს — მწამს და ვამბობ — მოჰკიდო ხელი
სწორედ იმ საქმეს, რაც წინ გიდევს. უკან თუ წავა —
ეს სინანულის ნიშანია, რომ უკვე შეცდი
და ვერ შენიშნე რაღაც კარგი და სანუკვარი.
ნუ დალონდებით, — ჩვენს თვალწინ ხომ ყველა საგანმა
მრავალჯერ უნდა ჩაიაროს — იმას ვერ გეტყვით,
ზუსტად რამდენჯერ — გააჩნია თვითონ საგანსაც —
ბევრჯერ ჩაიარს, სანამ ბოლოს არ გაცხადდება.
არის მეორე თვალთახედვაც — თითქოსდა ორჯერ
ერთი საგანი კაცს არასდროს არ ეჩვენება.
რას დაუჯეროს ადამის ძემ, როგორ მოიქცეს?
ცხოვრებას ჩვენსას გავამართლებთ იმდენად, საგნებს
ჩვენ რამდენადაც ვუპასუხებთ გულის სიღრმიდან.
თავისი ხიბლი ახლავს ყველა განმეორებას.
თავად არ იძვრის ეგ ფურცელი — სიოს ბიძგს ელის,
არას არგებდა სიო, თვითონ რომ დაძრულიყო.

მისით შეირხა; აქ, ოთახში რა უნდა სიოს,
თანაც იმდენად მგრძნობიარედ შეთრთოლდა, თითქოს
რაღაც იგრძნო და გაიაზრა — მაშინ ნიავმა
რად არ გაზიდა შავი კვამლი ნავთის ლამპიდან,
ან ნაგაზს რად არ აუწეწა ბალანი ყელზე?
თქვენვე ჰქმნით, თვითონ თქვენ წარმოშობ
ჰაერის ნაკადს,
თბილია იგი, მსუბუქი და ძილივით მშვიდი,
ვერაფერს აკლებს წყვდიადი თუ ცივი ქარბუქი.
ცხოველი სული ჩაუდგით და შვება მიაგეთ
ლამპასაც, ძაღლსაც და გაშლილი წიგნის ფურცელსაც,
თქვენთან რომ თავი მოუყრიათ, თუმც ძალზე ხშირად
სულის შვება და მყუდროება თავად გაკლიათ,
სხვებს ამიტომაც უნაწილებთ ასე გულუხვად.
უმწეობაა ადამის ძის ბედოვლათობა.
ალბათ, მე უნდა გადავფურცლო დღეს ეგ ფურცელი!"
„კი არ გაჩქარებთ, ძმაო მეზერვ. მსურს ახლა მაინც
გადაწყვიტოთ და ღამე მართლაც აქ გაათიოთ.
მინდა ფარდები გადავწიო, რომ დაგანახოთ
რა გულსაკლავად, რა საშინლად თოვს დაწყევლილი, —
ვერ არჩევთ სპეტაკ სიქათქათეს მშრალი ყინულის
სითეთრისაგან? ჰელენს ჰკითხეთ, ამ ორ საათში
თოვლმა რამდენზე მოიმატა ფანჯრის რაფასთან".
„თითქოსდა განზრახ, ვიღაც სახეგადატეტკილმა
ფანჯრის ჩარჩოებს მიაჭყლიტა თეთრი ლოყები —
იქნებ, როგორმე გაიცხადოს, ადამიანებს
რა აქვთ საერთო, რად ვერ ძლებენ უერთმანეთოდ,
მაგრამ პატარა ჭკუის გამო ვერაფერს მიხვდა,
ამაოდ დაშვრა და რაფაზე ჩამოეძინა,
ანდა კისერი, თეთრი სოკოს ფეხისმაგვარი,
იმწამსვე მოტყდა, შემოძრომა როცა გაბედა
და მიიცვალა უბედური".
„ო, ძმაო მეზერვ,
ასე მგონია, ჩვენზე უფრო თავს თქვენ იშინებთ
ამ კოშმარით და უცნაური შედარებებით,
ჰო, ჩვენ რა გვიჭირს, თქვენ იკითხეთ — ორიოდ წუთში
გარეთ ისევ თქვენ, თანაც მარტო უნდა გახვიდეთ".
„აცალე, გული მოიოხოს და ვინძლო დარჩეს".
„სანამ მაგ ფარდას დაუშვებდეთ, ამბავს გიამბობთ:
გახსოვთ ის ბიჭი, ერთ ზამთარს რომ დასასვენებლად
სოფელს ესტუმრა? ევერისთან დადგა, მე მგონი.
ერთხელ, ქარბუქის შემდეგ, დილით ჩემი სახლის წინ
ჩამოიარა; მახსოვს, ნიჩბით თოვლს ვაქუჩებდი
და ოთახი რომ დამეთბუნა, რაფებზე ვყრიდი.
თურმე ძალიან გავაოცე ყმაწვილი კაცი —
მომწონსო თქვენი უჩვეულო გამჭრიახობა, —

ჰო, ასე მითხრა, — რაკი გარეთ დიდი თოვლი დევს,
შინ, ცეცხლის პირას, უფრო ზუსტად და ხელმომჭირნედ
ანაწილებთო რაციონს და დღიურ ულუფას,
მაგრამ თოვლისგან ორ ზამთარსო მაინც
ვერ შეჰქმნით", —
თქვა და გაბრუნდა და ევერის სახლის ფანჯრიდან
თოვლივით თეთრი დღის ნათელი ჩამოიყარა.
მოდით, ამდენზე ნუ შევტოპავთ მე და თქვენ ახლა.
მაგრამ ორივე, მე ხომ ვიცი, დამეთანხმებით,
რომ არაფერი არ ფუჭდება იმით, ყველანი
აქ რომ ვუსხედვართ მაგიდას და ერთად ვოცნებობთ
მაშინ, როდესაც გარეთ თოვლი თვითონ მატულობს.
ხედავთ, ყინულში გვირაბივით გზა რომ გაჭრილა,
როგორ ირევა ქარბორბალა იქით ბოლოში,
თითქოსდა ქარში მოდრეიფე ყინულის დიდი
ზოდის კედელი დაიფშვნა და ჩამოიფლატა —
აი, ეგ მიყვარს! გულით მიყვარს! აბა, წავედი,
მშვიდობით, ხალხო!" „რასა ბრძანებთ, ბატონო მეზერვ,
გამგზავრება ხომ უკვე ბევრჯერ გადაიფიქრეთ
და იმ შვებას და მოსვენებას, თქვენ რომ შეამკეთ,
აქ უფრო ჰპოვებთ, თანაც, გატყობთ, დარჩენა გინდათ".
„ჰო, ახლა გარეთ მართლა ცივა, მთელი ეს სახლიც
ლამის მთლიანად გაიფიჩხოს — მყუდრო და თბილი
მარტო ეს ერთი ადგილია და ქარიშხალიც,
თუმცა ყმუილი მისი ახლა ძლივსღა მოისმის,
ჯერ კარგა ხანი არ ჩადგება. თქვენ მხოლოდ შორს ხართ
იმ თოვლისა და სუსხისაგან და აღარ წუხხართ.
ქარის ჭავლები, ამდენ ფიფქში გამოგუდული,
ცუდი ნალმივით ყრუდღა სკდება საკვამურში და
ლავგარდანებზე. მეც მათი ხმა შინ უფრო მიყვარს,
ვიდრე გარეთ და ისიც ღამით. უკვე ცხენებიც
ამოიღებდნენ ქარს მუხლიდან — უნდა წავიდე,
ვწუხვარ, რომ ძილი გაგიტეხეთ. აბა, მშვიდობით!"
„გმადლობთ, რომ გვნახეთ, იმაზედაც უზომოდ
გმადლობთ,
ჩვენი სახლ-კარი ფუნდუკად რომ მაინც ჩათვალეთ
და შეისვენეთ ღამის გზებზე გადაქანცულმა.
ქალებს რომ უფრო პატივს სცემდეთ, მაშინ ჩემს სიტყვას
შეისმენდით და დარჩებოდით ამაღამ ჩვენთან.
აზრი არა აქვს ამ ლაპარაკს, თქვენ უფრო მეტი
გაბედეთ, ვიდრე, ალბათ, ამის უფლება გქონდათ.
რისკზე მიდიხართ და სიკვდილთან თამაშობთ". „ჩვენში
ქარბუქს არ უყვარს კაცის მსხვერპლი, მე როგორც ვიცი.
და თუმცა უფრო ნადირს ვგავარ, თოვლით დაფარულ
ვიწრო ბუნაგში რომ იძინებს გაზაფხულამდე,
ვიდრე კაცს, ზამთრის ქარს რომ ებრძვის, რათა
როგორმე

თოვლმა ორმოში არ ჩაჩუმქროს, მაგრამ მე მაინც
მხოლოდ ის ჩიტი მეცოდება, ხეზე რომ სძინავს,
იმ ჩიტზე უფრო, ჯიხურში რომ იბუდრებს ხოლმე,
მათზე ნაკლები მეც არა ვარ; ვიცი, ამაღამ
გაიფიჩხება ბევრი ჩიტი, მაგრამ უცილოდ
ის დროც დადგება, აყვავებულ ტოტებს
შემოასხდება მოჭიკჭიკე ფრთოსნების გუნდი
და სიტყვა „ქარი“ არც ერთს აღარ გვემახსოვრება“.
„მე ის მაოცებს, რომ სამთაგან აქ არვის არ სურს
თქვენი ამაღამ წაბრძანება — არც ფრედს და არც მე,
მგონი, არც თქვენს ცოლს და ვიცი,
      რომ არც თვითონ თქვენ გსურთ,
სხვა ვილა დარჩა, ვის სურს აბა?“
      „ო, დაგვიფარე
აწ და მარადის ყველა ქალის შემოტევისგან.
წელან დუმილი ჩამოვარდა და ქალბატონი
უეცრად ძრწოლამ აიტანა, რადგან ოთახში
მალე საშიში სიტყვა „ღმერთი“ უნდა თქმულიყო.
ახლა კი უცებ „ქარიშხალი“ ახსენეთ, რაიც
აქ იმას ნიშნავს, რომ წავიდე, მათ მე ვჭირდები,
მარტო მე ძალმიძს ქარს ვეომო“. ბოლო სიტყვები
ჰელენს ესროლა, სურდა მასთან სიტყვა და ფიქრი
კიდევ განეგრძო, ვიდრე კარებს გაიხურავდა
და გარეთ, თოვლში გავიდოდა. ფრედ კოლი მხოლოდ
ბელლის ზღურბლამდე გამოჰყვა და დაემშვიდობა.
როდესაც ქმარი შემობრუნდა, ჰელენი ისევ
უძრავად იდგა მაგიდასთან და ზედ გადაშლილ
წიგნს დაჰყურებდა — ერთი სიტყვაც არ წაუკითხავს.
„ახლა რას იტყვი, ფრედ, ამ კაცზე?“ „აბა, რა გითხრა.
მადლის კაცია, სიტყვა მართლაც ხმალივით უჭრის“.
„ჰო, კი არ უნდა უყურებდე, უნდა უსმენდე“.
„ჩვენს ხალხს რა უნდა დაუჯერო — სულ მცირე ხანში
ამ კაცზე, ალბათ, ასჯერ უფრო მეტი შევიტყვეთ,
ვიდრე აქამდე, ყოველდღე რომ გზაზე ვხედავდით.
ასე ჰქადაგებს, ალბათ, მრევლთან, არა მგონია,
მთელი ცხოვრება აიტანო, დიდხანს გაუძლო.
არ გკიცხავ, ჰელენ, კარგად ვიცი, ბევრის უფლებას
არც ის მოგცემდა. ამიტომაც გულს უხარია,
რომ მარტო დავრჩით, ალბათ, ვერც კი დავიძინებდით —
მან ეს იცოდა და მიტომაც წავიდა მხოლოდ.
ოთახიც თითქოს ტაძარივით დაცარიელდა“.
„მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა ვიყო გულმშვიდად,
სანამ ის კაცი შინ არ მივა სალ-სალამათი.
მოდი, დავსხდეთ და დაველოდოთ“. „შენი არ ვიცი,
მე კი, ვფიცავარ, მეტი მართლა არ შემიძლია.
მან ჩვენზე უფრო კარგად იცის, რა ჰქნას და როგორ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედიცა აქვს თავის თავის. დაწექი ჩქარა,
ის უკან აღარ დაბრუნდება, სანამ დარეკავს,
ორი საათი მაინც გავა". „შენ მართალი ხარ,
ან როგორ უნდა დავეხმაროთ, ხოლო ამ ქართან
სად შეგვიძლია მისებრ ომი, ისიც აქედან".
ფრედი ხმადაბლა ტელეფონზე ლაპარაკობდა.
უცებ მეორე ოთახიდან ქალმა იკითხა:
„მეზერვის ცოლმა დაგირეკა?" „ჰო". „რა მინდაო?"
„მოდი, ჩაიცვი და გამოდი, თავს რად ვიტყუებთ.
აქამდეც უნდა გვძინებოდა — სამზე მეტია".
„დიდხანს რეკავდა? მომიცადე, შალს მოვიხურავ.
მეც მინდა ორი სიტყვა ვუთხრა". „მხოლოდ ის მკითხა,
თუ წამოვიდა მეზერვიო"... „საწყალი ქალი!
ორი საათის წინ იცოდა, რომ გამოვიდა".
„ბარი თან ჰქონდა, ქართან ომში წაადგებოდა".
„რა დამემართა, ამ ავდარში როგორ გავუშვი!"
„დაიწყე ახლა შენებური. არ დაგიკლია
ხვეწნა-მუდარა — მაგრამ იმის ნებაც მიეცი,
თავისი სიტყვა გაეტანა — ძალა მოიცა
და ყმაწვილივით გაჯიუტდა. მისი ცოლიღა
თუ დაგიმადლის!" „ფრედ, ხომ იცი, მე არ გამტყუნებ,
მაგრამ ის კაცი ჩვენ არ უნდა გაგვეშვა. რაო,
რა გითხრა ცოლმა? ნუთუ მართლა რამე იკადრა,
ვიცი, მადლობას არ გეტყოდა". „წამოვიდაო? —
მუქარასავით, მგონი, ორჯერ გამიმეორა,
მერე წრიპინით დაუმატა, რად გაუშვითო".
„მართლა ეგრე თქვა? არა, თვითონ სად გამოუშვა?
ანდა ქმარმა რომ დაურეკა, რა უპასუხა.
მაშინ ხომ ენა ჩაუვარდა. მათი ნომერი
ოცდაერთია, თუ არ ვცდები, — არვინ პასუხობს.
სხვა ხმა ჩაირთო, ეს ოხერი მუდამ ასეა.
ანდა ყურმილი გადასდო და სადღაც გავიდა".
„აბა, ჩაჰბერე მიკროფონში, ალო-თქო, ალო!
მაინც რა გესმის?" „ცარიელი ოთახის ხმაა —
შინ არ არიან. საათივით ტიკტიკებს რაღაც,
ფეხისხმას არ ჰგავს, ან გავიდა, ანდა ჩუმად ზის".
„დაუყვირე და გაიგონებს". „რაღაცა მოხდა".
„ხმა ამოიღე, ან ჩაჰბერე". „ალო, არ გესმით?
— ასე მგონია, შინ არის და ფიქრმა წაიღო".
„არ აუტეხოს თავს ფარსაგი მაგ უბედურმა!"
„ბავშვებს ობლებად ვერ დატოვებს!" „კიდევ უყვირე.
იქნებ, როგორმე გაარჩიო, სახლის კარები
ხომ არ დასტოვა ღია, ქარი ხომ არ უბერავს,
ბუხარში ცეცხლი თუ გამოქრა, კერა გაცივდა?.."
„ან ლოგინში წევს, ანდა მართლა სადღაც გავიდა —
დუმს ყველაფერი". „ეგ ვერ არის კარგი პასუხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგ ქალს თუ იცნობ? სადმე გზაზე არ შეხვედრიხარ?
რად არ სურს ჩვენთან ლაპარაკი, ვერ გამიგია".
„იქნებ, შენ სცადო, იქნებ, უკეთ შენ გაარჩიო,
რისი ხმა არის?"
„საათია".
„კიდევ რა გესმის?"
„ლაპარაკს არ ჰგავს".
„ეგ მეც ვიცი".
„მე, მგონი, მივხვდი".
„რა უნდა იყოს?"
„ჩვილი ბავშვის ტირილის ხმაა.
ჰო, ბავშვი ჩხავის, ოღონდ კარგა შორიდან ისმის.
თავის შვილიკოს დედა ასე არ აატირებს,
გარეთ გავიდა, ალბათ, ქალი".
„და ეს რას ნიშნავს?"
„მხოლოდ ერთადერთ რამეს ნიშნავს — იგი წავიდა,
მაგრამ არ უნდა წასულიყო". და ორივენი
იქვე ჩამოსხდნენ, უმწეონი და უსუსურნი.
„ალბათ, დილამდე ვერაფერში დავეხმარებით".
„ფრედ, არ გაგიშვებ, ნუ ეცდები ტყუილუბრალოდ".
„გაჩუმდი, ქალო!" — ტელეფონის ზარმა დარეკა.
ერთად წამოხტნენ ორივენი, ქმარმა დაასწრო.
„ალო, ვინა ხარ? მეზერვი ხართ? ცოლი სადაა?
ძალიან კარგი! რად ვიკითხე: — არ გვპასუხობდა...
— ქალმა ბელელში გაუშალა თურმე ლოგინი. —
კეთილი, ძმაო. არა, მაგას ნუ გამახსენებთ.
შემოგვიარეთ ხოლმე, მეზერვ. აბა, ნახვამდის!"
„მაშ, მიმიღოვო ჩემმა ცოლმა! მე ის არ მესმის,
რაში სჭირდება იმ ქალს ქმარი?"
„სწორი ბრძანდები.
ალბათ, ბავშვების გასაზრდელად".
„მაშინ, გამოდის,
რომ ყველაფერი ოცნება თუ სიზმარი იყო.
ძილიც დაგვიფრთხო, წუთით თავი რომ შეექცია.
რატომ მოვიდა, ვერ გავიგე — სალაპარაკოდ?
მერედა რა თქვა? გარეთ დიდი თოვლი მოდისო?
თუ ჩვენი სახლი რალაცაში ერევა მართლა!"
„მგონი, ეს ღამე ზუსტად მხოლოდ შენ გეხებოდა".
„ვითომდა რატომ, ვანა ჩემთან შენც არ იყავი?"
„ნუთუ იმდენად გულგრილი და უტაქტო იყო,
რომ მხოლოდ მიტომ წამოგვყარა, გათენებამდე
ტვინი გვეჭყლიტა რალაცაზე, თანაც ამაოდ!
რისი თქმაც გინდა, კარგად ვიცი. მოდი, შევუნდოთ.
გული გაგვიხსნა, რალაც მართლა გაგვიზიარა.
შენ როგორ ფიქრობ, გვესტუმრება კიდევ ოდესმე?"

კარლ სენდბერგი

## გური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსხმა წვიმაში განბანე,
ნაცრისფერ ღვარცოფს შეუდგი
    მეხსიერების გასისხლული გული,
თაკარა მზეს მიუშვირე,
მწუხრის დაღვენილ მუგუზლებს არ განარიდო.
იასამნებისა და მგალობელი ჩიტების მხიარული
    დღეები —
ხელფასის დღეები გაიხსენე.
ქარიშხლის გზებზე არ დაგეკარგოს
მეხსიერების მბჟუტავი სხივი.

პრერიებიდან სახეები ამოდის მკვდართა,
თითქოს რაღაცას მანიშნებენ, მაგრამ აზრი ვერ
    გამომიტანია.

სხვა სახეებიც ამოდიან პრერიებიდან,
ისინი დღემდე არ შობილან, ისინი მომავალს ეკუთვნიან.

ერთმანეთს ერწყმის ჰორიზონტზე
    გუშინდელი და ხვალინდელი დღე.
მეწამულ ბურში იკარგებიან.
    ერთს თავი ავიწყდება, მეორე იცდის.
ჩამავალ მზეთა ყვითელ მტვერში,
    რვა საათის ჭიისფერ მინდვრებში
ივნისის ღამეთა წიალ... მიცვალებულები და
    ჯერარშობილი ბავშვები რაღაცას მანიშნებენ...
აზრი ვერ გამომიტანია...
შენ უსმენ და შენვე გესმის.

ჩემთვის სულერთია, ვინა ხარ, კაცო:
მე ის ვიცი, რომ ქალი დაგეძებს
და სული მისი ის თავთუხია, ქვენა ქარი რომ კოცნის.
(ძროხებს ეძახის ფერმერი ბიჭი,
სახე დანაყული აგურის ფერისა აქვს.
ცურის დვრილებიდან რძის სხივები
    ერთმანეთს ასო X-ივით გადაჰკვეთავენ,
თუნუქის ფსკერს რძის X-ის დამლა დაედება).

ჩემთვის სულერთია, ვინა ხარ, კაცო:
მე ის ვიცი, რომ ვაჟიშვილები და
    ქალიშვილები დაგეძებენ

და რომ ისინი ვარსკვლავებისკენ აბოლებული თალხი
მტვერია.
შენ მათ სხვენის სარკმლიდან უთვალთვალებ,
როცა ბედს დასცინი და ჩურჩულებ: „მერე მე რა...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემთვის სულერთია, ვინა ხარ, ქალო:
მე ის ვიცი, რომ კაცი დაგეძებს
და სული მისი ის ქვენა ქარია, თავთუხს რომ ჰკოცნის.

(მზარეული გოგო წიწილებს შვრიის მარცვალს უყრის
და მათი ბუმბულის ოქრო
ჩამავალი მზის სისხლს ეწებება).

ჩემთვის სულერთია, ვინა ხარ, ქალო:
მე ის ვიცი, რომ ვაჟიშვილები და ქალიშვილები
დაგეძებენ
და რომ ისინი დამდეგი წლის ხორბალია,
ახლა რომ თიხასა და წკვარამში სძინავს.

ჩემი სიყვარული ის ცხელი ურია,
ოჰაიოსა და ინდიანაში რომ იქნევენ.
ჩემი სიყვარული გულწითელაა,
კენტუკისა და ტენესის ცაზე ლარებს რომ ავლებს,
ის ახლად გამოჩეკილი მეჟოლიაა, მარტში და აპრილში
ზურგზე სპილენძის გიზგიზა ნაკვერცხალი რომ ადევს.
ის ნაცრისფერი ბელურაა,
მიჩიგანში ლავგარდანზე რომ გაჰყავს
საწყალს მთელი ზამთარი.
ყოველთვის რატომ ფრთებს მისტირის ჩემი სიყვარული?

ინდიანას დიუნებში, მისისიპის ჭაობებში ვიკითხე:
ნუთუ ეს მხოლოდ თევზის ძვალია მეჩეჩიდან ამოჩრილი?
ნუთუ ეს მხოლოდ ძაღლის ყბაა, ან ცხენის ქალა,
ასე თეთრად რომ ქათქათებს მზეზე?
ადამიანის წითელი გულისგან ფერფლი რჩება,
მარტოდენ ფერფლი?
მისი ცეცხლი მხოლოდ თეთრი ციაგია,
რომელსაც ელექტროდენივით გამოთიშავენ?

რად პასუხობენ ზაფხულის მობრუნებას
პრერიის ვარდები?
რად ბრუნდებიან მლაშე ზღვიდან თბილი წვიმები?
კვალს რად სტოვებენ ვარსკვლავები?
სულ ახალ-ახალ ყრმებს რად ზრდიან ზეცის აკვნები?

# ანცი მინი

# წითელი იელი

## ცხოვრება და სიყვარული ჩინეთში

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

ჩინელი ქალი ანცი მინი ამერიკელი მწერალია. თავისი პირველი მოთხრობა „წითელი იელი" ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ძალიან მალე მისთვის ახალ, არამშობლიურ ინგლისურ ენაზე დაწერა. მიუხედავად იმისა, ამგვარი დებიუტი ფრიად სარისკო გახლდათ, წიგნმა არნახულ წარმატებას მიაღწია, იგი ბესტსელერების სიაში აღმოჩნდა და უამრავ გამოცემას გაუძლო. მკითხველმა აპატია დამწყებ ავტორს ენობრივი შეუსაბამობები და გაუმართავი სტილი, იმდენად გაიტაცა იმ ქალიშვილის ამბავმა, ვინც გაიზარდა და დაქალიშვილდა ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს. სკოლა, ხუნვეიბინების რაზმი, სახელმწიფო მეურნეობასთან არსებული გასამხედროებული შრომითი ბანაკი, შემდეგ კი ბედის უცაბედი, თითქმის ზღაპრული შემოტრიალება — მთავარი როლი ფილმში „წითელი იელი", რომლის გადაღებას თავად თავმჯდომარე მაოს მეუღლე ძიან ცინი ხელმძღვანელობდა.

„წითელი იელი" დოკუმენტურ მასალაზე აგებული ავტობიოგრაფიული მოთხრობაა. ავტორი (შეიძლება გაუცნობიერებლადაც) ბელეტრიზებული ავტობიოგრაფიის ძველ ჩინურ ტრადიციას მისდევს, თუმცა ამავე დროს (სრულიად შეგნებულად) დასავლურ აუდიტორიაზე იღებს ორიენტაციას და ცდილობს შეძლებისდაგვარად „შეუმსუბუქოს" მასალის აღქმა თუნდაც იმით, რომ ჩინური სახელების მეტ ნაწილს თარგმანის სახით წარმოადგენს.

> „სიყვარული ჭეშმარიტად ყოვლისშემძლეა, იგი გავიწყებს ყველაფერს, თვით რევოლუციასაც კი. ბრძოლის, ნგრევის წყურვილს ცვლის სწრაფვა სიმშვიდისკენ, იმ პატარა, ყოველდღიური სიხარულისაკენ, რომელსაც ცხოვრება ანიჭებს ადამიანს. პარტიამ იცის, რომ შეყვარებულები მას აღარ ეკუთვნიან მთელი არსებით, ამიტომაც უფრთხიან ასე ძლიერ სიყვარულს პარტიის ლიდერები".
>
> ანცი მინი,
> ჩიკაგო, 1993

# პირველი ნაწილი

გავიზარდე მაოს შრომებსა და მისი მეუღლის — ამხანაგ ძიან ცინის ოპერებზე. ჯერ ისევ დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი, როცა ნორჩ ხუნვეიბინთა რაზმის მეთაური გავხდი. ეს მოხდა დიდი პროლეტარულ-კულტურული რევოლუციის დროს და ჩემი ფერი მაშინ წითელი იყო. დედა და მამა, როგორც მეზობლები ამბობდნენ, მტრედებივით შეხმატკბილებულები ცხოვრობდნენ. მამა შანხაის საფეიქრო ინსტიტუტში ტექნიკურ ნახატს ასწავლიდა, თუმცა მისი ნამდვილი გატაცება ასტრონომია გახლდათ. დედა შანხაის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა და იმას ასწავლიდა, რასაც პარტია ავალებდა, ექვს თვეს ჩინურ, ექვს თვეს რუსულ ენაზე. როგორც ყველას, ჩემს მშობლებსაც სწამდათ მაოსი და კომუნიზმის. მათი ოთხი შვილი ერთმანეთს მიყოლებული ანუ ერთმანეთზე თითო წლით უფროს-უმცროსები ვიყავით. მე 1957 წელს დავიბადე. ვცხოვრობდით ქალაქის ცენტრში, ქუჩაზე, რომელსაც სამხრეთის აყვავებული ქუჩა ერქვა, ორი ოჯახისათვის განკუთვნილ ორსართულიან სახლში. ამ სახლის ერთი ნახევარი ჩვენს ოჯახს ჩემს დაბადებამდე ჭლექით გარდაცვლილი ბაბუისაგან ერგო.

ხუთი წლისას თავი უკვე დიდ გოგოდ მიმაჩნდა. ამაში უჩვეულო არაფერი იყო, ვინაიდან ყველა ჩემს ამხანაგს ზურგზე თავისი პატარა და ან ძმა ჰყავდა მოკიდებული და, ვიდრე ჩვენ დამალობანას თამაშით ვიყავით გართულნი, პატარები თავს თვითონვე ირთობდნენ. ჩემი მშობლები, ისევე როგორც ჩემი ამხანაგების მშობლები, დილიდან საღამომდე სამუშაოზე იყვნენ, ამიტომაც სახლში უამრავი საქმე მქონდა. ჩემს პატარა დებსა და ძმას, რომელთაგან ზოგი საბავშვო ბაღში დამყავდა, ზოგი ბაგაში, ჩემს შვილებს ვეძახდი, თუმცა თვითონაც ჯერ ისევ საბავშვო ბაღში დავდიოდი. მე ექვსის ვიყავი, ჩემი და კოკორი ხუთის, მეორე და — მარგალიტი ოთხის, ხოლო ჩემი ძმა, რომელსაც სახელად ვარსკვლავთმფრენს ვეძახდით, ჯერ მხოლოდ სამი წლისა იყო. მშობლებმა სახელები საგანგებოდ შეგვირჩიეს. მეზობელი თანატოლების იმ ჩვეულებრივ სახელებთან შედარებით, როგორიცაა წითელგვარდიელი, თავისუფლება და რევოლუცია, ჩვენი სახელები ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერდა. ხშირად ასეთი სახელებიც გვხვდებოდა: დიდი ნახტომი, დიდი ლაშქრობა, წითელი ვარსკვლავი, ახალი ჩინეთი, რუსეთის გზა, წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებულ შტატებს, პატრიოტ-მაუწყებელი, სამაგალითო წითელი მეომარი და უამრავი სხვა ასეთი. მაგრამ ჩემი მშობლები სხვებს სულაც არ დაგიდევდნენ. თავიდან სახელად მეც ლინშუანი, ანუ მთებიდან ახლად ამოწვენილი მზე დამარქვეს, მაგრამ იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ამ სახელზე, რადგან მზე ერთადერთი მხოლოდ მაო იყო. ბევრი ფიქრის შემდეგ ანციზე ანუ ჭშვიდობის იასპზე შეჩერდნენ. თან ანცი ჩინურად ანგელოზსაც ნიშნავს. ისე რომ ბოლოს ამ სახელით ჩამწერეს. სასიამოვნოდ ჟღერდა დების სახელებიც — კოკორი და მარგალიტი. რაც შეეხება ძმას, მისთვის სახელის დარქმევა ერთის მხრივ მამაჩემის ასტრონომიით გატაცებამ განსაზღვრა, ხოლო მეორეს მხრივ მაოს მოწოდებამ — უმოკლეს დროში კოსმოსში გაფრენა უნდა განვახორციელოთო.

ასე მეგონა, ჩემი მშობლები სამსახურში რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმით იყვნენ დაკავებულები, რომ იტყვიან, ხსნად მოვლენოდნენ ქვეყნიერებას. მე კი ყოველ საღამოს დები საბავშვო ბაღიდან, ხოლო ძმა ბაგიდან მომყავდა, ბავშვებს ძლივს მოვათრევდი. ჩვენი უბნის ონავრებთან ზოგჯერ მთელი ბრძოლის გადატანა მიწევდა, თითქმის ყოველდღე შინ სახეჩალილავებული მოვდიოდი. სხვასთან შორის, ეს არც ისე ძალიან მწყინდა, მთავარია, პატარებს არ ეგრძნოთ, ახმაურებულ ქუჩაზე გადასვლისა ან ბნელ ხეივანში გავლისა როგორ მეშინოდა. ბავშვებისთვის მე სიმამაცის მაგალითი უნდა ვყოფილიყავი. დავტოვებდი მათ სასტუმრო ოთახში, ავანთებდი ქურას და ახლა სადილის კეთებას შევუდგებოდი. ცეცხლის ანთებას დიდ დროს ვანდომებდი, ვინაიდან ვერა და ვერ მივხვდი, შეშას და ნახშირს ცეცხლი რომ მოჰკიდებოდა, შებერვა იყო საჭირო. ქურასთან ვჯახირობდი და მაოს ციტატებს ხმამაღლა ვიმეორებდი. ერთხელაც, ვერაფერი რომ ვერ გავაწყე, ცეცხლს თავი მივანებე და ბავშვებთან თამაშში გავერთე. კიდევ კარგი, ქუჩიდან ბავშვებმა დამიძახეს, თქვენი ფანჯრიდან ბოლი გამოდისო. ასეთი რამ ჯამჯერ დამემართა. ვცდილობდი ჩემი პატარები მანამდე ჩამეწვინა ლოგინში, ვიდრე ისევ დღის სინათლე იყო. ბავშვები ძილში სულ ფეხებს აფხლაკუნებდნენ, რის გამოც ჩვენი ისედაც დაძველებული საბნები ბოლოს სულ მოიჩვარა. საქმეს რომ მოვითავებდი, დავჯდებოდი ფანჯრის რაფაზე და მშობლების მოლოდინში სადარბაზოს თვალს არ ვაცილებდი. ცას ბინდი ეკვროდა, მაღლა ვენერა ბდღვრიალებდა და მეც ფანჯარაზე მჯდომარეს ჩამეძინებოდა.

ათი წლის რომ ვიყავი, 1967 წელს სხვა სახლში გადავბარგდით. „ვის გაუგონია, თქვენ ექვსნი ოთხ ოთახში ცხოვრობთ, ჩვენ ათნი კი ერთ პატარა ოთახში ვართ შეჭყლურტულები?! ეს არის რევოლუციური სამართალი?!“—ქვედა სართულების მეზობლები საყვედურებით ლამის სულს გვხდიდნენ. დაგვადგებოდნენ შუალამისას თავზე და ღამის ქოთნებს პირდაპირ საბანზე გვიპირქვავებდნენ. რის პოლიცია, სად იყო პოლიცია! პოლიციის უბანი, როგორც რევიზიონისტული დაწესებულება რევოლუციის მიერ გაუქმებული იქნა. ხუნვეიბინებმა თვითონვე დაიწყეს სახლების ძარცვა. ჩვენს თხოვნაზე — დაგვეხმარეთო, არავინ გამოგვხმაურებია. სხვა მეზობლები მხოლოდ ჩუმად ადევნებდნენ ამ ყველაფერს თვალს. ქვედა სართულელები კი ისევ განაგრძობდნენ ჩვენს წამებას. ყოველლამ მათი სიბინძურისაგან ლოგინების გასუფთავება გვიწევდა. დამცირებას და შეურაცხყოფას მორჩილად ვიტანდით, მაგრამ სულ უფრო უარესს და უარესს სჩადიოდნენ. როცა მშობლები შინ არ იყვნენ, ბავშვებს გვაშინებდნენ, ასე გვეუბნებოდნენ, ჩვენი ქალიშვილი შეიშალა, მის საქციელზე პასუხს ვერ ვაგებთო. მართლაც ერთხელ მათი ქალიშვილი გამომეცხადა ალესილი ნაჯახით და, თავს საზამთროსავით შუაზე გაგიხეთქავო, — დამემუქრა. თან მეკითხებოდა, რას იტყვი, მოგეწონებაო? ვუთხარი, ცოტა მაცადე, ავწონ-დავწონი, მოვიფიქრებ და გეტყვი, მომეწონება თუ არა-მეთქი. მერე კი დავავლე ბავშვებს ხელი და მთელი ის ღამე მათთან ერთად საპირფარეშოში გავატარე.

ერთხელაც ის გადარეული დედაჩემს დაეტაკა, როცა იგი სამსახურიდან ბრუნდებოდა. ვუყურებდი, როგორ ეჭიდავებოდნენ კიბეზე ერთმანეთს, დედა როგორ დაეცა და როგორ ცდილობდა ის გიჟი, მაკრატელი ჩაერჭო მისთვის. მეც იქვე ვიდექი, ვხედავდი, როგორ სდიოდა დედას სახეზე სისხლი, მინდოდა მეყვირა, მაგრამ [illegible] ხმა არ ამომდიოდა. მერე იმ გადარეულმა კიბეზე ჩაირბინა, მაკრატელი რამდენიმეჯერ ჩაირტყა, ქუჩაში გავარდა, სადაც ბლომად მოეყარათ თავი უსაქმურებს, სისხლში მოსვრილი ხელები ასწია და საზარლად აღრიალდა: „ხალხნო, მშრომელ ადამიანს ეს ბურჟუაზიული უქნარა, ეს ინტელიგენტი ჭკუის კოლოფი თავს დამესხა, განა ეს პოლიტიკური მკვლელობა არ არის!“ ამ ყვირილზე მთელი მისი ოჯახი ქუჩაში გამოვარდა და იმათაც ღრიალი დაიწყეს — სისხლი სისხლის წილ, სისხლით ვაზღვევინებთო!

მაშინ კი მამამ გვითხრა, უნდა გადავიდეთ, აქაურობას უნდა გავერიდოთო და ბინის გაცვლაზე განცხადება დაწერა — როგორი ბინა გვქონდა და როგორს ვთხოულობდით. განცხადება გზის პირას ხეებზე გააკრა თუ არა, მეორე დღესვე სადარბაზოს ბარგი-ბარხანით დატვირთული მანქანა მოადგა. მანქანის ძარიდან ხუთნი გადმოხტნენ და, გაცვლაზე მოვედითო, — განაცხადეს. მამა შეეცადა შეწინააღმდეგებოდა, უთხრა, რომ ჩვენ ჯერ გადაწყვეტილი არაფერი გვქონდა, მაგრამ ისინი მაინც თავისაზე იდგნენ, ჩვენი ბინა ზუსტად ისეთია, როგორიც თქვენ გჭირდებათო. „ჰო, მაგრამ, ჩვენ ხომ არ გვინახავს“, — ცდილობდა მამა მათ გადარწმუნებას. „წამოდით და ნახეთ, მოგეწონებათ“, — გაიძახოდნენ ისინი. — „რამდენი ოთახია?“ — „შანხაური ნორმით — სამი“. — „იცით თუ არა, ჩვენს ქვემოთ შეშლილი რომ ცხოვრობს?“ — ჩაერია საუბარში დედა. მოსულებმა ამ შეკითხვას ყურიც არ ათხოვეს. გვითხრეს, რომ ისინი, მამაცა და ვაჟიშვილებიც, შანხაის ფოლადსასხმელი ქარხნის მუშები არიან, ბიჭებს დაოჯახების დრო მოუვიდათ და სასწრაფოდ სჭირდებათ ბინა. „მოფიქრების დრო მაინც მოგვეცით“, — სთხოვა მამამ. „კარგი, მოიფიქრეთ, მანქანაში დაგელოდებით“, — დაეთანხმნენ გაცვლის მსურველები. — „არა, ეს შეუძლებელია!“ — „რატომ, მოვრიგდებით!“.. — მოკლედ, სხვა რა გზა იყო, მშობლებმა გადაწყვიტეს დაეთვალიერებინათ სახლი შანსის ქუჩაზე.

დავალებული მქონდა მათ არყოფნაში სახლისათვის მეყარაულა. რაღაცას ვსაქმობდი, რომ უცებ ვხედავ, მანქანიდან თავიანთი ბარგის გადმოლაგება დაიწყეს. მერე ჩვენს ავეჯსაც მოუტრიალდნენ. მშობლები ჯერ არ დაბრუნებულან-მეთქი, რომ ვუთხარი, დამშვიდება დამიწყეს: „ჩვენ ხომ მანქანა გვაქვს, აბა თქვენ ახლა მანქანას სად იშოვით, ხელით ხომ არ გადაიტანთ?!“ მშობლები რომ დაბრუნდნენ, ჩვენი ავეჯის ნახევარზე მეტი უკვე მანქანის ძარაზე დალაგებული დაუხვდათ. „ჰო, მაგრამ, ჩვენ თანახმა არა ვართ, — თქვა დედამ, — ძალად ხომ არ გაგვყრით!“ — „ჩვენთვის, მუშებისათვის, თქვენს მაგ ფილოსოფოსობას მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ განცხადება გააკეთეთ, ჩვენ კი წინადადება შემოგთავაზეთ, თანაც საუცხოო. დღეს კვირაა, ჩვენი ერთადერთი დასვენების დღე, ჩვენს გაბრიყვებას ნუ ცდილობთ, არ გამო-

ვათ. ის თქვენი ჭკუიდან შერყეული კი, როცა ჩვენი გასულელება მოინდომა, კარგა მაგრად დავაფრთხეთ. აღმოჩნდა, რომ ძალიანაც ნორმალური ბრძანდება, უბრალოდ თვალი უჭირავს მის ოჯახს თქვენს ბინაზე".

მამამ ყველა გვერდზე გაგვიყვანა — მოემზადეთ, უნდა გადავიდეთ, სამართალზე ფიქრის და მსჯელობის დრო არ არისო. ანე გადავსახლდით სიუჰუეის რაიონში, შანსის ქუჩაზე. სახლები აქ ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩამწკრივებული. ჩვენს სართულზე ორ საცხოვრებელ ოთახში სამი ოჯახი მოვთავსდით, სამივე ოჯახი ერთი საერთო საპირფარეშოთი ვსარგებლობდით. ჩვენ ის ოთახი შეგვხვდა, რომლის ფანჯრები ფასადის მხარეს გადიოდა, ლოჯით და სამზარეულოთი. ეზოსკენ გამავალ ფანჯრებიან ოთახში ხუთსულიანი ოჯახი იყო შეკუჭული, ქურა, რაზეც საჭმელს ამზადებდნენ, ზედ ტუალეტის გვერდით იდგა, რაც ძალიან არ მომწონდა — ზოგჯერ შენ ლამის ცეცხლი გიკიდია, ისინი კი სწორედ ამ დროს იწყებენ საჭმლის მომზადებას. სართულზე მცხოვრებ მესამე ოჯახს, ყველაზე მშვიდ მეზობლებს, მეორე ლოჯია ეკავათ. „აბა ახლა დავლაგდეთ, — თქვა მამამ, — ხომ შეიძლებოდა ყველაფერი უარესად ყოფილიყო, მთელი ოჯახი ამოვეხოცეთ. როგორც ჩანს, აქ მშვიდად მაინც ვიქნებით". ეს მართალი იყო. ჩვენც მაშინვე გავმხნევდით და გული მოგვეცა. ჩვენს თავზე ექვსშვილიანი დიდი ოჯახი ცხოვრობდა. მათი ერთ-ერთი გოგონა ჩემი ასაკის იყო, სახელად მზესუმზირა ერქვა, თუმცა შინ ყველა მკვდარუნას ეძახდა — ისეთი გამხდარი გახლდათ, ჩონჩხი გეგონებოდათ. მითხრა, ყოველ საღამოს, ნავახშმევს, საოჯახო სემინარებზე მაოს იდეებს ვსწავლობთო, და შემომთავაზა მონაწილეობა მეც მიმეღო. ვუთხარი, ჯერ მამას უნდა შევეკითხოთ-მეთქი, მამამ კი — საოჯახო რევოლუცია არ მჭირდებაო — ნება არ დამრთო. ამან ძალიან გამაკვირვა. მთელი ის ღამე იმაზე ვფიქრობდი, ნეტავი მამა კონტრრევოლუციონერი ხომ არ არის და სადაც ჯერ არს ხომ არ განვაცხადო-მეთქი. ჩემი უარით მკვდარუნა, ცხადია, იმედგაცრუებული დარჩა, ისევ ზევით თავისთან აბრუნდა, და მალე ჩემს ყურთასმენას სიმღერის ხმა მოსწვდა: „ალისფრად ენთება აღმოსავლეთი, ამოდის მზე, წინ მიგვიძღვის მაო ძედუნი..." საშინლად აღტაცებული დავრჩი, ძალიან მინდოდა ჩვენს ოჯახშიც რაღაც ამდაგვარი ყოფილიყო.

მე და ჩემს დებს ლოჯიაში გვეძინა, ძმას — სამზარეულოში. დედა ჩვენს ძველ სახლზე ძალიან დარდობდა. დარდობდა ჩვენს ძველ საკუთარ საპირფარეშოზეც. მახსოვს, ორშაბათს, ჩვენი გადმობარგების მეორე დღეს ელექტროზარის ხმამაღალმა რეკვამ გამაღვიძა და ფანჯარაში გავიხედე. თურმე ქვედა სართულის მეზობლებს რკინა-კავეულის სახელოსნო ჰქონდათ. ჯერ რვის ნახევარიც არ იყო, ზარმა რომ დარეკა და ფუტკრის ნაყარივით აფუთფუთებული ქალები კარს მოაწყდნენ. მათი ერთი ნაწილი ოთახებში მუშაობდა, მეორე ნაწილი—უკანა ეზოში მდგარ ფარდულში. დაახლოებით ორასამდე იქნებოდნენ, უმეტესად დიასახლისები, გაუნათლებელნი, მაგრამ მარჯვენი. მთელი დღე

რაღაცას რჩილავდნენ. საუზმის დრო რომ დადგებოდა, სახლიდან მოტანილ საუზმეს პირდაპირ შუა ეზოში შეექცეოდნენ. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, რას ჭამდნენ — მეტწილად შებოლილ თევზსა და სოიოს ხაჭოს. ზოგიერთებს რძის ტალონსაც აძლევდნენ, ვიხაიდან რჩილვის დროს რაღაც შხამები გამოიყოფოდა და საწარმო ჯანმრთელობისათვის საშიშად ითვლებოდა. ზოგჯერ შხამიანი ანაორთქლი ჩვენს ფანჯრებამდეც აღწევდა.

ქალები პირდაპირ გიჟდებოდნენ ჭორაობაზე, ერთმანეთში კინკლაობდნენ და თავმჯდომარე მაოს მეუღლის — ძიან ცინის ოპერებიდან არიებს მღეროდნენ. მეზობლები რატომღაც თვლიდნენ, რომ ყველაზე დიდი ბატალიები სახელოსნოში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით იმართებოდა. პატარ-პატარა კინკლაობები — სამშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. ქვედა სართულის ყველა ოთახი რადიოფიცირებული იყო. შუადღის შემდეგ ვიღაცა მაოს ნაშრომებსა და გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოსა“ და ჟურნალ „ხუნციდან“ სტატიებს კითხულობდა. თხუთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდით, საწარმოო გიმნასტიკას გადმოსცემდნენ. ქალები ჩამწკრივდებოდნენ უკანა ეზოში და ათ წუთს ვარჯიშობდნენ. მე, ჩემი დები და ძმა კი შემოვსხდებოდით ფანჯრის რაფაზე და ვუყურებდით. მერე და მერე ჩვენ მათი სახუმარო მეტსახელებიც გავიგეთ — თითოეული მეტსახელი გადაკრულად ერთ, ზოგჯერ კი ორ ასალგაზრდა თაყვანისმცემელს გულისხმობდა. მართალი რომ გითხრათ, მეტსახელის აზრს ბოლომდე ვერ ვწვდებოდი, მაგრამ თანდათან იმ დასკვნამდე მივედი, ქალიშვილად დაბადება დიდი უბედურებაა-მეთქი. სახელოსნოში მუშაობა მთელი სამი ცვლა დუღდა და გადმოდუღდა. დაზგებს არც ღღე თიშავდნენ, არც ღამე, ხმაურისაგან მამას მთელი ღამეები არ ეძინა. ის კი არა, ქვედა სართულზეც კი ჩავიდა მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამაოდ. ქალები სამუშაოთი უნდა უზრუნველვყოთ, ასეა საჭირო, — ვანუცხადა სახელოსნოს პატრონმა, — ასეთია რევოლუციის მოთხოვნაო.

ჩვენ, ბავშვები, ხშირად მივდიოდით იმის საყურებლად, ქალები მავთულს როგორ აკეთებდნენ. ზოგჯერ ჩვენც გვაძლევდნენ უფლებას მავთული ზუმფარით გაგვეხეხა, რაც დიდ სიხარულს გვგვრიდა. ქალები ამბობდნენ, მავთულს გემებით ვიეტნამში აგზავნიან, ისე რომ, ჩვენი საწარმო გასაიდუმლოებულიაო. ხელისუფლებისაგან მიღებული სიგელებიდან ყველაზე დიდი სიგელი კედელზე იყო ჩამოკიდებული — „პატივი და დიდება ულის რკინა-კავეულის სახელოსნოს!“ — ეწერა სიგელზე.

დაწყებით სკოლას, სადაც მე დავდიოდი, „დიდი ბედნიერება“ ერქვა. სკოლა სახლს დაახლოებით ექვსი კვარტლით იყო დაშორებული. ჩემი ახალი კლასელები სულ დამცინოდნენ, უფრო სწორედ, დასცინოდნენ ჩემს დაგლეჯილ ქურთუკს, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გაუხდელად მეცვა. იგი წილად სხვა რამეებთან ერთად ჩემი ბიძაშვილისაგან მერგო. კოკორიკოს ჩემი გამონაცვალი, საყელოსა და სახელოებზე სა-

კერებელდადებული ტანსაცმელი ეცვა. მერე მარგალიტის ჯერი დადგებოდა და საკერებელიც მატულობდა. მარგალიტი ცდილობდა ტანსაცმელი ფაქიზად ეტარებინა, ვინაიდან იცოდა, მის მერე ჯერი გარსკვლავთმფრენზე მიდგებოდა, და მაინც იმას უკვე ძონძებილა ხდებოდა.

მეზობლის ბავშვები არ მეგობრობდნენ ჩვენთან, ეს კი ვერა, აბუჩადაც გვიგდებდნენ, ხან ტილიანებს გვეძახდნენ, ხან ბიბანერებს. მამა ამბობდა, იმდენი შესაძლებლობა სადა მაქვს, ახალი ტანისამოსი მხოლოდ იმიტომ გიყიდოთ, არ დაგცინონ, პატივი გცენო. გვეუბნებოდა, ცუდმა ბავშვებმა შეიძლება ჩანთები წაგართვან, აი ნიჭსა და ცოდნას კი ვერავინ წაგართმევთ. კარგად თუ ისწავლით, პატივისცემასაც დაიმსახურებთო. მე ყურად ვიღებდი მამის დარიგებებს და სწავლაში დიდი წარმატება მქონდა. მალე ნორჩი ხუნვეიბინების რაზმშიც ჩამრიცხეს და კარგი სწავლის გამო რაზმის მეთაურადაც დამნიშნეს. ჩემში წინამძღოლმა გაიღვიძა, თავი იჩინა ოჯახში მიღებულმა გამოცდილებამ. იმ წლებში მთავარია რევოლუცია გესწავლა. რაზმში ნგრევას, გაღმერთებას გვასწავლიდნენ. მაოსადმი ერთგულების დასამტკიცებლად ხუნვეიბინები ფანჯრებიდან ხტებოდნენ. ფიზიკური სიკვდილი არაფერია, უმსუბუქესი ბუმბულის წონაც კი არა აქვს, მაგრამ სიცოცხლეს ხალხისთვის თუ გაწირავ, ასეთი სიკვდილი მთასაც კი გადაწონისო.

ჩემი მშობლები სახლში პოლიტიკაზე არასოდეს საუბრობდნენ. არც იმ სამუშაოზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც მხოლოდ იძულებით ასრულებდნენ. 1971 წლისათვის მამა უკვე აღარ ასწავლიდა ინსტიტუტში — იგი სტამბაში მდივნის თანაშემწედ გადაიყვანეს, დედას კი, მართალია, უნივერსიტეტის დიპლომი ჰქონდა, მაგრამ ახლა ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშაობდა მუშად. „მუშათა კლასს უნდა შეუერთდე, ეს პოლიტიკური აუცილებლობაა“ — უთხრა დედას უფროსმა. ამას პარტია „გადამზადების პროგრამას“ უწოდებდა. ჩემს მშობლებს თავიანთი ახალი სამუშაო, ცხადია, არ მოსწონდათ, მაგრამ ჩვენთან ამაზე არაფერს ამბობდნენ, ვინაიდან ყოველგვარ კრიტიკას შეიძლება ჩვენი მომავლისთვის დიდი ზიანი მიეყენებინა.

დედა სრულიად შეუფერებელი იყო თავისი ახალი როლისათვის. მისი კოლეგები ამბობდნენ, პოლიტიკაში ნამდვილი უვიცია, არაფერი გაეგებაო. ერთხელ სკოლაში დედას ასეთი ლოზუნგის დაწერა დაავალეს — „მრავალჟამიერ თავმჯდომარე მაოს“, — მაგრამ დედამ მოახერხა და იეროგლიფები ისე აურია, „მრავალჟამიერის“ ნაცვლად „ხანმოკლე წლები“ გამოუვიდა. დედა ამბობდა, ეს ნამდვილი კატასტროფა იყოო. იმ დღეს თურმე წნევა ჰქონდა აწეული, თავი საშინლად სტკიოდა, მას კი დასვენების საშუალება არ მისცეს, პოდა, აურია კიდეც ყველაფერი. „თავმჯდომარე მაო ყოველთვის მიყვარდა“, — ამტკიცებდა იგი მოგვიანებით. პარტიის ყოველკვირეულ კრებაზე, რომელსაც რაი-

ონის ყველა მცხოვრები უნდა დასწრებოდა, დედა მკაცრად გააკრიტიკეს. ამტკიცებდნენ, თითქოს გულში დანაშაულებრივ განზრახვას ატარებდა და როგორც დამნაშავე, უნდა დასჯილიყო. დედას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ექნა, თავი როგორ ემართლებინა.

თვითკრიტიკული გამოსვლისათვის მე მას თეზისებიც ვუწერე, რისთვისაც მაოს ყველაზე ცნობილი ციტატები გამოვიყენე. ეს ისინიც: „ადამიანს თავისი შეცდომის გამოსწორების საშუალება უნდა მისცე, მხოლოდ ასე შეიძლება აღზარდო ნამდვილი კომუნისტი“, „ყველა, ვისაც კი ფესი დაუცდება, დამნაშავე არ არის“, „დანაშაულია გზასაცდენილს გამოსწორების საშუალება არ მისცე“. დიახ, ჭეშმარიტად დანაშაულია, ყური არ უგდო მაოს ამ მითითებებს. დედამ გამოიყენა ჩემი შპარგალკა და შენდობილ იქნა. შინ რომ დაბრუნდა, ასე თქვა, ბედმა გამიღიმა ასეთი გერვილიანი შვილი რომ მყავსო. მაშინ მე თორმეტი წლის ვიყავი.

ერთი კვირის შემდეგ დედა ისევ წინდაუხედავად მოიქცა — საპირფარეშოში გაზეთის ის ნაგლეჯი გამოიყენა, რომელზეც თავმჯდომარის პორტრეტი იყო. ამ ამბისთვის ყველა სწორედ გაზეთს იყენებდა, ტუალეტის ქაღალდის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა. მიტინგზე დედამ ექიმის ცნობა წარადგინა, სადაც ეწერა, რომ იმ დღეს, რა დღესაც ეს დანაშაული ჩაიდინა, წნევა ძალიან ჰქონდა აწეული. მაგრამ ამჯერად მას უკვე აღარ აპატიეს და სამუშაოდ ფეხსაცმლის ფაბრიკაში გადაიყვანეს, რათა მძიმე ფიზიკური შრომით ხელახლა და ახლებურად აღზრდილიყო. ის ფაბრიკა რეზინის ჩექმებს უშვებდა. დედას ჩექმები ფორმიდან უნდა ამოელო, ერთი წყვილი ჩექმა კი ხუთ კილოგრამს იწონიდა. და ეს მთელი რვა საათის მანძილზე. ქანცი ისე ჰქონდა გაცლილი, საღამოს შინ რომ მოვიდოდა, ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდა.

ზღურბლს რომ გადმოაბიჯებდა, წამოვიდოდა კედელ-კედელ, დაეშვებოდა სკამზე და იჯდა მკვდარივით ასე გაუნძრევლად. მე მაშინვე კოკორიკოს სველი ხელსახოცისა და დოქის მოსატანად ვგზავნიდი, მარგალიტი ბამბუკის მარაოს მოარბენინებდა, ვარსკვლავთმფრენს წყლით სავსე ტოლჩა მოჰქონდა, ჩემ წილად კი მხოლოდ ჩუსტების მოტანაღა რჩებოდა. ვიდექით და მოთმინებით ველოდით, სულს როდის მოითქვამდა. დედა მადლიერი და კმაყოფილი გვიღიმოდა, ჩვენ ხომ ძალიან ვეცადეთ, არაფერი დაგვიკლია. მე კეფაზე სველ ხელსახოცს ვადებდი, კოკორიკო მე მეხმარებოდა, მარგალიტი ხელსახოცს წურავდა, ვარსკვლავთმფრენი წყალს ცვლიდა. მერე კიბეზე მამის ნაბიჯების ხმას გავიგონებდით და ველოდებოდით, კარს როდის შემოაღებდა.

თვის ბოლოს ჩვენს სახლში საჭმლის მსგავსიც კი არაფერი იყო, შიმშილისგან ყველანი ნადირებს ვემსგავსებოდით. მარგალიტი ერთხელ, შიმშილს რომ ველარ გაუძლო, კუჭის გასამაგრებელი აბებით გამოძღა, თან გვარწმუნებდა, ძალიან ტკბილიაო, მაგრამ იმას დღე დაადგა, ჩემს მტერს. ვარსკვლავთმფრენი ურნებში იქექებოდა, ხილის ქერქებს და ნარჩენებს აგროვებდა. მე და კოკორიკო წყლით ვიჭყიპებოდით. ჯამაგირს დედა ყოველი თვის ხუთ რიცხვში იღებდა. ჩვენ ყველანი იმ დღეს გაჩერებაზე ვიდექით და ველოდებოდით. გაიღებოდა

ავტობუსის კარი, დედა ძლივს გამოაღწევდა ხალხში, მოვიდოდა ჩვენთან სახეგაბრწყინებული და ჩამოვეკიდებოდით ჩვენც აქეთ-იქიდან მაიმუნებივით. მერე კი შევიდოდით საჭმლის საყიდლად იქვე ბაზარი მაღაზიაში და ისე გამოვძღებოდით, მუცლები სულ ნესვებივით ვქონდა გადმოკიდებული. ასეთ წუთებში დედაზე უფრო ბედნიერი ამქვეყნად არავინ იყო.

მიუხედავად იმისა, მამას ხარაზობისა არაფერი გაეგებოდა, მთელ ოჯახს ფეხზე ის გვმოსავდა. მისი ნახელავი ნამდვილ დაბალბორტიან ნავებს ჰგავდა — ძირები ძლივს და ოდნავ იყო ამოდრეკილი გვერდებში. მეტისთვის მამას არც ცოდნა ჰყოფნიდა, არც მასალა. ეს ასე მანამდე გაგრძელდა, ვიდრე მე და კოკორიკომ ნაჭრებისგან ჩუსტების შეკერვა არ ვისწავლეთ. ერთხელ დედა შინ წამლებით სავსე ჩანთით მოვიდა. იმ დღეს თურმე საავადმყოფოში იყო, სადაც ტუბერკულოზი აღმოუჩინეს და ურჩიეს სახლში ქირურგიული ნიღბით ევლო. დედამ — ავადმყოფობა ცოტა არ იყოს, მიხარია კიდევაც, შინ ცოტა უფრო მეტხანს ვიქნებიო.

მაოს „ციტატების კრებულის“ საუკეთესო ცოდნის გამოსავლენ კონკურსში რომ გავიმარჯვე, რაიონის აქტივისტად ამირჩიეს. გარდა ამისა, შევიყვარე ოპერა. ჩვენში იმ დროს გასართობი თითქმის არაფერი იყო, თვით სიტყვა გართობაც კი ბურჟუაზიულ მანკიერებად ითვლებოდა. სულ სხვა იყო ოპერა — ნამდვილი პროლეტარული გასართობი, განსაკუთრებით მაოს მეუღლის — შეუდარებელი ძიან ცინის ოპერები. ეს არა უბრალოდ „მომწონს-არ მომწონს“, „მიყვარს-არ მიყვარს“ იყო, არამედ პოლიტიკური არჩევანი — ვის მხარეს იყავი, რევოლუციის თუ პირიქით. ოპერის სიყვარულს გვასწავლიდნენ რადიოში, სკოლაში. ოპერის დანერგვა-გავრცელებისთვის იღვწოდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები. ასე იყო მთელი ათი წელიწადი. სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე — ჭამის დროს, ძილის დროს, სეირნობის დროს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, ოპერაში ისე ვიზრდებოდი, როგორც ციხის კამერაში. ჩემი ლოჯიის კედლები ოპერის გმირი ქალების პორტრეტებით იყო აჭრელებული. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ოპერის არიებს ვღიღინებდი. დედამ — ოპერაზე ნამდვილად შეიშალე, ძილშიც კი ოპერის არიებს მღერიო. ეს მართლაც ასე იყო. ოპერის გარეშე ერთი დღეც არ შემეძლო. ერთთავად რადიომიმღებს ვიყავი მიწებებული, ვცდილობდი მომღერალი ქალების სუნთქვაც კი გამერჩია, ვცდილობდი მიმებაძა. ახალგაზრდა ქალიშვილის არიას ოპერიდან „ლეგენდა წითელ ჩირაღდანზე“ ასეთი სახელწოდება ჰქონდა: „ვიდრე ცოცხლობენ მხეცები, ბრძოლას არასოდეს შევწყვეტ“. არიას ასრულებდა ქალი, სახელად „რკინის ქლიავი“. იმდენი ვიმღერე, ისე მინდოდა ყველაზე მაღალი ნოტა ამეღო, რომ ლამის სახმო სიმები დავიწყვიტე:

მამაჩემი ნაძვის ხეს ჰგავს,
მტკიცეა მისი ნებისყოფა,
ის ნამდვილი კომუნისტია!
მის კვალს მივყვები უყოყმანოდ,
წითელ ჩირაღდანს ზევით-ზევით ვწევ
ის ჩემი გზის მანათობელია!

ეველა ოპერის ლიბრეტო, იქნებოდა ეს „წითელი ჩირაღდანი", „შაძიას გუბურა", „ვეფხის მთის მახე", „ყურე", „თეთრი ვეფხის პოლკის რეიდი" თუ „დრაკონის მდინარის სიმღერა" — ზეპირად ვიცოდი. მამა ვერ იტანდა ჩემს ხმამაღალ დუეტს რადიოსთან — ხომ არ ჯობია, რადიომიმღების ნაცვლად სამზარეულოს კედელზე შენ დაგკიდოთო.

ბებიამ სოფლიდან ქათამი ჩამოგვიყვანა. ქათამს ნისკარტთან ხშირი, მუქნაცრისფერი ბუმბული ისე ჰქონდა მოდებული, მის დანახვაზე ჩვენი მეზობელი მოხუცი თერძი პირდაპირ განცვიფრდა, ასე თქვა, — წვერი ზუსტად კარლ მარქსს მიუგავსო. ამის შემდეგ ჩვენს ქათამს წვეროსანი შევარქვით. ჩვენი წვეროსანი ბებიას და პაპას ძალიან უყვარდა. როცა იგი მათ ხელში აღმოჩნდა, ჯერ სულ ორი დღისა იყო. მძიმე დრო რომ დადგა და წვეროსნის გამოსაკვებად საჭმელი აღარ ჰქონდათ, ბებიამ დაკვლა გადაწყვიტა, ქათამი ჩვენთან შანხაიში ჩამოიყვანა და — გემრიელად მიირთვით, ბებო გენაცვალოთ, სულერთია, ჯერ მაინც კვერცხის დადების დრო არა აქვსო, — გვითხრა. წვეროსანს ნაღვერდალივით გაღაღანებული ბიბილო გვერდზე გადაეგდო და ქოთქოთებდა. „სორგოს ღვინოში მოხარშეთ, ისეთი გემრიელი იქნება, თითებს ჩაიკვნეტთ", — გვირჩია ბებიამ. ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად მასაც ეგემა, მაგრამ — ქათმის ხორცზე ალერგია მაქვსო, — შულდაკს ხელი დაავლო და ისე სწრაფად წავიდა, გეგონებოდა, საკუთარი პატარა ფეხებიც კი ძლივს ეწევიანო.

მაგრამ ვინ დაკლავდა წვეროსანს? მამამ მაშინვე უარი განაცხადა — ცოცხალი ვნახე, პირს როგორ დავაკარებო! — თქვა და ქათამს შეხედა. წვეროსანი ნისკარტით ბუმბულს ისუფთავებდა, თან კუტკუტებდა. მამა საქმეს მიუტრიალდა. წვეროსანმა ფრთები შეაფრთხიალა და დედასკენ გასწია. „არა, არა, — წამოიძახა დედამ, — ხომ იცით, ვერ დავკლავ, ხელსაც ვერ დავაკარებ, არ შემიძლია!" — და შემომხედა. ბავშვებიც მომაშტერდნენ. ვიცოდი, რის თქმა სურდათ: „შენ ჩვენ შორის ყველაზე გულადი ხარ, შენ დაკალი". კარგი, რაც არის, არის! სამზარეულოში რამდენჯერ მქონია ცოცხალ მტრედებთან, ბაყაყებთან, კიბორჩხალებთან საქმე, ვითომ ქათამი რალაა? ათიოდე წუთი და გაპტკვნილ-გასუფთავებული იქნება. არ მინახავს თუ რა, ბაზარში იხვებს როგორ კლავენ! ყასაბი ერთს ჩაუჩხაკუნებს კისერში, სისხლისაგან დასაწრეტად ფეხებით ჩამოკიდებს, მდუღარე წყლით სავსე ქვაბში ჩაუშვებს, მაშინვე ამოიღებს და გაასუფთავებს.

ჩემი ძმა და დები თავს მიქნევდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ, რაღას უყურებ, მიდი, დაკალიო, — მათ ხომ ჩემს სიყოჩაღეში ეჭვი არასოდეს შეპარვიათ! „ოღონდ ეზოში ჩაიყვანე, რომ ხმა არ გავიგონო, — თქვა დედამ, მერე სახელოში ხელი მომკიდა, შემაჩერა და მკითხა: — იქნებ ზედა სართულის მეზობლებისთვის გვეთხოვა? — „რატომ?!“ — წამოვიძახეთ ყველამ ერთხმად. „არ მინდა ჩემმა შვილებმა უყურონ, როგორ კლავენ“. ასეთი იყო ჩვენი დედა. ჩიტის ბარტყებს და კატის კნუტებს ხელს არ გვაკარებინებდა, გვაიძულებდა გაგვეშვა. „ეზოში ჩავალთ, ყველაფერს უხმაუროდ გავაკეთებთ. ასეთი ქათამი ბაზარზე ხუთი იენი ღირს, მთელი ხუთი დღის ხელფასი!“ — წვეროსანს ფრთებში ხელი ძლივს ჩავავლე, ქათამი კიდევ უფრო ხმამაღლა აკრიახდა და ფრთხიალი დაიწყო. „გაჩუმდი, ნუ ხმაურობ, — თქვა ვარსკვლავთმფრენმა, — ჩვენ შენ წვერების დასატოლებლად კარლ მარქსთან გაგგზავნით“. მოკეტე-მეთქი! — დავუტატანე. ვუთხარი, ჯობდა ზევით აერბინა და მაკრატელი ჩამოეტანა. ვარსკვლავთმფრენს ჯერ ჩაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ქათამმა კორტნა დამიწყო. იმ საძაგელს ნისკარტი მართლაც მაკრატელივით ჰქონდა! რა უნდა მექნა, მსხვერპლს ხელი გავუშვი, აქოთქოთებული ქათამი კიბის უჯრედს მიაწყდა, მერე რამდენჯერმე ჭერს აასკდა და ცემენტის იატაკს დაენარცხა.

იწვა ჩვენი ქათამი, ჩვენი წვეროსანი ცემენტის იატაკზე ულონოდ ცალფრთაგართხმული, მერე კრიახ-კრიახით წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ფრთაათრეული ისევ გვერდზე მოზვავდა. ჩვენ ჯერ ერთმანეთს, მერე ქათამს შევხედეთ. „ფრთა მოიტეხა“, — თქვა მარგალიტმა. ამ დროს მაკრატლით ხელში ზევიდან ვარსკვლავთმფრენიც ჩამოვიდა. მე ხელები გავასავსავე — „არა, ახლა არა, არ შემიძლია, ფრთა აქვს მოტეხილი“. „არა, არც მე შემიძლია“, — ჩაილაპარაკა კოკორიკომ. „არც მე“, — თქვა მარგალიტმა. „არავითარ შემთხვევაში!“ — იყვირა ვარსკვლავთმრენმა და უცებ აღრიალდა: — ყოველთვის მე მავალებთ! — ამ სიტყვებით იგი ფანჯარას ეცა: — „დედა, დედა! ამათ უნდათ ისევ... ისევ მე...“

გადავწყვიტეთ სიკვდილით დასჯა გადაგვედო, მანამდე მოგვეცადა, ვიდრე ფრთა შეუხორცდებოდა. სამზარეულოში ნიჟარასთან სახლი მოვუხუხულავეთ, თივა ჩავუფინეთ და ბუდესავით რაღაც მოვუწყეთ. ბუდეში ქათამი დამშვიდდა, ჩვენც ხშირ-ხშირად მივიდოდით და დავხედავდით ხოლმე. იჯდა ჩვენი წვეროსანი ჩუმად ფრთის ქვეშ თავამოდებული. დედამ ბუმბულქვეშ ხელი რომ შეუყო, ქათამი სულ გავარვარებული იყო. „სიცხე აქვს, — თქვა დედამ, — ავადაა. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?“ ყველანი ცუდ გუნებაზე დავდექით. „აბები მაქვს... ანტიბიოტიკები... მართალია ადამიანებისთვისაა, მაგრამ... წვეროსანი ხომ... უშველის კი?“ — აბუტბუტდა კოკორიკო... „ნამდვილი ადამიანივით იქცეოდა, ჰო, ჰო, ნამდვილი ადამიანივით! — თქვა მარგალიტმა, — მიხვდა, დაკვლას მიპირებენო, და ფრთა თვითონვე მოიტეხა“.

ფრთა ფრთხილად მოვუსინჯეთ, წვეროსანი საცოდავად შემოგვყურებდა და ჩუმად კუტკუტებდა. „სტკივა, დედა, სტკივა, მალე, მალე მიეცი აბი!“ — ვემუდარებოდით დედას. ჩვენ ქათამი გვეჭირა, დედა

ნისკარტში აბს უტენიდა, ვარსკვლავთმფრენი და მარგალიტი ფეხებს უჭერდნენ, მე და კოკორიკოს ფრთები გვეკავა, მაგრამ არც თვითონ წვეროსანი გვიშლიდა ხელს. მერე მთელი სამზარეულო სკლინტით მოსვარა და დასაძინებლად შეიბუდა. ჩვენ სადილს მივუსხედით, თუმცა ყელში ლუკმა არ გადაგვდიოდა. სამზარეულო სკლინტის სუნით ყარდა, ოთახის მთელი ერთი კუთხე საბუდარს ეკავა, ამიტომაც მაგიდასთან ძლივს ვისხედით, „იცოდეთ, სამზარეულოში სისუფთავე იყოს, არა ვნახო აქაურობა ასე ყარდეს, ხომ გესმით?“ — თქვა დედამ და ბავშვებს შემოგვხედა. „ხომ გაიგეთ, დედამ რა თქვა, — ჩაერია მამა, — მიხედეთ, თორემ ამალამვე გარეთ გავუძახებ!“

შევპირდით, რომ სისუფთავე იქნებოდა. მეზობლებში ნაცარი მოვაგროვეთ, სკლინტს დავაყარეთ და კალათში ჩავუძახეთ. წვეროსანს რას არ ვაჭმევდით — ბრინჯს, ბოსტნეულს, დაფქულ ძვალსა თუ ჭიაყელებს. ქათამი თანდათან დაბზინდა, წონაში მოიმატა, ისევ აულაქლაქდა ბიბილო. ველაპარაკებოდით, ვუმღერდით და იმედი გვქონდა, ჰა და ჰა, საცაა კვერცხის დებას დაიწყებდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუა, ჰოდა ჩვენც მოგვბეზრდა მისი მოვლა. „დაასუფთავე!“ — ვუბრძანებდი კოკორიკოს. „მიალაგე აქაურობა!“ — გადაულოცავდა ის მარგალიტს. „შენ მიალაგე!“ — მიდგებოდა ჯერი ვარსკვლავთმფრენზე და ისიც აყვირდებოდა: „დედა, ისევ მე... ისევ მე მავალებენ!..“

„კმარა, დაკალი!“ — მიბრძანა მამამ. ვუთხარი, გამოცდები მაქვს, არც შაბათს მცალია, არც კვირას, უნდა ვიმეცადინო-მეთქი. „ჩვენც საშეცადინო გვაქვს“, — განაცხადეს ბავშვებმაც. „მაშინ ორშაბათს“, — თქვა მამამ და მეც დავთანხმდი.

ორშაბათს დღისით მაკრატელი გავლესე. სახლში არავინ იყო. წვეროსანს ჩუმად მივეპარე, მაგრამ წვეროსანი გამისხლტა, საშინლად აქოთქოთდა, მერე ბუდეში ჩაჯდა, მაგრამ მალე ისევ აწრიალდა. დამაინტერესა, ნეტავი რა დაემართა-მეთქი, და ბუდეში ჩავიხედე. მაგრამ წვეროსანს ეს არ მოეწონა და სკამის ქვეშ, ჩასადენი მილის გვერდით მიიკუჭა. მივხვდი, მარტო ყოფნა უნდოდა, მაგრამ, რა უნდა მექნა, უკან ხომ არ დავიხევდი. უნდა მომეფიქრებინა, ჩუმად როგორ მივპაროდი. უცებ გონება გამინათდა. ნიჟარის თავზე სარკე იყო ჩამოკიდებული. სამზარეულოს მაგიდაზე ავედი, პირალმა დავწექი და სარკე ისე დავაყენე, წვეროსნისთვის თვალი მედევნებინა, თავად კი უჩინარი ვყოფილიყავი.

ხუთი წუთის შემდეგ ქათამი ბუდიდან გადმოვიდა, აქეთ-იქით ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს უნდა დარწმუნდეს, სამზარეულოში არავინ არისო, მერე ბუდეში ნამჯა შეასწორა და ფეხები უცნაურად გაჩაჩხა. ისეთი სასაცილო პოზა მიიღო, ჩაჩოქილი გეგონებოდა, თან თითქოს იჭინთებაო, როგორღაც უცნაურად გაიფხორა. „ნეტავი კვერცხს ხომ არ დებს?“ — სარკეს სულგანაბული მივაშტერდი. და აი უცებ წვეროსანი კუთხეში მიიკუჭა, ისე, რომ სარკეში მე უკვე ველარ ვხედავდი. ქათამი რომ არ შემეშინებინა, ვიწექი და მოთმინებით ველოდი. რამოდენიმე წუთის შემდეგ წვეროსანი ისევ გამოჩნდა სცენაზე, ფეხები ისევ სასაცილოდ გაფარჩხა, დაიძაბა და ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ ბუდეში კვერცხი თეთრად აკიაფდა.

მაშინვე მაგიდიდან ჩამოვხტი და კვერცხი ფრთხილად ავიღე — თხელ, თითქმის გამჭირვალე ნაჭუჭიანი კვერცხი ჯერ ისევ თბილი იყო. წვეროსანს შევხედე და წვეროსანმაც ღირსებით სავსე მზერა შემომაგება. გულში რომ ჩავიკარი, ქათამი ხმამაღლა, ამაყად აკუტკუტდა, მარგალიტმა — ასეთი მძიმე გარჯის შემდეგ ეს მისთვის [illegible] ალბათ — ქათამი თავის ლოგინში ჩაათბუნა. ყველანი საწოლის ირგვლივ იატაკზე ჩავსხედით, წვეროსანს ტკბილად ვეჭუკჭუკებოდით, კვერცხს ხელიდან ხელში გადავცემდით და გულდაგულ ვათვალიერებდით. ვარსკვლავთმფრენმა კალამი მოიტანა, მე კი ამ დიდებული მოვლენის აღსანიშნავად კვერცხს რიცხვი და საათი პირდაპირ ნაჭუჭზე წავაწერე. კოკორიკომ კოლოფში რბილი ქაღალდი ჩაფინა, კვერცხი შიგ ფრთხილად ჩადო და კოლოფი საწოლის ქვეშ შედგა. მშობლებმა სახლში ფეხი შემოდგეს თუ არა, მაშინვე ეს ამბავი მივახარეთ და ვთხოვეთ — რახან კვერცხის დადება დაიწყო, ნუ დავკლავთ, აზრი აღარა აქვს, ბაზარში კვერცხი ხომ ყველაზე ძვირი ღირსო. მშობლები ამაზე დაგვეთანხმნენ, მაგრამ გაგვაფრთხილეს, წვეროსნის დადებულ კვერცხს პირს არ დააკარებდნენ, და ჩვენც შევპირდით, რომ კვერცხებს მხოლოდ სტუმრებისთვის შევინახავდით.

ასე აღმოჩნდა ჩვენი წვეროსანი ყურადღების ცენტრში. ყოველდღე სკოლის შემდეგ მისთვის ჭიაყელებს ვაგროვებდით. ვარსკვლავთმფრენი დიდ-დიდი მუხლუხოების მოსაგროვებლად ხეებზე დაძვრებოდა. წვეროსანმა საჭმლის რჩევა დაიწყო, ყველაზე სიამოვნებით ახლა იგი ცოცხალ ჭიაყელებს მიირთმევდა. კვერცხს ყოველ ორ დღეში ერთხელ დებდა, ამიტომაც კოლოფი მალე პირამდე აივსო. მაგრამ ჩვენი წვეროსნის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. იმ ზაფხულს ადგილობრივმა პარტკომიტეტმა სანიტარიისათვის ბრძოლის კამპანია გამოაცხადა და სამ დღეში აღარც ძაღლების ჭაჭანება იყო ქალაქში, აღარც ქათმებისა და აღარც იხვების. ვცდილობდით დაგვემალა წვეროსანი, მაგრამ, რა უნდა გვექნა, პირს ხომ ვერ ამოვუკერავდით! ყოველთვის, კვერცხს დადებდა თუ არა, დედობრივი სიამაყით აღსავსე ამ ამბავს მთელ ეზოს საჯაროდ აუწყებდა. და აი მოხუცი პენსიონერების საგანგებო კომიტეტი პატრიოტული ლოზუნგების სკანდირებით ჩვენს ეზოსაც მოადგა. პირველად თავი ისე დავიჭირეთ, ვითომ ბაიბურში არ ვიყავით. მხოლოდ მაშინ ავწრიალდით, ქაღალდის პატარა დროშების ქნევა-ქნევით ზედ კარზე რომ მოვვადგნენ. წვეროსანი ფანჯრის ქვეშ შევსვით და საბანი წავაფარეთ. მოხუცები ხმაჩახლეჩით ლოზუნგებს გაჰკიოდნენ, თან სულს ძლივს ითქვამდნენ. „ქალაქში იხვებისა და ქათმების ადგილი არ არის!" და ისევ: „ქალაქში იხვების და ქათმების..." უცებ მათი წინამძღოლი ახროტინდა, ხველება დააწყებინა და ლოზუნგის დამთავრება ვერ შეძლო. ბერიკაცები როგორღაც დაიბნენ, მოჯადოებულებივით მხოლოდ ამ სიტყვებს გაჰკიოდნენ: „ქათმების და იხვების..." „ქათმების და იხვების..." „ქათმების და იხვების..." წინადადება მხოლოდ მაშინღა დაამთავრეს, როცა მათმა წინამძღოლმა სული როგორც იქნა, მოითქვა.

სასაუბროდ ჩვენთან თვითონ პარტკომიტეტის მეთაური მოვიდა. დაინტერესდა, რატომ არ ვილონე რამე, რატომ არ მოვიქეცი ისე, რო-

გორც ნორჩი ხუნვეიბინების რაზმის მეთაურს შეეფერებოდა. ეჭვი გამოთქვა, არა მგონია, მომავალ წელს ჭეშმარიტ მაოძედუნელად ჩაგთვალონო. მაშინვე მივხვდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. მოკლედ, შევპირდი, რომ ხვალ დილით ქათამს უსათუოდ დავკლავდი, რაზეც თავმჯდომარემ განაცხადა, კომიტეტის წევრებთან ერთად შესამოწმებლად დილის შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე მოვიდოდა. ჩვენ მისთვის ქათმის თავი უნდა გვეჩვენებინა.

იმ ღამეს ცუდად მეძინა. დილით ინათა თუ არა, ავდექი. წვეროსანს უკვე ეღვიძა და სიბნელეში თავის საუზმეს კენკავდა. ჩემი ფეხის ხმა რომ გაიგო, აკუტკუტდა. მაკრატელი ავიღე, ქათამს ფეხებში ხელი ჩავავლე და ეზოში ჩავედი. ზედა სართულზე მკვდარუნას, რომელიც ეს-ესაა დაბრუნებულიყო ბაზრიდან, ვკითხე, რომელი საათია-მეთქი. შვიდს ხუთი წუთი აკლდა. შეეცადე თავი დამერწმუნებინა, ჩვენი წვეროსანი მხოლოდ ქათამია, ჩვეულებრივი ფრინველი, ანტისანიტარიის წყარო-მეთქი, და მაკრატელი მოვიმარჯვე, მაგრამ გამახსენდა, რომ სახლში უნდა ავსულიყავი და სისხლის ჩასაწრეტად რაიმე ჭურჭელი ჩამომეტანა. ამასობაში უკვე რვის თხუთმეტი წუთი გახდა. იმის გამო, რომ წყლის ადულებაც დამავიწყდა, ისევ ზევით ავბრუნდი, წვეროსანი კი ძირს თავისუფლად გავუშვი. ქათამს ეს მოეწონა, ბუმბული გაიბუა და ეზოში დაბრუნებულს მუჭაზე ჩანისკარტება და თამაში დამიწყო. ამასობაში წყალიც ადუღდა. მდულარე წყლით სავსე როფი ძირს ჩამოვიტანე, სისხლის ჩასაწრეტი ჯამის გვერდით დავდგი და ქათამს დასაჭერად დავედევნე. მაგრამ, თითქოს საშიშროება იგრძნოო, გამექცა. ბოლოს როგორც იქნა, კუთხეში მივიმწყვდიე და ხელით ზევიდან დავაწექი. ქათამი, გეგონება, დაჩოქილი იდგა ჩემს წინაშე. კისერში ხელი ჩავავლე და თავი გავუწიე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ძალა არ მყოფნიდა. არა უშავს, მაინც მოვერევი-მეთქი, რაც ძალი და ღონე მქონდა, თავი ისევ გავუწიე და მაკრატელი ხელში მაგრად ჩავბღუჯე. ამასობაში უკვე რვის ოცდახუთი წუთი გახდა. ჩასისხლიანებული თვალებით ქათამი სახეში მომჩერებოდა, დანებებას არ აპირებდა. ამ დროს დოლის ბრახუნი გაისმა. ეს ალბათ კომიტეტელები არიან-მეთქი, — მაკრატელი ავწიე და ქათამს კისერში დავუმიზნე. ქათამი გაიტრუნა: უკვე რვის ნახევარი იყო. კაველის სახელოსნოში ზარი აწკრიალდა და სახელოსნოს კარს მუშები მიაწყდნენ. კომიტეტელები უკვე ჩვენი სახლის წინ იყვნენ ჩამწკრივებულები, სკანდირებისას ხმას ხან აუწევდნენ, ხან დაუწევდნენ. ის იყო, მაკრატელი გავაჩხაკუნე, რომ ქათამი ხელიდან გამეშვა, ხმამაღლა აკაკანდა და უცებ კვერცხი დადო. ამის ყურება ჩემთვის უკვე აუტანელი იყო. მაკრატელი ხელიდან გამივარდა. თვალი რომ გავახილე, ჩვენი ქათამი კომიტეტელების თავს ზემოთ გასისხლიანებული აქეთ-იქით აწყდებოდა. ჩემი დები და ძმა ფანჯარას მიჰკვროდნენ. უცებ წვეროსანი ჩვენი ფანჯრების პირდაპირ ხეზე აფრინდა, ხიდან ძირს ქვასავით წამოვიდა და ცემენტის ფილებს დაენარცხა.

კიბეს ფეთიანივით ვეცი. მორჩა, ქათამს არასოდეს გავეკარები, არც მე, არც რომელიმე ჩვენთაგანი! წვეროსანი სისხლს ჩასაწრეტად გამზადებული ჯამისა და მდულარე წყლით სავსე როფის გვერდით ეგდო — უკვე მკვდარი. კვერცხიც იქვე მის გვერდით იდო. როფში წყალი რომ გაცივდა, მკვდარუნა მოვიდა და მკითხა, ქათამს რას ვუ-

პირებდი — ცოდოა, ასე შეიძლება გაიხრწნასო. თუ გინდა წაიღე, ღვინოში თუ მოხარშავ, ძალიან გემრიელი იქნება-მეთქი. ცხადია, უარი არ უთქვამს. ნასადილევს ძირს რომ ჩავედი, მკვდარუნას ოჯახის წევრები პოლიტმეცადინეობაზე იყვნენ გაკრეფილები, ძვლების გროვად ქცეული ჩვენი წვეროსანი კი ნაგვის კალათში განისვენებდა. მკვდარუნამ მითხრა, კერძი ისეთი გემრიელი იყო, თითებს ჩაიკვნეტდიო.

სკოლაში სახელმძღვანელოებად მაოს წიგნებს ვიყენებდით. ჩინეთის კომპარტიის ისტორიას კლასში ყველაზე უკეთესად ვსწავლობდი. ეს ხომ რეაქციულ ძალებზე პროლეტარიატის გამარჯვების ისტორია იყო, ხოლო დასავლეთის ისტორია კაპიტალისტური ექსპლოატაციის ისტორიაა. მაოს პორტრეტის გვერდით მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის სურათები ეკიდა: ყოველ დილა მათაც ისევე ვესალმებოდით და ისევე ვუსურვებდით დღეგრძელობას, როგორც მაოს. დები ჩემგან იწერდნენ თხზულებებს. თუმცა ეს უფრო ლოზუნგების კრებულები იყო და ყველა ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „აღმოსავლეთიდან უბერავს ქარი, დაჰკრეს დაფსა და ნაღარას, ისმის ბრძოლის გუგუნი. ვინ არის დღეს მსოფლიოში შეშინებული? ხალხებს არ ეშინიათ ამერიკელი იმპერიალისტების, არა, ეს ამერიკელ იმპერიალისტებს ეშინიათ მსოფლიო ხალხების!“ ამ წინადადებისათვის უამრავი ჯილდო დავიმსახურე. ვარსკვლავთმფრენი ისე მიყურებდა, როგორც ნამდვილ ჯადოქარს. ჩემთვის კი ასეთი თხზულების დაწერა არაფერს წარმოადგენდა. აი ჩინურ ანგარიშში შეჯიბრებები სულ სხვა იყო. მართალია, დებსა და ძმას თხზულებებს ვუწერდი, მაგრამ ჩვენ შორის საერთო ცოტა რამ თუ იყო. ჩემი თავი მე უკვე უფროსად მიმაჩნდა, გული სულ სიძნელეებისაკენ მიმიწევდა. სკოლაში დღედაღამ კომუნიზმს ვნერგავდი, რევოლუციას ვახდენდი, კედლებსა და ღობეებს ლოზუნგებით ვაჭრელებდი. ჩემი ხელმძღვანელობით კლასში ამერიკელი ღარიბ-ღატაკი, მშიერი ბავშვებისათვის ფულს ვაგროვებდით და ამით ძალიან ვამაყობდით. დარწმუნებული ვიყავით, გეოგრაფიულ რუქაზე წითელი ფერის გავრცელებას ვუწყობდით ხელს, მთელი პლანეტის სიმშვიდისთვის ვიბრძოდით... მოკლედ, თავით ფეხამდე გმირული სულისკვეთებით ვიყავი განმსჭვალული — მღეროდა ჩემი სული.

სკოლის რევკომის სხდომაზე მიწვევენ. სამოცდაათიანი წლების დასაწყისია, მე ცამეტი წლის ვარ. ვმსჯელობთ, როგორ ავამოძრაოთ ჩვენს სკოლაში კულტურული რევოლუცია, ვმსჯელობთ კომიტეტელებთან, ნამდვილ რევოლუციონერებთან ერთად. როცა ხელს ვწევ და სიტყვას ვითხოვ, სახეში სირცხვილისგან სისხლი აღარ მასხამს, აღარ ვწითლდები. უკვე ვიცი, რაზე უნდა ვილაპარაკო. „ჟენმინ ჟიბაოდან“ და ჟურნალ „ხუნციდან“ პირდაპირ ვაფრქვევ ციტატებს. ჩემი სიტყვა დროის სიდიადის შეგნებით არის გაჟღენთილი. მე ვამაყობ ჩემი თავით.

ის, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ნორჩი ხუნვეიბინების რაზმში მაღალი თანამდებობა მიკავია, ჩვენს ოჯახს განსაკუთრებული შარავანდით მოსავს. ჩემი საპატიო ჯილდოებით დედა ამაყობს, თუმცა კედელზე, არ ვიცი, რატომ, არასოდეს კიდებს. სკოლის ხელმძღვანელობას პირზე ერთთავად ჩემი სახელი აკერია. წოდებებზე მემატება — „მაოისტური სწავლის აქტივისტი", „მაოისტური ბავშვი", „სწავლის ფრიადოსანი" და ა. შ. სკოლის რადიოში ჩემი გამოსვლების გამო ჩემს დებსა და ძმას თანაკლასელები შურითა და აღტაცებით შეჰყურებდნენ.

ჩვენი სკოლის პარტკომიტეტის ახალი მდივანი, სახელად ჩენი, შანხაის გემთსაშენი ქარხნის მუშათაგანია — ბამბუკის ღეროსავით გალეული ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. სულ იმას მასწავლის, პოლიტიკური მიტინგი როგორ უნდა მოვაწყო. ხშირად ამბობს, კულტურულ რევოლუციაში ჩვენს ახალგაზრდა წინამძღოლებს საპასუხისმგებლო როლი უნდა ვანდოთ, ნორჩ ხუნვეიბინებს ინიციატივის გრძნობა უნდა გავუღვიძოთო. მოითხოვს, თუ რამ სათანადოდ არ გვესმის, იმის არ შეგვეშინდეს. გვაიძულებს, ეს მარტივი აზრი გავითავისოთ: „თუნდ ღედამიწამაც კი შეწყვიტოს მოძრაობა, შენ მაინც იმოძრავე, არ შეჩერდე, მოქმედება განაგრძე".

მგონი, ნოემბრის პირველი დღეები იდგა, მდივანმა ჩენმა თავისთან გამომიძახა და საიდუმლოდ შემატყობინა, კომიტეტმა ფარული კლასობრივი მტრის მხილება შეძლო, რომელიც ამავე დროს ამერიკის ჯაშუშიცაა, დაახლოებით ორი ათას კაციანი მიტინგი უნდა მოვაწყოთო, და შემომთავაზა, მოსწავლეების სახელით მიტინგზე მამხილებელი სიტყვით გამოვსულიყავი. დავინტერესდი, ვინ იყო ის კლასობრივი მტერი. მდივანმა წარბი შეკრა და იმ ადამიანის სახელი ახსენა. თავზარი დამეცა. ეს იყო ციუ ე, ანუ შემოდგომის ფოთოლი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი. იქნებ ყურმა მომატყუა? არა, თავისი სიტყვების დასტურად მდივანმა თავი მტკიცედ დამიქნია.

მუხლებმოკვეთილი ადგილზევე ჩავჯექი. შუა ხანს მიტანებული თხელი, სიფრიფანა ქალი... ახლომხედველია და მუდამ შავი სათვალე უკეთია. ყოველთვის თავშეკავებულია, წყნარი, მშვიდი ხმა აქვს. ჩინურ ენას, მათემატიკას და მუსიკას გვასწავლის და ამას მთელ თავის სულსა და გულს ატანს. კლასში პირველად რომ შემოვიდა, გვკითხა, ვიცოდით თუ არა მისი სახელი — ციუ ე რას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა და თვითონვე აგვიხსნა: ტანის ეპოქის ცნობილი ლექსები ხოტბას ასხამს შემოდგომის ფოთოლცვენას. შემოდგომაზე თავის დროს ჩამოცვენილი ფოთლები სისხლსავსე სიცოცხლის სიმბოლოა. ლპობის შემდეგ მიწას ანოყიერებს, ღალას ჰმატებს. ზამთარში თესლი მათი წვენით იჟღინთება, გაზაფხულზე ამოდის, ღივს იკეთებს და იზრდებაო. კიდევ ის გვითხრა, რომ ჩვენ მისი გაზაფხული ვართ.

როგორც მასწავლებელი — დაუღალავი იყო. თითქოს არც არასდროს იღლებოდა. სრულიად განსხვავებული მეთოდიკა ჰქონდა. ბავშვებისთვის უსასრულობაზე წარმოდგენა რომ შეექმნა, ხელებს მხრის

სიმაღლეზე ასწევდა და ფართოდ ისე გაშლიდა, რომ ჯვარს ემსგავსებოდა. ანდა უცებ ლაპარაკს ძლიერი ხუნანური კილოთი დაიწყებდა — იურმე ის პოეტი, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, წარმოშობით ხუნანელი იყო. ერთხელ, როცა ცდილობდა ჩემთვის აეხსნა, თუ რაში მდგომარეობდა გეომეტრიული პროგრესიის მთელი სიბრძნე, უცებ ხმა სრულიად დაეკარგა. როცა ბოლოს და ბოლოს მიეხვდი, რის თქმა სურდა, უხმოდ გაიცინა და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მუხჯი იყო. როცა მადლობა გადავუხადე, მითხრა, ძალიან მახარებს სწავლაში შენი ასეთი გულმოდგინეობაო. კლასში მუდამ მაგალითად ვყავდი, მერე კი მთელ სკოლაშიც. როცა გაიგო, ჩემი დიდი სურვილი იყო, ჩინურ ენას სრულყოფილად დავუფლებოდი, სახლიდან უამრავი წიგნი მომიტანა. ერთხელაც გაკვეთილების შემდეგ თავსხმა წვიმა წამოვიდა, თავისი საწვიმარი, ქოლგა და რეზინის ბოტები ბავშვებს დაგვირიგა, თვითონ კი თავით ფეხამდე გაილუმპა. მეორე დღეს სიცხიანი მაინც მოვიდა სკოლაში და ყველა გაკვეთილი ჩაატარა, თუმცა გაკვეთილების შემდეგ ხმა თითქმის აღარ ჰქონდა. განა შეიძლებოდა ასეთი მასწავლებელი ამერიკის ჯაშუში ყოფილიყო?!

თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო, პარტკომიტეტის მდივანმა ღიმილით მკითხა, ასეთი ანდაზა თუ გაგიგონიაო — „სუფთა ოქრო მხოლოდ ძლიერ ცეცხლში გამოიწრთობა“. მე უარის ნიშნად თავი რომ გავაქნიე, მითხრა, ახლა თვითშემოწმების მნიშვნელოვანი მომენტი გიდგას, სწორედ ახლა უნდა გაერკვე, ხარ თუ არა ნამდვილი რევოლუციონერიო, და მაოდან ციტატა მოიყვანა: „რევოლუციის კეთება მაძღრად ჭამა, სურათების ხატვა და ქარგვა არ არის... არც სიამოვნებაა, არც დასვენება. რევოლუცია ეს ერთი კლასის მიერ მეორის სასტიკი დამარცხებაა“.

ენა ჩამივარდა, პასუხად სიტყვა ვერ დავძარი, მხოლოდ იმას ვიმეორებდი, რომ ის ჩემი მასწავლებელი იყო. „მოდი გავერკვეთ, — თქვა ჩენმა და სიგარეტი გააბოლა, — ცხვრის ტყავში გახვეული მგლის იგავ-არაკი ხომ გაგიგონია? ჰოდა, ის შენი მასწავლებელიც სწორედ ის მგელია. მამამისი დღემდე ამერიკაში ცხოვრობს, იგი ამერიკელი ჩინელია. თვითონაც იქ დაიბადა, იქ გაიზარდა და იქ ისწავლა. როგორ ფიქრობ, კაპიტალისტმა თავისი ქალიშვილი ჩინეთში იმისთვის გამოაგზავნა, რომ ჩვენი ბავშვებისთვის სწავლა-განათლება მიეცა? არ მიგაჩნია ეს საეჭვოდ?..“ მოკლედ, პარტკომიტეტის მდივანი ჩენი მთელი ორი საათი იმას ჩამჩიჩინებდა, შენი მასწავლებელი იმპერიალიზმის საიდუმლო აგენტია, თავისი იმ გაკვეთილებით თქვენს სულებს ხრწნის, განა ეს დასაშვებიაო? რა თქმა უნდა, არა, პროლეტარიატს უკან, ძველ ცხოვრებისაკენ ვერავინ დააბრუნებს-მეთქი. „ჩინებულია, — მითხრა ჩენმა და მხარზე ხელი დამარტყა, — პარტიის ნამდვილი ალესილი მახვილი იქნები!“ მე თავი დავუქნიე, ვკითხე, რა უნდა გამეკეთებინა. „მოხსენება დაწერე“. რაზე-მეთქი? მასებს მოუყევი, სულიერად როგორ გწამლავდნენო. კი მაგრამ, კარგად რომ არ მესმის, სულიერი მოწამვლა როგორია-მეთქი? „ე-ეჰ, ეტყობა, ჯერ ისევ პატარა ხარ. კარგი. უბრალოდ, მომიყევი, რა პიროვნება ბრძანდება ის შენი მასწავლებელი“. და მეც მოვუყევი ის, რაც სინამდვილეში იყო.

ამაზე ჩენმა დიდხანს იცინა: „გატყობ, შენც იმ ჯაშუში ქალბატონის მსხვერპლი ხარ, კიდევ კარგი, სიცოცხლეს არ გამოგასალმა, ისე მოგკლავდა, ცხვრის შემჭმელი მგელივით კვალს არ დატოვებდა". მერე განრისხებულმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და იყვირა: „აი, საუცხოო მასალა დისკუსიისათვის!" მე თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი. მაშინ დამაწყნარა და მითხრა, რომ ჩემი ახალგაზრდობისა [illegible] შემრცხვენოდა. როცა მიხვდა, მაინც უკმაყოფილო ვიყავი ჩემი თავით, დახმარება შემომთავაზა, მთხოვა, დამესახელებინა ის წიგნები, რომლებიც ჩემთვის მასწავლებელს მოჰქონდა. მეც დავუსახელე: „ფიფქია", „ალი"... ვინ დაწერაო? — მკითხა. მგონი, ანდერსენმა-მეთქი — ვუპასუხე.

ჩენმა საჩვენებელი თითი ასწია და შუბლი შეიკრა: „მოიცა, მოიცა, აი სად მარხია ძალლის თავი! არა, ეგ ანდერსენი ვინღაა?".. — „რა ვიცი, ვიღაც ბერიკაცია, უცხოელი". — „მერედა, რაზეა ეგ ზღაპრები?" — „მარტო უფლისწულებზე, მეფის ასულებსა და ჯუჯებზე". — „ახლა რას აკეთებს, რას საქმიანობს ის შენი ანდერსენი?" ამაზე მე წარმოდგენა არ მქონდა. „ხედავ, სულ დაკარგე სიფხიზლე! — ლამის უკვე მიყვიროდა, — ის შენი ანდერსენი შეიძლება მტრისგან მოჩენილი ჯაშუშიც იყოს!" ჩენმა ჯიბიდან წამლის შუშა ამოიღო და რამდენიმე აბი ერთად გადაყლაპა. ასე თქვა, ღვიძლი მტკივა, მაგრამ ექიმს არ ვეუბნები, თავს მაშინვე საავადმყოფოში მიკრავენ. მართალია ტკივილი სულ უფრო მატულობს, მაგრამ მკურნალობისათვის წუთის დაკარგვაც არ შეიძლია, მაოს ხომ ვერ ვუღალატებ, ის ხომ ჩვენ გვენდო, ჩვენ ხომ მუშათა კლასს წარმოვადგენთ, იმ მუშათა კლასს, ვინც განთავისუფლებამდე ძალლებსა და ღორებზე უარესად ვცხოვრობდითო.

სახე წითლად ჰქონდა აფორაჯებული. ვუთხარი, დასვენება გჭირდებათ-მეთქი. მან კი მანიშნა, გავჩუმებულიყავი და ხელი მარჯვენა ფერდზე მიიჭირა — ტკივილის გაყუჩებას ცდილობდა. მერე განაგრძო: ბავშვობისას სკოლაში არ მივლია, ხუთი წლისაც არ ვიყავი, მშობლები შიმშილით რომ დამეხოცნენ, ქოლერისგან დაღუპული და-ძმები პირდაპირ ზღვაში გადავყარეთ. მე თხუთმეტი გირვანქა ბრინჯის ფასად ვიღაც ბავშვებით მოვაჭრეზე გამყიდეს. სულ პატარა ვიყავი, შანხაიში გემთსაშენ ქარხანაში მუშაობა რომ დავიწყე. ქარხნის პატრონი დაუნდობლად მცემდა. ქვეყანა რომ განთავისუფლდა, პარტიაში შევედი, იქიდან საგანგებოდ მუშათა კლასისათვის გახსნილ ღამის სკოლაში გამაგზავნეს, ისე რომ, ძალიან დავალებული ვარ ჩვენი პარტიისაგან, ვიდრე მის ამაგს გადავიხდიდე, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელიო...

მე მას თანაგრძნობით შევყურებდი. ვატყობდი, ტკივილი სულ უფრო ემატებოდა, მარჯვენა ფერდზე სულ უფრო მაგრად და მაგრად იჭერდა ხელს. „იცი, შენი მასწავლებლის დღიური ვიპოვეთ... იქ შენ შესახებაც წერია..." „მაინც რა? რა წერია ჩემ შესახებ?" — ცოტა არ იყოს, შევშფოთდი. „წერს, რომ შენ ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი ხარ კლასში, ვისაც ნიჭი და უნარი გააჩნია. „ნიჭსა და უნარს" ხაზი საგანგებოდ აქვს გასმული. ხომ ხვდები, ეს რასაც ნიშნავს? — და პასუხისათვის არც კი დაუცდია, განაგრძო, — ესე იგი, იმის ნიჭი და უნარი, რომ შენც ისეთი გახდე, როგორიც თვითონაა, როგორიც მამამისია, რო-

გორებიც იმპერიალისტები არიან. დლიურს კი, ეტყობა, იმიტომ წერდა, ამერიკელი პატრონებისათვის თავისი ჯაშუშური წარმატებების დამამტკიცებელი საბუთი წარედგინა".

ჩემთვის ეს მთელი სამყაროს გადატრიალება იყო. პარტკომიტეტის მდივანმა მკითხა, ვხვდებოდი თუ არა, რომ თავიდან, მართალია, მარტო მე ვიყავი საცდელი კურდღელი მტრისათვის, მაგრამ მერე და მერე ჯერი სხვა ბავშვებზეც მიდგებოდა. იმ შენი მასწავლებლის მიზანი ხომ ის იყო, მთელი კლასი აეძულებინა, კომუნიზმისათვის ელალატათო. მე უკვე ბრაზისა და დანაშაულის გრძნობა მახრჩობდა. ჩენს ვუთხარი, რომ მეორე დღეს მიტინგზე უსათუოდ გამოვიდოდი. ჩენმა მოწონების ნიშნად თავი დამიქნია: „ჩვენი პარტია შენ გენდობა, მაო იამაყებს შენით!"

„ვამხილოთ ფარული კლასობრივი მტერი, ამერიკის ჯაშუში! გამოვიყვანოთ მზის სინათლეზე!".. — ღრიალებდა ბრბო. მე სცენის კიბეზე ვიჯექი. ორმა ოტროველა ახალგაზრდა ბიჭმა მასწავლებელი სცენაზე ორათასიანი ბრბოს წინაშე, მისი მოსწავლეების, მისი თანამშრომლების წინაშე ჯიკავ-ჯიკავით გამოიყვანა. უჯიკავებდნენ, ხელებს ზურგს უკან უგრეხდნენ. მასწავლებელი ისე იყო შეცვლილი, ძლივს ვიცანი. ერთმანეთს სულ რაღაც ორიოდე დღის წინ შევხვდით, მაგრამ ამ ორიოდე დღეში მთელი ათი წლით დაბერებულს ჰგავდა. თმა გასთეთრებოდა, სახე გალეოდა. კისერზე ამ წარწერიანი დაფა ეკიდა: „მე ჯაშუში ვარ!" მერე ერთმა ახალგაზრდამ მაოს პორტრეტის წინ თავი სამჯერ დაახრევინა, მეორე ხელი კიდევ უფრო უხეშად გადაუგრიხა და უბრძანა — „მოუხადე ბოდიში თავმჯდომარეს!" ქალი დუმდა. მაშინ ორივემ ერთად დაუწყო ხელების გრეხა. ქალს ტკივილმა სახე მოუქცია, ჩუმად რაღაც ჩაიბუტბუტა და ბიჭებმა მაშინლა გაუშვეს ხელი.

პირი საშინლად გამიშრა. სცენისაკენ გახედვის თავი აღარ მქონდა. მძიმე დაფით დაჭიმული თოკისგან მასწავლებელს კისერი გადაყვლეფოდა. მიტინგზე სკანდირების ორგანიზება ვიდრე თვითონ მდივანმა არ შემახსენა, სულ არ გამხსენებია. „გაუმარჯოს დიდ პროლეტარულ დიქტატურას!.." — გავკიოდი ერთმანეთის მიყოლებით დაზეპირებულ ლოზუნგებს. რომ მივხვდი, მასწავლებელი მცველებისათვის წინააღმდეგობის გაწევას აპირებს-მეთქი, შიშმა შემიპყრო. მცველები ცდილობდნენ თავი დაეხრევინებინათ, ის კი ზეცისკენ ახედვას ცდილობდა. უცებ სათვალე ჩამოუვარდა და დავინახე, თვალები დახუჭული ჰქონდა.

კომიტეტის მდივანმა ჩენმა დაულრიალა, რასაც ბრბო ღრიალითვე გამოეპასუხა: „მოინანიე!.. მოინანიე!.." ჩენმა მიკროფონს ხელი სტაცა და იყვირა: „მასების მოთმინებას საზღვარი აქვს!.. დამნაშავე სამარეს თავისი ხელით ითხრის!" მასწავლებელი ისევ დუმდა. მაგრად რომ ჩაარტყეს, მხოლოდ მაშინ ჩაილაპარაკა, მოსანანიებელი არაფერი მაქვს, დამნაშავე არა ვარო... „ჩვენი პარტია უდანაშაულოს არასოდეს დაადანაშაულებს, მაგრამ არც კლასობრივ მტერს მისცემს უფლებას, თავი აარიდოს პროლეტარიატის დიქტატურის სამსჯავროს! — განაცხადა პარტკომიტეტის მდივანმა ჩენმა და დასძინა: — დადგა დრო, როცა და-

მნაშავე სააშკარაოზე უნდა გამოვიყვანოთ". მერე თავი დამიქნია და ხალხისკენ შეტრიალდა: „ახლა კი მის მსხვერპლს მივცეთ სიტყვა!"

მე რეტიანივით წამოვდექი და ტაშმაც იქუხა. მზე ისე ჩახჩახებდა, თვალებს მჭრიდა. ყურებში ისეთი ზუზუნი მედგა, თითქოს ჩემ წინ ფუტკრის ნაყარი აირია, თითქოს თავს უამრავი პაწაწა ვერტმფრენი დამზუზუნებდა. ტაშის გრიალი რომ მიწყნარდა, სცენის კიდეში მიკროფონთან დავდექი და წინა ღამეს დაწერილი ტექსტი ამოვიღე. უცებ მივხვდი, რომ მშობლებთან დალაპარაკება მჭირდებოდა და ერთბაშად შევშინდი. გუშინ შინ არ გამითენებია, სხვა წითელგვარდიელებთან ერთად საკლასო ოთახში დავრჩი. სიტყვას ხუთნი ერთად ვწერდით. უკვე ვნანობდი, სიტყვა დედასა და მამას რომ არ წავაკითხე. ღრმად ჩავისუნთქე. თითები ისე მიკანკალებდა, ქაღალდს ვერ ვფურცლავდი. ვითომ მიკროფონის გასასწორებლად ჩენი მომიახლოვდა, ყურში ჩამჩურჩულა, ნუ გეშინია, ჩვენ ყველანი შენთანა ვართო, და წყლით სავსე ჭიქა დამიდგა. ჭიქას ხელი დავავლე, წყალი სულმოუთქმელად გამოვცალე, გულზე ოდნავ მომეშვა, ცოტა დავმშვიდდი და დავიწყე:

„ჩვენი მასწავლებელი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია"... — ვთქვი და ხალხს ის წიგნები დავანახვე, რომლებიც მასწავლებელს ჩემთვის სკოლაში მოჰქონდა. მასწავლებლისკენ თვალი ოდნავ გავაპარე. მასწავლებელი ჩემკენ შემობრუნდა და რაღაც წაიჩურჩულა. შევკრთი, გავნერვიულდი, მაგრამ მალე თავს მოვერიე და განვაგრძე: „ამხანაგებო, ჩემთვის უკვე გასაგებია, ასე კარგად რატომ მექცეოდა. უნდოდა ქვეყნის მტრად ვექციე, იმპერიალიზმის დასაბმელ ქოფაკად!".. ვიდრე ბრბო ლოზუნგებს გაჰკიოდა, თვალი ისევ მასწავლებლისკენ გავაპარე. იგი ძლივს სუნთქავდა, საცაა ალბათ გულწასული დაეცემოდა. ვიგრძენი ძარღვებში სისხლი როგორ გამეყინა, მუხლებში ძალა გამომელია. მისი უსათვალო თვალების დანახვაზე ელდა მეცა — თვალები საცრისოდენა გახდომოდა, ასე გეგონებოდა, საცაა ბუდიდან გადმოსცვივდებოდა.

ბრბო კი ისევ ცოფმორეულივით ღრიალებდა: „მოინანიე!" „მოინანიე!" „მოინანიე!.." მოისმა მასწავლებლის წყნარი ხმა, ცდილობდა გაშმაგებული ადამიანებისთვის რაღაც აეხსნა. აზრადაც არასოდეს მომსვლია, ვინმე მტრად მექციაო, და უცებ აქვითინდა. „კი მაგრამ, რატომ? რატომმ? რატომ?" — იმეორებდა იგი განუწყვეტლივ. მერე ხმა ჩაუწყდა. მხოლოდ თავს აქნევდა, სიტყვის გაგრძელებას ცდილობდა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაილაპარაკა, თქვა, რომ მამას უყვარს თავისი ქვეყანა, რომ თვითონაც სწორედ იმიტომ ჩამოვიდა აქ მასწავლებლად, რომ მამასაც და მასაც სჯერათ, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს განათლებას. მერე მე შემომხედა და ჩაილაპარაკა: — „ჯაშუში? რის ჯაშუში, საიდან მოიგონეთ, ვინ გითხრათ, ვინ შთაგაგონათ ეგ აზრი?"

„მტერი თუ არ გნებდება, შეწვი, მოხარშე, ცოცხლად დაწვი!" — იყვირა პარტმდივანმა ჩენმა. ამ სიტყვებს ბრბოც მასთან ერთად გაჰკიოდა და მუშტებს გაშმაგებით იქნევდა. „გააგრძელე!" — მანიშნა ჩენმა, მაგრამ მთელი ტანით ისე ვკანკალებდი, ხმა ვერ ამოვიღე, მაშინ ჩენი მიკროფონთან მოვიდა და დაიწყო: „საკუთარი თვალით ნახეთ მტრის სრიკები. დარწმუნდით, მტერი როგორი ეშმაკი და მოხერხებუ-

ლი შეიძლება იყოს. რას იტყვით, როგორ მოვიქცეთ, მოვატყუებინოთ თავი?" — „არა! არა! არა!" — იფეთქა ისევ ბრბომ. ჩენმა დამნაშავეს უბრძანა, ენა ჩაეგდო და მორჩილად მოესმინა რევოლუციური მასების კრიტიკა. მასწავლებელი შეეპასუხა, თქვა, რომ ვერასოდეს აღიარებს იმას, რაც არ ყოფილა, რომ ბავშვის პოლიტიკური მრწამსებისთვის გამოყენება დანაშაულია.

ᲔᲠᲘᲕᲜᲣᲚᲘ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ

ბრბო ოდნავ რომ დამშვიდდა, ქალი მუხლებზე დაემხო და თვალის ძებნას შეუდგა. მერე სათვალე გაიკეთა და შეკითხვების დასმა დაიწყო. მე უცებ შევშინდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ოდესმე იგი ასე სერიოზულად დამელაპარაკებოდა. თავზარი დამეცა, მინდოდა სადღაც შევმძვრალიყავი, დავმალულიყავი. მაგრამ თქმით მაინც ეს ვთქვი: „ისე დამკითხავთ, თითქოს ვიღაც რეაქციონერი ვიყო. ადრე თქვენ მე როგორც იმპერიალისტების მსახური ისე მიყენებდით, ახლა კი გინდათ იმისთვის გამომიყენოთ, რომ ამ ხალხის რისხვა აიცილოთ. არა, არ დაგემორჩილებით, ეს ჩემთვის დიდი სირცხვილი იქნება!" მასწავლებელმა მკითხა, მართლა მჯეროდა თუ არა, რომ იგი ხალხის მტერი იყო, ხოლო თუ არ მჯეროდა, მაშინ ვინ გამაქეზა, ასე ვინ შემაგულიანა? მთხოვა, სიმართლე მეთქვა, თავმჯდომარე მაოს მსოლოდ პატიოსანი ბავშვები უყვარსო! ისე მელაპარაკებოდა, თითქოს საშინაო დავალების ამოხსნაში მეხმარებოდა. თვალებით მთხოვდა, დავფიქრებულიყავი და ისე გამეცა პასუხი. თვალებში შეხედვას ვერ ვბედავდი. მე ხომ ეს თვალები მიყურებდნენ, როცა იგი მათემატიკის საიდუმლოს მაზიარებდა, როცა ფიფქიაზე მესაუბრებოდა... სწრაფი ანგარიშის შეჯიბრში რომ გავიმარჯვე, ეს თვალები სიხარულით გაბრწყინებულები მიმზერდნენ. ავად რომ ვიყავი, თანაგრძნობით და გულისტკივილით შემომყურებდნენ. წარმოდგენაც არ მქონდა, თურმე რაოდენ დიდს ნიშნავდა ჩემთვის ეს თვალები, ვიდრე სამუდამოდ არ დავკარგე ამ მიტინგზე.

ყურში ხალხის ყვირილი ჩამესმოდა. თავი მიხურდა. მასწავლებლის მზერა გულში ისარივით მესობოდა. „ოლონდ პატიოსანი იყავი!" — ამბობდა იმდენად ხმამაღლა, რამდენადაც ამის საშუალებას ჩახლეჩილი ხმა აძლევდა. მე ჩენისაკენ შევტრიალდი. ჩენმა თავი ისე დამიქნია, თითქოს მეკითხებოდა — ნუთუ მტრის წინაშე უკან დაიხევო? მერე დამცინავად გაიღიმა და მიკარნახა: „უხსენებელი... უხსენებელი გაიხსენე!".. დიახ, რა თქმა უნდა, გავიხსენე. ამ იგავს მაო ჰყვება თავის წიგნში. იგი იმ გლეხზეა, რომელმაც ზამთრის ყინვიან დღეს რუში უხსენებელი იპოვა. ასეთი ჭრელი და ლამაზი კანი თავის სიცოცხლეში არასოდეს ენახა. შეებრალა საცოდავი ქვეწარმავალი, ჯიბეში ჩაისვა და თავისი სხეულის სითბოთი გაათბო. გველი მოლხვა, მოშივდა და თავისი მხსნელი ისე დაკბინა, ვითომც არაფერი. გლეხიც, რა თქმა უნდა, გარდაიცვალა. მტრისადმი ჩვენ დაუნდობელი უნდა ვიყოთო! — ასკვნის ჩვენი თავმჯდომარე.

მივბრუნდი და მაოს უზარმაზარ პორტრეტს შევხედე. სურათს მთელი უკანა კედელი ეკავა. თავმჯდომარის თვალები ორი პატარა ფარანივით ანათებდა. უცებ ჩემი მოვალეობა გამახსენდა. გამახსენდა, რომ ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ უნდა მებრძოლა, ვინც მაოს მოძღვრებას წინ აღუდგებოდა. მხნეობას ლოზუნგებიც მმატებდა. „მაინც

როგორია შენი თვალსაზრისი?" — თქვა პარტმდივანმა და მიკროფონი მომაწოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ ტირილი დავიწყე. ვტიროდი და პირდაპირ მიკროფონში ჩავძახოდი — „დედა, მამა, სად ხართ?" ბრბომ მუშტები მრისხანედ აღმართა და დაიღრიალა: „ძირს!" „ძირს!", „ძირს!" მორჩა, მე უკვე სამუდამოდ დავკარგე ჩემს ნდობა-მეთქი, ცრემლი ღაპაღუპით მცვიოდა. უცებ ისტერიულად ვიყვირეს „დიახ, დიახ! მჯერა, რომ მტერი ხარ! შენი ბინძური ოინები ახლა უკვე აღარაფრად მიმაჩნია! აბა ერთი გაბედე, ნახავ, პირში ბურთს როგორ ჩაგჩრი! მე... მე შენ პირს ლურსმნებით ამოგიჭედავ!.."

ათი წლის შემდეგ, როცა კულტურული რევოლუცია უკვე ჩავლილი იყო, გავიგე, რომ ჩემი მასწავლებელი, აი ის შემოდგომის ფოთოლი ისევ იმ ჩვენს დაწყებით სკოლაში — „დიდ ბედნიერებაში" მუშაობდა. ერთხელაც ავდექი და მასთან პატიების სათხოვნელად წავედი. მახსოვდა, სკოლაში მუდამ დილაუთენია მოდიოდა, ამიტომ რვის ნახევარზე მე უკვე იქ ვიყავი. გვიანი გაზაფხული იდგა. ხის ფოთლებში შემოჭრილი მზის სხივები მიწაზე უზარმაზარი ბადის მაგვარ ჯადოსნურ ჩრდილს აფენდა. ეზოში რომ შევედი, გუნებაში გავიფიქრე, ნაცემი ძაღლივით ვარ, ტკივილი და სირცხვილი მტანჯავს, გულზე სევდა ლოდივით მაწევს-მეთქი... სცენა, საიდანაც ჩემს იმ სიტყვას წარმოვთქვამდი, ისევ ძველებურად იდგა, ეგ არის, აქა-იქ საღებავი გასცლოდა და ოდნავ მოძველებული ჩანდა. აი ჩემი სკოლაც. გულმა ძგერა დამიწყო, ფეხები ტყვიასავით დამიმძიმდა, სამასწავლებლოსკენ ნაბიჯი ძლივს გადავდგი. კარი ღია იყო. იგი მაგიდასთან მარტო იჯდა და კითხულობდა. უცებ მომეჩვენა, რომ დრო იქ — წარსულში გაჩერდა, რომ ყველაფერი ისევ ძველებურად იყო და მეც ისევ ის პატარა გოგო ვიყავი.

ფეხებს ძლივს ვადგამდი. წუთით შევჩერდი და მთელი ჩემი ძალა და გამბედაობა მოვიკრიბე. არც მასწავლებელი იყო შეცვლილი, მხოლოდ თმა გასთეთრებოდა. წიგნის ფურცვლისას ნაოჭებით დაღარული ხელი ოდნავ უკანკალებდა. ჩემი მისვლა რომ იგრძნო, წიგნი გვერდზე გადადო და სათვალის სქელი მინიდან დაკვირვებით შემომხედა. ღმერთო, როგორი ნაცნობი იყო ეს თვალები! მკერდში თითქოს ქარიშხალი ბობოქრობსო, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. როცა მიცნო, მზერა გაეყინა, თვალებში სუსხი ჩაუდგა. მერე ერთხანს შეიცადა და მიტრიალდა. მისკენ ნაბიჯი გადავდგი, სასწრაფოდ ჩემი ვინაობა მოვახსენე და ვუთხარი აქ რისთვისაც მოვედი. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მზერა უკვე ისეთი დაძაბული აღარ ჰქონდა. მერე მისი ასე ნაცნობი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა მომესმა: „ვწუხვარ, მაგრამ მე თქვენ არ მახსოვხართ, არა მგონია, ოდესმე თქვენთვის მესწავლებინოს..."

ჩვიდმეტი წლის რომ გავხდი, ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვალა, ერთბაშად სრულიად სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ისე როგორც ბევრ სხვასაც, საგანგებო საუბარი ჩამიტარა.

თანაკლასელებს შორის ჩემი ლიდერობა გაიხსენა და სანიმუშო მოსწავლე მიწოდა. მის სიტყვებში ისეთივე აშკარა პოლიტიკა იყო, როგორც ორჯერ ორი ოთხია. მითხრა, ადამიანთა გარკვეულ კატეგორიაში ხარ შეყვანილი, ეს იმ ადამიანების კატეგორიაა, რომლებიც გლეხები უნდა გახდნენო, და დასძინა, რომ ეს საკითხი განხილვას არ ექვემდებარებოდა. მოკლედ, რაც კი პეკინის ხელისუფლებიდან მოდიოდა, ყველაფერი ღმერთის განჩინებად აღიქმებოდა, ყველაფერი ბრალეულად ყოველ სრულდებოდა, უარის თქმას აზრი არა ჰქონდა. თქვა, რომ თავისი ოთხი ვაჟიშვილი უკვე გაგზავნა სოფელში და იგი მათით ამაყობს. კიდევ უამრავი აბდაუბდა ილაპარაკა. აბსტრაქტული აზრები მისი პირიდან წყაროსავით მოჩქეფდა. „ზეცის ბრძოლაში გამოწვევა დიდი სიამოვნებაა, დიდი სიამოვნებაა დედამიწის ბრძოლაში გამოწვევაც, მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნება საკუთარი თავის გამოწვევაა ბრძოლაში“. ეს თავმჯდომარე მაოს ლექსიდან იყო. სკოლის დირექტორის მოადგილე იქიდან ახდენდა ციტირებას. მირჩევდა, ღირსეული არჩევანი გამეკეთებინა. მე კი მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა და ენთუზიაზმით სავსე ვიყავი. ერთთავად სიძნელეებზე, თავის განწირვაზე ვოცნებობდი.

მეზობლების საუბრებს ყურადღებით დავუწყე ყურისგდება. ერთ-ერთ ოჯახს სოფლიდან ამბავი მოუვიდა, რომ ერთმა მათმა ნათესავმა თითები თურმე ჩაქუჩით დაიჩეჩქვა, რათა კომისიაზე გაეტარებინათ და შინ დაბრუნების უფლება მიეცათ. მკვდარუნას უფროსმა დამ კი, რომელიც შორეული ჩრდილოეთის საზღვარზე იმყოფებოდა, თავისიანებს შეატყობინა, ჩემი მეგობარი გოგო საბჭოთა კავშირში გაქცევის მცდელობის გამო, როგორც მოღალატე, დახვრიტესო. მაშინ როცა ჩემი ბიძაშვილი გვწერდა, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ცეცხლწაკიდებული ბელელი გადაარჩინა, რისთვისაც სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს, მისმა გმირულმა სიკვდილმა თვალი ცხოვრებისეულ ჭეშმარიტ ღირებულებებზე ამიხილა, გადაწყვეტილი მაქვს, სამუდამოდ მონღოლეთში დავრჩე, რათა ყველაფერში ჩემს გმირ მეგობარს დავემსგავსოო.

მოკლედ, რა ხმები აღარ დადიოდა. ამბობდნენ, ჩვენი მეზობლის ქალიშვილი ლი თითქოს სადღაც სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა უფროსმა გააუპატიურა. იანების ვაჟიშვილი კი იმ დათვის მოკვლისთვის დააჯილდოვეს, რომელმაც შორეული ჩრდილოეთის სახელმწიფო მეურნეობის მახლობლად, ტყეში, მისი მეწყვილე დაგლიჯა. ზოგიერთი მეზობელი ცდილობდა ბავშვების მიერ გამოგზავნილი წერილები, სადაც ისინი სამწუხარო ამბებს იტყობინებოდნენ, რაიონის პარტუფროსებისათვის ეჩვენებინა. მათ მკაცრად აფრთხილებდნენ, რევოლუციით შეშინებული მტრების მიერ გავრცელებულ საზიზღარ მონაჩმახს ყური არ უგდოთ, არ დაუჯეროთო. პარტიულმა ბელადებმა შეშფოთებულ ნათესავებს იმ ადგილების ფოტოები აჩვენეს, სადაც მათი შთამომავლები მუშაობდნენ. ფოტოებზე იქაურობა აყვავებული იყო, ირგვლივ მშვიდობა სუფევდა. ამან ყველა დაამშვიდა და გა-

ამხიარულა. ზემოთა სართულის მეზობლებმა სოფელში კიდევ ორი ბავშვი გაგზავნეს. მკვდარუნას მშობლები იმ სიგელითა და წითელი ყვავილებით ამაყობდნენ, რითაც ის მშობლები დააჯილდოვეს, ვინც სოფელში სამუშაოდ სამი შვილი გაუშვა. მათი ბინის კედლები და კარი ქვეყნის ყოველი კუთხიდან გამოგზავნილი მისალოცი ბარათებით იყო აჭრელებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს ჩვენი სკოლის საპატიო წითელ დაფაზე, როგორც იქნა, ჩემი სახელიც გამოჩნდა. მაგზავნიდნენ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე, სახელმწიფო მეურნეობაში, რომელსაც „წითელი ალი" ერქვა. მეორე დღეს შანხაიში ჩაწერის გასაუქმებლად ქალაქის საბჭოში უნდა გამოვცხადებულიყავი. ცივი ამინდები იდგა. ქალაქის საბჭოში სინათლე გამორთული იყო, ჩინოვნიკები სიბნელეში მუშაობდნენ და ჩემი გმირობის გზა-ბილიკებიც ასე სიბნელეში დაიწყო. უფროსმა საბინაო დავთარი დამიბრუნა. დავთარი გადავშალე და ჩავიხედე — ჩემს გვარზე ახლად დარტყმული ბეჭედი წითლად გიზგიზებდა — წითელი ბეჭედი ძალაუფლების სიმბოლო იყო. იმ დღეს თავი სრულიად მარტოდმარტო, ყველასაგან მიტოვებულად ვიგრძენი. რა მელის — ახალი ცხოვრება და აღორძინება, თუ უცხო, მტრული ძალების ხელით განადგურება? უცებ გავიცნობიერე, რამდენად იოლი იყო, გაგელო პირი და არხეინად გემღერა, „წავალ იქ, სადაც მაო გამაგზავნის". ერთბაშად ყურში ჩემი ხმა ჩამესმა, ამ სიმღერას ასე სალისიანად რომ ვაწკრიალებდი. ეს ყველაფერი მხოლოდ დღეს გავიცნობიერე ბოლომდე.

სრულ სიბნელეში ვიჯექი. მთელი ჩემი ოჯახიც აქ იყო, ჩემს გვერდით — ჩემი გამგზავრების დღე ახლოვდებოდა.

## ნაწილი მეორე

1974 წლის 15 აპრილის დილას მშობლებმა სახალხო მოედნამდე მიმაცილეს. ათი უზარმაზარი სატვირთო მანქანა იქ უკვე გამზადებული იდგა. მანქანაზე წითელი ტრანსპარანტები გიზგიზებდა. „სახელმწიფო მეურნეობა „წითელი ალი" — ეწერა ოქროსფერი იეროგლიფებით ტრანსპარანტებზე. წითელი ტრანსპარანტები ახლა რატომღაც ახალ, ხასხასა სისხლს მაგონებდა. გავიარე რეგისტრაცია. ვიღაც ოცდახუთიოდე წლის მოკლედ თმაშეკრეჭილი ქალიშვილი მომესალმა. ქალიშვილს ნამგლის მოყვანილობის თვალები და გამჭრიახი მზერა ჰქონდა, თავი ძალზე მეგობრულად ეჭირა. „მე ამხანაგი ლუ ვარ, — მითხრა მან და კიდევ ერთხელ მომილოცა: — შეგიძლია შენით იამაყო!" მერე გაიცინა, ნამგლისებრი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა, ხელი მაგრად ჩამომართვა, ხალათზე ქაღალდის წითელი ყვავილი დამაბნია და — ეი, გაიღიმე, ჩვენ ახლა ერთი ოჯახი ვართო! — მითხრა გასამხნევებლად.

მე ის სატვირთო მანქანა ამოვირჩიე, რომელთანაც შედარებით ნაკლები ხალხი ირეოდა. მამამ ჩემოდანი მომაწოდა. დედა, რომლისთვისაც კოკორიკოს და მარგალიტს ჰქონდათ ხელი მოკიდებული, როგორლაც ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ვარსკვლავთმფრენის მზერაში დაბნეულობა იგრძნობოდა, იდგა და თვალს არ მაცილებდა. ბოლოს მამამ ხელი დამიქნია და გალიმება სცადა. „კარგი, ახლა წადი!“ — თქვა მან, ცდილობდა თავი მხნედ და მხიარულად მოეჩვენებინა. ხელი ჩემი ოჯახი ჩემ წინ ისე ჩამწკრივდა, თითქოს სურათის გადასაღებად ემზადებოდნენ, სურათისა, რომლისთვისაც შეგეძლო „ფოტოსურათი უჩემოდ“, „სევდა“ ან „აღარასოდეს“ დაგერქმია. მინდოდა მეთქვა, სახლში წადით-მეთქი, რათა კიდევ უფრო არ შეეშფოთებინათ ჩემი სული, მაგრამ ლაპარაკის თავი აღარ მქონდა. ეს ყველაფერი მეტად სევდის მომგვრელი იყო, თუმცა მე ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ვიყავი და ჩემში გმირული სული ცოცხლობდა. მერე პირით ქარისკენ შევტრიალდი: მზად ვარ, გამომცადე-მეთქი! — გავძახე მოშავალს.

მანქანები რომ დაიძრა, ხალხს თავზე მძიმე ოხვრამ ტალღასავით ვადაუარა. მშობლები ტკივილით უშვებდნენ თავიანთ შვილებს. მე შევტრიალდი. ახლა მე მხოლოდ ჩემს გმირულ წარსულზე ვფიქრობდი, იმაზე, ყოველთვის როგორ ვამაყობდი ჩემი ერთგულებით რევოლუციისადმი. ეს აღვივებდა ჩემში საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გრძნობას და თავს გაცილებით უკეთესად ვგრძნობდი. ამხანაგი ლუ, რომელიც თვალს მადევნებდა და რომელმაც დაინახა, რომ ჩემიანებს არ გამოვმშვიდობებივარ, ჩემ გვერდით გადმოჯდა. ყოჩაღი გოგო ხარ! — შემაქო, მთხოვა, მაოდან ერთად ციტატები გვემღერა და სიმღერა წამოიწყო: „წადით სოფლად და წადით საზღვარზე, წადით იქ, სადაც საჭირონი ხართ...“

ლუს დანარჩენებიც ავყევით, მაგრამ ჩვენი უხალისო, არეული სიმღერა ნახირში ბებერი, ავადმყოფი ძროხების ბღავილს უფრო ჰგავდა. ლუ მთელი გულითა და სულით დირიჟორობდა, ცდილობდა, სიმღერისთვის სათანადო ძალა და ენერგია მიეცა, მაგრამ ყურადღებას თითქმის არავინ აქცევდა. გონებაში ყველას თავისი საფიქრალი უტრიალებდა. მე კი მშობლებს თვალს ვერ ვაცილებდი. ისინი ისევ იმ ადგილას ყინვადაკრული მზესუმზირებივით თავჩაქინდრულები იდგნენ. თვალებიდან ცრემლი წამსკდა და კიდევ უფრო ხმამაღლა ავმღერდი, თითქმის ვყვიროდი. „ყოჩაღი გოგო ხარ!“ — წამჩურჩულა ისევ ლუმ, ხელში სახელმწიფო მეურნეობა „წითელი ალის“ დროშას აფრიალებდა. სატვირთო მანქანები ქარის საპირისპიროდ მიქროდნენ, მტვერი ჰაერში ბოლქვბოლქვად ადიოდა, შანხაის სილუეტი სადღაც შორს, ლანდივით ჩანდა.

თითქოს გლოვას მოუცავსო, ძარაზე მსხდომთაგან ხმას აღარავინ იღებდა, თავისი ბარგი-ბარხანის გვერდით ყველა მხრებჩამოყრილი იჯდა. ქარს სისინი გაჰქონდა. ორიოდე საათის შემდეგ ცაში პირველი ვარსკვლავები აციმციმდა და უცებ მამა მომენატრა, გამახსენდა, ირმის ნახტომი რომ დაენახვებინა, შუალამისას ბავშვები ერთხელ ლოგინიდან როგორ წამოგვყარა. უნდოდა ასტრონომები გამოვსულიყავით, ასე მაინც განეხორციელებინა თავისი განუხორციელებელი ოცნება. ცას ახლაც მაშინდელივით კამკამი გაჰქონდა, ცაზე ახლაც ირმის ნახტომი იყო გადაჭიმული, ორბიტაზე თანამგზავრი მისრიალებდა...

ძილ-ბურანში ზღვის სურნელი ვიგრძენი. „მოვედით, უკვე მეურნეობა „წითელ ალში“ ვართ!“ — თქვა ლუმ. იქაურობას ზღვისპირა ლელქაში მოსდებოდა. მალე სატვირთო მანქანები სხვადასხვა მიმართულებით განაწილდნენ. ჩვენი მანქანა ლელიანს შეერია, ძლივს, ობობასავით მიიმარჯვა ლელქაშში. ბინდგადაკრული ზეცა ისე მძიმედ ჩამოსწოლოდა ლელქაშს, იტყოდი, ხელს ავწევ და შევაწვდებიო. ფეხებდაბუქებული ძარიდან მიწაზე ჩამოვხტი. წინ, მარჯვნივაც და მარცხნივაც ნაცრისფერი აგურის ორი ერთნაირი ბარაკი გამოჩნდა. ბარაკებს შორის ძალიან გრძელი, უამრავონკანიანი პირსაბანის მილი იყო გაჭიმული. იქვე სამოსდამტვერილი, თმაგაქონილი, გაწამებული ადამიანები მიმოდიოდნენ, ზოგი შედიოდა, ზოგი გამოდიოდა ბარაკებიდან.

ჩვენთვის ზედაც არავის შემოუხედავს. ჩემოდანი ავიღე თუ არა, საიდანღაც ხმამაღალი ბრძანება გაისმა: „ყველანი ერთ ადგილას შეგროვდით, მეთაური მოდის!..“ მეთაურიო! სამხედრო ბანაკია თუ რა! დაბნეული ლუსაკენ შევტრიალდი. ლუ გარინდებული იდგა და თვალგაშტერებული რაღაცას გასცქეროდა, მის სახეზე ღიმილის ნატამალიც აღარ იყო. მთელი ტანით დაძაბული იდგა. თვალი მის მზერას გავადევნე — შორს, მინდორში, ჰორიზონტზე პატარა ფიგურა მოჩანდა.

იგი მაღალი, საუცხოო აღნაგობის ქალიშვილი აღმოჩნდა, მტკიცედ, თავდაჯერებით მოაბიჯებდა. ეცვა ძველი, ბევრი რეცხვით გახუნებული სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფორმის გიმნასტურა, წელზე საოცრად ბრტყელი ქამარი ჰქონდა შემორტყმული, სახეზე გამარჯვებული ადამიანის იერი აღბეჭდოდა. იგი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა, გაგვილიმა და თითოეული დაკვირვებით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. მის მახვილ, გამჭრიახ მზერაში ლომის ენერგია იგრძნობოდა. ქარისა და წვიმისაგან სახის კანი გაუხეშებოდა, ჰქონდა წვრილი წარბები, სწორი ცხვირი, მაღალი ღაწვები, მსხვილი, წყლის კაკლის ფორმის ტუჩები... არაჩვეულებრივად განიერი მხრები ანტიკურ მოჭიდავეს უგავდა. ფეხზე არაფერი ეცვა. სახელოები იდაყვებამდე, შარვლის ტოტები კი მუხლებამდე ჰქონდა აკეცილი. იდგა გულხელდაკრეფილი და გვიყურებდა. როცა მზერა ჩემზე შეაჩერა, რატომღაც კანკალმა ამიტანა. მისი თვალები მზის სხივებივით წვავდნენ, ასე მეგონა, მის წინ შიშველი ვიდექი. ბოლოს, როგორც იქნა, დაილაპარაკა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა, იმვიათად ვინმე ხმადაბლა თუ წაიჩურჩულებდა. „ჩვენო ახალო მებრძოლებო, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა სახელმწიფო მეურნეობა „წითელ ალში...“ ჩვენო, ასე ვთქვათ...— ამ სიტყვებზე ჩაახველა და ყელი ჩაიწმინდა, — ახალო სისხლო... მოგიწოდებთ დაანგრიოთ ინდივიდუალური ცნობიერების უმაქნისი პატარა სამყარო, იქცეთ შეგნებული შრომის უზარმაზარი სამყაროს ნაწილად!.. გახსოვდეთ, ჩვენ დიდი მარშის ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ!“ — მერე უცებ ხმას აუწია და, მინდა გაგეცნოთო, განაცხადა: „სახელად მე იან შენი მქვია. იეროგლიფი „იანი“ სიტყვა დისციპლინას ნიშნავს, „შენ“ — გამარჯვებას. მე ამ ასეულის პარტმდივანი და მეთაური გახლავართ, ასეულისა, რომელსაც აბსოლუტურად ყველაფერში ძირფესვიანი ცვლილება შეაქვს“... — თქვა და ხმას დაუ-

წია, — აბა ამას რა ბევრი ლაპარაკი სჭირდება!.. ერთი რამ კი, უსათუოდ უნდა ითქვასო, და უცებ ისევ იყვირა: „არაფერი მინდა, ვინმემ გაბედოს, სახეში შემაფურთხოს! ვინმემ სახელმიწფო მეურნეობა „წითელი ალის“ არმიის მეშვიდე სამაგალითო ასეულის ღირსება დასცეს!“ კითხვაზე, გასაგებად ვთქვი თუ არაო, ყველამ ერთხმად დავიყვირეთ: „დიახ!“ მან კი ცხვირწინ ხელები ისე აიქნია, თითქოს ცუდი სიზმარი მოცილება უნდაო, და გვკითხა, ნამდვილად გვინდოდა თუ არა ჩვეული სისუსტე დაგვეძლია. კითხვა ისევ გაიმეორა. უნდოდა ჩვენ ისევ „დიახ!“ — გულწრფელად, ჯარისკაცულად გვეპასუხა და ჩვენც აღფრთოვანებულები ავღრიალდით. „აი ასე!“ — თქვა მან და გაიღიმა. მიმზიდველი ღიმილი ჰქონდა, მაგრამ მისი ეს ღიმილი სულ რაღაც ერთ წამს თუ გაგრძელდა. მალე ისევ მკაცრი სახე მიიღო და თქვა: „მეურნეობაში სულ ცამეტი ათასი კაცია, როტაში — ოთხასი... დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი ისე იმუშავებს, როგორც დიდი რევოლუციური მექანიზმის ერთი პატარა კბილანა. ყველამ ძალა უნდა მოიკრიბოთ! ყველაფერი სირბილით, სირბილით, სირბილით უნდა აკეთოთ, თორემ ჟანგი შეგჭამთ! მართალია, ფორმის ჩაცმა აქ მიღებული არ არის, მაგრამ წრთვნა და ვარჯიში ისეთივეა, როგორც ჯარში... და კიდევ: ჩემი სიტყვების არაფრად ჩაგდებას ერიდეთ!..“ მისი ეს ბოლო წინადადება გონებაში ჩამეჭედა — მეტისმეტად უხეშად იყო ნათქვამი. ყველანი ისე გაშეშებული ვიდექით, დაიშალეთო, მის ამ ბრძანებაზეც კი რეაქცია არ გვქონია. ლუმ ხელი ასწია. იანმა ნაბიჯი უკან გადადგა და, ჩემი მოადგილეო, გაგვაცნო. „მინდა რაღაც-რაღაცებზე დაგელაპარაკოთ“, — თქვა ლუმ და მწკრივში ჩამდგრებს აგვიარ-ჩაგვიარა. ვიდრე სიტყვის სათქმელად პირს გააღებდა, სახე ნათელმა ღიმილმა გაუნათა და მჭახე ხმით გვაუწყა: — მართალია, მეშვიდე ასეულში ახალი ადამიანი ვარ, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი ხანია პარტიული ოჯახის წევრი ვარო. მერე შანხაის მახლობლად, ზღვაში, პატარა გემზე ჩატარებული დამფუძნებელი ყრილობიდან მოყოლებული პარტიის მთელი ისტორია ჩამოგვირაკრაკა. მანამდე ილაპარაკა, ვიდრე ცაზე მზის უკანასკნელმა სხივმა არ გაიელვა და ყველანი წყვდიადში არ გავეხვიეთ.

გამანაწილეს ქალთა მესამე კორპუსში, სადაც ერთ პატარა მიწურიატაკიან ოთახში შვიდი სული ვცხოვრობდით და განმარტოებას ბამბუკის წვრილ ხარიხებზე გადაფარებულ კოღოებისგან დამცავი ბადის ქვეშ თუ მოვახერხებდით. მეორე დღესვე ყველას ბრინჯის მინდვრებში გვიკრეს თავი სამუშაოდ. ჭუჭყიან წყალში მოფუთფუთე წურბელების დანახვაზე მე ლამის გული წამივიდა. ქალიშვილს, რომელიც ჩემს გვერდით მუშაობდა და რომელსაც მწვანუკა ერქვა, ფეხზე წურბელა დააჯდა. რამდენი არ ეწვალა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მოცილებოდა, წურბელა სულ უფრო ღრმად უძვრებოდა ხორცში, ისე რომ, ბოლოს კანზე მხოლოდ შავი წერტილილა დარჩა. საწყალი გოგო მთელი ხმით გაჰკიოდა. იძულებული გავხდი საშველად გამოცდილი ქალიშვილისთვის — ჯადვარისთვის დამეძახა. ჯადვარმა იმ ადგილას, სადაც წურბელის თავი იყო, კანზე ერთი მაგარი წკიპურტი გაჰკრა და სულ იოლად მოაცილა. მწვანუკა, ვისთანაც მალე დავმეგობრდი კიდევაც, ძალიან მადლობელი დაგვრჩა.

მწვანუკა ჯერ თვრამეტის არ იყო. მისი საწოლი ჩემი საწოლის გვერდით იდგა. მთელ დღეს თაკარა მზის ქვეშ ყოფნის მიუხედავად, საოცრად ნაზი კანი ჰქონდა, თეთრი და გამჭვირვალე, ჰქონდა გრძელი, ლამაზი თითები. მტრედების სკლინტს რომ წმენდდა, ასე გეგონებოდა, თითებით რაღაც ძვირფასეულობას ეხებაო. მისი სიარული [illegible] ნიავით დარხეულ ტირიფს მოგაგონებდა. გრძელი, [illegible] ნაბიჯები წელზე სცემდა, როცა გელაპარაკებოდა, თვალებს მოკრძალებით ხრიდა, საოცრად მორცხვი და მორიდებული იყო. სამაგიეროდ სიმღერა უყვარდა. მითხრა, ბებიამ გამზარდა, კულტურულ რევოლუციამდე ოპერის მომღერალი იყო, ხმა ზუსტად ბებიას მიგავს. ჩემი მშობლები, რომლებიც წმინდაწყლის ინტელიგენტები არიან, სამუშაოდ ნავთობმოპოვების რაიონში გაგზავნეს, შინ წელიწადში ერთხელ, საახალწლოდ თუ გამოჩნდებიანო. მშობლებს თითქმის არ იცნობდა, სამაგიეროდ ყველა ძველი ოპერა ზეპირად იცოდა, თუმცა ხალხში არასოდეს მღეროდა. ძალიან უყვარდა განთავისუფლების შემდეგ გავრცელებული სიმღერა — „ჩემი სამშობლო", რომელსაც ამხანაგებთან ერთად ასრულებდა. მისი ხმითა და სიმღერით მთელი ჩვენი ოცეული ამაყობდა. ეს იმ უმძიმესი სამუშაოს გამკლავებაში გვეხმარებოდა, რომელიც დილის ხუთ საათზე იწყებოდა და საღამოს ცხრა საათზე მთავრდებოდა. ასე იყო ყოველდღე. მწვანუკა, ეს მორცხვი და მორიდებული გოგო, თავისებურად გაბედულიც იყო. მაგალითად, ჩვენგან განსხვავებით ჰყოფნიდა გაბედულება, თავისი თავისთვის მოევლო და მუდამ წესრიგში ყოფილიყო. ნაწნავებში ფერად ბაფთებს იწნავდა, მაშინ როცა ჩვენ რუხნაცრისფერი რეზინებითაც მშვენივრად მივდიოდით იოლას. სამწუხაროდ, სწორედ მისი ეს ქალურობა იწვევდა შურსა და დაცინვას. ხანდახან ვუყურებდი და ბუნდოვნად გულში რაღაც შიშს გრძნობდი. მთელი ჩემი ბავშვობა ტყუილად ხომ არ ვიყავი ხუნვეიბინების ხელმძღვანელი. ვიცოდი, როგორი იყო თამაშის წესები. მე ხომ „კარგსა" და „ცუდს" შორის თვით უფაქიზეს ზღვარსაც კი ვგრძნობდი! თვალყურს ვადევნებდი მწვანუკას, ვხედავდი მის ნაზსა და ქალწულებრივ სილამაზეს და მეც მთელი გულითა და სულით მეწადა, მასავით ლამაზი ბაფთები მქონოდა, მაგრამ წესის წინააღმდეგ წასვლას ვერ ვბედავდი.

მართალია, იძულებული ვიყავი გუნებაში მისი სილამაზე მეღიარებინა, მაგრამ სხვა გოგონებთან ერთად დაბეჯითებით მეც საწინააღმდეგოს ვამტკიცებდი. თმის შესაკრავად ძველებურად ჩვენ ისევ რუხნაცრისფერ რეზინებს ვიყენებდით, ეს ჩვენი ფერი იყო — ჭუჭყის, გოჭის განავლის ფერი. ჩვენის აზრით, ნამდვილ კომუნისტს თავის გარეგნობაზე არ უნდა ეზრუნა, მას მხოლოდ სულიერ სილამაზეზე უნდა ეფიქრა. მწვანუკა არასოდეს არავისთან კამათობდა, მას ჩვენთვის არ ეცალა, დადიოდა თვალებდახრილი და საკუთარ ფიქრებს უღიმოდა. თავის ფერად ბაფთებს გულწრფელად დასცინოდა და ყველაფრით კმაყოფილი იყო. მაშინაც კი, როცა დაღლილობისაგან ფეხზე ძლივსლა იდგა, საბოილეროში მაინც მიდიოდა და ტაშტით ცხელი წყალი მოჰქონდა. ხელებიდან ჭუჭყს ფრთხილად, საგულდაგულოდ იცილებდა, ფრჩხილებს ისუფთავებდა და ყოველ საღამოს ბანაობდა, მე კი ჩემს საწოლზე

ვიწექი და თვალყურს ვადევნებდი, მაშინ როცა ფრჩხილები თავად ნადირის ბრჭყალებივით მქონდა. მწვანუკა ამაყად მაჩვენებდა ქსოვილის ჩამონაჭრებიდან შეკერილ თავის საცვლებს, რომლებზეც ყვავილები, ჩიტები და ფოთლები იყო ამოქარგული. ჩვენს საწოლებს შორის დატოვებულ პატარა სარკმელზე თოკი ჰქონდა გაბმული, რაზეც გასაშრობად გარეცხილ თეთრეულს ფენდა. მწვანუკა სულს მიბერავდა. იგი მთელი ჩვენი ასეულის სიმშვიდეს არღვევდა. და არა მხოლოდ ასეულის — ყველას თვალს გვტაცებდა, ვინაიდან შეუძლებელი იყო, არ შეგეხედა მისთვის. ამ ბურეუაზიულ ლამაზმანს ყველა უქნარა და უსაქმური თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა. თუ როდისმე ვიგრძნობდი, რომ მეც მსურდა ქვეყნისთვის ჩემი სინორჩე დამენახვებინა, თავი მეზიზღებოდა, ეს სიმდაბლეა, ეს უზნეო საქციელია-მეთქი, ჩემს თავს ვუჩიჩინებდი. მაგრამ მე ხომ მაშინ ჯერ თვრამეტისაც არ ვიყავი... მწვანუკას ხასიათს აღტაცებაში მოვყავდი. იგი ლამის დაუფარავად ებრძოდა ჩვენს საფრთხობელა ტანსაცმელს. ხალათი წელში გამოკერა, შარვალი როგორღაც ისე გადააკეთა, ფეხები უფრო გრძელი და ლამაზი უჩანდა. თავისი მაღალი მკერდისა სულ არ რცხვენოდა. საღამოობით წელგამართულს და მკერდათქვირებულს ცხელი წყლით სავსე ვედრო ღილინ-ღილინით რომ მოჰქონდა, მის უკან კი მიმწუხრის ხაევრდოვანი ზეცა ლურჯად ხასხასებდა, სახელმწიფო მეურნეობის თვით მაიმუნის მსგავსი სალდათებიც კი პირდაღებულები მისჩერებოდნენ. ის ჩვენი ლამეების მანათობელი ვარსკვლავი იყო. ჩემს გულში შური და თაყვანისცემა ერთმანეთში ირეოდა. ივნისში მას უკვე ბიუსჰალტერიც აღარ ეცვა და შევხედავდი თუ არა შორიდან პერანგის ქვეშ მის თავისუფლად მოთამთამე მკერდს, ჩემი საკუთრისა უკვე ატანა აღარ მქონდა.

დღეები გრძელზე გრძელი, სამუშაო კი დაუსრულებელი მეჩვენებოდა. დილის ხუთი საათიდან ტუნგოს ხეებს ვკაფავდით. ტუნგოს შავი ნაყოფი საყელოში გვიცვიოდა, ფეხსაცმელს გვივსებდა, თვალებში ოფლი წურწურით ჩაგვდიოდა, ჩვენ კი ამ მლაშე წვეთების მოსაწმენდადაც ვერ ვიცლიდით. ჩვენი ოცეული ასეულში ყველაზე მარჯვე ოცეულად ითვლებოდა, წინ ისარივით მივიწევდით. მინდორში სამუშაოდ ისე განვლაგდებოდით, თითოეული გვერდით მყოფზე ოდნავ ცერად და ცოტა წინ უნდა ყოფილიყო. ვმუშაობდით ხეების უკიდეგანო ზღვაში ჩაძირულები, ვმუშაობდით თავაუღებლად — თავის ასაწევად, უბრალოდ, დრო არ გვქონდა. მაგრამ არა მწვანუკას. წელშიც არხეინად იმართებოდა და თავსაც არხეინად სწევდა. ო, როგორ გვაღიზიანებდა ჩვენ ეს ყველას! ერთთავად მის ლანძღვასა და განქიქებაში ვიყავით. სირცხვილი ზარმაცსა და უქნარასო! — მანამდე გავიძახოდით, ვიდრე ისევ არ წაიხრეშოდა და სამუშაოს არ მიუბრუნდებოდა. სიმართლე რომ ითქვას, მარტო მწვანუკას კი არა, თითოეულ ჩვენთაგანსაც ასე მოვექცეოდით. თითოეულს, მაგრამ არა იანს! ვინაიდან იანი მეხრე იყო, ჩვენ კი მუშა ხარები ვიყავით. კაცმა რომ თქვას, ჩვენი დაჩქარება არც უწევდა, ვინაიდან, ჩვენი მეთვალყურეობის მიზნით მინდორში ჩავლილს რომ დავინახავდით, უამისოდაც ტანში ჟრუანტელი გვივლი-

და, თავწაღუნული თვალს მის ფეხებს რომ მოვკრავდი, თავის აწევაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. სულ ჩემს თავს ვაკონტროლებდი, რათა რაც შეიძლება ზუსტად მემოძრავა. დადგებოდა და მიყურებდა, როგორ ვკაფავდი ტუნგოს ხეებს და ნაკაფს ერთმანეთზე როგორ ვალაგებდი. მეკი, რაც შემეძლო, ვცდილობდი ნაყოფი მიწაზე არ დაცვივნილიყო. მერე გააგრძელებდა გზას და ამოვისუნთქავდი შვებით.

ერთხელაც მწვანუკას ხელით ნაქარგი ყველაზე ლამაზი საცვალი მოჰპარეს. ქურდობა იდეოლოგიურ დანაშაულად იქნა კვალიფიცირებული. როტის პარტკომიტეტმა კრება მოიწვია. სასადილოში, სადაც კრება ტარდებოდა, ოთხასი ადამიანი ფიცრის ვიწრო სკამებზე ჩავმწკრივდით. იანმა ქურდთან დამოკიდებულების საკითხი დააყენა და, ქურდს გამართლება არა აქვსო, განაცხადა. შემდეგ ლუ გამოვიდა და აღშფოთებულმა თქვა, მსგავსი საქციელის მოთმენა შეუძლებელია, თუმცა თვითონ გაქურდვის ობიექტიც არანაკლებ გვარცხვენს, პარტიამ ქურდობის წინააღმდეგ ფართო კამპანია უნდა გააჩაღოს, მომხდარში არა რიგითი მებრძოლები, არამედ ასეულის მეთაურები არიან დამნაშავეები. წამოდგა იანი, ბოდიში მოიხადა, პარტიას პატიება სთხოვა და აღიარა, რომ სირბილე გამოიჩინა, ხელქვეითების მიმართ ყურადღება შეასუსტა და მათი განწყობა გამოეპარა. მერე, ზედმეტად პატივმოყვარე ხარო, მწვანუკა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, დანაშაულის აღიარება მოსთხოვა, დაარიგა, ამიერიდან თავისი საცვლები ფანჯარაში აღარ გამოეფინა.

ერთხელაც მწვანუკა ხელს იბანდა, ცდილობდა ნახშირივით შავი ჭუჭყი ჩამოებანა, კბილის ჯაგრისით ფრჩხილებში ჩასული სიბინძურე მოეცილებინა. მე ჩემს საწოლზე ვიწექი და მის ამ თავგამოდებულ გარჯას თვალყურს ვადევნებდი. „იანზე გული ძალიან გამიტყდა, — დაიწყო უცებ მწვანუკამ, — მეგონა, ლუზე კეთილი ადამიანი იყო. ვიცი, ლუ ძალლია და ძალლისგან სპილოს შუანს არ უნდა ელოდე, იანი კი სპილო მეგონა, თუმცა ძალლის ბასრი ეშვები გამოაჩინა!“ რა უნდა მეთქვა! მე ხომ თვითონაც ვერ შევნიშნე, როდის მოვიხიბლე იანით. ის როგორლაც თავისთავად იქცა ჩემს კერპად. ასე იყო ჩვენი ასეულის ბევრი მებრძოლისთვისაც. მინდორში სულის მოსათქმელად წუთითაც რომ შეგვესვენა, მაშინაც ერთმანეთს იანზე ვუყვებოდით ლეგენდებს. ჯადვარმა მითხრა: იანი პარტიაში თვრამეტი წლის ასაკიდანაა. ხუთი წლის წინ, როცა იგი სახელმწიფო მეურნეობა „წითელ ალში“ პირველად გამოჩნდა, აქაური მიწები უნაყოფოდ ითვლებოდა. მოვიდა თუ არა, თავის ოცეულს — თავის ოც წითელგვარდიელს მოსავლიანობისათვის ბრძოლაში წარუძღვა. მათ შორის მეც ვიყავი. სარწყავი არხის მშენებლობაზე გაიდებდა შლამით სავსე ორ ოთხმოცგირვანქიან კალათაჩამოკიდებულ მხარიხეს და ფეხით დღეში ოც კილომეტრს გადიოდა. კუნთები მხრებზე ისე ებერებოდა, გეგონება, საფუვრით არის აფუებულიო. მხარიხისგან გადაყვლეფილი მხრებიდან სისხლი მოსდიოდა. ერთი წლის შემდეგ თითის სიმსხო კოჟრები დაასხდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, სიძნიმის აწევაში ჩვენ შორის ტოლს ვერავინ უდებდაო. ჯადვარი ყველაფერ ამას ისე ჰყვებოდა იანზე, როგორც

ლმერთზე. ერთხელ მე თვითონაც ვნახე, ტვირთს როგორ ეზიდებოდა. თივის ძნები ერთმანეთის მიყოლებით ზურგზე მანამდე ილაგა, ვიდრე მთელი ზვინი არ წამოიკიდა, ზვინის ქვეშ ბოლოს მხოლოდ ფესაცმელილა უჩანდა. კუნთები ჯანმაგარი ვაჟკაცივით ჰქონდა დაბერტყული. მისი ლონიერი, ზამბარისებური ნაბიჯები ნადირის სვლას მოგაგონებდა, ვეტერანები ერთთავად თავისი გმირის ქება-დიდებაში იყვნენ. ამ რამოდენიმე წლის წინ თურმე უკვე ალოობის დრო იყო, მინდორში ხანძარმა რომ იფეთქა. ჩალის ქოხები და საპკალად გამზადებული ყანა ფერფლად იქცა. ამის შემყურე წითელგვარდიელები თურმე ხმამაღლა ღრიალებდნენ, იანი კი ამ დროს რაზმის წინ თმაგადატრუსული და სახედამწვარი იდგა, ტანსაცმლიდან ბოლი ასდიოდა და — ერთადერთი, რითაც ჩემს ოცნებას აღსრულება უწერია, კომუნიზმის რწმენაო, — ამბობდა. მართლაც, ხუთ თვეში იმ ადგილას უკვე ახალი სახლები იყო წამოჭიმული. იანიც სწორედ მას შემდეგ იქცა ყველას კერპად, იგი მათთვის მაოზე უფრო მახლობელი და გასაგები გახდა.

ვუყურებდი, მწვანუკა ჭუჭყს როგორ გულდაგულ იფხეკდა და თვალწინ იმ საშინელი ხანძრის ფონზე თმაგადატრუსული, სახედამწვარი იანი წარმომიდგა... იგი ჩემი ოპერის გმირი გახდა. მე სიმღერა წამოვიწყე, რომელსაც „ქალთა წითელი რაზმი“ ერქვა, და მაშინვე მწვანუკა და დანარჩენებიც ამყვნენ. ჩვენს იანზე, ჩვენი გმირი ქალის ცხოვრებაზე რომ ვმღეროდი, მინდოდა ჩემი ამ სიმღერით მას დავმსგავსებოდი, ლამის იმადაც კი ვქცეულიყავი, მასავით გმირი გავმხდარიყავი. მწვანუკას ისე მოვყავდი აღტაცებაში, როგორც მეგობარს, იანი კი ჩემი კერპი იყო, მე ის მჭირდებოდა.

ფანჯრის იქით ტირიფი ირწეოდა, ტოტებს ფანჯრის მინებს ახლიდა. ქარიანი ღამე იდგა. ხვალ ქანცისგამწყვეტი დღე გველოდა. ჩემს თავს იანზე ფიქრს ვაიძულებდი, ჩემში ის შთაგონებას იწვევდა, ჩემს ცხოვრებასა და არსებობას აზრს აძლევდა. ის, რომ მწვანუკას იმედი გაუცრუა, სულაც არ მაღელვებდა — მე წინამძღოლი მჭირდებოდა, ვისაც შემეძლო გავყოლოდი. წელი მოწყვეტაზე მქონდა, ფრჩხილები გაშავებული, კანი დამსკდარი, მაგრამ მე მაინც გატაცებით ვფიქრობდი იანზე. ბოლოს ჩამეძინა ამ ფიქრებში.

სიაულში კი იანს დავუწყე მიბაძვა. ვბაძავდი საუბრის მანერაში, ჩაცმაში და ეს ჩემდაუნებურად, თავისთავად გამომდიოდა. ჩემი გრძელი ნაწნავები იანივით მოკლედ შევიჭერი. მთელ ჩვენს ოცეულთან ერთად სარწყავი არხის გაჭრაზე რომ ვმუშაობდი, ვცდილობდი ისეთი ტვირთი ამეწია, რომელიც ჩემთვის უმძიმესი იქნებოდა. იანის მსგავსად მხრები მხარიხისგან ისე გადავიტყავე, ლამის უკვე სისხლიც კი მდიოდა. ტკივილისაგან ლამის გული მიმდიოდა, მე კი ჩემს თავს იანზე ფიქრს ვაიძულებდი, იმაზე, თუ როგორ ებრძოდა იანი ტკივილს. მასზე შთაბეჭდილება რომ მომეხდინა, ყოველ სალამოს კრებაზე სიტყვით — კრიტიკით და თვითკრიტიკით გამოვდიოდი, თავს სისუსტეში ვადანაშაულებდი, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, სხვებიც ზუსტად ასევე იქცეოდნენ. იმისათვის, რათა ძირფესვიანად აღმოგვეფხვრა ის, რაც ჩვენში ცუდი იყო, ერთმანეთს საკუთარი აზრების გარკვევაში ვე-

ხმარებოდით. დარწმუნებული ვიყავით, ასე თუ არ მოვიქცეოდით, ბუ-
რჟუაზიის ყოვლისგამხრწნელი სული ჩვენს წმინდა სულებს წაბილწა-
ვდა. ეს სული ჭეშმარიტად ყველგანმყოფია, ადამიანი ყოველ წუთს შე-
იძლება მისი გავლენის ქვეშ მოექცეს, ამიტომაც კლასობრივი ბრძო-
ლის იდეა წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, თვიდან ბოლამდე, წლიდან
წლამდე დღედაღამ დაუღალავად ამ იდეაზე უნდა ვიფიქროთო, —
შთაგვაგონებდა მაო. და აი ჩვენც განვიხილავდით თითოეული ჩვენთა-
განის ხასიათს და მისი სრულყოფის გზებზე ვმსჯელობდით, იმაზე,
თუ როგორ გამოგვეწრთო ყოვლისმძლე ნებისყოფა. მხოლოდ შემდეგ
მივხვდი, რა მშვენიერი იყო ჩვენი იმ ურთიერთსიყვარულის, იმ მაღა-
ლი ზრახვებისა და უშფოთველობის დღეები. მე ამგვარი კრებების
მგზნებარე ენთუზიასტი ვიყავი. ჩემდამი იანის უყურადღებობა გულს
სულაც არ მიცრუებდა — მე ხომ გულწრფელი ვიყავი ჩემს სწრაფვაში
და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ დავიმსახურებდი მის ნდობას.

მე იმ მუშა ქალებს შორის აღმოვჩნდი, რომლებიც სახელმწიფო
მეურნეობის შტაბმა საბხედრო მომზადების მეცადინეობებში ჩააბა. ეს
ჩემი პოლიტიკური სიმწიფის აღიარება იყო, მთელი სერიოზულობით
ვმეცადინეობდით სროლასა და გრანატის ტყორცნაში, გავდიოდით სა-
მწყობრო მომზადებას. იანმა თქვა, ჩათვლას არ მოგცემთ, სანამ საკუ-
თარი ოფლით არ დაიმსახურებთო. გასცემდნენ ბრძანებას და წამოგვ-
ყრიდნენ შუალამისას ლოგინიდან, სამ წუთში თოფითა და ჯიბის ფარ-
ნით მწკრივში ჩადგომა უნდა მოგვესწრო. აღრე გაზაფხულზე ერთხე-
ლაც ღამის განგაშმა გაგვაღვიძა. ოცეულის მეთაურმა ფანჯრიდან მიხ-
მო და ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ მე უკვე მწკრივში ვიდექი. მძი-
მე, ნესტით გაჟღენთილი ჰაერი თითქოს სახეზე მეევლებოდა. ადგილი-
დან სწრაფი ნაბიჯით დავიძარით, ზოგჯერ სირბილზეც გადავდიოდით,
პირდაპირ ლერწმიანში მივაჯლაყუნებდით. პურის ყანამდე რომ მივა-
ღწიეთ, უცებ ჩურჩულით გაცემული ბრძანება მოგვესმა: „დატენეთ
თოფები!“ ამ ხმის გაგონებაზე გავირინდე. ეს პირველი შემთხვევა იყო,
როცა სროლისთვის მზადყოფნას გვიბრძანებდნენ, ეს იგი, რაღაც სე-
რიოზული ხდებოდა. თოფი დავტენე. მალე იანის ხმა გაისმა, გვიბრძა-
ნა ხოხვით წავსულიყავით და უცებ რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ხმა
ნამდვილი მკვლელის ხმა იყო. პირდაპირ ყანაში მივხოხავდით. თავ-
თავი სახეში გვცემდა, ფხები წვრილ-წვრილი ლურსმებივით გვესობოდა.
თოფისაგან მკლავები ჩამოწყვეტაზე მქონდა. მებრძოლი, რომელიც
წინ მიხოხავდა, შეჩერდა და — ადგილიდან არ დაიძრათო, — მეთაუ-
რის ბრძანება გადმოგვცა.

ვიწექი, სუნთქვის შეკავებას ვცდილობდი და ვაყურადებდი. მწე-
რებს ზუზუნი გაჰქონდათ, პურის ყანიდან სასიამოვნო სურნელი დიო-
და. კოლოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ტანსაცმელშიც კი გვკბენ-
დნენ. შორიდან რაღაც გაურკვეველი ხმა მომესმა და, ალბათ მომეჩ-
ვენა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ერთ წუთში ხმა ისევ გამეორდა. ირგ-
ვლივ გამეფებულ მდუმარებაში ვილაც ქალისა და კაცის ჩურჩული და
ჩუმი, შეკავებული კვნესა გაისმა. ამ ხმის გაგონებაზე თითქოს მეხი
დამეცაო, მივხვდი, რომ ეს მწვანუკას ხმა იყო. არა დანაშაულზე არ
უნდა წავასწროთ, — გამიელვა გუნებაში, — ის ხომ ჩემი საუკეთესო

ძეგობარია, ერთი ულუპი სუფთა ჰაერი ჩვენს იმ სულისშემხუთავ გარემომში! სიტყვაც კი არასოდეს წამოსცდენია, ვინმე მამაკაცს თუ ხვდებოდა. ეს გასაგებიც იყო — სიყვარული აქ ხომ სამარცხვინოდ ითვლებოდა, თუ ნამდვილი ქალიშვილი იყავი, ნამდვილი მებრძოლი ამხანაგი, მთელი შენი ენერგია, მთელი შენი ახალგაზრდობა რევოლუციისათვის უნდა მიგეძღვნა, ოცდაათ წლამდე კაცზე ფიქრი თავში ეზრალეც არ უნდა გაგვევლო... რომ წაასწრონ, ცხოვრება უკულმა წაუვა, ძოძაგალ თავზე დაემხობა, საზოგადოებაც ზურგს შეაქცევს და ოჯახიც-მეთქი, — გავიფიქრე და იმ მხარეს გავწიე, საიდანაც ხმა ისმოდა, მაგრამ ვილაცის ძლიერმა ხელმა მიწაზე გამაკრა. ეს იანი იყო. შეეცადე განვთავისუფლებულიყავი, მისი ხელი მომეცილებინა, თუმცა ამაოდ, ის ხომ ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო. ჩანს, მშვენივრად იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო.

ჩურჩული და მძიმე სუნთქვა კიდევ უფრო გარკვევით გაისმა. იანმა კბილი კბილს დააჭირა, გაირინდა და ვიგრძენი, როგორ დაიძაბა. მერე ცოტა მოეშვა და უცებ წამოიყვირა: „აიყვანეთ!“ ყურში თითქოს ყუმბარა გამისკდა. იანმა მწვანუკას და მის მეგობარს ფარანი მიანათა და იმავე წუთს ოცდაათი ფარანი ერთდროულად აინთო. ფარანი მეც ავანთე. მწვანუკამ ერთი ისეთი იკივლა, გეგონება, ზეცა ჩამოინგრაო. ტანთ მისი ის საყვარელი ხალათი ეცვა, რომელზეც ქლიავის ვარდისფერი ყვავილები იყო ამოქარგული. სინათლე მის გაშიშვლებულ წვივებზე კრთოდა. მისი კივილი გულს მიკლავდა. ვაჟმა, საშინლად გამხდარმა, სათვალიანმა, პირწავარდნილმა წიგნის ჭიამ სასწრაფოდ შარვალი აიწია და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე ხელი სტაცეს. ლუმ თავში შამხანა დაუმიზნა. გამახსენდა, ამ ახალგაზრდა კაცს შემთხვევით ერთხელ ბაზარში შევხვდით. მწვანუკას რომ გაულიმა, ვკითხე, ვინ არის-მეთქი, მაგრამ, არ ვიცნობო, მიპასუხა.

მწვანუკა მთელი ტანით კანკალებდა, ტიროდა, სიშიშვლე რომ დაეფარა, პერანგს ეჭაჩებოდა. ფარანი გამოვრთე. იანი ნელა მიუახლოვდა ვაჟს, მწვანუკას ასე რატომ მოექეცი, — ჰკითხა. ხმა უკანკალებდა და — აი საოცრებავ! — თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ვაჟი კრიჭაშეკრული იდგა, დუმდა. იანმა ქამარი შეიხსნა, გაშოლტეთო, ბრძანა, შეტრიალდა და წავიდა, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეჩერდა — „ამ არამზადას ცხვირ-პირი უნდა დაუჩეჩქვო, რათა არასოდეს დაავიწყდეს, ჩვენს დროში ქალი მამაკაცის ძალადობის მსხვერპლი რომ აღარაა!“ ამ სიტყვებით ქურთუკი გაიხადა, მწვანუკას ფრთხილად მოახურა და, შინ წავიდეთო, — ჩუმად უთხრა. ვაჟს საშინელი ცემატყეპა აუტეხეს, ყველა ერთად გამეტებით ურტყამდა, ის კი რაც შეეძლო თავს იკავებდა, რომ არ ეყვირა. მალე სხვებთან ერთად მეც ბარაკში დავბრუნდი. შორიდან ვაჟის ყვირილი და — სიკვდილი მოძალადესო! — ლუს ღრიალი მოისმა. მწვანუკა შეუჩერებლივ, გულამოსკვნით ტიროდა და ტიროდა.

სახალხო სასამართლო სასადილო დარბაზში ჩატარდა. ოთხი დღის მანძილზე მწვანუკას, რომ იტყვიან, „ტვინს უხვრეტდნენ“. და აი ბოლოს ტრიბუნიდან ხმამაღლა განაცხადა, ეამაუპატიურესო. ხმა უწყდე-

ბოდა, განცხადება ორჯერ გაუვარდა ხელიდან. სათვალიანი დამნაშავედ სცნეს, ზემს სიცოცხლეში არასოდეს დამავიწყდება მისი სახის გამომეტყველება, როცა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. ისეთი სახე ჰქონდა, კაცს შუალამისას რომ გაალვიძებენ და გაოგნებული ძილიდან ჯერ სეირიანად ვერ გამოსულა. გონს მხოლოდ მაშინ [illegible] მოვიდა, მწვანუკა დარბაზიდან რომ გაიყვანეს. ერთბაშად მოტეხილ-[illegible]ული, ჩალურჯებულ-ჩალილავებული სახე თითქოს შიგნიდან გაუნათდა. მე ამ დროს იანის ზურგს უკან ვიჯექი და გავიგე, ლუს როგორ უთხრა: ეს ახალგაზრდა კაცი ბურჟუაზიული იდეოლოგიის შხამით არის მოწამლულიო, და სევდიანად დასძინა: „კიდევ კარგი, პარტიამ ამ შხამის გავრცელების შეჩერება, მწვანუკას გადარჩენა შეძლო“. სასამართლოზე დასკვნითი სიტყვით ლუ გამოვიდა — გადაბრუნებული ურემი მაგალითი უნდა იყოს მის უკან მავალთათვისო, — თქვა.

მწვანუკას ქვითინი მთელი ის კვირა ყურებიდან არ ამოდიოდა. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი.

განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ სიკვდილით დასჯილი ახალგაზრდა კაცის შესახებ კრინტიც აღარავის დაუძრავს, თუმცა ეს ამბავი გონებიდან არავის ამოსდიოდა. მწვანუკას აღარაფერი აინტერესებდა, აღარც იბანდა, აღარც თავს უვლიდა. გადიოდა თვეები, ის კი ისევ მოუვლელ-დაუბანელი დადიოდა. ერთხელ ვედროთი ცხელი წყალი მოვიტანე და, დაგირეცხავ-მეთქი, შევთავაზე. ამის გაგონებაზე მაკრატელი აიღო, მთელი თავისი საუკეთესო საცვლები ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ნაწნავებიც მოიჭრა. ამის შემდეგ მუდამ თმადაუვარცხნელი იყო, პირიდან დორბლი ჩამოსდიოდა. საღამოობით დააღებდა პირს და მღეროდა. მერე თანდათან უარესად გახდა. ახლა უკვე მთელი ღამე მღეროდა გაუჩერებლად. მღეროდა ძველ ოპერებს, ერთმანეთის მიყოლებით და გაუთავებლად, გამუდმებით კოლოების ბადის კიდეს ძიძგნიდა, ამის გამო კოლოები ბადის შიგნით ძვრებოდნენ და გოგოები ამაზე სულ ცეცხლს ყრიდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, მწვანუკას უკვე საწოლზე აბამდნენ, ის კი მხოლოდ იცინოდა და უფრო ხმამაღლა და ხმამაღლა მღეროდა. ერთხელ ერთი მაგარი სილაქიც გააწნეს, მოკეტეო, მაგრამ ის მაინც გათენებამდე შეუჩერებლივ მღეროდა. ერთ დღეს ყველა ფეხსაცმელი გაქრა და, როგორც აღმოჩნდა, ეს თურმე მწვანუკას ოინები იყო — სწორედ მან გადაუძახა საწყობის უკან, გუბურაში. მოკლედ, საწყალი გოგო ჭკუიდან შეირყა, თუმცა ამის დაჯერება და სიმართლისთვის თვალის გასწორება არავის უნდოდა. ვერ ავიწერთ, რა დღეში ვიყავი. ეს ჩვენ დავუმსხვრიეთ ცხოვრება, ჩვენ მოვკალით, ჩვენ თვითონ გიჟებმა და გადარეულებმა მივიყვანეთ ის სიგიჟემდე-მეთქი. ცხადია, გვერდით მყოფებმა დაასმინეს. იანს არ უნდოდა მომხდარის დაჯერება და გვიბრძანა, ამაზე ხმა არ ამოგველო. მერე ჯადვარს, ლუსა და მე გვთხოვა, ავადმყოფი ერთად წავიყვანოთ სახელმწიფო მეურნეობის ექიმთანო. მართლაც, დავსხედით ტრაქტორზე და წავედით. ისე მიგვყავდა მწვანუკა, როგორც პირუტყვი სასაკლაოზე. რაც მართალია, მართალია, იანმა გოგოს თავისი ქურთუკი მოახვია, ისე ფუთნიდა, როგორც ჩვილ ყრმას. ადგილობრივმა ექიმმა

მოესმინა, ფილტვებზე უკაკუნა, ვერაფერი აღმოუჩინა და — ამას მე ვერაფერს ვუშველი, სახლში უნდა წაიყვანოთო, — გვითხრა. იანი გაცოფდა — ახლავე დიაგნოზს თუ არ დაუსვამთ, საავადმყოფოს მთელ პერსონალს რეაქციონერებად შეგრაცხავთო. ექიმები თავს იმართლებდნენ, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, მწვანუკა შანხაის კლინიკაში გაეგზავნათ, სადაც ნერვული შერყევის დიაგნოზი დაუსვეს.

ერთი თვის შემდეგ საავადმყოფოდან დაბრუნებული გოგო ევიანი. წამლებისგან ისე იყო გაბიქვინებული, დათვის ბელი გეგონებოდა. ისევ ჩვენს ოთახში დაბინავდა. იჯდა მთელი ღლეები პირუჩუარა საწოლზე და ერთ წერტილს მისჩერებოდა. დაავადებული თმა თავზე ბუდესავით ედო. ის დრო გამახსენდა, თავის დიდებულ თმას რო დაიბანდა, დაივარცხნიდა და თან ღიღინებდა:

აქ გოგონები ყვავილებს ჰგვანან,
აქ ვაჟკაცობა შვენით ჭაბუკებს,
ერთად ვაშენებთ სახალხო ჩინეთს,
აქ გმირობისთვის ვიკაჟებთ გულებს.

ჩემი თვრამეტი წლისთავი კოლოების ბადის ქვეშ ვიდღესასწაულე. როგორღაც აღგზნებული ვიყავი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გარეთ ქანცის გამწყვეტი თაკარა შუადღე იდგა და ოფლად ვიწურებოდი, როცა სიცხეც გალიზიანებს, სიცხისაგან ჩახუთულ-ჩავუბებული ჰაერიც. არა, ეს სიცხე კი არა, ჩემი სხეული მაწუხებდა, წუთით არ მასვენებდა, თან საწოლის ქვეშ ჭალასავით გაზრდილი ლელის წვეტიანი ჩოყები ბამბუკის საწოლში ატანდა და მთელი ღამე ნემსებივით მჩხვლეტდა. აუცილებლად რაღაც უნდა მეღონა, მცენარე როგორმე ძირფესვიანად უნდა ამომეძირკვა, მაგრამ ამტანსა და ვამძლე ლელქაშს ვერაფერს ვაკლებდი. მეგონა, ეს არის, მოვრჩი, მოვიშორე-მეთქი, რომ მალე მთელი ის ადგილი ისევ ლელით იფარებოდა, ხან აქ წამოყოფდა თავს და ხან იქ. ეტყობა, ამის მიზეზი იქაური მარილით გაჟღენთილი მიწა იყო. მარილიანი მიწა და ლელქაში კი ისეთივე განუყრელები არიან, როგორც სახელმწიფო მეურნეობა „წითელი ალი“ და მისი გამრჯე მშრომელები.

ლოგინიდან გადმოვედი, საწოლთან ჩავცუცქდი და თითოეულ ღეროს შუა-შუა ვამტვრევდი. მერე ისევ ბადის ქვეშ შევძვერი, ფარდა ჩამოვწიე, სამ კოლოს სიცოცხლე მოვუსწრაფე და დიდხანს დავყურებდი ზედ დარჩენილ სისხლის ლაქებს. არანაკლებ გამაწამა დაღლილობამაც. უფრო მეტად კი ჩემმა სხეულმა — ჩემმა საკუთარმა სხეულმა. მისი მარილი ახალგაზრდობა იყო. სხეულიც და დაღლილობაც ერთნაირად მტანჯავდა. სარკე ავიღე და საკუთარი თავის თვალიერება დავიწყე. ჩემს სხეულს ვაყურადებდი და ვგრძნობდი, როგორ უჭირდა, როგორ სწყურდა იმ უცხო ვილაცის შეხება, ვინც დაამშვიდებდა. როგორ უნდოდა დაღწეოდა გონებას, მის ძალაუფლებას... ჩემი სხეული დაჟინებით მამაკაცისაკენ მიბიძგებდა, რაზე ფიქრი და რის გაგონებაც კატეგორიულად არ მსურდა. ეს მართლაც ნამდვილი კოშმარი იყო — სა-

კუთარი თავი მძულდა, მეზიზღებოდა. ხან ერთ გვერდზე გადავტრიალდებოდი, ხან მეორე გვერდზე, ვწვალობდი, ვწრიალებდი, მარტოობა მტანჯავდა. თითქოს ლოგინში კი არ ვიწექი, ძელზე ვიყავი გაკრული. ხელები სხეულზე თავისით დაფათურობდნენ, მაგრამ ვერ ვმშვიდდებოდი, ჩემში თითქოს მხეცი, სურვილის მხეცი ბოგბოქრობდა, დღითი დღე იზრდებოდა და მთელ ჩემს არსებას ნთქავდა, მეკიდეს ნებაზე სრულიად უსუსური ვიყავი. სივრცე კოლოების ბადის ქვეშ ჰაერმოწამლულ სამარედ იქცა... მე დაჭრილი ვიყავი და, დამეხმარეთ-მეთქი, დაყვირების მრცხვენოდა. საკუთარი თავი უნდა მომეთოკა — ამ ოთახში ხომ, დამეხმარეთო, — არავინ ითხოვდა. ნუთუ მსგავს წუთებს აქ არავინ განიცდიდა? კოლოები უკვე ნერვებს მიშლიდნენ. ვაკვირდებოდი, ჩემი სისხლით დამძიმებულები ბადის ნაკეცებში როგორ გროვდებოდნენ. გასრესა დავუპირე, მაგრამ ხელი ავაცდინე — კოლოები აიშალნენ და ჰაერში ნელა დაიწყეს ტრიალი. ცოტა ხანს შევიცადე, მერე ისევ მოვიქნიე ეხლი, ერთი კოლო გავჭყლიტე და ხელისგული მწერის წებოვანმა სისხლმა დამისვარა. ასე ვნადირობდი ყოველლამ — ეს ღამის სასაკლაო იყო, ბადეზე დარჩენილი სისხლის ნაკვალევი კი ჩემი გამარჯვების დასტური. ზოგჯერ ვეთამაშებოდი გრძელფეხება კოლოებს, მათ ელეგანტურობას ალტაცებაში მოვყავდი. ერთს უფლებაც კი მივეცი, მუხლზე დამჯდომოდა და ეკბინა. ყურადღებით ვაკვირდებოდი, კანში ნესტარს როგორ მისობდა და როგორ მკბენდა. მანამდე მივუშვი, ვიდრე კარგად არ გამოძღა. მხოლოდ მერელა მივაჭყლიტე ორი თითით, თან ვაკვირდებოდი, ერთმა წვეთმა სისხლმა როგორ გამოჟონა.

კოლოებზე ნადირობა ჩემს გახურებულ, ვაუცხოებულ ტვინს ვერაფერს შველოდა. ადრე ჩემი ტვინი მხოლოდ უმწიკვლო აზრებს ბადებდა. ახლა კი მას იმ უზნეო გოგოების გახსენება მოესურვა, რომელთა ჭეშმარიტ გზაზე დაყენება მე, როგორც კლასის მთავარ აქტივისტს დამავალეს. ისინი ძალზე ცუდი სახელით სარგებლობდნენ, მთელ ქალებს გვარცხვენდნენ. ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ გამოსწორებაში მათ ჩემი კეთილისმყოფელი გავლენა დაეხმარებოდა. სხვათა შორის, ერთხელაც არ ამიხსნეს, რა ცოდვა ჰქონდათ იმ გოგოებს, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „ქვეშსაგებლებს“ ეძახდნენ, რომ ისინი რაღაც სამარცხვინოს სჩადიოდნენ კაცებთან, რომ მაღალი ზნეობის ადამიანები მათ საშინლად ჰაიცხავდნენ, „გატეხილ ჭურჭელს“ ეძახდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს დაეჭირათ მათგან თავი ასე ამბობდნენ, ესენი, ეს გოგოები საკუთარ თავს პატივს არა სცემენ ამათ საკუთარ მომავალზე თვითონვე თქვეს უარი, ნამდვილი ხორცმეტები არიანო. უფროსობას უნდოდა, მაგალითად მათ კომუნისტური ახალი თაობა ჰყოლოდათ. პარტია ხომ ცოდვილებს ხელს არ ჰკრავს, პარტია მათ გადარჩენას ცდილობს, მე კი ამ პარტიის წარმომადგენელი ვიყავი.

მე იმ გოგოების გვერდით მთელი შვიდი წელიწადი გავატარე. სხვა თუ არა, ის მაინც ვიცოდი, სირცხვილით როგორ იტანჯებოდნენ. იმას მაინც მივხვდი, როგორი აუტანელი იყო მათი მდგომარეობა. მათით შეშინებულს არასოდეს მავიწყდებოდა, რომ თავი შორს უნდა და-

მეჭირა მამაკაცებისაგან, მაგალითი იმ კარგი ქალებისაგან უნდა ამეღო, რომლებიც საზოგადოების პატივისცემას იმსახურებდნენ. რევოლუციური ოპერების გმირებს ხომ არც შეყვარებულები ჰყავდათ, არც ქმრები! ალბათ არც ჩემს გმირ იანსა აქვს მამაკაცთან რაიმე ურთიერთობა. ნეტავი როდისმე თუ იღლება, ითენთება, ან მისი სხეული რაიმეს თუ გრძნობს-მეთქი? უკანასკნელ ხანს ძალიან მკაცრი გახდა, ხიტყვით თითქმის აღარ გამოდიოდა კრებებზე. მთელი კვირა გულჩახვეული და მოღუშული დადიოდა. ვხედავდი, როგორ ცდილობდა გამოლაპარაკებოდა მწვანუკას. ის კი პასუხად უაზრო, გამოცარიელებული სახით ან ნაწნავს ეთამაშებოდა ან ღილს აწვალებდა იანის გიმნასტიორკაზე, ანდა ისტერიულად ხარხარებდა. იანი მას დაბნეული იკრავდა გულში და ეხვეწებოდა მოესმინა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, თითქოს ადამიანს კი არა, უსულო საგანს ელაპარაკებოდა.

ერთ გვიან საღამოს მეორე დღისათვის ნამგალი გავლესე და შინ მივედი თუ არა, ლოგინში ჩავწექი. ოთახში გოგოები ჩვეულებრივ საქმიანობდნენ, ისხდნენ გაჩუმებულები და აბრეშუმის ჭიებივით დაუღალავები სვიტრებს, ჩანოებსა და შარფებს ქსოვდნენ. კოლოების ბადე დავუშვი, ფარდა ჩამოვაფარე და ჭერს მივაჩერდი. გულს მარტობა მიღრღნიდა. ვითომ რით განვსხვავდებოდი იმ საქონლისაგან, რომლის გვერდითაც მინდორში ვმუშაობდი? წელში მოხრილი მთელი დღე ბამბას ხან ვრგავდი და ხან ვმარგლავდი. ღამის უკვე გამოვთაყვანდი მუშაობისაგან. ტვინი გაყინული მქონდა. როცა ქანცგაწყვეტილი ხარ, როცა თავით ფეხამდე ოფლში ხარ გახვეთქული, თავში არც აზრი გაიჭაჭანებს. თავი ისე მქონდა დაცარიელებული, ყურებს სულ ზუილი გაჰქონდა. ჩემი გონება მზისგან გამომშრალი და გამოფიტული, ხოლო მარილისგან ერთიანად შეჭმული იყო.

ყინჩად წამოსულ სარეველებს შორის ბამბის ნარგავი სუსტად გამოიყურებოდა, მისი ყლორტები პაწაწა, უზარმაზარ შლაპებიან კაცუნებს ჰგავდა. დილით თუ გაცილებით ცოცხლად იდგნენ, შუადღის თაკარა მზის ქვეშ საცოდავად ჩაიღვენთებოდნენ, საღამოსთვის კი ბევრს უკვე საბოლოოდ ჰქონდა ბოლო მოღებული. დამჭკნარი მცენარის შეხედვაზე სევდა მეუფლებოდა — წელში სამად გაღუნულ ერთი ციდა არსებებს რუხშლაპებიანი თავები მიწაზე ჰქონდათ დაყრილები. სამაგიეროდ გადარჩენილები სიმაღლეში ზეციო-ზევით მიიწევდნენ. გადარჩენისთვის ბრძოლა არც დღე წყდებოდა, არც ღამე. ერთი კვირის მერე მათი შლაპები ძირს ცვიოდა და პატარა კაცუნების თავები ორად თავისით იხლიჩებოდა, ჩნდებოდა პირველი სიფრიფანა ფოთლები. უნდა ითქვას, მეურნეობა „წითელ ალში" ნათესი წესიერად ვერასოდეს ასწრებდა შემოსვლას — მთელ საკვებსა და წყალს მაღალი, უხვად წამოსული სარეველა იწოვდა, მზის სხივებს ნათესამდე არ უშვებდა, სარეველების ჩრდილში დაკნინებული ბამბა გვერდულად, მოღრეცილად იზრდებოდა, ყვავილი კანტიკუნტად გამოჰქონდა, თავისი ულიმლამო იერით მგლოვიარე ქალების არეულ ბრბოს ჰგავდა. ნაყოფსაც ზუსტად ასეთსავეს — ძირითადად მესამე, ზოგჯერ მეოთხე ხარისხისასაც იძ-

ლეოდა და მხოლოდ ქალალდის ფაბრიკაში იგზავნებოდა, ბამბის კომბინატზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ჩემს თავს მეც ბამბის ერთ იმ ძირს ვამსგავსებდი, სუსტსა და ნალევას, სიმალლეში რომ არ იზრდება, მე კი გაზრდა მსურდა.

გულმა ჯადვარისკენ გამიწია. ადამიანებთან ურთიერთობა მწყუროდა, ჯადვარი კი, ვიცოდი, სიამოვნებით იმეგობრებდა ჩემთან. ერთხელაც თავისთან დამპატიჟა, ენა არ გაუჩერებია, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა ქსოვაზე. მითხრა, რომ ერთი და იგივე სვიტრს უკვე მეოთხედ ქსოვდა. მერე თარგები მაჩვენა. სვიტრის ქსოვას მოვრჩები თუ არა, მაშინვე ვარლვევ და ისევ თავიდან ვიწყებ, ვინაიდან ქსოვა ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, მეტი არაფერი მაინტერესებსო. თან საქსოვ ჩხირებს თვალს არ აცილებდა, მისი ხელები ისე შეუჩერებლივ მოძრაობდნენ, როგორც კურდღლის ტუჩები ბალახის წიწკნისას. ვუყურებდი, როგორ თანაბრად მოედინებოდა გორგალიდან შალის ნართი. მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, ვთქვათ, ოპერაზე-მეთქი, მაგრამ ჩემი ნათქვამი თითქოს არც ესმოდა, ის ისევ თავისას განაგრძობდა, თან გამალებით ქსოვდა. შალის ნართი წარმოსახული კურდღლის ყბაში შეუჩერებლივ ინთქმებოდა და ინთქმებოდა დღეებისა თუ თვეების მანძილზე. მერე მე ისევ ოპერაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი და სიმღერა წამოვიწყე: „მოდი, ვისწავლოთ ტაიშანის მწვერვალზე აზიდული მწვანე ნაძვისგან...“ მაგრამ თავის კუთხეში მიწოლილი ჯადვარი მშვიდად თვლემდა, ისე რომ, მალე სვრინვაც კი ამოუშვა. მე ის პირდაპირ კაცის კვლისკენ მიბიძგებდა. წარმოვიდგენდი, მკვლელი, საზიზღარი დამნაშავე სიცოცხლეს როგორ დავამთავრებდი და ლამის ჭკუიდან ვიშლებოდი.

იანს ხშირად ვხვდებოდი მინდორში, მუდამ მარტოდმარტოს. ერთხელაც, ერთ ჯანღიან დღეს გადავწყვიტე, მისთვის მეთვალთვალა. და აი, შეეერია თუ არა ზღვასავით აღელვებულ ლელიანს, ისიც გამოჩნდა, ხელში ყავისფერი ქოთანი ეჭირა. მერე რაღაცას დაუწყო ძებნა. უცებ ჭრელ, გასლიპულ უხსენებელს ხელი მარჯვედ სტაცა, ქოთანში ჩაუძახა და გზა განაგრძო. მეც ჩუმად უკან გავყევი. ვიმალებოდი, ლელქაშის, ზღვის, ბაყაყების სუნით, ლამის სურნელით ვიჟღინთებოდი. მეორე დღეს ისევ ისე მალულად გავყევი უკან, უკიდეგანოდ გაშლილ ლელიანში ჩუმად მივიპარებოდი. ლამით ახლა უკეთესად მეძინა, სამაგიეროდ ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ვერ გამეგო, რისთვის რისკავდა სიცოცხლეს, ამ შხამიან გველებს რისთვის იჭერდა?

წვიმს და წვიმს გადაუღებლად. გვიბრძანეს ჩვენს ოთახებში ვისხდეთ და გამოდარებას დაველოდოთ. ამინდის ღმერთს შევთხოვ, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს წვიმა და ავდარი. მხოლოდ ეს თუ მოგვცემს ამოსუნთქვის საშუალებას. წვიმაში ვცოცხლდებოდი. ზოგჯერ გავვარდებოდი ქუჩაში, თქაფათქუფით წამოსულ წვიმას სახეს ვუშვერდი, მადლობის ნიშნად ხელებს ცისაკენ ვწევდი. წვიმის წყალი სახეში მესხმოდა, მკერდს, ფეხებს, მთელ ტანს მისველებდა, წყლით ფეხსაცმელს მივსებდა... ტირიფის სველი ტოტები ფანჯრის მინებს ასკდება. მერე ნელ-ნელა იდარებს. ჰაერში წვიმის წვრილი ძაფები ჰკიდია. ვზი-

ვარ და მოპირდაპირე ფანჯარას ვუყურებ — იქ უფროსები ცხოვრობენ, იქ არის იანიც. რა ხანია ეს ფანჯარა ჩემს ყურადღებას იქცევს, მაინტერესებს იმ ფანჯრის იქით რა ხდება, როგორ ცხოვრობენ ის ადამიანები. კარგად ვიცი, როგორები არიან ფორმის ტანსაცმელში, მაგრამ როგორები არიან კოლოების ბადეების ქვეშ, ღამით რას ანიჭდიან, არ ვიცი... იქნებ იმას, რასაც მე?

და აი მოპირდაპირე ფანჯარა გაიღო. მე სასწრაფოდ [illegible] მოვეფარე და თვალთვალი დავუწყე. აი ხელი გამოყო ვიღაცამ წვიმაში. ეს იანი იყო. თურმე ისიც გრძნობს წვიმის მშვენიერებას. აი თვალებდახუჭულმა სახე ცას მიუშვირა და გაირინდა. მის ამ საქციელში იყო რაღაც ძალიან პირადული, რაღაც იდუმალი კავშირი ცასთან. ნეტავი როდისმე მარტოობას თუ გრძნობს, სული თუ უშფოთავს როდისმე? ჩემი თაყვანისცემა იანის მიმართ მწვანუკას ტრაგედიის შემდეგ ძალიან განელდა. ჩემში უკვე აღარ იწვევდა ძველებურ პატივისცემას. ფაქტიურად მკვლელია, სხვათა შორის, მეც... თუმცა ჩემგან განსხვავებით ამაზე ის შეგნებულად წავიდა, ამგვარი რამის პატიება შეუძლებელია, მე კი მხოლოდ შემსრულებელი ვარ-მეთქი. მაგრამ ჩემში რაღაც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა კერპის ასეთ ნაჩქარევ დამხობას. ვგრძნობდი, რომ წინანდებურად ისევ მესაჭიროებოდა გმირი, ვის წინაშეც ქედს მოვიხრიდი და ვისაც მივბაძავდი. მჭირდებოდა სარკე, მჭირდებოდა ლიდერი, რომელიც თვითაღზრდაში დამეხმარებოდა. მე ასე მასწავლეს, სხვაგვარად ცხოვრება მე არ შემეძლო. ჯადვარი ქსოვას რაეჭიდა, მე კი, იმისთვის, რომ გადავრჩენილიყავი, წინამძღოლი მჭირდებოდა.

ჩვენი ასეულის გმირის ხასიათში წვდომის სურვილი სულ უფრო ძლიერად მეუფლებოდა, უფრო სწორად, საკუთარ თავში წვდომის სურვილი, ვინაიდან იანი ჩემთვის მხოლოდ რწმენის სიმბოლო იყო. მინდოდა გამეგო, მინდოდა ჩავწდომოდი, რატომ მოექცა ასე სასტიკად მწვანუკას. მინდოდა მისთვის პარტიული მდივნის ნიღაბი ჩამომეხსნა და დამენახა, მის სულში რა ხდებოდა. მინდოდა, სუსტი და დაბნეული მენახა და ეს მე აკვიატებულ იდეად მექცა. უცებ თავი დაწია, თვალები გაახილა, პირდაპირ სახეში შემომხედა და, ცხადია, მაშინვე მიხვდა, რომ ვუთვალთვალებდი. მერე ორი ფითი პირში ჩაიდო და ხმამაღლა დაუსტვინა. ჩვენი მეთაური იანი ხომ ყოველთვის სტვენით მიგვერეკებოდა სამუშაოდ! ამ სტვენის გაგონებაზე უცებ გავოგნდი, გავშტერდი, ჩემს თავში აზრის ნატამალიც კი გაქრა. იმან კი ფანჯარა ისე მიკეტა, ხმა არ ამოუღია, არც თავი დაუკრავს და არც ხელი დაუქნევია.

-წვიმამ გადაიღო, ცაზე დაბლა დაშვებული, შავი, მძიმე ღრუბლები ისე მიიწყლაზნებოდნენ, გეგონება, საცაა თავზე ჩამოგვემხობიანო. ვიდრე დავწვებოდი, სველი ტანსაცმელი გავიხადე და გასაშრობად გავფინე. ახლა კი ისევ ეს სველი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი უნდა ჩავიცვა... ჩავიცვა და წავეთრიო მინდორში.

იმ დღეს ბრინჯი უნდა დაგვერგო. მთელი სამი საათი სულმოუთქმელად ვმუშაობდით. უცებ მინდვრის პირას, თხრილში, სისხლის ნაკვალევი შევნიშნე, კვალს გავყევი და კვალმა ჯადვართან მიმიყვანა.

ჯადვარი შუა წუმპეში მუხლებზე იდგა, მთელი ტანსაცმელი სისხლით ჰქონდა დასვრილი. საერთოდ, ჩვეულებრივი ქალური ავადმყოფობა მუდამ ძალიან მძიმედ გადაჰქონდა, იყო შემთხვევები, როცა თითქმის ძთელი ნახევარი თვე სისხლისაგან იცლებოდა, იტანჯებოდა. ასე ამბობდა, პირველად ვერც კი მივხვდი, რა იყო, კითხვაც [illegible]ოდაო. იმ სულელმა თურმე მაინცდამაინც სუფთა ნაჭერი [illegible]ოდა, სისხლი კი შეუჩერდა, მაგრამ სამაგიეროდ რაღაც სენი შეეყარა. რატომ დედას ან ვინმე ამხანაგს არ ჰკითხე-მეთქი? — ვუთხარი. ასე მითხრა, დედა შრომა-გასწორების ბანაკში იხდიდა სასჯელს, ამხანაგი კი არაფრის ბაიბურში არ იყო, ისიც კი არ იცოდა, კაცს ერქვა მაო თუ ქალსო.

სამუშაოდან ერთ-ორ დღეს მაინც რატომ არ დაეთხოვები-მეთქი, — დავინტერესდი. ვითხოვე, მაგრამ უარი მითხრეს... უფროსებმა ლუსთან გამაგზავნეს, იმან კი — ბრინჯის დარგვა დღეს შუალამისას უნდა მოვრჩეთ, თორემ დრო წაუვაო. „ჩემის აზრით, ლუ პირწავარდნილი კაბინეტის რევოლუციონერია, სხვებს მარქსიზმს სთხოვს, თვითონ კი ნამდვილი რევიზიონისტია", — ვუთხარი ჯადვარს, მაგრამ არ დამეთანხმა: არც ლუა უკეთეს დღეში, ასეთ დროს, მართალია, იმასაც საშინელი ტკივილები სტანჯავს, მაგრამ სამუშაოდან არასოდეს თავისუფლდება... ბევრჯერ გაუგონიათ, ტუალეტში როგორ კვნესისო. რაღა უნდა მეთქვა, მხოლოდ იმას დავპირდი, ჩემ წილ სამუშაოს რომ მოვრჩები, შემდეგ უსათუოდ დაგეხმარები-მეთქი.

წვიმამ ისევ დაუშვა — სულ უფრო ძლიერად და ძლიერად. ვჩქარობდი, მინდოდა ჩემი გასაკეთებელი საქმეც მომესწრო და მერე ჯადვარსაც დავხმარებოდი. ჩემი ხელები ისე მოძრაობდნენ, თითქოს ჩემი კი არა, ვიღაც სხვისი ყოფილიყო. ცოტა რომ ამომესუნთქა, წელში ოდნავ გავიმართე და უცებ იქვე ახლოს მომუშავე იანს მოვკარი თვალი. მუშაობისას ისე მოძრაობდა, თითქოს ცეკვავსო. მარცხენა ხელიდან მარჯვენაში ნერგი ნელა, ნარნარად გადაჰქონდა და მარჯვედ, მოხერხებულად რგავდა წყლით გაჟღენთილ მიწაში. სველი სამოსი მჭიდროდ მიჰკვროდა ტანზე. მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავუტიე და გავუტიე. იანმა ეს მაშინვე შეამჩნია და გამოწვევა მიიღო. ისე ერთობოდა ჩემით, როგორც კატა თაგვით. ხან ძალიან გამისწრებდა და კარგა უკან ჩამომიტოვებდა, ხან მუშაობას შეანელებდა და საშუალებას მაძლევდა, თითქმის დავწეოდი კიდევაც, მერე კი ორიოდ წუთში ისევ სადღაც წინ გავარდებოდა. აი დაამთავრა ერთი მწკრივი და მეორე ისე დაიწყო, თავი არ აუწევია. ბინდდებოდა. რეპროდუქტორში ხმაჩახლეჩით ვიღაც მაოს თხზულებებიდან ციტატებს გაჰკიოდა. მუშაობით ქანცგაწყვეტილი ქალები ისე ტორტმანებდნენ, როგორც ქარში ხეები. სადილისთვის ცხელი პური მოიტანეს და მინდორში ორი პროექტორი დაიყენეს, რომ მის შუქზე გვეჭამა, მაგრამ როგორც კი საჭმლით სავსე კალათებისაკენ დავიძარით, ხმამაღალი ძახილი გაისმა: „ვიდრე საქმეს არ მორჩებით, ვერ ისადილებთ!" ეს ლუ იყო. მართალია, ისე გვშიოდა, მზად ვიყავით საკუთარი თავიც კი შეგვეჭამა, მასთან შეკამათება მაინც ვერავინ გავბედეთ — ხუმრობა ხომ არ იყო, პარტმდივნის მოადგილე ბრძანდებოდა! მისი ყველას გვეშინოდა. სწორედ ამ დროს ვიღაცამ

ხმამაღლა დაიძახა: „რა სისულელეა! არ იცით, რომ საჭმლის გარეშე ადამიანი ისეა, როგორც ძრავა ბენზინის გარეშე!“.. — ამჯერად ეს უკვე იანი იყო. ხელით გვანიშნა, იქით წავსულიყავით, სადაც პურს არიგებდნენ, ოლონდ, ჩქარაო, — დასძინა. ჩვენც ისე ვეცით საჭმელს როგორც გოჭები სალაფავით სავსე გობებს.

ჯადვართან დასახმარებლად მივედი, ის კი, იმის მიუხედავად, რომ ქალიან ჩამორჩენილი იყო, სულ ცრემლად ილვრებოდა. თან ვჭამდით და თან ვმუშაობდით, ისე რომ, საღამოს ათი საათისათვის დავალება უკვე შესრულებული გვქონდა. ჯადვარი ტიროდა და მადლობას მიხდიდა, დედას ეს რომ ენახა, რაც ამ მეუურნეობაში ხდება, ალბათ თავს მოიკლავდაო. გაღიზიანებულმა ვუპასუხე, თუ იანი იტანს, ჩვენც უნდა ავიტანოთ, მარტო ჩვენ კი არა, ასობით ადამიანია ამ დღეში, რომელი ასობით, ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ეწევა ჯაფას ამგვარ პირობებში, ხმა არ ამოიღო-მეთქი. ჯადვარმა თავი დამიქნია და ცრემლები რომ შეიმშრალა, საკუთარი თავის შემრცხვა. უბრალოდ, სისუსტეს ვერ ვიტანდი. სანამ სხვებს შევუერთდებოდით, კრება უკვე მოეწვიათ.

მინდვრის ის მონაკვეთი, სადაც ეს-ესაა ვმუშაობდით, პროექტორის შუქით იყო განათებული. სინათლის სხივებზე კოლო ღრუბლივით ირეოდა. სიწყნარე იყოსო! — განაცხადა ლუმ. კრების დღის წესრიგში მხოლოდ ეს ერთი საკითხი იდგა — როგორია დღევანდელ დღეს ჩატარებული სამუშაოს ხარისხი. ლუმ მიკროფონი იანს გადასცა. იანი თავით ფეხამდე ტალახში იყო ამოთხვრილი, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა. ითხოვა, პროექტორი იქით მიენათებინათ, სადაც ბრინჯის ათობით ნერგი წყალში ტივტივებდა. „ასეა სადამდეც თვალი გაგიწვდებათ, ვილაცამ ჩინებულად იშრომა, — თქვა იანმა, — ნერგები დილამდე დაილუპება. ჰოდა, მინდა ყველამ დავინახოთ, როგორ ილუპება ნერგები... ისინი ხომ ბავშვებივით არიან“.

ყველამ აღელვებულმა გაიხედა მინდვრისაკენ. „ის მონაკვეთი, სადაც წუნია დაშვებული, ჩვენს მეოთხე ოცეულს ჰქონდა გამოყოფილი“, — დაიძახეს ვილაცებმა. და აი ჩემთვის ნათელი გახდა, რომ თურმე ეს მე ჩავიდინე! ჩავიდინე მაშინ, როცა იანს ვეჯიბრებოდი. ლუმ ბრძანა, დამნაშავე მწკრივიდან გამოსულიყო, საზოგადოების გაკიცხვა მოესმინა. ჯადვარმა იგრძნო, როგორი შეშინებული ვიყავი და ხელზე ხელი მაგრად მომიჭირა. ლუმ გაიმეორა: „ვიდრე დამნაშავეს არ აღმოვაჩენთ, ადგილიდან ფეხს ვერავინ მოიცვლის“... მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და უკვე მზად ვიყავი, ნაბიჯი წინ წამედგა, რომ ამ დროს იანმა განაცხადა: „ჯობს შანსი მივცეთ იმას, ვისაც ეს მარცხი მოუვიდა, დაე, თავის შეცდომა თვითონ გამოასწოროს“...

წინ მთვარის შუქით განათებული სველი მინდორი იყო გაჭიმული. აღარ ჟინჟღლავდა, ნიავიც კი არ ქროდა. მწერებს ზუზუნი გაჰქონდათ. ირგვლივ სველი ბალახის ნაზი სურნელი იდგა... ყელამდე ტალახში ჩაფლული ჩემს მიერ წახდენილი საქმის გამოსწორებას შევუდექი. ფეხები უკვე დასკდომაზე მქონდა. ძილი რომ გამეფრთხო, ვმუშაობდი და თან მაოს ციტატებს გავკიოდი:

ჩემი გონება უნდა მივაჩვიო —
სიკვდილს სრასოდეს შეუშინდეს,
ვესწრაფო გამარჯვებას,
დავძლიო სიძნელე...

## ეროსნული

თვალი რომ გავახილე, ცაზე ლრუბელი უკვე-ოქროსფერად იყო შეფერილი, საცაა მზე ამოანათებდა, მე ტალახში ვიწექი და მთელი სხეული მტკიოდა. იმის გაფიქრებაზე, სამუშაო ჯერ კიდევ ბლომად მაქვს-მეთქი, ლამის წელი მოვწყდა. ფეხებზე წურბელები დამსეოდნენ, მე კი მათი მოცილების თავი არა მქონდა. მანამდე წოვდნენ ჩემს სისხლს, ვიდრე არ დაძღებოდნენ და თავისით არ ჩამოცვივდებოდნენ. არა, სხვა გამოსავალი არ იყო, სამუშაო უნდა დამესრულებინა. ვიცოდი, გამბედაობა არ მეყოფოდა, განკიცხულის სახელით ვერ ვიცხოვრებდი — შერცხვენისა ცეცხლივით მეშინოდა.

როგორც იქნა წამოვჯექი. აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ დამძინებოდა, მთელი ჩემი ლამის სამუშაო კი შესრულებული იყო. იმ მხარეს გავიხედე, საიდანაც მზე უნდა ამოსულიყო. ვხედავ, მინდორში ვილაც მუშაობას განაგრძობს. იანი რომ ვიცანი, თვალზე ცრემლი მომადგა. მისი სილუეტი მზის ფონზე გალღვა — იანი თვითონ ზეზე იყო. გული სითბომ ამივსო, წამოვდექი და მისკენ გავეშურე. ნაბიჯის ხმაზე იანი მოტრიალდა, მე კი ენაჩავარდნილივით ვიდექი და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. მან კი თავი დამიქნია და ისევ სამუშაოდ წაიხარა. მერე რუში ხელებს რომ იბანდა, ფეხზე წურბლები დამინახა, მოიცილეო, — მითხრა. ისიც მითხრა, რომ ლამით მასთან თურმე ჯადვარი მივიდა და ყველაფერში გამოუტყდა. ბოლოს კი დაუმატა, შენი საქციელი მომწონსო. მერე თმა გაიშალა, ჩამოიბერტყა, წყალში გაალაღლაღა და თითებით ჩამოივარცხნა: „როცა გიპოვე, უშველებელ კუს ჰგავდი, გულწასულივით იყავი... შენს წინაშე დამნაშავე ვარ, ხომ შეიძლებოდა გაციებულიყავი, ართრიტი გეკიდა, ეს კი პარტიის მარცხი იქნებოდა“.

მხნედ რომ ვჩვენებოდი, თვალებს გამწარებული ვიფშვნეტდი. იანმა შემომხედა, სახეზე ღიმილმა გადაურბინა — მომწონს ძლიერი ნებისყოფის ადამიანებიო, მერე მზეს შეხედა და დასძინა: „დროა მეოთხე ოცეულს ჩაუდგე სათავეში, შტაბის ოთახში გადმოხვიდე, სადაც ეაეულის ხელმძღვანელობასთან ყველა საკითხის განხილვას შევძლებთ“. ამ სიტყვებით იგი შეტრიალდა და ბარაკებისაკენ წავიდა.

მზეს მივეფიცხე, გავირინდე. გული იმედით მქონდა სავსე.

მართლაც, გადავედი უფროსების ოთახში. მე და იანი ორსართულიან საწოლზე ვიწექით. მე ზედა სართულზე მოვთავსდი. იანს კოლოების ბადე პატარა წითელი ნაჭრით ჰქონდა დამშვენებული, რომელზეც უამრავი სამკერდე ნიშანი ეკიდა, ყოველ მათგანზე მაო იყო გამოსახული. მე ამ ნიშნებს თვალს ვერ ვაცილებდი, თუმცა ბადე თავის ნიშნებიანად დლისით აწეული იყო. ოთახი დაახლოებით ჩემი ადრინდელი ოთახის სიდიდის აღმოჩნდა. ჩვენთვის ის საძინებელიც იყო, დროებითი სასადილო ოთახიც და კონფერენციების ჩასატარებელი დარბა-

ხიც- გარდა ამისა, შემდეგში ის ბრძოლის ასპარეზადაც იქცა. მართალია, ოფიციალურად მეთაური იანი იყო, ლუ კი მისი მოადგილე, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მეტზე ოცნებობდა — მას იანის ადგილის დაკავება სურდა. ამაზე ის პირდაპირ შეშლილი იყო. კრებებს ფარამარა იწვევდა სრულიად უმიზეზოდ და ყოველგვარი დღის წესრიგის გარეშე. ურჩობას ვერავინ ვუბედავდით, ვისხედით და ვთვლემდით. ეს მიერ მოწვეულ კრებებზე. მას ხომ მხოლოდ ის სურდა და ის სიამოვნებდა, მორჩილებაში ვყოლოდით! ძალაუფლება ლუსთვის ნამდვილი ნარკოტიკივით იყო. ძალაუფლებას კი სწორედ ამ კრებებზე გრძნობდა: ზოგს აკრიტიკებდა, ზოგს ემუქრებოდა, ზოგს საქვეყნოდ გამოაშენებდა. დამფრთხალსა და შეშინებულს რომ გვხედავდა, პირდაპირ ნეტარებდა. ვინმეს სულ პატარა რაღაც რომ შეშლოდა, კრებაზე საყვედურს საყვედურზე უცხადებდა. მოთმინებით ელოდა, ეძებდა, კვალს ყნოსვით მიპყვებოდა, ოღონდ ვინმე შეცდომაში გამოეჭირა და საქმე რაც შეიძლება ვაეზვიადებინა. ყველაზე მეტად მაინც იანის გამოჭერას ცდილობდა. ხელში მარჯვე შემთხვევა რომ ჩავარდნოდა, არც კი დაფიქრდებოდა, ისე გადაუძახებდა უფსკრულში.

ლუს ანუ ყინულის ნატეხს მამა რევოლუციის დროს დაღუპვია. ტაივანში ნაციონალისტებმა იგი თურმე მაშინ მოკლეს, როცა რაღაც საიდუმლო დავალებას ასრულებდა. დედამ ეს ვერ აიტანა და მშობიარობიდან სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. თურმე საშინელი ზამთარი იდგა. ციოდა, ქარი სახეს სამართებელივით სერავდა. ვიდრე მოკვდებოდა, დედას მოუსწვრია და ამ ქარისა და სიცივის გამო ახლად დაბადებული გოგონასათვის ყინულის ნატეხი დაურქმევია. პარტიის მზრუნველობით გარემოსილი ყინულის ნატეხი თურმე ბელადების მიერ საგანგებოდ დაარსებულ ბავშვთა თავშესაფარში იზრდებოდა. ისე, როგორც იანი, ისიც თურმე ხუნვეიბინური მოძრაობის სათაველებთან იდგა. ერთხელ მაოს სამშობლო ხუნანში იქაურობის მოსალოცად წასულა. ისიც თურმე იმ ხის ფოთლით იკვებებოდა, რითაც მაო იმ პერიოდში, როცა მისი არმია ნაციონალისტებმა დაამარცხეს.

ლუმ ის თავის ქალა მაჩვენა, რომელიც ხუნანში ერთ-ერთი სახლის ეზოში მიწიდან ამოთხარეს. ამტკიცებდა, ეს თავის ქალა, გინდა თუ არა, რევოლუციისათვის ბრძოლაში დაცემული წითელი არმიელისაა. ქალაზე ნახვრეტი მაჩვენა და მითხრა, რომ ეს ნატყვიარი იყო. ქალას ხელს უსვამდა, თვალის ფოსოებს უსინჯავდა და ამ დროს სახეზე ისეთი უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, მის შემხედვარეს სუნთქვა შეკვროდა. დაღუპულების გვამები ვილაც მოხუც ქალს ფარულად დაუწვავს. და აი ოცი წლის შემდეგ ეს თავის ქალა სწორედ იმ ადგილას ამოაჩინეს. იმ მოხუც ქალს როცა გაუგია, ლუს მამაც რევოლუციისათვის ბრძოლაში დაიღუპაო, თავის ქალა მიწიდან ამოუთხრია და მისთვის უჩუქებია. ლუმ — ასე მგონია, ეს თავის ქალა სწორედ მამაჩემის თავის ქალაა. თავის ქალას დავაშტერდი, მინდოდა გამეგო, ასე რით იზიდავდა ლუს, რა იყო მასში ასეთი მიმზიდველი? იქნებ სიკვდილის ხატი იყო ან სისასტიკის სიმბოლო?

ლუს მზერა თითქოს ამართლებდა მის სახელს — მართლაც რომ ყინულივით მზერა ჰქონდა. ლაპარაკობდა ნელა, მტკიცედ, გარკვევით

გამოთქვამდა თითოეულ ბგერას. ჩამოგრძელებული სახე ფორმით მიწის თხილს უგავდა. მის მიერ წარმოთქმული ყოველი ფრაზა განაჩენივით ჟღერდა. უძველეს ნახატებზე გამოსახული მზეთუნახავის ცივი თვალები ჰქონდა. ცივი თავაზიანობა სახიდან არასოდეს აცილდებოდა, რაც მის სახეს კიდევ უფრო მკაცრს ხდიდა. მის გამოსვლაში თანაგრძნობის ნიშანწყალიც არ იყო. ჩვენ მას ისე ვცემდით პატივს, როგორც თავვი კატას. უპირატესობას იგი მოქმედებას აძლევდა, ყოყმანი მისთვის უცხო ხილი იყო. დამნაშავისათვის ხელის ჩავლება და შეპყრობა — ამის გარდა სხვა არაფერი იცოდა. როგორც თვითონ უყვარდა თქმა: „დაუმიზნე და ესროლე!“ მე ეს, ცხადია, არ მომწონდა. ლუში მხოლოდ მკაცრი მიზანდასახულობა იგრძნობოდა, მეტისმეტად ცივი და უსიცოცხლო იყო.

მე ხომ სულ ყურადღების ქვეშ ვყავდი, სულ მითვალთვალებდა, და მისი ეს გაუთავებელი თვალთვალი მნუსხავდა. ჩემზე თითქოს რაღაც ეჭვი ჰქონდა. მის ღიმილშიც კი რაღაც ჩასაფრებას ვხედავდი. ერთხელ მან თავისი მაოიზმის კონსპექტი მათხოვა. საოცრად ლაღად, გაკრული ხელით იყო ნაწერი. მინდოდა მეც ასე მეწერა. მაგრამ შინაარსი! შინაარსს არ იკითხავთ! ეს ადამიანის გონება კი არა, ნამდვილი პროპაგანდისტული მანქანა იყო, რომელსაც საკუთარი ძრავაც კი არ გააჩნდა. როცა მან კონსპექტების შესახებ აზრი მკითხა, ფარისევლობა არ დავუწყე. მართალია პროპაგანდისტული მანქანა არ მიხსენებია, მაგრამ... აი ძრავაზე თავი ვერ შევიკავე. ჩემი პირდაპირობა ლუს მოეწონა. მე ხომ სიმართლეს არასოდეს მეუბნებიან, მე კი ფარისევლობას ვერ ვიტან, თუმცა ჩვენი ქვეყანა ნამდვილი ფარისევლების ქვეყანაა, პარტიაშიც ბლომად შეძვრნენ, ჩემი მიზანი სწორედ ამ ფარისევლების წინააღმდეგ ბრძოლაა, ბრძოლა ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ... დიახ, ჩემი ცხოვრების მიზანი ეს არისო. მომიწოდა, ერთად გვებრძოლა ამისთვის. მართალია, ჩემთვის მთლად ნათელი არ იყო, რა მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ მე მაინც სიამოვნებით დავთანხმდი. კაცმა რომ თქვას, ფარისევლობა ხომ დიდი მავნე რამ არის! „ჩვენი ოთახის ფარისევლებს რაღა ვუყოთ, მათი საქმე როგორღა იქნება?“ — იკითხა უცებ ლუმ.

სწორედ ამ დროს ჩვენი მეზობლები სასადილოდან დაბრუნდნენ. მღეროდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, სიცილით იხსენებდნენ, ის უქნარები როგორ შეახურეს, სიცოცხლის ბოლომდე აქ, ამ სოფელში ცხოვრება რომ არ სურდათ. მაგრამ ლუს ბოლო სიტყვების გაგონებაზე, თითქოს ვილაცამ უბრძანათო, ყველანი წამსვე გაჩუმდნენ და ერთმანეთის მიყოლებით კოლოებისგან თავის დასაცავ ბადეებში გიგანტური თევზებივით ჩაყვინთეს. ისეთი შეწყობილი წკლაპუნი გაისმა, თითქოს ვამპირები თავ-თავიანთ მსხვერპლს ერთდროულად დააცხრნენ. ლუ კი ლაპარაკს განაგრძობდა. ყველაფერი ეს რატომღაც თეატრალურ წარმოდგენას მაგონებდა. მე, როგორც რევოლუციისათვის ბრძოლაში დაცემულის ქალიშვილს, — ამბობდა იგი, — ვინც სისხლი დაღვარა, ვინც სიცოცხლე სახალხო საქმეს შესწირა, არც ერთი იმათგანის დავიწყება არ შემიძლია, მე მათ მოლოდინს არასოდეს გავუცრუებ. იმედი მაქვს, ჩემი მებრძოლი მეგობრები ჩემს თითოეულ ნაბიჯს ყუ-

რადღებით აკვირდებიან და მეც ყოველგვარ კრიტიკას სიხარულით მივიღებ. პარტია ხომ ჩემთვის დედასავითაა, ჩემი თანამებრძოლები კი ჩემი ოჯახიაო. ცდილობდა ოპერის გმირს დამსგავსებოდა, მე კი მათ შორის იოტისოდენა მსგავსებასაც ვერ ვხედავდი.

ვერ წარმომედგინა, ყინულის ნატეხს ამ თავის ქალასთან ცხვირი ცხვირზე მიდებულს როგორ ეძინა. მათი ასეთი მეზობლობის გამოღამის კოშმარები დამეწყო, მაგრამ ხმის ამოღებაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. ინსტინქტი მკარნახობდა, რომ ლუს ის ადამიანი, ვისაც რევოლუციისათვის მებრძოლის თავის ქალისა ეშინოდა, ნამდვილ არარაობად მიაჩნდა.

ლუ გამუდმებით გვაკვირდებოდა და დაკვირვებები თავის წითელ ბლოკნოტში შეჰქონდა, შტაბს ყოველთვე ანგარიშს აბარებდა. ამტკიცებდა, პოლიტიკისადმი ჩემი ასეთი მისწრაფება მემკვიდრეობითიაო. ერთხელ ამაყად გამანდო, რომ მისი დედობილ-მამობილი არმიის პარტიული კომისრები, დები და ძმები კი პარტმდივნები იყვნენ, ვინ უნივერსიტეტის, ვინ ქარხნის, რომ მათ სპეციალურ კლინიკებში ჰქონდათ მკურნალობის უფლება, ცხოვრებით კი მთავრობის წევრების გვერდით ცხოვრობდნენ. სამარცხვინო ჩაჩიც, რომელსაც ყოველ მომდევნო კრებაზე რომელიმე თავის მორიგ მსხვერპლს ჩამოაფხატებდა ხოლმე, სწორედ ყინულის ნატეხის მიერ იყო მოგონილი. ამ დროს ის პირდაპირ იფურჩქნებოდა, „ენმინ ჟიბაოსა“ და „ხუნციდან“ ციტატებს ჩანჩქერივით აფრქვევდა. მის გვერდით ისე ვცხოვრობდი, როგორც ცხვარი მგელთან ერთად ფარეხში. ერთხელაც განაცხადა, სარკე ეგოიზმის სიმბოლოაო. მე კი იმის გამო, რომ შეკამათება ვერ შევბედე, ავდექი და სარკე ბალიშქვეშ დავმალე. თუ მოინდომებდა, ლუს ხომ სულ ადვილად შეეძლო, რეაქციონერების სიაში ჩავერიცხე! ბევრმა მისგან ეს უკვე იწვნია. ასეთებს იგი რაღაც გიჟურ, ენით აუწერელ სამუშაოზე აგზავნიდა — მაგალითად, მთა ადგილიდან უნდა გადაედგათ და ბრინჯი მოეყვანათ იმ ადგილას, ან მიწისქვეშა არხი გაეთხარათ. მოკლედ, ის მათ აშკარა სიკვდილზე აგზავნიდა, ხოლო თუ ვინმე სასწაულით ცოცხალი გადარჩებოდა, ისიც იმ დღეში ვარდებოდა, ის ემართებოდა, რაც ჩვენს მწვანუკას დაემართა. ასე რომ, თუ ვინმე ყინულის ნატეხს ოდნავ მაინც აწყენინებდა, სამაგიეროს გადახდა და სასჯელი გარდაუვალი იყო. აი რატომ მეშინოდა მე მისი.

მაგრამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ლუ მებრძოლებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენასაც ცდილობდა. ტანსაცმელს გვირეცხავდა, ნამგლისა და თოხის პირებს გვილესავდა, ღამღამობით ჩამოივლიდა და არ გაცივდნენო, საბნებს ამოგვიგებდა. თავისი მებრძოლების ავადმყოფ ცშობლებს ჩუმად თავის ხელფასს უგზავნიდა და ამას საკმაოდ ხშირად აკეთებდა. თუმცა ამის გამო ქებას რომ დავუწყებდით, ამას პარტიის სახელით ვაკეთებ, ჩემთვის ეს ჭუჭყიანი ჩვრების რეცხვასავითაა, არც სიხარულს მგვრის და არც სიამოვნებასო. ამგვარი ფრაზების დიდოსტატი იყო. ამაზე ყველანი ერთსულოვნად შეევეპასუხებოდით, თავგამოდებით ვუმტკიცებდით, რომ მას სწორედ მისი სიკეთის, მისი მზრუნველი ხასიათის გამო ვაქებდით და ეს მართლაც ასე იყო. თუმცა, არც

ის გვავიწყდებოდა, რომ თითოეული ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვა
შტაბს მოხსენდებოდა. მშვენივრად ვიცოდით, რომ ყინულის ნატეხი ყვე-
ლაფერს სწორედ ამისთვის აკეთებდა.

ყველგან, სადაც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, სულ კრიჭაში ედ-
გა იანს. ამტკიცებდა, ძალიან რბილია, მებრძოლებს [illegible] სჭიროა,
ტვინს არ უხვრეტს, ასეულის სასსრებს ყაირათიანად [illegible], მა-
ოიზმის სემინარებზე ცეცხლს არ ანთებსო. იანი გამწარებული იგერიე-
ბდა, მაგრამ სიტყვიერ ბატალიებში ის არც ისე ძლიერი იყო, ამაში ყი-
ნულის ნატეხი აშკარად ჯაბნიდა. იანი, იმის გამო, რომ უკმაყოფილო
იყო თავისი უთავბოლო ლაპარაკით, მაშინვე აშკარა ლანძღვაზე გადა-
დიოდა: „ლორის ტილო“, „საცოდავო“, „დამპალო“, ა. შ. და ა. შ. ყი-
ნულის ნატეხი კი იმით, იანი თავს თვითონვე როგორ იყენებდა უხერ
ხულ მდგომარეობაში, პირდაპირ ნეტარებდა. მიაყენებდა კუთხეში და,
სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, სიტყვებით შოლტავდა, სულის მო-
თქმის საშუალებას წამითაც არ აძლევდა. მისთვის მთავარი ის იყო,
მთელ ასეულს ენახა, როგორი უხეში და ვულგარული იყო მათი მეთა-
ური, და რომ უწმაწური გინების მეტი არაფერი შეეძლო. ბოლოს მო-
ჩვენებითი სიმშვიდით შეეკითხებოდა, ჩვენი ეს უთანხმოება იქნებ სა-
ხელმწიფო მეურნეობის ხელმძღვანელობის განსახილველად გავიტანო-
თო? მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ იანი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ
წავიდოდა, რომ იგი ძალიან უფრთხილდებოდა მეთაურის რეპუტაციას.

ლუმ იცოდა, ოპერის რა დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი. ადრე
დასვენების წუთებში ხანდახან მთხოვდა მემღერა, აქაოდა შენი სიმღე-
რა გულს მილბობსო. დავიწყებდი სიმღერას ხმამაღლა და მალე მთელი
ოცეული ამყვებოდა. ყინულის ნატეხი ტკბებოდა, უფრო სწორად, ჩვენ
ორივე ვტკბებოდით სიმღერით. მწვანუკას ტრაგედიის შემდეგ კი
ყველაფერი თავდაყირა დადგა. სიმღერის ხალისი უკვე აღარ მქონდა.
იმღერეო, რომ მეტყოდა, ძალა არ მყოფნიდა სააბისოდ. ყურში ჩემდა-
უნებურად მწვანუკას ხმა ჩამესმოდა, მისი საყვარელი სიმღერა „სამ-
შობლო“ ყღერდა. ერთთავად თვალწინ ის საბრალო გოგონა მედგა, ბა-
რაკებსა და მინდორს შორის ლანდივით რომ დაბოდიალობდა. ყურად-
ღებას რიგრიგობით ამხანაგები ვაქცევდით, ყოველნაირად ვცდილობდით
ოჯახისთვის მისი ავადმყოფობა დაგვევიწყა. ერთხელაც ნაწერი მწვა-
ნუკას ნაწერს მივამსგავსეთ და ბებიამისს ბარათი გავუგზავნეთ. მაგრამ
ეს ოინი არ გამოგვივიდა. მოხუცმა პარტკომიტეტს მიმართა და სიმარ-
თლე მოსთხოვა — მე თვითონ პოლიტიზოლაციაში ვიმყოფები, რო-
გორც ხალხის მტერი, თორემ თავად ჩამოვიდოდი მეურნეობაში შვი-
ლიშვილის სანახავადო. იანმა ბებიას წერილით უპასუხა. სანამ გააგზა-
ვნიდა, მთხოვა წამეკითხა და სტილი და გრამატიკული შეცდომები გა-
მესწორებინა. ამგვარ უსიამოვნო ამბებზე წერილის მიწერას არავის
ვუსურვებ! მომხდარი რომ აეხსნა, იანი წვალობდა, იტანჯებოდა, მაგ-
რამ ამაოდ — ვერაფერს ეხსნიდა. ვერ ბედავდა ეთქვა, რომ ჩვენ ყვე-
ლანი მკვლელები ვიყავით. მხოლოდ იმას სწერდა, თქვენი შვილიშვი-
ლი ძალიან ავად გახდა და გონება აერია, თუმცა ეს დროებითია, მზრუნ-
ველობასა და ყურადღებას არ ვაკლებთ, რომ გამოჯანმრთელდეს, მთე-
ლი მეურნეობა მის მკურნალობასა და ახალ-ახალი წამლების ძებნაშიაო.

ᲪᲝᲙᲚᲔᲓ, წერილი ძალიან უმაქნისი გამოგვივიდა. დანაშაულის გრძნობის გარდა შიგ არაფერი იყო. ერთი კია, იანი ცდილობდა დაერწმუნებინა მოხუცი, რომ ის, რაც მის შვილიშვილს დაემართა, მართალია საწყენი კია, მაგრამ ერთი კერძო შემთხვევაა, პარტიის მოწოდებით ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მშვიდობიანად შრომობს მეურნეობაში, ჩვენი ცხოვრების „უდიდესი სიმართლეც“ სწორედ ეს ა[illegible]

წერილი მაოდან ციტატით მთავრდებოდა: „თავგანწირული [illegible]ომა სამშობლოს საკეთილდღეოდ გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს!..“

იანი გააწამა წერილმა. ერთიანად მელანში იყო ამოსვრილი, ტუჩებიც კი მელნით ჰქონდა დათხვრილი. წერილი რომ გადავათეთრე, მარკის დასაკრავად და გასაგზავნად იანი საქმართველოში წავიდა. ღამით უცებ იმისი ჩურჩული მომესმა: „სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში დემონები ნაკუწ-ნაკუწ დამგლეჯენ, ამაში ახლა უკვე ეჭვიც აღარ მეპარება“.

ლუმ „ახალგაზრდებს შორის საუკეთესოდ“ გამომაცხადა. აღინიშნა, რომ ჩემი ღირსება უფლებას მაძლევდა, „სახელმწიფოს დასაყრდენი“ გავმხდარიყავი. ლოზუნგებით ლაპარაკის მისი მანერა ნერვებს მიშლიდა, საშინლად მაღიზიანებდა. მის სიტყვებს სილრმე აკლდა, ზერელე და ზედაპირული იყო. სურდა ყველაფერში პირველი ყოფილიყო. კრებებზე ცდილობდა პოლიტიკური და იდეოლოგიური მომზადების დემონსტრირება მოეხდინა, თავისი გაუთავებელი ექსკურსებით პარტიის ისტორიიდან სულს გვხდიდა. არასოდეს ავიწყდებოდა, იანისთვის გაეხსენებინა, რომ ხელმძღვანელობისათვის საჭირო თვისებები არ გააჩნდა, და ახერხებდა კიდევაც მეტოქის მოთმინებიდან გამოყვანას. მინახავს, როგორ გამოვიდოდა ხოლმე იანი წყობიდან — იჯდა კუთხეში დაბნეული და ხელებს ნერვიულად იფშვნეტდა. მე კი ის სწორედ იმ დაბნეულობის გამო მიყვარდა და მეცოდებოდა.

არც შტაბის მეთაურები მიესალმებოდნენ ლიდერობაზე ყინულის ნატეხის პრეტენზიას და არც რიგითი მებრძოლები. დრო გადიოდა, მას კი ისევ ის ძველი თანამდებობა ეჭირა, თუმცა საოცრად მიმწოლი ხასიათი ჰქონდა. სულ უფრო ხშირად იწვევდა იანს საპაექროდ, ცდილობდა გაეშავებინა მწყობრის წინაშე, ჩვენთვის ამა თუ იმ საკითხში ჩვენი მეთაურის უსუსურობა დაენახვებინა. იანი ბრაზობდა, [illegible]ცოცხლადაც კი შეეჭამა ლუ. ხშირად ყურს მივუგდებდი ხოლმე, რას ბუტბუტებდა იანი, როცა ლუ საბოლოოდ მიიმწყვდევდა ჩიხში. „თურმე — ნამდვილი ბანდიტი ხარო! — ამბობდა. ერთხელაც რაღაც საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად ლუმ კრების მოწვევა დააპირა. იანმა — უკეთესი იქნებოდა პირველ რიგში თოხის პირები გაგვემახვილებინაო. „მარტო ურემზე თუ ვიზრუნეთ, გზას თუ არ შევხედეთ, დამარცხების რისკი აშკარაა“, — შენიშნა ყინულის ნატეხმა. „ესე იგი, დავმარცხდებით!“ — მოუჭრა იანმა. არც ლუმ დაიხია უკან: „ლოგინს თუ გაშლი, უნდა ჩაწვე კიდევაც!“ ამაზე იანი გაცეცხლდა და იყვირა: „ეშმაკმა წაგიღოს, ეტყობა, საკუთარი კბილების ალესვა მომიწევს!“

ხშირად ასე მეგონა, ჩემი თვალთვალისას ყინულის ნატეხს მესამე თვალი უჩნდებოდა. ერთხელ წინადადება მომცა, აქტივისტების განსა-

კუთრებულ ბრიგადას შევერთებოდი. ამ წინადადებაზე მე მისთვის გადაჭრით არ მითქვამს უარი, მაგრამ არც ჯეროვანი დაინტერესება გამომიჩენია. ამის გამო ის საშინლად იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ დავამშვიდე, ვუთხარი, ყველაფერს გავაკეთებდი, რათა იმ ბრიგადასთან ახლოს ვყოფილიყავი, და დავპირდი, რომ მისგან [illegible] კონსპექტებს ვითხოვდი. მან კი ასე მითხრა, ვიცი, რატომაც [illegible] ჩემთან ერთად იყო. სხვის ჩრდილში ცხოვრებას, იცოდე, სიკეთე არავისთვის მოუტანია. ჯობს დროზე განვთავისუფლდე ფეხსაცმელში ამოჩრილი ლურსმნისაგან. ყველას, ვინც ჩემს პოლიტიკურ ყნოსვას ალიზიანებს, პოლიტიკური მომავალი არა აქვსო.

მე კი, უბრალოდ, ჩემი ოცეულიდან დეზერტირობა არ მინდოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, ყურადღება არ მიმექცია ყინულის ნატეხის გაფრთხილებისათვის. რაღაც მკარნახობდა, რომ სწორედ იანთან უნდა ვყოფილიყავი უფრო ახლოს. თუ ამ სულელურ სპექტაკლში უნდა მეთამაშა, ჯობდა ორი ბოროტებიდან ნაკლები ბოროტება ამერჩია. საველმწიფო მეურნეობა „წითელი ალის“ მუშათა არმიაში ყოფნის დიდი სურვილი არასოდეს მქონია, ვინაიდან ეს ნამდვილ ძალადობად, მონობად მიმაჩნდა. სიმართლე რომ ითქვას, ჩემს იქ ყოფნას ერთადერთი იანი აძლევდა რაღაც აზრს. მეჩვენებოდა, რომ ჩვენ ერთად მცირეოდენ წარმატებას მაინც მივაღწევდით. ცხადია, ჩემთვის ახლა გასაგებია, რომ ეს ფუჭი იმედი იყო, მაშინ კი ნამდვილად, ნამდვილად ასე მჯეროდა.

იანის მოწონება რომ დამემსახურებინა, ჩემს ოცეულთან ერთად იმ სამუშაოს ვირჩევდი, რაც ყველაზე მძიმე და ძნელი შესასრულებელი იყო — ვთხრიდით არხებს, ნათესში ნაკელს ვშლიდით, ვმუშაობდით ვაძლებამდე ღამის ცვლაში. ჩემს ხელქვეითებს ვარწმუნებდი, მინდა ჩვენი ოცეული მთელ ასეულში ყველაზე მოწინავე იყოს, რათა კომკავშირში შესვლა გაგიადვილდეთ-მეთქი, და ისინიც მიჯერებდნენ, ისე რომ, ჯადვარმა ქსოვაც კი მიატოვა. მართლაც, წლის ბოლოს მეურნეობის საერთო კრებაზე ჩვენი ოცეული მოწინავეთა შორის იქნა დასახელებული. საზეიმო ცერემონიალის დროს იანი მოსალოცად სცენაზე ამოვიდა. თავისი გარუჯული ხელი მაგრად ჩამომართვა, გულიანად გამიღიმა და წამჩურჩულა — ერთი სული მაქვს, პარტიის წევრი როდის გახდები, იცოდე, ვალდებული ხარ, პარტიაში აუცილებლად უნდა შეხვიდე, ეს გაზაფხულამდე უნდა მოხდესო. მე საშინლად ავღელდი, პასუხისთვის სიტყვა ვერ დავძარი, მხოლოდ ხელს მაგრად ვართმევდი და ვართმევდი. ამის მერე საღამოობით ძილის წინ კიდევ დიდხანს მიტრიალებდა გონებაში იმდღევანდელი ამბები. იანის ღიმილს ვიგონებდი და უკვე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ მისი ეს ღიმილი ძალიან მომწონდა და მჭირდებოდა.

ზაფხულის დაძაბულმა მინდვრის სამუშაოებმა რომ იკლო, სადილის შემდეგ ცოტა თავისუფალი დრო გაგვიჩნდა. მაგრამ თან გულში რაღაც სიცარიელეც გაჩნდა. ახლა რატომღაც ძალიან მაკლდა ჩვენი ძველებური მწვანუკა. ვვარცხნიდი, ვურეცხავდი და, მართალია, ახლა ისევ ისე ძველებურად გამოიყურებოდა, ისევ ისეთი ტირიფივით მოქნილი და ტანკენარი იყო, მაგრამ გონება უკვე საბოლოოდ ჰქონდა არეული. ყველაფრის მიმართ სრულიად გულგრილი იყო, თუმცა იმღამინ-

ელიავით ახლაც ქლიავის ვარდისფერყვავილებიან საცვლებს ატარებდა. მისი ეს ლამაზი საცვლები მუდამ მტანჯველ მოგონებებს აღმიძრავდა — აი, შაშხანა ავწიე და საბრალო მწვანუკას დავუმიზნე... არა, ამას ალბათ ვერასოდეს დავივიწყებდი! არ ვიცი, როგორ უძლებდნენ დანაშაულის ამ არაადამიანურ გრძნობას დანარჩენები, ცხადია, [illegible] ისინი საერთოდ გრძნობდნენ დანაშაულს. ამის შესახებ [illegible] ერავის არასოდეს დაუძრავს. ერჩიათ თავი ისე დაეჭირათ, ვითომ არაფერი მომხდარა. მწვანუკას იოლი სამუშაო შეურჩიეს, შაქრისა და ხორცის ტალონებსაც აძლევდნენ. მხოლოდ იანი ექცეოდა როგორლაც უცნაურად. უცებ ჩაავლებდა მხრებში ხელს და ჩააცქერდებოდა თვალებში დაჟინებით, გამწარებული აკვირდებოდა, ცდილობდა გამოლაპარაკებოდა, თუმცა დანარჩენებმა ამას დიდი ხანია უკვე თავი დაანებეს.

ბოლო დროს მწვანუკამ რაღაც საშინელებების კეთება დაიწყო. ერთხელ დავინახე, კენჭებს როგორ ყლაპავდა. ჯადვარმა კი მაშინ წაასწრო, როცა ჭიაყელებს ჭამდა. იძულებული ვიყავით ეს ყველაფერი იანისთვის გვეთქვა. ამის შემდეგ იანი თვალს აღარ აცილებდა მას, განსაკუთრებით საღამოობით. ეს ორი ადამიანი იმ ორ დანჯღრეულ კანჯოს ჰგავდა, ნისლით მოცულ ზღვაში საჭის გარეშე დრეიფზე რომ დგას. თავად იანი ისევ განაგრძობდა შხამიანი გველების ჭერას. მე კი სულ თვალყურს ვადევნებდი. ჩემში მისი ეს იდუმალება და ჩემი ცნობისმოყვარეობა თითქოს თავისებურ კონტრაპუნქტს ქმნიდა.

უკვე აღარ მიყვარდა კოლოების ბადის ქვეშ ჩემს კუთხეში შეყუჟვა. პირიქით, ვცდილობდი გავქცეოდი ჩემს საწოლს — ხან ლერწმებს შორის ბილიკებზე დავეხეტებოდი, ხანაც დღე რომ მიიწურებოდა, მეურნეობის აგურის პატარა ქარხნის ეზოში დავბოდიალობდი. ქარხნის მთელი ეზო შტაბელებად დალაგებული აგურით იყო სავსე. ზოგ ადგილას აგურის მწკრივები წასაქცევად იყო წაფერდებული, ზოგან კი უკვე ჩამოქცეული ნამტვრევების გროვად ქცეულიყო. მთელი ის ადგილი უძველეს ნანგრევებს ჰგავდა. იქ გამეფებულ მდუმარებას მხოლოდ ჩემი ნაბიჯის ხმა არღვევდა.

მაგრამ, აი ერთხელაც ეზოში რაღაც უცნაური ხმა მომესმა, თითქოს ვიღაც ორსიმიან ერხუზე უკრავდა. მივაყურადე და ძველი, აკრძალული ოპერის — „ლიან და ჯუს" მელოდია მაშინვე ვიცანი. ამას ზოგჯერ ბებიაჩემი ღიღინებდა ხოლმე თავისთვის. ლიანი და ჯუ შეყვარებულები იყვნენ, მაგრამ, იმის გამო, რომ იცოდნენ ვერასოდეს შეერთდებოდნენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს. მუსიკა ჰყვებოდა, სიკვდილის შემდეგ პეპლებად ქცეული შეყვარებულები როგორ ხვდებოდნენ ერთმანეთს ყოველ გაზაფხულზე. საოცარი ის იყო, რომ აქ, ამ მეურნეობაში ვიღაცას შეეძლო ასე ოსტატურად დაეკრა.

მე იმ მხარეს წავედი, საიდანაც საკრავის ხმა მესმოდა, მაგრამ მუსიკის ხმა უცებ მიწყდა, ნაბიჯების ხმა გაისმა და აგურის გვერდითა მწკრივს იქით ვიღაცის ჩრდილმა გაიელვა. ნაბიჯიც რომ გადავდგი, ვხედავ, აგურების შვერილზე ორსიმიანი ერხუ დევს. გავიხედ-გამოვიხედე, არავინაა, მხოლოდ ქარის ღამეული სტვენა ისმის. ის იყო, ინსტრუმენტის ასაღებად დავიხარე, რომ ვიღაცამ თვალებზე ხელი ამაფა-

რა. განთავისუფლება რომ ვცადე, ხელები კიდევ უფრო მაგრად მო-
მიჭირა — ამ ხელებში ძალა იგრძნობოდა. ვინა ხარ-მეთქი? — ვკი-
თხე, მაგრამ არაფერი მიპასუხა. ხელები უკან წავიღე [illegible] და უჩინმაჩინს
შევულიტინე. უჩინმაჩინმა თავშეკავებულად გაიცინა და ვისერზე მისი
ცხელი სუნთქვა ვიგრძენი — მივხვდი, ეს იანი იყო [illegible]

იგი ჩემ წინ იდგა და იღიმებოდა, ხელში [illegible] საკრავი
ეჭირა. „შენ იყავი? შენ უკრავდი ერხუს?“ — ვუთხარი, სახეში შევ-
ხედე და იანმა თავი ჩუმად რომ დამიქნია, გული სიხარულით ამევსო,
თუმცა ჩვენი უფროსი და რაიმე საკრავზე დაკვრა ერთმანეთთან ვერა
და ვერ დამეკავშირებინა. ეს იყო ადამიანთან დიდი ხნის ნანატრი შეხ-
ვედრის სიხარული, სიხარული იმისა, რომ ბოლო მოეღებოდა ჩემს
ქანცგამწყვეტ მარტოობას. რატომღაც წარმოვიდგინე ყვავილის ვარ-
დისფერი ფურცლები ჰაერში როგორ ტრიალებდა და თოვლის ფანტე-
ლებივით როგორ ეფინებოდა მიწას; ცას ქათქათა საბურველში გახვეუ-
ლი შორეული გორაკები როგორ შერთვოდა.

იანმა გვერდით მომისვა. იჯდა და ისევ ჩუმად იღიმებოდა. მინ-
დოდა მეთქვა, როგორი მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი და
როგორ საუცხოოდ უკრავდა, მაგრამ სიჩუმის დარღვევის მეშინოდა.
იანმა საკრავი აიღო, თავი დახარა, თვალები მილულა, სიმებს ნელა შე-
ეხო, ღრმად ამოისუნთქა და „მდინარე“ დაუკრა.

მუსიკა იცვლებოდა და იცვლებოდა ჩემს წარმოსახვაში წარმოქმ-
ნილი სურათებიც. აი მთიდან წყალუხვი მდინარე ხმაურით მოჩქეფს,
ქარმა წყლის სარკესავით ზედაპირი ააღელვა, წყლის სარკეზე ღრუბ-
ლები აირეკლა, ჭორომთან ადგაფუნებული წყალი ზევიდან ჩანჩქერი-
ვით გადმოეშვა და ახლა კლდეებს შორის მომწყვდეული პირდაპირ ოკე-
ანისაკენ მიექანება. იანის ოსტატობამ მეც ისე შემიპყრო, როგორც
იანი იყო მუსიკით შეპყრობილი. და აი მე ჩემი უფროსის ჭეშმარიტი
არსი შევიცანი, მისი კეთილშობილი ბუნება მთელი ჩემი არსებით შევი-
გრძენი. ამ უცნაურ ადგილას ჩემთვის აქამდე უცნობი, იდუმალი სული
აღმოვაჩინე და ამ სულმა გამაოცა, ამ მოულოდნელმა შეხვედრამ კი
გული სიხარულით ამივსო.

აი, ისევ შეახო თითები სიმებს და წვიმის წვეთები ბანანის ფოთ-
ლებზე აცეკვდა. მერე ხელი საკრავზე გაირინდა — იანმა სული მოი-
თქვა, მისი თითები მშვიდად ისვენებდნენ ინსტრუმენტზე. კვლავ შე-
ახო ხემი სიმებს და ჰაერს ენით გამოუთქმელი სევდა შეადნა, ისევ ხმა-
დაბლა ამღერდა სიმი, ისევ გაიჟღერა სევდიანმა ბგერებმა... მერე უც-
ებ ხემის ძლიერი დარტყმა, თითქოს სულიდან ბობოქარი რისხვის ამო-
ფრქვევა და... ისევ სიჩუმე. იანმა თავი ასწია, თვალები ისევ მილულუ-
ლი ჰქონდა. და აი ჩემ თვალწინ უცნაური სურათის ცალკეულმა დე-
ტალმა ერთმანეთის მიყოლებით ჩაიქროლა: ხან პარტმდივანი დგას
ჩემ წინ, ხან ჩემი ოცნების გმირი, ხან მკვლელი, ხანაც ორსიმიან ერ-
ხუზე დაკვრით გატაცებული ახლად შელერებული ქალიშვილი... იანმა
ჯერ „მიქრიან, მიქრიან რაშები“ დაუკრა, მერე „დამიბრუნდა ძმა —
წითელარმიელი“ და დაკვრა „ლიან და ჯუს“ მელოდიით დაამთავრა.

საუბარი დავიწყეთ. ერთმანეთთან ასე არასოდეს გვისაუბრია. ვლაპარაკობდით საკუთარ ცხოვრებაზე, ერთმანეთს გულს ვუშლიდით და ამ სურვილით შეპყრობილები ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლიდით.

იანის მშობლები ფეიქრები იყვნენ. ცხრა შვილის გამო დედამისს „გმირი დედის“ წოდება ჰქონდა მინიჭებული. იანი მერვე შვილი იყო. ცხოვრობდნენ შანხაის რაიონ „ხანგრძლივ მშვიდობაში“. მთელი ოჯახით ერთ პატარა ოთახში იყვნენ შეჭყლურტულები. კიბის ერთ ბაქანზე მათ გარდა კიდევ ცხრამეტი ოჯახი ბინადრობდა. ფეხსალაგის მაგივრობას ლამის ქოთანი უწევდათ. იანს ყოველ დილა ლამის ქოთნის დაცლა და გარეცხვა ევალებოდა. როცა ვუთხარი, საკუთარი საპირფარეშო გვქონდა, თუმცა კი სამი ოჯახისათვის, სადაც თითხმეტი სული ცხოვრობდა-მეთქი, ასე მითხრა, წარმოდგენილი მაქვს, დილ-დილობით იქ რა ამბავი იქნებოდაო და ამაზე ორივემ გავიცინეთ.

ვკითხე, დაკვრა სად ისწავლე-მეთქი. მითხრა, ჩემი მშობლები ხალხურ მუსიკას აღმერთებდნენ, ოჯახის ტრადიციის მიხედვით ყველას ერთ რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა უნდა გვცოდნოდა. მე როგორც ყველაზე სუსტი აღნაგობის ბავშვს, ყველაზე მსუბუქი საკრავი — ორსიმიანი ერხუ მერგო... დაბადების დღეზე ჩემთვის ერხუ რომ ეყიდათ, მშობლები ყველაფერში ეკონომიას ეწეოდნენ. მაშინ ათი წლის ვიყავი. მალე ერთი მოხუცი მასწავლებელიც მომიძებნეს და მასთან ყოველ შაბათ-კვირა დავდიოდი, მთელი ოჯახი დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე აუცილებლად ცნობილი მუსიკოსი გავხდებოდი.

1966 წელს, როცა კულტურული რევოლუცია დაიწყო, იანი თხუთმეტი წლის შესრულდა. იგი მაშინვე ხუნვეიბინების რიგებში შევიდა და იმ ცნობილ მარშში მიიღო მონაწილეობა, როცა ქვეყნის ყოველი კუთხიდან ათასობით ახალგაზრდა რევოლუციონერი პეკინში ჩავიდა, სადაც ტიანანმენის მოედანზე მაო დაცვის რაზმების დათვალიერება მოაწყო. როგორც ხუნვეიბინებს შორის ყველაზე უმცროსი, იანი თავმჯდომარის მეუღლის მიერ სულ ახლახან შექმნილი ოპერის მოსმენაზე სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა საკრებულოს დარბაზში იქნა მიწვეული. დადგმის მონაწილეების განიერ ქამრებს ის თურმე ისეთ აღტაცებაში მოუყვანია, რომ თავისი კოლექციიდან მაო ძედუნის ყველაზე საუკეთესო სამკერდე ნიშანი გაუყიდია და ქამარი შეუძენია. ის ქამარი იანმა მეც მაჩვენა — ნამდვილი ტყავის ქამარი იყო, სპილენძის ბალთიანი. „ასეთი ქამარი ჩემმა გმირმა, ამხანაგმა ძიან ცინმა მოიგონა“, — თქვა იანმა და მკითხა, მაის შრომები წაკითხული თუ მქონდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი-მეთქი, — ვუპასუხე. შესანიშნავია! — გაიხარა იანმა, — მეც ყველაფერი წავიკითხე, ყველა ციტატა და სიმღერა ვისწავლეო.

ვუთხარი, ხუნვეიბინებში მეც დაწყებითი სკოლიდან ვირიცხები და, მართალია, ჩემი გამოცდილება შენსას არ შეედრება, არც ისე მდიდარი და დიდებულია, მაგრამ ციტატების ცოდნით ვერავინ გამაკვირვებს-მეთქი. ამაზე იანმა გაიცინა და მთხოვა, შემემოწმებინა მისი ცოდნა. „ჩვენ პარტიის ერთგული შვილები ვართ...“ — დავიწყე მე სიმღერით. „გვერდი მეშვიდე, მეორე პარაგრაფი!“. — მკაფიოდ წარმოთქვა

იანმა. „ცოცხის გარეშე ნაგავი არ გაქრება!..“ — „გვერდი მეათე, პარაგრაფი პირველი!“ — „ჩვენ ყველანი სოფლიდან მოვედით...“ — „გვერდი ას ორმოცდაექვსი, მესამე პარაგრაფი!“ — „ეს ქალაქია თქვენ გეკუთვნით...“ — „გვერდი ორას სამოცდასამი, პირველი პარაგრაფი!“ — „ისწავლე მაოს შრომებზე, იყავი ყველაფერში მარჯვე და გერგილიანი, ისარგებლე მისი მოძღვრებით მუდმივად, დღითაც და ღამითაც...“ იანმა წაიმღერა: „ასე დააფენს ჩრდილს მზიან დღეში ბამბუკის ჭოკი...“ — ეს საიდანღაა-მეთქი, ვკითხე. „თავმჯდომარის მოადგილე ლინ ბიაოს წინასიტყვაობიდან მაოს „ციტატებისათვის“, მეორე გამოცემა!“ — არ დააყოვნა პასუხი იანმა და ორივემ ბედნიერი სიცილი აკტეხეთ.

ვიდრე ბარაკამდე მივიდოდით, ენა არ გაგვიჩერებია. სიხარულით ყელამდე სავსეები სიბნელეში შევჩერდით. „ფრთხილად იყავი“, — წამჩურჩულა იანმა და თავი მეც გაგებით დავუქნიე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყინულის ნატეხს უნდა მოვრიდებოდით, თვალში არ მოვხვედროდით. ოთახში ცალ-ცალკე შევედით. ოთახიც და კოლოების ბადეც ერთბაშად გადასხვაფერდა. და თუმცა იანი აღარ გამომლაპარაკებია, მაგრამ თითქოს გაზაფხულდაო, ოთახში სუფთა ჰაერი დატრიალდა, სიცოცხლით აივსო. იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. იანის საწოლი ზუსტად ჩემი საწოლის ქვეშ იყო. რამდენი რამ მინდოდა გამეზიარებინა, რამდენი რამ მინდოდა მეთქვა ჩემი ახალი მეგობრისთვის!.. მაგრამ იმის გამო, რომ ყინულის ნატეხიც იქვე ჩვენს გვერდით იყო, პირის გაღებასაც ვერ ვბედავდი. ჩვენ ხომ იმ ერთ ოთახში რვა ადამიანი ვიწექით. მესმოდა, როგორ წრიალებდა ძილში იანი და მეშინოდა, ყინულის ნატეხს არ გაღვიძებოდა. აი ვის არ გაუხარდებოდა ჩვენი მეგობრობა. თუმცა მე ხომ ოდესღაც მასთანაც, ყინულის ნატეხთანაც მსურდა მეგობრობა! რას იზამ, თავის ქალას გარდა ლუს, ეტყობა, არაფერი სჭირდებოდა... ნეტავი ახლა ყინულის ნატეხზე ფიქრი რას ამეკვიატა? იქნებ იანის გამო? ლუ ორი წლით არის უფროსი, ოცდახუთი წლისაა, მაგრამ მხოლოდ იმაზე ოცნებობს, ჩვენ ყველანი თავისი კონტროლის ქვეშ გვიყოლიოს. საკუთარ ახალგაზრდობასაც კი არად აგდებს, მთელი სახე უკვე დანაოჭებული აქვს. როგორც ჩანს, ოცდაათი წლისაც, ორმოცისაც ამ მეურნეობაში აპირებს დარჩენას. გლეხური ცხოვრება მოსწონს, არაფერზე გავცვლიო. ჩემთვის, მართალი რომ გითხრათ, ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება კაცს ამ დაწყევლილ მეურნეობაში ცხოვრება მოსწონდეს... აქ ხომ ლერწმისა და სარეველას მეტი არაფერი იზრდება, არაფერი ხარობს! ერთი სიტყვით, ნამდვილი ბნელეთია, ნამდვილი ჯოჯოხეთი. უბრალოდ, მე მგონი, ტყუის, ისე რომ, ამას შეიძლება თვითონაც ვერ ხვდება. ნეტავი რაიმეს თუ გრძნობს? ჩემი და იანის მეგობრობის შესახებ რაიმეს თუ ხვდება?

ყველაფერი ჰქონდა, ახალგაზრდაც იყო და ჯანმრთელიც. მაგრამ, აბა ასეთი ვის უნდა შეეყვარებინა! ვის უნდა შეეყვარებინა ქალი, რომელიც მხოლოდ ძალაუფლებაზე ოცნებობდა. გათხოვება? ლუ ვინმეს ცოლად როგორ უნდა წარმოიდგინო, სასაცილოც კია. აქ, ამ მეურნეობაში ყველა ბიჭი შეშინებული ჰყავდა, ყველანი უსიტყვოდ ემორჩილე-

ბოდნენ, მის უპირატესობას სცნობდნენ და ლამის ქედს იხრიდნენ მის წინაშე. საკმარისია სადმე გამოჩენილიყო, რომ მაშინვე აორთქლდებოდნენ იქიდან. მათთვის ის ოფიციალური პორტრეტი — წუთიერი აღტაცება, უფრო სწორედ, ჩარჩოში ჩასმული სურათივით იყო, ეგ �ის და ეგ. თუმცა ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ლუს თვალებიდან მარტოობა იმზირებოდა, თითქოს წყურვილით იხრჩობაო, მინახავს, როგორ გასცქეროდა მინდვრებს წვიმიან დღეებში.

ღამე გვიან წვებოდა, მოეწყობოდა სკამზე მოხერხებულად და კითხულობდა მაოს შრომებს, ეს მისი ყოველდღიური რიტუალი იყო, წაკითხულის ნორმა კი ათი გვერდი. ყველაზე გვიან იძინებდა და ყველაზე ადრე დგებოდა. წმენდდა და ასუფთავებდა ოთახსა და დერეფანს — მომწონს ხალხს რომ ვემსახურებიო. თუ აქებდი, მაშინვე მაოს ციტატას შემოგაგებებდა, რათა დაერწმუნებინე, რომ თავმჯდომარე მაოს მოძღვრების მიხედვით იქცეოდა. ხშირად იმეორებდა, მოყვასს მცირეოდენ სამსახურს თუ გაუწევ, ეს არც ისე დიდი ამბავია, მაგრამ მთელ შენს გულსა და სულს ხალხს თუ მიუძღვნი, ეს უკვე სულ სხვაა.

მე მისი, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, მის სიმკაცრეში ძალაუფლების ყოვლისმშთანთქმელი სურვილი იგრძნობოდა. ვცდილობდი, მის მიმართ ყურადღებიანი ვყოფილიყავი, ჯეროვანი პატივისცემით მოვქცეოდი. საუბრისას თითქოს კბილს ვუსინჯავდით ერთმანეთს. სულ იმას ცდილობდა, გამოვეტეხე, ჩემი ფარული აზრები გაეგო, მაგრამ ამაოდ, მის სიჯიუტეს მეც არანაკლები სიჯიუტით ვპასუხობდი და ეს საშინლად ალიზიანებდა. ჩემი და ლუს დაახლოებაც მაშინვე ძაღლივით იყნოსა. ერთხელ, სამუშაოს შემდეგ მითხრა, ვიცი, ასე ქურდივით რატომ კანკალებო. მე გაოცებული სახე მივიღე, მან კი გაიღიმა და თავი გააქნია. მერე მიბრძანა, სამორიგეოდ წავსულიყავი, ყველა ოთახი ჩამომევლო და რაზმის წევრების პირადი ნივთების აღწერა ჩამეტარებინა. თვითონაც თან გამომყვა. ჩხრეკის დროს საჭირო იყო შეგვემოწმებინა, ვინმეს ისეთი ხომ არაფერი ჰქონდა, რის ქონაც ეკრძალებოდა, ხოლო თუ აღმოაჩნდებოდა, ჩამოგვერთმია. მორიგეობის შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდით, უცებ მკითხა: „თუ გახსოვს, წუხელ ღამით ძილში რას ამბობდი?“ ამაზე საშინლად დავიბენი, რაც მას, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია. თუმცა იქით დავუწყე შედავება — წევხარ შენთვის და გძინავს, ძილში რას ვლაპარაკობ, საიდან უნდა გახსოვდეს-მეთქი! „მე კი ყველაფერი მშვენივრად გავიგე, ჰო, ყველაფერი მშვენივრად გავიგე!“ — გაიმეორა მან და ისე გულის ამრევად ჩაიქირქილა, რომ მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ყინულის ნატეხმა ჩვენი ოთახის კარი შეაღო, მე წინ გამიშვა, თვითონ უკან მომყვა და კარი მიხურა. „აბა ახლა მომიყევი, რას ფიქრობ?“ — თქვა მკაცრად და ისე მომაშტერდა, როგორც ობობა აბლაბუდაში გაბმულ ბუზს. მე მისგან თავის დაღწევას შევეცადე, ვუთხარი, უნდა წავიდე, ტანსაცმელი უნდა გავირეცხო, რამდენი ხანია ჭუჭყიანი დავდივარ, ძალიან მეჩქარება, ასეულის კრებაზე მისვლაც უნდა მოვასწრო-მეთქი. ლუმ თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა ფეხშიშველი და ჭუჭყში ამოსვრილი და დასძინა: „მეგონა, გულწრფელი ადამიანი იყავი“... ვარ კიდევაც-მეთქი, — ვუთხარი. „ოღონდ ჩემთან არა...

როგორღაც ძალიან გაიწაფე ეშმაკობაში, იმ სისუფთავეს და სიწმინდეს კარგავ, რაც მე ჯერ კიდევ შანხაიში შეგნიშნე. გახსოვს, მაშინ რას გეუბნებოდი, როგორ გთხოვდი, შეგენარჩუნებინა რაც შენში კარგი იყო". რა უნდა მეთქვა, მხოლოდ ის წავიბუტბუტე, ყველაფერი მახსოვს, რაც კარგია ყველაფერს ვინარჩუნებ და შევინარჩუნებ კიდევაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ძალიან მეჩქარება, [illegible] ავრეცხო-მეთქი. ლუმ ცოტა გაიწია, გავლის საშუალება მომცა: ვითომ ვერ გაიგე, რის თქმა მინდა, თავს ნუ იკატუნებ, თუ შენ პარტიაში შესვლა ნამდვილად გადაწყვეტილი გაქვს, გირჩევნია, ჩემთან კუკუმალულობის თამაშს თავი დაანებოო.

ვრეკავდი და თან იმაზე ვფიქრობდი, რა ადვილად შეეძლო გავენადგურებინე, რაღაც დაებრალებინა, ცრუ დასმენა დაეწერა, ანდა რაიმე ორაზროვანი, საეჭვო ამბავი შეეთითხნა და ჩემს პირად საქმეში ჩაეწერა, რაზეც ხელი მხოლოდ პარტიულ უფროსობას მიუწვდებოდა. ამ რაიმეს, ორაზროვანსა და საეჭვოს შეეძლო თითოეული ცოცხლად დავემარხეთ — პირად საქმეში ხომ ადმიანის გარდაცვალების შემდეგაც კი ველარასოდეს ველარაფერს შეცვლიდი! და ეს მაშინ, როცა მხოლოდ პირადი საქმის მიხედვით ასკვნიდნენ, ვინა ხარ და რას წარმოადგენ. პარტია მხოლოდ პირად საქმეს უწევს ანგარიშს, მისთვის მხოლოდ პირადი საქმეა მთავარი.

ამგვარი ფოკუსების კეთება, როგორც პარტუჯრედის მდივანს, იანსაც შეეძლო, მაგრამ მას ეს არ იზიდავდა, მას მხოლოდ სამართლიანობა სწამდა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თავისი ამ სამართლიანობით ასეთი უსამართლო რომ იყო ჩემს მიმართ. საკუთარი სურვილები არასოდეს მიუშვია ნებაზე, ვინაიდან ამას პარტიელებისაგან თავად მაო მოითხოვდა. ამ პრინციპისათვის, ცდილობდა, თვით ლუსთან მიმართებაშიც არ ეღალატა, თუმცა ზოგჯერ ძალიანაც დიდი სურვილი ჰქონდა ამისა. შტაბში წარსადგენ ანგარიშებში ყოველთვის ობიექტური იყო, არასოდეს არაფერს აჭარბებდა და მე ეს გულს მიჩუყებდა — მე ხომ გადათეთრების დროს ყველა იმ ანგარიშს ვკითხულობდი. მის მიმართ მაშინვე სიახლოვე ვიგრძენი. ჩემი შეხედულებით, ლუს სწორედ ეს ობიექტურობა აკლდა. ლუ ნებაყოფლობით ხშირად სხვებზე დიდხანს მუშაობდა მინდორში, მაგრამ მტკივნეულ ადგილზე ფეხის დაბიჯებას, კრებაზე სიტყვის შებრუნებას და მისი ბრძანების უგულებელყოფას არასოდეს არავის პატიობდა. არ გაბედოთ, ჩემი გასულელება არ მოინდომოთ, თორემ ბაღლინჯოსავით გაგსრესთ! — მოგვახლიდა ხოლმე ეგრეევე. — მტრის გულში პროლეტარიატის დიქტატურის ფოლადის მუშტის ჩაცემაზე სასიამოვნო არაფერიაო!

ლუმ შტაბიდან საგანგებოდ გაწრთვნილი გერმანული ნაგაზი მოიყვანა, სახელად ოთხას მეცხრე. ჩვენთან მას იმ ქოსმენისთვის უნდა ედარაჯა, რომელსაც ტარტაროზს ვეძახდით. ამ ერთ ცენტნერიანმა გიგანტმა ყველანი პირდაპირ ჯვარს გვაცვა. მართლაც რომ ნამდვილი ტარტაროზი იყო! იმის გამო, რომ ღორებისთვის მზა საკვები არ გვყოფნიდა, საჭმელში დაუფქვავ მარცვლეულს ვურევდით. და აი, ერთხელაც აღმოჩნდა, რომ საუკეთესო მზა საკვების რამოდენიმე პაკეტი

თვალსა და ხელს შუა გაქრა. ეტყობა, ღორმა შეჭამა, მაგრამ რომელმა, არავინ იცოდა. ორი დღის შემდეგ ქურდობა ისევ გამეორდა. თუმცა ამჯერად მელორემ შეამჩნია, რომ ღორები ტარტაროზის მიერ პარაქიანად წარმოებულ პატივს ხარბად შეექცევიან. გაჩნდა ეჭვი, რომ სწორედ ის იყო საკვების ქურდი და მალე წაასწრეს კიდეეც ქურდობაზე. ყველაზე გასაკვირი 'კი ის იყო, ტარტაროზი გარეგნულად ... ქცევითაც ძაღლს ჰგავდა. გადაახტებოდა საღორის მაღალ ღობეს, ხაღლაც სხვაგან გემრიელად გამოძღებოდა, მერე წამოვიდოდა და, ვითომც არაფერი, ახლა თავის ყოველდღიურ საკვებს მიადგებოდა. სხვა ღორებთან შედარებით ლამის ორჯერ დიდიც კი იყო.

ოთხას მეცხრეზე ლუ ლამის ჭკუას კარგავდა, მთელ თავის დანაზოგს ძაღლის საკვებში ფლანგავდა. ზრდიდა, ასმევ-აჭმევდა და ყოველ საღამოს ზღვის პირას დააბეირნებდა. ძაღლიც ძალიან იყო მიჩვეული, ამის გამო ლუ პირდაპირ ბრწყინავდა, ოთხას მეცხრე ჩემს მეტს არავის იკარებსო, სიხარულით ლამის ცას სწვდოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძაღლს ხშირად მაოს ციტატებითაც კი მიმართავდა. მაგალითად, უბრძანებდა, ფეხებთან დასჯდომოდა, ხოლო ძაღლი ბრძანებას რომ შეუსრულებდა, ასე მოიღვრავდა: „ვაარკვიო, ვინ მტერია და ვინ მოყვარე, აი რა არის ყველაზე მთავარი!“ ძაღლი დასტურის ნიშნად დაიყეფებდა, ლუც უმალ გემრიელი სასუსნავით დააჯილდოებდა და გააგრძელებდა' „იცოდე, ვინ არის ადამიანის მეგობარი, აი უმთავრესი საკითხი რევოლუციონერისათვის!“ ამაზე ისევ დაიწყებდა ძაღლი ყეფას და ისევ მიიღებდა გემრიელ სასუსნავს.

უკანა ფეხებზე რომ შედგებოდა, ლამის ასწრებდა პატრონს სიმაღლეში. შეაწყობდა წინა თათებს მხრებზე და დადიოდნენ ასე. ერთხელ ლუ შტაბში კრებაზე რომ წავიდა, ძაღლმა დედაკაცივით საცოდავი წკმუტუნი ატეხა. საღამო ხანს უკვე კედლებს აწყდებოდა, ისე რომ, იძულებული გახდნენ, საღორეში ჩაემწყვდიათ, მაგრამ კარი გამოამტვრია და გამოვიდა. მოკლედ, ლუს მოსვლამდე ძაღლი ვერა და ვერ დამშვიდდა. ლუმ რომ გაიგო, ოთხას მეცხრეს უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლიაო, ბედნიერებისაგან გულამოსკვნით ატირდა.

ამასთან ძაღლი როგორიღაც უცნაური დარაჯი აღმოჩნდა. რაზმელები ირწმუნებოდნენ, წინა ცხოვრებაში ის და ტარტაროზი რაღაცით ალბათ ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული: შეხვდეს თუ არა ერთმანეთს, მაშინვე დამეგობრდნენ — შეათვალიერეს, დასუნეს ერთმანეთი და იმ დღიდან განუყრელები გახდნენო. არ ვიცი, ამის მიზეზი ტარტაროზის ძაღლივით ცხვირ-პირი იყო თუ რა, მაგრამ გვერდიგვერდ ისე ისხდნენ, ძმები გეგონებოდა. საღორეში ერთად თამაშობდნენ და ერთად ქურდობდნენ. ძაღლი არათუ აჩერებდა ტარტაროზს, ქურდის ნამდვილ ხელშემწყობად გამოდიოდა — ღორს საშუალება რომ ჰქონოდა, რაც შეიძლება მალე შთაენთქა მარცვალი, იდგა და ტომრებს ღრღნიდა. შერცხვენა რომ დაუწყეს, თავი მოისაწყლა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამბობდა, რაც შემეძლო ვიცავდი და ვიცავდი თქვენს ხორბალს, მაგრამ აი ვერ დავიცავიო.

იანს არ უყვარდა ოთხას მეცხრე, მოღალატეს ეძახდა. ლუს შესთავაზა, ძაღლი შტაბში დაებრუნებინა, მაგრამ ლუ არცთუ დიდი ხალი-

სით შეხვდა ამ ამბავს. ძაღლმა თითქოს პატრონის წუხილი იგრძნოო, მთელი სახე აულოკა. ლუ იანს შეეხვეწა, ძაღლის დატოვების ნება მიეცა, ძაღლის პასპორტიც კი აჩვენა, სადაც წრთვნაში მისი წარმატებები იყო აღნიშნული. ჩემთვის ორი კვირაც საკმარისია, რათა ძაღლს ვასწავლო ტარტაროზს უდარაჯოს, ნახავთ როგორ მოიქცევა თავს როგორ გამოიჩენსო. მაგრამ იანმა იმ მიზეზით, ხორბალი [illegible] მალე თავდება, ფერმა ასეთ ზარალს ვერ გაუძლებს, ღორები დაიმშევიანო, თხოვნაზე უარით უპასუხა, და აი, ქურდებისთვის რომ ეთვალთვალა, ლუ ღამის ცვლაში გადავიდა, თუმცა ოთხას მეცხრე თავის ძმობილს ისევ ძველებურად მფარველობდა. როგორ არ წვალობდა, რაღას არ აკეთებდა ლუ, რომ ძაღლი მოერჯულებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სხვა რა გზა იყო, იანმა ბრძანა, ძაღლი შტაბში წაეყვანათ. და აი, ზუსტად იმ დღეს, რა დღესაც ეს უნდა მომხდარიყო, ისევ წაუსწრეს ტარტაროზს ქურდობაზე. მაგ ყაჩაღს ძაღლის გაძევება ვერ შეაკავებს, დაკვლის მეტი ვერაფერი უშველისო, — განაცხადა ლუმ. თქვა და მიაღწია კიდევაც თავისას. ხორცმა მთელი ასეული დააპურა. ოთხას მეცხრემ ძვლებით კარგად ისიამოვნა და თავისი მეგობრის საძებრად გასწია. მანამდე სუნა საღორე, მანამდე იფათურა ნახერხში, ვიდრე ლუმ არ დაუძახა. ლუ ბედნიერი იყო — ძაღლს ხელს უსვამდა, ეფერებოდა, ძაღლიც ჩაიდებდა მის ხელს პირში და თუ რამ ასწავლა, ყველაფერს ჩინებულად ასრულებდა.

საცოლის მოსაძებნად ლუმ იგი მეზობელ სოფელში წაიყვანა. ოთხას მეცხრე მართლაც რომ საშურველი კავალერი აღმოჩნდა. როგორც შემდეგ ჰყვებოდნენ, იმის მერე, რაც მან პატიოსნად შეასრულა თავისი ცოლქმრული მოვალეობა, აღტყინებულმა მეგობარი ძაღლის პატრონს შარვალი ჩააძრო, უკანა ფეხებზე შედგა და ყეფა დაუწყო. სოფლელებმა — ძაღლი ნამდვილად სიკვდილს იუწყებაო, ლუს მისი მოყვანა აუკრძალეს. ამაზე ლუმ მხოლოდ გაიცინა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაოდენ სერიოზული იყო ეს.

ერთხელ, საღამოხანს, მორიგი სეირნობის შემდეგ ძაღლს უცებ ღებინება დაეწყო. ლუ ხან წყალს, ხან გემრიელ სასუსნავს სთავაზობდა, მაგრამ ძაღლი თავს გვერდზე სწევდა და პირს არაფერს აკარებდა. თოხის პირს ვლესავდი, იანმა რომ მოირბინა და ეს ამბავი შემატყობინა. ასე მითხრა, ლუ ოპერის არიებს მღერისო. მე მაშინვე ძაღლის სადგომისკენ გავიქეცი, მაგრამ ძაღლი უკვე მკვდარი დამხვდა. ლუ კი ძაღლს თავს დასდგომოდა და სოფლელი ქვრივივით ხმამაღლა მოთქვამდა. გვერდით ვეტერინარი ედგა. იანმა ლუს სველი პირსაწმენდი გაუწოდა. ვიდრე ლუ ნამტირალევ სახეს იწმენდდა, იანმა ვეტერინარს გამოკითხვა დაუწყო. როგორც ჩანს, სოფელში ვილაცამ ძაღლს მოწამლული პური შეაჭამა. „იქ ყველანი რეაქციონერები არიან, — ბუტბუტებდა ლუ კბილებაკაწკაწებული, — შური უნდა ვიძიოთ“. იანი დუმდა. მაგრამ ნასადილევს, როცა ნახა, ლუ ისევ მკვდარი ძაღლის გვერდით იჯდა — შენს ადგილას საცოლეებში წარამარა ტარებას არ დავუწყებდიო, — უთხრა.

ლუმ ძაღლი მდინარის ნაპირას დამარხა. მეორე დილას ჩვენი ასეული მინდორში სათოხნად რომ გავიდა, ის უკვე იქ იყო. ტირილისაგან

თვალები დასიებული ჰქონდა. როცა ვკითხე, როგორ გეძინა-მეთქი, წუხელ მთელი ღამე საფლავზე გავათენეო, — მიპასუხა. შესვენებაზე კი მთხოვა, მეგობრის საფლავზე გავყოლოდი. რა თქმა უნდა, გავყევი. მართალი გითხრათ, მისმა მწუხარებამ შემძრა, ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო. იგი მუხლებზე დაემხო და საფლავის ბორცვი მინდვრის ყვავილებით შეამკო, თან შეუჩერებლივ მოთქვამდა. ასეთ-მასეთ-ფიქრებულს რომ ვხედავდი, მინდოდა როგორმე მენუგეშებინა, მან კი შემომხედა და ჩაილაპარაკა: მე ჩემი საუკეთესო მეგობარი დავკარგე, ჩემი ერთადერთი მეგობარი, არ ვიცი, რა მეშველებაო... , შეძრწუნებული შევყურებდი, ხმას ვერ ვიღებდი, ის კი მინდორს გაშტერებული გასცქეროდა, ქარი თმას უწეწავდა და ჩუმად რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდა. ახალი მეგობრები უნდა მოძებნო-მეთქი, — ვუთხარი. ამაზე შეშინებულმა შემომხედა და — იცი, მას მე არასოდეს მოვუტყუებივარო, — მიპასუხა. რა თქმა უნდა, მშვენივრად მიხვდა, „ახალ მეგობრებში“ ჩემს თავს რომ არ ვგულისხმობდი. ბევრი რამ იყო მასში შემზარავი — შეეძლო კაციც კი მოეკლა, ასეთი მეგობრისგან მერჩია თავი შორს მჭეროდა.

მთელი დღე მე და ლუმ გვერდიგვერდ ისე ვიმუშავეთ, ერთმანეთს თითქმის არ დავლაპარაკებივართ. მე იანზე ვფიქრობდი, იმაზე, თუ როგორი გულიანი სიცილი იცოდა. ლუ მარჯვედ, ხვავიანად მუშაობდა, ნიამორივით გრაციოზულად მოძრაობდა, მსუბუქად და მოხერხებულად. ტანითაც ნიამორს მაგონებდა, მასავით ისიც ნაზი და მოქნილი იყო, სამაგიეროდ მეტი ძალის დახარჯვა უწევდა. მაგრამ საქმეს ჟინით, გატაცებით ეკიდებოდა, საქმეში ჯიუტი და შეუპოვარი იყო. მიუხედავად ამისა, მასში რაღაც მოჩვენებითობას, არაბუნებრიობას ვხედავდი. თითქოს ბრწყინავდა, ანათებდა კიდევაც, მაგრამ მხოლოდ სიბნელეში, ისე, როგორც თეატრის სცენა ჩაბნელებულ დარბაზში. დღის სინათლეზე ლუ მკრთალდებოდა, ქრებოდა — მზე იანი იყო.

ხალხში ჩვენს მეგობრობას მე და იანი მაინცდამაინც არ ვააშკარავებდით. ცალ-ცალკე ვრეცხავდით და მდუღარე წყლის მოსატანადაც ცალ-ცალკე დავდიოდით. სამაგიეროდ ყოველ ორ დღეში ერთხელ აგურის ქარხნის ეზოში ვხვდებოდით. იანი დღიური გამომუშავების შემოწმებას იმიზეზებდა, მე კი ავიღებდი რვეულსა და მაოს ტომს, აქაოდა სამეცადინოდ მივდივარმეთქი. ჩავავლებდით ერთმანეთს ხელში ხელს და დავეხეტებოდით ლერწმიანში. იანმა ლერწმისაგან სალამურის გაკეთება მასწავლა. ვუბერავდით და ვუბერავდით სულმოუთქმელად. ხოლო როცა სალამურს დედაბერივით ხრინწი გამოერეოდა, ორივენი გულიანად ვხარხარებდით.

ასე ვაგრძელებდით შეხვედრებს ზამთარშიც. მოვეწყობოდით აგურებზე, იანი ერხუზე დაკვრაში ვარჯიშობდა, მე კი, უბრალოდ, ვიჯექი და ვუსმენდი. რაღაზე არ ვლაპარაკობდით, თქვენ წარმოიდგინეთ, მამაკაცებზეც კი, რაც იქ სასტიკად იყო აკრძალული. იანი მომიყვა, მამამისი რა საშინლად სძულდა დედამისს. მისთვის რომ გეკითხა, კაცების უმეტესობა ქალის დიდი მტერი იყო. დედა ამბობდაო, მამაშენს ათ შვილს არასოდეს გავუჩენდი, პარტიის ეს მოწოდება რომ არა — „გა-

ვამრავლებთ მოსახლეობას — გავაძლიერებთ ქვეყანას!“ სულ მარწმუნებდა, მამაკაცისთვის მთავარი ქალის შეცდენა და ძალადობაა. ის ლამე გამახსენდა, იანმა ქამარი რომ შემოიხსნა და ერთ-ერთ მებრძოლს უბრძანა, ის საბრალო საათვალიანი გაეროზგა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ სძულდა ასე კაცები. ვუთხარი, აუცილებელია, ყველა კაცი მამაშენს ჰგავდეს-მეთქი. მაგრამ ის მაინც თავისთვის იდგა. ბიძიყვა, მისი ხუთი ძმა, ასაკით ერთმანეთს მიყოლებული ხუთი ჯანმაგარი ჭაბუკი, მაშინ როცა ყველანი ერთ ოთახში იყვნენ შეჭყლურტულები, ლამლამობით ათასგვარ ბინძურ ამბებს ჩურჩულით როგორ უყვებოდა ერთმანეთს; ერთხელ მათ შორის ყველაზე უფროსმა მეზობლის გოგო როგორ შემოიტყუა და ვიდრე მასთან ლოგინში ერთობოდა, დანარჩენები როგორ უყურებდნენ ჭუჭრუტანიდან და როგორ ანგლობდნენ. კი მაგრამ, მშობლები-მეთქი? მშობლებმა არ დამიჯერეს, რალაცას იგონებო, ძმებმა კი ერთი-ორი მაგრად მითაქეს კიდევაც, დედა და მამა იდგნენ და მშვიდად გვიყურებდნენო. თურმე სწორედ ამ ამბის შემდეგ წამოსულა სახელმწიფო მეურნეობა — „წითელ ალში“.

იანი მამაკაცების მიმართ ჩემი დამოკიდებულებითაც დაინტერესდა. მე უარზე დავდექი, ჩემი გამოცდილება საშინლად და საძარცხვინოდ მიმაჩნდა, მაგრამ შემპირდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ის მაინც ჩემს მეგობრად დარჩებოდა. მეც ავდექი და მოვუყევი, მოვუყევი ის, რის შესახებაც არასდროს და არავისთან სიტყვა არ დამიძრავს. ეს ამბავი ხუნვეიბინების მიტინგის დროს მოხდა, მაშინ მე თექვსმეტი წლის ვიყავი. რალაც მიზეზის გამო ელექტროდენი გამოირთო და ჩვენ სრულ სიბნელეში ვისხედით. უცებ ჯერ ზურგზე ვიგრძენი ვიღაცის ფრთხილი შეხება, მერე ნელა რომ მომეხვია და მკერდზეც შემეხო, კინაღამ გული წამივიდა, მთელი სხეულით მოვდუნდი, მაგრამ მხოლოდ ორიოდ წუთს — უცებ წამოვხტი და სხვა ადგილას გადავჯექი. სინათლე რომ აინთო, იმ მხარეს შევტრიალდი და სამი დაახლოებით ჩემი ხნის ბიჭი დავინახე. მათ შორის ერთ-ერთი აშკარად დაბნეული ჩანდა. ჩემს შეხედვაზე მკვდრისფერი დაედო. იმ ბიჭს კარგად ვიცნობდი, თავგადადებული ხუთოსანი იყო, შესანიშნავი კალიგრაფი, ეგ არის, სახე ცოტა გოგოსავით ნაზი ჰქონდა. ასე მეგონა, შევრცხვი, სამუდამოდ დავკარგე პატიოსნება, აღარ ვიცოდი, რა მექნა, სირცხვილით ვიწვოდი. „რატომ არ იყვირე, ხელი რატომ არა ჰკარი?“ — წამოიძახა იანმა. აბა რა უნდა მეპასუხა, თუკი მე თვითონაც წარმოდგენა არა მქონდა. როცა ვუთხარი, მესიამოვნა-მეთქი, იანმა გაოგნებულმა შემომხედა, სახეზე ხელები აიფარა და კარგა ხანს გაჩუმებული იჯდა.

ქარში ლერწმები ისე შრიალებდა, თითქოს რალაცაზე ჩუმად ჩურჩულებდნენ, იანი შეკითხვისათვის ძალას იკრებდა. ბოლოს მკითხა, ის თუ იცი, ზრდასრული მამაკაცი ბიჭისაგან რით განსხვავდებაო? ვუთხარი, სურათი ნემსის ჩხვლეტით მკურნალობის სახელმძღვანელოში ვნახე, კაცებს ის რალაც ჩაიდნის ცხვირს უგავთ-მეთქი. იანმა თავი დამიქნია. მერე ისევ დიდხანს გაჩუმებული იჯდა. ბოლოს აღელვებულმა მითხრა, რომ უნდოდა ჩემთვის რალაც გაეზიარებინა. ვიჯექი და ვუცდიდი, მაგრამ, არა, არაფერიაო, მითხრა ბოლოს. არ მენდობი-მეთქი? — ვკითხე. როგორ არ გენდობი, საქმე ამაში არ არისო. მაშინ ასეთი რა არის-მე-

თქი? მაგრამ აშკარად თქმა უჭირდა, იჯდა მუხლებში თავწარგული და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ვუთხარი, რომ ტყუილად კარგავდა ძვირფას დროს, თუმცა ეტყობოდა, თავს ვერ აიძულებდა გაემხილა სიდუმლო, ლოკოკინასავით ნიჟარიდან თავის გამოყოფის ეშინოდა. მე კი არ ვეშვებოდი, ვეუბნებოდი, რომ თავში ხშირად მეც მიტრიალებდა ათასგვარი სამარცხვინო აზრი. ის კი — არა, ეს სულ სხვა რამ არისო, — იმეორებდა დაბეჯითებით. ბოლოს ნიკაპში ხელი მოვკიდე, თავი ძალად ავაწევინე და თვალებში ჩავხედე. იანი ისევ უარობდა. ვკითხე, ახლა მე რაღაცას გეტყვი და მართალი თუ აღმოვჩნდი, ხომ გამომიტყდები-მეთქი? იანმა თავი დამიქნია. „მამაკაცი...“ — ჩავილაპარაკე ჩუმად. იანი შეკრთა, შეაჟრჟოლა.

მამაკაცს ლეოპარდ ლი ჰქვია. არის ოცდამეთორმეტე რაზმის მეთაური. დაიბადა სამხრეთში, მებაღის ოჯახში. ზრდილი, ფაქიზი ახალგაზრდაა. იანი მას თურმე ორი თვის წინ შეხვდა კრებაზე და მას შემდეგ დღედაღამ იმაზე ოცნებობს, ეს არის და ეს. ვკითხე, ერთმანეთს თუ დალაპარაკებოდნენ. რა თქმა უნდა, არაო, — მიპასუხა. მაშინ საიდან იცი, რომ ‹მოსწონხარ-მეთქი? ვიგრძენიო. თქვა, რომ მთლად დარწმუნებული არ იყო, მაგრამ მთავარი ეს კი არა, მთავარი ის იყო, რომ მასზე ფიქრი არ შორდებოდა და ანერვიულებდა. გავეხუმრე, იმის მხრივ ეს პირად ცხოვრებაზე ხელის აღმართვას მაგონებს, შეიძლება ეს საკითხი რაზმის კრებაზე დაისვას-მეთქი. „სხვის ტკივილს ნუ დასცინი, კარგი არ არის“, — თქვა იანმა. ვკითხე, იყო კი ეს ნამდვილად ტკივილი? ეტყობა ასეა, ვინაიდან მთელი გულ-მუცელი მეწვის, თავში იმ ჩაიდანსა და ჩაიდნის ცხვირზე სამარცხვინო აზრები მიტრიალებსო.

საშინლად უბედური ჩანდა. დავამშვიდე და ავუხსენი, რომ ასეთი რამ მეც ხშირად მემართებოდა. მაშინ რას შვრები, თავს რით იმშვიდებო? წიგნს ვკითხულობ-მეთქი. მერედა გშველის, კითხვის შემდეგ თავს უკეთესად გრძნობო? როცა ვუთხარი, მშველის-მეთქი, ახლა წიგნის სათაურით დაინტერესდა. ვუთხარი, რომ წიგნს „ხელის მეორე ჩამორთმევა“ ერქვა, რომ ეს წიგნი აკრძალულია და მე ის მწვანუკას ჩემოდანში ვიპოვე, რომ მთელი ეს სამასგვერდიანი წიგნი ხელით არის გადაწერილი. რაზეაო? — მკითხა. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე-მეთქი. ეტყობა, სწორედ მაგ წიგნმა აურია მწვანუკას გონებაო. არა მგონია-მეთქი, — ვუპასუხე, მაგრამ არ დაიჯერა, შეეშინდა, რომ წიგნი მასაც არასწორ გზაზე დააყენებდა. ისეთ ძლიერ ადამიანს, როგორიც შენ ხარ, წიგნის გავლენის არ უნდა ეშინოდეს, უბრალოდ, საინტერესო წიგნია, არასერიოზული-მეთქი. იანი ამაზე დამთანხმდა და მთხოვა ღამით წიგნი მის ჩექმაში ჩამედო. გადავწყვიტე შემეხსენებინა, რომ მის შემდგომ აზრებსა და ზრახვებზე პასუხისმგებელი არ ვიქნებოდი. რა თქმა უნდა, არა, მთელი პასუხისმგებლობა ჩემზეაო, — მიპასუხა.

იანმა წიგნი ღამის შთანთქა. დიახ, იანმა, ჩვენმა მეთაურმა და პარტმდივანმა! აბა წარმოიდგინეთ, მთელი სამი ღამე სამასგვერდიანი წიგნი ხელიდან არ გაუშვია. უკან რომ დამიბრუნა, სახე უკვე სხვანაირი

ჰქონდა. „წერილი მინდა მივწერო!“ — თქვა და მაშინვე დასძინა: „არა, არ შემიძლია, საშიშია!“ მერე აგურის ქარხანაში წავედით, როცა ვკითხე, საშიში რატომ იყო, ასე მითხრა, მწვანუკასთან ხათვალიანის მიერ გამოგზავნილი წერილი ლუმ გახსნა, ასეულში სწორედ იმიტომ იცოდნენ, შეყვარებულებს ღამით სად უნდა წასდგომოდნენ [illegible] ოფროსებს ყველა წერილის გახსნა და წაკითხვა, ყველა [illegible] ცხვირის ჩაყოფა შეუძლიათ, ეს მათი უფლებაა.

იანს ყველაფერი ვუთხარი, ვუთხარი მწვანუკას გამო როგორ შეეიძულე იგი. ასედაც უნდა ყოფილიყო! — იჯდა დაღვრემილი, თავჩაქინდრული და მშვიდად, ყურადღებით მისმენდა. „ნამდვილი მკვლელი ხარ!“ — წამოვიყვირე უცებ და ავღრიალდი. იანმა ამაზე ასე მიპასუხა: ამის გამო საკუთარი თავი მძულს, მაგრამ იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი. ვიცოდი, ლუ მწვანუკას უთვალთვალებდა, ჯაშუშობდა, ხოლო როცა ამის თაობაზე მოხსენება შემოვიდა, როგორც პარტმდივანს და მეთაურს უფლება არ მქონდა, რეაგირება არ მომეხდინა.

იანმა ხელზე ხელი რომ გადამისვა, ხელისგული სოფლელი დედაკაცივით უხეში, დამსკდარ-გახეშეშებული ჰქონდა. თქვა, რომ მხოლოდ ახლა მიხვდა იმ საშინელებას, რაც მაშინ ჩაიდინა—ახლა ხომ თვითონაც იმ მდგომარეობაში იყო, ახლა ხომ ისიც ისევე იყო შეყვარებული! და დასძინა: „არა, არ არსებობს ჩემთვის პატიება!“ თავი იმ ბაყაყს შეადარა, მთელ ცხოვრებას კედლის ძირას რომ ატარებს, რომ მისი თვალსაწიერიც სწორედ იმ ბაყაყის თვალსაწიერივითაა, რასაც მისი გულუბრყვილობა და ცხოვრების არცოდნა ემატება. რომ მკვლელად ის სწორედ პარტიულმა პროპაგანდამ, „ჟენმინ ჟიბაომ“ და „ხუნცმა“ აქცია, რომ ისინი ყველას მკვლელებად აყალიბებენ, რომ მისთვის სრულიად გაუგებარია ქვეყანა, სადაც მკვლელებს აჯეჯილებენ, უდანაშაულოებს კი სარეველა ბალახივით სპობენ.

უცებ გველებზე მისი ღამეული ნადირობები გამახსენდა და — რად გინდა-მეთქი? — ვკითხე. იანი თან ჩამავალ მზეს გასცქეროდა, თან მიხსნიდა, რომ გველები მას მწვანუკას განსაკურნავად, მისთვის გონების დასაბრუნებლად უნდოდა. საოცდაათი უკვე შევაგროვეო. გველებით სავსე ქოთანი საწოლის ქვეშ ედგა. ზუსტად ასი ცალია საჭირო, ჩემს ცხოვრებაში ცრუმორწმუნე არასოდეს ყოფილვარ, მაგრამ ბებიაჩემმა ერთხელ, დადამბლავებული და რომ განეკურნა, რომელიც მთელი ექვსი წელი ლოგინს იყო მიჯაჭვული, ასი გველი დაიჭირა. ასს მიაღწია თუ არა, ავადმყოფი წამოდგა და გაიარეო. ეკითხე, იცოდა თუ არა, რომ ის გველები შხამიანი იყო? იანმა თავი დამიქნია. მისი ლიმილი სიმშვიდეს ასხივებდა. ვთხოვე, მოდი ერთად დავიჭიროთ, არ მეშინია-მეთქი. მან ისევ თავი დამიქნია და მხარზე ხელი მომხვია.

გველებზე სანადიროდ ცალ-ცალკე დავდიოდით, თუმცა მათი მარტო დანახვაც კი თავზარს მცემდა. ღამღამობით მესიზმრებოდა, თითქოს მთელ ტანზე მცავდნენ შემოხვეულები. იანთან ამის შესახებ კრინტი არ დამიძრავს, მაგრამ არ მჯეროდა, რომ თვითონ არ ეშინოდა.

ამიტომაც, როცა ის დიდი ნადავლით ბრუნდებოდა, მაშინვე წარმოვიდგენდი, რა შიშს გადაიტანდა. მის ამ გაბედულებას აღტაცებამდე მოვყავდი.

ერთხელაც ჩვეულებისამებრ კაცებზე ვლაპარაკობდით, ერთიანად, ლეოპარდ ლიზე. შევთავაზე, რომ მისი პირადი ფოსტალიონი ვიქნებოდი. მაგრამ უარი მითხრა, მარწმუნებდა, ის, რაც ასე საშინლად დაშთავრდა მწვანუკასათვის, სიკეთეს არც მას არ მოუტანდა. მე პარტიის წევრი ვარ, არ შემიძლია ის ვაკეთო, რასაც სხვას ვუშლიო. ამას რომ ამბობდა, სახე სევდიანი ჰქონდა, მაგრამ მტკიცე, შეუპოვარი. მე ამგვარი მერყეობა სასაცილოდ მეჩვენებოდა, თუმცა თავი მას ღირსეულად ეჭირა, თან ისეთი სასიამოვნო შესახედი იყო, თვალს ვერ მოაშორებდი.

მერე უცებ თქვა, თუ გინდა დაგენიძლავები, რომ ლუზე უფრო ძლიერი ხარ, ნამდვილად მოერევიო, და გაიცინა. ვიდრე ჩვენ ვმსჯელობდით, რა მიგვეწერა ლეოპარდ ლისათვის და წერილის გადასაცემად რა მოგვემიზეზებინა, იანმა ლერწმის შლაპა დამიწნა.

ყველაფერი მიხაროდა. მიხაროდა, იანის გვერდით ყოფნის შესაძლებლობა რომ მქონდა, მიხაროდა, ჩემზე დამოკიდებული რომ იყო. გაიარა ორმა კვირამ, მაგრამ იანი არათუ წერილს არ მაძლევდა, ამაზე საუბარსაც კი გაურბოდა. სხვაფრივ ბედნიერად გამოიყურებოდა, თუმცა ჩანდა, რომ ცოტას ნერვიულობდა. ერთსელ გასაშრობად გაფენილ მის წითელ საცვლებს მოვკარი თვალი. ნამდვილი ხასხასა წითელი იყო! ჩუმად სულ რაღაცას ღიღინებდა, წარამარა კარზე ჩამოკიდებულ სარკეში იყურებოდა. ძველებურად აღარ ბილწსიტყვაობდა. მე იმ სიტყვებს ვახსენებდი, მინდოდა გამელიზიანებინა, მაგრამ იანმა იცოდა, აბით რის თქმა მსურდა და მხოლოდ იცინოდა, ბავშვს მეძახდა. ბოლოს ავფეთქდი, ლეოპარდთან გასაგზავნი წერილი სად არის-მეთქი? მან კი მხოლოდ ორჭოფულად მიპასუხა, თქვა, რომ წერილის დასაწერად ვერ მოიცალა. მალე ლეოპარდს საერთოდაც აღარ ეხსომები-მეთქი, — მივახალე. და აი იმ ღამეს, როცა მე უკვე ლოგინში ვიწექი, ვხედავ, რაღაც ქაღალდის ფურცელს მაწვდის.

„ამხანაგო ლეოპარდ ლი, როგორ ხართ? მაინტერესებს თქვენი რაზმი სოფლის მეურნეობაში რა ინიციატივას იჩენს. საქმე ჩვენ აქ გვარიანად წავწიეთ. მე ხშირად ვიგონებ იმ კრებას, რომელიც ასე გამოირჩეოდა როგორც შინაარსით, ისე სწორი პოლიტიკური ხაზითაც“. წერილის ბოლოს კი ეწერა: „დამეხმარები?“ მეც ავდექი და ქაღალდის ნაგლეჯზე მივაწერე — „ყველაფერს გავაკეთებ, რასაც პარტია მომთხოვს!“

მეორე დღეს სრულიად ახალი წერილი დავწერე. იმის გამო, რომ თავად ლეოპარდი არასოდეს მენახა, მის მაგივრად წერის დროს იანის სახე მედგა თვალწინ. ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ იქნებოდნენ ერთად, როგორ შეეხებოდნენ ერთმანეთს. ამის გაფიქრებაზე ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მინდოდა იანის სხეული ამეწერა, მაგრამ

ამის მაგივრად ჩემს სხეულს აღვწერდი, საკუთარ თავს ვეფერებოდი — მე ვითომ იანი ვიყავი, ხოლო ჩემი ხელი ლეოპარდის ხელი იყო.

იანი რომ დაბრუნდა, წერილი მზად არის-მეთქი, ჩუმად ჩავილაპარაკე. იანს დალამებამდეც არ უნდოდა მოცდა, ერთი სული ჰქონდა, წერილს როდის წაიკითხავდა. მე კი მინდოდა კითხვისას მისი სახე დამენახა. ამიტომაც გადავწყვიტეთ ერთად დავწოლილიყავით. მართლაც ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და დალამებას დავუწყეთ ლოდინი.

ნასადილევს მეც და ისიც კართან ჩავსხედით. იანმა თავისი რეზინის ჩექმების შეკეთება დაიწყო, მე შაშხანის წმენდას შევუდექი. წყნარად, მთელი გულისყურით ვმუშაობდით. შაშხანას საკეტი ამოვაცალე და ნაწილები გავასუფთავე. რამდენჯერმე შუბლქვემოდან ჩუმად გავხედე იანს. საკერებელს წებო წაუსვა და ჩექმას გამსკდარ ადგილზე დააწება. ჩემსკენ არ გამოუხედავს, მაგრამ ვიცოდი, გრძნობდა ჩემს მზერას. წამოწითლდა, მორცხვად გაიღიმა და საკერებელს ხელი მსუბუქად დაარტყა. მე საშინლად მომწონდა მისი ეს სიმორცხვე — იანმა შეიძლება როდისმე დაიმორცხვოსო, თავში ეს აზრადაც არავის მოუვიდოდა.

ლუ ხმამაღლა მაოს სტატიას კითხულობდა, ვილაც სარეცხს ფენდა, ვილაცამ ნარეცხი წყალი გადმოლვარა. მამაკაცების ბარაკიდან ჯამებზე ჩხირების რიტმული კაკუნი ისმოდა. ისმოდა გაბმული სიმღერა: „როცა ამოდის მზე, ოჰ-ოჰ-ჰოი...“ მერე იქიდანაც ჭუჭყიანი წყალი გადმოლვარეს — მებრძოლები ფეხშიშველები გამოცვივდნენ პარმაღზე. მერე კი კარი ჩაკეტეს. სიმღერის ხმა იქიდან ახლა უკვე ყრუდ ისმოდა.

შებინდდა თუ არა, ლოგინში ჩავწექი და დაველოდე, ვიდრე ყველანი დაწვებოდნენ. კოლოების ბაღიდან ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა ოთახში. და აი ლუმ ერთხელ კიდევ გამაოცა თავისი შეუპოვრობით: ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, ყოველ საღამო ისე არ დაწვებოდა, მაოს წითელი წიგნი არ ჩაებულბულებინა. ალბათ მთელი ეს წიგნი თავიდან ბოლომდე უკვე გაზეპირებული ჰქონდა. ნეტავი მართლა მოსწონს თუ ამას მხოლოდ მოსაჩვენებლად აკეთებს? ნეტავი არ იცლება მაინც? მართლაცდა მანქანა ხომ არ არის? თუმცა ზოგჯერ, რომ იტყვიან, ნამდვილი ავტომატივითაა. ოთხას მეცხრე რომ მოკვდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ გული იმასაც აქვს. ნეტავი ამხანაგების გარეშე როგორ ძლებს? მასაც ხომ სჭირდება მეგობარი? თუმცა თავი ისე უჭირავს, თითქოს მაოს წიგნების გარდა არაფერი ესაჭიროება. ის ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ქალია, სისხლ-ხორცით სავსე! ხშირად დაჰყურებს თავის მზემოკიდებულ, გაშაველებულ ფეხებს, თუმცა ფრჩხილები სულ თხილივით უკრიალებს, მაშინ როცა ჩვენ ყველას სოკოსაგან გვაქვს შეჭმული. ყველანი რომ დავწვებით დასაძინებლად, ლუ დაჯდება და ძმრით ისე იხეხება, ლამის სიქა გაიცალოს. ერთხელ ძმრის მძაფრმა სუნმა გამალვიძა, ვხედავ, ზის და იმის მოლოდინში, ძმარი როდის შეაშრება, თვლემს, ფეხები სკამზე აქვს შემოწყობილი — სწორი, ჩამოქნილი, ქორფა ფეხები, ორი დიდი ღვეზელივით რომ მოჩანს სიბნელეში. ნეტავი ფეხებზე ასე რატომ ზრუნავს-მეთქი? და აი უცებ მივხვ-

დი, რომ ეს რაღაც „პირადული“ იყო, ის, რაც გაძლებასა და გადარჩენაში დაეხმარებოდა, ისევე როგორც, ვთქვათ, მე — იანი.

უცებ განვაცხადე, ამ საბანში გავიყინები, მეშინია, არ გავცივდე-მეთქი. იანმა დააცემინა და თქვა, რომ მასაც სცივდა. ლუ, როგორც წესი, მაოს კითხულობდა. წიგნიდან თავი ასწია [illegible] წარმოთქვა: — „ნუთუ არ შეგიძლიათ საკითხი ურთიერთდასმების საფუძველზე გადაწყვიტოთ, ორივე ერთად დაწვეთ და ორი საბანი დაიხუროთ“. ლუ ადვილად წამოეგო ანკესზე! ჩემს საბანს ხელი დავავლე და თვალის დახამხამებაში იანის ლოგინში შევძვერი. კოღოების ბადე და ფარდა მაგრად ჩამოვწიეთ, საბანი თავზე წავიფარეთ, ფარანი ავანთეთ და წერილის კითხვას შევუდექით.

იანს სახეზე ცეცხლი ეკიდა. წერილს გაუთავებლად კითხულობდა და ირწმუნებოდა, რომ ცხოვრებაში ამაზე უკეთესი არაფერი ენახა. ვერ წარმომედგინა, ასეთი ნიჭიერი თუ იყავით, ლოყით მეკვროდა და წერილიდან სტრიქონებს ჩურჩულით იმეორებდა. მერე მთხოვა მომეყოლა, ლეოპარდი წერილს რომ წაიკითხავდა, რას იზამდა. ვუთხარი, ამ წერილს წაიკითხავს თუ არა, მაშინვე შეუყვარდები-მეთქი. მთხოვა, კიდევ გამემეორებინა ეს სიტყვები. მერე მკითხა, შენ ეს საიდან იცი. კაცი რომ ვიყო, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ნამდვილად შემიყვარდებოდი-მეთქი. უცებ დაინტერესდა, მენახა თუ არა სამხრეთული ხილი, რომელიც ისეთი მრგვალია, როგორც პინგ-პონგის ბურთი. როცა მწიფეს, კანი უსკდება და მთელ ბაღში გამუდმებით მისი კანის სკდომის ხმა ისმის — „ბანგ... ბანგ... ბანგ...“ ახლა ჩემს გულსაც სწორედ ასეთი ბაგი-ბუგი გააქვსო. მიხარია, ასეთი ნიჭიერი რომ გამოვდექი-მეთქი. მან კი განაცხადა, შენმა ნიჭმა აღმაფრთოვანა, ახლა მე შენს ხელში ვარო.

ფარანი ჩავაქრეთ და საბნიდან თავები ამოვყავით. ვკითხე, იმ სამხრეთულ ხილს თუ ჭამდნენ. ძალიან ტკბილი და გემრიელია, მაგრამ მაჩვზლარბასავით საშინლად ეკლიანიაო, — მითხრა. გამოვუტყდი, პირველად რომ დაგინახე, ვერ წარმოვიდგენდი, შენი გული სიყვარულისთვის უკვე იმ სამხრეთული ხილივით მომწიფებული თუ იყო, ახლა კი ეს „სიმწიფე“ ჩემში ეჭვებს ბადებს, ვერ გამიგია, მართლა რკინის პარტიული მუშაკი ხარ თუ სხეულგანაზებული კაბინეტის თეორეტიკოსი-მეთქი. მიდი, მიდი, აილესე კბილებიო, — ჩაიცინა იანმა.

კოღოების ბადიდან ვხედავდი, როგორ დაამთავრა ლუმ თავისი ძმრის პროცედურები, სინათლე როგორ ჩააქრო და როგორ დაწვა. მე და იანი კი ვიწექით სიბნელეში მეტისმეტად აღელვებულები და ვერ ვიძინებდით. ლუ ძილში უკვე მშვიდად ფშვინავდა. ფარდას მთვარის მოცისფრო შუქი ეფინა. დანარჩენებსაც უკვე ღრმა ძილით ეძინათ. საწოლის ქვეშ ქოთნიდან გველების სისინი ისმოდა. უცებ ისევ ის მტანჯველი სურვილი მომერია. ჩემი გონება ველარ მბრძანებლობდა ჩემს სხეულზე, იგი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ჩემი ტვინი ნელ-ნელა ძილში ინთქმებოდა, ჩემი სხეული კი შფოთავდა, ბობოქრობდა და არ ემორჩილებოდა გონებას. ეს რა ხდება-მეთქი, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა, შიშმა მთელი ჩემი არსება მოიცვა, სხეული დაბეგვილივით მქონდა, მთელ ტანზე ცეცხლი მეკიდა.

იანი პირშებრუნებული იწვა. მინდოდა შევხებოდი, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ შემეშინდა, იგი ჩემთვის ერთბაშად თითქოს როგორღაც უცხო გახდა. სხეული სიმივით მქონდა დაჭიმული. იანმა რაღაც წაიბუტბუტა. „რაო, რა თქვი?" — ვკითხე ჩურჩულით და ჩემი ეს სიტყვები ღამის სიბნელეში თითქოს ექოსავით გაისმა. „რა ცუდია..." — დაიწყო იანმა და ამოიოხრა. ვუცდიდი, როდის დაამთავრებდა სათქმელს, მაგრამ, თითქოს ვილაცამ შეაშინაო, იგი ისევ დადუმდა. „რა, რა არის ცუდი?" — შევეცადე ბოლომდე მეთქმევინებინა. „რა და, ცუდია, კაცი რომ არა ხარ", — ისევ ამოიოხრა იანმა. უცებ ჩემში რაღაც აიმღვრა, მთლად ავირიე: ვთქვათ ვყოფილიყავი, მერედა რა იქნებოდა-მეთქი? იანი ჩემკენ გადმობრუნდა და — ის იქნებოდა, რაც წერილში წერიაო, — მითხრა. მისი წამწამები ლოყაზე მეხებოდა, სახეზე მის ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი, ტანში თითქოს რაღაც ცხელი ტალღა მივლიდა.

გვერდიგვერდ ვიწექით და ვდუმდით. მერე უცებ ორივემ გვერდზე გავიწიეთ და უხერხულობიდან თავის დასაღწევად ვუთხარი, რომ მაოს ციტატების გამეორება მინდოდა. „აბა, ჰა, დაიწყე კაბინეტის თეორეტიკოსო!" — გამამხნევა იანმა და მეც დავიწყე: „თავმჯდომარე მაო გვასწავლის, ვინც ქვას ფეხს ურტყამს, საკუთარ ფეხს იზიანებს. ყველა იმ რეაქციონერსაც ეს ელის, ვინც რევოლუციურ ძალებთან დაპირისპირებას შეეცდება". — „მხოლოდ თავმჯდომარე მაოს მოძღვრება გვხდის დაუმარცხებელს", — დაიწყო ახლა იანმა. შევთავაზე, მოდი, თვითკრიტიკაზე გადავიდეთ, საკუთარი თავი გავაკრიტიკოთ-მეთქი. „კარგი, მიდი, დაიწყე, — განაცხადა იანმა, — მიდი, გამოტყდი, განთავისუფლდი ცოდვებისაგან! — „ჩემი თუ შენი ცოდვებისაგან, ამხანაგო პარტმდივანო?" — გავიფიქრე გუნებაში.

ნათქვამია, კარგი ახალი ამბები წყვილ-წყვილად დადისო. ის შემოდგომა, მართლაც, მდიდარი აღმოჩნდა სასწაულებით.

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების დრო რომ დადგა, ლაპარაკი დაიწყეს, მეზობელი სოფლის გლეხები ჭარხალს გვპარავენო. მოსავლის დანაკლისზე პასუხი რომ არ გვეგო, ამის შესახებ შტაბში მოხსენება ჩვენ თვითონვე გავგზავნეთ. მოხსენების შედგენას იანი, რომ იტყვიან, თვალყურს „ცალი თვალით" ადევნებდა, ანუ მასში შემავალი ფაქტების აბსოლუტურ სიზუსტეს არ ითხოვდა, სინამდვილეში მან კარგად იცოდა, ვინ იყვნენ ქურდები — ჩვენს ჭარხალს არც გლეხები იპარავდნენ, არც ვირთხები შეექცეოდნენ, ჭარხალს ზარალი თვითონ რაზმის მეომრებისაგან ადგა, რომელთაგან ერთ-ერთი მეც გახლდით. იმის გამო, რომ ხელფასი საჭმლისთვის არ მყოფნიდა, ღამღამობით მინდვრიდან ხან ჭარხალი მომქონდა, ხან თვის ბოლოკი და ხანაც ბატატი.

იანს თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა. თუმცა იგი იმ დროს სულ სხვა საზრუნავით იყო დაკავებული — დარწმუნდა რა ნემსით მკურნალობის ეფექტურობაში, მწვანუკა მეზობლად სახელმწიფო მეურნეობა „წითელ ვარსკვლავში" დაჰყავდა, სადაც სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ექიმები ადგილობრივ მკურნალებს აკუპუნქტურის ხელოვნებას ასწავლიდნენ. მათ იქ დღეში ორჯერ უწევდათ წასვლა — დილას და საღამოს. იანი ყოველ დღე დილით ხუთის ნახევარ-

ზე დგებოდა. დასვამდა მწვანუკას ტრაქტორზე, დაუცდიდა პროცედურის დამთავრებამდე, ისევ უკან წამოიყვანდა, გზად საფილისთვის სასადილოში დატოვებდა და ისე, რომ თვითონ პირში ნაწილიც არ ჰქონდა ჩადებული, იქიდან პირდაპირ მინდორში სამუშაოდ მოდიოდა. ამის გამო იანისათვის თან ყოველთვის პურის რამოდენიმე ნაჭერი ჰქონდა, რომელსაც იგი ერთ ჯერზე ნთქავდა. ერთხელაც მინდორში თავით ფეხამდე ტალახში ამოთართლული მოვიდა — ტრაქტორიანად არხში გადავვარდიო. მიუხედავად ამისა, ბედნიერებისაგან ბრწყინავდა. ისე იყო აღელვებული, ხმის ამოღება უჭირდა. მხოლოდ ეს თქვა, სასწაული მოხდა, მწვანუკა გამოჯანმრთელდაო, და ხმამაღლა იყვირა: „გაუმარჯოს თავმჯდომარე მაოს!“ გვთხოვა, ყველას ერთად ხმამაღლა გვეყვირა და ჩვენც, რა თქმა უნდა, ყველამ ერთად ვიყვირეთ. როცა მებრძოლებმა სთხოვეს, ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო, ასე თქვა. ზუსტი გამოკვლევისთვის მწვანუკა საავადმყოფოში დავტოვე, მთელი ავადმყოფობის მანძილზე ამ დილით მან პირველად იმღერა ნაწყვეტები ოპერა „ჩემი სამშობლოდანო“. იმ დღეს იანი სასუქით სავსე ისეთ მძიმე ჯალამბრებს ეზიდებოდა, რომ ორჯერ სახელურებიც კი დაემტვრა.

საღამოს გამართულ კრებაზე, როცა ჩვენ რევოლუციური ოპერებიდან არიებს ვასრულებდით, იანი დირიჟორობას გვიწევდა. რაზმში ყველანი ვგრძნობდით, რომ შესანიშნავ გუნებაზე იყო. ლუსთვის, რომელიც განზე იდგა და თავს აქნევდა, ყურადღება არავის მიუქცევია. „კომუნიზმს გზიდან ვერავინ გადაახვევინებს“, — ვმღეროდით ოპერიდან „ლეგენდა წითელი ფარნის შესახებ“. ამის შემდეგ იანი პირველად წარსდგა ერხუთი ხელში მებრძოლების წინაშე — მას უზარმაზარი წარმატება ჰქონდა.

მე ბოლო რიგში ვიჯექი და ვტკბებოდი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ იანის დღევანდელი მღელვარება და სიხარული მისი გამუდმებული გულისტკივილიდან იყო ნაშობი — ის ხომ ძალიან მტკივნეულად განიცდიდა საბრალო მწვანუკას ხვედრს. შევთავაზე, ყველას ერთად „ჩემი სამშობლო“ გვემღერა, რათა რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელებულიყო ავადმყოფი. იანმა ერხუზე აკორდი აიღო და ეს ისეთი ვნებით, ისეთი ჟინით გააკეთა, სიმმა ვერ გაუძლო და გაწყდა. იანმა მებრძოლებს ბოდიში მოუხადა, მაგრამ გაწყვეტილი სიმი აღარ შეუცვლია, საკრავის თანხლების გარეშე დაიწყო სიმღერა და მისი ხმა ისე მიემსგავსა ერხუს ხმას, რომ ყველას სიცილი აგვიტყდა. იანს წარბი არ შეუხრია:

„ეს ჩემი ქვეყანაა,
მე ამ მიწაზე დავიბადე...
მზის სხივებშია გახვეული
მიწა, ჩემი სამკვიდრებელი —
მშვენიერია მამული ჩემი!.. —

განაგრძობდა მაღალი, წკრიალა ხმით.

თუმცა ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მწვანუკა მართალია საავადმყოფოდან დაბრუნდა, მაგრამ გამოჯანმრთელებისა არაფერი ეტყობოდა. ნემსით მკურნალობამ მხოლოდ რამდენიმე ნერვის დაბოლოება გამოაღვიძა, ისიც დროებით — ავადმყოფობას უკან არ დაუხევია. იანი კი მაინც არ ნებდებოდა, მწვანუკას [illegible] ველებურად დაჰყავდა საავადმყოფოში. და აი ერთ მშვენიერ [illegible] ამის გამო, რომ ტრაქტორი დაზიანდა, იანმა მწვანუკა ზურგზე შეისვა და მთელი ორი საათი საავადმყოფომდე ასე ატარა, მაგრამ ისე დაიღალა, რომ მეორე დღეს დროზე ადგომა ველარ შეძლო. ამის შემდეგ მწვანუკა რიგრიგობით ჩვენ დაგვყავდა საავადმყოფოში. მწვანუკა ამას ისე გულგრილად ღებულობდა, ვითომ ეს იმას სულაც არ ეხებოდა. დღითიდღე სულ უფრო მეტად იწურებოდა იმედი. ჩემი ბოლო იმედი გველებიაო, თქვა ერთხელაც იანმა. მართალია, ეს ნამდვილი სიგიჟე იყო, მაგრამ იანს ისე ჰქონდა წარმატების იმედი, რომ მეგობრის გადარწმუნება არ დამიწყია.

ლეოპარდ ლისთან შესახვედრად ოცდამეთორმეტე რაზმში ტრაქტორით წავედი. მე მასთან იანმა „რევოლუციური გამოცდილების გასაზიარებლად“ გამგზავნა. ისე ვღელავდი, თითქოს ლეოპარდ ლის კი არა, საკუთარ შეყვარებულს უნდა შევხვედროდი. წერილი საიმედოდ მქონდა ქურთუკის შიდა ჯიბეში შენახული. ტრაქტორიდან ჩამოხტომის ან წაქცევის შემთხვევაში წერილი რომ არ ჩამომვარდნოდა, ჯიბე კარგად შევიკარი, მიუხედავად ამისა, ხელი სულ ჯიბეზე მედო, ვსინჯავდი, წერილი ისევ თავის ადგილზე თუ იყო. ამ წერილის გადაწერისას წუხელ იანი გვერდიდან არ მომშორებია, წერილს თვალს ვერ აცილებდა. იგი თითქოს თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, მითხრა, მე შენ სხვა ადამიანად მაქციეო. რაც მართალია, მართალია-მეთქი, — გავიფიქრე, — ხასიათი დაურბილდა, ყველას გაცილებით უკეთესად ექცევა, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ლუსაც. მებრძოლებს ეს მოსწონდათ, ლუ კი საგონებელში იყო ჩავარდნილი.

მიუხედავად იმისა, რომ კარგი ამინდი იდგა, იანმა დასვენების დღე გამოაცხადა და თვითონ ლერწმის მოსაჭრელად წავიდა. თითქოს ლეოპარდ ლი ვყოფილიყავი, ჩემს დანახვაზე ისე შეცბა. ჩემდა გასაოცრად, მასზე რატომღაც ბევრს ვფიქრობდი. ვხედავდი, როგორ ჭამდა, როგორი დაბნეული იყო და როგორ მექანიკურად იდებდა პირში ლუკმას. ზოგჯერ თავს სადღაც შორს, მინდორში ამოყოფდა. ან იდგა და თვალს არ აცილებდა ხოჭოს, რომელიც ბამბის ყვავილის გულს ხრავდა. იანმა ბრძანა, გაეზარდათ შაქრის ნორმა სასადილოში. ღამით ჩახჩახა წითელ საცვლებს იცვამდა. როცა ეგონა, არავინ მიყურებსო, სარკეში საკუთარ თავს ულიმოდა. მთხოვა, მაღაზიაში მისთვის ერთი ბოთლი ძმარი მეყიდა. მას მერე ყოველ ღამე ძილის წინ ლუსთან ერთად ძმრით ფეხის ფრჩხილებს იწმენდდა. ჩემთან და ლუსთან ერთად ოპერიდან არიებს მღეროდა და მისი ხმა ერხუს სიმებივით ჟღერდა. ყველა ირწმუნებოდა, მისი და საკრავის ხმის გარჩევა შეუძლებელიაო, ჩუმჩუმად კი ყველა დასცინოდა, იწვნენ კოლოების ბადეების უკან ლოგინებში და სიცილით იგუდებოდნენ.

ლეოპარდ ლისთან შეხვედრის შემდეგ იანის არჩევანით გაოცებული დავრჩი. ეს იყო იანი, ოლონდ იანი მამაკაცის სხეულში. დიდი, შავი თვალები, გაფრენილი წარბები, ხეშეში, პრიალა თმა... თუმცა მე უფრო ძლიერი და მაღალი წარმომედგინა. ისე, მაიმუნს უფრო მაგონებდა — გრძელხელება იყო, მაიმუნივით მოქნილი და ... ითქვას, როგორც მეთაური, პატივისცემით სარგებლობდა. მებრძოლები სახელით მიმართავდნენ, ისიც მათ შინაურულად ეპყრობოდა — შეეძლო თითოეულს გახუმრებოდა, მათთან ერთად ეცინა. როცა ვუთხარი, რომ მეშვიდე რაზმიდან ვიყავი, მგონი, თავი როგორღაც უხერხულად იგრძნო.

ვუთხარი, რომ წერილი მოვუტანე, მაგრამ ჯერ ნათქვამი არ მქონდა ვისგან იყო, რომ უცებ წამოენთო და ნაძალადევი სიცილით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. წერილს რომ მართმევდა, ხელი უკანკალებდა. ბარათი ჯიბეში ჩაიდო, ისევ მიიხედ-მოიხედა და მინდორ-მინდორ თავისი კანტორისკენ წამიყვანა. მათ რაზმში ცხოვრება უფრო მოწესრიგებული მეჩვენა. ბარაკები უფრო დიდი და ფართო იყო, მებრძოლებიც უფრო ასაკოვნები იყვნენ, მამაკაცები ხმელ-ხმელი, ქალები სავსე და ფერხორციანი. თავზე ყველას ჩალის შლაპა ეხურა. ზუსტად შესვენების დრო იყო. ადგილ-ადგილ მოგროვილი ნაკელის გროვებზე ბუზები ირეოდნენ. თვალებზე შლაპებჩამოფხატული მებრძოლები გაბნეული კარტოფილებივით პირდაპირ მინდორში ეყარნენ. სიცხისაგან მიწას ალმური ისე ასდიოდა, როგორც გავარვარებულ ღუმელს.

ლეოპარდმა წყლით სავსე ტოლჩა გამომიწოდა, მერე ვიღაც ტანმორჩილ ქალს — თავის მოადგილეს დაუძახა და უთხრა, მე ცოტა ხნით დაგტოვებთ, შენ კი ამასობაში ჩვენი სტუმარი ყველაფერში გაარკვიეო. ტანდაბალი ქალი ჯერ გამეცნო, მითხრა, რომ ბებერ ვანს ეძახდნენ, მერე მომიყვა, როგორი წარმატებები აქვს კულტურულ რევოლუციას მათ რაზმში. პაუზებს შორის გამომხედავდა, რატომ არაფერს იწერსო. ეტყობა, არ მოსწონდა ჩემი გულგრილი დამოკიდებულება და ყოველნაირად ცდილობდა, ეგრძნობინებინა ეს. მე კი ამას სულაც არ დაგიდევდი, ვიჯექი ჩემთვის და ლეოპარდს ვუცდიდი. თავს ძლივს ვიკავებდი, რათა თვალი ერთთავად ფანჯრისაკენ არ მჭეროდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა და მშვიდად მკითხა, საქმეები მოვითავე თუ არა. დიახ, რა თქმა უნდა-მეთქი, — ვუპასუხე იმ იმედით, რომ როგორმე იქნება ბებერი ვანი თავიდან მოგვეშორებინა. მაგრამ ლეოპარდს, ჩანს, ეს სრულებითაც არ სურდა. მკითხა, ხომ არ მინდოდა სამუშაოს სხვა უბნებსაც გავცნობოდი. ვერაფერი გამეგო — მას ხომ უნდა სცოდნოდა, რისთვის ვიყავი მოსული და რა მაინტერესებდა. ვიდექი და პირდაპირ თვალებში შევყურებდი, ის კი ხელში რაღაც რეზინს ათამაშებდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. უცებ რეზინი შუაზე გასკდა და ასხლეტილი ბოლო ბებერ ვანს სახეში მოხვდა, ვანმა ოდნავ წამოიკივლა და ლოყაზე ხელი მიიფარა. ლეოპარდმა ბოდიში მოუხადა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და თან თვალით საფერფლეს დაუწყო ძებნა. ბებერმა ვანმა ჰკითხა, ტრაქტორისთვის ვინმე ხომ არ გააგზავნა, რომ შინ დავბრუნებულიყავი. პასუხად ლეოპარდმა თავი დაუქნია, რამაც მე ძალიან გამაოცა.

დავჯექი თუ არა, ტრაქტორისტმა ძრავა ამუშავა. მე ლეოპარდს შევხედე, მან კი თვალი ამარიდა, ეტყობა, შეეშინდა ვინმე რამეს არ მიხვდესო. მოკლედ, მშიშარა აღმოჩნდა, რაც ცხადია, არ მომეწონა. იანიც ხომ ზუსტად ისევე რისკავდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქალი იყო, არ შეშინებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით კოლოების ფარდის უკან იანმა მკითხა, შოგხაურობამ როგორ ჩაიარა. მე კი, გული რომ არ სტკენოდა, სიმართლე ვერ ამოვღერღე. პირიქით, ვუთხარი, რომ ლეოპარდ ლი ძალზე აღელვებული იყო. ახლა ის მკითხა, წერილზე თუ მიპასუხებსო? ოანხმობის ნიშნად თავი რომ დავუქნიე, მთხოვა, მისი სახელით კიდევ ერთი წერილი დამეწერა.

ორი თვის მანძილზე ლეოპარდს ოთხი წერილი გადავეცი, მაგრამ პასუხს იანი ამაოდ ელოდა. ვაჟის მიმართ ახლა უკვე მტრულად ვიყავი განწყობილი, ერთი სული მქონდა, საქონელივით მათრახით მეცემა, რათა როგორმე იანით დაინტერესებულიყო. რამოდენიმეჯერ მომეჩვენა, თითქოს სურდა კიდევაც იანზე დამლაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა, უკან იხევდა. რატომ? იანს ხომ მასთან შეხვედრის მეტი არაფერი უნდოდა! იგი თავის გრძნობებს ველარ ფარავდა. კი ბატონო, მათ შეიძლება მწვანუკასა და მისი სათვალიანი საყვარელივით თავზე წასდგომოდნენ, შეეძლოთ პარტიიდან გაერიცხათ, მაგრამ თავიანთ სიყვარულში თუ გამოტყდებოდნენ, დასაქორწინებლად შტაბი მათ რამოდენიმე დღით გაანთავისუფლებდა, მერე კი ბარაკის ერთ პატარა ოთახში სამუდამოდ ჩაასახლებდნენ და შანხაიში დაბრუნებაზე ფიქრს ისინიც სამუდამოდ გამოეთხოვებოდნენ, ვინაიდან ორივეს დაუყოვნებლივ ადგილორივი გლეხების სიაში ჩაწერდნენ. უნდოდა კი ეს ლეოპარდს? ვეჭვობ, ძალიან ვეჭვობ...

იანი მეცოდებოდა, იგი დნებოდა სურვილისგან. ყოველლამ ჩუმად თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, სიყვარულზე გამოგონილი ამბებიო თავს იმშვიდებდა. იმის გამო, რომ ტკბილის მოყვარული აღმოჩნდა, ჩემს წილ შაქარს მთლიანად მას ვახმარდი. ერთად რომ ვწოლილიყავით, მცივა-მეთქი, ისევ სიცივეს ვიმიზეზებდი. დავარწმუნე, არ გაერეცხა კოლოების ბადე, ვინაიდან ჭუჭყი ფარდას თითქმის გაუმჭვირვალს ხდიდა. სინათლის შუქზე, რაც ოთახში ხდებოდა, ყველაფერს ვხედავდით, ჩვენ კი ვერავინ გვხედავდა.

იანი, მიუხედავად იმისა, სიყვარულით იყო დაავადებული, უფროსის მოვალეობას ჩვეული მონდომებით ასრულებდა. არხის გაყვანაზე მეზობელი რაზმი სოცშეჯიბრში რომ გამოიწვია, თავი მართლაც შესანიშნავად ეჭირა. სამაგიეროდ ღამღამობით მოეშვებოდა, მოლბებოდა. ვაკვირდებოდი, როგორ წამოენთებოდა ხოლმე საბანში თავწაყოფილი იმ წერილის წაკითხვისას, მისი სახელით რომ ვწერდი. ვთხოვე, თავი ნამდვილ შეყვარებულად წარმოედგინა და თავისი განცდები დეტალურად გაეზიარებინა ჩემთვის — მე ეს ძალიან მჭირდებოდა წერილის დასაწერად. იანმა ჩაიცინა და მითხრა: „იცი, აქაური მუშტრები ხურმას როგორ ირჩევენ ბაზარში? სინჯავენ, რბილი რომელია. შენც სწორედ იმას ცდილობ, მწიფე ხურმას დამამსგავსო". ჰო, მაგრამ მე ხომ ყველაფერი დაწვრილებით უნდა ვიცოდე-მეთქი! მერედა სად

არის შენი ფანტაზიაო? როგორ შეიძლება გამოვიგონო ის, რაზეც ოლტისოდენა წარმოდგენაც არა მაქვს-მეთქი! ბაგეზე თითით ოდნავ შეეხო და მთხოვა, დავმშვიდებულიყავი. მერე ჩუმად წაიჩურჩულა: „ჩემი გული სიყვარულით ისეა სავსე, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია, ამიტომაც ვარ ასე დაბნეული“, — თქვა და ჩემი ხელი გულზე მიიდო, რათა მენახა, გული როგორ უცემდა.

უცებ მომეჩვენა, რომ მის გულისცემას ჩემი გულიც პასუხობდა, ჩემს გულსაც ბაგიბუგი გაჰქონდა. სხეულზე ცეცხლი მეკიდა. რალაც დაუოკებელი ძალით ჩემდაუნებურად გვერდით მწოლიარე იანისაკენ გავიწიე. იანს კაშკაშა წითელი ბიუსჰალტერი ეცვა. იანმა თვალები დასუჭა, ჩემი ხელისგული ლოყაზე მიიდო, მერე თვალები ისევ ნელა გაახილა და შემომხედა. ბაგე ოდნავ გაეღო, საოცარი გამოხედვა ჰქონდა. მისმა მზერამ ისე გააპო ჩემი გული, როგორც ნიაღვარმა კლდე. იქვე, ფარდის იქით კი ლუ იჯდა და მაოს შრომებს ჩაჰკირკიტებდა.

საბნის ქვეშ იანმა ჩემსკენ მოიწია და მომეხვია. მესმოდა, ლუ კბილებს როგორ იხეხავდა, პირში წყალს როგორ ივლებდა. მერე კარი როგორ ჩაკეტა და სინათლე როგორ ჩააქრო. ვიწექი და ველოდი, ხვრინვას როდის ამოუშვებდა. იანი კი იმ სიტყვებს ჩამჩურჩულებდა ყურში, რასაც მის მაგივრად ლეოპარდისადმი მიწერილ წერილებში ვწერდი, და უცებ მე იგი რატომღაც გვალვიან ზაფხულში ამოღერილ ბრინჯის სუსტ ნაზარდს შევადარე.

წერილი ლეოპარდთან ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიმქონდა, ის კი გადამიხდიდა მადლობას და გამომიშვებდა, ისე რომ, იანთან მუდამ ხელცარიელი ვბრუნდებოდი. ერთხელ ღამით, როცა მორიგ წერილს ვწერდი, იანი უცებ ატირდა, — რასაც ლეოპარდის შესახებ მიყვები, ვიცი ყველაფერი სიცრუეაო. „ხელით ცას ვერ დაფარავ, — წაიჩურჩულა წყნარად, — უბრალოდ, მასულელებ“. წერილი მაშინვე დავხიე და თავის მართლებას მოვყევი: არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერი შემელამაზებინა-მეთქი. იანმა დამშვიდება დამიწყო, ხოლო როცა ვუთხარი, ლეოპარდმა, ჩანს, შიშს ჯერ კიდევ ვერ სძლია, რომ ამისათვის დრო იყო საჭირო, ოდნავ გაიღიმა და თავი გააქნია — ამის მიზეზი ჩემი სიბრიყვე და უმეცრებაა, მე მისთვის ნაკლებინტელიგენტური, ნაკლებსაინტერესო ვარო. მერე სარკე აიღო, დიდხანს ათვალიერა თავისი თავი და წაილაპარაკა: „აი ხედავ, როგორი მოტეხილი, ქარისაგან დაშაშრული სახე მაქვს“, მაგრამ მე ხომ ჯერ მხოლოდ ოცდახუთი წლისა ვარ და არაფრის მომცემი პარტმდივნობის მეტი არაფერი გამაჩნია. ასეა. ნათქვამია, რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო!

მისი სევდის გაქარვება ჩემთვის შეუძლებელი იყო. სარკე ჩუმად გამოვართვი და ო, როგორ მინდოდა მეთქვა, დამეშშვიდებინა — ნამდვილი მზეთუნახავი ხარ, შენში ყველაფერი მშვენიერია, კაცი რომ ვიყო, შენი სიყვარულისათვის სიცოცხლეს გავწირავდი-მეთქი!

ოთხ საათზე ჩემი ოცეულის წევრები შინ გავუშვი. ჩვენ მაშინ ხიდის შეკეთებაზე ვმუშაობდით. ჩემი პრინციპი იყო, საქმეს რომ მო-

ვრჩებოდით, თავისუფლები ვყოფილიყავით. ამის გამო მებრძოლებს ვუყვარდი. ხშირად ის, ვინც დავალების შესრულებას სხვებზე ადრე მოასწრებდა, ჩამორჩენილების დასახმარებლად მინდორში სამუშაოდ რჩებოდა. „ურთიერთდახმარებით კომუნიზმისაკენ!“ — ჩემს ამ მოწოდებას სიამოვნებით მისდევდნენ. ლუს, ცხადია, ეს არ მოსწონდა, ამბობდა, რომ ხელმძღვანელობის ჩემ წესს დამპალი [illegible] სუნი უდიოდა და ითხოვდა, უარი მეთქვა ამ წესზე. იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი, მაგრამ, როგორც კი თვალს მიეფარებოდა, მე ისევ ჩემებურად ვაგრძელებდი.

იმ დღეს, სამუშაო დავამთავრე თუ არა, ხიდზე გადავედი. სანაპიროს გასწვრივ ბამბუკის ჭოკებზე ტილოს ტრანსპარანტი იყო გაჭიმული: „ჩვენ არაფერი გვაშინებს, არც სიკვდილი, არც მძიმე შრომა!“ არხი ჩემი ჩასვლის პირველ ზამთარს ჩვენმა რაზმმა გათხარა და მის დანახვაზე გული ყოველთვის სიამაყით მევსებოდა. უცებ ნავიდან ვიღაც მეთევზემ დამიძახა. როგორც აღმოჩნდა, წყალში თურმე დამხრჩვალი ქალი ენახა. რაც ძალი და ღონე მქონდა მისკენ თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. მეთევზემ დამხრჩვალი ნელა გადმოაბრუნა — ჩემს წინ მწვანუკა ესვენა. მე ადგილზე ქანდაკებასავით გავშეშდი. სახეგაციებულს თავი უშველებელ გოგრას მიუგავდა, ხელ-ფეხი ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. „როგორც ჩანს, შეტევა დაემართა... — შენიშნა მეთევზემ, — ხედავ ამ ჭრილობებს? ეტყობა, გამოცურვას ცდილობდა, მაგრამ წყალმცენარეებში გაიხლართა“.

ამ უბედურების შესახებ იანს ვიღაცამ შეატყობინა. იგი მაშინვე გაშმაგებული ცხენივით მოვარდა, თმა ქარში ფაფარივით უფრიალებდა, სახე ნაცემივით ლურჯ-წითლად ჰქონდა აფორაჯებული. მეთევზე მართალია ცდილობდა აეხსნა, ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას აზრი აღარა აქვს, ვინაიდან ორი საათია ეს საწყალი უკვე მკვდარიაო, მაგრამ იანი თითქოს დაყრუებული იყო, მწვანუკას მკერდზე ორივე ხელით ისევ რიტმულ დაწოლას აგრძელებდა და ოფლი სახეზე წურწურით სდიოდა. მანამდე არ მოეშვა, ვიდრე თვითონაც ძალაგამოლეული არ დაეცა.

სახალხო მეურნეობა „წითელი ალის“ შტაბში მწვანუკას საზეიმო გამოთხოვება მოუწყეს. როგორც „მოწინავე ამხანაგი“, გარდაცვალების შემდეგ დიდი ზარზეიმით კომკავშირშიც მიიღეს. გამოსათხოვარ ცერემონიალს მიცვალებულის ბებიაც დაესწრო. ოპერის მომღერლის ბრწყინვალება მოხუცს ჯერ ისევ შერჩენოდა, შვილიშვილივით ისიც არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. მიცვალებულს გულში რომ იკრავდა, სახეზე მკვდრისფერი ედო, მაგრამ არ ტიროდა. ლუმ მიუსამძიმრა, ასეულის პარტბიუროს წევრებს გააცნო და ხუთასი იენის ჩეკი გადასცა. მოხუცმა ჩეკი გამოართვა და უსიტყვოდ დააჩერდა.

იანი სადღაც გაქრა. მე ის მანამდე ვეძებე, ვიდრე ხიდის ქვეშ არ მივაგენი. გვერდით ის ქოთანი ედგა, რაშიაც გველებს აგროვებდა. ამ ორიოდე დღის წინ გახარებულმა მითხრა, როგორც იქნა, საჭირო ასი გველი მოვაგროვე, ახლა კი ველოდები მწვანუკა როდის გამოჯანმრთელდებაო. როცა მივუახლოვდი, დავინახე, გველებს თავებს როგორ

აწყვეტდა. სახე და ტანსაცმელი შაეი სისხლით ჰქონდა დასვრილი. ასი-ვეს თავი რომ წააწყვიტა, ქოთანი მიწას დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია. მე მისკენ დავიხარე, იანმა თავი ჩემს მუხლებში წარმოდ და აქ-ვითინდა.

მწვანუკას სიკვდილის შემდეგ იანი სრულიად შეიცვალა, ის უკვე ის პარტმდივანი და ასეულის მეთაური როდი იყო, ვისაც მე ვიცნობდი. მასთან ერთად მეც შევიცვალე. ახლა ჩვენ ხშირად იმაზე ვმსჯელობ-დით, ნათელი მომავლის ხატი, რომელსაც პარტია გვიხატავდა, ასე რა-ტომ გაუფერულდა, ცხოვრება რატომ ძნელდებოდა დღითიდღე, ასე რატომ უჭირდათ ადამიანებს, მაშინ როცა დღედაღამ თავაუღებლად შრომობდნენ. ოცდათხი იენი, რასაც ჩვენი ხელფასი ერქვა, საჭმლის, ლამპაში ჩასასხმელი ნავთისა და ტუალეტის ქაღალდისთვისაც კი ძლივს გვყოფნიდა. ნუთუ მთელ ცხოვრებას ასე უნდა ჩაევლო? ჩვენი სახალხო მეურნეობა ხომ სამაგალითო კომუნისტურ კოლექტივად ით-ვლებოდა, მომავალი საზოგადოების მოდელად. აღმოსავლეთ ჩინეთში ამგვარი სახალხო მეურნეობა ათობით დაითვლებოდა, მაგრამ ყველა ამ „წითელ ალში", „წითელ ვარსკვლავში", „ავანგარდში", „დიდ ლაშქრობაში", ა. შ. და ა. შ., სადაც ორასი ათასი ქალაქელი ახალგა-ზრდა იყო შეყრილი, მოსავალი მხოლოდ იმდენი მოდიოდა, რაც საკუ-თარი თავის გამოსაკვებადაც ძლივს გვყოფნიდა. სასურსათო დოტა-ციას სახალხო მეურნეობები ყოველ წელს ხელისუფლებისაგან ილებდა. და აი, ცნობილი გახდა, რომ ამ წელს მისი მილება მოსალოდნელი არ იყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდით, ჰქონდა კი აზრი იმ ლოზუნგს, რასაც ჩვენ ასე მთელი სულითა და გულით ვსკანდირებდით: „პირზე ოფლგადადენილებმა გავზარდოთ მოსავალი, რათა მსოფლიოში აყვავ-დეს კომუნიზმი!"

იანმა პოლიტსწავლებისა და სხდომების მიმართ ყოველგვარი ინ-ტერესი დაკარგა, როგორღაც მოეშვა და დასევდიანდა. მე და ის ერთ-ხელ წავკინკლავდით კიდევაც. არავითარი უფლება არა მაქვს ადამია-ნებს განკარგულებებს ვაძლევდე, ამისათვის ლუ გაცილებით უფრო გამოდგება, მე კი დროა სამსახურს თავი დავანებოო. პასუხად მე იგი სისუსტეში დავადანაშაულე. უნებისყოფო საქციელი გამოსავალი არ არის, რა იქნება, შენ — იანი თუ წასვალ, მთელ ძალაუფლებას ხელში ლუს ჩაუგდებ-მეთქი? ამაზე სევდიანად მიპასუხა, არ მეგონა, ჩემზე მეტად ჩემი ძალაუფლება თუ გაინტერესებდაო. იძულებული ვიყავი შე-ვპასუხებოდი, მეთქვა, რომ მის ხელში ახლა ძალაუფლება კი არა, ჩვენი ცხოვრება იყო, ვთქვათ, არ შეეძლო ცხოვრება უკეთესი გაეხადა, მაგ-რამ მისი წასვლა ხომ ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად გვიქცევდა. „არა, — თქვა მან, — არსებობამ ყოველგვარი აზრი დაკარგა, აქაუ-რობა ჩემთვის ციხეა!" მაგრამ, ხომ არ შეიძლება, უცებ ავდგეთ და წავიდეთ, ჩვენ ხომ ალყაში ვართ, გაქცევა ხომ იგივე სიკვდილს ნიშ-ნავს, მთელი ჩვენი ბედი ხომ პარტიისა და მაოს ხელშია, უნდა შეეგ-უოთ, უნდა მოვითმინოთ-მეთქი, — ვარწმუნებდი.

იანი სახალხო მეურნეობის შტაბში მნიშვნელოვან პოლიტსემინა-რზე გაემგზავრა. რამოდენიმე დღე სრულიად მარტოდმარტო ვიყავი

და სულიერად სრულიად დავეცი. ვაითუ სამუდამოდ დავკარგო, ხომ შეიძლება იქ ლეოპარდს შეხვდეს, იქ დარჩეს-მეთქი. ეს რაღაც უცნაური, ავადმყოფური გრძნობა უფრო იყო. ღამით მასზე ვოცნებობდი, დღისით დროს ვაჩქარებდი, ერთი სული მქონდა, როდის დაღამდებოდა.

შანხაიში მშობლებს წერილი მივწერე, სადაც ჩვენი შესანიშნავი პარტმდივნის, ჩვენი ასეულის მეთაურის — იანის შესახებ ყველაფერი თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოვუყევი. ვწერდი, როგორი კეთილი მეგობარი, როგორი საყვარელი მეთაური იყო. იმ ტოტებგაშლილი ხესავითაა, რომლის ჩრდილშიც თავს ადამიანი მშვიდად და მოსვენებულად გრძნობს-მეთქი. ვწერდი, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, რომ მეურნეობაც შესანიშნავი იყო, რომ ბევრი ჩემი ამხანაგი უკვე მოინახულეს მშობლებმა.

და აი ერთ მშვენიერ დღესაც, დედა, ნაცვლად იმისა, რომ წერილზე ეპასუხა, ადგა და პირდაპირ მეურნეობაში ჩამოვიდა. იმ დღეს მე სწორედ სასუქს ვეზიდებოდი. მითხრეს, დედა გელოდებაო, მაგრამ არ დავიჯერე. მხოლოდ მაშინ დავაგდე ქიმიკატებით სავსე ტომარა და მაშინ გავიქეცი, როცა მინდვრის პირას მტვერში პალტო ამოსვრილი ქალი დავინახე, და ვიყვირე: „დედა, როგორ მიპოვე, როგორ მომაგენი!“ მშობლები შვილებს ყველგან და ყოველთვის იპოვიანო, — მიპასუხა დედამ ღიმილით. ოთახში რომ შევედით, მის წინ დავიჩოქე და ფეხსაცმელი გავხადე. იმის გამო, რომ ფეხები გასიებული ჰქონდა, თბილი წყლით სავსე თასი მივუტანე. მკითხა, ქიმიკატებით სავსე ტომარა რამდენს იწონიდა. ოცდაათ კილოგრამს-მეთქი, — ვუთხარი. ძალიან გაოფლილი ხარო. ჰოო, არც უმაგისობაა, იცი, ოცეულის მეთაური ვარ-მეთქი, — მივახარე.

დედა ამკარად ამაყობდა ჩემით, რაც, რა თქმა უნდა, სიამოვნებას მგვრიდა. აღმოჩნდა, რომ დედამ მოსაკითხი არაფერი ჩამომიტანა, ვინაიდან ძალიან ხელმოკლედ იყვნენ. კოკორიკომ სკოლა რომ დაამთავრა და სახელოსნო სასწავლებელში შევიდა, ფული მისთვის ახალი საგნის საყიდლადაც არ ეყოთ. „მართლაც კარგი უნდა იყოს უფროსობა“, — თქვა დედამ. მარგალიტი როგორ არის, ფაბრიკაში მუშაობის დაწყებას თუ მოახერხებს-მეთქი. დედამ თავი დამიქნია და გამოტყდა, უნდა ვილოცოთ, რომ მოახერხოს, მაგრამ რაც არ უნდა მწარე იყოს ამაზე ლაპარაკი, მარგალიტს ამინებს ნამდვილი ცხოვრება. სკოლის ამხანაგებს დაურწმუნებიათ, შანხაიში ფიზიკურად სუსტი ადამიანისთვის უფრო ადვილია დარჩენაო, ამიტომაც დიზენტერია რომ დაემართა, ექიმთან არ წავიდა, ოცნებობდა როგორმე ქრონიკულ დაავადებაში გადასვლოდა. რა თქმა უნდა, ეს სისულელეა, მაგრამ აბა გააგებინებ ამასო!.. მეურნეობაში წასვლას თავი რომ აარიდოს, ბევრი მეზობლის ბავშვიც სჩადის თურმე ასეთ უმსგავსობას. მარგალიტი ძალიან უბედურია, დედისთვის პირდაპირ უთქვამს, ნეტავი ამქვეყნად რისთვის გავჩნდიო.

დედა იანის ლოგინში ჩავაწვინე, მინდოდა ღამით ცოტა წამეჭორავა მასთან, მაგრამ ბალიშზე თავი დავდე თუ არა, ჩამეძინა. მეორე დღეს კი გათენდა თუ არა, დედა საჩქაროდ გაემგზავრა. ასე ეგონა,

რომ დარჩენილიყო, მოვეშვებოდი, სამუშაოზე გულს ავიყრიდი, სახლი უფრო მეტად მომენატრებოდა. მე კი სისუსტის გამოჩენა არ შემშვენოდა. მტკიცება აღარ დამიწყია, სუსტი სულაც არ ვარ, ჩემზე გავლენას ვერავინ მოახდენს-მეთქი, თუმცა ერთი სული მქონდა, თავი მის მკერდში წამერგო და ავტირებულიყავი. მაგრამ რაღა დროს ჩემი ტირილი იყო, მე ხომ ხუთი წლისაც უკვე მოწიფული ადამიანი ვიყავი და დანარჩენ ბავშვებს ოჯახში მაგალითს ვაძლევდი. დედასაც ძლიერი უნდა ვენახე, რათა იმედიანად ყოფილიყო და ეცოცხლა. მხოლოდ ის ვკითხე, გასეირნება და მეურნეობის დათვალიერება ხომ არ სურდა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ყველაფერი უკვე ენახა და ახლა სახლში წასვლას ჩქარობდა.

დედამ, მართალია, იცოდა, იანის ლოგინში რომ იწვა, მაგრამ მის შესახებ არაფერი უკითხავს. მე კი ეს ძალიან მინდოდა. მაშინ შესაძლებლობა მექნებოდა, ცოტა რამ მაინც მომეთხრო ჩემი ნამდვილი ცხოვრების შესახებ. მაგრამ არა, არაფერი უკითხავს. არ უკითხავს იმიტომ — და მე ამას მაშინვე მივხვდი, — რომ იანი პარტმდივანი იყო, დედას კი პარტიული უფროსების ყოველთვის ძალიან ეშინოდა, თითოეული მათგანის წინაშე თავს ყოველთვის დამნაშავედ გრძნობდა, იანს რომ არ შეხვედროდა, ახლა წასვლასაც სწორედ ამიტომ ჩქარობდა.

ავტობუსების სადგურამდე გაცილებაზე უარი მითხრა და გაიტანა კიდევაც თავისი — მარტო წაჩანჩალდა მტვრიან გზაზე. ჩემი დიდი ხნით გაუჩინარების გამო ლუს მოსალოდნელი გაბრაზება არაფრად ჩავაგდე, ბამბის ნათესებში გადავედი და მინდორ-მინდორ დედას უკან ავედევნე. დასასვენებლად გზაზე ერთხელაც არ ჩაუმუხლავს. თითქოს ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გაქცეოდა იმ ყველაფერს, რაც აქ ნახა — გაქცეოდა ბავშვივით. ავტობუსის სადგურზე ჩუმად ვუთვალთვალებდი — თავის ასაკთან შედარებით იგი გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდა. ის ხომ მხოლოდ ორმოცდასამი წლისა იყო, შესახედად კი სამოცისაც გეგონებოდა. როცა ავტობუსი დაიძრა და დედა წაიყვანა, ბამბის ნათესებს შევერიე, პირქვე დავემხე და ავტირდი. გულამოსკვნილი ვტიროდი და იანს ვეძახდი.

იანი რომ დაბრუნდა, მეურნეობიდან კარგა მოშორებით გზაზე დავხვდი. ტრაქტორის დანახვაზე გული ლამის საგულედან ამომვარდა. იგი ტრაქტორიდან ჩამოხტა და ჩემკენ ისე გამოიქცა, რომ ხელიდან შარფიც კი გაუვარდა. ტრაქტორი მაშინვე გატრიალდა და წავიდა. იანი საოცრად გალამაზებულიყო.

„ნახე ლეოპარდი?“ — ვკითხე, შარფი ავიღე და მივაწოდე. „ლეოპარდი?“ — გაიცინა იანმა და შარფი გამომართვა. „ჰო, ნახე-მეთქი?“ — სულის მოთქმა არ ვაცალე, მან კი მთხოვა ეს სახელი არასოდეს მეხსენებინა — ყველაფერი დამთავრდა, ვითომც არაფერი ყოფილაო. მაინც რა მოხდა-მეთქი? — არაფერი, ჩვენ, უბრალოდ, არ ვიცნობთ ერთმანეთს, ისევე როგორც არც უწინ ვიცნობდითო. „კი მაგრამ, ხომ იყო, ხომ იქ იყო?“ — არა და არ ვეშვებოდი იანს. „იყო...“—

„ილაპარაკეთ?“ — „მხოლოდ მივესალმეთ ერთმანეთს“.—„მერე?“— „მერე ჩვენ-ჩვენი ანგარიში წავიკითხეთ, ეგ არის და ეგ!..“

იანი ცუდ გუნებაზე არ ჩანდა, ეტყობა, გაუარა სიყვარულის სნებამ. ჩვენი დიდი ბელადი თავმჯდომარე მაო გვასწავლის: „პროლეტარებო, იმისთვის, რათა გაათავისუფლოთ მსოფლიო, ჯერ თავად გათავისუფლდით!“ — თქვა იანმა და ცხვირზე წკიპურტი [illegible]. რაღაც კარგი საპნის სუნი უდიოდა, თურმე შტაბში მათთვის აბანო გაუმართავთ — ისინი ხომ როგორც წესი, ასე თაფლავდნენ პარტიულ ხელმძღვანელობას. იანი ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, თქვა, რომ მალე დატოვებდა ჩვენს რაზმს.

თვალები დავხუჭე და გავინაბე. დიდხანს ვიწექით ერთმანეთს ჩახუტებულები. თავი ისე გვეჭირა, ვითომც არაფერი გვაწუხებდა, რაც შეგვეძლო თავს ვიმხნევებდით. ბოლოს მითხრა, რომ მას სამუშაოდ შორეულ ოცდამეათე რაზმში აგზავნიდნენ. იმ რაზმში რვაასი ახალგაზრდა მებრძოლია, მეთაური და პარტმდივანი სჭირდებათო. ვკითხე, რატომ მაინცდამაინც შენ გაგზავნიან და არა ლუს-მეთქი? ბრძანებაა, მე ხომ ჩემს თავს არ ვეკუთვნიო. დავინტერესდი რამდენად შორს იყო ის ოცდამეათე რაზმი. ძალიან შორსაა, — მიპასუხა. ახლა ის ვკითხე, როგორი ნოყიერი მიწა იყო. აღმოჩნდა, რომ გაცილებით ცუდი, ვიდრე აქ, ვინაიდან ზღვასთან უფრო ახლოს იყო. ვკითხე, უნდოდა თუ არა ოცდამეათე ასეულში გადასვლა, რაზეც ასე მიპასუხა: მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ, იმ მიწის ათვისების დიდი სურვილით ვიყო შეპყრობილი, თუმცა არც ის მესმის, ასე რატომ ვყოყმანობ, ალბათ შენი დატოვება არ მინდაო. მერე სევდიანად გაიღიმა და ერთი ასეთი ანდაზა გაიხსენა: „სტუმარს ჯერ კარის ზღურბლზე არ გადაებიჯებინა, ჩაი უკვე გაციებული იყო“. მე კი ვუთხარი, რომ ჩემი ჩაი არასოდეს გაცივდებოდა.

იმ დღეს ბრინჯის მოსავალი ავიღეთ. ლუმ სინათლე ადრე გამორთო და მალე მთელი ოთახი მისმა ხვრინვამ ააგსო. მთვარის შუქით განათებულ კედელს გავყურებდი, რომ იანი ლოყაზე მომეფერა და, განშორების ტკივილს უნდა გავუძლოთო, მითხრა. ცრემლი ყელში მომეგბჯინა. რატომღაც მწვანეკა და მისი სათვალიანი სატრფო გამახსენდა, გამახსენდა მათი სიყვარული, ის, თუ რა ფასად დაუჯდათ ეს სიყვარული, და ხმამაღლა ავქვითინდი. იანი მომეხვია და ჩამჩურჩულა, შენ უნდა იცოდე, რამხელა ბედნიერება მომანიჭეო. ვკითხე, ჩემში ლეოპარდს ხედავ-მეთქი? არავითარი ლეოპარდი არ არსებობს, ლეოპარდი შენი გამოგონილიაო. კი მაგრამ, ეს ხომ შენი დავალება იყო-მეთქი? ჰოდა, რა გინდა, მშვენივრად შეასრულეო. ვკითხე, თუ იცი, რას ვაკეთებთ, რას ჩავდივართ-მეთქი? მაოს ციტატების გარდა არაფერი ვიცი. ვთხოვე ამ შემთხვევისთვის შესაფერი ციტატა გაეხსენებინა. იმანაც არ დააყოვნა და სულმოუთქმელად დაიწყო: „მხოლოდ ბრძოლით სწავლობს ბრძოლას ადამიანი...“

ვუთხარი, რომ თვალები ცრემლით მქონდა სავსე, რომ ვერ ვხედავდი მას. ის კი — ახლა მაინც დაივიწყე ჩემი წასვლის ამბავი, დამიჯერე და დაივიწყე. როცა მიჯერებდი, ყოველთვის ყველაფერი კარგად იყოო, — ჩურჩულებდა.

ᲥᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗᲔᲑᲘ

ოცდამეათე რაზმში იანი არ წასულა სამუშაოდ. იმიტ გამო, რომ ასეული სასმელი წყლით ვერ უზრუნველყვეს, იანის გადაყვანის ბრძანება შეიცვალა. ამ ამბის გაგებისას — გაუმარჯოს თავმჯდომარე მაოსო! — ვიყვირეთ ორივემ ერთად. ლუ იმედგაცრუებული იყო, ვინაიდან ეს იმას ნიშნავდა, რომ იანის ადგილს ვერ დაიკავებდა.

იდგა მაისის თვე. ამოიწვერა შემოდგომის ნათესი. ბოლო ხუთი თვის მანძილზე შტაბი გამუდმებით პოლიტმუშაობის გაძლიერებას ითხოვდა ასეულში. მხოლოდ მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის საფუძველზე შეიძლება პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის ზრდა, ეკონომიკის წარმატების გასაღები სწორედ ეს არისო. ინსტრუქცია ლუმ ბოლომდე ხმამაღლა ჩაიკითხა და დასძინა, რომ თითოეული ვალდებული იყო თვითკრიტიკით გამოსულიყო კრებაზე. ამგვარ კრებებზე ლუ პირდაპირ წყობიდან გამოდიოდა, ვინაიდან დამსწრეთა ორი მესამედი, უბრალოდ, იჯდა და თვლემდა. „ჩვენს რიგებში კლასობრივი მტერი შემოიპარა, — განაცხადა ბოლოს ლუმ, — ჩვენ ვალდებულები ვართ ღრმად ჩავწვდეთ კლასობრივი ბრძოლის კანონებს, მაშინ ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს".

იმისათვის, რათა მებრძოლები აეღელვებინა უფრო ბევჯითად ემრომათ, ლუმ ბრძანა: სამუშაო საათებში საჭიროებისათვის საქმეს მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა მოსწყვეტოდნენ, ისიც მხოლოდ ხუთ-ხუთი წუთით. თითოეული, ვინც ამ წესს არ დაიცავდა, მკაცრად დაისჯებოდა. მხოლოდ მცონარა ვირები გარბიან საჭიროებისათვის ხშირ-ხშირად, — განაცხადა ლუმ, — მაგრამ ცემითაც სწორედ იმათ ასიკვდილებენო.

ლუმ იანს სთხოვა მებრძოლებისათვის მამობილიზებელი პოლიტსაუბარი ჩაეტარებინა. იანი მწყობრის წინ დადგა და ასეულს მიმართა: „თუ შეიძლება გაიმეორეთ ჩემთან ერთად: „თავმჯდომარე მაო გვასწავლის — ვენდოთ ადამიანებს!" ისე რომ, მთელი კრება სულ რაღაც ერთ წუთში ჩაეტია. „უკარგის ფუნდამენტზე სახლს ვერ ააშენებ!" — თქვა ლუმ. „რამე ისე არ იყო?" — იკითხა იანმა. ლუმ ფანქარი რვეულში ჩადო და დაიწყო: „ამხანაგო პარტმდივანო, ასე მგონია, ტვინში ტარაკანები მოგიმრავლდნენ!" — „აჰ, აი თურმე რა! — არ დაუთმო იანმა, — ტარაკანებიო! მაგრამ იცი, საიდან მოდიან ისინი? საიდან და შენგან! მთელი შენი გულ-მუცელი ტარაკანებით არის სავსე! ახლა დაიმშნენ და ყოველი ხვრელიდან მოძვრებიან — თვალებიდან, ცხვირიდან, ყურებიდან, უკანალიდანაც კი. იმის გამო, რომ გარშემომყოფთათვის საშიში ხარ, არც სახლი და არც ფუნდამენტი შენი განსასჯელი არ არის!" ამ სიტყვებით იანი გატრიალდა და წავიდა. ლუ თავლაფდასხმულივით დარჩა.

მართალია, ჩემი წუწუნი ცივი ამინდების შესახებ ახლა უკვე ნაკლებდამაჯერებელი იყო, მაგრამ მე და იანი ისევ ერთ საწოლში განვაგრძობდით წოლას. ჩვენ ეს როგორღაც ჩვეულებად ვექცა. ლუს ატანა უკვე შეუძლებელი გახდა. გვეუბნებოდა, რომ მე და იანი კოლექტივს დავცილდით. პარტიის კრებაზე იანი თვითდისციპლინის მუხუსტებასა და რევიზიონიზმისაკენ საშიშ გადახრაში, მასებისგან მოწყვეტასა და ფრაქციონიზმში დაადანაშაულა. რაზეც იანმა ასე მითხრა, ამ „პოლიტიკური არარაობისათვის" ყურადღება არ მიმექცია.

ერთხელაც აღმოვაჩინე, რომ ვიღაც ჩემს ლოგინს ქექავდა. მერე ისიც გამახსენდა, რომ ღამღამობით ლუს ხვრინვა აღარ ისმოდა და გუნებაში გავიფიქრე, ნეტავი ხომ არ გვისმენს-მეთქი. მეორე დღეს ლუმ სასაუბროდ გამომიძახა, დაინტერესდა, რა გვინდოდა, რატომ დავდიოდით მე და იანი აგურის ქარხნის ეზოში. ერხუზე ვუკრავდით-მეთქი, — ვუპასუხე. მეტი არაფერი? — მკითხა. მაგრამ მისი გამომეტყველებით მივხვდი, რომ ჩემი ერთი სიტყვაც არ სჯეროდა. შენზეც და იანზეც კოლექტივისაგან საჩივრები შემოდისო, — განაცხადა. სიტყვა „კოლექტივი" ძალიან უყვარდა, ამ სიტყვის უკან ამოფარება მისთვის ძალიან მოსახერხებელი იყო. თავი ისე დავიჭირე, ვითომ არაფრის ბაიბურში არ ვიყავი, მოვუბოდიშე, ვუთხარი, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რაზე მელაპარაკებოდა. ის კი ჯიუტად იმეორებდა, რომ ყველაფერი ძალიანაც ნათელი და გასაგები იყო. ბოლოს მკითხა, შენ და იანს ტანსაცმლის გაცვლა რაში დაგჭირდათო? აქ კი ზუსტად მოარტყა ლუმ მიზანში: ცოტა რომ გავრანჭულიყავით, მე და იანი ხანდახან მართლა ვცვლიდით კაბებს, ზოგჯერ იანის იმ განიერ ქამარსაც ვიკეთებდი. კი მაგრამ, ეს ხომ აკრძალული არ არის-მეთქი? ლუმ ამაზე არაფერი მიპასუხა, ჩაიცინა და წავიდა. მთელი მისი გარეგნობა თითქოს ამბობდა: ვნახოთ, აღდგომა და ხვალაო! იმავე ღამეს სასადილოს კედელზე ახალი ლოზუნგი გაჩნდა: „იყავ მზად კლასობრივი ბრძოლის ახალი გამწვავებისათვის!" იმ საღამოს კრებაზე ლუმ სიტყვა წარმოთქვა „პროლეტარიატის რიგებში მესაბოტაჟეების შელწევის" შესახებ. „ჩვენი მებრძოლები ნებას არ მისცემენ ერთ საზიზღარ ვირთხას მთელი პროლეტარიატის ფაფა წაბილწოს!" — თქვა მან და ამ აზრს ხაზი განსაკუთრებულად გაუსვა.

იმ ღამეს საბოილეროსთან, მე და იანი დიდხანს ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ გაგვეფანტა ლუს ეჭვები. იანმა შემომთავაზა, აღარ დავწოლილიყავით ერთ საწოლში. „ლუმ შტაბიდან ღამით საძინებლების შემოწმების უფლება მიიღო, გამიგე, ეს ხუმრობა არ არის!" — თქვა იანმა. კარგი, ეს ღამე უკანასკნელი იყოს-მეთქი, ვუპასუხე.

ღამით ძილში ვილაცის სუნთქვა ვიგრძენი. თვალი ოდნავ გავახილე და ადამიანის გაურკვეველი ლანდი შევნიშნე. როცა მივხვდი, რომ ლუ იყო, თავზარი დამეცა. კოლოების ბადე აეწია და გვაკვირდებოდა. გულმა გაშმაგებული ცემა დამიწყო, მაგრამ შევეცადე, თავი ხელში ამეყვანა. ისეთი სახე მივიღე, ვითომ ღრმად მეძინა, მაგრამ შიშმა ამიტანა. ვგრძნობდი, ლუ სუნთქვას როგორ იკავებდა. შეშინებული ზეწარს ჩავებღაუჭე და ლოცვა დავიწყე, თუმცა არ ვიცი, ვის და რას შე-

ვთხოვდი. ლუ ჩემკენ დაიხარა და კისერზე შემეხო. იანს ღრმად ეძინა, მერე ძილში გვერდზე გადაბრუნდა და კედლისკენ მიიყუჟა. ლუს ჩრდილი ჭერს შეეფინა. მე დამბლადაცემულივით ვიწექი, როცა თვალის გახელა გავბედე, გვერდით უკვე აღარავინ იყო.

ლუ, როგორც იქნა, მომეშვა, თავს აღარ მაბეზრებდა მეკითხვებით. მაგრამ ამის შემდეგ, სადაც არ უნდა წავსულიყავი, ან თვითონ დამყვებოდა კვალდაკვალ, ან რომელიმე მისი ერთგული ხელქვეითი. მართალია, თავს მე მესხმოდა, მაგრამ მისი სამიზნე იანი იყო. იანი ახლა კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით მუშაობდა და რაც შეეძლო მალავდა საკუთარ გრძნობებს. ლუსაც აიძულებდა ქვა მასთან ერთად ეკოდა, თვითონაც არაქათი ჰქონდა გამოცლილი, მაგრამ ლუც გველთევზასავით იკლაკნებოდა, თუმცა კრინტსაც არ ძრავდა, არ ბუზღუნებდა; დარწმუნებული, რომ მისი გამარჯვების დღე შორს არ იყო, ყველაფერ ამას ღირსეულად იტანდა, თუმცა რამოდენიმეჯერ შევნიშნე, საღამოობით კითხვისას ჩუმად როგორ ტიროდა. „იცი, ჩემთვის სულერთია, გამგმირავენ თუ ამკუწავენ, — მითხრა ერთხელაც თავის რვეულს წუთით მოწყვეტილმა ნაძალადევი ღიმილით, — მთავარია გწამდეს!..“

სამი კვირის შემდეგ, ერთხელაც, როცა ოთახში არავინ იყო, იანს ვთხოვე, თავი დაენებებინა ლუსათვის. კუთხეში ნუ იმწყვდევ, გაიხსენე, როცა გამოსავალი არა აქვს, ძაღლს შეუძლია კედელს გადაევლოს-მეთქი. მაგრამ იანმა — ეგ ხელისუფლებისაკენ ისწრაფის, ჩემი გადაგდება უნდა, ომი გამომიცხადა, კარგად იცის, რომ შენი წყენინება ჩემი წყენინებაა, — თქვა და დასძინა: ამ ორი კვირის წინ ლუმ გაბედა და უარყო ჩემი რეკომენდაცია შენი პარტიაში მიღების შესახებ, ეშინია, ვაითუ ვეფხვს ფრთები გამოესხას, შენ კი ჩემი ფრთები ხარ, ხომ გესმისო? — მიმტკიცებდა.

ვუთხარი, რომ სულაც არ ვესწრაფოდი პარტიაში შესვლას. „მაგრამ ეს აუცილებელია, ვინაიდან სწორედ პარტიის წევრობაა შენი იარაღი საკუთარი მომავლისათვის ბრძოლაში“, — არ დამითმო იანმა. კი მაგრამ, როგორ გინდა გადაარწმუნო-მეთქი? — ვკითხე. როგორ? როგორ და, თუ მირტყამენ, ხურდას ვუბრუნებ, — გადაასხვაფერა მაოს სიტყვები იანმა, — შტაბში მითხრეს, რომ ლუს დაწინაურებას უპირებენ, მაგრამ მე მას ისევე მოვექეცი, როგორც შენ მოგექცა, ფეხქვეშ მიწა გამოვაცალე! ვნახოთ, როგორ დააწინაურებენ!“ ის ხომ შენ თვალის დასანახად შეგიძულებს-მეთქი! — შევძრწუნდი. მიმიფურთხებია, განა თვითონ ლუმაც კუთხეში არ მიმიმწყვდიაო! ყველაფერი ბურუსში ჩაინთქა, ბალახი ნამით იყო დაცვარული. ვუთხარი, რომ დავიღალე ცხოვრებით, რომ თავს იმ ტყვიასავით ვგრძნობ, რომელსაც თოფიდან სადაცაა გაისვრიან. ამაზე იანმა თავდაჯერებით მიპასუხა: „ჯობია იბრძოლო, ვიდრე ასე უაზროდ დაიკარგო! რახან ასე უკულმართ დროს დავიბადეთ და უკან, დედის საშოში ვერ დავბრუნდებით, სხვა გზა არ არის, უნდა ვიბრძოლოთ!“

დადგა გაზაფხულის დღესასწაულის დღეები. რაზმის მებრძოლებისათვის მაგალითი რომ მიგვეცა, მე და იანმა გადავწყვიტეთ, დღესასწაულის დღეებში გვემორიგევა, თან ეს ერთად ყოფნის საშუალებასაც მოგვცემდა. მინდორში ყვავილოვანი კომბოსტო მოვაგროვეთ, შესანიშნავი წვნიანი მოვხარშეთ და გვიან საღამოს სასეირნოდ გავწიეთ. დიდხანს, დიდხანს ვისეირნეთ. თავს სრულიად მშვიდად ვგრძნობდი. ხანდახან იანს შევხედავდი, რომლის პროფილიც მკვეთრად იკვეთებოდა ჩამუქებული ცის ფონზე. მე მას რატომღაც რომელიღაც უძლიერეს ქალღმერთს ვამსგავსებდი. დიდხანს დავეხეტებოდით გვერდიგვერდ, მხარი-მხარს მიდებული. იგი დაფიქრებული გასცქეროდა სივრცეს. ცივი ჰაერი ხალისს და სიმხნევეს გვმატებდა. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. იანი ახლა ალბათ მომავალზე ფიქრობდა, მე კი ეს ნაკლებად მაღელვებდა — რა შეიძლება იცოდე მომავალზე? ანდა შეგწევს კი უნარი წინასწარ რაიმის განჭვრეტის და გადაწყვეტის? რევოლუციის შენ მხოლოდ ერთი პატარა ჭანჭიკი ხარ და ეს ასე იქნება სიკვდილამდე.

იანმა ხელზე ხელი მომკიდა და ორივენი მიწაზე დავსხედით. სევდამ და სიხარულმა ერთდროულად შეგვიპყრო. შინ რომ დავბრუნდით, ლუმ გამოგვიცხადა, ერთის მორიგეობა საკმარისია, ერთ-ერთს შეგიძლიათ თავისუფალი იყოთო. ცხადია, ორივე გულგატეხილი დავრჩით, მაგრამ შეკამათება ვერ გავბედეთ.

ბრძოლა ჩვენსა და ლუს შორის სულ უფრო შეუპოვარი ხდებოდა. ერთმანეთს ისე ვუძალიანდებოდით, როგორც გაყინული მიწა თოხს. ლუ თვალს არ გვაცილებდა, ნამდვილი შეშლილივით იყო, თუმცა მის მიერ დაგებულ მახეს მუდამ წარმატებით ვუსხლტებოდით. დღისით მარცვლეულს ვარჩევდით, ბამბას ვახარისხებდით, ღამით კი ვიწექით ჩვენ-ჩვენ ლოგინებში და ვოცნებობდით. ერთხელაც ზღურბლზე ლუს ჩრდილი შევნიშნე — იდგა და ჩუმად გვისმენდა. მე ეს იანს ვანიშნე, იანმა ჯოხს ხელი წამოავლო და ვითომ ვირთხა უნდა გაეგდო, კარი ყურთამდე გააღო. კოღოებს ვხოცავო, — თქვა ლუმ და სულელურად გაიცინა.

ერთხელ, როცა ლუ მინდორში სამუშაოდ იყო წასული, იანმა მის საყვარელ თავის ქალას ხელი დაავლო და ნაკელის ორმოში გადაუძახა. ლუმ თავისი სათაყვანო თავის ქალა ადგილზე რომ ვერ ნახა, მართალია, არაფერი უთქვამს, მაგრამ ამ საშინელი დანაშაულის თარიღი კარზე თვალებანთებულმა დანით ამოტვიფრა. იანმა არაფერი აღიარა, მე კი იმ წარწერას რომ ვუყურებდი, ღამის ფიზიკურად ვგრძნობდი ლუს გულში ჩაბუდებული სიძულვილის საშინელ ძალას. ერთხელაც ღამით გავიგონე, ლუ ძილში როგორ ტიროდა.

გაზაფხულის დღესასწაულის შემდეგ ჩვენ ყოველდღე ბამბის ნარგავებს ვამუშავებდით. აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვიდან წამოსულ ქარს ქვიშის ღრუბლები მოეჭონდა, წვეტიანი ქვიშის ნამცეცები სახეებს გვესერავდა. ყინვებზე ზოგიერთებს თირკმელებმა დაუწყო ტკივილი. დილდილობით მილებში წყალი გაყინული იყო. გარდა ამისა, ბალლინჯო-

ები ლამის სულს გვხდიდნენ. ლუს მოწოდებამ — მეგობრულად, ერთი ოჯახივით გვეცხოვრა, გამოძახილი ვერ პოვა. რაზმის წევრები უკვე ბუზღუნებდნენ. იანი კი დადარაჯებული იყო, ლუ შეცდომას როდის დაუშვებდა, იმედი ჰქონდა, მეტოქეს რაზმიდან მოიშორებდა. ლუმ ეს იცოდა და ოცნებობდა, როგორმე თავად დაესწრო მისთვის.

მე და იანი დიდი ხანია უკვე აღარ დავდიოდით ბუერის ქარხნის ეზოში, ვინაიდან შეიძლებოდა ლუს იქ თავისი მაძებრები დაედგინებინა. იანი პირდაპირ ჩამოხმა, ხელქვეითებს ძველებურად ისევ ჩხუბითა და გინებით იკლებდა, ვილაცებს წამდაუწუმ სჯიდა. შტაბში კი მებრძოლების არაკეთილსინდისიერებით განრისხებულ ხელმძღვანელობას ვილაც-ვილაცებისთვის სასიკვდილო განაჩენიც კი გამოჰქონდა. ამის შესახებ კედელზე გაკრული ბრძანებები და ასეთი მოწოდებები იუწყებოდა: „მოვკლათ წიწილა, რათა შევაშინოთ მაიმუნი!“

ერთ დღესაც იანი მეუბნება, ჯადვარიც ლუს ერთ-ერთი ჯაშუშთაგანი გახდა და ჩვენ გვითვალთვალებსო, მაგრამ არ დავუჯერე, ვინაიდან ჯადვარს წესიერ ადამიანად ვთვლიდი. იანი კი მარწმუნებდა, ჩვენს რაზმში პატიოსნებაზე თავს უკვე ველარავინ დასდებს, აქ ყველანი საკვების მაძიებელი ძაღლებივით არიან, ოღონდ კი ხელმძღვანელობის წყალობა დაიმსახურონ, ყველა ყველაფრისთვის მზად არის, ლუმ კი ოღლ საშუშაოზე რატომღაც სწორედ ჯადვარი გააგზავნა. თითოეული ხის უკან მტერი გელანდება-მეთქი, — ვუთხარი. ჰო, — დამეთანხმა იანი, — მაგრამ მთელი ეს მეურნეობა, ეს ჩვენი „წითელი ალი“ ხომ ნამდვილი საგიჟეთიაო!

ერთხელ დილით, როცა ჩემს ოცეულთან ერთად ბამბის ნათესში ვმუშაობდი, მინდვრის ბოლოს თეთრი მიკროავტობუსი გაჩერდა. ჩვენს მეურნეობაში მსგავსი რამ არასოდეს ყოფილა. მანქანიდან სამხედრო ლაბადიანი კარგად ჩაცმული ხალხი გადმოვიდა და ჩვენკენ გამოსწია. ახლოს რომ მოვიდნენ, თავით-ფეხამდე თვალიერება დაგვიწყეს. ბოლოს ერთ-ერთმა თითი ჩემკენ გამოიშვირა და მასთან მისვლა მიბრძანა. შუბლზე ოფლი მოვიწმინდე და მივუახლოვდი. რამდენი წლის ხარო? თვითონ ის ალბათ, ასე, ორმოცის იქნებოდა. ზუსტად რადიოს დიქტორივით ლაპარაკობდა — ოფიციალურ პეკინურ დიალექტზე. მკითხა, შტაბში როგორ უნდა მისულიყვნენ. ვილაც ქალი მათი ჯგუფიდან ჩვენს საუბარს ისმენდა და რაღაცას იწერდა. ვიდრე ვუხსნიდი, შტაბში როგორ მისულიყვნენ, ირგვლივ შემომეხვივნენ, მათვალიერებდნენ, მუმტრის თვალით მაკვირდებოდნენ. ის ორმოციოდე წლის მამაკაცი დაინტერესდა, ხელზე კოჟრები თუ მქონდა. მე მას კოჟრების მთელი ნაკრები წარმოვუდგინე — ხელებზე, მუხლებზე, წინამხარზედაც კი. ყველანი დიდი გულისყურით ათვალიერებდნენ ჩემს ნაჯაფარ ხელებსა და ბებერებს, აკვირდებოდნენ მინერალურ სასუქებში გამუდმებული ხელების რევისაგან ჩაშავებულ ფრჩხილებს. მერე იმ კაცმა ქალს რაღაც ჩასჩურჩულა და ქალმა თავის ბლოკნოტში კიდევ რაღაც ჩაწერა. ერთი წუთის შემდეგ ისინი ისევ ავტობუსში ჩასხდნენ, მაგრამ შტაბის მიმართულებით არ წასულან.

იმ სალამოს პოლიტსწავლებაზე მეცადინეობის ნაცვლად ყველა დილანდელ ვიზიტზე ჩურჩულებდა — ნეტავი ვინ იყვნენ, რა უნდოდათო? ბოლოს ერთმა ქალიშვილმა, რომლის დეიდაც კულტურის კომიტეტში მსახურობდა, აგვიხსნა, რომ მაოს მეუღლემ, ამხანაგმა ძიან ცინმა კინემატოგრაფიაში რეფორმა დაიწყო და იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკების შესარჩევად, რომლებიც კინოსამსახიობოზე სასწავლებლად გამოდგებოდნენ, მთელ ჩინეთში ასისტენტების ჯგუფები დააგზავნა. პრეტენდენტების გარეგნობას ხალხისთვის უნდა შთაეგონებინა, რომ ეს ახალგაზრდები, რომც ეწამებინათ, კომუნიზმის იდეალებს არასოდეს უღალატებდნენ. მომავალში რომელიმე მათგანს შეიძლებოდა მთავარი როლიც კი შეესრულებინა კინოში. დიდი პოლიტიკა მოითხოვს, კანდიდატები წარმოების მოწინავეებს, პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების ფრიადოსნებს შორის შეირჩესო.

ეს ახალი ამბავი იანს რომ მოვუყევი, ასე მითხრა, ეგ მხოლოდ ტყუილი ლაპარაკია, ჩვენ სილამაზისაგან ისე შორსა ვართ, როგორც მთვარე დედამიწიდან, ჩვენ მდაბიო ხალხი ვართ, მსახიობობის ისეთივე შანსი გვაქვს, როგორც ოკეანეში ხემსის პოვნისაო.

მეორე დღეს ჩვენი საძინებლის კარზე ვიღაცამ სარკე ჩამოკიდა და გოგოები ახლა სადაც არ უნდა წასულიყვნენ, საგანგებოდ ლამაზდებოდნენ. ერთ სალამოს ამ საქმიანობაში გართულს ლუსაც კი წავასწარი. ჯერ ცოტა შეცბა, მაგრამ მერე მიბრძანა, სარკე ჩამომეხსნა. იმის მომიზეზებით, რომ სარკე ჩემი არ იყო, სარკის ჩამოხსნაზე უარი ვთქვი, მაგრამ მაინც მაიძულა ჩამომეხსნა, რადგან დამემუქრა, რომ იმავე სალამოს კრებაზე ჩვენი უნებისყოფობის საკითხს განიხილავდა, რის წყალობითაც ადვილად ვექცეოდით ბურჟუაზიული გავლენის ქვეშ. მერე სარკე ასეულის ბრძანებების დაფის გვერდით ჩამოკიდა და ზედ გამაფრთხილებელი ლოზუნგი წააწერა: „მძლავრ ჯებირს ძირს პაწაწინა ჭიანჭველაც გამოუთხრის!“.. ხოლო იმ სალამოს კრებაზე საიდუმლო იდეოლოგიური დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი მნიშვნელობის შესახებ მთელი ორი საათი იმჭევრმეტყველა.

მაგრამ მისმა ამ ჭკუის სწავლებამ კინოოცნებაზე ხელი ვერავის ააღებინა. ყველანი ცდილობდნენ, რიგიანად ჩაეცვათ და რა ეშმაკობას აღარ მიმართავდნენ, შტაბში რომ მოხვედრილიყვნენ, რათა ის უჩვეულო სტუმრები ენახათ. ერთხელ მე და ჯადვარი შტაბის მაღაზიაში კონსერვირებული ბოსტნეულის საყიდლად გავგზავნეს. შტაბში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ყველანი კინოს ხალხზე ლაპარაკობდნენ. აინტერესებდათ სად წავიდნენ, სად იყვნენ ახლა. გავიგე, ვიღაცამ როგორ თქვა, მანქანით, მგონი, „ლამაზი გულის“ ქუჩაზე უნდა გაიარონო.

ჯადვარმა მკითხა, იმ ქუჩაზე ჩვენც ხომ არ წავიდეთო, და უცებ მივხვდით, რომ ყველანი სწორედ იქ აპირებდნენ წასვლას. ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ჯადვარმა დამიყოლია: „რა იცი, რა ხდება. აი ოცდამეათე რაზმიდან ერთი გოგო მაშინ აარჩიეს, კბილებს რომ იხეხავდა! მხოლოდ ის სთხოვეს, პასტა რაც შეიძლება ბევრი გამოედინა“. მართლაც, წავედით, ყველანი დიდ მოლოდინში იყვნენ, თავი კი ისე

ეჭირათ, ვითომ აქ ისე, სხვათა შორის სეირნობდნენ. და აი ნახევარი საათის შემდეგ თეთრი ავტობუსი გამოჩნდა. უცებ ყველა გაირთხა, ყველანი იდგნენ და ავტობუსს უღიმოდნენ. მეც ვიდექი და ვიღიმებოდი.

ერთი კვირის შემდეგ იანი და ლუ მეუურნეობის პარტმდივანმა შტაბში მნიშვნელოვან კრებაზე გამოიძახა. უკან რომ დაბრუნდნენ, გვითხრეს, რომ პრეტენდენტების რეგიონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ორი ქალიშვილი და ერთი ჭაბუკი შეარჩიეს. ერთ-ერთი მათგანი მე ვიყავი.

სარკეში ერთთავად საკუთარ გამოსახულებას ვაკვირდებოდი. წარმოვიდგენდი, ვითომ ეს სარკე კი არა, კინოეკრანი იყო. ვიღიმებოდი, შუბლს ვიკრავდი, გაოცებული ვიყურებოდი... მოკლედ, ნაირნაირ გამომეტყველებას ვიღებდი, რომელიც, ჩემის აზრით, მაყურებელს მოეწონებოდა. იანმა მითხრა, კონკურსზე არჩევანს შემოგთავაზებენ, ან უნდა იცეკვო, ან მაოს ლექსი უნდა თქვა ზეპირადო. გადავწყვიტე — „ვადიდებ ზამთრის ქლიავს" ვიტყვი-მეთქი. მაოს სურვილით კომუნისტური პარტიისა და წითელი არმიის სიმბოლოდ სწორედ „ზამთრის ქლიავი" („მეიჰუა") იყო შერჩეული. იანი მიყურებდა, როგორ ვემზადებოდი გამოსასვლელად და ჩემ წინ ბუდას ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა. აბა რას იტყვი, როგორია-მეთქი, როცა ვკითხე, ზუსტად საქათმიდან ცაში აფრინილი ფენიქსივითა ხარო, — მიპასუხა.

სამი დღის შემდეგ იანმა შანხაიში კონკურსზე ჩემი წაყვანის განკარგულება მიიღო, გამგზავრების წინა დღეს შუალამემდე სადღაც დაიკარგა. შინ რომ მოვიდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ფეხსაცმელი გაიძრო, ლოგინში ჩაწვა და ფარდა ჩამოაფარა. „ეი, ამხანაგო ლუ, გამორთე ეგ რაღაც ჯანდაბა სინათლე!" — იყვირა უცებ ფარდის უკნიდან. „არა, ჯერ მეცადინეობა არ დამიმთავრებია", — განაცხადა ლუმ მტკიცედ. „ხომ ხედავ, შუალამეა!" — იყვირა ისევ იანმა. ამაზე ლუ წამოდგა და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა: „მარქსიზმში ვმეცადინეობ!" — „მარქსიზმში კი არა, თუ გინდა კაპიტალიზმში იმეცადინე! ჩააქრე ეგ ოხერი სინათლე!" — არ ცხრებოდა იანი. „პირწავარდნილი ფაშისტივით იქცევი!" — თქვა ლუმ და თავის ადგილზე ისევ არხეინად დაჯდა. იანი ლოგინიდან წამოხტა, სინათლე ჩააქრო და ისევ ფარდის უკან შეძვრა. ლუმ ისევ აანთო სინათლე. „აი შე ძუკნავ!" — დაიღრიალა იანმა, თავის საყვარელ საკრავს — ერხუს ხელი დაავლო და ნათურას გაუქანა. მინამ გაიწკრიალა და ოთახში სიბნელე ჩამოწვა. „ამაზე შტაბს მოხსენებით ბარათს წარვუდგენ", — გაისმა ლუს მუქარა სიბნელეში. მე თაგვივით გავინაბე. ან კი რა უნდა მეთქვა! ასე ხომ ჩემმა გამგზავრებამ გააცოფა იანი! მას შემდეგ რაც კომუნიზმზე რწმენა შეერყა, უწინდელივით მშვიდი და დამთმობი აღარ იყო.

დილით უფრო დამშვიდებული მეჩვენა. მთელი თავისი დანაზოგი მაქარი ფაფაში ჩამიყარა. ლუ თვალყურს ადევნებდა, ჩემს წასაყვანად იანმა ტრაქტორი როგორ გამოიყვანა. რაზმის სხვა წევრებიც ჩუმად გვადევნებდნენ თვალს. ჩემი წასვლის ნებართვას შტაბში ბეჭედი დაარტყეს და ჩვენც მხოლოდ ამის შემდეგ გავუდექით გზას შანხაისკენ.

მეურნეობის სატვირთო მანქანის ძარაზე მე და იანი გვერდიგვერდ ვისხედით. ქალაქს რომ მივუახლოვდით, გაწვიმდა. ვცდილობდი არ მეფიქრა მომავალზე, იმაზე, რომ შეიძლებოდა მე და ის უკანასკნელად ვხედავდით ერთმანეთს. იანმა საწვიმარი ამოიღო და გადმაფარა, მაგრამ როცა ვცადე, საწვიმარი მისთვისაც დამეფარებინა, გვერდზე გაიწია. ხელზე ხელი მოვუჭირე და — შეიძლება მეორე ტურიც ვერც კი გავიდე-მეთქი, — ვუთხარი. აბა ერთი გაბედე! ამით შენ მე სულში ჩაბაფურთხებო, — მიპასუხა.

ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი ისეთ დიდებულ, სადღესასწაულო ჭიშკარს, შანხაის კინოსტუდიას რომ ჰქონდა. ამ ჭიშკარში რომ შევედით, ჩვენ წინ ყვავილების ხალიჩა გაიშალა, რომლის ორივე მხარეს ორი მეწამული შენობა იყო აღმართული. მე და იანმა გავიარეთ პავილიონი, სადაც ოკეანე იყო დახატული, შიგ ფიცრის ფლოტი დაცურავდა. მერე გზა დაგვებნა და თავი ნახევრად დანგრეული ხიდის მახლობლად ცეცხლმოდებულ სახლებს შორის ამოვყავით. ყველგან ტრანშეები იყო გათხრილი, იდგა ხელოვნური ხეები და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩინურ ან იაპონურ ფორმაში ჩაცმულ ჯარისკაცთა მანეკენები ირეოდნენ. იწვოდა იაპონური დროშა. ვილაც მცველმა დაგვიყვირა, მაგრამ როცა მას ჩვენი ოფიციალური მოწვევის ქაღალდი ვაჩვენეთ, იმ დარბაზისკენ წაგვიძღვა, სადაც უკვე უამრავ ჭაბუკსა და ქალიშვილს მოეყარა თავი. ჩვენი ადგილები რომ გვიჩვენეს და დავსხედით, აქეთ-იქით ყურება დავიწყე. სცენის თავზე წითლად ანათებდა ლოზუნგი: „მთელი ძალები პარტიის კულტურის ასამაღლებლად!“ სცენის აქეთ-იქით ორი ვერტიკალურად დაკიდული ლოზუნგიც იყო: „წინ ამხანაგი ძიან ცინი მიგვიძღვის!“ და „გაუმარჯოს მაოს რევოლუციურ ხაზს!..“ სცენის წინ გრძელი, თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა, მაგიდასთან ჟიურის წევრები იყვნენ დაბრძანებულები.

ჩემ გვერდით მჯდომმა ვიღაც არაჩვეულებრივად ლამაზმა გოგომ, რომლის მსგავსი სიცოცხლეში არასოდეს მენახა, მითხრა, რომ ჩვენს მეზობლად მდებარე მეურნეობა „წითელი ვარსკვლავიდან“ იყო. ვარდის კოკორივით წითელი, ხასხასა ტუჩები, კოხტა პირი ჩემს ტუჩებს, ჩემს გომბეშოსავით უშველებელ პირს როდი უგავდა. არც ქვედა კაბაში გამონაკვთული მრგვალი თეძოები მიუგავდა ჩემს ფიცარივით ჩამოთლილ თეძოებს. მისი სახელი რომ გამოაცხადეს, სცენაზე მშვიდად ავიდა და თავისი ნომერი შეასრულა — ცეკვისა და მხატვრული კითხვის მონტაჟი. ისე გულწრფელად იცინოდა და ტიროდა, ლამის სუნთქვა შემეკრა. ყურები მიბზუოდა, თვალებში ერთთავად დამსწრეთა და ჟიურის წევრთა სახეები მიტრიალებდა... ვერ გამეგო, სად ვიყავი. მსახიობის პროფესიაზე წარმოდგენაც არ მქონდა, ის კი არა, პეკინურ გამოთქმასაც ცუდად ვფლობდი. ჩემი სახელი რომ გავიგე, ავფორიაქდი, ნაცვლად სცენაზე ასვლისა, შუბლით წინა სავარძლის ზურგს მივეყრდენი და თავი ხელებში წავრგე. იანმა ნჯღრევა დამიწყო, მაგრამ ისე ვიყავი გაშეშებული, განძრევა ვერ შევძელი. წამყვანმა ერთხელ კიდევ

ცამოაცხადა ჩემი სახელი. ლამის გული წამივიდა, მუხლები მეკვეთებოდა. გაცეცხლებულმა იანმა პირდაპირ ყურში ჩამძახა: „ჰა, აწიე ეგ შენი ოხერი უკანალი! ეს ხომ ჯოჯოხეთიდან შენი თავის დაღწევის ერთადერთი შანსია! მრცხვენია შენს მაგივრად...“ უცებ ადგილიდან წამოვხტი, სახეზე ოფლი მოვიწმინდე, შინელი დავაგდე და სცენაზე ავვარდი.

ჟიურის წევრებს სახეზე ვერაფერს შეატყობდი, ისხდნენ და თვალით მზომავდნენ. ერთმა მელოტმა კაცმა სათვალეც კი მოიხსნა. ის იყო, აირი გავაღე, რომ ხმა წამერთვა, ჩემს თავში სრული სიცარიელე სუფევდა, ერთი სიტყვაც ვერ გამეხსენებინა. წითლად სახეავარვარებული იანი ადგილიდან წამოდგა. და აი, ‘ლექსი თავისით გადმოიღვარა ჩემი ბაგეებიდან — თავმჯდომარე მაოს ლექსი. მე თითქმის ვყვიროდი: „ვადიდებ ზამთრის ქლიავს!“ ბგერები საბრძოლო საყვირის ბობოქარი მოწოდებასავით ეღერდა. იანი იღიმებოდა ‘და ჩურჩულით ჩემთან ერთად იმეორებდა:

წვიმამ და ქარმა განდევნა გაზაფხული,
თოვლმა კი უკანვე მოაბრუნა,
მერე ერთ ღამეში ყინულის ლოლოები
მთათა ლავგარდანებს შემოაწნა...
მაგრამ ქლიავის პატარა ხეები
ბუნების ‘ორომტრიალში არ ერთვიან,
არიან მხოლოდ მაცნეები გაზაფხულისა, —
ყვავილებით ავარაყებენ,
თეთრ ფარდაგად ეფინებიან
შემოჯარულ მთათა ფერდობებს...

იანი ნაზად შემომყურებდა და უკან მთელი გზა მეურნეობამდე ჩემს ხელს ხელიდან არ უშვებდა.

მართალია, კონკურსის შედეგები ჯერ გამოცხადებული არ იყო, მაგრამ რაზმში ყველანი როგორლაც ჩამომშორდნენ, მე არა მხოლოდ მათ გულგრილობას, მტრულ განწყობასაც კი ვგრძნობდი. ორი თვე რომ გავიდა, უკვე მეგონა, რომ ჩავიჭერი. და აი ერთხელაც იანმა შტაბიდან მეორე ტურში ჩემი გასვლის ამბავი მოიტანა. მშობლები გახარებულები იყვნენ, რომ შემეძლო რამოდენიმე დღე ოჯახში გამეტარებინა. მამა მარწმუნებდა, წარმატების მაინცდამაინც დიდი იმედი არ მქონოდა. თავის ასაკთან შედარებით დედაც და მამაც გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდნენ, ისინი ძნელად ეგუებოდნენ ბოლო წლებში არსებულ ვითარებას. მამა სულიერად გატეხილი ჩანდა, იგი უკვე აღარ იყო ის თავის თავში დაჯერებული ასტრონომი, რომელმაც საკუთარ შვილს მისთვის საამაყო სახელი — ვარსკვლავთმფრენი დაარქვა. ინსტიტუტის პარტმდივნის განსაკუთრებულმა თავგამოდებამ პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარა, კაცი ნიადაგ თაგვის კუდივით კანკალებდა.

კონკურსის შემდეგ ისევ მეურნეობაში დავბრუნდი, მაგრამ კონკურსზე კიდევ სამჯერ მომიწია გამგზავრება. იმაზე, თუ რა მელოდა, ვცდილობდი არ მეფიქრა. იანი კი ლამის თავს იკლავდა მუშაობით.

ლაპარაკით იშვიათად მელაპარაკებოდა, მაგრამ როცა დაილაპარაკებდა, მის ხმაში საოცარი დაღლილობა იგრძნობოდა. მე კი რაიმის სათქმელად სიტყვას ვერ ვპოულობდი. ჩემი განცდების გაზიარება მისთვის არც მსურდა და არც შემეძლო.

1976 წლის ადრეულ გაზაფხულზე კონკურსის დასკვნითი ტურის შემდეგ შანხაის სტუდიაში გამაგზავნეს, რათა სპეციალურ კლასში ჩემი სწავლის უნარი და ნიჭი შეეფასებინათ. ბევრ პრეტენდენტს, მათ შორის ისეთ მომხიბვლელ ქალიშვილსაც, როგორიც ის წითელტუჩებიანი გოგო იყო, უარი უთხრეს და მხოლოდ ისინი დატოვეს, ვისაც სამსახიობო მონაცემები აღმოაჩნდა. შემდეგში მითხრეს, ძიან ცინს თურმე „კაპიტალისტურ მორჩს სოციალისტური ბალახი" ერჩია. და აი, როგორც აღმოჩნდა, ჟიურიმ მეც სწორედ ამ ნიშნით ამირჩია — არც ისე ნიჭიერია, მაგრამ კეთილსაიმედოაო.

კლასში პლასტიკატის პაკეტი დამაჭერინეს: აბა, ისე ასწიე, თითქოს ქვებით იყოს სავსეო. მითხრეს, რომ მართალია თანდაყოლილი ნიჭი არა (აბა საიდან უნდა მქონოდა, როცა ოჯახში მსახიობი არასოდეს გვყოლია!), მაგრამ კარგი ათვისების უნარი მაქვს. მერე წყლის დალევა დამავალეს, თუმცა მასწავლებელმა მაშინვე შემაჩერა, „არა, არა!.. ვანა ასე სვამენ? ჯერ ერთი, პროლეტარი სამი თითით ფინჯანს არასოდეს აიღებს, მეორეც, ყლუპ-ყლუპად კი არ დალევს, თითქოს ერთი ვილაც ბურჟუა იყოს, არამედ სულმოუთქმელად, თან პირს სახელოთი მოიწმენდს!" სტუდიაში ერთხელ კიდევ შეამოწმეს ჩემი პირადი საქმე, ანუ ჩემი კეთილსაიმედოობა და უკან მეურნეობაში გამომიშვეს, თან გამომიცხადეს, რომ მიღებული ვიყავი.

ჯადვარს ეს ახალი ამბავი რომ შევატყობინე, ასე მითხრა, ხმა დადის, შენი და იანის ურთიერთობის გამოსაკვლევად შტაბში კომისიაა დანიშნული, კომისიას ლუ უხელმძღვანელებსო. ამ ამბის დასაზუსტებლად მაშინვე იანისკენ გავწიე. იანს სასოწარკვეთილებას აღარაფერი უკლდა. ასე მითხრა, ლუმ შტაბში საიდუმლო დასმენა გადაგზავნა და მაშინვე მთელი იქაური კალიები საომრად აფუთფუთდნენ, მე კი მიბრძანეს, პარტბილეთი ჩემი ნებით დამედო მაგიდაზე. მემუქრებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის რისხვა არ აგცდებაო. „მე ყველაფერი უარვყავი, — ჩურჩულებდა იანი, — ყველაფერი! ვუთხარი, რომ შენთანაც, ჯადვართანაც და საერთოდ ყველა ამხანაგთან ერთნაირი რევოლუციური დამოკიდებულება მაქვს, და რომ შენ სწორედ ჩემი ხელმძღვანელობით მიაღწიე სერიოზულ წარმატებას, როგორც ოცეულის მეთაურმა, თან უსინდისოდ ვიფიცავდი, რა ძლიერ მიყვარს პარტია — სხვა რა გზა მქონდა, ამ საგიჟეთში აბა სხვა რა უნდა მექნა! მდივანმა უკან დაიხია, მაგრამ ლუმ მასალები კინოსტუდიაში იქაურ პარტკომიტეტს გადაუგზავნა, ეს უბედური პირდაპირ გაგიჟდა, ჯკუაზე აღარ არის!"

მალე კინოსტუდიიდან საქმეში გასარკვევად ჩამოვიდნენ. ესაუბრნენ ლუს, სამაგიეროდ არც მე და არც იანს არ შეგვხვედრიან. უმალ ჩვენი მდივანიც გამოფხიზლდა, ორი თავისი ხელქვეითი გაგზავნა და

ასეულის თითოეული წევრი გამოაკითხვინა. იანი ნერვიულობდა, რაღაცას მაინც გამოჩხრეკავენო. როცა ვკითხე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი? ჩაფიქრდა და პასუხად ეს ანდაზა მითხრა: „ეშმაკი მოხერხებულია, მაგრამ დაოსი მასზე ასჯერ მოხერხებულია“. ვიხალისე ვერ მივხვდი ამით რის თქმა სურდა, მირჩია, ჯერ ერთი, ყველაფერი უარმეყო, მეორეც, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც თვითონ მეტყოდა და, რაც მთავარია, არცერთი ზედმეტი კითხვა არ დამესვა. ჩანს, რაღაც გეგმა ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა მის შესახებ ჩემთვის ჯერჯერობით არაფერი ეთქვა.

მთელი ძალაუფლება ლუმ აიღო ხელში. იანი აქ თითქოს არც კი არსებობდა. აღარც მაოს თხზულებებს კითხულობდა, ამბობდა, მისი მოძღვრების არსს უკვე კარგად ჩავწვდიო. გაღიმებული სახით წინ და უკან დაქროდა და თან სულ მღეროდა. სადილადაც ღორის ხორცს ჭამდა და საუზმეზეც, ამიტომ კარ გვარიანადაც გასქელდა. ჩემი დაბრუნებიდან ერთი კვირის თავზე, დილით ლუმ კრება მოიწვია. მებრძოლებს უბრძანა, მაოს ლექსები მასთან ერთად გაემეორებინათ და მათ ღრმა აზრს ჩასწვდომოდნენ. ცხადია, ყველა მიუხვდა ჩანაფიქრს და მალულად იანისკენ გაიხედა — ლექსებში იმ ადამიანებს დასცინოდნენ, ვინც გადაჭარბებით აფასებს თავის შესაძლებლობებს. მაგრამ იანი, ვითომც არაფერი, სხვებთან ერთად ლექსებს სტრიქონ-სტრიქონ ხმამაღლა იმეორებდა. ლუ მწყობრის წინ ყინჩად დადიოდა და ამაყი ჟესტიკულაციით რაზმის წევრებს არიგებდა: „მე თქვენ დიდი ხანია გაფრთხილებდით და ახლაც გიმეორებთ — ბუზი მხოლოდ გატეხილ კვერცხზე ჯდება, ხომ ასეა?“ — იგი იანის წინ შეჩერდა. იანმა თავი დაუქნია. თვითკმაყოფილი ღიმილით ლუმ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და შტაბის გადაწყვეტილება წაიკითხა, სადაც ნათქვამი იყო, რომ გამოძიების დამთავრებამდე ჩვენი რაზმიდან სტუდიაში ვერავინ წავიდოდა.

მე იანს შევხედე. აშკარად მეტყობოდა, რომ იმედგაცრუებული ვიყავი. იანი კომბოსტოს ხვიტს ხრავდა და დაჭრილი ხარივით კანკალებდა. ის კი არა, ლუ დაინტერესდა კიდევაც, ასპირინი ხომ არ იყო საჭირო. მერე იანი ასეულისაკენ ნელა შეტრიალდა და იკითხა: „ცხვარი როგორ მოიქცევა, მგელი ახალი წლის შეხვედრას მასთან ერთად თუ მოისურვებს?“ რაზმის წევრებმა პასუხის გაცემა ვერ გაბედეს, ლუს კი, რომ იტყვიან, თვალებით ჭამდნენ. ლუ ხელებდამუშტული იდგა და ითხოვდა, მაოს სენტენცია — ნაგავი ცოცხის გარეშე თავისით არ გაქრება, ასეა რეაქციონერებიცო, — ყველას ერთად წარმოეთქვა. მერე ისევ იანმა მიმართა ასეულს: „ჩემს შეცდომებზე ისწავლეთ, ამხანაგებო! მე ხომ თევზის თვალები მარგალიტებად მივიჩნიე!“ — თქვა და გაიცინა. ასეულის წევრები გაჩუმებულები შეჰყურებდნენ. „ბოლოს გამარჯვებული იცინის!“ — გაიცინა ლუმაც.

ყველაფერი აირია. რამოდენიმე დღე ისე გავიდა, იანს ჩემთვის ხმა არ გაუცია. თავს საშინლად ვგრძნობდი, ჩემი შველა კი არავის შეეძლო. ამ ქვეყანაში პარტიამ რეაქციონერის 'დამღა თუ დაგასვა, სხვა გამოსავალი არ არის, უნდა გახდე კიდევაც. ის, რომ იანი ნამდვილი მებრძოლი იყო, ამაში ადრე ეჭვი არასოდეს შემპარვია. ახლა კი იმედი

გამიც'ᲮᲣᲕდა: ლუსთან მხოლოდ სიტყვიერი შეხლა-შემოხლით კმაყოფილდებოდა და მეტი არაფერი! არ ვიცოდი, რა მელონა, როგორ მოვქცეულიყავი, მე უკვე უკიდურესობამდე ვიყავი მისული.

იმ დღეებში დილიდან დაღამებამდე სალეწ მანქანაზე ვმუშაობდი, მისი რახრახისაგან ტვინი მქონდა გახვრეტილი, მაგრამ, უბედური ვარმეთქი, ამის ფიქრის თავი მაინც მქონდა. ჰაერში ხორბლის ნალეწის ბული იდგა. ხმაურის გამო მე და ჯადვარი, რომელიც ნალეწს ხვეტდა, მხოლოდ ყვირილით ვაგონებდით ერთმანეთს. თავი ისე საშინლად ამტკივდა, რომ საღამოს უკვე აღარ შემეძლო ამის გაძლება. ვწრიალებდი. ხან იქით გადავტრიალდებოდი ლოგინში, ხან აქეთ. უცებ ქვედა საწოლიდან იანის ხმა მომესმა — აგურის ქარხნის ეზოში აუცილებლად უნდა შემხვდეო. მიუხედავად იმისა, იანის ეს სიტყვები ხმადაბლა იყო სათქვამი, ლუს თავისუფლად შეეძლო მათი გაგონება. მე ვდუმდი. და აი უცებ მომეჩვენა, რომ მწვანუკასავით იანიც ჭკუიდან შეიშალა. ქვითინს ძლივს ვიკავებდი. გეხვეწები, დაიძინე, გაიგებენ-მეთქი, ვემუდარებოდი, მაგრამ, მიმიფურთხებიაო, — იანი თავისას არ იშლიდა.

შევნიშნე, ფარდა როგორ შეირხა ლუს საწოლთან. „მოხვალ? ტრაქტორს გამოვიყვან და დაგელოდები", — თქვა იანმა, კოლოების ბადე ასწია და ოთახიდან გასხლტა.

გარეთ ბნელოდა. იანს უკან თუ გავყვები, მთელი ჩემი ცხოვრება უკუღმა დატრიალდება, დარწმუნებული ვარ, ლუმ ყველაფერი გაიგომეთქი. მაგრამ რა უნდა მექნა? ტრაქტორზე ავედი თუ არა, იანმა ტრაქტორი ადგილიდან დაძრა. ტრაქტორი ისე გასრიალდა, როგორც ანკარა ლელქაშში. იანი საჭესთან ეოკეივით წელში წახრილი იჯდა და წინ მძიმედ დატვირთული ტრაქტორი რომ შემოგვხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გრეიდერი საკმაოდ ფართო იყო, გვერდით ხვლიკივით გაუძვრა.

ბნელოდა. ტრაქტორის ფარების შუქისა და ძრავის რახრახისგან თავგზა მქონდა აბნეული. იანი სიჩქარეს არ უკლებდა, ტრაქტორს ისევ გიჟივით მიაქროლებდა. მე უცებ გავცეცხლდი — „კმარა, მარტომ იგიჟე! არავითარი სურვილი არა მაქვს, შენთან ერთად ჩავძაღლდე, ან შენთან ერთად თავი ციხეში ამოვყო!.. არ მინდა მწვანუკასავით გავგიჟდე!" იანმა ამაზე ყვირილით რაღაც წყეული ლოზუნგით თუ მოწოდებით მიპასუხა: „თუ გინდა გაიმარჯვო, რიდი და გაუბედაობა უნდა მოიშორო, გაუბედავები ვერასოდეს იმარჯვებენ!" ამაზე მეც ყვირილი ავტეხე: დაგვხოცავენ, ჩვენ იმათ ვერასოდეს ვაჯობებთ, ლუ საკუთარი ხელით დაგვახრჩობს-მეთქი! „ჰო, აბა რა, ეს იმას დიდ სიამოვნებას მოჰგვრის!" — დამეთანხმა იანი.

ტრაქტორი ლერწმებს შორის მიიწევდა, ლერწმის წვრილი ფოთლები სახეში მცემდა. მე ისევ ვყვიროდი და ვყვიროდი. იანმა სულ მეოცნებე სულელი მეძახა. მერე ისიც აყვირდა: „მკვლელად გაქცევ, ოღონდ ისეთ მკვლელად, ვისაც გამარჯვების ჟინი და უნარი ექნება!" სარწყავ არხთან ისე მკვეთრად მოუხვია, კინალამ ტრაქტორიდან ფრენა-ფრენით წამოვედი. მაშინ იანმა მარჯვენა ხელი მხრებზე მაგრად

მომხვია და მარცხენით ისევ საჭის მართვა განაგრძო. უცებ სადღაც ჩვენს უკან სხვა ტრაქტორის გუგუნი გაისმა. იანმა მიბრძანა, გადავმხტარიყავი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. და უცებ ისეთი რამ მითხრა, ვიფიქრე ხომ არ მომესმა-მეთქი: „ახლავე სირბილით ასეულში დაბრუნდი, განგაში ატეხე, შენი ოცეული შეკრიბე და აგურის ქარხანაში წამოიყვანე, უთხარი, ჩხრეკა უნდა ჩავატაროთ-მეთქი, რა ჩაიფიქრე-მეთქი? — ძლივს ამოვღერღე, მან კი პასუხად მხოლოდ ეს მითხრა — ჩემი ბრძანება ხომ გაიგონეო! — და ტრაქტორიდან ჩამომაგდო.

ლერწებში ბრაგვანი მოვადინე და როცა წამოვდექი, ტრაქტორმა გვერდით სანადიროდ გამოსული მძვინვარე ვეფხვივით ჩამიქროლა. უკუნეთ სიბნელეში საჭესთან ლუ ვიცანი. აკანკალებულს ფიქრის თავი აღარ მქონდა, უბრალოდ, გავტრიალდი და გავიქეცი, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავრბოდი. მთელი ჩემი ოცეული განგაშით წამოვყარე და სამ ტრაქტორზე დავსხი, თან გაუჩერებლივ გავკიოდი: „აგურის ქარხანაში!.. აგურის ქარხანაში!..“ შაშხანა ავიღე და საკეტი გავხსენი. ნახევარ საათში ოცეული უკვე ადგილზე იყო. ჩემმა მოადგილემ მომახსენა, რომ ლერწმიანში ორი ტრაქტორი იქნა ალმოჩენილი. ბრძანების გაცემისას უცებ მივხვდი, იანს ჩაფიქრებული რა ჰქონდა და სახეზე ალმური მომედო. აგურის მწკრივებს შორის მებრძოლებმა ლანდებივით ჩაიქროლეს.

გამახსენდა, იანი ჩემთვის აქ ერხუს როგორ უკრავდა. მე წინ მივწევდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჭკუაზე ვიშლებოდი და გაბრაზებულმა რაღაც წამოვიყვირე. მებრძოლებმა ჩემი ყვირილი, როგორც ჩანს, ბრძანებად მიიღეს და გაირინდნენ. ვიდრე თავს მოვერეოდი, სიწყნარეში რაღაც ხმები შემომესმა. მომეჩვენა, რომ ვგიჟდებოდი — გარკვევით გავიგონე, ზუსტად ისე, როგორც მწვანუკაზე ნადირობის იმ ღამეს, ჩურჩული და კვნესა. მოადგილემ მკითხა, წინ ხომ არ წავიდეთო, და ბრძანებაც გაისმა. ეს მე ვიყავი, ზუსტად იანის ხმით მე გავეცი ბრძანება: „დატეხეთ თოფები!“ მებრძოლები ჩემს ამ ბრძანებაზე იქითკენ დაიძრნენ, საიდანაც სულ უფრო მკაფიოდ მოდიოდა ხმები. რას ჩავდიოდი ან რა ხდებოდა, ვერ გამეგო, რეალობაზე ყოველგვარი წარმოდგენა დავკარგე. რაზმის წევრებმა გამასწრეს და ახლა სადღაც წინ ისეთი შრიალი და ბრაგუნი იდგა, გეგონება, კარტოფილით სავსე ტომრებს დაათრევდნენ. ფეხების ფრატუნი რაღაც ცხოველურ ხრუტუნში იყო არეული. უცებ აუტანელმა შიშმა შემიპყრო. და როცა გაისმა ბრძანება „შედექით!“ — გული ლამის გამიჩერდა. მომახსენეს, რომ დამნაშავეები აღმოჩენილი და მიზანში ამოღებული ჰყავდათ. უცებ ერთღროულად ორი ათეული ფარანი აინთო და ისე განათდა, თითქოს სავსე მთვარემ ამოანათა. და აი ჩემ წინ გადაშლილმა სურათმა გული შუაზე გამიპო — ლუ და იანი ნახევრად შიშველები ისე იყვნენ ერთმანეთს ჩახვეული, თითქოს ორი უზარმაზარი აბრეშუმის ჭიაა. მათ თეთრ, შიშველ სხეულებზე ფარნების შუქი ირეკლებოდა. იანმა ხელი მოიჩრდილა და წამოდგა. მერე ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს უნდა გაიქცესო, მაგრამ მებრძოლებმა მის გარშემო წრე შეკრეს და წრის შუაში იანი ერთ ადგილას გაშეშდა.

მალე კიდევ ერთი ტრაქტორიც მოვიდა, ტრაქტორიდან მეურნეობის პარტბიუროს მდივანი გადმოვიდა. მებრძოლებმა აქეთ-იქით გაიწიეს და მდივანს გზა დაუთმეს. იანის ჩანაფიქრით გაოგნებული ვიყავი. იანმა პერანგს ხელი აუჩქარებლად გაუყარა, მერე აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მიწაზე დაგდებული პერანგი აიღო და მიშველ-ლუს წააფარა. ყველაფერ ამას საკმაოდ მოხდენილად აკეთებდა. ლუ მიწაზე ისევ გაუნძრევლად იწვა, იგი ამკარად პროსტრაციაში იყო. იანმა თითი ლუსაკენ გაიშვირა და განაცხადა: „არა, ეგ არაფერ შუაშია, მე ვაცდუნე, მე უნდა დავისაჯო".

ლუმ იწივლა: „დიახ, მე მხოლოდ მსხვერპლი ვარ! დაბრმავდით თუ რა!" იანი ერთხანს დუმდა, მერე კი თქვა, რომ მეგობრის მაგივრად პატიებას ითხოვდა, რომ ლუს, უბრალოდ, ნერვებმა უმტყუნა. ლუ კი ისევ ჯიუტად გაიძახოდა, რომ მახეში გააბეს, რომ ის, ჭეშმარიტი რევოლუციონერი ორმა რეაქციონერმა გააბა მახეში, და რომ მე იანის თანამზრახველი ვარ. რაზმელები გაოგნებულები იყვნენ. ვერავინ, ვისაც კი თავში ტვინის ნატამალი მაინც გააჩნდა, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ იანსა და ლუს შორის რაიმე ამგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი ხომ ანტიპოდები იყვნენ. აი მდივანმა კი ყველაფერი დაიჯერა, რომ იტყვიან, მახეში იგი თავით ფეხამდე გაება. იანმა გადაწყვიტა ამ საყოველთაო დაბნეულობით ესარგებლა, წინ წამოდგა, მუხლებზე დაეცა და, ვითომ სირცხვილით ვიწვებიო, სახეზე ხელები აიფარა. უნდოდა მებრძოლები ნანახის სიმართლეში დაერწმუნებინა, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ მარიონეტების უვარგის თეატრს უფრო ჰგავდა. მაგრამ რა უნდა მექნა, იძულებული ვიყავი, თამაშში ავყოლოდი. ლუსკენ ხელი გავიშვირე და განვაცხადე, რომ უდანაშაულო ადამიანზე თავდასხმით იგი უფრო ამძიმებდა თავის დანაშაულს. „აი შეხედეთ, — მივუბრუნდი პარტმდივანს, — განა ეს ნამდვილი რეაქციონერის გამოხდომა არ არის!" მდივანმა თავი დამიქნია: „გაუშვი, თავი შეიქციოს!" სიმწრისაგან ლუ პირდაპირ აღმუვლდა: „ამხანაგო მდივანო, სამართალს მოვითხოვ!" მაგრამ აქ ისევ იანი ჩაერია და განაცხადა, რომ მთელ ამ ამბავში მხოლოდ თვითონ იყო დამნაშავე, რომ ლუ აქ არაფერ შუაშია. ლუ კი თავისას გაიძახოდა: „სიმტკიცე გამოიჩინეთ, არ შეიძლება რეაქციონერებს სამაგიერო არ მიეზღოთ!"

მდივანმა ჩაიცინა: „ქურდი ყვირის, ქურდი დაიჭირეთო!" მერე ხელები ზურგზე შემოიწყო და თავისი ტრაქტორისკენ გასწია. ლუ ყვირილით წამოხტა: „პარტია არასოდეს მომიტყუებია! უნდა დამიჯეროთ!" მდივანი ტრაქტორზე ავიდა, მძღოლს უბრძანა ადგილიდან დაეძრა, მერე კი ხელი დამნაშავეებისაკენ გაიშვირა — „თქვენ, ჩემმა საუკეთესო ოფიცრებმა, შემარცხვინეთ!" — თქვა და თითქოს ისეა შეწუხებული, ლაპარაკის თავი აღარა აქვსო, დადუმდა. ლუ ეხვეწებოდა, სთხოვდა, თავის მართლების ნება მაინც მიეცა, მაგრამ მდივანი ისევ თავისაზე იდგა — მან ხომ ყველაფერი თავისი თვალით იხილა. უკვე დაძრული ტრაქტორიდან მდივანმა მებრძოლები თავისი ბოლო სენტენციით დამოძღვრა: „სუფთა მინდორი თუ გინდა, სარეველა ამოძირკვე!"

ვინაიდან ჩემი დოსიე უნაკლო იყო, საქმე სასიკეთოდ გადაწყდა. სამსახიობოზე სასწავლებლად შანხაის კინოსტუდიაში გამაგზავნეს. წასვლის წინ შტაბში გამოსათხოვარი სადილი გამიმართეს. ყველანი მილოცავდნენ, მდივანმა დროშაც კი მაჩუქა, რომელზეც ოქროვკედით იეროგლიფები იყო ამოქარგული. ამირჩიეს საპატიო მებრძოლადაც. „ჩვენი მეურნეობა ამაყობს შენით, — განაცხადა ბოლოს მდივანმა, — ისე უნდა იცხოვრო, ხალხის ნდობა გაამართლო!“

იანზე ფიქრი წუთითაც არ მშორდებოდა. ისა და ლუ წყალსაქაჩი კოშკურის ერთ ბნელ ოთახში მოათავსეს. რა უნდა მექნა? არ გავმგზავრებულიყავი? მაგრამ ჩემგან იანის განთავისუფლების ყოველგვარი მცდელობა მხოლოდ განამტკიცებდა იმ ეჭვს, რომ ნამდვილი დამნაშაველები ლუ კი არა, ჩვენ ვიყავით. მე უნდა გავმგზავრებულიყავი — არამარტო საკუთარი თავის, არამედ იანის გადასარჩენადაც. გასამგზავრებლად მზადება დავიწყე. მაინც რა ელოდა იანს მეურნეობაში? იმის წარმოდგენაც კი, ახლა იგი რა დღეში იყო, თავზარს მცემდა. მას ხომ მე წავართვი ცხოვრება და მომავალი.

ხეირიანად გათენებულიც არ იყო, რომ მე უკვე ამდგარი ვიყავი. იანის ცარიელ საწოლს თვალცრემლიანი დავყურებდი და მის ნივთებს ვარჩევდი. სახსოვრად მიმქონდა მისი სამკერდე ნიშნების კოლექცია მაოს გამოსახულებით, ხოლო აქ ჩემი კოღოების ბადეს ვტოვებდი.

ჯერ ისევ ბნელოდა, რომ მე უკვე გზაჯვარედინზე ვიდექი და შანხაიმდე მიმავალ მანქანას ველოდებოდი. ქროდა სუსხიანი ქარი. ქარისგან აშლილი სილა სახეს მისერავდა. როცა ამ მინდვრებთან გამომშვიდობების წუთი დადგა, უცებ ყველაფერი გამახსენდა, ყველაფერი, რის გადატანაც აქ მე და იანს მოგვიწია.

როგორც იქნა, სატვირთო მანქანა მოვიდა და ძარაზე ავედი. მანქანა რომ დაიძრა, ჩემ წინ ყველაფერი ბორბალივით დატრიალდა. შორს წყალსაქაჩი კოშკურის სილუეტი აღიმართა და მომეჩვენა, რომ მის თავზე ნაცნობ ფიგურას ვხედავდი, ვხედავდი, ქარი ხელში წითელ დროშას როგორ უფრიალებდა.

# რაინერ მარია რილკე

## ლექსები

გერმანულიდან

თარგმნა ლუდუ ადიანმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### მოვლენა

რა გაიძულებს მიბრუნდე უკან
დღეს, მოუსვენარ, ქარიან ბალში,
სადაც ჯერ კიდევ გამოსჭვივის
მზის სხივის კრთომა? ხედავ,
სიმწვანე
თავს ვით იწონებს,
მზისცვარდაკრული.
მოდი! ო, ნეტავ შენსავით შევძლო,
არად ჩავაგდო სიმძიმე ხეთა.
(ერთს თუ უმუხთლა
ბედისწერამ და
გადატყდა გზაზე, უნდა მოვუხმოთ
მამაკაცებს მოსაშველებლად.
ხეებზე მძიმე რა არის ქვეყნად?)
შენ ჩამოიარ ქვის უამრავ
საფეხურს ჩემსკენ: მესმის
ფეხის ხმა.
ზარს კი აქ ისევ არ ახმიანებ.
მე ჩემს სმენას და მონაბერ ქარს
სულ მარტო შევრჩი...
მოულოდნელად
ბულბულმა ლაღად შეიფრთხიალა
მყუდრო ბუჩქნარში.
ყური მიუგდე, ჰაერში როგორ
გაილურსა, თუ ჯერ ვერ გალობს.
ნუთუ შენც გესმის ჩემთან ერთად,—
თუ სულ სხვა რამე გაფიქრებს
ახლაც,
ხმის ჩვენთვის უცხო, მეორე
მხარე?

**დუინო, გაზაფხული, 1912**

●

შენ იმთავითვე
დაკარგულო სიყვარულო,
მოხვალ ალოდეს,
არ ვიცი რა გსურს, რომელ
სიმებს გამოვკრა ხელი;
ალარც კი ვცდილობ,
აზავთებული მომავლიდან
გიგრძნო გუმანით. ჩემში
მდუმარი დიდებული
სურათი ყველა, უკვე ნაცნობი
მთა-ბარი შორი,
ქალაქები, ციხე-კოშკები,
ხიდები და
გზის უეცარი შემობრუნება,
ოდესღაც ღმერთთა ძალისხმევით
აღმოცენებულ ქვეყანათა
ძალმოსილება;
შენს წარმოსახვას მიასკეცებს,
გამირბი თუმცა.

შენ ხარ წალკოტი,
ო, რა იმედით შევყურებდი
უცხო ბალნარებს. ღია სარკმელიც
მაიმედებდა, — შემომხვდებოდი
ანაზდად თითქოს
ჩაფიქრებული. ქუჩაბანდებშიც
ახლახანს ჩავლილს აგდევნებივარ,
ხან ვიტრინებიც ჯერ ისევ
შენი ანარეკლით
ბრუდახვეულნი, ჩემს უეცარ
ხატს ირეკლავდნენ
შემკრთალნი შიშით. ვინ იცის,
გუშინ
ისევ იმავე ეულმა ჩიტმა გაიხმიანა
საღამო ხანს მე და შენ შორის?

**1913-1914**

## მუსიკისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა: სუნთქვა ნაქანდაკართა. ალბათ:
სურათთა მდუმარება. ენაო, სადაც უძლურია
ენა ყოველი. ჟამი ხარ,
შვეულ ზღუდედ დგახარ, წარმავალ გულთა
მიმართულებით.

გრძნობები — ვისთვის? ო, შენ გრძნობათა
ფერისცვალებავ, რა სახით მოხველ? — :ბუნება ხარ
აყღერებული.
უცხო ფრინველო: მუსიკავ. ჩვენგან ამოზრდილო
გულის სივრცეო. ჩვენივე სულის იდუმალება,
განუზომლად რომ აღგვემატება,
დაუოკებლად მიილტვის ჩვენგან, —
წმიდათაწმიდა გამოთხოვება:
როს ჩვენი არსი გარს გვახვევია,
როგორც ნაცადი შორეთი, არე,
როგორც ჰაერის მეორე მხარე:
უზადოდ წმინდა,
უსაზომო,
არსებობისთვის ვერსადაგი,
უკაცრიელი.

11-12 იანვარი, 1918

* * *

საოცარია სიტყვა: დროის ხარჯვა, გაყვანა!
საქმე ისაა, შეაჩერო და დაახანო.
ვის არ აძრწუნებს, რომ არ ძალუძს არსად დარჩენა,
სად არის **ყოფნა** საბოლოო და გადარჩენა?

ხედავ, დღეც აკი იხანგრძლივებს მის ჩვეულ სრბოლას,
იმ დროს, როდესაც ძალას იკრებს საღამო ნელი.
ადგომა დგომას უთმობს ადგილს, დგომა კი წოლას,
დანებებულად ძირს გართხმული ქრება ყოველი —

მთანი, ვარსკვლავთა სხივდაკრულნი, გარინდებულან;—
თუმც მათ წიაღშიც ილანდება დრო ულმობელი.
ო, ჩემს შმაგ გულში ღამეს ათევს წარუვალობა,
მიუსაფარი, უსახლკარო, განუზომელი.

ნოემბრის ბოლო, 1920

## მაგია

აუწერელი გარდასახვა აღმოაცენებს
ამგვარ ზმანებებს: — იგრძენ, ირწმუნე!
ცეცხლის ენების მინავლება ტკივილს გვაყენებს;
ხელოვნება კი ცეცხლს შობს ფერფლით და დაიურვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგია სუნთქავს. და ჯადოსნურ მის სამყაროში
შელოცვის სიტყვა შეერევა ზენაარს თითქოს...
მამალი მტრედის ხმობასავით არარიოში,
როცა შორეულ და უჩინარ დედალ მტრედს იხმობს.

**მიუნხო, აგვისტოს დასაწყისი, 1924**

## ხელის გული

ხელის გულია მხები, მხოლოდ
გრძნობის მეგზური, ზეცად
მიილტვის
და სარკეშიაც
ციერ ბილიკებს მიიგებებს,
თავად მედინებს.
წყალზე სიარულს დაუფლებული,
რუს ეწაფება,
ჭებს გადაიარს,
გზასავალთა გარდამსახავი.
სხვა ხელებს შორის წარმოჩენილი,
მისივე მსგავსებს
ლანდშაფტად აქცევს:
მიმოივლის, მიეახლება,
და მოვლენილის სიახლით ავსებს.

**მიუნხო, 1 ოქტომბერი, 1924**

## მიზიდულობა

ო, შუაგულო, ყველას
როგორ განერინები, თვით
ფრენის დროსაც
თავს ვით დააღწევ, შენ ყოვლის
მძლეო.

ვით წყურვილს ყლუპი —
ზეზეულად მდგომსაც მსჭვალავს
მიზიდულობა.

მიძინებულის სავანიდან კი,
როგორც ნაჯერი ღრუბლის
ქულიდან,
მოდის სიმძიმის წყალუხვი წვიმა.

**მიუნხო, 5 ოქტომბერი, 1924**

## ელეგია

**მიძღვნილი მარინა ცვეტაევასადმი**

ო, წარმავლობა სამყაროს შინა, მარინა, ცვენა ვარსკვლავებისა!
მას იოტასაც კი ვერ შევმატებთ, გადავიხვეწოთ რომელიმე
ვარსკვლავზე თუნდაც! სამარადჟამოდ ყველაფერი გამოთვლილია.
თვით ვარდნითაც კი წმინდა რიცხვი არ შემცირდება.
უარმყოფელი ვარდნა ყოველი, დასაბამამდე აღწევს და სრულქმნის
და თუ ეს მხოლოდ თამაშია, მსგავსთა ტრიალი და ჩანაცვლება,

სახელიც არსად მოიძევება და თუ ნაგრამიც ვერ იგულვებს ვერსად
საყუდელს?
თუ ტალღებია, მარინა, ზღვა ვართ, თუ უფსკრულია, მარინა, ეს ვართ.
მიწა — მიწა ვართ, გაზაფხული ათასჯერადი, აღმოხდენილი ბანგი,
სიმღერა, ტოროლებივით თვალშეუდგამ სივრცეში გვტყორცნიხ...
ჩვენ აღტკინებით ვიწყებთ, ბანგი კი უკვე სრულად აღგვმოფრქვია
მოულოდნელად სიმძიმე ჩვენი სიმღერას დადრეკს გოდებისაკენ.
თუნდაც: გოდება, უმრწემესი აღტკინება არ არის განა ლტოლვა
მიწისკენ?
მიწიერ ღმერთებს ხოტბა სწყურიათ თურმე, მარინა.
უცოდველნი არიან ღმერთნი, ქებას ელიან მოსწავლეთა
გულმოდგინებით.
შევასხათ ხოტბა, საყვარელო, დავიხარჯოთ ქება-დიდებით.
არაფერი ჩვენ არ გვეკუთვნის. მხოლოდ ოდნავ თუ შევეხებით
ხელუხლებელ
ყვავილებს ყელზე. მე ეს ვიხილე კომ-ომბოში, ნილოსის პირას.
ასე, მარინა, მსხვერპლს გაიღებენ მხოლოდ მეფენი, საკუთარ თავის
უარმყოფელნი.
ვით ანგელოსნი ჩამოივლიან და დასახსნელთა კარიბჭეზე ნიშანს
სტოვებენ,
ასე ვეხებით ყოველივეს, რაიც ნატიფად მიგვაჩნია, ან გვეჩვენება.
ო, რამდენად შორს, ოი, რარიგად დაბნეულნი ვართ ჩვენ, მარინა.
თავად ულრმესი სულიერი საბაბის დროსაც. მანიშნებელნი, სხვა
არაფერი.
ეს უწყინარი საქმიანობა, თუ ჩვენთაგანი რომელიმე
მეტს ველარ იტანს და თავს გადასდებს შესარკინებლად,
ბყის შურს იძიებს და მოაკვდინებს. მსახვრალ ძალას რომ ფლობდა, აკი
ვამჩნევდით ყველა, მის დახვეწილ, ნატიფ ქცევასა
და უცნაურ ძალისხმევაში, რომელიც ცოცხლებს გადარჩენილ
ბვქმნის არსებებად. არყოფნა. უწყი, თუ რარიგ ხშირად
მიგვაქანებდა ბრმა ბრძანება, კვლავდაბადების ყინულოვანი
წინარესივრცით... მიგვაქანებდა: ჩვენ? უთვალავი თვალით აკინძულ,
შენივთულ სხეულს, უხვად დაფენილ ქუთუთოებქვეშ ურჩად
შეხიზნულს.
ეზიდებოდა მთელი მოდგმის გულს დანარცხებულს. მძლევარ
ფრინველთა მიზნისაკენ,
ეზიდებოდა ჩვენი ლივლივა გარდასახვის ნაკრებ სახებას.
მეტრფეებმა კი, მარინა, ოღონდ არაფერი უნდა უწყოდნენ
სიკვდილის არსზე. მუდამ ცინცხალი სიყმაწვილე შეინარჩუნონ.
მხოლოდ მათ საფლავს სჭირდეს სიბერე, მხოლოდ სამარე
ჩაუფიქრდეს, დაიკრას თალხი
მტირალი ხის ქვეშ. მოიგონებდეს გარდასულ დღეებს.
მხოლოდ სამარე ჩაიქცეს მათი. ისინი კი, მოქნილები დარჩნენ
ლერწივით;
ის კი, რაიც მათ დრეკს განუზომლად, მორკალავს კიდეც
სრულქმნილ გვირგვინად.

თუმც განაქარებს მაისის ქარი! მარადიული შუაგულიდან,
სადაც შენ სუნთქავ და ალლოც გიგრძნობს, მათ წარიტაცებს
სულ ერთი წამი.
(ო, როგორ გიგებ, მდედრო ყვავილო, ასეთივე
წარუვალ ბუჩქზე ამონაყარო. რა ძალით ვერწყმი ღამეულ ბალახს,
ღამღამობით რომ გელამუნება). ოდითგანვე ფლობდნენ ლმერთები
ნახევრებთან პირმოთნეობას. ამ წრებრუნვაში მომწყვდეულებმა
გავიმთლიანეთ საკუთრივ თავი, ვით დისკოები სავსე მთვარისა.
მცხრალი მთვარის ჟამს, თუნდ ახალი მთვარის კვირაშიც,
სისავსეს ვერვინ დაგვიბრუნებდა, თუ არა მხოლოდ
მარტოეული სვლა საკუთარი, ძილგამკრთალი მთა-ველის თავზე.

**მიუზო, 9 ივნისი, 1926**

●

ვინ შეძლებს მითხრას, თუ რომელ
სამანს
მივაღწევ ჩემი ცხოვრების ბოლოს?
ავდევნებივარ ქარიშხლის სრბოლას,
ვბინადრობ ტბაში ვით ტალღის
თრთოლა,
თუ ვარ ფერმკრთალი არყის ხის
ერეოლა,
გაზაფხულის პირს, ყინვა თუ
გასტანს?

## ძილისპირული

თუ შეგელიე ოდესმე, ნუთუ
მოგეპარება უჩემოდ რული,
თუ ვერ გაგენდო ჩემი ჩურჩული,
არ შემოგევლო, ვით ცაცხვის
სუნთქვა?

თუ ძილგამკრთალმა არ
დავარწყულე
სიტყვის ცვარ-ნამით შენი სხეული,
ან მზერა ჩემი სილბოდ ქცეული
შენს მკერდს, შენს ბაგეს არ
მიელულა.

თუ დაგატყვევე მარტო სრულებით,
მიგანდე ოდენ შენს ღრმა სამყაროს,
იმ ბალნარივით, ლაღად რომ ხარობს
მელისებით და ანისულებით.

## ანგელოსები

მათ ბაგეები აქვთ დაღალული
და უსამანო ნათელი სული.
და მონატრება (ცოდვა მალული)
ხან მათ ზმანებას გასერავს უმალ.
ერთმანეთს გვანან წვეთი წყალივით;
უფლის ბალნართა მრევლი მდუმარი,
და უამრავი ინტერვალივით
ღვთიური ჰანგის ქარგაში სდუმან.

საკმარისია ფრთები გაშალონ,
არიან ქართა გამომხმობელი:
თითქოს უფალმა კვლავ გადაშალა
დიდოსტატური ხელით ნამშვენი
შესაქმის წიგნი, შეუცნობელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ეროსი

ნიღბები ჩქარა! — რომ ვძლიოთ ეროსს.
თვალს ვინ უსწორებს მის სხივმფენ სახეს,
თუ ბუნიობა კვლავაც მზისფერობს
და გაზაფხულის კვირტს უგებს მახეს.

ვით უნებურად საუბარს ჩვეულს
შეცდომა ახლავს და... კვნესა წრფელი...
ის, უსახელო და ტაძრისეულ
ძრწოლას მიაგებს მათ, მომნუსხველი.

ოი, დავკარგე, დავკარგე მყისვე!
ღვთაებრიობა გულს მირქმას ჩქარობს.
შობს ბედისწერას ცხოვრება ისევ.
და სულის წიაღ ქვითინებს წყარო.

თებერვალი, 1924 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომხურიდან

თარგმნა გივი შავნაზარმა

ელიშე ჩარენცი

## ქარი

ქარი, შემოდგომის ქარი
ყვითელ მერნებს მიაგელვებს;
სადმე ერთად შეჰყრის მერმე,
აწყვეტს ნერვებს,
აგონიით ისეც დაფეთებულ მერნებს
სულით სულს ხდის შესაზარი!

ქარი, შემოდგომის ქარი
მტვრის ვეება ზვინებს ზარით
მიჰბღავის და ერთურთს ახლის,
როგორც გადარეულ ნახირს!

ქარი, შემოდგომის ქარი! —
ცა და მიწა ყირაზეა,
ამ რუსსა თუ ბნელ ქალაქში ეს რა მძაფრი ქარებია,
ყველა გამვლელ-გამომვლელი ქარვისფერი მირაჟია,
რაიც საღამოის ჯანღში ისევ ქარებს ზმანებიათ;

და ქუჩები, და ქუჩები გაბმულ წვიმასავით გრძელი,
მოსაწყენი! — გაყუჩდება? —
საგონებლის ჩაქუჩები
საფეთქლებში გცემს და შენი საფიქრალის თალხი
გთალხავს
და ქუჩები, და ქუჩები — უნიათო, ულმობელი —
როგორ, როგორ, როგორ, როგორ
ამაზრზენი არის ახლა!

ქარი, შემოდგომის ქარი —
უგზო-უკვლო შელონება —
კვდომის ჟრჟოლაატანილი დაკოდილი გეგონება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არაფერი ეკრძალება, არ არსებობს მისთვის ფარი,
ეწვალება, გვეძალება
ქარი, შემოდგომის ქარი!
ასწყვეტია ანჯამები,
ბრმა ბორიო აფრებს აბრის
აფრიალებს, ფანჯარები შიშისაგან ზრიალებენ,
ქარს შეუსხამს რკინის ფრთები, სივრცის თანაზიარია,
ქუჩა ასპარეზი არის ამ შეშლილი მიუსაფრის.

უკაცრიელ ქუჩებს შლეგი რა განგებამ დააზმანა?! —
ქუჩის ბულვარები დაბრდღვნა შურისმაძიებლის ჟინით,
იტყვი, მტრის წინ აყალყული ვებერთელა ავაზაა!
მზერა: თითქო მტვრის თუ სისხლის შავმა ნისლმა
განაზავა!

ქარი, შემოდგომის ქარი თავს დაესხა ქუჩებს გრგვინვით
და ამ ყიამეთში ისმის დამფრთხალ ბულვარების გვრინი.
ბულვარების სნებიანი ხენი ყვითელი და ხმელი,
ჩამოფლეთილ მოხუცივით ჩამუხლულნი სადღაც
ობლად,
ზაფრანისფერ თმას იგლეჯენ აჩონჩხილი, ხმელი ხელით,
თავებს აკანტურებენ და მარტვილობენ საწყალობლად.

ხენი, სნებიანი ხენი,
ხენი — მრუდე, ხენი — ხმელი,
მათხოვრების მსგავსად ასე განძარცულან ქარაშოტით
და ჰა, ხეთა ბებერ თავებს ქარი ერთმანეთზე ახლის
და მიჰკივის ავისმაცნე გამყივარი, ცივი ხმებით:
— არასოდეს!.. არასოდეს!..

ჰოი, შეიბრალეთ ახლა —
უკაცრიელ ბულვარებზე ჯვარცმულები —
თორემ გახმნენ
ასე ნაცემ-ნაგვემები ამ ავსული ქარაშოტით,
დაიმსხვრნენ და სააპრილოდ იხარებენ არასოდეს!

ჰოი, შეიბრალეთ ახლა! —
ხმა ისმინეთ ჩემი ქნარის:
ეს ქარები ომის, ცთომის, სულთახდომის მბეჭველია,
თავს თქვენკენაც აიღერენ, სულში შემოგეჭრებიან!..
ქარი, შემოდგომის ქარი!..

# ᲔᲡᲔᲛ

## ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕ ᲐᲘᲓᲘᲜᲘᲐᲜᲘ

თარგმნა **ᲓᲣᲓᲣ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ**

ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕ ᲐᲘᲓᲘᲜᲘᲐᲜᲘ — დაიბადა 1958 წ. მოსკოვში, ცნობილი სახალხო არტისტის, მომღერლის არტურ აიდინიანის ოჯახში. 1975 წლიდან იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში. 1984-1993 წლებში ცნობილი მწერალი ქალის ანასტასია ცვეტაევას (მარინა ცვეტაევას დის) ლიტერატურული რედაქტორი და მდივანია. რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი. რუსეთ-იტალიის „ფერონის აკადემიის“ ვიცე-პრეზიდენტი. კულტურულ პროგრამათა „სპაისის“ დირექტორი. მ. და ა. ცვეტაევების ლიტერატურულ-მხატვრული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი და მეცნიერული საბჭოს წევრი. მხატვრული პროზის ავტორი: „ყურმოკრული ფაუსტი“ (1993), „ატლანტური ბეჭედი“ (1994), ლექსთა კრებულისა „კლდენი“ (1995), „განმარტოებით სულთან...“ (2002). თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ I-III სიმღერა.

### ᲧᲣᲠᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

ქანცგალეული საფეხურებით ქვის აივნის ქვეშ გავდივარ.

სარდაფის კარი ზანტად იხურება.

წინ — თვალშეუდგამი წყვდიადია.

ხელის ცეცებით მივიკვლევ გზას...

ნავთის ლამპას უკვე გაჭვარტლული ხელით ვარიდებ შუშას, რომელშიც პატრუქის ნაცვლად — სანთლის ნამწვია ჩარჩენილი.

ასანთის მოცახცახე ალი ახლოს მიმაქვს ლამპასთან და „ჯადოსნური ლამპრის“ ციმციმი მომწყვდეული ღამის სხეულზე დალივლივებს.

ახლა — თითქოს ვიძინებდე, სულ ოდნავ უნდა მივლულო ქუთუთოები, მოვიძიო მსუბუქი ნისლი, რომლის მიღმა ყველა და ყველაფერი განსაკუთრებული შარავანდედით იმოსება.

სიჩუმეა.

დაძაბული სიჩუმე...

ლამპის ციმციმა ალი თვალს ძლივსღა უკრავს სიბნელეს.

ქვიშის ნიშაში სკივრს მოვკარი თვალი, მიუსაფრობით ხავსის ფერდაკრულს.

ვუახლოვდები.

კაკუნი — ქვის კედელზე.

სკივრის სახურავი გადაიხსნა.

მე გადავხსენი.

სკივრში ნესტი ნელა უღებს ბოლოს უძველეს ქაღალდებსა და წიგნებს.

სანთლის შუქზე მათ გადარჩევას შევუდექი, თავადაც ეცადნენ გამომსაუბრებოდნენ.

სკივრის ფსკერზე, მტვრიანი ფენის ქვეშ — აღმოჩნდა, სულ სხვა ცხოვრებიდან ამოტივტივდა, — ფერგაცრეცილი მოგრძო ფუტლიარი — ბუდე.

ბუდე დაგმახულია, საიდუმლოს გამხელა არ სურს.

ჩემი დანის პირი ბოქლომს დამორჩილებას ურჩევს.

საკეტები თითქოს კარის ღრჭიალს გამოსცემენ.

საკეტი იხსნება.

გამოხუნებულ აბრეშუმზე — ბატის ფრთაა.

ზედ ბარათია ყაითნით მიმაგრებული.

მკვრივ ქაღალდზე გახუნებული ჟანგისფერი მელნით რაღაცაა აღნიშნული.

ბუდე ლამპა-სანთლის შუქთან უფრო ახლოს მიმაქვს — გაურკვეველი სტრიქონი წარწერად ცოცხლდება:

კალამი, რითაც საიდუმლო მრჩეველი წერდა...

მელანი იმდენად გახუნებულია, რომ აღარც იკითხება.

სანთლის შუქზე კალამი ოქროსფრად ათინათებს.

მხედველობისა და შეგრძნების დიდებული ცდომილება: თითქოს ვისმე იდუმალს გამოეყვანოს ასოები ფასკუნჯის ოქროს ფრთით.

სარდაფიდან — ფართო ხვრელს მიღმა — უფრო ღრმა სივრცე ილანდება.

ხვრელით სიცივე ატანს.

ქარმა უეცრად ფრთა ბუდიდან ამოიტაცა.

ფრთამ ოქროსფერი მიმოაფრქვია ირგვლივ, ჰაერის დინებას აჰყვა თითქოს, და მეც ჩავყვინთე მიწისქვეშეთის გასასვლელებში დასადევნებლად.

სარდაფი, ქალაქის ქვეშ არსებული ძველი ქვის სამტეხლოებით — კატაკომბებით — ერთიანდება, სადაც ლაბირინთების უსასრულო განფენილობა სამაროვანი სინესტით სუნთქავს. წვეთების ვარსკვლავებით ბრწყინავენ მძიმე თაღები, დასერილნი ნაპრალების ავისმომასწავებელი გეომეტრიით...

... მე ქარწყლებულ ფრთას მივდევ.

ის კი ოქროს სტრიქონივით მილივლივებს ქვიშნარ კედლებს შორის.

ლამპის ალი ძლივსღა ბჟუტავს.

ქარის სწრაფი ქროლვა ფრთას თითქმის აუჩინარებს.

ცოტა გავირბინე თუ არა, შევჩერდი: ლამპა ჩამიქრა...

თავს დამტრიალებენ ფრენა-ფრენით ღამურები, სევდის მომგვრელად აშრიალდა ჩემ ზევით რაღაც.

ფეხქვეშ ხრეშია, ქვის ნატეხების წყალობით მავანთა ძალისხმევა ვიგრძენი.

და აი — მთვარის სხივი — თვალისმომჭრელი, ელვისებური სიკაშკაშით გაიკლაკნა კედლის განტოტვილი ნაპრალიდან.

ბასრი ელვარება აფეთქდა!..

ელვა მზერას შეეხიზნა და შიგ ჩაიბუდა.

მხარგადალმა ჯერაც გაუნელებელი შიში სუნთქავს, ცივ კედელს ავეკარ.

ბრმა მტრედივით ჩაიქროლა რაღაც ჩრდილმა.

კლაკნილი ნაპრალიდან გამოცურდა, თანდათანობით გაფართოვდა სინათლის მოციმციმე ტალღა და... აბუბუნდა ხმა, არა ხნიერი, თუმცა-ღა არც ახალგაზრდა.

— თქვენ, დოქტორო, ისევ ცნობიერებას ახსენებთ? ვიღაც ამბობდა: „ცნობიერებას წერტილს ვუსვამო“? ჰო, მართლა... ძველი სიმღერა თუ გახსოვთ?

— რომელი?

— სწორედ ის, აუერბახთან რომ წაიმღერებდით ხოლმე. თავს ნუ იკატუნებთ, შესანიშნავად გახსოვთ სიტყვები:

მეცნიერება გვარგებს ოდესმე?
ო, 'ნურც ეძიებ, ნურც გაქვს იმედი,
თვისივე არსით ზღვარდასმულია
ცოდნა სწავლული უკუნისამდე.
გზა ზენაარი ჭეშმარიტების
სრული წყვდიადით არის დანთქმული.
მას ვერ გაიკვლევს ვერც განსწავლული,
ვერც ბრძენი, აზრით სახელგანთქმული...

— ეგ სიმღერა კი არა, ლექსია. მე დავწერე, შემდეგ კი დავწვი.

— მართლაც ასეა. თქვენ მართალი ხართ, მე ავურ-დავურიე, როგორც ყოველთვის. თავგზის აბნევა ხომ ჩემი მისიაა. მაგრამ რადგანაც ლექსი ცეცხლმა შთანთქა, ცეცხლის სტიქიამ, ჩემმა სტიქიამ — ეს იმას ნიშნავს — რომ მე მომიძღვენით. ნუ შემეკამათებით! ერთ ჩრდილოელ მწერალთან საუბრისას ჩემი ნათესავი ირწმუნებოდა, ხელნაწერები არ იწვიანო. იცოდა რა, რომ ფარულად ყურს უგდებდნენ, განგებ ამტკიცებდა, რათა ადამიანებს უფრო ხშირად დაეწვათ ხელნაწერები და ასე და ამგვარად მოეძღვნათ...

— თქვენთვის!

— სწორედაც რომ...

— თქვენ ასეთი პატივმოყვარე ხართ?

— რას ბრძანებთ, ათასწლეულები გაილია, რაც პატივმოყვარეობა უკან მოვიტოვე, თუმც ცეცხლის ხილვა, მოძრაობა, დამანგრეველი ვნებანი... ხელოვნების ჭვრეტა... როცა თქვენ ყოფიერების ფურცლებს ავსებთ, გსურთ საკუთარი თავისა და ცხოვრების შემოქმედნი გახდეთ... და საკუთარი სიცარიელის დანგრევისთანავე ადამად იქცევით, რომელიც აზრიდან უშუალოდ სამყაროს წიაღში შობდა ფიგურებს, ფორმებს, არსებებს. თუ წყურვილი ხართ, მაშინ თქვენ — მეხი — ანარეკლი, — წვეთი ხართ, რომელიც ოკეანეს ნატრობს...

მაგრამ თქვენი წყურვილი — წრეწირია. თქვენ წრიულად აზროვნებთ.

თქვენი წრის მიღმა ყოველივე ღმერთშია და ღმერთი კი ყოველივეში.

თუმცაღა თქვენ... — „იგი ვინც წრეა, წრის ტყვეა კიდეც“.

თქვენ ზღვარს ეხლებით, ყრმებივით...

მოსაუბრეთა შორის ჩამოწვა გამყოფი წუთი: მდუმარება.

მოსაუბრის ხმაში გაბმულ მიწისქვეშა გუგუნს ვგრძნობ, ხმათა სიღრმიდან მოდენილს. ეს ხმიერება თითქოს მაჯადოებს. ადგილიდან ველარ დავძრულვარ, რომ გავეცალო აქაურობას. ჰაერზე ოქროს კალმით წარწერილი მათი საუბრის მოსასმენად ვარ თითქოს განწირული.

მდუმარება დასრულდა და იგივე ბნელმა ხმამ წარმოთქვა შელოცვა:

ძაბუნ გონებას არ ძალუძს არა
აღძრას შეცნობის სართველი ჯარა.
დაუზარელი ბრუნვა-ტრიალით
დედამიწის ფიქრს 'რომ ართავს მარად,
თუმცა სუსტია ძაფი ხვიარა...

... იცით კი, ფაუსტ, — მოულოდნელად საკუთარ თავს შეაწყვეტინა ბნელმა, — ევროპა კირითხუროთა დაწუნებული ქვაკუთხედით დაიწყო, სწორედ იმ ქვით, ტროაში გზად მიმავალმა ჰომეროსმა რომ ინება ჩამოჯდომა. ის, ვინც ქვას ამოიცნობს, სივრცის სარტყელს გახსნის. ხოლო მას, ვინც ნაღვლიანი პრინცის ხელისგულზე დასვენებულ თავის ქალას ამოიცნობს, სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებულ სიჩუმის ღერძი ერგება ჯილდოდ...

— ისევ გვაცდუნებთ, — შეეპასუხა ბნელს მეორე ხმა.

— არა, ძაფებს ვჭიმავ! — უპასუხა ბნელმა და გაიღიმა კიდეც, ალბათ.

— ყური დამიგდეთ, კალმის კავალერო (შევკრთი), — დაფიქრებულხართ კია, რით არის საინტერესო თქვენი მეთოდი?

— მაინც რით? — გულგრილი გაოცების ტონით ჰკითხა ბნელმა.

— თქვენ სწორედ იმის მეოხებით გვაცდუნებთ, რასაც გსურთ გაგვარიდოთ. მაგალითად, ჭეშმარიტებით... შემეცნების თქვენეული წრე... მოძრაობს, თვითნებურად იდრიკება, თითისტარივით ბრუნავს. აზრთა ნაწყვეტები ტრიალებს და იფანტება. ყველაფერი კრთის და ზიმზიმებს. საკუთარი ღერძის გარშემო იტრიალებს, გაიხლართები ძაფებში და — უკვე იმ ჭის ფსკერზე ხარ, შიში რომ იმზირება...

მაშ ამტკიცებთ, რომ თქვენ არ დაგიტრიალებიათ ღერძი?... სამაგიეროდ ძაფებს წყვეტთ. აკი არიადნეს ძაფი გაწყვიტეთ და... ლაბირინთის ხვეულებს ზემოთ ჩამოკიდული ადამიანი-მასხარა დაბზრიალდა. მარადიული მასხარა, თავის ქალით ხელში.

უბრალოდ... ძაფის უფრო ძლიერი მოზიდვა მხოლოდ და, მასხარას გონება უფსკრულში დაინთქმება.

გამოტყდით, განა თქვენ არ გაწელეთ ერთიანი წერტილი, წამი, ძაფისებურ წრეწირად? დრო განა თქვენი გამოგონება არ არის?..

პასუხი — ქირქილი, მისივე მფლობელივით იდუმალი. მიწყდა თუ არა სიცილი, ფაუსტი ისევ ამეტყველდა:

— თქვენ ელით, რომ მე წრეს, რომელსაც ვეხლები და ვაწყდები: „შეჩერდიო!“ მოვთხოვო? ვთქვათ, მე წარმოვთქვი უსასრულობის გრძნეული სიტყვა — რას მიიღებთ ამით?

ხელშეკრულებისდა მიხედვით — მხოლოდ და მხოლოდ სულს, რომელიც შეგრძნებათა სიყრმესა და სიწმინდის ვერაგობას მოიცავს... უსაზღვრო წყურვილს, ჩააქსოვო საკუთარ გორგალს ყველა ძაფი. სული კი, უხრწნელი, უკვდავი სული? — თვითეულ ჩვენთაგანში მაცნე უფლისა, მარადისობის ლამპარი?.. სამშვინველი — მხოლოდ სატყუარად თუ გამოდგება, სულია მხოლოდ საინტერესო, და რაც მის მიღმა იმალება, ისე შორსაა, იმდენად ვერ ფლობთ და ისეთი მიუწვდომელია თქვენთვის!

და, აი, ვდგავართ ზღვართან, სადაც წინააღმდეგობა შხამს ერწყმის თანდათან, შხამი კი მცირდება რა რაოდენობრივად, შხამსაწინააღმდეგოდ იქცევა ასევე ნელა. მე ვიცი, ჩვენი ხელშეკრულება ყალბია: სულის ყალბი ვექსილით, თქვენ სამშვინველის ხელშეკრულება შესცვალეთ.

— ნუთუ ასე სერიოზულად უნდა მოეკიდოთ! — ჩაუკვირდეთ! — ჩააცივდეთ! — თანაც რას? ისეთ წვრილმანს, რაც სწორედ ახლა ხდება... — პასუხობდა ამჯერად ნაკლებად ბუბუნა, სილრმით მოდენილი ხმა, — აშკარა იყო ყურადღების სხვა რაიმეზე გადატანას ცდილობდა.

— დარდს ნუ აჰყვებით, ფაუსტ! ღვინოს ხომ არ ინებებდით, თან უხილავთა ქორო ჩვენთვის უკვდავების საგალობელს შეასრულებდა?

ფაუსტი დათმობას არ აპირებდა:

— თქვენ ჩემში მღელვარებასა და ცნობისწადილს აღაგზნებთ, რათა უფრო სწრაფად ჩაიფერფლოს, ნახშირად იქცეს მიღებული ცოდნა.

მღელვარება გაივლის, გრძნობები დაცხრებიან, ცეცხლი განელდება და ჩაქრება. გონებას კი რაღა აღანთებს. — იგი სულ უფრო ჩუმად და ნაღვლიანად საუბრობდა, — უგრძნობლობა, შეუგნებლობა, აი ჭეშმარიტად დემონური მახე, ვარდნა ჩაკეტილსა და ვიწრო წრეში...

მე კი, საკუთარ ხვეულ გზასავალზე უსულოდ შთენილი... ჩაფერფლილი სულით — განა გავქრები, არამედ თქვენს მარადიულ თანამგზავრად ვიქცევი თანდათან, მოსამსახურედ, მდივნად. და — შავბნელი იდუმალი ხელმძღვანელობის ქვეშ — საბოლოოდ მიწიერ საქმიანობას მოვკიდებ ხელს, თუნდაც პლატონის დიალოგების შეკვეცას შევუდგები...

მათ შორის ისევ სიჩუმე გამეფდა.

მიწისქვეშეთი ლოდის სიმძიმით ჩამოწვა.

სუნთქვა შევიკარი.

გონება აზრებს ველარ იტევს, სმენა — გაჯერებული, თვალები ნაღვლობდნენ მხოლოდ.

სულმა წამძლია და ველარ მოვითმინე — ხმებისკენ წავდგი ნაბიჯი, კიდევ ნაბიჯი...

მზერის კუთხე თანდათან ფართოვდება, იდუმალ, არსაიდან მოლივლივე ნათელში იტევს — დატალღულ, უსწორმასწორო გაორებულ

სივრცეს, რომელშიც, როგორც მაგიურ პრიზმაში, ჩრდილი დავინახე... თითქოსდა ნაცნობი.

ქვაზე ჩამომჯდარ მის სილუეტსა და დაშვებულ მხრებში წალველია ჩალვრილი. ერთი ხელი ღაწვზე აქვს შემოჭდობილი, მეორეში კი მუხლებზე ფარგალი უჭირავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩრდილი შეირხა.

ნაოჭები აისხა მისმა ძველებურმა მოსასხამმა, აყლარუნდა ქამარზე მიმაგრებული წარსულის კლიტეები და მომავლის გასაღებები. სიჩუმეში ჩურჩული დაირხა:

— კვდომა და ძილი. უმთავრესია ძილბურანი სიკვდილმოსილი.
რა არის მიღმა? ფსკერზე ნეტავ რაღა მოგველის?...

სილუეტი მეხსიერების სილრმეში შეიჭრა.

სამყაროულმა კაეშანმა დაჰქროლა მისგან.

გადავლახე რა ჯიუტი შეუძლებლობა ფრთხილად წარმოვთქვი ჩრდილთა პროლი:

— მდუმარება...

აჩრდილი მობრუნდა, თან სიბნელეს აკვირდებოდა. ნუთუ შემამჩნია, დაიჯერა კი, რომ ქვის თაღებქვეშ მოწიერი ჩქამი შემოესმა, სანთლის ალის თრთოლვას რომ ჰგავდა...

— მდუმარება... — გავიმეორე მე, თან ვცდილობდი ჩემი ხმა სიჩუმეს შერწყმოდა და აჩრდილს ჰგონებოდა, საკუთარ თავს ან მომავლის რომელიმე აჩრდილს ვესაუბრებიო.

მესამედაც მინდოდა მომეხმო მდუმარება, მაგრამ აჩრდილი მძიმედ წამოდგა ბოლოსდაბოლოს ქვიდან და ჩემკენ გამოემართა. მოაბიჯებდა ჟანგიანი ლურსმნებით სავსე მიწაყრილზე, ვიღაცას რომ მიმოეფანტა მიწისქვეშეთში.

ჩრდილი სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა.

კაპუშონით დაფარული ძირს დახრილი სახე არ ჩანდა, ვიდრე თავი არ აწია, კატაკომბებში გაუჩინარებული ზეცისკენ და მე გაოგნებულმა არ ვიხილე —

თვალები...

ფაუსტის თვალები —

ორი ცოცხალი, ცეცხლოვანი წრე, რომლებშიც —

აზრით მიუწვდომელი ორბიტები, ენერგიათა და ნატიფ წონასწორობათა

წნულები გადაჯაჭვულიყვნენ ...

მე ამ წრეებში, მათ მოციმციმე სილრმეში ჩავიძირე და —

თვალი ვარსკვლავთა შორის ამეხილა:

მარადიული კაეშნისაგან მწუხრისფერ ზეცაზე

თვალშეუდგამ სიმაღლეზე

სამკუთხედის ზემოთ მიმართული კუთხით

გამოანათა იაკობის კიბემ,

ზედ ფრთოსანი ჩრდილები ადიოდნენ,

მტრედის ბუმბულივით მსუბუქნი,

ორლანის ელერასავით მიფრინავდნენ,
მილივლივებდნენ გასხივოსნებულ უსასრულობაში,
ერწყმოდნენ სინათლეს ...
სიჩუმე და ნათელი დამეუფლა ...
ხილვა თანდათან ფერმკრთალდებოდა.

ფაუსტმა მიწისკენ დახარა თავი, დასწვდა მის ფერხთან დაგდებულ ადამიანის თავის ქალას, ზედ თავდახრილი ჩაულრმავდა უსიცოცხლო თვალის ფოსოებს ...

თვალის ფართოდ გახელილი ფოსოების სიღრმიდან ხმადაბალი ჩურჩული მომესმა'

მდუმარებას სწყურია სიტყვა —
სიტყვები მდუმარებაში გაირინდებიან.
ჩრდილს სწყურია სხეული —
სხეული გარდაიქმნება ჩრდილად.
ხარხარებს მწუხარება —
აქვითინდება სიხარული.
სიცოცხლე მიილტვის სიკვდილისაკენ —
სიკვდილი წარმოშობს დაბადებას.
დედამიწის ქანქარის რხევა ამდაგვარად სჯის
და წონასწორობის წამშია —
დედააზრი სამყაროისა.

სიფრიფანა ძაფზე აკინძული გასალებით გადაიხსნა სამყაროს გიგანტური გუმბათი. მარადიული ქანქარის მარცხენა და მარჯვენა მხარეს თანაბარი სივრცე დარჩა. წონასწორობის გაყუჩების ჟამს ...

თავდაყირა —
სამკუთხედის ქვევით მიმართული კუთხით —
ნათლის კიბის შავი ანარეკლი,
ძრწოლის მომგვრელი ძალა მოედინებოდა მისგან:
შავ ანარეკლს
სწყდებოდნენ ჩრდილები,
როგორც უსიცოცხლო ჩიტები,
ცვიოდნენ ბნელი კონუსის მიმწუხრისფერ ძაბრისებრ ღრმულში,
მეწამულად რომ ვარვარებდა ვულკანის განხმული ყელივით.
ჯოჯოხეთის ალით განათებული,
ფსკერიდან ამომავალი
ლეგად შებურვილი შავფრთიანი ჩრდილი დავინახე,
შავგვრემანი, გაორებული სახება —
მტკიცედ მოკუმულ ტუჩებში — კლდესავით უტეხი სიამაყე.

ყოველი ნაკვთით მომჭროლავი ყინულოვანი სიცივე და საზარელი თვალები, რქიანი თავის ქალას თვალის ფოსოებივით სიღრმეში ჩაბრუნებულნი.

თვალის ფოსოებიდან მომდინარე რაღაც ბნელი და ძალმოსილი შეხედვას მიკრძალავდა და იმავდროულად მტანჯველად უხმობდა ჩემს თვალებს.

ლონემიხდილ, მთრთოლვარე ქუთუთოებზე ხელი ავიფარე.
რაღაც მოციმციმე, რაც ყოველნაირ სიტყვას აღემატება, ჰაერში გადაეშვა.
როცა მიწისქვეშეთის კედლებს ახალი, უჩვეულო სიჩუმე მიეახლა, სუნთქვა შენელებულმა რიტმმა გააძნელა.
აბსოლუტურ სიჩუმეში გავიგონე, როგორ ამღერდა ლრმა ჭის გვირაბში სამი მოხუცი დედა-პარკი ...
მათი ხმა ოკეანის ფსკერსაც აღწევს ...
ეს ხმა აკვანივით გარწევს ...
მღერის, თუ როგორ ბრუნავს თითისტარი,
რომ ძაფები დაწყვეტილია ...
უძველესი მავედრებელი სიმღერის გუგუნი სმენას გაეწონა.
სხეული ისეთი მსუბუქი გახდა, თითქოს არც კი არსებულიყო.
გუგუნი მატულობდა.
ხმა უხილავი, გიგანტური ფრინველივით მიაწყდა კედლებს.
თაღების ნაპრალები ელვამ გასერა.
ჩამოცვივდა ქვები ...
იძრა თაღები ...
ქვესკნელის ნიადაგი შეტორტმანდა და ფეხქვეშ გამომეცალა.
წონასწორობა დავკარგე,
ფრენა-ფრენით ჩავეშვი უფსკრულში.
სილრმე განათდა.
თავბრუდამხვევი სიმაღლიდან დავინახე —
ფსკერი, სადაც უნდა დავნარცხებულიყავ —
ფსკერზე კი თალხი კონუსი, მიზიდულობის წყვდიადი.
სიცივით გარემოცული,
მივფრინავდი
ჭალარა, მავედრებელი ქარიშხლის თანხლებით.
ჩემში ყველაფერი ირყეოდა, ტრიალებდა და ვარდნას ლამობდა,
მაგრამ მთელი ჩემი სინათლე და ნებისყოფა მოვიკრიბე,
სიმაღლისაკენ ავიზიდე
და აღვიდგინე რა წონასწორობა —
გაწყვეტილ ძაფს დავეკიდე ...
ძაფი დაიჭიმა,
შლეგური სისწრაფით დაიწყო ბრუნვა-ტრიალი.
თვალები ამიჭრელდა,
თითქოს ფერგაცრეცილმა რაშებმა დაიწყეს წრიული სრბოლა.
საშინელების შემაძრწუნები უფსკრულიდან —
ტყვიასავით მძიმე ექოდ
ამოგუგუნდა სიტყვები:
„კონუსი პირგახსნილია!
შენ მისკენ მიჰქრი, მე კი — შენ მოგდევ ...
მივფრინავთ ქვევით, სახით მიწისკენ!..“
ვგონებ, რომ ვილუპები,
დავხუჭე ფართოდ გახელილი თვალები,
უკანასკნელი ძალისხმევით დავთრგუნე ბნელი ხმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალვადგინე სიჩუმე —
ვიქეც ხმობად, ლოცვა-ვედრებად —
და ვიგრძენი რა ნათელი ტკივილი,
მთელი არსებით შევისრუტე —
მიუწვდომელი სიმაღლიდან მედინი
წმიდა ნათლის ხმა.
ხმა მღერდა არსებს და სამყაროებს.
აღწევდა თვალშეუდგამ სიღრმეებს,
არღვევდა უიმედობის წრეებს,
აკავშირებდა ძაფებს ...
ბრუნვა შენელდა ...
შესუსტდა დაძაბულობა.
ფრთების მსუბუქი ქროლვა გამელამუნა სახეზე.
თვალები გავახილე.
და ირგვლივ გამეფებულ მჭვირვალ ფრთასავით უწონადო სიჩუმეში,
კომეტის ოქროს ნაკვალევის მსგავსი
ბრწყინვალე სხივი ილვრებოდა.
სიღრმე სიმაღლედ ამოიზიდა.
— ჩემი ხელშეკრულება! — ამოიძახა ფსკერის ბოროტი ნაპრალიდან მეფისტოფელმა —
... ხელშეკრულება... — გაიმეორა ბნელი კონუსით მოდენილმა ექომ.
თითქოს შორიდან — დავინახე — გაწყვეტილ ძაფზე ჯვარცმული ჩემივე თავი.
ხელები ზურგს უკან მაქვს შეკრული, მარჯვენა ფეხი მარცხენაზე გადადებული.
ვირწევი სამყაროულ სივრცეში, თითქოს ნელ ქანქარაზე მიხორცებული.
სიჩუმის ირგვლივ, ჩემს ზეგარდმო, დედამიწის ქვის მძიმე სფერო დაცურავს.
დედამიწის სფერო უზარმაზარია ...
მყის შევიგრძენი —
სწორედ ის ჭიმავს ჩემი წონასწორობის ძაფს,
მიხმობს, მეძახის.
ჩემმა ნელმა ქანქარამ ზეცას მიბნეული
ძაფი შეარხია.
თავს ზემოთ ისევ აღიძრა —
— მზარდი ქროლვითი მოძრაობა.
გავფრინდი ისევ —
დედამიწის სფეროსაკენ.
მომიახლოვდნენ ზღვები, ოკეანეები,
მთაგრეხილების სალი კლდეები ...
დაშვების უკანასკნელი წამი —
ღრუბლებს მიღმა — იელვა!..
გულს დაეძგერა ...

ტკივილი, გმინვა —
განქარდა ყოველივე.
წყვდიადის სიჩუმეში აღმოვჩნდი თუ არა, გავიფიქრე:
დედამიწის უზარმაზარი სფერო გულს შეეჯახა და არ გააცამტვერა?..
ფერფლად არ აქცია?..
და მივხვდი უმალ, რომ შეჯახების კოსმიური გარდასახვისას დედამიწის სფერო შეიკუმშა, წერტილად იქცა, შეიჭრა ჩემში და იქ, ჩემს გულში, გაჰქრა სრულიად.
გულმა გიგანტური დედამიწა ჩაყლაპა და დაიტია ...
როგორც კი შევიგრძენი გულით პლანეტა,
იმ სიმაღლიდან, საიდანაც ყოველი მოჩანს,
ბრწყინვალე სხივმა გააცისკროვნა
ჩემში გახსნილი მიწისქვეშეთი
და მის ფსკერზე — უძვირფასესი
ქვაკუთხედი:
ქვის ყოველ წახნაგში
აირეკლა ყველა ქმნილება ...
როცა წახნაგოვან კრისტალს დავაკვირდი,
მკერდში მზის წნულად რომ ღვივის და იწვის,
დავინახე —
დედამიწის ვარსკვლავიერი სხეული.
იგი ...
ჰომეროსის თავის ქალას ჩამოჰგავდა,
იმ თავის ქალას, ოდესღაც ჰამლეტს
მასხარისა რომ ეგონა.

## სტანისლავ აიდინიანის „ყურმოკრული ფაუსტი“

სტანისლავ აიდინიანმა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი თითქოსდა მივიწყებული თემა ხელახლა გააცოცხლა. მისი პოემა-ესე, სახეთა სიმრავლით გაჯერებული და ამასთანავე პოეტურად თავშეკავებული, არ შეიძლება ფილოსოფიური ქვეტექსტის განხილვის გარეშე იქნას წაკითხული. გავიხსენოთ, როგორ გაიაზრება ჩვეულებრივ ფაუსტი: ესაა მსოფლაღქმისა და სამყაროულ საიდუმლოთა წვდომის მცდელობისას დასავლელი ადამიანის ნების აპოთეოზი და ამისდა საზღაურად გაღებული მსხვერპლი.

აიდინიანის ესეში აქცენტი მეტაფიზიკური აღმოსავლეთისკენაა რამდენადმე გადატანილი: ამიტომ სიჩუმის ამაღლებული სახე პოემაში ხშირად ფიგურირებს.

ამ ნაწარმოებში თვალნათლივ ჩანს რამდენიმე ძირითადი ხაზი. ერთ-ერთია — აზროვნების პირობითობა, მისი მეოხებით აბსოლუტურ და თვით უმაღლეს „ჭეშმარიტებათა“ შეცნობის შეუძლებლობა.

„თვისივე არსით ზღვარდასმულია
ცოდნა სწავლული უკუნისამდე“

ფაუსტის ეს ლექსი — მის დამარცხებებზე მეტყველებს („სწავლული ცოდნა“ ფართო მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს). ამასთანავე აიდინიანი პარალელურად აღწერს ფაუსტის თვალებს, როგორც: „ორ ცეცხლოვან წრეს, რომლებშიც აზრით მიუწვდომელი ორბიტები, ენერგიათა და ნატიფ წონასწორობათა წნულებია გადაჯაჭვული“.

ფაუსტის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მან თუმც გულმხურვალედ მოიწადინა აბსოლუტური ცოდნის დაუფლება (და თვით ღვთაების მსგავსად საკუთარი თავის წიაღიდან სამყაროთა შექმნის უნარისაც კი), მაგრამ არ გააჩნია სადაგი გასაღები, ეყრდნობა ისევ და ისევ აზრის ყოვლისშემძლეობას მაშინ, როდესაც აზრს მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივი ძალაუფლების განხორციელება ძალუძს სამყაროზე. ფაუსტს კი ეს არ აკმაყოფილებს.

აქედან გამომდინარე, მას სურს მიაღწიოს აბსოლუტურს პიროვნებითით, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მისი მიზანი უმაღლესი აღმოსავლეთის სფეროშია საძიებელი, მეთოდები კი დამდაბლებული და დასავლურია, დაკავშირებული აზრის გაღმერთებასთან. აბსოლუტურ რეალობაში, გამოუთქმელის სფეროში შესაღწევად კი აუცილებელია აზროვნებიდან რაღაც მომენტში აზროვნების პირველწყაროზე, ტრანსცენდენტულ მდუმარებაზე გადასვლა, რომელიც ყოველივეს მოიცავს და სადაც შემეცნება არ არსებობს, რადგან ყველაფერი უშუალოდ თავის პირველწყაროშია მოცემული.

მაშასადამე, თუ უმაღლესი ინტელექტი თავის თავში შეიძლება მოიცავდეს აბსოლუტურის „იდეას“, მაშინ, რამდენადაც თვით აბსოლუტი „ზეინტელექტუალურია“, უმაღლეს ინტელექტს ძალუძს თვითგანადგურების ფასად „შეაღწიოს“ მასში, რითაც იგი თავისივე პირველწყაროდ ტრანსფორმირდება. ამიტომ აიდინიანი ეყრდნობა თავის პოემა-ესეში სიჩუმის უპირატესობას მბორგავ ფაუსტთან შედარებით...

სავსებით ნათელია, რომ აბსოლუტი თავის თავში უფრო მაღლა დგას არა მარტო ჩვეულებრივ ინტელექტზე, არამედ თვით ლოგოსზეც კი, რადგან ლოგოსი აბსოლუტის ასპექტთაგან ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მდუმარება ყოველთვის აღემატება ბგერას, გამოვლინებას, რამეთუ მდუმარების ჩანასახშივე იგულისხმება არა მარტო ბგერა, არამედ სხვა „პოტენციებიც“, ასევე ისიც, რაც — მისი პრინციპიდან გამომდინარე — არასოდეს შეიძლება გამოვლინდეს, იმყოფება რა ნებისმიერი მანიფესტაციის მიღმიერ მხარეს.

ზედმიწევნით საინტერესოა შემდეგი თემაც: — „ნათლის კიბის შავი ანარეკლი“.

პოეტი შემდეგნაირად აღწერს ამ შავი ანარეკლის ადეპტს: „მტკიცედ მოკუმულ ტუჩებში — კლდესავით უტეხი სიამაყე, ყოველი ნაკვთით მომჭროლავი ყინულოვანი სიცივე და საზარელი თვალები, რქიან თავის ქალასავით სიღრმისაკენ მიმართულნი“.

იმდენად რამდენადაც ლეგენდა ფაუსტის შესახებ დაკავშირებულია დემონურ ძალებთან, არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას ამა ქვეყნის თავადზე. აბსოლუტისაკენ მიმართული ლტოლვა, მოძრაობა უკავ-

შირდება თვითგანადგურებას — ეს, განსწავლულ ფაუსტს არ ესმის. აზრზე მაღლა რომ დადგე, აზრი უნდა მოსპო. მაგრამ ეშმასეული არსი — უმაღლესი მე-ს მისაღწევად გაღებულ მსხვერპლშეწირვის — თვითგანადგურების უარყოფაშია, დემონის არსი — უარყოფს გამოუთქმელის უფსკრულისაკენ, აბსოლუტის უფსკრულსაკენ სახიფათო სწრაფვის საზღაურად უკვე რეალიზებული ყოფიერების მიღწეულ დონეთა მსხვერპლად გაღებას.

დემონი ნათლის ოკეანეში ხედავს მხოლოდ თვითგანადგურებას, მეტადრე ის ამასვე ხედავს ღვთაებრივ სიარაფრეში, რომელიც აბსოლუტის ადეპტთათვის, პირიქით, უმაღლესი სისავსის ტოლფასია.

მეტაფიზიკური თვალსაზრისით, დემონი დასაბამითვე მხდალია, ამიტომ სატანიზმიც ყოველნაირ გამოვლინებაში (ყველაზე უხეში მატერიალიზმიდან ლუციფერულ მეორე სინათლემდე) იმ დონეს ებღაუჭება, რომელიც სატანიზმის სუბიექტებს უკვე გააჩნიათ და ამასთან უფრო ღრმად შეჭრის რისკზე არ მიდიან. სამაგიეროდ, რასაც სატანა ფლობს, სწორედ მის აბსოლუტიზაციას ახორციელებს.

ამ თვალსაზრისით, სატანიზმი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, ონტოლოგიური კონსერვატიზმის უმაღლესი ფორმა და იმავდროულად — უფსკრულის წინაშე ძრწოლის გამოხატულებაა. ასე რომ, არაფერია სატანიზმზე ჩვეულებრივი (ყოველ შემთხვევაში მის უმდაბლესსა და პრიმიტიულ გამოვლინებაში).

პრაქტიკულად ჩვენი ეპოქის მთლიანი აურა გაჟღენთილია სატანიზმით, კალი-იუგას ეპოქა, დაცემის ეპოქა. საინტერესოა ისიც, რომ სოციალურ ყოფაცხოვრებაში სატანიზმს ძალუძს მოირგოს — და ჩვეულებრივ ასედაც იქცევა — ნებისმიერი მართებული სამოსი, რელიგიურის ჩათვლით.

სხვა თემაა — ცნობილი საუბარი დემონთან. აიდინიანთან იკვეთება აზრი, რომ დემონს არსებითად შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების თანახმად მხოლოდ სამშვინველი და არა სული. სული მას არ ექვემდებარება. და, აი, სწორედ მაშინ წარმოიშობა ამ საუბრის ირგვლივ აბსურდული სიმძაფრე.

„და, აი, ვდგავართ ზღვართან, სადაც წინააღმდეგობა
შხამს ერწყმის თანდათან".

მაინც რომელ სულს დაეუფლება დემონი? თუ ეს სამშვინველია სულის გარეშე, მაშინ ეს მხოლოდ და მხოლოდ გარსია, და ხელშეკრულება უბრალო ფარატინა ქაღალდს წარმოადგენს, სიცრუეს, ილუზიას და წაგებულია თავად დემონი; თუკი სამშვინველი თავის თავში მოიცავს სულს, როგორც უმაღლეს, ღვთაებრივ დონეს, მაშინ იგი დემონის კლანჭებისათვის მიუწვდომელი რჩება.

სინამდვილეში თეორიულად ეს მართლაც ასეა და დემონთან დადებული ხელშეკრულება — ზეცის მიერ ჯოჯოხეთის გამასხარავება და დაცინვაა მხოლოდ. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: არსებობს მაიას კანონი, თვითმოტყუების კანონი, მსოფლიო ილუზიის კანონი. დემონის კლანჭებში მოხვედრილმა სულმა ვერ განახორციელა

ჩვეულებრივად საკუთარი ღვთაებრივი დონე, ვერ გაიიგივა თავი მასთან — სხვა შემთხვევაში უმაღლესი გათვლითაც კი, იგი, ფაუსტის მსგავსად, დემონის დაგებულ მახეს არ წამოეგებოდა.

მასაშადამე, მისი „სული“ იმყოფება თითქოსდა ძილბურანში [მისთვის — (სამშვინველისათვის ლ. დ.)], სულის თავისთავადობის ცენტრს გარეთ, ამის გამო ეს სული ვერ პოულობს საყრდენს აბსოლუტურ უმაღლეს მე-ში და თავს აიგივებს წარმავალთან, გონებასთან, ფსიქიკასთან, ეგოსთან ე. ი. იმასთან, რასაც იგი სინამდვილეში, ატმანის (ადამიანის უმაღლეს მე-ს) აბსოლუტთან იგივეობის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს.

ამგვარი სული, იმყოფება რა იგივეობათა და ვნებათა ტყვეობაში, ბუნებრივია, მეფისტოფელის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, თუნდაც ამ სულის ვნებები მსოფლიოქმისკენ იყო მიმართული.

მიუხედავად ამისა, აბსოლუტის დონეზე — მთელი ეს საუბარი და ა. შ., ილუზორული თამაშია მხოლოდ. სინამდვილეში „ამ თვალსაზრისზე“ რომ იდგე, ერთიანობაში უნდა იმყოფებოდე აბსოლუტთან, უნდა განახორციელო აბსოლუტი საკუთარ თავში. წინააღმდეგ შემთხვევაში (და როგორც წესი, სწორედაც ასე ხდება ხოლმე) — ხელშეკრულებაც და მასთან დაკავშირებული განცდებიც ონტოლოგიურად რეალურია, მიუხედავად მეტაფიზიკური ილუზორულობისა. საბრალო ფაუსტს კი უფლის მოწყალების იმედიღა რჩება, იმედი „სინათლისა, რომელიც იმ სიმაღლიდან მოედინება, საიდანაც ყოველივე მოჩანს“.

სწორედ ზენაარის ნებით აკავშირებს პლანეტის სიყვარულის მეოხებით გულს გონებასთან ფაუსტისა და მეფისტოფელის დიალოგის „მოწმე“ პოემის ლირიკული გმირი, და, აი, მაშინ, შემოქმედი ლოგოსის სინათლე ასხივოსნებს მის ქვეცნობიერს, და მას ეხსნება დედამიწის ასტრალური სხეული.

იმედი მაქვს, ეს პოემა-ესე გზას გაიკვლევს ახალი რუსული „ფაუსტინიანისკენ“. თუმცა ფაუსტი არცთუ მთლად რუსული თემაა. ჩვენთან ჰამლეტი ან ძმები კარამაზოვები უფრო ახლოს დგანან, მაგრამ ფაუსტის თემა თავისებურად შეიძლება გარდაიტეხოს აღმოსავლურ-მეტაფიზიკური განხრითაც კი, და სტანისლავ აიდინიანის ნაწარმოები ამის თვალსაჩინო დასტურია.

## იური მამლეევი

იური მამლეევი — ფილოსოფოსი, მწერალი, პენ-კლუბის წევრი, მისი ნაწარმოებები თარგმნილია ევროპის ყველა ძირითად ენაზე. 1974 წ. იძულებითი ემიგრაცია უწევს აშშ-ში, შემდეგ წლებში ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში, სადაც გამოსცა რამდენიმე ცნობილი რომანი და მოთხრობების კრებული, მათ შორის „მოსკოვური გამბიტი“, ავტორია ფილოსოფიური წიგნებისა: „რუსული ლირიკის ფილოსოფია“, „მარადიული რუსეთი“. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში.

# წერილები

პოლ ვალერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა დავით კახაბერმა

## ვიიონი და ვერლენი

თითქოსდა იმაზე ადვილი, ბუნებრივი არაფერია, ვიდრე გვერდიგვერდ დააყენო ფრანსუა ვიიონისა და პოლ ვერლენის სახელები. ისტორიული, ანუ წარმოსახვითი პარალელების მოყვარული მკითხველი იოლად აღმოაჩენს ლიტერატურული სამყაროს ამ ორ ფიგურას შორის მსგავსებას. ორივე საუცხოო პოეტია, ორივე — ცნობილი უწესოა, ორივე თავის ლექსებში უაღრესად ღვთისმოსავ გრძნობებს უხამებს ფრიად თავისუფალი აზროვნების შენიშვნებსა და ხასიათებს, და ამ ერთი ტონალობიდან მეორეში უჩვეულო სიმსუბუქით გადადის; ორივე უზადოდ ფლობს ლექსწყობის ხელოვნებას და თავისი დროის ენას, ორივეს განათლება შეესაბამება ცოცხალ მეტყველებას, ხალხის ხმას; ხალხისა, რომელიც იგონებს, ამახინჯებს, ერთმანეთში ურევს სიტყვებსა და კონსტრუქციებს ისე, როგორც მოეპრიანება, ორივე პოეტმა საკმაოდ კარგად იცის ლათინური და ჩინებულად — ეარგონული ლექსიკა; ორივე დროს ატარებს, როგორც მოეგუნებება — ეკლესიაში ან ტავერნაში; ორივე, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, პატიმრობის სიმწარესაც გამოსცდის, სადაც, მართალია, ვერ გამოსწორდნენ, სამაგიეროდ, სინდისის ქენჯნის, შისა და სინანულის ლექსად გამოსახვის ხელოვნება დახვეწეს. ორივე უკან იხევს, ნანობს, კვლავ უკან იხევს და ფსკერიდან დიდ პოეტად ამოდის, მაღლდება. პარალელი უნებურად იბადება და მისი განვითარებაც არ არის ძნელი.

ოღონდ, რადგან ასე ნათლად და ადვილად ხერხდება მათი ერთმანეთთან შეჯერებ-გატოლება, გამიჯვნაც არ ჭირს. არ ღირს ამ მსგავსებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს. ვიიონი და ვერლენი, ცხადია, ფრიად იღბლიან შეხამებას წარმოადგენს ფრანგული ლიტერატურის ორიგინალური პანორამისთვის, რომელშიც თავშესაქცევად შეგვიძლია ჩავამწკრივოთ, წყვილ-წყვილად დავაჯგუფოთ ჩვენი დიდი ავტორები, გულმოდგინედ ავარჩიოთ და ერთმანეთს ამოვუყენოთ, თუნდაც, ზოგჯერ წარმოსახვითაც, ვთქვათ, კორნელი — რასინს, ბოსიუ — ფენელონს, ჰიუგო — ლამარტინს. ზოგჯერ, პირიქითაც, მსგავსების გამო, როგორც ამ შემთხვევაში, რომლის შესახებაც ახლა ვლაპარაკობთ. ყველაფერი ეს, თვალს მანამ სიამოვნებს, სანამ აწონ-დაწონის დრო არ დადგება და არ გავარკვევთ — რომ ეს დახვეწილი დაწყვილება არც დამაჯერებელია, არც სასარგებლო და საჭირო. მოკლედ, ამ შენიშვნის საოქმელად თავს იმიტომ მივეცი უფ-

ლება, რომ აგაცილოთ დეკორატიულ-რიტორიკული საშუალებების აღრევის სახიფათო ცდუნებას ჭეშმარიტ, კრიტიკულ მეთოდებთან, რომლის მეშვეობითაც რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

დავუმატებ: „ვიიონ-ვერლენის" კომბინაცია, ორი არაჩვეულებრივი პიროვნების აშკარა და მაცდუნებელი შეპირისპრება, რასაც ჩვენი დღევანდელი საუბარი ეძღვნება, ზოგიერთი ბიოგრაფიული ფაქტიც მტკიცდება. ხოლო, როცა მხოლოდ ავტორებს კი არა, მათ ნაწარმოებებსაც ვადარებთ, შეპირისპირება ნელ-ნელა სუსტდება, თუ მთლად არ ქრება. ზუსტად ამის ცხადყოფას ვაპირებ ახლა.

შეიძლება ვთქვათ, რომ ბიოგრაფიების შედარების იდეა ცალკეული დამთხვევების გამო წარმოიშვა, და მომიწევს იმ მეთოდს მივმართო, ჩვეულებრივ, ჩემში უნდობლობას რომ იწვევს. მივიჩნევ — ეს ჩემი ერთ-ერთი პარადოქსია, რომ პოეტის ბიოგრაფიის ცოდნა უსარგებლო ცოდნაა, შეიძლება ითქვას, სრულიად დამღუპველიც ავტორის ნაწარმოებების აღქმისას, ე. ი. იმ სიხარულის აღქმისთვის, რომელსაც ნაწარმოების წაკითხვის დროს განვიცდით, ან იმ დასკვნებისთვის ხელოვნების არსის შესახებ, რომლებსაც ამ ნაწარმოებების წაკითხვისას ვაკეთებთ. რა შესაქმეა რასინის მიჯნურობასთან? მე „ფედრა" მაინტერესებს. რას მოვიგებ საწყისი მასალიდან, რომელიც ყველგან თავზესაყრელადაა? ნიჭი, ე. ი. გარდასახვის უნარი — აი, რა მხვდება გულში და ჩემში შურს იწვევს. სამყაროს ერთად აღებულ ყველა ვნებას, თვით ყოვლისშთანმთქმელ განცდასაც კი თავისთავად არ შეუძლია კარგი ლექსის დაბადება. რა კეთილგანწყობილიც უნდა ვიყოთ ავტორისადმი, მას ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება, გარემოება და ადგილი იმისთვის კი არ ეძლევა, რომ მასში რაღაც ჩვეულებრივი და [illegible] ია, არამედ იმისთვის, [illegible] აღემატება ჩვეულებრივ ადამიანს. თუ ვამბობთ, რომ ბიოგრაფიებისადმი ინტერესმა შეიძლება ზიანი მოიტანოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ინტერესი ძალიან ხშირად გვიქმნის მიზეზს, პირობასა და საშუალებას, დავშორდეთ თვით ლექსების გულმოდგინე და ბუნებრივ შესწავლას. გვგონია, რომ ლექსებში ყველაფერი ნათელია, თუმცა, სინამდვილეში, მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ამ ლექსებს თავს ვარიდებთ და მათთან ყოველ შეხვედრას გავურბივართ, მათი ავტორების, წინაპრების, მეგობრების, პრობლემებისა და საქმიანობის შესწავლით; ამით მხოლოდ თავს ვიტყუებთ—მეორეხარისხოვნისთვის მთავარს ვივიწყებთ. არაფერი ვიცით ჰომეროსზე. ეს ოდნავადაც არ აკნინებს „ოდისეას" ზღვის სილამაზეს... აბა, რა ვიცით ბიბლიის შემქმნელებზე, „ეკლეზიასტეს" ან „ქებათა-ქების" ავტორებზე? ამ ნაწარმოებების სილამაზეს ამის გამო არაფერი აკლდება. ბოლოს, აბა, რა ვიცით შექსპირზე? ისიც კი არა — „ჰამლეტი" თუ მან დაწერა.

მაგრამ დღევანდელ საუბარში ბიოგრაფიულ საკითხებზე თავის არიდებას ვერ მოვახერხებთ. იგი თავიდანვე იჩენს თავს, მოითხოვს და მომიწევს ხელი მოვკიდო იმას, რასაც ახლახანს ვკიცხავდი.

საქმე ისაა, რომ ორმაგი სიტუაცია — ვერლენი — ვიიონი — განსაკუთრებული სიტუაციაა. იგი იშვიათი და განმასხვავებელ-დამახასიათებელი თვისებების მატარებელია. თითოეული მათგანის მიერ და-

წერილი საკმაოდ საგრძნობი ნაწილი უშუალოდ მათივე ცხოვრებას ეხება. მათ ნაწარმოებებში, უდავოა, ბევრი რამ არის ავტობიოგრაფიული. ორივემ ამის არცთუ ცოტა მტკიცებულებანი დაგვიტოვა. ოღონდ საეჭვოა, რომ მათი აღიარება ყოველთვის გულწრფელია. თუ მათ ნაწარმოებებში, მართლაც, სარწმუნო ფაქტებია გადმოცემული, მაშინ არა ყველაფერი და არა ყველა ფაქტია სანდო. ხელოვანი სიტყვას ირჩევს, მაშინაც კი, როცა აღსარებას ამბობს. და, იქნებ, მაშინ უფრო მეტად, როცა აღსარებას ამბობს: აქ შეამსუბუქებს ფაქტებს, იქ გაამუქებს ფერებს...

უკვე ვთქვი, რომ ეს სიტუაცია განსაკუთრებულია. პოეტების უმრავლესობა, როცა საკუთარ თავზე წერს, არ სიტყვაძუნწობს. ლირიკოსები საერთოდაც მხოლოდ საკუთარ თავზე წერენ. აბა, რაზე ან ვისზე წერონ? ლირიკა — „მე"-ს ხმაა, ყღერადობის უკიდურეს სიფაქიზემდე დაყვანილი და, იქნებ, ყველაზე მაღალ ნოტაზეც. ლირიკოსი პოეტები საკუთარ თავზე იგივე მანერით ლაპარაკობენ, როგორც მუსიკოსები, — თავის შეგრძნებებს საკუთარი ცხოვრების კრიტიკული მოვლენებიდან გამოატარებენ და უნივერსალური ხასიათის იდუმალ ცდებში გადაადნობენ. მათ რომ გავუგოთ, საკმარისია, თუნდაც ერთხელ აღვფრთოვანდეთ დღის სინათლით, შევიგრძნოთ ბედნიერება, განსაკუთრებით კი — უბედურება, სურვილი, გატაცება; თავგზის აბნევა და სინანული, — საკმარისია ყოველი ადამიანისთვის ნაცნობი ეს უბრალო ცხოვრებისეული მდგომარეობა განიცადო, მდგომარეობა, რომელთაგან თითოეულს ქნარზე საკუთარი სიმი შეესაბამება...

ჩვეულებრივ, ეს საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ ვიიონთან სულ სხვაგვარად არის. ეს ადამიანი ხნის წინ შეამჩნიეს, ოთხასზე მეტი წლის წინ. ამაოდ როდიერ[illegible]ლემან მარომ — მსურველს — „ჩასწვდეს და შეაფასოს" ვიიონის ბევრ ტექსტს „იმ დროის პარიზში ცხოვრება დასჭირდება და იმ ადამიანების, იმ საგნების ცოდნა, რომლებზეც იგი ლაპარაკობს; რადგან, რაც დრო გადის, მით წარსულში გადადის ეს მოვლენები, და უფრო ნაკლებს ეუბნება ადამიანებს მათი სახელები. ამიტომაც, ვისაც თავისი შრომით სანგრძლივი სიცოცხლე სურს, საგნებზე ასე მდაბლად, ასე წვრილმანობით არ უნდა წეროს".

მაშ ასე, აუცილებელია, ფრანსუა ვიიონის ცხოვრებასა და თავგადასავლებს მივმართოთ, ვცადოთ იმ დეტალებში აღვადგინოთ, როგორც მოიხსენიებს ან ამოვხსნათ მისი მრავალრიცხოვანი ქარაგმა. ვიიონი იმ ადამიანების სახელებს ჩამოთვლის, რომლებმაც მის ოღროჩოღრო ბედისწერაში კარგი ან ცუდი როლი ითამაშეს; ერთ ნაწილს მადლიერებით მოიხსენიებს, მეორეს დასცინის ანდა წყევლა-კრულვას უთვლის; აღწერს ტრაქტირებს, სადაც ხშირად დადიოდა, რამდენიმე სიტყვით მუდამ ოსტატური სიზუსტით ხატავს ქალაქური ცხოვრების რაკურსებსა და სცენებს. ეს ლექსები მსგავსი წვრილმანებით გაღავსებულია, მათგან განუშორებელია, ამიტომაც ზოგიერთი ადგილი გაუგებარია იმათთვის, ვინც იმ ეპოქის პარიზს, მის თვალწარმტაცსა თუ ნაღვლიან კუთხეებს არ იცნობს. ვფიქრობ, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" ზოგიერთი თავი გვარიანი წინასიტყვაობა იქნება ვიიონის ლექსებისთვის, ჰიუგომ, ჩემი აზრით, მშვენივრად დაინახა ან მშვენივრად შეთხზა, მის-

თვის დამახასიათებელი ხელგაშლილობითა და სიზუსტით გადმოსცა მეთხუთმეტე საუკუნის ასე თუ ისე გამოგონილი დეტალები. უპირველეს ყოვლისა კი პიერ შამპიონისᲲ მშვენიერ შრომას გირჩევთ წასაკითხად, სადაც თქვენ იპოვით ყველაფერს, რაც ცნობილია ვიიონისა და მისი დროის პარიზზე.

სირთულეები, რომლებსაც ჩვენში ვიიონის ლექსების კითხვა იწვევს, მხოლოდ ეპოქათა სხვაობასა და ზოგიერთი მოვლენის გაქრობაზე არ დაიყვანება, იგი მათი ავტორის განსაკუთრებულ ხასიათთანაც არის დაკავშირებული. ეს გონებამახვილი პარიზელი — შიშისმომგვრელი პიროვნებაცაა. ის მარტო სკოლარი ან ბურჟუა არ არის, რომელიც ლექსებს თხზავს და ზომიერად ეშმაკობს. ხიფათი, რომელიც ემუქრება, ისევე როგორც მისთვის ხელმისაწვდომი შთაბეჭდილებები, ისეთივეა, როგორიც მისი დროისა და წოდების ადამიანებისთვის. მეტრი ვიიონი — განსაკუთრებული კაცია, რადგან ჩვენს ამქარში (თუმც ბევრი თავგადასავლების მოყვარულია — თეორიულად) არცთუ ხშირად ხდება, როცა პოეტს ხელობად ყაჩაღობა აქვს, ხელიდან წასული თაღლითია, ადანაშაულებენ მაწანწალობასა და საზარელ ბანდებთან კავშირში, რომ იგი ძარცვავს, ტეხს ზანდუკებსა და სალაროებს, თუ შემთხვევა მიეცემა, ჰკლავს კიდეც, გამუდმებით ფხიზლობს, გრძნობს, მის თავზე ყულფი ჰკიდია, და ამ დროს, უმშვენიერესი ლექსების წერას არ წყვეტს. სახრ-

Ა. პიერ შამპიონი (1880—1942) — სახელგანთქმული ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოს-მედიევისტი. დაწერილი აქვს ორტომეული „ფრანსუა ვიიონი, მისი ცხოვრება და მისი თანამედროვეობა“.

ჩობელის ეს კანდიდატი (ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ დაამთავრა მან სიცოცხლე, და საფუძველიც გვაქვს, ზუსტი ცნობისა გვეშინოდეს), ეს დევნით გატანჯული პოეტი თავის ლექსებში უხვად იყენებს იმ დროისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, იმ ბნელ და საიდუმლო ენისას, რომელზეც მხოლოდ იმ ადგილებში ლაპარაკობდნენ, ცუდი სახელით რომ იყო ცნობილი. ზოგიერთი მისი ლექსი ამ ენაზეა დაწერილი, და ჩვენთვის პრაქტიკულად გაუგებარია. იმ სამყაროს მცხოვრებნი, სადაც ამ ენას იყენებდნენ, დღის ნათელის მაგივრად ბნელ ღამეს ირჩევდნენ და მათი მეტყველებაც ღამის ზღურბლთანაა გაწოლილი, ძ ა ღ ლ ს ა და მ გ ე ლ ს შუა, ე. ი. ჩვეულებრივ ენასა, რომლისგანაც სინტაქსი ისესხა, და სიტყვათა გამოუცნობ ნაკრებს შუა, რომელიც ზეპირად, პირიდან პირზე გადაეცემა და განუწყვეტლად განახლდება. მათ ლექსიკონში ბილწი, საზიზღრად მჟღერი სიტყვებია, დროდადრო შიშისმომგვრელ გამოხატულებას რომ იძენს. მიუხედავად იმისა, რომ აზრი ზოგჯერ გაუგებარია, სიტყვების უხეში ან კარიკატურული გარსით ვხვდებით იმ ცნებებს, ალმოჩენებს თუ სახეებს, მათში რომ იფარება.

ეს გახლავთ პრიმიტიული ტიპის ნამდვილი პოეტური შემოქმედება, პოეტურ ნაწარმოებებში პირველი და უმთავრესი ხომ ადამიანის სიტყვაა. ღატაკთა და ქურდთა ჟარგონი, მართალია, ზრდილი საზოგადოების მეტყველებიდან არის ამოზრდილი, მაინც თვითმყოფადი წარმონაქმნია, რომელიც უსასრულოდ იცვლება, სრულყოფილდება ბუნაგებში, ციხეებში, პარიზის ყველაზე ბნელ, უკეთურ ქუჩა-ბანდებში, საზოგადოების ყველაზე გამოუსწორებელი მტრების მეშვეობით, იმ-

ათი მეშვეობით, ვინც შიშს თესავს და იმავე დროს თავად მუდმივად იმყოფება შიშში, ბოროტებას სჩადიან და გაჭირვებისგან იტანჯებიან, დანაშაულს ამზადებენ, გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან, ოცნებობენ შურისძიებაზე, თვალწინ კი გამუდმებით წამება და სასჯელი (იმ დროს ხშირად საშინლად მკაცრიც) უდგათ; ამაზე ფიქრიც განუწყვეტლივ თან სდევთ, აძრწუნებთ, გალიაში ჩამწყვდეული მხეცებივით აქეთ-იქით აწყდებიან დანაშაულსა და სასჯელს შორის.

ფრანსუა ვიიონის ბიოგრაფიაში, ისევე როგორც მისსავე პოეზიაში, ბევრი ბნელით მოცული ადგილია; მის ცხოვრებაშიც, ლექსებშიც ბევრი რამ არის წყვდიადით დაფარული, ისევე, როგორც თვით სახე პოეტისა.

იქიდან გამომდინარე, რაც მასზე ვიცით, მისი ჭეშმარიტი სახე ფრიად უბადრუკად წარმოგვიდგება: ცნობები მის შესახებ ან მისივე ლექსებიდანაა ამოკრებილი ან მართლმსაჯულების ჩანაწერებიდან, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ მისახვედრ ვარიანტს არ იძლევა და უფლებას გვიტოვებს შევქმნათ შურისმაძიებელი, საძაგელი ადამიანის პორტრეტი, რომელსაც ყველაზე მდაბალი ქმედების ჩადენა შეუძლია, ოღონდ, ეგ არი, დროდადრო, მოულოდნელად, მის სახეში ღვთისმოსაობა და სინაზე გამოჟონავს, აკიაფდება, მაგალითად, როგორც იმ ცნობილ და უმშვენიერეს ლექსში („ბალადა — ლოცვები ღვთისმშობელს"), რომელიც ლოცვისათვის შექმნა საკუთარი დედისთვის, საცოდავი ქალისთვის, რომელმაც დაახლოებით 1435 წელს თავისი ვაჟი, ფრანსუა დე მონკორბიედ წოდებული, რომელსაც მერე მძიმე ხვედრი, დიდება, საპყრობილეთა ჯაჭვი და პოეზია ერგება წილად, აღსაზრდელად გიიომ დე ვიიონს მიაბარა, წმინდა ბენედიქტეს ეკლესიის წმინდა იოანეს სამლოცველოს კაპელანს.

ეს ბალადა, ერთ-ერთი საუკეთესოა ფრანგულ პოეზიაში.

თუ ყურადღებას არ მიაქცევთ ოდნავ უკვე გაფერმკრთალებულ სიტყვებს, ენა თანამედროვეს ჰგავს; ეს ლექსი თითქმის ხუთი ასეული წლის წინ დაიწერა, მაგრამ დღემდე გვახარებს და გვაღელვებს. აღგვაფრთოვანებს პოეტის ოსტატობა, ფორმათა სრულყოფა, დახვეწილი სტროფების უზადო მუსიკალური წყობა, რომელშიც სინტაქსის სიმდიდრე და მუხლების ბუნებრივი მრავალფეროვნება, კონსტრუქციების ადვილად შეკავშირების საშუალებას იძლევა — ათი ხაზი, ათი მარცვალი, ოთხი რითმა. აღფრთოვანებული ვარ ამ რითმების უკვდავობით, ლუდოვიკო XI დროს რომ აღმოცენდა. ამაში ვხედავ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნამდვილ საბუთსა და ფრანგული ენის უცვლელ არსს მრავალი საუკუნის განმავლობაში. ევროპაში ასეთი მემკვიდრეობით მხოლოდ საფრანგეთსა და ინგლისს შეუძლია იამაყოს; ამ ორ ქვეყანაში მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, თაობების ცვლის ფონზე, პირველხარისხოვანი მთხზველებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა არ შეჩერებულა.

საერთოდ კი, იმის მიუხედავად, ვიიონი ჩამოახრჩვეს თუ არა, სიცოცხლეს განაგრძობს იმ ავტორთა თანაბრად, დღეს რომ მოღვაწეობენ. იგი სიცოცხლეს აგრძელებს, რადგან მისი ლექსები ჩვენთვის გასაგებია, გულგრილს არ გვტოვებენ, და რაც მთავარია, — იმიტომ რომ, ისინი უძლებენ ყველაზე ძლიერ და

სრულყოფილ ნაწარმოებებთან შეჯიბრს, რომლებიც უდიდესმა ავტორებმა შექმნეს, მას აქვთ მილეულ ოთხი საუკუნის განმავლობაში. მისი ლექსების ფორმა ფასდაუდებელია.

ტექსტთა ბედზე ლაპარაკიდან ისევ მათი ავტორების ბედზე საუბარს დავუბრუნდები. უკვე ვთქვი, რომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის-მეთქი ჩვენთვის ცნობილი. როგორც რემბრანტთან — დიდი ნაწილი ჩრდილში რჩება, საიდანაც ცალკეული ფრაგმენტები და დეტალები საოცრად ნათლად, გამაოგნებელი მკაფიოობით გამოდის.

გიამბობთ როგორ აღმოჩნდა ეს დეტალები: ისინი სამართალწარმოების მასალებიდან გახდა ცნობილი. ამ მასალებს, რომლებშიც პრაქტიკულად სრულიად სანდო ინფორმაციაა ვიიონის შესახებ, სამ თუ ოთხ მაძიებელს, პირველხარისხოვან ერუდიტს უნდა ვუმადლოდეთ. ახლა ზუსტად ის დროა, საკადრისი პატივი მივაგოთ ლონონს,[1] მარსელ შვობს და პიერ შამპიონს, რომლებამდეც მხოლოდ ნაკლებად სანდო ინფორმაციები გვქონდა პოეტზე. მათ მოიძიეს ეროვნული არქივის პარიზის სასამართლოს საქაღალდეებში უმნიშვნელოვანესი საბუთები.

მე არ ვიცნობდი ოგიუსტ ლონონს, სამაგიეროდ, კარგად ვიცნობდი მარსელ შვობს, მღელვარებით ვიხსენებ ჩვენს ხანგრძლივ საუბრებს მწუხრისას, როცა ეს უჩვეულო გონებითა და შორსმჭვრეტელობით დაჯილდოებული ადამიანი თავის ძიებებს, წინათგრძნობებსა და იმ აღმოჩენებზე მიამბობდა, რომლებიც მას მიზანს აახლოვებდა — სანდო ცნობების აღმოჩენას ვიიონის საქმეზე. იგი ფლობდა ედგარ პოს ინდუქციური წარმოსახვის უნარს, ფილოლოგის დაჟინებულ გამჭრიახობას, ტექსტის ანალიზის თავისებურ ნიჭს, გარდა ამისა, მას ჰქონდა ის განსაკუთრებული ინტერესი გამოჩენილი პიროვნებებისადმი და მათი უჩვეულო ბედისადმი, რაც დაეხმარა პირველს ჩაეხედა ბევრ საუცხოო წიგნში, ლიტერატურაში მოვლენებად რომ იქცა.

ლონონის მაგალითით (და პოლიციისა, რომელიც თავის მუშაობაში ამავე მეთოდს იყენებს) გადაწყვიტა გამოთვლის მეთოდით ემუშავა — ვიიონს დასწეოდა, მიემართა „ტოტალური ალყისთვის". ამისთვის საჭირო იყო დამნაშავის ყველა პოტენციური გარემოცვისთვის, რომელთა ხელში ჩაგდებაც უნდოდა, მახე დაეგო, — დაეკავებინა, ე. ი. „გამოეაშკარავებინა" ყველა მისი თანამზრახველი. მას უნდოდა შეემოწმებინ-შეეფასებინა ის გულმოდგინება, რომლითაც მაშინ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ. ერთხელ იმ დამნაშავეთა ბანდის ავაზაკურ თავგადასავლებზეც მიამბო, რომლებთანაც ჩვენი ვიიონი იყო დაკავშირებული. შვობმა დამნაშავეები დიჟონში აღმოაჩინა, სადაც ბევრი დანაშაული ჩაიდინეს; მძარცველები ის-ის იყო უნდა დაეჭირათ, რომ ქალაქი მოულოდნელად დატოვეს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. დიჟონის სასამართლოს პროკურორს თვალთაგან არ დაუკარგავს ისინი; ერთ თავის კოლეგას პატაკს უგზავნის და გაქცეულებზე ზუსტ ცნობებს აწვდის. ნაძარცვით დატვირთული სამი მათგანი ტყეში გაუჩინარდა. თურმე ორმა ერთმანეთში მოილაპარაკა, მესამე

1. ოგიუსტ ლონონი (1844—1911) — ფრანგი ისტორიკოსი და ფილოლოგი. ავტორი შრომისა: „ფრანსუა ვიიონი. ბიოგრაფიული ნარკვევი".

ხანჯლით მოკლა, მისი წილი გაინაწილა და ერთმანეთს დაშორდა. ერთი იმათგანი, როგორც ეტყობა, ორლეანში ჩამოჰკიდეს, მეორე მონტარჟში ყალბი ფულის მოჭრისთვის ცოცხლად მოხარშეს. ეტყობა, მაშინდელი მართლმსაჯულება, რომელსაც არც ტელეფონი, არც ტელეგრაფი, არც ფოტოგრაფია, არც თითების ანაბეჭდი ან ანთროპომეტრული აღწერები არ გააჩნდა, კარგად მუშაობას მაინც ახერხებდა.

სერიოზული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ვიიონი ამ ბანდის წევრი იყო, რომლის სახელიც „ნიჟარათა ძმობა“ ანუ „ნიჟარქვა“ საკმაოდ სახელგავარდნილი გახლდათ, მისი ცხოვრება, ერთდროულად, უბედურიც იყო და ბედნიერიც, როგორც ჩანს, ხანმოკლეც — ძალზე საეჭვოა, ორმოც წლამდე ეცოცხლა. მოკლედ მოგითხრობთ მის ისტორიას, უფრო სწორად იმას, რაც იმ მკვლევარებმა შეძლეს და გაარკვიეს, უკვე რომ დავასახელე და რომელთა შრომების წაკითხვაც ნამდვილად ღირს, არა იმისათვის, დიდი პოეტის ლექსები გავიგოთ, არამედ იმიტომ, ამ სამეულის მიერ წარსულის აღსადგენად გაწეული შრომის სრულყოფილება რომ შევაფასოთ და გავიგოთ, აღმოჩენის უნარის გვერდით კიდევ არსებობს უნარი ძიებისა, ხოლო მწერლის ტალანტის თანაბრად არის კიდევ ტალანტი მკითხველისა.

ვიიონი 1431 წელს დაიბადა პარიზში, ნამდვილი სახელი და გვარია ფრანსუა დე მონკორბიე. დედამისი ღატაკი ქალი ყოფილა; შვილის აღზრდა ვერ შეძლო თურმე და აღსაზრდელად მიაბარა წმინდა ბენედიქტეს თემის პატივცემულ კანონიკ გიიომ დე ვიიონს, რომელიც იქვე, ეკლესიასთან ცხოვრობდა. მის სახლში აღიზარდა ფრანსუა ვიიონი და დაწყებითი განათლებაც იქ მიუღია. მამობილი, ეტყობა, კარგად ექცეოდა, ერთგვარი სინაზითაც კი. თვრამეტი წლის ჭაბუკმა ბაკალავრის გამოცდაც გაიარა. ოცდაერთი წლისამ, — 1452 წლის ზაფხულში, — ლიცენციატის[1] ხარისხიც მიიღო. რა განათლება ჰქონდა? ალბათ, თითქმის ისეთივე, ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტმა რომ უნდა მიიღოს: ლათინურის გრამატიკა, ფორმალური ლოგიკა, რიტორიკა (ამ ორ საგანს არისტოტელეს მიხედვით ასწავლიდნენ, მისი შრომების მაშინდელი გაგების თანახმად); პროგრამაში ცოტაოდენი მეტაფიზიკაც შედიოდა, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების მიმოხილვაც.

ოღონდ, ფრანგულ სიტყვას, რომელიც ლიცენციატის ხარისხს აღნიშნავს, ორნაირი მნიშვნელობა აქვს. ვიიონმა ხარისხი მიიღო და თავიც აიშვა, სახიფათო გახდა მისი ქცევა. კლირიკთა საზოგადოება მრავალფეროვანი იყო. ღვთისმსახურის წოდება იმ ადამიანთა ყურადღებას იქცევდა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდნენ. კლირიკს შეეძლო ჩვეულებრივი სასამართლოსთვის თავის არიდების მიზნით საქმის სასულიერო სასამართლოსთვის გადაცემა მოეთხოვა. ჩვეულებრივ, სასამართლოებში გაცილებით მკაცრი პროცესები იმართებოდა. ეს ღვთისმსახურები ხშირად მორალურ საფუძველს მოკლებული ადამიანები იყვ-

1. ლიცენციატი (Licence) — პირველი მნიშვნელობა ლიცენციატის სამეცნიერო ხარისხია; მეორე მნიშვნელობაა თავგასულობა, აღვირახსნილობა, გახრწნილობაა.

ნენ. ბევრ ვიგინდარას შეეძლო კლირიკების წრეს გარეოდა. ისეც მომხდარა, რომ ღვთისმსახურად თავის გასაღების მიზნით დამნაშავეს ლათინურის იმპროვიზებული გაკვეთილები ჩაუგდია ხელში, რათა ამ გზით შეეცვალა მოსამართლე.

ვიიონმა ამ სხვადასხვა ჯურის ხალხის ყველაზე ცუდ წარმომადგენლებთან გააბა ნაცნობობა. როგორც ჩანს, ამ წრეში ქალებიც ერევნენ და არცთუ მოკლებულნი მომხიბვლელობას. ისინი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ პოეტის ზრახვებსა და თავგადასავლებში. მაგრამ, ალბათ, არც ერთ ქალს აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ბიჭის წყალობით, საუკუნეების განმავლობაში იცოცხლებდა. მეწაღე ბლანში, სქელუა მარგო, მშვენიერი მეშლიაპე ჟანეტი, მეკალათე კატრინა; მიაქციეთ ყურადღება ამ ქალების პროფესიულ მეტსახელებს... შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ ყველა ხელობის წარმომადგენელს მოუწიათ პოეტის მუზისთვის ცოლის დათმობა, თითქოსო საშუალო საუკუნეში ხელოსანთა წოდების წევრობა უცილობლად წარმოშობდა ცოლქმრულ პრობლემებს.

და აი, დროსტარებით, გარყვნილებით დაიწყო და ძალადობამდე მიდის. 1455 წელს ვიიონი კლავს ადამიანს. ეს ამბავი „შეწყალების სიგელიდან“ საკმაოდ კარგად არის ცნობილი. „შეწყალების სიგელი“ კი მეფე შარლ VII-სგან მიიღო: „მეტრ ფრანსუა დე ლოჟი, იგივე დე ვიიონი, ოცდაექვსი წლისა ან დაახლოებით ამდენისა, რომელიც უფლის სხეულის გარდამოხსნის დღესასწაულის დროს, წმინდა ბენედიქტის ეკლესიის საათის კოშკის ქვეშ იჯდა ქვაზე, ქალაქ პარიზის სენ-ჟორჟის დიდ ქუჩაზე, და მასთან იყო ერთი მღვდელი, სახელად ჟილი და ვინმე ქალი, სახელად იზაბო. ყველაფერი ცხრა საათზე ან ოდნავ გვიან მოხდა“.

უცბად გამოჩნდება ვინმე ფილიპ სერმუაზი თუ შერმუა, მღვდელი, მეტრ ჟან ლე სარდის თანხლებით. სიგელის თანახმად, რომელიც ვიიონის სიტყვებიდან არის შედგენილი და ამ ვერსიის სიმართლე ეჭვს არ იწვევს, მღვდელი სერმუაზი ჩხუბს იწყებს, პოეტი საქმის მოწესრიგებას ცდილობს, დგება და ადგილს უთმობს... მაგრამ სერმუაზი არ ჩერდება, ანაფორის ქვეშიდან ხანჯალს დააძრობს და ვიიონს სახეში ურტყამს, რის გამოც „სისხლი ბლომად დაღვარა. ვიიონს ლაბადა ეცვა, საღამოს თუ აცივდებოდა იმ შემთხვევისთვის და ლაბადის ქვეშაც ხანჯალი ეკიდა“; ისიც დააძრობს ხანჯალს და სერმუაზს საზარდულში გაუყრის, „თავადაც ვერ მიხვდა, ეს როგორ მოხდა“. (თავის მართლება მაინცადამაინც სიმართლეს არ ჰგავს). სერმუაზის თანმხლები, შურისძიების მიზნით, ვიიონს დაედევნება. მას ქვა მოხვდება სახეში. ყველა მოწმე გარბის.

ვიიონი ჭრილობის შესახვევად დალაქთან მიდის. დალაქმა მომხდარის შესახებ მოხსენებითი ბარათი უნდა შეადგინოს და ვიიონს სახელს ეკითხება. ვიიონი გამოგონილ სახელს ეუბნება — მიშელ მუტონიო. სერმუაზი ჯერ მონასტერში მიჰყავთ, მერე ქალაქის საავადმყოფოში, სადაც ორი დღის შემდეგ კვდება „არასწორი მკურნალობის გამო“. მკვლელი წინდახედულად იმალება.

რამდენიმე თვის შემდეგ კი „შეწყალების სიგელს“ იღებს, საიდანაც უკვე მოვიყვანეთ რამდენიმე წინადადება. საინტერესოა, რომ ამ შეწყალების ოპერატიული აქტისთვის თვით მეტრ ვიიონის მტკიცებები და თავის მართლება აღმოჩნდა საკმარისი. არანაირი გამოძიება

არ ჩატარებულა. თავდაცვის აუცილებლობის გამო თავის მართლებას ეჭვის ქვეშ არავინ აყენებდა. დაინტერესებული პირის მტკიცება ამ უსიამოვნო შემთხვევის გამო მართებული იყო და მისაღები. თუმცა მისი მონაყოლი მთლად სიმართლეს არ ჰგავს: აუხსნელია მღვდელ სერმუაზის თავდასხმის მიზეზი, გამოგონილი სახელი, რომელიც ვიიონმა დალაქ ფუკეს უთხრა, შემთხვევის ადგილიდან ვიიონის გაქრობა, მოწმეების არ არსებობა, — მოკლედ, ამ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალია. სახრჩობელაზე ბევრი გაუგზავნიათ ამაზე ნაკლები სამხილით, მაგრამ ვიიონისადმი უფრო მკაცრი ნუ ვიქნებით, ვიდრე თვით მეფე იყო, რომელიც „ლმობიერებას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე სისასტიკეს“, შეიწყალეს, მიუტევეს და „ამ მომენტიდან, — როგორც ტექსტი იუწყება, — პროკურორის ბრძანებით სამუდამოდ დაიხურება ეს საქმე“. მაგრამ მალე საქმესთან დაბრუნება მაინც მოუწევთ.

რაც შეეხება ვიიონის შემდეგ დანაშაულს, უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ სახეზეა სისხლის სამართლის ბრალეულობის ყველა ნიშანი. არავითარი გაუგებრობა. საქმე ღამით ჩადენილ ქურდობას ეხება, საცხოვრებელი სახლის გატეხვას, თვითნაკეთი გასაღებისა და სხვა საძარცვავი იარაღის გამოყენებას.

ვიიონი გეზის მიმცემია. თანამზრახველებთან ერთად, რომელთა შორისაც პროფესიონალი ქურდებიც იყვნენ, მოიპარეს ხუთასი ოქროს ეკიუ, ნავარის კოლეჯის კუთვნილება, რომელიც კოლეჯის სამლოცველოს სალაროში ინახებოდა. გაქურდვა ორი თვის შემდეგ გაიგეს. ძალზე საინტერესოა შატლეს პროკურატურის სამეფო გამომძიებლების მიერ ჩატარებული ძიების შედეგად აღმოჩენილი დაწვრილებითი გამოძიების დეტალები. მხოლოდ ერთ ფრაგმენტს მოვიყვან.

მომკვლევებმა ნაფიც ექსპერტთა სახით ცხრა ზეინკალი გამოიძახეს, განსაკუთრებული ფიცი დაადებინეს, მათი ვინაობა და მისამართები სისხლის სამართლის საქმეში შეინახეს; ქურდების მიერ გამოყენებული ყველა ხერხი დიდი სიზუსტით აღადგინეს; მაგრამ ქურდებმა მიმალვა მოახერხეს. მათდა საუბედუროდ, გამოძიებამ კვალს მიაგნო, ერთი ქურდის გაუფრთხილებელი ლაყბობის წყალობით: ტავერნაში იყბედა ნავარის კოლეჯის გაქურდვის შესახებ, მის სიტყვებს ვილაც კიურემ მოჰკრა ყური. ეს სასულიერო პირი, ეტყობა, კულტის მსახურებას პოლიციის პრეფექტურის ინფორმაციის შემკრებ სამსახურთან მუშაობას ამჯობინებდა. მისი დახმარებით გამოძიებამ საგრძნობლად წინ წაიწია და პირდაპირ ფრანსუა ვიიონის კვალს მიადგა. ვიიონი სწრაფად ტოვებს დედაქალაქს.

მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორ წარიმართა შემდეგ მისი ცხოვრება... ხან ციხეში ზის, ხანაც ჰერცოგსა და პოეტ შარლ ორლეანელის საზოგადოებაში ატარებს დროს, დროდადრო, როგორც ჩანს, „ნიჟარათა ძმობის“ თავგადასავლებშიც მონაწილეობს. ეტყობა მენელუარში საეპისკოპოსო ციხის მკაცრი რეჟიმიც იწვნია, სადაც, სავარაუდოა, რომელიღაც საეკლესიო სალაროს გაძარცვისთვის მოხვდა. ტიბო დ'ოსინი, ორლეანის ეპისკოპოსი, ძალზე მკაცრად მოექცა. ვიიონს მძიმე მოგონებად შემორჩა მიწისქვეშა საპყრობილეში წყლით წამება. ლუდოვიკო XI ნებით ათავისუფლებენ, ისევ პარიზში ბრუნდება, მაგრამ ვაი, რომ მისი ცხოვრება არ მშვიდდება; მოძებნის ძველ, ბნელი წარსულით მოცულ

ნაცნობებს, ახლებსაც არანაკლებს შეიძენს და მათთან მეგობრობაც მისი ცხოვრების ყველაზე სამწუხარო ავანტურებით მთავრდება. ერთი ჩხუბის შემდეგ საეპისკოპოსო ნოტარიუსი დაჭრეს. შატლეს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა: ვიიონს მიესაჯა „სიკვდილი ჩამოხრჩობით, ქალაქ პარიზის სახრჩობელაზე“. როგორც ჩანს, საშინელი დღეები დაუდგა, როცა წარმოიდგინა ჩამოხრჩობის შემდეგ როგორ ქანაობდა მისი სხეული სახრჩობელაზე, — ტყუილად არ გახარებია, როცა გაიგო, რომ სასამართლომ მისი აპელაცია განიხილა, ათი წლის პატიმრობით შეუცვალა ის სასჯელი, მუდამ თან რომ სდევდა, აძრწუნებდა და რომელმაც მწარე სტრიქონები დააწერინა. შვებით ამოისუნთქა, როცა გაიგო, რომ გადარჩა; ერთი მოსმით ორი ლექსი დაწერა: ერთში შეწყალებით ხარობს და ციხის ზედამხედველს მიმართავს; მეორეში პარიზის სასამართლოს უხდის მადლობას, ხოტბას ასხამს ადამიანურ ყველა ამაღლებულ გრძნობას და სხეულის ყველა ნაწილს დასახმარებლად უხმობს.

მაშ ასე, იგი პარიზს ტოვებს, ბედნიერია, ასე ადვილად რომ გადარჩა.

მერე... მერე კი აღარაფერი ისმის.

სად და როგორ დაამთავრა თავისი დარჩენილი დღენი ვიიონმა?

ამის შესახებ არაფერი ვიცით.

მისი ცხოვრების დასასრული, რომელშიც უამრავი შავი ფურცელია, უკუნითაა დაფარული. მაგრამ უკვე XVI საუკუნიდან მოყოლებული მისი ლექსები იბეჭდება. მაწანწალა, ქურდი და სიკვდილმისჯილი ფრანგ პოეტებს შორის თავის ადგილს იკავებს, რომელსაც ვერავინ წაართმევს. ვიიონის შემდეგ ჩვენი პოეზია კლასიციზმს მიმართავს, რომელიც პოეტებისგან ამაღლებულსა და ნატიფ სტილს მოითხოვს, უპირატესობას სალონებს ანიჭებს და არა შარაგზებსა და ავაზაკთა ბუნაგებს. მიუხედავად ამისა, ვიიონს მაინც კითხულობენ, წარმოიდგინეთ, ბუალოც კი კითხულობდა. დღეს მისი დიდება უფრო მაღალ რეგისტრში ეღერს, ვიდრე ოდესმე; მისი ლექსებისადმი ინტერესს, პირდაპირ ვთქვათ, უფრო აცხოველებს ის მდგომარეობა, რომ ახლა უფრო ნათლად წარმოგვიდგენია, როგორ ჩაწიხლა ცხოვრებამ და რა თავისმომჭრელი იყო მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რადგან უკვე აღმოჩენილია ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი. ყველა დროის ლიტერატურა და თეატრალური დადგმა ამტკიცებს, რომ დანაშაული — საკმაოდ მიმზიდველია. ბიწიერებაც არანაკლებ ინტერესს იწვევს წესიერ ადამიანებში, ზედმეტად წესიერ ადამიანებშიც კი. ვიიონის პირით, პირველ პირში თვითონ დამნაშავე ლაპარაკობს, თანაც პირველხარისხოვანი პოეტი. და ჩვენს წინ დგება პრობლემა, რომელსაც უფრო ფსიქოლოგიურს დავარქმევდი, ზუსტად რომ გამეგებოდეს, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

როგორ შეიძლება ერთმადაიმავე ტვინმა შეკრიბოს და ჩაიდინოს ასეთი მძიმე დანაშაულები იმავე სულიერი დახვეწილობით, როგორიც მის ზოგიერთ ლექსში მეღავნდება, იმ სიმძაფრით, რომელიც თვით პოეზიისგან განუშორებელია თავისი ღრმა თვითშემეცნებით, რასაც არა მარტო ვხვდებით, არამედ ნათლად და ზუსტადაა ფორმულირებული მის ცნობილ „გულისა და სხეულის გაბაასებაში“? ამ არამზადამ, რომელიც სახრჩობელის ყოველ გაფიქრებაზე აკანკალებს, როგორ გაბედა და შექმნა უმშვენი-

ერესი ლექსი უბედური მარიონეტების სახელით, თოკზე ჩამოკიდებულებს ქარი რომ უმღერის ნანას. შიში ხელს არ უშლის რითმების ძიებაში, სისხლის გამყინავ სანახაობას ლექსის სამსახურში აყენებს, რასაც სულ სხვა ნაყოფი მოაქვს, ვიდრე მართლმსაჯულება ითვალისწინებს, როცა იგი თავის სიმკაცრის გასამართლებლად ჭკუის სასწაულ სასჯელს ამტკიცებს. მართლმსაჯულებას, ცხადია, შეუძლია დამნაშავის ჩამოკიდება, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა, ცოცხლად დაწვა, მაგრამ ერთხელაც გამოჩნდება ძვალ-რბილში გამჯდარი დამნაშავე, უფრო მეტად კი ძვალ-რბილში გამჯდარი დამნაშავე პოეტი, ერთ ქვაბში ჩაყრის ავკაცობას, ბიწიერებას, შიშს, სინდისის ქენჯნას, სინანულს და ამ საშინელი და მწარე ნაზავიდან შედევრს შექმნის, რომელზე ლაპარაკიც არასოდეს შეწყდება.

ადამიანს პოეტთა წოდებიდან, თუკი პოეტებს შეიძლება წოდება მივუსადაგოთ, შეუძლია საზოგადოებას სარგებელი მოუტანოს. ბევრი პოეტი, დავუმატებ, ყველა დროის ავტორების დიდი უმრავლესობა საპატივსაცემო მოქალაქენი იყვნენ, ზოგჯერ ფრიად საპატივსაცემონიც. და მაინც...

პოეტის მდგომარეობაზე დაფიქრებისას და მისი ადგილის განსაზღვრისას ხვდები, რომ ამ უცნაურ ადამიანებთან არაფერია უბრალო. წარმოიდგინეთ იდეალურად მოწყობილი საზოგადოება — ე. ი. საზოგადოება, რომლისგანაც თითოეული საერთო საქმეში თავის წვლილის შეტანის თანახმად ღებულობს. ასეთი სრულყოფილი სამართლიანობა გამორიცხავს იმ ადამიანთა არსებობას, რომელთა წვლილის გაზომვა შეუძლებელია. პოეტის ან მხატვრის წვლილის გაზომვა არ შეიძლება — ხელოვანის წვლილი ზოგს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ზოგი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისი ეკვივალენტი კი არ არსებობს. გამოდის რომ, ამ კატეგორიის ადამიანებს [illegible] მხოლოდ არასრულყოფილ სოციალურ გარემოში შეუძლიათ. და მხოლოდ ასეთ გარემოში შეუძლიათ შექმნან ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული ადამიანური ქმნილებები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, ადამიანს ადამიანად აქცევს. არასრულყოფილი საზოგადოება არათანაბარ ფასეულობათა გაცვლას ყაბულდება, სხვადასხვა ხერხების, მოწყალების ე. ი. რისი მეშვეობითაც, მაგალითად, ვერლენმა იმ დივიდენდების გარეშე ცხოვრება შეძლო, რომელსაც ავაზაკთა ბანდა ინაწილებს ღამით, მდიდარი სალაროების გაძარცვის შემდეგ.

ვერლენის ცხოვრებაზე არ ვილაპარაკებ: ყველაფერი ეს სულ ცოტა ხნის წინ მოხდა, არც მისი საქმეების ქექვას დავიწყებ, რომლებიც მონსის ტრიბუნალის კანცელარიიდან ჩასათვლემად (ოღონდ არაერთხელ გამოსაღვიძებლად) ბრიუსელის სამეფო ბიბლიოთეკის თაროებზე დაბინავდა, ისევე, როგორც პარიზის სასამართლოს კარადიდან ვიიონის საქმემ ეროვნულ არქივში გადაინაცვლა. ოღონდ ვიიონი ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდა და მასზე შეგვიძლია, როგორც გამოგონილ პერსონაჟზე ისე ვილაპარაკოთ. ვერლენი კი! რამდენჯერ მინახავს როგორ ჩაუვლია ჩემი კარისთვის, როგორ ბრაზობდა, ქირქილებდა, ენაბილწობდა, ტროტუარს თავის მსხვილ ჯოხს ურტყამდა, ხეიბრები ან მაწანწალები რომ ატარებენ ხოლმე, ისეთს. შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ ეს უხეში, ცხოვრების ფსკერზე დაშვებული ადამიანი, რო-

მლის გარეგნობა და ლაპარაკი ზოგჯერ ზიზღს, შიშს და იმავე დროს თანაგრძნობასაც იწვევდა, ყველაზე მუსიკალური, გულისამაჩუყებელი და უჩვეულო სიტყვიერი მელოდიებით სავსე ლექსების ავტორი იყო, იმ ლექსებს შორის, რომლებიც კი ოდესმე შექმნილა ჩვენს ენაზე. ყველა მის ნაკლოვანებას ხელი არ შეუშლია, იქნებ, პირიქითაც, შექმნა და განავითარა მასში წარმტაცი სიტყვებისკენ სწრაფვის უნარი, უნარი გამომხატველობის სიმსუბუქისა, თრთოლვისა, ნაზი მოწიწებისა, რომლებიც ისე არავის აღუწერია, როგორც მას, რადგან არავის შეეძლო ისე გაეკეთებინა, როგორც მას; დაეფარა, სტრიქონებში განეზავებინა, — მსუბუქ და ბავშვურად მიამიტური რომ გვეჩვენება, თავისი წინამორბედების მიღწევები, ყველაზე მარჯვე პოეტების სინატიფე.

— ზოგჯერ მისი ლექსები მშვიდ ლოცვებს გვაგონებს, დაბალ ხმაზე გამეორებულს კატეხიზმოში ვარჯიშისას; დროდადრო მათში საოცარი ღაუდევრობა გამოჩნდება ხოლმე, სადღაც-სადღაც ისმის ჩვეულებრივი ინტონაციები. ზოგჯერ პროსოდიითაც* ატარებს ექსპერიმენტს, მაგალითად მოვიყვან უცნაურ თერთმეტმარცვლიან ლექსს „*Crimen Amoris*". მოკლედ, მან აზრობრივად ყველა დასაშვები ზომა მოსინჯა — ხუთიდან ცამეტმარცვლიანამდე. გამოიყენე უჩვეულო ან დიდი ხნის წინ მივიწყებული ლექსთწყობის კონსტრუქციები, XVI საუკუნის შემდეგ რომ აღარავის მიუმართავს: მას აქვს ლექსები, სადაც მხოლოდ ვაჟური ან მხოლოდ ქალური რითმაა.

* პროსოდია — მარცვალთა შეფარდება ლექსში.

და თუ მაინც მიზნად დავისახეთ მისი ვიიონთან შედარება, არა როგორც სამართალდამრღვევთან, რომელიც ასევე სისხლის სამართლის დამნაშავეა, არამედ როგორც პოეტთან, მაშინ აღმოჩნდება, უკიდურეს შემთხვევაში, მე ასე მგონია და მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებაა — განსაცვიფრებელი ფაქტი, — ვიიონი ზოგიერთი ადგილებით, როგორც პოეტი, ვერლენის თანამედროვეა (მხედველობაში სიტყვათა მარაგი არა მაქვს). ვიიონი ზუსტი და უაღრესად გამომხატველია. მისი სიტყვა გარკვეულია; მაგალითად, „გულისა და სხეულის გაბაასება" შედგება ნათელი და მკაცრი რეპლიტებისგან, როგორც კორნელთანაა. ამ ბალადაში ბევრი უცბად დასამახსოვრებელი ფორმულირებაა, და ყველა ეს ფორმულირება უპირველესი განძია სხვა განძთა შორის და შეიძლება სამართლიანადაც მივაკუთვნოთ კლასიკურს... უპირველეს ყოვლისა კი, ოცდაათი წლის ვიიონს, რომელსაც ცხოვრებაში მეტისმეტად ბევრი აქვს გადატანილი, ყველასთვის ცნობილი ანდერძით ეკუთვნის პატივი ჭეშმარიტად დიდი ნაწარმოების შექმნისა, რომელშიც განხორციელებულია უჩვეულო და სრულყოფილი ჩანაფიქრი, „განკითხვის დღე". ადამიანებზე და სამყაროზე ადამიანის სახით უკანასკნელი სურვილის ფორმით გაცხადებული ეს პოეტური კომპოზიცია „სიკვდილის ცეკვას" ანდა „ადამიანურ კომედიას" შეედრება. ეპისკოპოსები, მბრძანებლები, ჯალათები, ავაზაკები და მეძავები — თითოეული ცალ-ცალკე იღებს თავის წილ მემკვიდრეობას. ყველა, ვინც პოეტისადმი კეთილი იყო და ყველა, ვინც მკაცრი — ერთ სტრიქონშია, დახვეწილად, კალმის ერთი მოსმით გამოყვანილი; და ამ კოში-

კურ კომპოზიციებში, ზუსტ პორტრეტებს, კონკრეტულ სახელებს, მეტსახელებსა და თვით მისამართებს შორის ფიგურირებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟი, უმშვენიერესი ოდესმე დაწერილ ბალადებს შორის. ფამილარული მონოლოგი წყდება და გზას ამ პერსონაჟებს უთმობს. ალსარება გადადის ოდაში და ზე აიჭრება. მიმართვა, ასე ხშირად რომ იყენებს ვიიონი, იქცევა ლირიკულ ხერხად, ხოლო მისი საყვარელი კითხვითი კონსტრუქციები, გამეორებებითა და, რაც მთავარია, ინტონაციებით იქცევა მძლავრ პათეტიკურ ჟღერადობად.

რაც შეეხება ვერლენს, როცა გითხარით (ჩემი პასუხისმგებლობით), რომ იგი ნაკლებ ლიტერატურულია, ვიდრე ვიიონი, არ მიგულისხმია, რომ იგი უფრო მიამიტია; არც ერთი მათგანი მეორეზე გულუბრყვილო არ არის და ორივე კი გულუბრყვილოა, ვთქვათ, ლაფონტენზე; პოეტებს, საერთოდაც შეუძლიათ გულუბრყვილონი იყვნენ, ოღონდ მათ, ვინც ნამდვილი პოეტები არ არიან. ასე მგონია, ვერლენისთვის დამახასიათებელი ლექსები, როგორიცაა კრებული „კეთილი სიმღერა“, — „სიბრძნე“ და უფრო გვიანდელნიც, ერთი შეხედვით ავტორის, როგორც მკითხველის, ნაკლებ გამოცდილებას მიგვანიშნებს, ვიდრე ვიიონის ლექსები, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილება; იქნებ, ეს შთაბეჭდილება იმიტომაც ჩნდება, რომ ვიიონი მოესწრო ჩვენს პოეზიაში ახალი ერის დასაწყისსაც და შუა საუკუნეების პოეტური ხელოვნების დასასრულსაც თავისი ალეგორიებით, ჭკუის სასწავლი დარიგებებით, რომანებითა და სულის მაცხოვნებელი ისტორიებით. ვიიონი გარკვეული აზრით შემდეგი ეპოქისკენ არის მიმართული, როცა შემოქმედებამ განვითარება დაიწყო სრული თვითშემეცნებისთვის, საკუთარი თავისთვის. ეს ეპოქა — აღორძინების ეპოქაა, ხელოვნების [illegible] ხელოვნებისთვის. ვერლენთან სულ სხვანაირადაა: ის ამ ეპოქიდან იშვა, მისგან თავისუფლდება, პარნასს ეთხოვება, და მისი ეპოქა, ყოველ შემთხვევაში ის ასე მიიჩნევს, — დასასრულია ესთეტიკის თაყვანისცემისა. იგი შორდება პიუგოს, ლეკონტ დე ლილს, ბანვილს, კარგ ურთიერთობაშია მალარმესთან, მაგრამ ის და მალარმე — ორი უკიდურესობაა, რომელთაც მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ ერთი და იგივე თაყვანისმცემლები ჰყავთ და იქნებ, ერთი და იგივე მოწინააღმდეგენიც.

და აი, რა გამოდის: ჩამოშორების ეს რეაქცია ვერლენს აიძულებს შექმნას ყოველმხრივ გამორჩეული ახალი ფორმა, რომლის სრულყოფილებაც მას კბილს კვეთს... ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელის ცეცებით მიიკვლევს გზას რითმებსა და მარცვლებს შორის მუსიკალური გამოთქმების ძიებებში. მაგრამ, მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს, აცხადებს კიდეც თავის შეხედულებებს პოეზიის ხელოვნებაზე: „მუსიკაზეა მხოლოდღა საქმე“. — ზუსტად ამიტომ სჭირდება მას თავისუფლება... ეს მნიშვნელოვანი ფორმულირებაა.

მისი „მიამიტობა“ — კარგად მოფიქრებული პრიმიტივიზმია, ისეთი, როგორიც ვერლენამდე არ იცოდნენ, ეს უჩვეულოდ მოხერხებული ხელოვანის პრიმიტივიზმია, რომელმაც კარგად იცის, რასაც აკეთებს. არც ერთი ნამდვილი პრიმიტივისტი ვერლენს არ ჰგავს. იქნებ, ისინი, ვინც 1885 წელს მას პოეზიაში დეკადენტი უწოდეს, არცთუ შორს იყვნენ ჭეშმარიტებისგან. ყვე-

ლაზე დახვეწილი ხელოვნების ნიმუში ისაა, რაც უკვე არსებულის უარყოფას გულისხმობს, და არა ისინი, რომლებიც თავს ახლის მაჯარობლად მიიჩნევენ.

ვიიონისა და ვერლენის მაგალითი გვაიძულებს ბოლოსდა ბოლოს ვაღიაროთ, რომ უზნეობა, მძიმე, მოუწესრიგებელი ცხოვრება, მერყეობა, ციხეში და საავადმყოფოში გატარებული დრო, ლოთობისკენ მიდრეკილება, საეჭვო დაწესებულებებში წანწალი, თვით მძიმე დანაშაულიც კი შეუთავსებელი არ გახლავთ ყველაზე ნატიფ პოეტურ შემოქმედებასთან. თუკი ამ თემაზე მსჯელობას დავიწყებთ, ქარაგმების გარეშე უნდა ვთქვათ, რომ პოეტი არც ისეთი საზოგადოებრივი არსებაა. მისი არსების პოეტური ნაწილი გამოუსადეგარია ყოველგვარი უტილიტარული მიზნისთვის. კანონის პატივისცემა მისი ბუნების ზღურბლთან მთავრდება, იქ, სადაც ლექსები იბადება. უდიდესი პოეტები, ისეთები, როგორიც შექსპირი და ჰიუგოა, ამჯობინებდნენ თავისი ნაწარმოებების გმირებად ექცეოთ, და რაც მთავარია დადებით პერსონაჟებად, მეამბოხეები — არანაირ ხელისუფლებას რომ არ სცნობდნენ, და სიყვარულში ორგულები. უფრო ძნელად წავიდა წინ საქმე, როცა სათნოებისთვის ბრძოლაში მოინდომეს; ვაი, რომ სათნო გმირებით შორს ვერ წახვალ. ბურჟუაზიულობის ზიზღი, რომლის საწყისიც რომანტიკოსებს ეკუთვნით და რამაც რაღაც-რაღაც პოლიტიკური მოვლენები გამოიწვია, საფუძველშივე დებს პატიოსანი ცხოვრების წესის ზიზღს.

მაშ ასე, პოეტის სინდისი მთლად სუფთა არ არის. მაგრამ ინსტინქტური ზნეობა, თუნდაც რაღაცაში, ყოველთვის მაინც თავს იჩენს. ცნობილია, რომ გამოუსწორებელ არამზადებშიცა და ყველაზე საზიზღარ კომპანიებშიც, რაღაცა განსაზღვრული წესი დგინდება — მგლური კანონები წესდება. პოეტებთან კოდექსი ერთ მუხლში ჯამდება, რითაც ვამთავრებ კიდეც.

„პოეტური სიკვდილის შიში რომ გქონდეს, — ღაღადებს ჩვენი კანონი, — აუცილებელია ტალანტი, და კიდევ... ოდნავ მეტიც“.



# მიშელ ბიუტორი

ფრანგულიდან

თარგმნა ირია გასვიანმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოთამაშე

დოსტოევსკი დასავლეთში პირველად 1863 წლის ივნისის დასაწყისში ჩადის.* სიმართლე ითქვას, მისი პირველი ეტაპი პარიზია, მაგრამ ვისბადენში (რომელიც იმ დროს თამაშის ერთ-ერთი ცენტრი იყო ევროპაში, ისევე როგორც გერმანიის სხვა კურორტები: ბადენ-ბადენი, ჰომბურგი და ემსი) დოსტოევსკი გადაწყვეტს მატარებლიდან ჩამოვიდეს და ბედი სცადოს კაზინოში; მით უმეტეს, რომ მწერალს თვალი აუბა რუსულ გაზეთებში წაკითხულმა იმ აღწერებმა, რაზედაც ასე მწარედ დაიჩივლებს მისი გმირი:

„ვერ ვიტან მთელი მსოფლიოს ფელეტონთა, განსაკუთრებით კი ჩვენი რუსული გაზეთების პირმოთნეობას — იმ გაზეთების, სადაც თითქმის ყოველი წლის გაზაფხულზე ჩვენი ფელეტონისტები ორ რამეზე წერენ: პირველ რიგში, რაინისპირა კურორტთა სათამაშო დარბაზების უჩვეულო ბრწყინვალებასა და დიდებულებაზე და, მეორეც, ოქროს იმ მთებზე, რომლებიც თითქოსდა მაგიდებზე ხვავდება. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, ფელეტონისტებს ამისთვის არ უხდიან: ისინი უბრალოდ უანგარო მლიქვნელობას განასახიერებენ. ეს საძაგელი დარბაზები ყოველგვარ დიდებულებასაა მოკლებული, ოქრო კი არათუ მაგიდებზე არ ხვავდება, არამედ საერთოდ ძნელად თუ მოჰკრავთ თვალს“.

მოგვიანებით დოსტოევსკი, რომელსაც უფრო და უფრო უმწვავდება ეპილეფსია, ექიმის რჩევით გადაწყვეტს კვლავ ევროპას მიაშუროს. მწერლის ცოლი ჭლექითაა ავად და სულს ღაფავს. დოსტოევსკი პარიზში უნდა შეხვდეს პოლინა (აპოლინარია) სუსლოვას. გამგზავრება გვიანდება, ქალს კი ამასობაში მოთმინება ეწურება და ერთი ესპანელი სტუდენტი შეუყვარდება. გააფთრებული დასტოევსკი პარიზში მიემგზავრება, მაგრამ ვისბადენის გავლისას თავს ვერ მოერევა და ბედის საცდელად ისევ კაზინოში შეივლის.

პარიზში ჩასულს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდება: ესპანელმა პოლინა მიატოვა და ახლა მათ შე-

---

* დოსტოევსკი დასავლეთ ევროპაში პირველად 1862 წელს ჩავიდა და არა 1863 წელს, როგორც ამას ბიუტორი წერს. ამასვე ადასტურებს მისი „ზამთრის ჩანაწერები ზაფხულის შთაბეჭდილებებზე“, რომელიც პირველად 1863 წელს ჟურნალ „ვრემია“-ში დაიბეჭდა (მთარგმნელის შენიშვნა).

უძლიათ ერთად წავიდნენ იტალიაში, თანაც ვისბადენის და ბადენ-ბადენის გავლით, სადაც დოსტოევსკი, წააგებს მთელ იმ ფულს, რისი მოგებაც მოახერხა.

სწორედ მაშინ მოუვა აზრად დოსტოევსკის დაწეროს რომანი თამაშზე .1863 წლის 18 სექტემბერს იგი რომიდან სწერს თავის მეგობარს — სტრახოვს:

„ჯერჯერობით არაფერი მაქვს მზად, თუმცა კი შევადგინე გეგმა საკმაოდ კარგი (ჩემი აზრით) მოთხრობისა, უმეტესი ნაწილი ქალალდის ნაგლეჯებზე მაქვს ჩანიშნული. წერაც კი დავიწყე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, აქ მეტისმეტად ცხელა, მეორეც, მხოლოდ ერთი კვირა მაქვს რომში გასატარებლად. განა შეიძლება წერაზე იფიქრო მაშინ, როცა ერთი კვირით რომში მოხვდები? მთელი ეს მგზავრობა საშინლად მღლის. სიუჟეტი შემდეგია: ერთ ტიპზეა, საზღვარგარეთელ რუსზე. თქვენ იცით, გასულ ზაფხულს ჩვენს პრესაში ხშირად წამოჭრილა საკითხი საზღვარგარეთ მცხოვრებ რუსებზე. ეს ყველაფერი ნაწარმოებშიც იქნება ასასული. აქ უნდა აირეკლოს (რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად) ჩვენი შიდა ცხოვრების ამჟამინდელი სურათი. მე ვხატავ ადამიანს აბსოლუტურად ღია ნატურით; ადამიანს; რომელსაც ბევრი რამ ხელეწიფება, მაგრამ ყველაფერში არასრულია. მან ყოველგვარი რწმენა დაკარგა და იმავდროს ვერ ბედავს იყოს ურწმუნო. იგი უჯანყდება ავტორიტეტებს და იმავდროულად ეშინია კიდევაც მათი. თავს კი იმაზე ფიქრით ინუგეშებს, რუსეთში არაფერი მესაქმებაო. ამიტომაა, რომ მძაფრად აკრიტიკებს ყველას, ვინც საზღვარგარეთ მცხოვრები რუსების სამშობლოში დაბრუნების მოწოდებით გამოდის. მაგრამ აქ ყველაფერს ვერ მოგიყვები.

მთავარი პერსონაჟი ძლიერ ცოცხალი ადამიანია — ისე მგონია, ჩემს წინაშე დგას. და როცა ჩემი ნაწარმოები დასრულდება, სულ მცირე იმად კი ელირება, რომ წაიკითხონ. ყველაზე არსებითი აქ ისაა, რომ ჩემი გმირის სასიცოცხლო ძალებს, მთელს მგზნებარებას, სიმამაცესა და მძვინვარებას რულეტი შთანთქავს. ის მოთამაშეა, მაგრამ ჩვეულებრივი მოთამაშე კი არაა, ისევე როგორც პუშკინის ძუნწი რაინდი არ არის ჩვეულებრივი ძუნწი. არ იფიქრო, პუშკინს ვედრებოდე: შედარება მხოლოდ მეტი სიცხადისთვის მოვიყვანე. ჩემი გმირი თავისებური ყაიდის პოეტია, მაგრამ მას რცხვენია ამ პოეზიისა, რომლის სიმდაბლესაც მთელი სიღრმით შეიგრძნობს. ნაწარმოების მოქმედება მხოლოდ იმ სამ წელს მოიცავს, რომელთა განმავლობაშიც ჩემი გმირი რულეტზე თამაშობს.

თუკი „მკვდარი სახლის ჩანაწერებმა" მკითხველთა ყურადღება მიიპყრო, როგორც კატორღელთა ყოფის ამსახველი ჭეშმარიტება—სურათმა — კატორღელებისა, რომელნიც მანამდე არავის აუწერია *de visu** — ეს მოთხრობაც უთუოდ მიიპყრობს ყურადღებას, როგორც რულეტის *de visu* და ძალზე დეტალური წარმოდგენა. გარდა იმისა, რომ ამგვარ მოთხრობებს ჩვენთან, რუსეთში მუდამ კარგად ხვდებიან, არის კიდევ ერთი რამ: თამაშის სცენები მიმდინარეობს საზღვარგარეთის ერთ-ერთ კურორტზე და აქ საქმე ესება ერთ რუსს, საზღვარგარეთ მცხოვრებს. ამ დეტალს, მართალია, მეორეხარისხოვანი, მაგრამ რეალური მნიშვნელობა აქვს.

———

* de visu (ლათ.) — თავისი თვალით ,როგორც თვითმხილველს.

მოკლედ ,აი ყველა საინტერესო თემა. შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ გამომივა და შევძლებ დავწერო გრძნობითა და ჭკუით, თუმცა ზედმეტი მრავალსიტყვაობის გარეშე.

შეიძლება ნაწარმოები ძალიან კარგიც კი გამომივიდეს. ჩემი „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ მართლაც საინტერესო იყო.

ესაა ერთგვარი ჯოჯოხეთის აღწერა კატორღის სტილში. შევეცდებით ამ ყველაფერს გასაოცარი ფორმა მივცე“.

დოსტოევსკი ამ გეგმას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ განახორციელებს: ბევრი მოგზაურობის, გერმანიაში სათამაშო მაგიდებთან გატარებული მრავალი საათისა და, ბოლოს, ცოლისა და ძმის სიკვდილის შემდეგ. კრედიტორების მიერ ჩიხში მომწყვდეული მწერალი გამომცემელ სტელოვსკისთან ხელს აწერს კონტრაქტს საკუთარი ნაწარმოებების სრული კრებულის გამოსაცემად, რითაც თავის თავზე იღებს ვალდებულებას — 1866 წლის 1 ნოემბრამდე გამომცემელს ახალი რომანი ჩააბაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ გამოცემაზე ყოველგვარ უფლებას კარგავს და ვალდებულია უკან დააბრუნოს უკვე მიღებული თანხა. იმავდროულად დოსტოვსკის „დანაშაულისა და სასჯელისთვის“ ავანსი ჰქონდა მიღებული სხვა გამომცემლისგან და ამჯერად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: რაც შეიძლება მოკლე დროში ორი წიგნი უნდა დაემთავრებინა.

1866 წლის 17 ივნისს დოსტოევსკი ქ-ნ კორვინ-კრუკოვსკაიას მისწერს: „ექსცენტრიული და უპრეცედენტო რამ უნდა ჩავიდინო: ოთხ თვეში 30 ნაბეჭდი თაბახის ოდენობის ორი რომანი უნდა დავამთავრო, რომელთაგანაც ერთს დილით დავწერ, მეორეს — საღამოს. ასე დროზე მოვრჩები... დარწმუნებული ვარ, არც ერთ ჩვენს ლიტერატორს არ უმუშავია ამგვარ პირობებში — არც მანამდე და არც ახლა. ტურგენევს ამის გაფიქრებაც კი სასიკვდილოდ ზარავდა. რომ იცოდეთ, რა ძნელია იმ ჩანაფიქრის წახდენა, რომელიც თქვენში იშვა, ენთუზიაზმით აღგავსოთ და იცით, რომ მშვენიერი ჩანაფიქრია... თქვენ კი იძულებული ხართ სრულიად გაცნობიერებულად გააფუჭოთ იგი“.

ამ არანორმალური სამუშაოს დასამთავრებლად დოსტოევსკი მეგობრების რჩევით გადაწყვეტს აიყვანოს სტენოგრაფისტი: ანა გრიგორიევნა სნიტკინა. მწერალმა სწორედ მას უკარნახა „მოთამაშის“* საბოლოო ტექსტი 1866 წლის 4 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე. ვინაიდან სტელოვსკი ამ დროს სამოგზაუროდ გახლდათ, ხელნაწერი პოლიციაში იქნა წარდგენილი, სადაც შემოწმდა კონტრაქტის ვადა.

8 ნოემბერს დოსტოევსკიმ ხელი სთხოვა ანა სნიტგინას და 1967 წლის 15 თებერვალს ცოლად შეირთო.

ამრიგად, როდესაც დოსტოევსკი ბოლოს და ბოლოს წერას იწყებს, იგი ბოლო კარტს ჩამოდის: თუკი არ მოიგებს სანაძლეოს — და-

---

* 1866 წლის 1 ნოემბერს სტელოვსკისათვის გადაცემული რომანის ხელნაწერს ეწოდებოდა „რულეტენბურგი“ (ე. ი. „რულეტის ქალაქი“). მაგრამ გამომცემელმა მოითხოვა მისი შეცვლა „რაიმე სხვა, უფრო რუსული“ სათაურით, დოსტოევსკი დათანხმდა და რომანი, სათაურით „მოთამაშე“, დაიბეჭდა მწერლის ნაწარმოებთა სრული კრებულის მე-3 ტომში, 1866 წელს.

წეროს ეს ტექსტი, — მწერალი ყველაფერს დაკარგავს, ნაწარმოების დაწერის გარემოებები, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად კარგად თუ მიესადაგება იმ თემას, რომელსაც დოსტოევსკი შეეჭიდება. ესაა თემა, რომელთან შებმასაც იგი წლების მანძილზე გეგმავდა არა მარტო ცოტაოდენი ფულის შოვნის იმედით, თვლიდა, რომ ეს იყო „კომერციული“ იდეა, რომელიც უნდა მოწონებოდა რუს მკითხველს, არამედ ასევე (და განსაკუთრებით) იმის იმედითაც ,რომ აღარ დაეკარგა მკითხველი. ეს წიგნი ხომ ერთგვარი შელოცვაა: დოსტოევსკი ცდილობს გაანეიტრალოს თამაშის ვნება, რომელიც ჩაითრევს, რასაც ამ ვნების აღწერით ახორციელებს კიდეც.

რაც შეეხება ადამიანს, რომელიც ასეთი ძალით ცოცხლობს ავტორისთვის მანამ, სანამ ჩვენთვის გაცოცხლდებოდეს რომანის ფურცლებზე („ასე მგონია, ჩემს წინაშე დგას“), დოსტოევსკის სურს საკუთარი თავისგან გამოაცალკევოს იგი. მწერალს უნდა განთავისუფლდეს ამ ორეულისგან, რომელიც მას შთანთქავს და ღუპავს.

მაშასადამე, თავისთავად ცხადია, რომ წიგნიდან სწორედ დოსტოევსკი გველაპარაკება, მაგრამ მწერალი თავისი გმირის ფრთხილ დიფერენცირებას ახდენს, მის ირგვლივ ქმნის იმგვარ ზუსტ გარემოებებს, რომელნიც დოსტოევსკის გამოარჩევენ ,გამოყოფენ თავისი გმირისაგან. და როდესაც წიგნის დასასრულს იგი თხრობის ერთგვარი გაწყვეტით გამოგვიცხადებს: „ხვალ, ხვალ ყველაფერი დამთავრდება!...“-ო, მწერალს იმედი აქვს, რომ ეს სიტყვები სავსებით ჭეშმარიტი აღმოჩნდება მისთვისაც — ფიოდორ დოსტოევსკისთვის, ე. ი. აქედან, მოყოლებული, მას ეყოფა საიმისო ჭკუა, რომ აღარასოდეს ითამაშოს. ხოლო რულეტის მთელი ფატალურობა, რომლისგან თავის დაღწევასაც დოსტოევსკი აქამდე ამაოდ ცდილობდა, თავს დაატყდება ამ [illegible] ვაცს — საბრალო ალექსეი ივანოვიჩს. შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ სიტყვების წერისას ეს უკანასკნელი თავს არ იტყუებს, რადგან დარწმუნებული ვართ, იგი ისეა დამონებული და მოტყუებული, როგორც არასდროს.

„მოთამაშის“ წერისას დოსტოევსკი თამაშობს: თამაშობს, რათა თავი დააღწიოს თამაშისგან, რათა დააწყნაროს, ჩააჩუმოს ის მოთამაშე, რომელიც მასშია. მან ძალზე კარგად იცის ერთი რამ: საკუთარი თავის დადანაშაულება არ კმარა საიმისოდ, რომ შეიცვალო. ის „მეორე“, რომელიც თქვენშია, ამით უფრო გაძლიერდება და თქვენს მიზეზებს სასაცილოდ აიგდებს. საჭიროა სამართალი მივაგოთ მას, ნება მივცეთ საკუთარი პრეტენზიები გამოთქვას მთელი ძალმოსილებით. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი: ბრალდებული ბრალმდებლად მოგვევლინება, ხოლო მსჯავრის დადებისას (მსჯავრისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც დაატყდება თავს) სწორედ ჩვენ ყველანი აღმოვჩნდებით მსჯავრდებულნი, წესიერი ადამიანები — ნიღაბჩამოგლეჯილნი, ხოლო ახლანდელი — მდგომარეობა-შერყეული და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული. შელოცვა დემონისგან მხოლოდ იმდენად გაგვათავისუფლებს, რამდენადაც შევძლებთ ამ უკანასკნელს გამართლება მოვუძებნოთ. დემონი ისე არ გაუჩინარდება, თან ჩვენი ილუზიების ნაფლეთი რომ არ გაიყოლოს.

დოსტოევსკის მიზანია წარმოგვიდგინოს, თვალწინ გადაგვიშალოს მოთამაშის დადებითი ასპექტი, გვიჩვენოს იმ ადამიანის დამსახურება, რომელსაც წესიერი საზოგადოების წარმომადგენლები ანუ, როგორც ალექსეი ამბობს, „ჯენტლმენები“ ანგარიშსაც არ უწევენ. ესაა ადამიანი, რომლის ცხოვრება ამ უკანასკნელთ იმდენად სამარცხვინო ეჩვენებათ, რომ ამჯობინებენ რაც შეიძლება დააკნინონ იგი:

„რასაკვირველია, ძალზე არისტოკრატიული ჟესტია, როცა არ ამჩნევ მთელ ამ ჭუჭყსა და დეკორს, სადაც ეს ნაძირალები ირევიან. თუმცა საპირისპირო ხერხიც ზოგჯერ ასევე არისტოკრატიულია: როცა ვიგინდარების მთელ ამ ხროვას ამჩნევ, ე. ი. უყურებ და აკვირდებიკიდევ, თუნდაც ლორნეტით. მაგრამ მთელ ამ ბრბოსა და ჭუჭყს ისე უნდა შეხედო, როგორც ერთგვარ გასართობს ,ჯენტლმენთა შესაქცევად მოწყობილ წარმოდგენას. შეგიძლია თავადაც შეერიო ბრბოს, თუმცა გარშემო იმ სრული რწმენით უნდა იყურო, რომ შენ აქ მაყურებელი ხარ და ამ ბრბოს შემადგენელ ნაწილს დიახაც რომ არ წარმოადგენ. სხვათა შორის, მეტისმეტი დაჟინებით დაკვირვებაც არ ვარგა. ეს ისევ არაჯენტლმენური საქციელი იქნებოდა, რადგან ეს სანახაობა ხომ არც კი იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას“.

თავისთავად ცხადია, რომ ალექსეი ივანოვიჩი, ანუ დოსტოევსკი, სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს:

„თავად მე მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი, პირიქით, დიახაც რომ იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას, განსაკუთრებით იმ ადამიანისთვის, რომელიც მხოლოდ დაკვირვების საწარმოებლად კი არ მოდის, არამედ იმიტომაც, რომ საკუთარ თავს გულწრფელად და კეთილსინდისიერად აკუთვნებს ამ ბრბოს“.

მალე ის, რაც ჩვენი მწერლის თვალში მისი, როგორც მოთამაშის არსებობას გაამართლებს ,არის შემდეგი ფაქტი: ეს არსებობა დოსტოევსკის საშუალებას მისცემს ერთ მშვენიერ დღეს დაწეროს რომანი მოთამაშეზე. მაგრამ მწერალი ამ გადასვლას განახორციელებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თამაშში ადამიანური არსებობის პრივილეგიურ მეტაფორას აღმოაჩენს; როცა შეამჩნევს, რომ მოთამაშე აჩენს არამოთამაშეს და რომ პირველზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ მეორის მიერ დაფარული.

ჯენტლმენები ამტკიცებენ, მოთამაშე ჩვენგან სრულიად განსხვავებული, იმდენად იზოლირებული და შორეული ადამიანია, რომ შეგვიძლია მისით ისე გავერთოთ, როგორც რაღაც სანახაობითო. მათ ჰგონიათ, რომ მოთამაშის ჟესტებსა და საქმიანობას შეიძლება მიბაძონ და ამ დროს სენის გადადების არანაირი რისკი არ დაემუქროთ. სწორედ ამ რადიკალური დაშორების ტყუილს ამხელს და გვიჩვენებს დოსტოევსკი შესანიშნავი ეფექტის მქონე სცენური მექანიზმით.

ის, რაც განსაკუთრებულია რულეტის ბურთულაში და, აქედან გამომდინარე, რაც მას უამრავი ადამიანის მზერათა სამიზნედ ხდის — მისი მკაცრად განსაზღვრული მოძრაობაა. ადამიანს არ ძალუძს ამ აზრს შეეგუოს, იგი თავის თავს ვერ დაუშლის ხიცხადის საწინააღმდეგოდ იფიქროს და ის სისტემები შეიმუშაოს, რომელთაც გარდაუვალი გაცამტვერება ელით. ასე რომ, ეს

ᲰᲐᲬᲐᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕ ᲡᲐᲠᲙᲐᲖᲛᲐᲓ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲣᲐᲫᲠᲐᲕ ᲗᲕᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲐᲯᲐᲓᲝᲔᲑᲡ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲫᲙᲕᲔᲗᲠᲘᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲜᲘ ᲦᲘᲐᲓ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲔᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲕᲬᲕᲓᲔᲑᲐᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲐᲝᲪᲔᲑᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲘᲡ — ᲞᲝᲚᲘᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ. ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲨᲘ, ᲘᲒᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜᲗᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲚᲬᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲣᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲚᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲔᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲪᲘᲔᲑ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘᲡ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ ᲓᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ, ᲒᲖᲐᲐᲑᲜᲔᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ: ᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲨᲛᲐᲙᲣᲠᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲛᲘᲐᲕᲚᲘᲜᲝᲡ ᲘᲒᲘ; ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲕᲔ, ᲠᲘᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ, ᲐᲜᲣ ᲤᲣᲚᲡ ᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ — ᲑᲔᲑᲘᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ; ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲨᲘ ᲐᲒᲓᲔᲑᲡ; ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲛ ᲙᲐᲠᲢᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲗᲐᲛᲐᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲠᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ (ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲘᲛᲐᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲡ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲐ) ᲨᲔᲣᲑᲠᲐᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲡ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ: ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲨᲘ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲔᲜᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ — ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲮᲐᲠᲑᲘ ᲛᲖᲔᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲘᲗ ᲒᲐᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲛᲡᲮᲓᲝᲛᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ. ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲛᲝᲒᲝᲠᲐᲕᲔ ᲑᲣᲠᲗᲣᲚᲐᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ,ᲑᲔᲑᲘᲐᲪ ᲡᲐᲠᲙᲐᲖᲛᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ. ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ-ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲮᲣᲪ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲨᲘ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲓᲐᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲡ ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲐ-ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲜᲣᲚᲖᲔ ᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲒᲔᲑᲡ. ᲡᲐᲒᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲙᲐᲖᲛᲘ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲮᲛᲐᲡ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲡ:

„ᲮᲝᲛ ᲮᲔᲓᲐᲕ?! — ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲔᲘᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲨᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲛᲝᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲐ“.

ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ:

„ᲛᲔ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ: ᲘᲛ ᲬᲣᲗᲐᲡ ᲔᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ“.

იმის გამო, რაც ნახა და გაიგონა, შექმნილი მდგომარეობის გამოისობით ყოველგვარმა დაბრკოლებამ, ალექსეის თამაშისადმი ვნების დაბადებას ხელს რომ უშლიდა, წონა დაკარგა.

დოსტოევსკი მოერიდა თავისი ალექსეის მოთამაშეთა ბანაკში ერთბაშად ,ხელის ერთი დაკვრით მოთავსებას. მართლაც, მწერალს არ აკმაყოფილებს მხოლოდ იმის ჩვენება, რომ ალექსეი საჯაროდ, ღიად, სათამაშო დარბაზის ძლიერ განათებასა და ულმობელ კონცენტრაციაში აკეთებს იმას, რასაც გენერლის სახლეულობის ყველა სხვა წევრი ჩუმად ჩადის; რომ ის, რაც კაზინოს მაგიდასთან ხდება, სხვა არაფერია, თუ არა გაშიშვლებული ხატი იმ სისტემისა, რომელსაც ეს წესიერი საზოგადოება ემყარება. ესაა საზოგადოება თავისი საქმეებითა და მეგობრობებით, რომელიც თვალს ხუჭავს საკუთარი შიშის მომგვრელ სახის დანახვაზე. მწერალს ასევე სურს დაგვანახოს, რომ კომფორტული ჩრდილიდან ამ დამღუპველ სინათლეზე გამოსვლას სწორედ ეს სისტემა აიძულებს ამა თუ იმ ინდივიდს ,ალექსეი ივანოვიჩი იქნება ეს თუ ფიოდორ დოსტოევსკი.

პასუხისმგებლობა მთლიანადაა გადანაწილებული: თამაში მხოლოდ მაშინაა სერიოზული და ულმობელი, მხოლოდ მაშინ იქცევა ნამდვილ თამაშად, როცა ადამიანს, რომელსაც იგი ჩაითრევს, საჭიროება აიძულებს, სიღარიბეშია ჩავარდნილი ანდა ეს საფრთხე ემუქრება. თამაშის სირცხვილი კი სწორედ სიღარიბიდან მოდის, რომელსაც იგი ხაზს უსვამს.

თამაში მჭახე შუქზე წარმოაჩენს კავშირს პატივისცემასა და ფულს შორის და იმ პარადოქსულ ბუნდოვნებასაც გვიჩვენებს, რითაც ძალიან ხშირად ამ ფულის წყაროა შემოსილი. თუკი ალექსეი მართლაც იწყებს თამაშს, ამას დამცირების გაშო სჩადის (მას გენერალი გააგდებს). გარდა ამისა, ალექსეი ხედავს, თუ რა სწრაფად ძეიალეა ადამიანმა კვლავ მოიპოვოს პატივისცემა რულეტის მაგიდასთან. ეს კი იმ თანხის წყალობით ხდება, რომლის ბედსაც ბურთულა წყვეტს.

რეპუტაციის კრახი ქოხებისას ემთხვევა. ამიტომაა, რომ წარუმატებელ მოთამაშეს საკუთარი მარცხის წინააღმდეგ არ ძალუძს იპოვოს სხვა რამ საშუალება, გარდა თვით რულეტისა. არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა იმ ფულის სწრაფად საშოვნელად, რომელიც მას დამცირებისგან იხსნის — ესაა ბედის ცდა უკანასკნელ გროშამდე.

თამაში ფატალური ხდება მასში ჩათრეული ადამიანისთვის: ეს უკანასკნელი დამაბრმავებელი სიცხადით ხედავს, რომ რამდენიმე საათში მან შეიძლება სოციალური სტატუსიც კი შეიცვალოს. კაზინოდან გამოსვლისას იგი ხომ ნამდვილად აღარაა საზოგადოებისთვის იგივე ადამიანი. ეს იმაზეა დამოკიდებული, მოიგებს თუ წააგებს .

საზოგადოებაში, სადაც პატივისცემა ფულზე ამ დონემდეა დამოკიდებული (თანაც ისე, რომ წყაროს არც კითხულობენ ხოლმე), სათამაშო მაგიდა ერთადერთი ადგილია, სადაც ძალიან მცირე დროში შეიძლება ბევრი ფული იშოვო. ამიტომაც იგი ერთადერთი გამოსავალია დამცირებული ადამიანისათვის. ჯენტლმენები, რომლებიც ამნაირად არ თამაშობენ (ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ იწყებენ ნამდვილ თამაშს, როცა მათ სიმდიდრეს საფრთხე ემუქრება), სწორედ ამ გა-

მოსავლისკენ უბიძგებენ სოციალურ მდგომარეობადაკარგულ ადამიანებს, რომლებიც გრძნობენ სილარიბის თანმდევ სირცხვილს, პატივისცემის დასაბრუნებლად თავად ჯენტლმენები ამ გაძოსავალს გმობენ და სრულიადაც არ სურთ მისი აწონ-დაწონა. მაგრამ ეს გამოსავალი მახეა, ძირაკების ჭაობი, რომელშიც ეს აბეზარები თითქმის ყოველთვის ეფლობიან და იძირებიან.

უკვე შეიძლება იმის გაგებაც, თუ რატომ ადარებს ერთმანეთს დოსტოევსკი რულეტსა და კატორღას. მოთამაშეები — ჭეშმარიტი მოთამაშეები — აქ საკუთარი ნებით დიახაც რომ არ მოდიან; ამას ჯენტლმენები აიძულებენ, რომლებიც ყველაფერში მხოლოდ გასართობს ხედავენ. სწორედ ჯენტლმენები აკრავენ მოთამაშეებს ამ ტანჯვის ბორბალზე, რადგან ამ უკანასკნელებმა დანაშაული „ჩაიდინეს“: ბედის უკუღმართობის მსხვერპლნი გახდნენ.

ალექსეი თამაშობს, რადგან სათამაშოა. მას ეთამაშებიან, ატყუებენ, მას ათამაშებენ. ალექსეი კაზინოში მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ პოლინა ავალებს, გენერლის გერი (რომელსაც შერცხვენია ელოდა, თვითონ რომ ეთამაშა); მიდის იმიტომაც, რომ ბებიას მიჰყვება და ცოცხალი რულეტის წინაშე ალექსეი გენერლის მთელი სახლეულობის წარმომადგენელი ხდება.

მას ყველამ უბიძგა ამ ჩაკეტილი წრისკენ, საიდანაც უკვე მოგების შემთხვევაშიც კი ველარ გამოვა, რადგან ეს გაუმართლებელი, მოულოდნელი ფული, რომელსაც ასეთი პატივისცემა მოაქვს, მთლიანად აშორებს მას უწინდელ ალექსეის. ფული აბოლოებს იმ გაწყვეტას, დამცირებამ რომ დაუდო სათავე.

ადამიანი, რომელსაც ასეთ პატივს სცემენ, არის არა ალექსეი, არამედ ამ შემთხვევაში, ციდან თუ ჯოჯოხეთიდან მოვლენილი ფულის პატრონი (თანაც ისე, რომ უმცირესი გათავისებისა, ჭეშმარიტი დაპატრონების ფაქტორიც კი არ აკუთვნებს მას ამ ფულს). ალექსეი ვერ ახერხებს ნაშოვნი ფულის გამოყენებას საკუთარი თავის დასამკვიდრებლად და კუთვნილი ადგილის დაკავებას „წესიერ საზოგადოებაში“, რომლის კარებსაც იგი შეაღებს. ამ ფულის წყარო, რომელსაც „წესიერი საზოგადოება“ არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ალექსეისათვის მთლიანად ამ საზოგადოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, დაგმობაა. მაგრამ მისი სურვილი ერთგვარად ორიენტაციადაკარგული აღმოჩნდება, რადგან თვითონ ალექსეი იქცევა საკუთარივე თავისთვის ბურთულად გამოუცნობი მოძრაობებით.

იგი გენერალთან მიდის. შეიძლება ვიფიქროთ (ალექსეიც ასე ფიქრობს), რომ ამ უჯრაში — გენერლის ოჯახში — დაიდებს ბინას.

„მაგრამ... ყველაზე სულელური და უცნაური რამ შემემთხვა.

გენერალთან მივიჩქაროდი, როცა უეცრად მათი ბინის შორიახლოს კარი გაიღო და ვიღაცამ დამიძახა. კომენჟის ქვრივი იყო: მადმუაზელ ბლანშის ბრძანებით მიმიხმო. მეც ავდექი და ახალგაზრდა ქალის ბინაში შევედი“.

ბურთულა გვერდითა უჯრაზე გაჩერდა .ალექსეი მთელ ფულს სწორედ ამ ფრანგ ქალს დაახარჯავს, რადგან რა შეიძლება უყოს მან ამ ფულს, თუ არა ის, რომ სახეში შეაყაროს საზოგადოებას (რომელმაც ეს-ესაა ალექსეის შეაყარა ეს ფული სახეში).

„ჩემი ცხოვრება ორად იფლითებოდა, მაგრამ, წინა დღიდან მოყოლებული, ყველაფრის ერთ კარტზე ჩამოსვლას დავეჩვიე“.

თამაში არ გახლავთ მარტოოდენ ფინანსური ურთიერთობებისა და პატივისცემის ხატი. დასავლეთ ევროპაში, დოსტოევსკის აზრით, ეს უკანასკნელი სულ უფრო და უფრო დაიყვანება პირველზე ანუ ფინანსურ ურთიერთობებზე. თამაში თავის ნათლისმომფენ ძალაუფლებას საერთოდ ადამიანთა, განსაკუთრებით კი მამაკაცებისა და ქალების კავშირურთიერთობებზეც განავრცობს. ამდენად, თამაში ბოლო გამართლებას პოულობს, როგორც სიყვარულის მეტაფორა. მაშასადამე, მოთამაშე თავს მხოლოდ მაშინღა დააღწევს თამაშს, როცა სათამაშო მაგიდის სანაძლეოს ქორწინების სანაძლეოთი შეცვლის (სწორედ ქორწინების ანარეკლია თამაში).

საბოლოო ჯამში, ალექსეი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ მიდის სათამაშოდ, რომ პოლინა მას ეთამაშება. იგი საკუთარ ცხოვრებას ჩამოვიდა ამ ქალზე — აქტი, რომელიც ძლიერ სცილდება ყოველგვარ გონივრულ მოლოდინს:

„ამასწინათ, შლანგენბერგზე მითხარით, — მიმართა ქალმა ალექსეის, — რომ მზადა ხართ, ჩემს ერთ სიტყვაზე ათასი ფუტის სიმაღლიდან გადმოეშვათ .მაშ, იცოდეთ, ერთ დღესაც ამ სიტყვას გეტყვით, მხოლოდ იმიტომ, რომ ვნახო — დანაპირებს როგორ შეასრულებთ. და იცოდეთ, უმოწყალო ვიქნები“.

ალექსეი სწორედ ამ დაპირების გამო ემორჩილება ქალს, როცა ეს უკანასკნელი ხუმრობით გერმანელი ბარონის შეურაცხყოფას მოსთხოვს, რაც თავის მხრივ ალექსეის დიდი დამცირების მიზეზი გახდება. სწორედ პოლინა გამოამწყვდევს მას თამაშის საპყრობილეში. პოლინაც თამაშობს: პატარა ფრანგიდან ინგლისელ ჯენტლმენთან, მისტერ ასტლეისთან მიდის, შემდეგ კი თვითონ ალექსეისთან. ამიტომ არ ძალუძს პოლინას ალექსეის ამ უფსკრულიდან ამოყვანა. ალექსეიმ ეს თამაში წააგო, რაც მას მეორე უფსკრულისკენ უბიძგებს.

დოსტოევსკის ქალიშვილი თავის მოგონებებში ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს მამამისის თამაშისადმი ვნებასა და რეალურ პოლინას შორის:

„დოსტოევსკი რულეტს ჯერ კიდევ ევროპაში პირველი მოგზაურობისას გაეცნო. მაშინ მან მნიშვნელოვანი თანხაც კი მოიგო. მაგრამ თამაშს დასაწყისში საკმაოდ ცივად ეკიდებოდა, რულეტის ვნება კი მხოლოდ მეორე მოგზაურობისას დაეუფლა, როდესაც თან პოლინა ახლდა“ .

წიგნის დასასრულს ალექსეის არავინ იხსნის და ისიც თამაშის ქვესკნელში იძირება. ეს იმიტომაა, რომ ალექსი მარტოა, იმ შორეული და ახირებული სიყვარულის მიუხედავად, რასაც პოლინა კვლავ ამჟღავნებს მის მიმართ. თვითონ დოსტოევსკი, სანამ წიგნს წერდა, სხვა ქალზე ჩამოვიდა ფსონს — სწორედ ამ ანა გრიგორიევნაზე, რომელიც მისი სტენოგრაფისტი იყო და სამი თვის შემდეგ ცოლად შეირთო. როცა დოსტოევსკი ბოლო წერტილს დასვამს და ხელნაწერს პოლიციაში მიიტანს,

მწერალს იმედი აქვს, რომ თავის უბედურ ორეულს იმ გალიაში გამოკეტავს, რომელიც აუგო, თვითონ კი განთავისუფლდება.

მაგრამ ჭორწინებიდან ორი თვის შემდეგ, ვალების გადაუხდელობის გამო, დოსტოევსკის ციხე დაემუქრება და იძულებულია რუსეთიდან გაიქცეს. დრეზდენში მყოფი განდევნილი, ღარიბი და ავადმყოფი მწერალი ჰომბურგში წასვლის ცდუნებას ვერ უსხლტება: მოთამაშის ცხოვრება განახლდება და 1871 წლამდე გაგრძელდება. 28 აპრილს დოსტოევსკი ვისბადენიდან სწერს მეუღლეს (მან მთლიანად წააგო ფული, რომელიც ანა გრიგორიევნამ ეს-ესაა გაუგზავნა):

„ანია, ანია! საკუთარ თავს უთხარი, რომ არამზადა არ ვარ. მე მხოლოდ თამაშის ვნებით შეპყრობილი ადამიანი ვარ, მაგრამ ამჯერად იცოდე: ეს მირაჟი ერთხელ და სამუდამოდ გაიფანტა... ვგრძნობ, ამ სიზმრისგან გავთავისუფლდი...“

მართლაც, დოსტოევსკის მეტი აღარ უთამაშია .შელოცვამ ბოლოს და ბოლოს გაჭრა.

# იანუშ კორჩაკი

თარგმნა ზაურ კიღაძემ

დაბადება ხომ არ არის ის, რასაც ჰქვია „ღრდგომა“, სამარე მიგვცემს ჩვენ, მაგრამ ვერ დაგვხედავს ჩვენ ვითარცა დედა.

იულიუშ სლოვაცკი

## როგორ უნდა გავშვის სიყვარული

### გავშვი ოჯახში

1. როგორ, როდის, რამდენი, რატომ?

ვიცი, იქნება ბევრი შეკითხვა, რომლებიც პასუხს მოელიან, იქნება ეჭვებიც, რომელთა გაქარწყლებაა საჭირო.

მე კი ვეტყვით:

— არ ვიცი.

ყოველთვის, როდესაც წიგნს გვერდზე გადადებ და ფიქრს დაიწყებ, მაშინ წიგნმა მიზანს მიაღწია. თუკი სწრაფად გადაფურცლავ, დაიწყებ მითითებებისა და რეცეპტების ძებნას, გული დაგწყდება. რა ცოტა არისო; უნდა იცოდეთ, თუ აქ არის რჩევა-დარიგებები, თავისთავად დაიწერა, ავტორის ნების საწინააღმდეგოდ.

არ ვიცი და არც შემიძლია ვიცოდე, როგორ ზრდიან ჩემთვის უცნობი მშობლები ჩემთვის უცნობ პირობებში ჩემთვის უცნობ ბავშვს, ხაზგასმით გეუბნებით — „როგორ ზრდიან-მეთქი“ და არა, „როგორ უნდათ“ და „როგორ არიან მოვალენი“.

მეცნიერებისთვის „არ ვიცი“ ნიშნავს პირველყოფილ ქაოსს, დაბადებას ახალი აზრების, რომლებიც სულ უფრო უახლოვდებიან ჭეშმარიტებას. „არ ვიციო“ რომ გეუბნებიან, მეცნიერულ აზროვნებაში გამოუცდელი გონისთვის მოზიმზიმე სიცარიელე ჩანს.

მე მინდა გასწავლოთ, გაიგოთ და გიყვარდეთ ეს გასაოცარი, სიცოცხლით, მრავალნაირი მოულოდნელობით სავსე შემოქმედებითი „არ ვიცი“ თანამედროვე მეცნიერებისა ბავშვის შესახებ.

მე მინდა გაიგოთ, რომ ვერავითარი წიგნი, ვერცერთი ექიმი ვერ შეცვლის საკუთარ ღრმა ფიქრებსა და მახვილ, დაკვირვებულ თვალს.

ხშირად ამბობენ, დედობრივი ცხოვრება აკეთილშობილებსო ქალს, თუკი ის როგორც დედა სულიერად მომწიფდება. დიახ, დედობრივი გრძნობა სვამს ცეცხლოვან შეკითხვებს, რომლებიც მოიცავს გარე და შინა სამყაროს, მაგრამ შეიძლება ეს ვერ შენიშნოთ. მიმმორეულმა იქნებ სულაც სამომავლოდ გადადოთ ან აღშფოთდეთ კიდევაც, რომ ამ საკითხების გადასაჭრელად ფული ვერ გიშველით.

ვილაცას რომ მოსთხოვო მზა აზრები, იგივეა, სხვა ქალს დაავალო შენი შვილის შობა. არის აზრები, რომლებიც შენი საკუთარი გვემა-

წამებით უნდა იშვნენ და სწორედ ისინი შეიქნებიან ყველაზე უფრო ღირებულნი. სწორედ ამ აზრებისდა კვალად შენ, დედა, მოაწოვებ ძუძუს ან ცურს მიაჩეჩებ, აღზრდი ვითარცა ადამიანს ან ხელმძღვანელობას დაუწყებ ვითარცა ძუ, ან წაიყვან იძულების თოკით, ან გასართობს ნახავ, ბავშვის მოფერება შენთვის იქნება დამატება ქმრისუფლო და მწირი ალერსისა, და როცა წამოიზრდება, უყურადღებოდ დაგდებ ან ომს გამართავ იმის შესაცვლელად.

2. შენ ამბობ: „„ჩემი ბავშვი".

როდისღა უნდა თქვა, თუ არა ფეხმძიმობის ხანს?

გარგარის კურკასავით პაწაწინა გულისცემა ექოა შენი მაჯისცემის. შენს სუნთქვას ჟანგბადი იმასთანაც მიაქვს. შენი სისხლი იმის ძარღვებშიც სჩქეფს და სისხლის არც ერთმა მეწამულმა წვეთმა არ იცის, შენივე დარჩება თუ მისი, თუ დაიღვრება და მოკვდება, ვითარცა საზღუარი მუცლადღებისა და მშობიარობის იდუმალების სანაცვლოდ. პურის ნაჭერი, რომელსაც ღეჭავ, მასალაა იმისთვის, რათა ფეხები გაიკეთოს, ზედ შედგეს და გაიქცეს, კანი გამოისხას, თვალი გამოიბას, ჩაიდოს ტვინი, რომელშიც, ერთხელაც იქნება, ფიქრი გაიბრდღვიალებს, ხელები, რათა შენკენ გამოიწვდინოს და ღიმილდაფენილმა დაგიძახოს: „დედა".

ერთად უნდა მიეგებოთ გადამწყვეტ წამს; ერთად მიეცემით საერთო ტკივილს. მაგრამ დაჰკრავს საათი — ნიშანი:

— მზად ვარ.

და ამასთან ერთად, ის, ბავშვი, იტყვის ასე: „ჩემი საკუთარი ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო", და შენც, დედა ეტყვი: „იცხოვრე შენი საკუთარი ცხოვრებით". მძლავრი გვემა დაგივლის და საშოდან დაიწყებ იმის გამოდევნას, იმისი ტკივილი აღარ გახსოვს; ძალამოსილად და მტკიცედ დაიწყებს იგი გამოსვლას, შენი ტკივილის არც იმან იცის რამე.

ცხოველური აქტი.

არა — და შენ და ისიც დამორჩილებულნი ხართ ასი ათასობით შეუმჩნეველ, მსუბუქ და ზუსტ იმპულსებს, რათა თქვენ-თქვენი წილი სიცოცხლის აღების ხანს მეტი არ მოგვიდეთ, საყოველთაოდ და იმთავითვე ასეა, ორივეს თანაბარი უფლება გაქვთ.

„ჩემი ბავშვი".

არა, ფეხმძიმობის ხანგრძლივი თვეებისა და საათების გვემა-წამების ხანსაც ბავშვი არ არის შენი.

3. ბავშვი, შენი ნაშობი, ათ ფუნტს* იწონის. რვა ფუნტი წყალია და ერთი მუჭა ნახშირი, კალციუმი, აზოტი, გოგირდი, ფოსფორი, კალიუმი, რკინა. შენი ნაშობი რვა ფუნტი წყალია და ორი ფუნტი ფერფლი. ყოველი წვეთი შენი შვილისა იყოს ნაპკური წვიმისა, თოვლის ფანტელი, ბინდი, ცვარი, წყალი, მწვირე ქალაქის ხნარცვში. ნახშირისა და აზოტის ყოველი ატომი შეზავებულია აუარებელ ნივთიერებასთან. შენ მხოლოდ ერთად მოუყარე თავი იმას, რაც იყო.

დედამიწა თვალმიუწვდომელ სივრცეშია ვამოკიდული.

---

* 1 ფუნტი — 453,6 გრ.

„მზემდე, უახლოეს ვარსკვლავამდე, 50 მილიონი მილია“.**

ჩვენი პატარა ვარსკვლავის დიამეტრი 3004 მილი ცეცხლოვანი სფეროს მხოლოდ 10 მილია გაცივებული ვარსითურთ.

ცეცხლით სავსე ამ თხელ ნაჭუჭზე, ოკეანეების შუაგულში — კუნძულებია ხმელეთის.

ხმელეთზე კი, ხეებსა და ბუჩქებს, ბუზებსა, ფრინველებსა და ცხოველებს შორის ირევა ხალხი.

მილიონ ადამიანს შორის ქვეყნიერებაზე შენგანაც იშვა რალაც. მაინც რა? ღეროკი, მტვრის ბუსუსი — რალაც-მეთქი.

რა უსუსურია, ისეთია შეიძლება მოკლას ბაქტერიამ, რომელიც ათასგზის რომ გაადიდო, თვალისთვის წერტილია ერთი.

მაგრამ ეს რალაც — ხორცი ხორცთაგანია ნაშობევი ზღვის ტალღის, ქარის, ელვის, მზის, ირმის ნახტომისა. ბუსუსი ეს სისხლის ნაწილია — თავთავის, ბალახის, მუხის, პალმის, ბარტყის, ბოკვერის, კვიცის, ლეკვისა.

წიალი იმისა ისაა, რაც გრძნობს, ხედავს, იტანჯება, სურს, უხარია, უყვარს, იმედოვნებს, სჯერა, უკუმიაქცევს და მიიზიდავს.

ბუსუსი ეს ფიქრით მოიცავს ვარსკვლავებსა და ოკეანეებს, მთებსა და ღარტაფებს — სულ ყოველივეს. სულის წიალი რა არის, სამყაროა მთელი, მხოლოდ სხვა განზომილების.

ასეთია გვემა-წამება ადამიანიშვილის ბუნებისა, რომელიც მტვრიდან უნდა იშვას და რომელშიც ცოცხლობს ღმერთი.

4. შენ ამბობ: „ჩემი ბავშვი“.

არა, ეს ბავშვი საერთოა, დედისა და მამის, მამაპაპათა.

ვიღაც შორეული „მე“, მძინარე წინაპრების წიალში, ვიღაცას გახრწნილი, დიდი ხნის დავიწყებული სამარის ხმა უეცრად ამეტყველდება შენს ბავშვში.

სამასიოდე წლის წინათ, მშვიდობიანობის თუ ომის ხანს, ვიღაც დაეუფლა ვიღაცას (რასათა, ხალხების, კლასების კალეიდოსკოპში) ნებით თუ ძალით, შემზარავი თუ ვნებიანი სიყვარულის რომელიღაც წამს, ღალატის ან ცდუნების დროს, არავინ იცის, ვინ და როდის. მაგრამ თავად ღმერთი იყო ბედის მწერალი, ხოლო ანტროპოლოგი ცდილობს ამის ამოცნობას თავის ქალის, თმის ფერის მიხედვით.

ხანდახან მგრძნობიარე ბავშვი ფანტაზიას მიეცემა, ვიღაცამ ჩემი თავი მშობლებს მიუგდოო. დიახ, რომელმაც ის შვა, მოკვდა ასეულობით წლის წინათ.

ბალღი — პერგამენტია, იეროგლიფებით მთლად მოფენილი, მხოლოდ იმისი ნაწილის ამოკითხვას შეძლებ, ზოგს წაშლი ან ხაზს გადაუსვამ და ახალ შინაარსს მისცემ.

შემაძრწუნებელი კანონი? არა, მშვენიერი. სწორედ ამისდა კვალადაა თითოეულ შენს ბავშვში თაობათა უკვდავების ჯაჭვის პირველი რგოლი; მოძებნე შენ სხვის ბალღში შენი საკუთარივე მთვლემარე ნაწილი. იქნებ ჩახვდე კიდევაც, იქნებ განავრცო კიდევაც.

---

** 1 მილი — დაახლოებით 1,5 კმ.

ბალღი და უსასრულობა.
ბალღი და მარადიულობა.
ბალღი — მტვრის ბუსუსი უკიდეგანო სივრცეში.
ბალღი — წამი დროებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შენ ამბობ: „მან უნდა... მინდა, რომ ის...“

ჰოდა, აურჩევ მას, როგორი უნდა იყოს, როგორ უნდა იცხოვროს.

მერე რა, რომ ირგვლივ შეზღუდულობაა და ცხოვრება ჩვეულებრივ მიდის. მერე რა, რომ ირგვლივ ერთფეროვნებაა.

ფუსფუსებენ, ჯახირობენ, ცდილობენ — წვრილ-წვრილი საზრუნავი, უნდი ლტოლვანი, მდაბალი მი'ზნები...

განუხორციელებელი იმედები, მტანჯავი სიმწუხარე, წარუვალი სევდა.

ყველგან უსამართლობა.

ღონის წამრთმევი უსულგულობა, სულის შემხუთავი თვალთმაქცობა.

ეშვ-ბრჭყალების მქონენი თავს გესხმიან, ჩუმნი თავის თავში შეკეტილან.

არა მარტო იწამებიან, სულიერადაც ისვრებიან.

შენი ბავშვი კი ვინ უნდა გამოვიღეს?

მებრძოლი თუ მხოლოდ მუშაკი? სარდალი თუ ჯარისკაცი? თუ მხოლოდ ბედნიერი?

ბედნიერება კი სადღაა, ბედნიერება კი რაღაა? იცი კი იმისკენ მიმავალი გზა? არის კი ვინმე ვინც იცის?

შეძლებ კი?.

როგორ მივხვდეთ, როგორ დავიცვათ?

ფარვანა ცხოვრების ქაფმორეული ნაკადის ზემოთ... როგორ მივანიჭოთ სიმაგრე იმის ფრთებს, ისე, რომ ფრენას სიმაღლე შევუნარჩუნოთ, როგორ გამოვწვრთნათ ისე, რომ არ დაიღალოს?

იქნებ საკუთარი მაგალითით, რჩევა-დარიგებით, სიტყვია და საქმით?

ვაითუ უარყოს?

თხუთმეტი წელიწადი გავა და ის მომავლისკენ იქნება მიმართული, შენ კი — წარსულისკენ. შენ მოგონებანი გაქვს და ჩვეულებანი, ის კი ახლის მაძიებელია, ფრთა უნდა გამოისხას იმისმა ოცნებებმა. შენ ეჭვებმა დაგრია ხელი, მას სჯერა და მოელის, შენ შიშიანობა დაგჩემდა, ის კი უშიშია.

სიყმაწვილე სულ ყოველთვის მიელტვის, გადააკეთოს სრულყოფილებას მოკლებული წარსული, თუკი ის აბუჩად არ იგდებს, ზიზღით არ უყურებს მას.

ასეც უნდა იყოს და მაინც...

დაე ეძებოს, ოღონდ ნუ ცრუობს. დაე სიმაღლეს შეუდგეს, ოღონდ არ მოსწყდეს, დაე ამოძირკვოს, ოღონდ ხელებს ნუ დაისისხლიანებს, დაე იბრძოლოს, ოღონდ ფრთხილად, ფრთხილად იყოს.

ის იტყვის:

— მე სხვა აზრისა ვარ, ხელით ნულარ მატარებ.
— ესე იგი, აღარ მენდობი?
— აღარ გჭირდები?
— ჩემი სიყვარული ყელში გაქვს ამოსული?
— წინდაუხედავო ჩემო შვილო, ცხოვრების არაფერი გეცხის, უმადურო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. უმადუროო.

მზე რომ ანათებს, დედამიწა თუ არის მადლიერი მისი? ხე თუ არის მადლიერი მარცვლის, რომლიდანაც გაიზარდა? თავისი მკერდით რომ გაათბო, თუ უმღერის ბულბული დედას?

თუ აძლევ ბავშვს იმას, მშობლებს რომ გამოართვი ან იქნებ სესხად აძლევ, რათა მერე გამოართვა, საგულდავულოდ იწერ და ანგარიშობ პროცენტებს?

სიყვარული სამსახურია, გასამრჯელოს რომ თხოულობ?

„შეშლილივით ფრთხიალებს დედა ყვავი, თითქმის მხარზე აჯდება იმ ყმაწვილს, ნისკარტით კორტნის იმის ჯოხს და ჰაერში გამოკიდული ჩაქუჩივით უკაკუნებს იმას თავს, აგლეჯს პატარ-პატარა ტოტებს, ხრინწიანი, დაძაბული, მშრალი, სასოწარკვეთილის ხმით დაჰყრანტალებს. და ის ბიჭი ბარტყს მოისვრის, მიწას დაასკდება, ფრთების თრევა-თრევით ნისკარტს გახსნის, უნდა კიდევ დაიყრანტალოს, ხმა აღარ აქვს, და ფრთების ფართხუნით სასაცილოდ მიხტის, ჭკუაარეული ფეხებში შეუვარდება იმ ბიჭს. სუყველა ბარტყს რომ დაუხოცავენ, დედა ყვავი ხეზე აფრინდება, ცარიელ ბუდეში ჩაძვრება, წრიალს მოჰყვება, თავის საფიქრალს მიეცემა“ (ჟერომსკი).

სტიქიონია დედის სიყვარული. თავის ყაიდაზე გადააკეთეს ის ადამიანებმა. მთელი ცივილიზებული სამყარო, გამონაკლისია ხალხის მასები, რომელსაც კულტურა ჯერ არ შეხებია, ბავშვების მკვლელობითაა დაკავებული. ცოლ-ქმარი, ვისაც ორი შვილი ჰყავს, შეიძლება თორმეტიც ჰყოლოდა, დაუბადებელთა ათეულის მკვლელები, და იმათ შორის შეიძლება იყოს ერთი, სწორედ ის — „მათი შვილი“. დაუბადებელთა შორის იქნებ ყველაზე უფრო ძვირფასი მოაკვდინეს?..

**რა უნდა ვქნათ?**

**დაუბადებელთა აღზრდა შეუძლებელია, უნდა აღვზარდო ისინი, რომლებიც დაიბადნენ და უნდა იცხოვრონ.**

**თვითკმაყოფილება უმწიფრობისა.** დიდხანს არ მინდოდა მივმხვდარიყავი, რომ აუცილებელია ანგარიშგება და ზრუნვა ბავშვებზე. დამონებული პოლონეთის მარწუხებში, მე, ქვეშევრდომსა და არა მოქალაქეს, დაუდევრობის გამო გაუთავისებელი მქონდა, რომ ბავშვებთან ერთად სკოლებიც უნდა იბადებოდნენ, ის ადგილები, სადაც შეიძლება შრომა, საავადმყოფოები, კულტურის კერები, ცხოვრების პირობები. ჭკუათმიუტანებელ ნაყოფიერებას მე ახლა აღვიქვამ როგორც ბოროტებასა დ ქარაფშუტობას. შეიძლება ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ახალი

სამართლის აღმოცენების წინადღეს, ევგენიკითა და დემოგრაფიული პოლიტიკით რომ არის ნაკარნახევი.*

7. ჯანმრთელი თუ არის?

ჯერ კიდევ რა უცნაურია, რომ დედა და ჩვილი ერთნი ალარ არიან. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ მათი ერთობლივი ცხოვრება იყო შიშიანობა ბავშვის გამოც და საკუთარი თავისაც.

როგორ სურდა, ნეტავი მალე დასრულებულიყო სუყველაფერი, ძლიერ სურდა, რომ ეს წუთი გარდასულიყო, ასე ფიქრობდა, განვთავისუფლდებიო საზრუნავისა და სადარდებელისგან.

ახლა კი?

მართლაცდა უცნაურია: ბავშვი ადრე იმასთან უფრო ახლოს იყო, უფრო მისი იყო, უფრო სჯეროდა, ნაკლებადაც არისო საფრთხეში, უფრო უკეთ ესმოდა მისი. ფიქრობდა, რომ იცის, შეძლებს... იმ წუთიდანვე, როდესაც საზრუნავი სხვას დააწვა, იმას, ვინც უფრო გამოცდილი იყო და კარგადაც იცოდა თავისი საქმე, ვისაც უხდიდნენ ფულს, ჰოდა, დედა, ადრე რომ თავს ევლებოდნენ, მარტოდ დარჩა და შფოთავს.

შვილს ართმევს უკვე ეს სოფელი.

და მრავალი საათის უმოქმედობის ხანს დედა ასე შეეკითხება თავს: რა მივეცი, რა დავაბედე, რით დავასაჩუქრე?

ჯანმრთელი თუა? რატომ ტირის?

რატომაა გამხდარი, რა ცუდად წოვს, არ ძინავს ან სულ როგორ სძინავს, ასე დიდთავა რატომაა, ფეხებმოღრეცილია, მუჭები შეკრული აქვს, კანწითელია, ცხვირზე თეთრი მუწუკები აზის, თვალებს აცეცებს, რად ასლოკინებს, დააცემინა, გადასცდა, ხმა რად ჩაეხრინწა?

ასეც უნდა იყოსო? იქნებ მატყუებენ?

ჰოდა, ის უყურებს ამ პატარა უმწეო არსებას, როგორ არა ჰგავს არც ერთ ასეთივე პატარასა და უმწეოს, რომლებიც ნანახი ჰყავს ქუჩებსა და პარკებში.

ნუთუ რამდენიმე თვის მერე ისიც... მისი ბავშვი ასეთივე უნდა იყოს?

იქნებ ცდებიან?

იქნებ რაღაც გამორჩათ?

დედას ექიმის ალარ სჯერა, კარგად აკვირდება და უნდა მიხვდეს, იქნებ იმისმა თვალებმა ამცნოს რამე ან მხრების აჩეჩებამ, ზეალმართულმა წარბებმა, მოღუშულმა შუბლმა; ეუბნება კი სიმართლეს, ნეტავი თუ გასინჯა გულისყურით.

8. „ნეტავი თუ არის ლამაზი? სულ ერთია". ამ დროს დედები არ არიან გულწრფელნი და უფრო ამიტომ ამბობენ, რომ ხაზი გაუსვან, ბავშვის აღზრდა არისო ჩემთვის თავიდათავი.

სილამაზე, მოხდენილობა საამური ხმა, შენს ბავშვს რომ გადმო-

---

* აქ და შემდგომაც, თეთრად მოყვანილი ტექსტი ავტორმა ჩაამატა 1929 წ., 15 წლის მერე: „დამატებასა და გასწორებას სჯობს აღვნიშნოთ, თუ რა შეიცვალა ჩემ ირგვლივ და ჩემში".

ეცი — ქონებაა. ასევეა ჭკუა და ჯანმრთელობა, ცხოვრების გზას ასე უფრო ადვილად გაივლის. მაგრამ თუკი სილამაზე არ იქნება განმტკიცებული სხვა ღირსებებით, შეიძლება საზიანოც გახდეს (და მით უფრო გამოწვლილვით განსჯას მოითხოვს).

ლამაზი ბავშვი სხვანაირად უნდა აღიზარდოს, ვიდრე ულამაზო. და რადგან შეუძლებელია აღზრდა თავად ბავშვისავე თანამონაწილეობის გარეშე, სულაც არ უნდა მორცხვად დაუმალოთ სილამაზის მნიშვნელობა, სწორედ ეს აფუჭებს მას.

შუასაუკუნეობრივი გადმონაშთია ადამიანის სილამაზის აუგად მოხსენიება. ის, ვინც განიცდის ყვავილის, პეპლის, პეიზაჟის სილამაზეს, როგორ უნდა დარჩეს გულგრილი ადამიანის სილამაზის მიმართ?

გინდა ბავშვს დაუმალო, რომ ის ლამაზია? შინაური თუ არა, ვინმე სხვანი ეტყვიან, მაღაზიაში, პარკში, შეიძლება გათქვან ეს ამბავი წამოძახილით, ღიმილით, თვალით, დიდებმაც და თანატოლებმაც. და ბავშვი მიხვდება, სილამაზე მისთვის განსაკუთრებული უფლების მომნიჭებელია, ისევე, როგორც იცის, რომ ხელი აქვს თავისდა სასიკეთოდ.

სუსტ ბავშვსაც შეუძლია კარგად განვითარება, ხოლო საღ-სალამათი ფათერაკს გადაეყაროს, ასევე შეიძლება ლამაზიც ვერ იყოს ბედნიერი; წარმოუსადეგობის ჯავშანში ჩასმულმა, შეუმჩნეველმა, გამოურჩეველმა შეიძლება იცოცხლოს ბედნიერად. რადგანაც შენ ვალდებული ხარ იცოდე, ცხოვრება, თუკი შეამჩნევს რამე ძვირფასს, იმის ყიდვას მოინდომებს, მოვერაგებას ან მოპარვას. ათასნაირი გადახრები წონასწორობის საფუძველი ხდება და გამზრდელი გაოცებულია მრავალგზის წარმოთქმული კითხვით, „რატომ?"

— ჩემთვის სულ ერთია, გინდ ლამაზი იყოს, გინდ ულამაზო. თვალთმაქცობით იწყებ და ცდომილებით.

9. ჭკვიანი თუა?

დედა ჯერ შეშფოთებულია, მერე კი მოითხოვს.

თუმცა არ გშია, თუნდაც ზიზღით, მაინც უნდა ჭამო; უნდა დაიძინო, თუნდაც თვალცრემლიანმა, თუნდაც ერთი საათის მერე. ვალდებული ხარ, მოვითხოვ, ჯანმრთელი უნდა იყო.

ქვიშაში ნუ თამაშობ, თმააბურძგნილი ნუ დადიხარ; მოვითხოვ, ლამაზი უნდა იყო.

„ის ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს... ის უფროსია... მიუხედავად ამისა... ცუდად სწავლობს..."

იმის მაგივრად, რომ დააკვირდეს, შეისწავლოს, ჩახვდეს, მაგალითად მოჰყავს პირველივე შემხვედრი „ქუდბედიანი" ბალღი და თავისას მოსთხოვს, სწორედ იმას უნდა დაემსგავსოო.

არ შეიძლება, შეძლებული მშობლების ბავშვი ხელოსანი რად უნდა გამოვიდეს. სჯობს გაუბედურდეს, წუმპეში ჩაწვეს. ბავშვის სიყვარული კი არა, მშობლის ეგოიზმია, პიროვნების სასიკეთოდ კი არ არის მიმართული, თავიდათავი ბრბოს ყოყლოჩინობაა, გზის ძიება კი არა, შაბლონით სიარულია.

გონება შეიძლება იყოს აქტიური და პასიურიც, ცოცხალი და დუნე, ბეჯითი და უნებისყოფო, დამყოლი და თავისნება, შემოქმედებითი

და წამბაძველი, მოჩვენებითი და ღრმა, კონკრეტული და აბსტრაქტული, გონება მათემატიკოსის, ბუნებისმეტყველის, მწერლის; მეხსიერება დიდებული ან ჩვეულებრივი. შემთხვევითი ცოდნით მოხერხებული მანიპულირება და გულწრფელი მერყეობა; თანდაყოლილი დესპოტიზმი, ფიქრიანობა, კრიტიკულობა; დაგვიანებული და ადრეული განვითარება; ინტერესების ცალმხრივობა ან მრავალმხრივობა.

მაგრამ ამასთან ვის რა ხელი აქვს.

„ოთხი კლასი მაინც დაამთავროს", ვალალებენ მშობლები.

ფიზიკური შრომის ბრწყინვალე რენესანსის გრძნობა მაქვს. ამის კანდიდატებს საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენლებში ვხედავ. მანამდე კი მშობლებისა და სკოლის დაკა-დაკა, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებულ, არატიპურ, სუსტ, თავისი ნიჭის მიხედვით გამოურჩეველ ბავშვთან.

„საერთოდ თუ აქვს ჭკუა" კი არა, უფრო „რა ანაგობისაა მისი გონება?"

გულუბრყვილო მოწოდება საკუთარი ნებით გაიღონ მძიმე საზღაური. ბავშვის უნარის გამოწვლილვით შესწავლა მოთოკავს მშობლების ეგოისტურ ამბიციებს. რა თქმა უნდა, ეს შორეული მომავლის სიმღერაა.

10. კარგი ბავშვი.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ კარგი და მოსახერხებელი.

ცოტას ტირის, ღამე არ გვაღვიძებს, მიმნდობია, წყნარია, ესე იგი, კარგია.

ცუდი კი ჭირვეულია, ყვირის ისე, საცხადო მიზეზი არ აქვს, დედისთვის უფრო უარყოფითი ემოციების მომგვრელია, ვიდრე დადებითის.

ბავშვი იმთავითვე, დაბადებიდანვე შეიძლება მეტნაკლებად მომთმენი იყოს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გრძნობს თავს. შეიძლება ერთს ერთი აწუხებდეს და გაუთავებლივ ყვიროდეს, მეორემ, მრავალმხრივ შეჭირვებულმა, შეიძლება მხოლოდ ერთხელ წამოიტიროს.

ერთი დუნეა, ზანტად მოძრავი, ნელა წოვს, ყვირის ისე, დაუძაბავად, მკვეთრად გამოკვეთილი ემოციის გარეშე.

მეორე სულ ადვილად წამოიგზნება, ცოცხლად მოძრაობს, ძილი ფხიზელი აქვს, მძვინვარედ წოვს, გალურჯებამდე ყვირის.

შეიძლება ისეც მოხდეს, სუნთქვა შეეკრას, გრძნობაზე უნდა მოვიყვანოთ, ძნელი მოსაბრუნებელია. ვიცი, ეს ავადმყოფობაა, ვასმევთ თევზის ქონს, ფოსფორს, ვუნიშნავთ ურძეო დიეტას. მაგრამ ამ ავადმყოფობამ ხელი არ შეუშალა, უკვე ზრდასრული, დიდი ნებისყოფის, სტიქიონივით ძალამოსილი, გენიალური გონების ადამიანი შეიქმნა. ბავშვობაში ნაპოლეონი გაუთავებლივ ტიროდა.

თანამედროვე აღზრდა იქითაა მიმართული, რომ ბავშვი მოსახერხებელი იყოს, თანამიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიელტვის მიაძინოს, დათრგუნოს, გაანადგუროს ყოველივე ის, რაც არის ნება და თავისუფლება, სულიერი სიმტკიცე, ძალა მისი მოთხოვნილებებისა.

ზრდილობიანია, დამჯერია, კარგია, მოსახერხებელია და არც არავის მოაფიქრდება, რომ შინაგანად იქნება უნებისყოფო, ცხოვრებისეული ძალლონე გამოცლილი.

11. ბალლის ყვირილი — უსიამოვნო მოულოდნელობა ყმაწვილი დედისთვის.

ბავშვები ტირიან, იცოდა, მაგრამ თავისაზე გულში არ გაუვლია, ეამორჩა, მომაჯადოებელ ღიმილს მოელოდა მხოლოდ.

გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა, თანამედროვეობისამებრ აღზრდის, გამოცდილ ექიმს მოიყვანს მეთვალყურედ. იმისმა ბავშვმა აღარ უნდა იტიროს.

მაგრამ დაღამდება და თავზარდაცემული (ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვს ის მძიმე საათები, თითქოსდა საუკუნეები რომ გრძელდებოდა), დაღლილ-დაქანცულობისა და უზრუნველობის შემგრძნობელი, შეიძლება სიზარმაცეს ისე მიეცეს, თვითგვემა აღარ დასჭირდეს, სამუშაო დასრულა და ახლა შეუძლია დაისვენოს სასოწარკვეთილი დაძაბულობის შემდეგ, პირველად თავის ცხოვრებაში; მოიცავს თუ არა ილუზიები, რომ ყველაფერი გასრულდა, რადგან ის, ბალღი — სხვა — უკვე თავად სუნთქავს; გულაჩვილებული, იდუმალების სავსე ჩურჩულით ესლა შეუძლია, კითხვები ბუნებას დაუსვას ისე, პასუხი ვერც მოსთხოვოს.

... უცებ ესმის...

ლესპოტური ყვირილი ბალღისა, რაღაც უნდა, რაღაც აწუხებს, შველა-დახმარებას მოელის და იმას კი არაფერი არ ესმის.

იყავი ფხიზლად!

„რადგანაც არ ვიცი, არც მინდა, არ ვიცი, როგორ!“

ღამის ნათურის შუქზე ეს პირველი ყვირილი გაორმაგებული ცხოვრების მაუწყებელია; ერთს, სრულიად ჩამოყალიბებულს აიძულებენ დათმოს, უარყოს და მსხვერპლად მივიდეს, თავი დაიცვას; მეორე კი სულ ახალი და ნორჩია, თავისი უფლებებისთვის მებრძოლი.

დღეს შენ მას აღარ ადანაშაულებ: არ ესმის, იტანჯება, რა ქნას. მაგრამ დაჰკრავს საათი და შენც იტყვი, „მე ვგრძნობ, მეც ვიტანჯები“.

12. არიან ახალშობილნი და ჩვილნი, რომლებიც ცოტას ტირიან, — მით უკეთესი. მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებსაც ტირილისგან შუბლზე ძარღვები ებურცებათ, საფეთქლები გასკდომაზე აქვთ, მეწამული ფერი მოედებათ მთელ სახესა და თავზე, ტუჩები ულურჯდებათ, თითო უკბილო პირი უკანკალებთ, მუცელი ებერებათ, მუჭები დაძაბულად აქვთ შეკრული, ფეხუნებს ჰაერს ურტყამენ. უეცრად ძალაგამოცლილი ყუჩდება და სრული მორჩილებით, „საყვედურით“ დედას შესცქერის, თვალებს ხუჭაბს, იხვეწება, იქნებ დამაძინოთო და რამდენიმეჯერ მალმალე შესუნთქვისა და ამოსუნთქვის მერე მოუვლის ისეთივე, შეიძლება კიდევ უფრო ძლიერი ტალღა ყვირილისა.

ნუთუ ამდენს შეუძლია გაუძლოს მისმა პატარა ფილტვებმა, პაწაწა გულმა, ჩვილმა ტვინმა?

ჩქარა ექიმი!

საუკუნე გავა, სანამ ექიმი გამოჩნდება და მოუსმენს ლმობიერი ღიმილით იმის ვალალეგას; ის ისეთია, უცხო, პროფესიონალი და ეს ბავშვი ერთია ათასთაგან. გამოჩნდება და წავა, რათა მოისმინოს სხვათა ჩივილი, ნახოს სხვათა გვემა-წამება; ახლა მოვიდა, როდესაც უკვე დღეა, როდესაც სული გამხიარულდა, მზე ანათებს, ჭეჩამი ხალხია გამოფენილი; მოვიდა, როცა ბალღმა ამ წუთას დაიძინა, როგორც ჩანს, ამდენი საათის უძილობით ძალაწართმეულმა და ძლივს შესამჩნევია შემაძრწუნებელი ღამის ნაკვალევი.

დედა ყურს უგდებს, ხანდახან უგულისყურადაც. საბოლოოდ განქარდა ოცნება მეგობარ-ექიმზე, მრჩეველზე, მეგზურზე სამძიმო მოგზაურობის ხანს.

ქალი საფასურს იხდის და ისევ მარტოდ რჩება ამ სევდისმგვრელი დასკვნის ანაბარა, ექიმი ვილაც სხვა, შენს სადარდებელს გულთან არ გაიკარებს, ვერც ვერაფერს გაიგებს. მერყეობს ეს კაცი, ვერც ვერაფერი უთხრა გარკვევით.

13. რა მნიშვნელოვანია ეს პირველი დღეები და კვირები, რომ იცოდეს, ახლა არა იმდენად ბავშვის ჯანმრთელობისთვის, არამედ მათი მომავლისთვის. ორივესთვის!

სულ ადვილად შეიძლება გამორჩეს!

იმის მაგივრად, შეეგუოს აზრს, რომ თუკი ექიმისთვის მისი ბალღი იმიტომაა საყურადღებო, შემოსავლის წყაროა ან სჭირდება იმის თავმოყვარეობას, სამყაროსთვის ის არც არაფერია და მხოლოდ იმისთვისაა ძვირფასი...

იმის მაგივრად, რომ შეეგუოს იმ აზრს, თანამედროვე მეცნიერება ცდილობს გაიგოს, სწავლობს და წინ მიიწევს, იცის, მაგრამ სიმტკიცე აკლია, თუმც შეუძლია დაეხმაროს, გარანტიის მოცემა არ შეუძლია...

იმის მაგივრად, რომ ვაუკაცურად გაითავისოს: ბავშვის აღზრდა საამური გასართობი არ არის, არამედ ის საქმეა, რომელიც კაპიტალის გაღებას მოითხოვს — მძიმე განცდებს, მრავალი ღამის თეთრად გათენებას და კიდევ ბევრ, ბევრ ფიქრს...

იმის მაგივრად, რომ ეს ყველაფერი გადაადნოს გრძნობების ცეცხლოვან მორევში და უილუზიებო სუფთა ცოდნას მიაკვლიოს, ბავშვურად ცხვირის აუბზუებლად, ეგოისტური გვემის გამოუვლელად, მას შეუძლია ბავშვი ძიძასთან ერთად შორეულ ოთახში გადაიყვანოს; რა ქნას, არ „შეუძლია უცქიროს" ჩვილის წამებას, „იმისმა ყურებმა რომ არ გაიგონოს" საბრალოს ძახილი; ჰოდა, შეუძლია ისევ და ისევ მოუხმოს ექიმებს, ისევ ვერ მიიღოს რამე გამოცდილება და რჩება ასე განაწამები, ჭკუადაბნეული, გაბეცებული.

როგორ გულუბრყვილოდ უხარია დედას, რომ გაიგო ჩვილის პირველი ღუღუნი, ჩახვდა იმის აბურდულ, გამოუთქმელ სიტყვებს.

მხოლოდ ახლა?.. მხოლოდ ამას?.. და მეტი არა?..

მაგრამ ენა ტირილისა და სიცილის, ენა გამოხედვისა და ბაფთის ნაირი ტუჩების, ენა მოძრაობისა და წოვის...

ნუ უარყოფ ამ ღამეებს! რადგან გაძლევენ იმას, რასაც ვერც წიგნი მოგცემს და ვერც ვერავისი რჩევა-დარიგება. ამ ღამეების მნიშვნელობა არა მარტო ცოდნის მოპოვებაა, არამედ ღრმა სულიერი გადატ-

რიალება, რომელიც აღარ განებებს აზრმოკლებულ ფიქრებს: „რა შეიძლებოდა ყოფილიყო, რა უნდა ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა, რომ...“ და უკვე სწავლობ მოქმედებას იმ პირობებში, რომლის პირისპირაც ხარ.

ამ ღამეებში შეიძლება მოგევლინოს გასაოცარი მოკაშკაშე შვილის მცველი — ანგელოზი — ალლო დედის გულისა, ნათელმხილველობა, წილნაყარი გულმოდგინე ნებასთან, შეურყვნელ გრძნობებთან.

14. ასეც იყო: გამომიძახა დედამ.

— ბავშვი ჯანმრთელია, არც არაფერი სჭირს. მაგრამ მაინც მინდა ნახოთ.

ვნახულობ, რამდენიმე მითითებას ვაძლევ, კითხვებზე ვპასუხობ. რა საყვარელია, ჯანმრთელია, მხიარული!

— ნახვამდის!

იმავე საღამოს ან მეორე დღეს კი:

— ექიმო, ბავშვს სიცხე აქვს.

დედამ შეამჩნია ის, რაც მე ექიმმა, ხანმოკლე სტუმრობის ხანს უცებ ვერ დავინახე.

საათობით ბავშვს რომ დასტრიალებს. დაკვირვების მეთოდს ვერ ფლობს და არც იცის, სწორედ რა შეამჩნია და თავს რომ ვერ ენდობა, ვერ ბედავს აღიაროს ის, რასაც გუმანით მიხვდა.

იმან შენიშნა, ბავშვს ხრინწმორეული ხმა არ აქვს, მაგრამ როგორღაც ყრუდ ყვირის. შედარებით ცოტას ღუღუნებს, შედარებით ჩუმადაა. ძილში შეკრთა, ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ. გაიცინა გამოღვიძებისას, მაგრამ ხმადაბლა. ცოტათი უფრო ნელა წოვდა, შეიძლება უფრო დიდხნობით ისვენებდა, არეული გამოიყურებოდა. გაიღიმა და სახე მოეღრიცა. თუ იქნებ მოეჩვენა? ჯავრით მოისროლა საყვარელი სათამაშო — რატომ?

ასეულობით სიმპტომი, რომელიც იმისმა თვალმა, ყურმა, ძუძუსთავმა შენიშნა, ასეულობით რაღაც ნიშნების მოშველებით ბავშვმა ამოთქვა: „დღეს კარგად ვერ ვარ. რაღაც უნდა მჭირდეს“.

დედას არ სჯეროდა ის, რაც შეამჩნია, რადგან არც ერთ წიგნში არ ამოუკითხავს ამ სიმპტომების შესახებ.

15. მუშა-ქალს, დედას, უფასო პოლიკლინიკაში ორი თვის ჩვილი მოპყავს.

— აღარ წოვს. ძლივს მოკიდებს პირს და მაშინვე მიატოვებს. კოვზიდან სვამს. ზოგჯერ ძილში, ზოგჯერ ღვიძილშიც უცებ შეჰყვირებს.

პირი გავალებინე, ყელში ჩავხედე. არაფერი არ ჩანს.

— აბა ერთი ძუძუ მიეცით.

ბავშვი ძუძუს ეცემა, არა წოვს.

— ხომ ხედავთ!

ბოლოს ბავშვი ძუძუს იღებს, სწრაფად, თითქოსდა სასოწარკვეთილი თითქოსდა მოწოვს რამდენიმეჯერ, მერე კი ყვირილით გაუშვებს.

— შეხედეთ, რაღაც აქვს ღრძილზე.

კიდევ ერთხელ ჩავხედე, გაწითლებული აქვს, მაგრამ უცნაურია, მხოლოდ ერთ მხარეზე.

— აი აქ რალაც მოჩანს შავად, კბილია თუ?

ვხედავ, რაკაც მკვრივი, მოყვითალო, შავ არშია მოვლებული ოვალური. წამოვწიე, მომყვა, იმის ქვეშ — პატარა რალაც მოწითალო ჩალრმავებული, კიდესისხლიანი.

ბიბლიოთეკა

დაბოლოს, „რალაც“ ეს ჩემ ხელთაა: კანაფის ნაჭუჭი!

აკვნის ზემოთ გალიაა, კანარის ჩიტით, რომელმაც ნაჭუჭი ჩამოაგდო, ტუჩზე დაეცა, პირში ჩაუსხლტა და ღრძილს მიეწება.

ჩემი ფიქრების სვლა ასეთია: *stomatitis, catarhalis, soor, stom, apthosa, gingivitis, anniga* და ა. შ.

დედა კი: სტკივა, რალაც აქვს პირში.

მე ორჯერ მოვათვალიერე... იმან კი?..

16. ზოგჯერ ექიმს თუ გააოცებს დედის დაკვირვებების სიზუსტე და გაუთავებელი თვალთვალი, მეორე მხრით, ასევე ისიც, რომ დედას არ შეუძლია ჩახვდეს, შეამჩიოს კიდევაც სულ უბრალო სიმპტომი.

ბავშვი დაბადებიდანვე ტირის და დედას მეტი არც არაფერი დაუნახავს. ტირის და ტირის...

ატირდება უეცრად, იმ წუთასვე მიაღწევს სიმაღლეს თუ საბრალობელი ჭიჭყინი თანდათანობით ღრიალში გადავა? მალე წყნარდება ბალღი, მაშინვე, ნაწლავის მოქმედების ან მოშარდვის მერე, თუ მას შემდეგ, როცა წამოაღებინებს (თუ თავად გამოაპურჭყებს)? უეცრად აღრიალდება, როცა აძინებენ, აცმევენ, წამოაყენებენ, ან თითქოსდა ჩივისო, ტირის გაბმულად, თანაბარი ხმით? როგორ მოძრაობს ამ დროს? ბალიშს თავს თუ უხახუნებს, ტუჩებს აწკლაპუნებს? ხელში რომ აიყვანთ და გაატარ-გამოატარებთ, სახვევებს რომ მოხსნით და მუცელზე დააწვენთ, ხშირად რომ იცვლის მდგომარეობას, დამშვიდდება თუ არა? მერე კი მაგრად იძინებს თუ ცოტა ხნით, იღვიძებს ყოველ ფაჩუნზე? ტირის წოვამდე თუ წოვის შემდეგ, უფრო დილაობით თუ საღამოს ან ღამით?

წოვის დროს თუ წყნარდება? კარგა ხნით? თუ არ უნდა წოვა? როგორ არ უნდა? წოვას თავს ანებებს ძუძუს აღებისთანავე, თუ მოყლაპავს და მაშინვე, გარკვეული ხნის მერე? სულაც არ უნდა თუ შეიძლება როგორმე მოვაწოვოთ? როგორ წოვს? რატომ არ წოვს?

თუ სურდო აქვს, როგორღა მოწოვს? ხარბად და მძლავრად, იმიტომ, რომ უნდა შესვას, მერე კი პატარ-პატარა ყლუპებით და არათანაბრად, შეისვენებს ხოლმე და ისე, შეიძლება ჰაერი არ ჰყოფნის? ხოლო თუ მერე ყლაპვა მტკივნეულია, მაშინ რაღა იქნება?

მხოლოდ იმიტომ კი არ ტირიან, რომ შიათ ან მუცელი აწუხებთ, შეიძლება ტუჩები, ღრძილები, ენა, ყელი, ცხვირი, თითი, ყური, ძვლები სტკიოდეთ. შეიძლება უკან ოყნამ გაკაწრა, შარდვის დროსაც შეიძლება სტკიოდეთ, გულისრევის დროსაც, წყურვილის დროსაც, შეიძლება დასცხათ, შეიძლება ექავებათ, თუმცა კანზე გამონაყარი ჯერ არ ჩანს, მაგრამ ერთი-ორი თვის შემდეგ უნდა გამოჩნდეს; შეიძლება თასმები აქვთ მაგრად მოჭერილი, ყელი ეტკინათ, ნაკეცებთან სახვევების

გამო, ბამბის ბუსუსების გამო, კანარის ჩიტის გალიიდან ჩამოვარდნილი ნაჭუჭის გამო.

ათი წუთით ექიმს გამოუძახე, მაგრამ თავად თვალს ნუ მოაცილებ მთელი ოცი საათი.

17. მზა ფორმულებიანი წიგნების გამო ლიბრი [illegible] თვალს, გაბუნდოვანდა ფიქრი. სხვათა გამოცდილებით, დაკვირვებებითა და შეხედულებებით ცხოვრებამ დააკარგვინა საკუთარი თავის რწმენა და არ უნდა თავად დაინახოს. თითქოსდა ბეჭდვითი სიტყვა გამხელაა და არა შედეგი დაკვირვებისა; ოღონდ ვიღაცის და არა ჩემი, გუშინდელის და არა დღევანდელის, ვიღაცის და არა ჩემს საკუთარ ბავშვზე.

ამ სკოლამ შვა შიშიანობა, ვაითუ გავთქვათ, რომ არ ვიცით.

რამდენჯერ ჩაუწერია დედას კითხვები ფურცლებზე, ექიმს უნდა ვკითხოო, მაგრამ ველარ ბედავს; და მხოლოდ იშვიათად თუ გამოაჩენს ამ ფურცლებს, რადგანაც, რაც ჩაწერა, „სუყველაფერი სისულელეა“.

თავადაც რომ მალავს, არ ვიცი, იმდენჯერ აიძულებს ექიმსაც დამალოს ეჭვები და მერყეობა, თქვას რამე გულახდილად! როგორ არ მოსწონს ფართო მაყურებელის პიროვნული პასუხები, როგორ არ უყვარს, როდესაც ექიმი აკვანზე მოჰყვება ხმამაღალ მსჯელობას. ხშირად ექიმი, იძულებული რომაა წინასწარმეტყველი იყოს, შარლატანობას მიმართავს!

ხანდახან მშობლებს არ უნდათ იმის ცოდნა, რაც უკვე იცოდნენ, და დაინახონ ის, რაც უკვე ნანახი აქვთ.

ყველაფერი რომ აქვთ და არაფერი აკლიათ, ისეთ წრეებში მშობიარობა იშვიათობაა, ბოროტებასთან წილნაყარი გამონაკლისია და დედა დაჟინებით სთხოვს ბუნებას უხვ საჩუქრებს. თუკი ის თანახმა იყო რაღაც-რაღაცებზე უარი ეთქვა, შეგუებოდა უსიამოვნებას, ფეხმძიმობას, უგუნებობას, სისუსტესა და მშობიარობის გვემა-წამებას, მაშინ ბავშვი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც მან მოიგონა.

კიდევ უარესი: შეჩვეულია, რომ ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება და ვერა და ვერ მოითმენს ამ ფაქტს. არის რაღაც-რაღაცები, რისი მიღებაც მათხოვარს შეუძლია, მდიდარს ვერ მოართმევენ, რაც არ უნდა მოითხოვოს.

ბევრჯერ ყოფილა, გაუთავებლივ დაეძებენ მშობლები ბაზარზე ამ იარლიყიან საქონელს, „ჯანმრთელობა“, მაგრამ ყიდულობენ ფალსიფიცირებულ რაღაცებს, რომლებიც ვერ შველის და შეიძლება საზიანოც იყოს.

18. ბავშვისთვის სულ ერთია, ვის ძუძუსაც წოვს, მშობლები ღვთისგან დალოცვილი ჰყავდა მისი გაჩენისას თუ სინდისზე ხელი აიღო ქალწულმა; დედა ჩურჩულებს: „ჩემო ანგელოზო“, თუ ოხრავს: „რა ვქნა, რა წყალში გადავვარდეო“, მოწიწებით ლოცავენ დიდებულ მანდილოსანს, თუ სოფლელ გოგოს პირში მიახლიან: „ჰაი, შენ უნამუსო!“

მამაკაცს რომ ემსახურება, პროსტიტუცია თავის დამატებას პოულობს ძიძების ინსტიტუტში, რაც ქალების შემოსავლის წყაროა.

უნდა ღრმად ჩავხვდეთ: ტრადიციასთან წილნაყარი ეს სისხლიანი ბოროტება ღარიბ-ლატაკის ბავშვის მიმართ, რაც შეიძლება სასიკეთო იყოს მდიდართა ბავშვებისთვის. ძიძას ხომ შეუძლია ერთდროულად ორი გამოკვებოს, თავისი და სხვისიც. სარძევე ჯირკვალი გამოყოფს იმდენ რძეს, რამდენიც საჭიროა. ძიძას რძე გაუქრება, როდესაც ბავშვი წოვს ნაკლებ რძეს, ვიდრე ამას ძუძუ იძლევა.

ფორმულაა: რძიანი ძუძუ, სუსტი ბალღი — რძე გაქრება.

უცნაური ამბავია: უფრო ნაკლებად სერიოზულ შემთხვევაშიც ჩვენ რჩევისთვის მივმართავთ ბევრ ექიმს, ხოლო ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამო, შეუძლია თუ არა დედას თავად აძლევდეს ძუძუს ბავშვს, დავსჯერდებით ვიღაცების რჩევა-დარიგებებს, ხშირად არაგულწრფელად გამოთქმულს, შემთხვევით შემოსწრებულების მიერ.

ყოველ დედას შეუძლია ბავშვი თავისი ძუძუთი გამოკვებოს, ყოველს აქვს საკმარისი რძე; და მხოლოდ ტექნიკის არცოდნა წაჰგვრის ამ თანდაყოლილ თვისებას.

ტკივილი ძუძუში, დახეთქილი ძუძუსთავები გარკვეული დაბრკოლებაა. მაგრამ შვების მომტანია იმის შეგნება, რომ დედამ გაუძლო გასაჭირს და ნაყიდ მონა-ქალს თავისი მოვალეობა არ გადააბარა. ჭმევა მშობიაროობის გაგრძელებაა და არა იმიტომ მხოლოდ, რომ „ბავშვი გარეთ გამოვიდა, ჭიპლარს მოცილებულმა ძუძუ აიღო და წითელ სისხლს კი არა, თეთრს სვამს“.

სისხლს სვამს? დიახ, დედისას, ასეთია ბუნების კანონი და არა მოკვდინება ძიძიშვილისა, როგორც ეს დააკანონეს.

ბავშვის უფლება ძუძუზე არის გამოძახილი ინტენსიური ბრძოლისა. დღეს თავიდათავია საბინაო საკითხი. ხვალ კი როგორ იქნება? ასე რომ, მიმდინარე მომენტი განსაზღვრავს ავტორის ინტერესს.

**19. იქნებ დავწერო ეგვიპტური ძილისპირული დედებისთვის.**

**„დაბადებისას სამკილონახევრიანი წონა ნიშნავს ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას“.**

**„განავალი მწვანე, ლორწოვანი. შემაშფოთებელია, ვერ არის კარგი ამბავი“.**

**იქნება შევადგინო კიდევაც „სარკე სიყვარულისა“, რჩევა-დარიგების კრებული.**

**მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ არის მითითება, რომლის სრული მორჩილება აბსურდამდე არ მიგვიყვანია.**

ძველი სისტემა:

წოვა დღეღამეში ოცდაათჯერ, აბუსალათინის ზეთს „თუ მიაყოლებინებთ“, ცუდი არ იქნება; ჩვილი ხელიდან ხელში გადადის, არწევენ, „შენ გენაცვალე“, დასძახიან უკვე მრავალგზის გაცივებული დეიდები. მიჰყავთ სარკმელთან, სარკესთან, ტაშს უკრავენ, საჟღარუნას უგრიალებენ, სიმღერებს უმღერიან — ქარვასლაა და მეტი არაფერი.

ახალი სისტემა:

ძუძუს წოვება ყოველ სამ საათში. ბავშვი ხედავს რომ ემზადებიან, მოუთმენლადაა, ტირის. დედა საათს თვალს არ აცილებს; ოთხი წუთი დარჩა და რა ქნას. ბავშვს სძინავს, დედა აღვიძებს, ჭამის დროა, მში-

ერს ძუძუს გამოაცლის, დრო გავიდა. წევს, ხელი არ უნდა ახლოს. ხელში ტარებას არ უნდა მიაჩვიოს, ნაბანავებმა, გამშრალებულმა, გამძღარმა ბავშვმა უნდა დაიძინოს. არ სძინავს. ფეხის წვერებზე უნდა იაროს, სარკმლებზე ფარდები უნდა ჩამოკიდონ. საავადმყოფო პალატა, მორგი.

აზრი კი არ მუშაობს, მბრძანებლობს მითითებები.

20. არა' „რამდენჯერ ვაჭამოთ", არამედ: „რამდენჯერ დღეღამეში". საკითხის ასე დაყენება დედას შებორკილ ხელებს უხსნის; თავად უნდა დაადგინოს საათები, როგორ სჯობს მისი ბავშვისთვის.

რამდენჯერ უნდა მოწოვოს ბავშვმა დღეღამეში?

ოთხიდან თხუტმეტამდე.

რამდენი ხანი უნდა გავაჩეროთ ბალღი ძუძუსთან?

ოთხი წუთიდან ორმოცდახუთ წუთამდე, შეიძლება უფრო მეტიც.

ჩვენ ვიცით, ზოგიერთს ძუძუდან ადვილად გამოსდის რძე, ზოგს ძნელად, ზოგი რძეუხვია, ზოგი მწირი, ზოგს ძუძუსთავები კარგად აქვს გამოკვეთილი, ზოგს არა, მკვრივია და ადვილად ზიანდება. ზოგი ბავშვი ძლიერ წოვს, ზოგი კი ზანტად. ყველასთვის არ შეიძლება ერთი რეცეპტი იყოს.

ძუძუსთავი სუსტადაა გამოკვეთილი, მაგრამ მკვიდრია; ახალდაბადებული აქტიურია, დაე ხშირად წოვდეს და დიდხანს, რათა მკერდი „დაუმუშავდეს".

დედას რძე აქვს, ბავშვი სუსტია. იქნებ სჯობდეს ჭამის წინ ნაწილი რძე გამოიწველოს და ბავშვი აიძულოს ძალა დახარჯოს? ვერ შეძლებს? ძუძუ მისცეს, ხოლო რაც დარჩება, გამოიწველოს.

ძუძუ მკვრივია, ბავშვი ზანტია. ათი წუთის მერელა იწყებს წოვას.

ერთი ყლაპვის მოძრაობას შეიძლება ახლდეს ერთიდან ხუთამდე წოვითი. ერთი ყლუპისთვის რძის რაოდენობა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები.

ძუძუს იღებს, წოვს, მაგრამ არ ყლაპავს; ეს იშვიათია, ხშირად ყლაპავს.

„ნიკაპზე გადმოედინება", იქნებ იმიტომ, რომ რძე ბევრია ან იქნებ იმიტომაც, რძე ცოტაა, ბავშვს მოშივდა, ძლიერ მოწოვა, გადასცდა, მაგრამ ეს შეიძლება პირველი ყლუპებისას.

დედასა და შვილს არ იცნობ, როგორ შეიძლება მითითებები მისცე. „ათ-ათი წუთი უნდა აწოვოს ხუთჯერ დღეღამეში" — ეს სქემაა.

21. ძუძუს ჭმევის ტექნიკის შემუშავება შეუძლებელია ბავშვის აუწონავად, რაც უნდა გავაკეთოთ, კუკუდამალობანას თამაში იქნება!

როგორ გავიგებთ აუწონავად, რამდენი რძე გამოწოვა ბავშვმა, სამი კოვზი თუ ათი.

არადა სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენად ხშირად უნდა მოწოვოს; რამდენ ხანს, ორივე ძუძუდან თუ ერთიდან.

სასწორი შეიძლება იყოს შეუმცდარი მრჩეველი, თუ იმას დავინახავთ, რაც არის, და შეიძლება ტირანიც გახდეს, თუკი მოვინდომებთ მივიღოთ ბავშვის „ნორმალური" ზრდის სქემა... ვაითუ ერთი ახირება

მომწვანო განავლის შესახებ, მეორეთი შევცვალოთ — ხან ასეთი უნდა იყოს, ხან ისეთი.

როგორ უნდა ავწონოთ?

უნდა ვთქვათ, არიან დედები, რომლებმაც ბევრი დრო დაახარჯეს გამეებისა და ეტიუდების შესწავლას, ხოლო სასწორს ვასაცხობად ვერ მოიცალეს. ჭამამდე თუ ჭამის მერე ავწონოთ? რა სადავოა? ისეთებიც არიან, სასწორს არ შემოსწყრებიან და მთელი ყურადღება ამ თავიანთ საყვარელ საოჯახო ექიმზე გადააქვთ.

მეძუძური ბავშვების იაფფასიანი სასწორები, ანუ, სასწორის შოვნა „ჩალის ფასად" უნდა შეიძლებოდეს, სოციალურია ეს საკითხი. ვინ ითავებს?

22. რა არის მიზეზი, რომ ბავშვების ერთი თაობა გაიზარდა ლოზუნგით: რძე, კვერცხები, ხორცი; მეორე კი — ფაფებით, ბოსტნეულითა და ხილით?

მე შემეძლო ასე მეპასუხა: ქიმიის პროგრესი, გამოკვლევები ნივთიერებათა ცვლის დარგში.

არა, ცვლილებათა არსი უფრო ღრმადაა მოსაძიებელი.

ახალი დიეტა არის გამოხატულება მეცნიერების ნდობისა ცოცხალი ორგანიზმისადმი, პატივისცემა მისი ნებისადმი.

ცილებსა და ცხიმებს რომ იძლეოდნენ, ორგანიზმის განვითარების სტიმულირება უნდოდათ, საგანგებოდ ურჩევდნენ დიეტას, ახლა კი ყველაფერს ვაძლევთ: ცოცხალმა ორგანიზმმა დაე ყველაფერი თავად აირჩიოს, რაც უნდა, რასაც მოაქვს სარგებლობა, დაე თავად მართოს თავისი ძალები, მემკვიდრეობით გადმოყოლილი ჯანმრთელობის აქტივი და პოტენციური ენერგია განვითარებისა.

მთავარია არა ის, თუ რას ვაძლევთ ბავშვს, არამედ, რასაც ის ითვისებს. ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს, ძალას ნუ დავატანთ, ცალმხრივი ვიქნებით, შეიძლება შევცდეთ.

თუნდაც სულ ახლოს ვიყოთ ჭეშმარიტებასთან, შეიძლება შეცდომა დავუშვათ, ხოლო თუ ამას თვიდან თვემდე ვიმეორებთ, ზიანს ვაყენებთ ორგანიზმს ან ვართულებთ იმის მუშაობას.

როდის, როგორ და რით უნდა დამატებითი კვება?

მაშინ, როდესაც ბავშვს არ ჰყოფნის გამოწოვილი ლიტრა რძე; უცებ კი არა, თანდათანობით და სულ ყოველთვის უნდა დაველოდოთ ორგანიზმის რეაგირებას; ყველაფერი შეიძლება მივცეთ დამატებით, ეს ბავშვზე, იმის პასუხზეა დამოკიდებული.

23. ფაფები კი?

უნდა გავარჩიოთ მეცნიერება ჯანმრთელობაზე და ვაჭრობა ჯანმრთელობით.

თმის მასაზრდოებელი სითხე, კბილების ელექსირი, პუდრა, კანის გამაახალგაზრდავებელი, ფაფები, რომლებიც კბილების გამოჭრას უწყობს ხელს, ხშირად ეს მეცნიერების სირცხვილია და არც არასდროს მისი სიამაყე, აღმაფრენა, მიღწევა.

ფაბრიკატს შეუძლია ფაფების მეშვეობით მოაწესრიგოს კუჭის მოქმედება, წონაც მოგვცეს, რაც დედას მოსწონს და ბავშვის გემოვნე-

ბისამებრაა. მაგრამ ბავშვი გახდება წლოვანი, ფუმფულა, მეტისმეტად გამოკვებილი, შეიძლება იყოს დონდლოც, შეიძლება ცხოვრების უუნაროც.

და სულ ყოველთვის მწარმოებელი სახელს უტეხავს ძუძუს, თუ-ვცა ფრთხილად, ეჭვებს აღძრავს, ჩუმ-ჩუმად ფეხს უდებს, აცდუნებს და ბრბოს სისუსტეზე თამაშობს.

შეუძლიათ თქვან: მსოფლიოს სახელგანთქმულმა მეცნიერებმა დადებითი შეფასება მისცესო. მაგრამ მეცნიერებიც ადამიანებია; იმათ შორის არიან გამჭრიახნი, წინდახედულნი და ცუნდრუკნი, პატიოსანნი და სინდისგარეცხილნი. რამდენი არიან ისინი, მეცნიერების გენერლები, არა გენიოსობის, არამედ მოხერხულობის წყალობით! ფულს ატრიალებენ დაბადებიდანვე მდიდარნი! მეცნიერებას სჭირდება ძვირადღირებული ლაბორატორიები და ამის მოპოვება შეიძლება არა ჭეშმარიტად ღირსეული საშუალებებით. არამედ გაქნილობითაც, ინტრიგებითაც და წაბაძულობითაც.

კრებას დავსწრებივარ, სადაც თავხედურმა თავდაჯერებულობამ მიითვისა თორმეტწლიანი კეთილსინდისიერი კვლევის შედეგები. მე ვიცი ადმოჩენები, რომლებიც შეთითხნეს ცნობილი საერთაშორისო ყრილობისთვის. საკვები პრეპარატი, რომლის მნიშვნელობა დაამტკიცა რამდენიმე ათეულმა სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, ყალთაბანდობა გამოდგა; სასამართლო პროცესიც იყო, ვნებათა ღელვა მალე ჩააცხრეს.

ვიღაცამ შეაქო ფაფა, ვიღაცამ არ მოისურვა, მწარმოებელთა აგენტების მეცადინეობის მიუხედავად, და მაინც, შეუძლიათ თავისი გაიტანონ, მწარმოებელ-მილიონერებს დიდი ზეგავლენა აქვთ, ამ ძალას ველარაფერი აღუდგება წინ.

ამ ქვეთავის მრავალი მომენტი გამოძახილია მედიცინასთან ჩემი განქორწინების პროცესისა. მე ნანახი მაქვს, სამედიცინო დახმარება არ იყო ან თუ იყო, უგულისყური (კამენსკის სრულად ვერ აფასებდნენ. ბრუძინსკიმ პირველმა მოითხოვა თანასწორობა პედიატრიისთვის) მათხოვრული მდგომარეობის, სიდუხჭირისდა კვალად თავხედურად დაიწყეს ხელის მოთბობა სამედიცინო პრეპარატების უცხოელმა მწარმოებლებმა. ჩვენთან არის სამზრუნველო პუნქტები, საფაბრიკო ბაგები, საზაფხულო ბანაკები, საბავშვო-გამაჯანსაღებელი განყოფილებები, სასკოლო სამედიცინო პუნქტები, საავადმყოფო სალაროები. ჯერ კიდევ არის უწესრიგობა და უკმარისობა, მაგრამ მონაპოვრის დასაწყისს უკვე ვხედავთ. ახლა შეიძლება გვჯეროდეს ფაფებისა და წამლების: მაი ამოცანაა ჩანაცვლება კი არ მოახდინონ ჰიგიენისა და სოციალური უზრუნველყოფის, არამედ შეეშველონ მათ.

**24. ბავშვს სურდო აქვს, სიცხიანია.**

**საფრთხეშია? როდის გამოჯანმრთელდება?**

**ჩვენი პასუხი ასეთია, თანაფარდობა მთელი რიგი მსჯელობისა იმის საფუძველზე, რაც ვიცით და შევნიშნეთ.**

**ეს კი ნიშნავს: მძლავრი ორგანიზმი სუსტ ინფექციას ორ-სამ დღეში დაძლევს. თუ ინფექცია უფრო ძლიერია ან ბავშვი სუსტია, ავადმყოფობამ შეიძლება კვირა გასტანოს. ვნახოთ.**

ანდა ავადმყოფობა მსუბუქია, მაგრამ ბავშვი ძალიან პატარაა. ჩვილ ბავშვში კატარი შეიძლება გადავიდეს ცხვირის ლორწოვანი გარსიდან ყელზე, ტრაქეაზე, ბრონქებზე. ვნახოთ.

დაბოლოს, ასი ასეთი შემთხვევიდან ოთხმოცდაათი ჩქარი გამოჯანმრთელებით დასრულდება, შვიდ შემთხვევაში ავადმყოფობა გრძელდება, სამ შემთხვევაში მოხდება გართულება და შეიძლება სიკვდილითაც დასრულდეს.

შენიშვნა: იქნებ მსუბუქი გაცივების მიღმა სხვა ავადმყოფობა იმალება?

მაგრამ დედას არ სურს ვარაუდები, უნდა სრულიად იყოს დარწმუნებული.

შეიძლება დიაგნოზი დავაზუსტოთ, ამიტომ უნდა შევისწავლოთ გამონაყოფი ცხვირიდან, ავიღოთ სისხლის, შარდის, ზურგის ძვლის სითხის ანალიზები, შეიძლება რენდგენი გადავუღოთ, გამოვუძახოთ სპეციალისტებს, დიაგნოსტიკაში უფრო გაიზრდება შეუმცდარობის პროცენტი, პროგნოზირება, მკურნალობის დონეც. მაგრამ გააწონასწორებს თუ არა ეს პლუსი იმ ზიანს, რომელიც მოაქვს ბავშვის მრავალგზის დათვალიერებას ბევრი ექიმის თანდასწრებით, ყოველ იმათთაგანს ხომ შეუძლია თმით, ტანისამოსის ნაკეცით, საუბრის დროს, ძალზე საშიში ინფექცია შემოუტანოს?

სად შეიძლება გაცივებულიყო ბავშვი?

შეიძლებოდა თუ არა ამის თავიდან აცილება?

გამოუმუშავებს თუ არა ეს მსუბუქი ინფექცია იმუნიტეტს უფრო ძლიერის წინააღმდეგ, ერთი კვირის, ერთი თვის მერე რომ გადაეყრება და კიდევაც შეიძლება ხელი შეუწყოს დამცავი მექანიზმის სრულყოფას: ტვინის თერმიულ ცენტრში, ჯირყვლებში, სისხლის შემადგენელ ნაწილაკებში? და შეიძლება ჩვენი ბავშვის იზოლირება ჰაერისგან, რომელშიც ის სუნთქავს და რომლის ერთი კუბური სანტიმეტრი ათასობით ბაქტერიას შეიცავს?..

ხომ შეიძლება მაშინ გამოიწვიოს ახალი შეჯახება იმისა, რასაც ჩვენ მიველტვით და იმისაც, რასაც ჩვენ ვერიდებით, ხომ შეიძლება ეს იყოს კიდევ ერთი ცდა დედას განათლება კი არ შევძინოთ, არამედ მოვუხმოთ გონებას ურომლისოდაც დედა სწორად ვერ აღზრდის ბავშვს?

25. მშობიარენი რომ ბევრნი იხოცებოდნენ, ახალდაბადებულზე ცოტას ფიქრობდნენ. მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ასეპტიკისა და სამედიცინო დახმარების ტექნიკით შეძლეს დედისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. სანამ ჩვილები ბევრნი იხოცებოდნენ, მეცნიერების მთელი ყურადღება უნდა მიმართულიყო ბოთლსა და სახვევზე. ახლა კი, შეიძლება ცოტა ხნით, ბავშვის ვეგეტატიურ სახესთან ერთად ცხადლივ დავინახოთ ერთ წლამდე ბავშვის ფსიქიკური აღნაგობა, ცხოვრება და განვითარება. აქამომდე რაც გაგვიკეთებია, სამუშაოს დასაწყისიც კი არ არის.

ჩვილის ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ზღვარზე გაუთავებელი მწკრივია ფსიქოლოგიური პრობლემებისა.

ნაპოლეონს მსუბუქი ბნედა სჭირდა. რაქიტიანი იყო ბისმარკი; უდავოა, რომ ყოველი წინასწარმეტყველი და დამნაშავე, გმირი და

მოღალატე, დიდი და მცირე, ძალგულოვანი და ჯანგალეული ჩვილნი იყვნენ მოწიფულობის ხანამდე. თუ ჩვენ გვინდა აზროვნების, გრძნობათა და ლტოლვათა ამებანი მანამ შევისწავლოთ, სანამ ისინი განვითარდებიან, დიფერენცირდებიან და ჩამოყალიბდებიან, ჩვილს უნდა მივმართოთ.

მხოლოდ ზღვარდაუდებელი უვიცობა და ზედაპირული შეხედულებები ვერ დაგვანახვებს, რომ ჩვილი რაღაც მკაცრად განსაზღვრული ინდივიდუალობაა, თავისი თანდაყოლილი ტემპერამენტით, ინტელექტის ძალით, გრძნობებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით.

26. ასი ჩვილი. თითოეულს დავყურებ ლოგინზე მწოლს. აი ისინიც, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე კვირა ან თვეა, — სხვადასხვა წონისანი არიან და სხვადასხვა წარსულისანი, ზოგნი ავადმყოფობის, ზოგნი გამოკეთების გზაზე დამდგარნი, ზოგნი ჯანმრთელნი და ზოგნი ძლივს რომ ფეთქავენ.

მრავალგვარი გამომეტყველებით: მიმქრალნი, თითქოსდა ლიბრგადაკრულნი, უსახურნი, ჯიუტად მაცქერალნი, ავადმყოფურად — დაყინებითა და გამოცოცხლებულნი, ალერსიანნი და ცელქნი. და ღიმილი თითქოსდა სალმის ნიშნად, უეცარი, მეგობრული ან ღიმილი მას შემდეგ, ყურადღებით რომ გაკვირდებოდა, ჩემი ღიმილისავე და დაყვავების პასუხად — შეგულიანება.

შემთხვევითობა რომ მეგონა, მრავალგზის განმეორება. ვიწერ, აღვნიშნავ, ვინ ნდობით მიმზერს, ვინ უნდობლად, ვინ წყნარია და ვინ ჭირვეული, ვინ მხიარული, ვინ პირქუში, ვინ ნაღვლიანი, ვინ შიშნეული, ვინ გულდაუჯერებელი და ვინ მტრულად მომზირალი.

ყოველთვის გულმხიარული: ჭ ა მ ა მ დ ე ც ღიმება და მ ე რ ე ც, შეაღვიძებ — ჯერ კიდევ ძილმორეული თვალს გაახელს, გაგიღიმებს და ისევ დაიძინებს. სულ ყოველთვის პირდაღრეჯილი: შფოთიანად გიცქერის, სადაცაა ატირდება, სამი კვირისაა და მხოლოდ ერთხელ დაეტყო სახეზე ღიმილის მაგვარი.

ყელში ჩავხედე. წინააღმდეგობა მგზნებარე, მტკიცე. ანდა მოუთმენლად თავს გააქნევს, შეწუხებული შეიჭმუხნება და მერე კეთილგანწყობილი ღიმილი. ანდა ეჭვით მოცული თვალს არ აცილებს სხვისი ხელის მოძრაობას და მანამ გამძვინვარდება, სანამ ტკივილს შეიგრძნობდეს...

ყვავილის მასობრივი აცრა: საათში ორმოცდაათი ბავშვი. ეს უკვე ექსპერიმენტია. და კვლავ — ერთნი იმ წუთასვე და ენერგიულად რეაგირებენ, სხვანი — თანდათან და სუსტად, ხოლო მესამენი — არც არანაირად. ერთი ჩვილი გაკვირვებულია მხოლოდ, მეორე შეშფოთებულია, მესამე განგაშს ატეხს; ერთი სულ მალე მშვიდდება, მეორეს დიდხანს ახსოვს, არ გაპატიებს.

ვილაც იტყვის, ასაკიაო ასეთი. დიახ, მაგრამ სულ მთლად არა. ორიენტაციის სისწრაფე, განცდილის მეხსიერება. ო, ჩვენ ვიცით, ზოგი უკვე მწარე გამოცდილებისაა ქირურგთან ურთიერთობისას; ვიცით, არიან ბალღები, რომლებსაც რძის დალევა არ უნდათ, რადგან თურმე ქაფურშერეული თეთრი ემულსია შეასვეს.

და განა მოწიფულის ფსიქიკური სახე იქმნება რაღაც სხვა რამისგან?

27. ერთი ჩვილი:

დაიბადა, უკვე შეგუებულია ცივ ჰაერს, უხეშ სახვევს, უსიამოვნო ხმაურს, ჯაფა ადგას წოვის დროს. წოვს ბეჯითად, მოზომილად, და გაბედულად. უკვე ილიმება, აღუო, იძახის, ხელს ფლობს. იზრდება, სრულყოფილი ხდება, დაცოცავს, დადის, ღუღუნებს, ლაპარაკობს, ცოდის და როგორ მოხდა?

ბიბლიოთეკა

მეორე ჩვილი:

წოვის სწავლას ერთი კვირა დასჭირდა. შფოთსავსე ღამეები. კიდევ ერთი კვირა უდავიდარაბოდ, ერთი დღის ჯოჯოხეთი. განვითარება მდორე, ერთი ამბავი კბილების გამოჭრის ხანს. ერთი სიტყვით, ასეც იყო და ისეც. ახლა ყველაფერი კარგადაა: წყნარი, საყვარელი, სასაცილოა.

შეიძლება, დაბადებიდანვე მთლად ფლეგმატიკოსია და კარგად ვერ მივხვდით, ძუძუ მთლად კარგი არა აქვს. განვითარება ნორმალური.

მესამე ჩვილი:

ფიცხელი, მხიარული, ადვილად წამოიგზნება ხოლმე, განიცდის უსიამოვნო შეგრძნებებს, რომელთა დასაწყისი იმავე ორგანიზმშია მოსაძიებელი ან იმის ორგანიზმის გარეთ, სასოწარკვეთილი იბრძვის, თავდაუზოგავად მოძრაობს, ცვლილებები უეცარი, დღევანდელი დღე არ ჰგავს გუშინდელს. შეითვისებს და უსათუოდ დაივიწყებს. ნახტომისებური განვითარება, მკვეთრი აღმასვლებითა და დაღმასვლებით. მოულოდნელ სასიამოვნო რასმეს შეამჩნევთ, ზოგჯერ უსაფუძლოდ საგანგაშოსაც. ძნელი მისახვედრია.

დაბოლოს, სულ ადვილად წამოინთება, მიზეზიანობა, ძალა, თუმცა ჭირვეული; შეიძლება, საგანძურია სწორედ...

მეოთხე ჩვილი:

თუ მზიან და წვიმიან დღეებს დაითვლით, პირველი ცოტაა. ძირითადი იმისი ტონი უკმაყოფილებაა. ტკივილი არა აქვს, უსიამოვნო შეგრძნებებს განიცდის; არ ბუზღუნებს, თუმცა სახემოღრუბლულია. კი იქნებოდა კარგი, თუმცა... ვინ იცის.

ზოგიერთი დაავადება ემართება ადვილად და ხშირად, მოვლა როგორ უნდა, ვერ მივხვდები...

ოთახის ტემპერატურა. ზედმეტი ასი გრამი რძე, წყალი დასალევად ასი გრამით ნაკლები — სულ ყველაფერ ამას არა მარტო ჰიგიენური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ჩვილს, რომელსაც უნდა სუყველაფერი შეისწავლოს, ჩახვდეს, გაიგოს, შეითვისოს, შეიყვაროს და შეიზიზღოს, დაცვა სჭირდება, იმისთვის ბრძოლაა საჭირო, — კარგი გუნება-განწყობილებისა უნდა იყოს, მიუხედავად თანდაყოლილი ტემპერამენტისა და მახვილი ან მდორე ჭკუის.

თავსმოხვეული ნეოლოგიზმის მაგივრად: „osesek", მე მომყავს ძველი გამოთქმა: „niemowie", ბერძნები ამბობდნენ: „ნეპიოსი", რომაელები: „infans". პოლონური ენის ასეთი სურვილი რომ ყოფილიყო, რაღატომ უნდა გვეთარგმნა გერმანული უშნო „Säugling"? ძველსა და ენიშვნელოვან სიტყვებს არც შეიძლება აგდებულად მოექცე.

28. მხედველობა. სინათლე და წყვდიადი, ღამე და დღე. სიზმარში ბევრი არაფერი ხდება, ცხადში უფრო მეტი; კარგი რამეცაა (ძუძუ) და

ცუდიც (ტკივილი). ახალდაბადებული ნათურას შესცქერის და ვერც შესცქერის: თვალის კაკლები თანხვდება ზოგჯერ, ზოგჯერ ვერ თანხვდება. მოგვიანებით თვალს რომ გააყოლებს ნელა მოძრავ საგანს, ყოველ წამს ხედავს კიდევაც და მხედველობიდანაც კარგავს.

ჩრდილის ხაზები, პირველი აღქმა მათი და ყოველივე პერსპექტივას მოკლებული. დედამისი ერთი მეტრითაა დაცილებული. უკვე სხვა ჩრდილია, ვიდრე ის, სულ ახლოდან იმისკენ დახრილი. სახე დედისა იმის გვერდით — თითქოს ნამგალა მთვარე, და ნიკაპი და ტუჩები ჩანს მისი, თუკი ქვემოდან ამოჰყურებს იმისავე მუხლებზე მწოლი; იგივე სახე — თვალებითურთ და კიდევ სხვანაირად — თმიანი, როდესაც უფრო დაიხრება. და ყნოსვა და სმენა ამცნობს, ერთი და იგივეა ეს სუყველაფერი.

ძუძუ — ღრუბელი სხივმომფინარე, გემო, სუნი, სითბო, სიკეთე. ჩვილი ძუძუს თავს ანებებს და უყურებს, ნეტავი რა უნდა იყოს ეს საოცარი რამ, ძუძუს თავს რომ წამოდგომია და საიდანაც მოდის ხმები და ფშვინვა თბილი სუნთქვისა. ჩვილმა არ იცის, ძუძუ, სახე, ხელები ერთი მთელია — დედაა მისი.

ვიღაც უცხო ხელს გამოუწვდის. ნაცნობი მოძრაობით, ნაცნობი სურათით მოტყუებული ბავშვი ამ ხელებს მიენდობა. და სწორედ ახლა შეამჩნევს თავის შეცდომას. ამჯერად ხელებმა უნდა დააცილოს ნაცნობ ჩრდილს, რაღაც უცხოს უნდა მიუახლოვოს, შიშის მომგვრელს. მკვეთრი მოძრაობით ჩვილი დედისკენ მიტრიალდება და უკვე საფრთხე აღარ ემუქრება, უყურებს და უკვირს, ამ საშიშროების მოსარიდებლად დედას მიეკვრება.

დაბოლოს, სახე დედისა ჩრდილი აღარ არის, კარგადაა შესწავლილი ხელებით, ჩვილი მრავალგზის შეხებია დედის ცხვირს, თმას, მის საკვირველ თვალს, რომელიც ხან ბრწყინავს, ხან რძისფრად შეიფერება და ქუთუთო გადაეკვრება. ჩვენთაგან ვის არ უნახავს, როგორ ჩამოუწევს ტუჩს, მოუთვალიერებს კბილებს, ჩახედავს პირში, გაფაციცებული, მკაცრი, საქმიანი! ხელს ეს უშლის მხოლოდ, უთავბოლო ლაქლაქი, კოცნა და ღლაბუცი, ის, რასაც ვეძახით, ბავშვის „გართობას", ჩვენთვისაა ეს გასართობი. ის კი სწავლობს. შესწავლის პროცესი დაიწყო და უკვე აქვს თავისთვის ცხადი ჭეშმარიტებანი, ვარაუდები და კითხვები.

29. სმენა. ყველანაირი შორეული ხმა — ქუჩის, სარკმლის მიღმიდან, საათის წიკწიკი, საუბრები და კაკუნი და, აგრეთვე, უშუალოდ იმისკენ მიმართული ჩურჩული და სიტყვები, სუყველაფერი ეს არის მისი გამღიზიანებელი ქაოსი, რომლის კლასიფიცირება უნდა მოახდინოს და ჩახვდეს.

თავად ბავშვის ხმებიც უნდა გვახსოვდეს, ყვირილი, აღუო, ფშვინვა. ბევრი დრო გავა, სანამ მიხვდებოდეს, რომ ამის მიზეზი თავადაა და არა სხვა ვინმე, ვისაც ვერ ხედავს, აღუო, აღუო, იძახის, ყვირის; როცა წოვს და თავისას არ იშლის, „აღღუ, აღღუ, აღღუ", ის ისმენს და იკვლევს იმ შეგრძნებებს, რომელსაც განიცდის, ტუჩების, ენის, ხორხის მოძრაობით. ისე რომ, თავს არ იცნობს, ბუნდად ესმის თავისდა უნებური შემოქმედის ნაყოფი ხმები.

საკუთარ, იმის ენაზე რომ გავესაუბრები ჩვილს: „აღუ, აღუ, აღ-ღუ“, გაკვირვებით მიცქერის მე, იდუმალ არსებას, ვისგან ესმის ასე კარგად ნაცნობი ხმები.

კარგად რომ ჩავფიქრებულიყავით და მიმხვდარიყავით ჩვილის ცნობიერების არსს, ჩვენ უფრო ბევრს მივაკვლევდით, ვიდრე გვეგონა თავდაპირველად, მაგრამ არა ისე და ისეთი სახით, როგორც ეს წარმოდგენილი გვქონდა, „ჩემს პატარას შია, უნდა მოყაპოს, რძე უნდა, რძე“. ჩვილს კარგად ესმის, ელოდება, ვინც აჭმევს, ლიფს აიწევს, ნიკაპქვეშ ნაჭერს ამოუდებს; და ბრაზდება, თუ უგვიანებენ მორთმევას. და მაინც ამ სიტყვებს დედა თავს ეუბნება და არა ბავშვს, ვინც უფრო კარგად დაიმახსოვრებდა იმ ხმებს, რომლითაც დიასახლისი შინაურ ფრინველებს უხმობს“ „ჭუ, ჭუ, ჭუ“, ან „ვიტ, ვიტ“.

ჩვილის ფიქრი სასიამოვნო შეგრძნებათა მოლოდინია და შიში აქვს უსიამოვნო შეგრძნებათა. ის, რომ მისი ფიქრი არა მარტო ხილვადია, არამედ ბგერითი სახეებიცაა, შეიძლება გავიგოთ იმისი ყვირილის მიხედვით; ყვირილი გვაუწყებს უბედურებას ან ყვირილს, ავტომატურად მოჰყავს უკმაყოფილების გამომხატველი აპარატი. ყურადღებით დააკვირდით ჩვილს, როდესაც ის ისმენს ტირილს.

30. ჩვილი მტკიცედ მიელტვის გარესამყაროს დაუფლებას: სურს სძლიოს გარემოს ბოროტ ძალებს და თავის მწედ და მშველელად მოუხმობს კეთილ სულებს. ორი სასწაულმოქმედი რამა აქვს მომარჯვებული ჯერ, ვიდრე ნების მესამე სასწაულმოქმედ იარაღს დაეუფლებოდეს: თავის ხელებს. ეს ორი სასწაულმოქმედი ძალაა — ყვირილი და წოვა.

თუ თავდაპირველად ჩვილი იმიტომ ყვირის, რომ რაღაც აწუხებს, მერე ისწავლის ყვირილს იმის მაცნედ, წინაღუდგეს მოსალოდნელ შფოთიანობას. მარტოდ დატოვებ, ტირის, ხედავს, უნდა მაჭამონ, ემზადებიანო, ჩერდება, აღარ ტირის.

ჩვილი მოქმედებს იმისდა კვალად, რაც იცის (ცოტა რაღაცები) და რა საშუალებებიც აქვს (ესეც ბევრი არ მოეპოვება). შეცდომებს უშვებს, ცალკეულ მოვლენებს განაზოგადებს და ფაქტების თანამიმდევრულობას ერთმანეთს უკავშირებს ვითარცა მიზეზსა და შედეგს (*post hoc, propter hoc**). იქნებ ესაა წყარო ინტერესისა და სიმპატიის, სიხარულის უნარი რომ მოანიჭა ქოშებმა, ხომ სწორედ ამათ უნდა უმადლოდეს? პაწაწინა პალტოც ხომ ჯადოსნური ხალიჩაა, სასწაულების ქვეყანაში რომ გადაჰყავს — სასეირნოდ.

უფლება მაქვს ასეთი ვარაუდების გამოთქმისა. თუკი ლიტერატურისმცოდნის ფიქრის საგანია, „ჰამლეტს“ რომ ქმნიდა, შექსპირს რისი თქმა უნდოდაო, პედაგოგსაც შეუძლია ვარაუდების გამოთქმა, თუნდაც რისი თქმა უნდოდაო, პედაგოგსაც შეუძლია ვარაუდების გამოთქმა, თუნდაც მცდარის, რადგანაც სხვა რომ არ მოეპოვება, მაინც პრაქტიკული შედეგების მომტანია.

ასე რომ:

ოთახში ცხელა. ჩვილს ტუჩები გამომშრალი აქვს, ძლივს გადმოედინება სქელი ნერწყვი, ბავშვი ჭირვეულობს. რძე — [illegible]აკვებია,

* ამის შემდგომ, ესე იგი, ამიტომ (ლათ.).

მას კი წყალი სწყურია, ესე იგი, წყალი უნდა მივცეთ. მაგრამ „არ უნდა დალევა". თავს ატრიალებს და ხელიდან კოვზს გვაგდებინებს. არა, წყალი უნდა, ოღონდ როგორ უნდა შესვას, არ იცის. სასურველი სითხის ტუჩებზე შემგრძნობელი, თავს იქნევს, საწოვარას დაეძებს. თავს მარცხენა ხელით ვუკავებ და ზედა ტუჩზე კოვზს მივაბჯენ. არ სვამს, წყალს წოვს, წოვს ხარბად — ხუთი კოვზი დალია და წყნარად დაიძინა. თუკი ერთგზის, ორგზის კოვზით სითხეს მოუხერხებლად მივცემთ, გადასცდება, უსიამოვნო გრძნობა დაეუფლება და მერე სულაც აღარ მოისურვებს კოვზით წყლის დალევას.

მეორე მაგალითი:

სულ მუდამ ჭირვეული, უკმაყოფილო ჩვილი მშვიდდება ძუძუს ჭმევისას, გახვევისას, ბანაობისას, მდგომარეობის შეცვლისას. ჩვილს გამონაყარი აწუხებს, მეუბნებიან, არ აქვსო გამონაყარი; არ აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ექნება. ორი თვის შემდეგ გამონაყარს მაინც შეამჩნევთ.

მესამე მაგალითი:

ჩვილი მუშტებს წოვს, როდესაც რაღაც აწუხებს, ყოველ უსიამოვნებათა შემგრძნობელი, ესე იგი, მოუთმენელი მოლოდინი შფოთიანობის შემსუბუქებისა კეთილსაიმედო, მისთვის კარგად ცნობილი აქტით, წოვით. მუშტებს წოვს, როდესაც შია, სწყურია, როდესაც ბევრი აჭამეს და პირში ცუდი გემო აქვს, როდესაც რაღაც სტკივა, როდესაც გადახურებულია, ღრძილები ექავება ან კანი. რატომაა ასე: ექიმი ვარაუდობს, კბილები, ბავშვს ცხადლივ აწუხებს უსიამოვნო შეგრძნებანი ყბებსა და ღრძილებში, მაგრამ კბილი რამდენიმე კვირა არა და არ გამოჩენილა! იქნებ გამოსაჭრელი კბილია გამღიზიანებელი თავად ძვლის ნერვული ქსოვილისა? უნდა დავსძინო, სანამ რქები გამოუვიდოდეს, ასე აწვალებს ბოჩოლას.

გამოსავალი ეს არის: წოვის ინსტინქტი, წოვა შვების მოსაპოვებლად, რათა არ გაიტანჯოს, წოვა ვითარცა სიამოვნება ან ჩვევა.

31. ვიმეორებ: ჩვილის ფსიქიკური ტონი და შინაარსია ლტოლვა დასაუფლებლად უცნობი სტიქიონის, მისი გარემომცველი სამყაროს იდუმალების, სიკეთისა და ბოროტების თავიდათავის. დაუფლება რომ სურს, ჩვილი შეცნობას მიელტვის.

ვიმეორებ: კარგი განწყობილება ხელს უწყობს ობიექტურ შესწავლას, ხოლო უსიამოვნო შეგრძნებანი, რომლის მიზეზი არის იმის ორგანიზმში, ესე იგი, უპირველეს ყოვლისა, ტკივილი აბუნდოვანებს მის სუსტ ცნობიერებას. ამაში დასარწმუნებლად თვალყური უნდა ვადევნოთ ჩვილს მაშინაც, როდესაც ჯანმრთელია, წუხს ან ავადაა.

ტკივილის შემგრძნობელი ჩვილი არა მარტო ყვირის, თავადაც ესმის ეს ყვირილი, ყელშივე გრძნობს ამ ტკივილს, ხედავს იმას ნახევრად მოხუჭულ ქუთუთოებში განფენილ სახეებად. სუყველაფერი ეს — ძალუმი, მტრული, შემზარავი, გაუგებარია. ბავშვს კარგად უნდა ახსოვდეს ეს წუთები და ეშინოდეს მათი; და ჯერ კიდევ საკუთარი თავი რომ არ იცის, თავისდა უნებურად, უკავშირებს იმის წინაშე წარმოქმნილ სურათებს. სწორედ ეს უნდა იყოს, როგორც ჩანს, თავიდათავი

შვილის ბუნდი სიმპათიებისა, ანტიპათიებისა, შიშიანობისა და უცნაური მიხრა-მოხრისა.

წარმოუდგენლად ძნელია ჩვილის ინტელექტის განვითარების შესწავლა, რადგანაც ის მრავალგზის ითვისებს და ივიწყებს კიდევაც: წინსვლაცაა ეს და უკუსვლაც, შეიძლება სწორედ განწყობილების ცვალებადობა თამაშობს აქ მნიშვნელოვან, იქნებ, მთავარ როლსაც.

ჩვილი თავის ხელებს შეისწავლის. გამართავს, გაატარ-გამოატარებს მარჯვნივ ან მარცხნივ, იახლოვებს, იცილებს, თითებს გაშლის, მუშტად შეკრავს, რაღაცას მეტყველებს და პასუხსაც მოელის, მარჯვენა ხელით მარცხენას დაეტაკება, მოქაჩავს, ეღარუნას აილებს და უყურებს ხელის ასეთ უცნაურ ცვლილებას, ეღარუნა ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს, პირში იტაკებს, მაშინვე გამოიღებს და ისევ მოათვალიერებს, აუჩქარებლად, ყურადღებით. მოისვრის ეღარუნას, სამოსლის ღილს ეცემა და, რომ ვერ მოაცლის, ამისი მიზეზის შესწავლას დაიწყებს. ჩვილი არ თამაშობს, ღმერთმანი, თვალზე ლიბრი ნუ გაქვთ გადაკრული და შეამჩნევთ, ნებისყოფას უნდა მოუხმოს, რათა ჩახვდეს! მეცნიერია ლაბორატორიაში, ცდილობს უდიდესი პრობლემის გადაჭრას, რომელიც უსხლტება მას.

ჩვილი ყვირილით გამოხატავს თავის ნებას. მერე სახის მიხრა-მოხრით, ხელების მოძრაობით, დაბოლოს სიტყვით.

32. განთიადი, ვთქვათ, დილის ხუთი საათია.

გამოიღვიძა, იღიმება, ტიტინებს, ხელებს ამოძრავებს, ჯდება, ფეხებზე დგება. დედას კიდევ უნდა ძილი.

კონფლიქტი ორი ნდომის, ორი მოთხოვნილების, ერთმანეთთან შეჯახებული ორი ეგოიზმისა; ერთი და იმავე პროცესის მესამე მომენტი: დედა იტანჯება, ბავშვი კი სიცოცხლისთვის იბადება; დედას დასვენება უნდა მშობიარობის მერე, ბავშვს კი შია; დედას ძილი უნდა, ბავშვს კი — ღვიძილი. და გაუთავებელი რიგი ასეთი კონფლიკტებისა. წვრილმანი არ გეგონოთ, პრობლემაა; სიქველე გამოიჩინე შენი გრძნობების მიმართ და ბავშვს დაგირავებულ ძიძას ნუ მისცემ, პირდაპირ უთხარი თავს, „არ მინდა", თუნდაც რომ ექიმმა თქვას, არ გინდაო, რადგან ის ამას წარმოთქვამს მეორე სართულზე, სადაც სარკმელი ქუჩაში გადის და არასოდეს — სხვენში.

ასეც ხდება: დედა ბავშვს თავის ძილს აძლევს, მაგრამ საფასურს მოითხოვს ამისთვის, ესე იგი, კოცნის, ეფერება, გულში იკრავს თბილ, ვარდისფერ აბრეშუმისებრ პაწაწინა სხეულს. ფხიზლად იყავი: საეჭვო აქტია ეს ეგზალტირებული გრძნობიერების, დედის სხეულში ჩამალული არა გულიდან მომდინარე სიყვარულია. იცოდე, ბავშვი სიამოვნებით მოგეკვრება, ასეული კოცნა-კოცნით წამოწითლებული, სიხარულით თვალებგაბრწყინებული, ესე იგი, შენმა ეროტიკულობამ გამოძახილი ჰპოვა.

მაშინ, უარი კოცნაზე? მე ამას ვერ მოვითხოვ, რადგანაც ძვირფასი ალმზრდელობითი ფაქტორია საღად დოზირებული კოცნა; ტკივილის გამაყუჩებელია კოცნა, მკვეთრი შენიშვნების შემამსუბუქებელია, დამაჯილდოებელია ძალისხმევისა, სიმბოლოა სიყვარულის.

თუმცა თუკი შენთვის უდავოა ეს უცნაური სურვილი გულში ჩაიკრა, ხელი გადაუსვა, სუნი მოგდიოდეს მისი, სულითა და გულით შეიგრძნო ბალღი, გააკეთე როგორც გინდა. არც არაფერს გიკრძალავ. არც არაფერს გაიძულებ.

33. ჩვილს ვუყურებ, როგორ ხსნის და კეტავს ვოლოფს, დებს და იღებს იქიდან კენჭს, აქნევს და ყურს უგდებს; როგორ მოათრევს ერთი წლის ბავშვი სკამს, სიმძიმისგან, ტორტმანით მოდის; ორი წლის ბავშვი, როგორ გაიგონებს ძროხის ღმუილს „მუუ-უ“ და თავის მხრით უმატებს ა�ა-მუ-უ, ხოლო „აუა“ — ძაღლს ასე ეძახის, ე. ი. არქილოგიკურ შეცდომებს უშვებს, აუცილებელია ამის ჩაწერა და გამოცხადება.

შედარებით მოზრდილი ბავშვები როგორ აგროვებენ ათასნაირ ხარახურას, ლურსმნებს, თოკებს, ჩვრებს, შუშებს, რომლებიც ასეულობით ჩანაფიქრის განსახორციელებლად „გამოადგებაო“; როგორ ეჯიბრებიან ბავშვები ერთმანეთს, ვინ უფრო შორს „ისკუპებს“; როგორ ჯახირობენ, წრიალებენ, თამაშს იწყებენ; კითხულობენ: „ხეზე რომ ვფიქრობ, თავში პატარა ხე მაქვს, თუ რა არის“; მათხოვარს ორიოდე გროშს კი არ მისცემენ, იმას, რაც მოეპოვებათ, ოცდაექვს გროშს, ის, ქუჩაში მჯდომარე ხომ ასეთი მოხუცია და საწყალი და სულ მალე მოკვდება...

მოზარდი ხელისგულზე დაიფურთხებს და თმაზე გადაისვამს, რადგანაც მისი დის დაქალი უნდა მოვიდეს; როგორ მწერს გოგონა თავის წერილში, „საზიზღარი ქვეყანა, ადამიანები მხეცები არიან“, და სიტყვას არ დაძრავს, როდესაც გულამაყი ბიჭი იმის თვალწინ ბუნტს ატეხავს, გამოწვევა, არც არაფრის მთქმელი...

ო, მე ვკოცნი ამ ბალღებს მზერით, ფიქრით და ვეკითხები: თქვენ, გასაოცარი იდუმალების მატარებლებო, რა დაგაქვთ? გკოცნით ნებისყოფის დაძაბვით: რით შემიძლია დაგეხმაროთ? მე ისე ვკოცნი იმათ, როგორც ასტრონომი ჰკოცნის ვარსკვლავს, რომელიც იყო, არის და იქნება. ხსენებული კოცნა ახლოს უნდა იყოს აღფრთოვანებასა და მუხლმოდრეკილ ლოცვასთან. მაგრამ იმის მოჯადოებას ვერ ჩახვდება, ვისაც თავისუფლების ძიებასა და გაწამაწიაში ღმერთი დაუკარგავს.

34. ბავშვი ჯერ ვერ ლაპარაკობს. როდის დაიწყებს? მართალია, ლაპარაკი ბავშვის განვითარების მაუწყებელია, მაგრამ არც ერთადერთია და არც მთავარი. პირველი სიტყვის მოუთმენელი მოლოდინი — შეცდომაა, მშობლების აღმზრდელობითი უმწიფარობის მაჩვენებელი.

თუკი ახალდაბადებული თავის პაწაწინა აბაზანაში შეკრთება და წონასწორობადაკარგული ხელების ქნევას მოჰყვება, თითქოსდა ამის მთქმელი: „მეშინია“, მეტად საყურადღებოა შიშიანობის ეს რეფლექსი იმ არსებისა, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს, რა არის საშიშროება. ძუძუს აძლევ, არ უნდა, თითქოსდა ასე ამბობს: „არ მინდა“. სასურველი საგნისკენ ხელს გაიწვდის: „მომეცი“. სახემტირალი და თავდაცვის მიხრა-მოხრით გვამცნობს: „ვერ გენდობი“; ხანდახან დედა კითხულობს: „შეიძლება ვენდოთ მას?“

რა უნდა იყოს ჩვილის გამომცდელი გამოხედვა თუ არა ეს შეკითხვა: „ეს რა არის?“ რაღაცას უნდა მისწვდეს, ძლივს მოახერხებს და

ლრმად ამოიოხრებს, შვებით გვამცნობს: „როგორც იქნა". სცადე გამოართვა, მოძრაობის მრავალნაირი ნიუანსით ამას გეტყვის: „არ მოგცემ". თავს წამოწევს, წამოჯდება: „ვმოქმედებ". პირსა და თვალზე მორეული ღიმილი სწორედ ეს არის: „ხომ კარგი რამაა სიცოცხლე?"

მიხრა-მოხრის ენით ლაპარაკობს, აზროვნებს მსჯელობითი სახეების ენათა და გრძნობების მეხსიერებით.

დედა მოსასხამს წამოაცმევს, ბავშვს უხარია, მთელი ტანით კარისკენ მიტრიალდება, მოუთმენლობას ამჟღავნებს, ჩქარობს. სეირნობის სურათებით ფიქრობს და იმდროინდელი სასიამოვნო განცდების მოგონებებით. ჩვილი მეგობრულადაა განწყობილი ექიმის მიმართ, მაგრამ როგორც კი ხელში კოვზს დაუნახავს, იმ წუთასვე მტერს შეიცნობს.

ჩვილს სიტყვების კი არა, მიხრა-მოხრისა და ინტონაციების ენა ესმის.

— კიჭები სად გაქვს?

ამ სამი სიტყვიდან არც ერთი არ ესმის, მაგრამ ხმითა და ტუჩების მოძრაობის მეშვეობით იცის, რა პასუხსაც მოელიან.

ჯერ კიდევ ლაპარაკი არ უსწავლია და კარგა რთული საუბრის გამართვა შეუძლია.

— ხელს ნუ ახლებ, — ეუბნება დედა.

მიუხედავად ამისა ხელს გამოიწვდის და აკრძალულ საგანს მისწვდება, საყვარლად თავს დახრის, აკვირდება, დედა უფრო მკაცრად მოსთხოვს, ნუ აიღებო ან, მისი ღიმილით მოხიბლული, დაუთმობს, დანებებს.

ჯერ კიდევ ერთი სიტყვაც ვერ წარმოუთქვამს და ბავშვი უკვე ტყუის, ცხადლივ ტყუის. ვილაც არასასურველი პიროვნებისგან განთავისუფლების მსურველი, პიროვნით ნიშანს იძლევა მძვინვარედ და ცნობილ ქოთანზე მჯდომარე დამცინავად და ზარ-ზეიმით უმზერს გარშემომყოფთ.

მიდი და სცადე და გაეხუმრე, გაუწოდე და იმ წუთსავე გამოაცალე სასურველი საგანი, ბავშვი ყოველთვის არ გაბრაზდება, ხანდახან მხოლოდ ნაწყენი დარჩება.

ბავშვს უსიტყვებოდაც შეუძლია დესპოტი იყოს, პატარა ტირანი არ დაგინდობთ.

35. ძალიან ხშირად, როდესაც ექიმი კითხულობს, სწორად მითხარით, როდის დაიწყო ბავშვმა სიარული, დედა აიმღვრევა და მორიღებულად პასუხობს:

— ადრე, გვიან, ნორმალურად.

დედის აზრით, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის თარიღი ზუსტად უნდა იყოს მითითებული და ყოველგვარი მერყეობა ამ მხრით სწორედაც მოსაყივნებელია; ამის შესახებ იმიტომ მინდა შეგახსენოთ, თუ როგორ არაპოპულარულია მოსახლეობაში ის აზრი, რომ თუნდაც ზუსტი მეცნიერული დაკვირვება დაახლოებითლა გვიჩვენებს ბავშვის განვითარების სურათს და როგორ ხშირად შეუგნებლად ცდილობენ თავისი უცოდინლობის დამალვას

როგორ გავარჩიოთ, როდესაც ჩვილი „დდ, დდ, დდე-ს" მაგივრად

პირველად იტყვის „დედა“, ხოლო „ბბ, ბბე“-ს მაგივრად — „ბებო?“ როგორ უნდა განვსაზღვროთ, რომ სიტყვა „დედა“ უკვე ბებერდროდაა დაკავშირებული იმის ცნობიერებაში სწორედ დედის სახესთან და არა სხვა რამესთან?

ბავშვი დახტუნავს დედის მუხლებზე, დგას იმის დასმარებით ან დაუხმარებლად, საწოლის ბადურაზე დაყრდნობილი, ცოტა ხანს დგას სხვის დაუხმარებლად; რამდენიმე ნაბიჯი იატაკზე გადადგა, ხოლო ჰაერში შევრი; ფართხალებს, დაცოცავს, ოთხზე დადის, თავის წინ სკამს დაეჯახება; მეოთხედი წონასწორობის დაუკარგავად; მეოთხედი სიარულისა, სანახევროდ სიარული, სამი მეოთხედი სიარულისა, ვიდრე საბოლოოდ არ დაიწყებს სიარულს. მერე და რა, გუშინაც, მთელი ერთი კვირაც დადიოდა და მაინც არ იცის. ცოტათი დაიღალა, ხალისი დაკარგა. დაეცა, შეშინდა, შიში დასჩემდა, ორკვირიანი პაუზა...

დედის მხარზეა ქანცმილეული თავით დაყრდნობილი — სულაც არ არის ეს ამბავი მძიმე ავადობის მაუწყებელი, სულ ყოველთვის ასე ხდება ყოველი უხასიათობის ხანს.

ბავშვი ყოველი თავისი მოძრაობით მოგვაგონებს პიანისტს, ვისაც კარგი გუნება-განწყობილება და სულიერი სიწყნარე უნდა, რათა წარმატებით შეასრულოს რთული მუსიკალური ნაწარმოები; თუნდაც გამონაკლისები ამ წესიდან ერთმანეთის მსგავსია. ხანდახან არის ხოლმე, დედა გვიამბობს, „შეუძლოდ იყო, მაგრამ არა დაეტყო რა, კიდევ უფრო მეტადაც, დადიოდა, თამაშობდა, ლაპარაკობდა; მერე კი თავის დადანაშაულება: „მეგონა, მომეჩვენა-მეთქი, რომ კარგად ვერ იყო და სასეირნოდ გავიყვანე“; თავის გამართლება: „ისეთი კარგი ამინდი იყო“, და შეკითხვა: „აწყენდა ნეტავი?“

36. როდის უნდა დაიწყოს ბავშვმა სიარული და ლაპარაკი? მაშინ, როდესაც დადის და ლაპარაკობს. როდის უნდა გამოეჭრას კბილები? სწორედ მაშინ, როცა გამოეჭრება. თხემიც მაშინ უნდა გაუმაგრდეს, როდესაც გაუმაგრდება. ძილიც იმდენი უნდა ჩვილს, რამდენსაც გამოიძინებს.

საერთოდ კი ვიცით, როდესაც ხდება. ყოველ პოპულარულ წიგნშია მოყვანილი ეს ცნობილი ჭეშმარიტებანი საერთოდ ბავშვებისთვის და სიცრუე აღმოჩნდეს მხოლოდ ერთისთვის, შენი ბავშვისთვის.

რადგანაც არიან ჩვილები, რომლებსაც მეტი ძილი უნდათ და რომლებსაც ცოტა; ზოგს ადრე ამოსდის კბილი და უკვე შემპალი აქვს, ზოგს გვიან ამოსდის. ჯანმრთელ ბავშვებს ჯანმრთელი კბილები; ჯანმრთელ ბავშვებს შეიძლება თხემი მეცხრე თვეზეც გაუმაგრდეს და მეთოთხმეტეზეც. სულელიკოები ზოგჯერ ადრე იწყებენ ტიტინს, ხოლო გონიერნი დიდხანს ვერ ლაპარაკობენ.

თეატრში ლოჟების, რიგების ნომრები, ბინის ქირის გადახდის თარიღები — ყოველივე ეს ადამიანმა გამოიგონა და შეიძლება დაცულ იქნას; მაგრამ ვიდრე საპოლიციო მითითებისდა კვალად აღზრდილი ჭკუა-გონება მოინდომებს, მოიცვას ბუნების ცოცხალი წიგნი, მისი ხვედრი იქნება შფოთიანობა, იმედის გაცრუება და თავზარი.

შემიძლია ჩემს დამსახურებად მივითვალო, რომ იმ ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს მე ვუპასუხე არა ციფრებით, ამას მე „პატარა სიმართლეებს“ ვეძახი. მთავარი ის კი არ არის, პირველად ქვედა ბრლები გაბოეჭრება თუ ზედა, ნაიარევი ექნება თუ ეშვები — ყოველს შეუძლია ამის შემჩნევა, ვისაც თვალი აქვს და კალენდარი — არამედ თავიდათავია, რა არის ცოცხალი ორგანიზმი და რა უნდა მას. ეს სწორედ ეს არის დიდი ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ მკვლევრისთვისაა ხელმისაწვდომი.

თუნდაც პატიოსან ექიმებს უნდა ჰქონდეთ მოქცევის ორი ნორმა: შეგნებული მშობლებისთვის ის უნდა იყოს ბუნებისმეტყველი, ეჭვებს გამოთქვამენ, ვარაუდობენ, შეეჭიდებიან ძნელ პრობლემებს და უნდათ დასვან საინტერესო კითხვები; შეუგნებლისთვის უნდა იყვნენ თავდაჯერებული მზრუნველები: ესა და ესა, ნახეთ ამა და ამ წიგნის ამა და ამ გვერდზეო.

„ყოველ ორ საათში ერთხელ ჩაის კოვზით. ერთი კვერცხი, ნახევარი ჭიქა რძე და ორი პატარა ორცხობილა“.

37. ყურადღება! ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ ან სამუდამოდ ჩვენ ჩვენს შეხედულებაზე დავრჩებით! ყოველი ფიქრი, რომელიც ლამობს გასხლტომას და მიმალვას, ყოველი უმეთვალყურეოდ დარჩენილი გრძნობა უნდა მოვაწესრიგოთ. ნებას მოვუხმოთ და რიგში ჩავამწკრივოთ!

მინდა მოვუხმო *Magna Charta Libertatis*.

ბავშვის უფლებების შესახებ. შეიძლება უფრო მეტი იყოს, მაგრამ მე მივაკვლიე სამ ძირითადს.

1. ბავშვის უფლება სიკვდილზე.
2. უფლება დღევანდელ დღეზე.
3. უფლება იყოს ის, რაც არის.

უნდა გვესმოდეს ეს უფლებები, რათა მათი განაწილებისას რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა მოგვივიდეს. შეცდომები შეიძლება იყოს, მაგრამ მათი არ უნდა გვეშინოდეს; თავად ბავშვი გასაოცარი მჭვრეტელობით გამოასწორებს მათ, მხოლოდ როგორმე არ უნდა შევუსუსტოთ ეს ფასდაუდებელი უნარი, მისი მძლავრი დამცავი ლონე.

ჩვენ მეტად მსუყე და შეუფერებელი საკვები მივეცით: ბევრი რძე, ძველი კვერცხი — ბავშვს წამოაღებინა. მივაწოდეთ კარგად ვერმოსანელებელი ცნობები — ვერ მიხვდა, ჭკუამიუტანებელი რჩევა — ვერ გაითავისა, ყური აღარ დაუგდო. დაუფიქრებლად წარმოთქმული არ გეგონოთ, როესდაც ვამბობ: კაცობრიობისთვის ბედნიერებაა, რომ არ ძალგვიძს დავუმორჩილოთ ჩვენი ბავშვების საღი გონება და საღი ადამიანური ნება ჩვენივე პედაგოგიურ ზეგავლენასა და დიდაქტიკურ მიმძლავრებას.

მთლად ნათლად არ მაქვს ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ პირველი, ბავშვის უდავო უფლება — გამოთქვას თავისი მოსაზრებები, აქტიურად ჩაებას იმის გამო განსჯასა და შეფასებაში. როდესაც ჩვენ იმდენად ავმაღლდებით და იმის პატივისცემასა და ნდობას დავიმსახურებთ, მაშინ ის თავად გვეტყვის, თუ რა არის მისი უფლება, გამოცანები და შეცდომები შემცირდება ამისდა კვალად.

38. მხურვალე, ჭკუაგახსნილმა, თავდაოკებულმა სიყვარულმა დედისა და ბავშვისადმი უნდა მისცეს მას აღრეული სიკვდილის უფლება, ცხოვრებისეული ციკლის დასასრულებლად ან უნდა დასჭირდეს მზის სამოცჯერ შემოვლა დედამიწის ირგვლივ, არამედ ერთი ან სამი გაზაფხული. მკაცრი მოთხოვნა იმათთვის, ვისაც არ უნდა დასჭირდეს შრომა და სახსრები მშობიაობისა ორჯერ-სამჯერ უფრო მეტად.

— ღმერთმა მომცა, ღმერთმა წამართვა, — ასე ამბობს ხალხი, და მათ იციან, რა არის ცოცხალი ბუნება, ყოველი მარცვალი თავთავს ვერ გამოისხამს, ყოველი ბარტყი ვერ დაიბადება სიცოცხლემოწყურებული, ყოველი ფესვიდან ვერ ამოვა ხე.

არის მოსაზრება, რაც უფრო მაღალია სიკვდილიანობა პროლეტარიატის შვილებში, მით უფრო ძლიერია თაობა, რომელიც გადარჩება და დავაჟკაცდება. სამაგიეროდ, ჩემი აზრით, სიმართლე ეს უნდა იყოს, დედას შეძლებული ოჯახიდან რაც უფრო მეტად ეშინია, ვაითუ ბავშვი დამეღუპოსო, მით უფრო ნაკლები პირობა აქვს, ფიზიკურად განვითარდეს რამდენადმე და შეიქმნას სულიერად დამოუკიდებელი ადამიანი. სულ ყოველთვის, როცა კი ვხედავ თეთრი საღებავით შეღებილ, დიდებული თეთრი ავეჯით გაწყობილ ოთახში თეთრი სამოსლით, თეთრი სათამაშოებით მოთამაშე ფერმკრთალ ბავშვს, უსიამოვნო გრძნობა მეუფლება; ამ საქირურგო პალატაში და არა საბავშვო ოთახში უნდა აღიზარდოს სისხლნაკლული სული ანემიური სხეულისა.

„ამ თეთრ სალონში ელექტროლამპითურთ ყოველ კუთხეში შეიძლება ეპილეპსია დაგემართოთ", — ამბობს კლოდინა.

შეიძლება გამოწვლილვითი გამოკვლევების მერე თქვან, რომ ნერვებისა და ქსოვილების სინათლით გაჯერება ისევე მავნებელია, როგორც უშუქობა ბნელ სარდაფში.

არის ორი სიტყვა: თავისუფლება და ნება. თავისუფლება, ჩემი აზრით, თავის ფლობის უფლებაა, თავი რომ ეყუდნის. ხოლო სიტყვაში „ნება" ელემენტი ჩანს ნებისა — მოქმედებისა, რომლის თავწყაროა ლტოლვა. ჩვენი საბავშვო ოთახი სიმეტრიულად განლაგებული ავეჯითურთ და ჩვენი ენით ალოკილი საბავშვო ბაღები არ არის ბავშვის პიროვნული თავისუფლების გამოვლინების ადგილი, არც ის სახელოსნო, სადაც მისი შემოქმედებითი ნება სათანადო საქმიანობისთვის ხელსაწყოებს ნახავს.

პატარა ბავშვის ოთახები შეიქმნა სამეანო კლინიკიდან, სადაც ბაქტერიოლოგია კარნახობდა თავის წესებს. ყურადღებით უნდა ყოფნა, დიფტერიის ბაქტერიებისგან დაცვის მიზეზით ბავშვი შეიძლება მოვათავსოთ იმ ატმოსფეროში, სადაც მძლავრობს მოწყენილობისა და უნებისყოფობის შემპალი ჰაერი. თუმცა დღეს აღარ არის საფენების შრომის გამო დახუთული სივრცე, სამაგიეროდ იქ ტრიალებს იოდოფორმის სუნი.

ბევრი ცვლილება მოხდა. თეთრად მოელვარე ავეჯის გარდა, პლაჟებიცაა, ექსკურსიები, სპორტი, დასაწყისია ეს მხოლოდ. ცოტათი უფრო მეტი თავისუფლებაა, ბავშვის სიცოცხლე ისევ ისეთივე ფერებდაცლილია, სულის შემხუთავი.

39. — აბა, აბა, ჩემო ბარტყო, სად გაქვს ვავა?

ბავშვი ძლივს პოულობს მცირეოდნავღა შესამჩნევ ნიშნებს გუშინწინდელი ნაკაწრისას, აჩვენებს იმ ადგილს; უფრო მაგრად რომ დაცემულიყო, ჩალურჯებული ექნებოდა. სრულყოფილების ზეობას მიუღწევია იმ მხრით, რომ სულ ადვილად პოულობს ნაწიბურებს, ლაქებსა და რაღაც-რაღაცეების ნაკვალევს.

თუკი სრულასაკოვანის მიერ წარმოთქმული ეს „ვავა" კიდევ უფრო ცხოვლადაა წარმოჩენილი ტონით, მიხრა-მოხრით, ხელის ნიშნებით, გამომხატველი უილაჯო მორჩილებისა და უსაზღვრო თავგამოდებისა, ბავშვური „ფია", „ფუი", „ცუდო" ზიზღითა და სიძულვილით ხდება გაჯერებული. ერთი განახვათ, როგორ გამოუშვერია ჩვილს მოკოლადით დასვრილი ხელები, ვიდრე დედა აბრეშუმის ხელსახოცით უწმენდს და უსუფთავებს, სახეზე რა ჯავრი და უსუსურობა აქვს გამოსახული; აქ შეიძლება ასეთი კითხვა დაისვას: „იქნებ სჯობდეს, ბავშვი სკამს შუბლით რომ დაეტაკება, სილა გააწნას მას, ხოლო ბანაობისას, საპნით თვალავსებულმა ძიძას შეაფურთხოს, წიხლი ჰკრას?.."

კარი — თითს მოუჭეჭყავს, სარკმელი — თავს გაყოფს, გადავარდება, კურკა — გადასცდება, სკამი — თავზე გადმოიმხობს, დანა — გაიჭრის, ჯოხი — თვალს გამოითხრის, კოლოფი აიღო იატაკიდან — რაღაც გადაედება, ასანთი — ჰაი, ხანძარი, დავიწვებით!

„ხელს მოიტეხავ, მანქანას შეუვარდები, ძაღლი გიკბენს. ქლიავი არ ჭამო, აუდუღარი წყალი არ დალიო, ფეხშიშველი ნუ გაივლი, მზეზე არ გახვიდე, პალტო შეიკარი, კაშნე მოიხვიე, აი, ხედავ, რომ არ დაიჯერე. შეხედე — კოჭლია, შეხედე — ბრმაა. „გვიშველეთ" — სისხლი! მაკრატელი ვინ მისცა?"

ნატკენი — ვაითუ, ჩაულურჯდეს კი არა, შეიძლება ტვინის შერყევა მიიღოსო; წამოაღებია — ბევრი ჭამა დ იმიტომ კი არა, ვაითუ ქუნთრუშა დაემართოსო. ყველგან მახე, ყველან საფრთხე, ავის მაუწყებელი, შემზარავი.

და თუ ბალღი დაიჯერებს და ერთ თეფშ უმწიფარ ქლიავს არ შეჭამს და უფროსების ფხიზელ თვალს რომ დაუსხლტება, სადღაც კუთხეკუნჭულში გულის ბაგაბუგით ასანთს არ აანთებს, თუკი მორჩილად, პასიურად მინდობილი ყოველგვარი ნების გამოვლინებას ჩაახშობს და უკუაგდებს ყოველ მცდელობას — მაშინ კი რაღას იზამს, როდესაც სულის წიაღში შეიგრძნობს იმას, რაც შეაწუხებს, გააწვალებს, გამოღრღნის?

გაქვთ თუ არა თქვენ გეგმა, როგორ გადავატაროთ ჩვილი ბავშვობის ხანას და პირდაპირ სიმწიფის დადგომას მივაგებოთ, როდესაც თითქოს ელვამ დასჭექაო, მენსტრუაცია მოუვა, ერექცია და პოლუცია?

დიახ, ბალღი ჯერ კიდევ ძუძუს წოვს და მე უკვე ვკითხულობ, როგორ უნდა იმშობიაროს, რადგანაც ეს ისეთი პრობლემაა, რომელზეც ფიქრი, თუნდაც ოცი წელიწადი, სულაც არ არის ბევრი.

40. იმის შიშით, სიკვდილმა ბავშვი არ წამართვასო, ჩვენ ბავშვს სიცოცხლე უნდა წავართვათ, მისი სიკვდილი რომ არ გვინდა, სიცოცხლეს აღარ ვანებებთ.

თავად მადემორალიზირებული პასიური მოლოდინით აღზრდილები, ვაითუ რაღაც მოხდესო, ჩვენ გაუთავებლივ მივიჭარით ჯადოსნურ მომავალში. გაზარმაცებულებს არ გვინდა დღევანდელი დღის სილამაზეს მივაკვლიოთ, რათა შევემზადოთ და ღირსეულად შევხვდეთ ხვალინდელ დილას: ხვალეს აღფრთოვანება თავად უნდა მოჰქონდეს. და რა უნდა იყოს ეს „ნეტავი დადიოდეს, ლაპარაკობდეს", თუ არა ისტერია მოლოდინისა?

ბავშვი სიარულს ისწავლის, გვერდებს მიალეწავს მუხის სკამების მკვრივ კიდეებს. ლაპარაკს დაიწყებს, ენით გალევს ყოველდღიურობის ერთფეროვნებას. რით არის ეს დ ღ ე ს ბავშვისთვის უარესი, ნაკლებად დასაფასებელი, ვიდრე ეს ხ ვ ა ლ იქნება? თუ შრომაზეა საუბარი, დ ღ ე ს უფრო საძნელოა.

და ეს ხვალეც რომ დადგება, ჩვენ ახალ ხვალეს მოველით. რადგანაც ჩვენი შეხედულება ბავშვზე, რომ ის თითქოსდა ჯერ კიდევ არც არის, მერე იქნება, ჯერ კიდევ არ იცის, მერე ეცოდინება, ჯერ არ შეუძლია, მერე შეძლებს, როდესღაც — სწორედ ეს არის თავიდათავი ჩვენი გაუთავებელი მოლოდინისა.

თითქოსდა არც კი არსებობს ნახევარი კაცობრიობისა. ცხოვრება მისი — ოხუნჯობაა, ლტოლვანი — გულუბრყვილობაა, გრძნობები — — მსწრაფლწარმავალი, შეხედულებანი — სასაცილონი. დიახ, ბავშვები განსხვავდებიან დიდებისგან; რაღაცით ნაკლოვანია ბავშვის ცხოვრება, რაღაც ჭარბად აქვს, ვიდრე დიდს, მაგრამ ხსენებული განსხვავება რეალობაა და არა ფანტაზიის ნაყოფი. ჩვენ კი რაღა შევძელით ბავშვის შესასწავლად, შესაქმნელად იმ პირობებისა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა მისი არსებობა და მომწიფება?

ბავშვის სიცოცხლის გამო შიშიანობა იმასთან არის დაკავშირებული, ვაითუ დასახიჩრდესო, ამის შიში წილნაყარია სისუფთავესთან, ჯანმრთელობის საწინდართან; აკრძალვათა ჯაჭვი ახალ ბორბალთან არის შეერთებული: სისუფთავე და დაცულობა სამოსლის, წინდების, ჰალსტუხის, ხელთათმანების, ფეხსაცმლის. ნახვრეტი უკვე შუბლზე კი არ არის, შარვლის ტოტებზეა. ბავშვის ჯანმრთელობა კი არა, არამედ, მედიდურობა ჩვენი და ჯიბე. ჩვენთვისვეა მოსახერხებელი ახალი რიგი ბრძანებებისა და აკრძალვების.

„ნუ დარბიხარ, ცხენს არ შეუვარდე. ნუ დარბიხარ, გაოფლიანდები. ნუ დარბიხარ, გაიწუწები. ნუ დარბიხარ, თავი მტკივა".

(კაცმა რომ თქვას, ბავშვს სირბილის უფლებას რომ აძლევთ, ერთადერთია, რითაც სიცოცხლეს ვანიჭებთ).

და მთელი ეს შემაძრწუნებელი მანქანა მუშაობს მრავალი წელიწადი, ანგრევს ნებისყოფას, ახშობს ენერგიას, ქარს ვატანთ ბავშვის ძალებს.

ხვალის გულისთვის უგულვებელვყოფთ იმას, რაც სასიხარულოა, სევდის მომგვრელია, გაკვირვების წყაროა, გასაბრაზებელია, სწორედ

ასე უნდა გაერთოს ბავშვი დღეს ხვალის გულისთვის, რომელიც ბავშვს სულაც არ ესმის და არც აქვს სურვილი გაიგოს, წლები, წლები ნიავდება.

„ჯერ კიდევ პატარა ხარ, ჩუმად იყავი. — ყველაფერს თავისი დრო აქვს. დაიცადე, გაიზრდები... — ოჰო, უკვე გრძელი მარვალი გაცვია. — რაო, უკვე საათიც გაქვს. — აქეთ მოდი, წვერი ამოგდის!"

და ბავშვი ფიქრობს:

„არარაობა ვარ. მხოლოდ დიდები წარმოადგენენ რაღაცას. ცოტათი კი გავზრდილვარ, მაგრამ არარაობა ვარ მაინც, კიდევ რამდენი წელიწადი უნდა დავიცადო? აბა, ერთი გავიზარდო, დამაცადეთ..."

და ის ელოდება — სულს ღაფავს, ელოდება — სუნთქვა ეკვრის, ელოდება — დადარაჯებული, ელოდება — ნერწყვებს ყლაპავს. ჯადოსნური ბავშვობა? არა, გულსევდიანობა ჩვეულებრივი და თუ არის კარგი წუთები, ბრძოლითაა მოპოვებული, ხშირად ნაპარავი.

ერთი სიტყვაც კი არაა საყოველთაო სწავლებაზე, სოფლის სკოლებზე, ქალაქის პარკებზე, ხარცერობაზე. ყველაფერი ეს იყო წარმოუდგენლად შორი და ამიტომაც განუხორციელებელი. წიგნი, მისი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კატეგორიის განცდები და გამოცდილება მოუმარჯვებია ავტორს, როგორი იყო მისი სამოღვაწეო სარბიელი და შემოქმედებითი ლაბორატორია, — როგორი იყო მისი ფიქრის მასაზრდოებელი ნიადაგი. სწორედ ამიტომ ვნახულობთ ჩვენ გულუბრყვილო მსჯელობას ავტორიტეტებისას, და მით უმეტეს უცხოელთა.

41. მაშინ ყველაფერი უნდა დავანებოთ? არაფრის დიდებით: სევდამორეული მონისგან ჩვენ შევქმნით სევდით გატანჯულ ტირანს. ხოლო რომ ვუკრძალავთ, ასე თუ ისე, ნებისყოფას ვუწრთობთ, თუმცა მხოლოდ თავმოზღუდულობით მომართულს, გამომგონებლობას ვუვითარებთ, მეთვალყურეობისგან დასხლტომის ნიჭსაც, ვულვიძებთ კრიტიკულობას. და ეს რაღაცით ღირსშესანიშნავია, როგორც — მართალია, ცალმხრივი, — მაგრამ მაინც — ცხოვრებისთვის მომზადებაა. ბავშვებს „სუყველაფერს" რომ ვანებებთ, უნდა გვეშინოდეს, თითქოსდა საჭირველულოდ რომ ვაგულიანებთ, ძლიერი სურვილები არ დავუხშოთ, მაშინ ჩვენ ნებისყოფას ვუსუსტებდით, ახლა კი ვწამლავთ.

ეს არ არის, „რაც გინა, ის გააკეთე", არამედ „მე შენ გაგიკეთებ, გიყიდი, ყველაფერს მოგცემ, რასაც მოისურვებ, ოღონდ მითხარი, რა მოგცე, რა გიყიდო, რა გაგიკეთო. ფულს ვიხდი, რომ არაფერი არ გააკეთო, ფულს ვიხდი, რომ შენ გამგონე იყო".

„კატლეტი შეჭამე და დედა წიგნს გიყიდის. ნუ წახვალ სასეირნოდ, სამაგიეროდ, აი, შენ, შოკოლადი".

ბავშვური „მომეცი", თუნდაც სულ უბრალოდ გამოწვდილი ხელი, ერთხელაც იქნება ჩვენს „არას" წააწყდება, და იმ პირველივეზე „არ მოგცემ, არ შეიძლება, არ განებებ", დამოკიდებულია აღმზრდელობითი მუშაობის მთელი და უდიდესი ნაწილის წარმატება.

დედას არ უნდა ამ პრობლემის დანახვა, ურჩევნია ზანტად, შიშმორეულმა დრო გაიყვანოს. არ უნდა იცოდეს, ბავშვი აღზრდისას ამასღა მიაღწევს, რომ თავს ვერ გაართმევს არასწორ, ვერასრულებულ, საქმით შეუმოწმებელი ნდომისა და საქმით შეუმოწმებელი აკრძალვის ტრაგიკულ კოლიზიას, ვერც თავიდან აიცილებს ერთი საქმიანობის საზღვარში ორი სურვილის, ორი უფლების ტრაგიკულ შეჯახებას. ბავშვს უნდა პირში ჩაიდოს ანთებული სანთელი — ამას ვერ დაანებებს; დანა უნდა — მეშინია, როგორ მივცე; ლარნაკს უნდა მისწვდეს, დაამტვრევს, მენანება; ბურთი უნდა მეთამაშოს — მე კი მინდა წიგნი წავიკითხო. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ იმისი და ჩემი უფლებები.

ჩვილს უნდა ხელი მოკიდოს ჭიქას — დედა ხელს უკოცნის, ამან ვერ უშველა — ჟღარუნა მისცა, მერე დაიძახა, მომაცილეთო აქედან. თუკი ჩვილი ხელს გამოსტაცებს, ჟღარუნას იატაკზე მოისვრის, თვალს აქეთ-იქით აცეცებს, დამალულ საგანს ეძებს, მერე კი ჯავრით უყურებს დედას. გეკითხებით, ვინ არის მართალი? დედაა მატყუარა თუ ჩვილი, რომელსაც სძულს იგი.

ვინც კარგად არ დაუფიქრდება საკითხს აკრძალვისას და ბრძანებისას, როდესაც ჯერ ცოტანია, დააბნევს, და ყველაფერს ვერ ჩახვდება, როდესაც ბევრი იქნება.

42. სოფლელი ბიჭი ენდრეკი. უკვე დადის. კარის კიდეს ხელჩაკიდებული ფრთხილად გადავა ზღურბლზე, შემოსასვლელში გადის, შემოსასვლელიდან ორი ქვის საფეხურით ოთხზე დამდგარი დაბლა ჩაცოცდება. ქოხთან კატას შეხვდა, ერთმანეთი მოათვალიერეს და დაცილდნენ. გამხმარი ტალახის გუნდას გადააწყდა, შეჩერდა, იყურება. ჯოხი იპოვნა, ქვიშას ჩაჰკრა. კარტოფილის ნათალი ყრია, პირში ჩაიდო, სილა შეყვება, სახე მოეღრიცება, გამოაფურთხებს, გამოყრის. ფეხზე დადგა ისევ, ძაღლისკენ გაიქცევა; მოთხვრილი ძაღლი წამოაქცევს. სახემოღრეცილი სადაცაა აღრიალდება, მაგრამ არა, რაღაც წამოაგონდა და ცოცხს მოათრევს. დედა წყლის მოსატანად წავიდა; კალთაზე წაეტანა და უკვე თამამად მირბის. ბიჭები ურიკას მოაგორებენ — უყურებს; დაუყვირეს — გვერდზე მიდგა, უყურებს. ორი მამალი დასტაკებია ერთმანეთს, უყურებს. ენდრეკი ურიკაზე დასვეს, მოჰყავთ, გადმოუვარდათ. დედამ დაუძახა. ეს მხოლოდ პირველი ნახევარია თექვსმეტსაათიანი დღისა.

არავინ ეუბნება, პატარა ხარო; თავადაც გრძნობს, როცა ძალა არ შესწევს. არავინ ეუბნება, კატა გაგკაწრავსო, კიბეზე ჩამოსვლა არ შეგიძლიაო. არავინ არ ასწავლის, დიდ ბიჭებს მოერიდეო. „იმისდა კვალად, ენდრეკი რაც უფრო დიდი ხდებოდა, უფრო და უფრო სცილდებოდა ქოხს სეირნობის ხანს“ (ვიტკევიჩი 10).

ხშირად ეშლება, სცდება; ამის შედეგია — კოპი, ამის შედეგია — დიდი კოპი, ამის შედეგია — ნაწიბური.

ჰე, არა, სულაც არ მინდა მეტისმეტი ზრუნვა შეიცვალოს სრული უყურადღებობით. მე იმის თქმა მინდა, ერთი წლის სოფლელი ბალღი უკვე ცხოვრობს. ჩვენი კი, კარგა წამოჩიტებული ბიჭი როდისღა იცხოვრებს. ღმერთო ჩემო, როდის ნეტავი?

42. ბრონეკს კარის გაღება უნდა. სკამს მოათრევს. ჩერდება და ისვენებს, დახმარებას არ მოითხოვს. მძიმეა სკამი. დაიღალა ბრონეკი. ახლა სკამის ხან ერთ ფეხს ჩაეჭიდება, ხან მეორეს და ისე მოათრევს. სამუშაო ნელა სრულდება, მაგრამ უკვე ადვილი ხდება. სულ ახლოსაა კართან სკამი. ბრონეკს ჰგონია, რომ შესწვდება, აბრუდება, ფეხზე დადგება. ტანსაცმელზე ბსუბუქად ხელს ვკიდებ. წაბარბაცდება, შეეშინდება, ცრემლი მოერევა. თავად კარს მოსწვევს, მაგრამ სახელური განზე დარჩა. მეორე წარუმატებლობა. მოუთმენლობა არ დაეტყო. ისევ შრომობს, ცოტათი უფრო მეტს ისვენებს მხოლოდ. მესამედ აფოფხდება: ფეხი მაღლა, ხელი მსწრაფლ გაიწვდინა, მოღუნულ ფეხს დააწვა, ჩამოეკიდა, წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს. ერთხელ კიდევ, ხელით სკამის კიდეს წაეპოტინება, მუცელზე დაწვება, პაუზა, ტანი მკვეთრად წინ, მუხლებზე დადგა, ჩამოშვებული სამოსლიდან ფეხებს გამოიხთავისუფლებს — დგას. ჩემი საბრალო ლილიპუტიკოები გოლიათების ქვეყანაში! სულ მუდამ თავაწეულნი, როგორმე რამე დავინახოთო. სადღაც მაღლაა ფანჯარა, ვითარცა ციხეში. აკრობატიკაა საჭირო, სკამზე რომ დაჯდე. დაძაბულია მთელი კუნთები, ჭკუა და გონება, იქნებ როგორმე შესწვდეს კარის სახელურს...

კარი ღიაა. ბრონეკმა სული მოითქვა. შვების ამოსუნთქვა დაეტყობა ყრმის ყოველი ნებისყოფის დაძაბვას, ხანგრძლივი ყურადღების შემდგომ. მაშინაც დაეტყობა ამოოხვრა, როდესაც კარგ ზღაპარს დაასრულებ. მინდა, რომ ეს გაივოთ.

თითოეული ეს ღრმა ოხვრა იმას მოწმობს, რომ აქამომდე სუნთქვა იყო ნელი, ზედაპირული, არასრული; სუნთქვაშეკრული ბავშვი უყურებს, ელოდება, თვალყურს ადევნებს ჟანგბადის სრულ გამოვლინებამდე, ქსოვილების მოწამვლამდე ცდილობს, რაც ძალა და ღონე აქვს; ორგანიზმის სასუნთქვი ცენტრი განგაშის ნიშნებს უგზავნის. ღრმა ჩასუნთქვა, ჟანგბადი აღდგა.

თუ თქვენ შეგიძლიათ ბავშვის მხიარულებისა და მისი ძალის განსაზღვრა, უნდა იცოდეთ, ძლევა, მიზნის შესრულება, იდუმალების ამოხსნა; სიხარულის ზარ-ზეიმი და ბედნიერებაა დამოუკიდებლობის, დაუფლებისა და დაპატრონების.

— სად არის დედა? არ არის დედა. მოძებნე.

იპოვნა? ასე რად იცინის?

— გაიქეცი, დედა ახლა დაგიჭერს! ჰოი, ვერ წამოგეწია?

ოჰ, რა ბედნიერია!

რატომ უნდა ცოცვა, სიარული, ხელიდან დასხლტომა? ჩვეულებრივი სურათი: პაწაწინა ფეხებით მალიმალ სცილდება ძიძას, ხედავს ძიძა მოსდევს, ის კიდევ უფრო გარბის, საფრთხე აღარ ახსოვს, თავპირის მტვრევით მიქრის, თავისუფლების ექსტაზს მოუცავს — ან მთელი ძალით მიწაზე გაიშხლართება, ან, თუ დაიჭერენ, თავის დაღწევა უნდა, ტლინკებს ყრის და სჭყივის.

თქვენ იტყვით; მოჭარბებული ენერგია? ფიზიოლოგიური მხარეა, მე კი ფსიქოფიზიოლოგიურს ვეძებ.

გეკითხებით, ბავშვი წყალს რომ სვამს, რატომ უნდა ჭიქა თავად დაიკავოს ხელში, დედა არაფრისდიდებით არ უნდა წაეკაროს; რატო-

მაა, ჭიქა აღარ უნდა, ჭამს, თუკი კოვზს დაანებებენ? თავდავიწყებული სიხარულით რატომ აქრობს ასანთს, მამის ფოსტლებს მიათრევს, ბებიასთვის სკამი მიაქვს? უნდა წაბაძოს? არა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანწილად დიდია და ძვირფასი.

— მე თითონ! — იძახის ბალღი ათგზის მიხრა-მოხრით, გამოხედვით, სიცილით, ვედრებით, მრისხანებით, ცრემლებით.

44. — შენ კი შეგიძლია თავად გააღო კარი? — შევეკითხე პაციენტს, რომლის დედამაც გამაფრთხილა, შიში აქვსო ექიმების.

— თუნდაც საპირფარეშოში, — მსწრაფლ მიპასუხა. გამეცინა. ბიჭუნა აირია, მე კი უფრო მეტადაც. გავათქმევინე იდუმალი ზარ-ზეიმი და დავცინე.

სულ ადვილად მივხვდი, იყო დრო, ყველა კარი უკვე გაღებული იყო იმის წინ, საპირფარეშოს კარისთვის ძალა არ ჰყოფნიდა და სწორედ ეს მიმძლავრებულიყო იმის პატივმოყვარეობაზე; ასე დამსგავსებოდა ახალშეძდა ქირურგს, ვისი ოცნებაც რთული ოპერაციის გაკეთებაა.

აღარავის ენდობოდა, იცოდა, გაუგებარი დარჩებოდა გარშემომყოფთათვის იმისი შიდასამყარო.

შეიძლება ბევრჯერ გაუწყრნენ ან აწყენინეს: „აბა რას ატრიალებ მანდ, რას უჩხიკინებ? თავი დაანებე, გააფუჭებ. ახლავე შენს ოთახში შედი!"

ხოდა, ჩუმად, ირგვლივ მყოფთა თვალს მიფარებული შრომობდა, დაბოლოს... გააღო!

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, ხშირად, შესასვლელში ზარი დარეკავს და თხოვნა:

— მე გავაღებ, რა?

ჯერ ერთი, საღარბაზოს კარის გასაღები ადვილი მოსატრიალებელი არ არის, და კიდევ, გრძნობს, იქით, კარს მიღმა, დგას სრულასაკოვანი, ვისაც არ ძალუძს კარის გაღება და ელოდება, როდესაც შენ, პატარა, შეეშველები...

აი, ასეთ მცირეოდენ გამარჯვებებს ზეიმობს ბალღი, უკვე შორეულ მოგზაურობაზე მეოცნებე; წარმოიდგინა — რობინზონია უკაცურ კუნძულზე, სინამდვილეში ეს უხარია, როდის დამანებებენო სარკმელში გაჭვრეტას.

— მარტო თუ აძვრები სკამზე? ცალ ფეხზე ხტუნვა თუ შეგიძლია? თუ დაიჭერ ბურთს მარცხენა ხელით?

და ბავშვს ავიწყდება, რომ არ მიცნობს, რომ ყელში ჩავხედავ და წამალს გამოვუწერ. იმას ვეუბნები, რაც სძლევს იმის დბნეულობას, შიშიანობას, ჯავრიანობას. ხოდა, გამხიარულებული შეჰყურებს:

— ვიცი!

თუ გინახავთ, ჩვილი როგორ დიდხანს, მოთმინებით, სახეალესილი, პირღია და თვალდაშტერებით იხდის და იცვამს წინდას ან ფეხსაცმელს? თამაში არ არის ეს, არცა წაბაძვა, არც აბდაუბდაა რაღაც, შრომაა.

რა საზრდოს მისცემს იმის ნებას, როცა სამი, ხუთი, ათი წელი შეუსრულდება?

45. მე!

თავს რომ გაიკაწრავს ახალდაბადებული, მჯდომარე ჩვილი, რომ პირში ფეხს ჩაიდებს, უკან რომ გადავარდება და ჯავრით რომ ეძებს დამნაშავეს, როდესაც თმას მოიწიწკნის, ტკივილისგან სახეშეცვლილი მაინც კვლავ ცდილობს; თავზე კოვზს რომ დაიკრავს და მაღლა აიხედავს, რა არის იქ, რასაც ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს? — თავს ვერ სცნობს.

ხელების მოძრაობას რომ შეისწავლის; მუშტს რომ წუწნის და ყურადღებით ათვალიერებს მას; ძუძუს ჭამის დროს წოვას თავს რომ ანებებს და დედის ძუძუს მიმსგავსებულ თავის ფეხს რომ მიუბრუნდება; ბაჯბაჯით მიმავალი რომ შეჩერდება და დაბლა დაიხედავს, ეძებს, რას ვუკავივარო სხვანაირად, ვიდრე დედის ხელებს; მარჯვენა წინდიან ფეხს რომ შეუდარებს და მარცხენა უწინდოს, შემეცნებასა და ცოდნას მიელტვის.

ბანაობის დროს წყლის შესწავლისას თავის ვერშემცნობელ მრავალ წვეთში, შეცნობილი წვეთის ძებნას რომ დაიწყებს, ის განჭვრეტს დიდ ჭეშმარიტებას, რომლითაც მოიცავს ამ მოკლე სიტყვას „მე“.

მხოლოდ მხატვარ ფუტურისტს შეუძლია წარმოგვიჩინოს ჩვილი ისეთი, როგორც ის თავს ხედავს: თითებს, მუშტებს, შედარებით ბუნდად ფეხებს, შეიძლება ღიპს, იქნებ თავსაც, მაგრამ მხოლოდ წყვეტილ ხაზებად, როგორც ესაა იმიერპოლარეთის რუკაზე.

სამუშაო ჯერ კიდევ არ არის გასრულებული; მოტრიალდება, თავს დახრის, რომ რაღაც დაინახოს, რაც იმის უკანაა დამალული, სარკეში თავს შეისწავლის და ფოტოსურათს უყურებს, ნახულობს ხან ჭიპის ღრმულს, ხან ამოზიდულ ხალებს; და აქ კიდევ ახალი სამუშაოს წინაშეა: თავი უნდა იპოვოს ირგვლივ მყოფთა შორის. დედა, მამა, ვილაც ბიძია, ვილაც დეიდა, ერთნი ხშირად გამოჩნდებიან, მეორენი — იშვიათად, სავსეა აქაურობა იდუმალი პიროვნებებით, რომელთა წარმომავლობა ბუნდოვანია, ხოლო საქციელი გამოუცნობელი.

ბავშვი ჩახვდება თუ არა, დედა იმისთვის მყავს, სურვილები შემისრულოს ან წინააღმდეგობა გამიწიოს, ხოლო მამამ ფული მოიტანოს. დეიდებმა — შოკოლადებიო, თავისი ფიქრებისა და სულის წიაღში ის აღმოაჩენს ახალ, კიდევ უფრო საკვირველ, უხილავ სამყაროს.

მერე კი თავს უნდა მიაკვლიოს საზოგადოებაში, მთელ სამყაროში. აი, ჭაღარა გამოერია და სამუშაო მაინც არ არის დასრულებული.

(გაგრძელება იქნება)

# უხმაურო შემოქმედის პორტრეტი

რთულ დროში ვცხოვრობთ, რევოლუციური გარდაქმნები საძირკვლიანად არყევს ქვეყანას. ახალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას გლობალური მასშტაბის ცვლილებები ახლავს, ყოველივე ეს პირდაპირ აისახება ხალხის ყოფაში. ბატონობს უკიდურესი გაჭირვება; უმუშევრობა, უხელფასობა, უშუქობა, უიმედობა ბინდავს ცნობიერებას. აგერ, თითქმის ოცი წელია მიმდინარეობს რყევის პროცესი. ამ პროცესის ანალოგები უხვადაა მსოფლიო ისტორიაში და თავს ამით ვინუგეშებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისტორიულ ჟამში ვცხოვრობთ. სწორედ მსოფლიო ისტორიის გამოცდილებით ითქვა: „როცა ქვემეხები ქუხს, მუზები დუმან".

მეტიც: ვერის ბაღში წვავენ წიგნებს. ეს დიდი ეროვნული უბედურება, ვგონებ, მეორედ ხდება საქართველოს ისტორიაში. ერის გონი სასოწარკვეთილია ამ უბედურების გააზრებით — წიგნთან, წიგნიერებასთან, მწიგნობრობასთან დამოკიდებულების საუკუნოვანი კულტურა ნადგურდება.

...ის კი ზის, ზის პატარა ოთახში, თითქმის ბნელში, სანთლის, ზოგჯერ ლამპის სუსტი შუქით განათებულში, კითხულობს, ფიქრობს, არჩევს, მერე წერას იწყებს, არჩევანი იმთავითვე მნიშვნელოვანია — გოეთეს, ვაგნერის, თომას მანის — ბუმბერაზების სამყარო, მათი ცხოვრების ყოფითი დეტალები, გონებრივი ნალვაწი. ჭიდილი სიტყვასთან, მოულოდნელად, საჩუქარივით მოპოვებული ენობრივი კონსტრუქციები, ადექვატების მიგნების სიხარული. გასრულდა ერთი პატარა ნაშრომის თარგმნა. იწყება ურთიერთობა რედაქციებთან, კერძოდ, ჟურნალ „საუნჯესთან": სიხარულით ხვდებიან... რატომაც არა... უკეთესს რას მიაწვდიან მკითხველს. თანაც ესეების თარგმნა იშვიათობაა ,სხვა ჟანრებს უფრო ეტანებიან. თარგმნა რომ [illegible] საქმიანობაა ,ამას ვერავის ასწავლი დღეს საქართველოში. მხატვრული პროზის თარგმნა კი ურთულესზე ურთულესია, მაგრამ ვისაც ესეს სამყაროში შეუხედავს, ადვილად ირწმუნებს სირთულის სპეციფიკას. აი, ამ რთულ სპეციფიკას მოერგო კარგად მისი შესაძლებლობა, პირველ რიგში განწყობა, ჰოდა, წამოვიდა წერილების სერია საინტერესო პირადი ცხოვრების დეტალებზე თუ მსოფლმხედველობაზე. მერე ყველაფერი ეს წიგნად შეიკრა. ასე მივიღეთ „რჩეულთა ბიბლიოთეკის" სერიით გამომცემლობა „მერანში" გამოცემული „თომას მანი — რიხარდ ვაგნერი". ამას მოჰყვა ბრწყინვალე მოქართულესთან, აწ განსვენებულ გოგი მაჭუტაძესთან ერთად გამოცემული რიხარდ ვაგნერის ესეების კრებული „მომლოცველობა ბეთჰოვენთან". შეფასებაც არ აყოვნებს. 1996 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში შეკრებილი საზოგადოება მოწონებით ხვდება ამ წიგნების გამოცემას. თანაბრად აფასებენ მასალის შერჩევის პრინციპს და თარგმნის ხარისხს.

უნარი, ნიჭიერება, დაფასებულია: გაჭირვებით გათანგულ ინტელიგენციას არ უძნელდება დაინახოს რუდუნებით გაწეული შრომის ნაყოფი. ეს დიდი სტიმულია და შრომაც გრძელდება .ესეს ესე ემატება და უკვე მოზრდილ, სოლიდური მოცულობის წიგნიც ჩნდება თაროზე — თომას მანი — ესეები.

სულ ორიოდე წლის წინ „ჯანსულ ორიოდე წლის წინ „ჯანსულ ღვინჯილიას გამომცემლობის"

გრიფით, გამოდის ახალი წიგნი — კეტე ჰამბურგერის — „მხატვრული სიტყვის ლოგიკა“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს განსხვავებული ჟანრია. ხომ რთულია ესეს თარგმნა, ეს კი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომია. კიდევ უფრო რთული კონსტრუქციები. ჭარბად მოხმობილი ტერმინოლოგიის შესატყვისთა შერჩევა, აძნელებს საქმეს. ხანგრძლივად ფიქრი და კვლავ ჭიდილი სიტყვასთან წარმატებით გასრულებული საქმის სიხარულს კვლავაც განაცდევინებს. და ქართველ მთარგმნელთა დიდი სკოლის ერთი უპირველესი ავტორიტეტის ქალბატონ ლალი ფანჯიკიძის სიტყვებით, შემოქმედებითი გამარჯვება სახეზეა. ამას არ სჯერდება, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა — სჯერდება — მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს მის მოკრძალებულობას — უბრალოდ, ჩვენ ამ სიტყვას მოვიხმობთ უწყვეტი, თანმიმდევრული შრომის პროცესის დახასიათების მიზნით. დიახ, თანმიმდევრული შრომის ნიმუშია მისი ცხოვრება, და ბუნებრივად, თანმიმდევრული შრომის კულტურით მიდის იგი თავისი საქმიანობის ახალ სახეობასთან. ესაა თარგმანის ხელოვნების გაცნობა ახალგაზრდობისათვის — პოეზიის ნიმუშების თარგმნა გერმანულიდან ქართულად. აქაც გარკვეული შედეგი სახეზეა. რაკი პოეზიის ჟანრის თარგმნას „შებედა“, ახალგაზრდებთან ერთად, თავადაც მიუახლოვდა პოეზიას. ან იქნებ პირიქით იყო, ჯერ თითონ „შევიდა! და მერე ახალგაზრდებსაც შეახედა იქ, ასწავლა სიტყვასთან ჭიდილი. მარი ლუიზე კაშნიცის მისეულ თარგმანს მალე მიიღებს მკითხველი, წიგნად აკინძულს, პრესის ფურცლებზე მკითხველმა უკვე გაუსინჯა ჭაშნიკი ამ ლექსებს და სასიამოვნო გამოხმაურებაც გამოხატა კულისებში.

... აი, რაზე საუბრობდა დეკემბრის იმ სუსხიან დღეს ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლეთ ევროპის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება. აქ იყვნენ რუსუდან ღვინეფაძის მეგობრები — ბავშვობისა და სტუდენტობის თანამგზავრები, ცნობილი სპეციალისტები სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — სალამოს მოწყობის ორგანიზატორი ქალბატონი გულნარა სტურუა, სტუმრები სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტიდან. მეგობრები იხსენებდნენ რუსუდანის გამორჩეულ ბავშვობას, სიტყვასთან ურთიერთობის განსაკუთრებულ მიდრეკილებას, იხსენებდნენ მისი „ტკბილი ქართულით“ (საგნის მასწავლებლის გამოთქმაა) ქოთხრობილ გაკვეთილებს, იყო მილოცვა შემოქმედებითი გამარჯვებისა, თითქმის ოცდაათწლიანი შრომის შეფასება, გულის გათბობა, მოფერება, დამსახურებული ღვაწლის დანახვა.

ჩემი მხრივ დავსძენ, რომ ჩემი და რუსუდანის მეგობრობა აგერ უკვე ოცდახუთი წელია გრძელდება, დაიწყო იგი „საუნჯეში“, გაგრძელდა წიგნების გამოცემით — „ჯანსულ ღვინჯილიას გამომცემლობაში“. ამ მეგობრობას „ანგარებაც“ უდევს საფუძვლად, იმ დღესაც „ანგარებით“ მივედი ენისა და კულტურის უნივერსიტეტში .ვიმედოვნებდი, ერთხელ კიდევ „გამოვკრავდი“ ხელს სასურველ მასალას „საუნჯის“ მკითხველის გასახარად. არც შევმცდარვარ. უხმაურო შრომა გრძელდება...

ნანა ახობაძე-ღვინჯილია

ფასი 3 ლარი

63/13

ეროვნული
ბიბლიოთეკა